

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის
ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია





საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა აღწერილობის რედაქცია

სარედაქციო საბამომცემლო სამეცნიერო საბჭო:

ზურაბ აბაშიძე, ავთანდილ არაბული, ბიორგი კვესიტაძე, ბიორგი ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, თამაზ სანიკიძე, კიაზო ფიცხელაური, ვახტანგ ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე

წიგნის მთავარი რედაქტორი: თამაზ დვალი

რეცენზენტი: დიმიტრი თუმანიშვილი

არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლების შესახებ მასალები მომზადდა

ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

© ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ISBN 978-99928-20-47-6

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით

1-III საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობა

საბარეჯოს
მუნიციპალიტეტი

თბილისი 2019

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GEORGIAN ENCYCLOPAEDIA
IRAKLI ABASHIDZE CHIEF EDITORIAL BOARD

EDITORIAL BOARD OF THE DESCRIPTION OF
THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY
AND CULTURE

DISCRIPTION OF THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY AND CULTURE

BOOK 1-III

TBILISI 2019



1-ლი საგანძურის მუნიციპალიტეტი



რედაქციისაგან

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციამ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით, გამოსაცემად მოამზადა სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ რიგით მეხუთე წიგნი, რომელიც ეძღვნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

გამოცემისათვის სპეციალურად გადამოწმდა საარქივო მასალა, საჭიროებისამებრ ხელახლა აიზომა და განახლდა ათეულობით ნახაზი, ახალი მონაცემებით შეივსო სტატიების დიდი ნაწილი და სხვ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რიგი ძეგლების მონახულება, აზომვა, და აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელთ არსებულ ნახაზებში, იმ სახეცვლილებების ასახვა, რომელიც ამა თუ იმ ძეგლმა რესტავრაციის შედეგად განიცადა, ვერ მოხერხდა. რიგ შემთხვევებში კი, სახვით მასალაში ზოგიერთი ძეგლის სახეცვლილების ჩვენებას თავი შეგნებულად ავარიდეთ, რადგან, ბოლო წლების მანძილზე, თვითნებურად განხორციელებული „სარესტავრაციო მოღვაწეობის” შედეგად, ბევრმა ძეგლმა თავდაპირველი სახე თითქმის მთლიანად დაკარგა. ხშირ შემთხვევაში იმდენად, რომ რიგი ძეგლების საილუსტრაციოდ, იძულებული გავხდით, ჩვენ ხელთ არსებული ძველი სახვითი მასალა გამოგვეყენებინა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, კახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ინტენსიურად მიმდინარეობდა ხუროთმოძღვრული ძეგლების სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები. ხშირად ასეთ სამუშაოებს აწარმოებდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლებიც, და მიუხედავად იმისა, რომ თავად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური დიდ დახმარებას გვიწევდა, რედაქცია მაინც მოკლებული იყო სათანადო ინფორმაციას. ამიტომ, შესაძლოა, ამა თუ იმ ძეგლის აღწერილობაში მისი აღდგენისა თუ შეკეთების ფაქტი არ იყოს აღნიშნული, რადგან ზემოაღნიშნულის დაზუსტება მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს კი წიგნის დროული მომზადებისა და გამოცემის შეფერხებას გამოიწვევდა.

მუნიციპალიტეტის ძეგლთა აღწერილობას წინ უძღვის სქემატური რუკა, რომელზეც დატანილია ძირითადი მდინარეები, გზები და ის დასახლებული პუნქტები, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი. მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები განლაგებულია ანბანური რიგით. ასევე ანბანზეა განლაგებული როგორც ქალაქ საგარეჯოში, ისე სოფლებში არსებული ძეგლებიც.

წიგნში დავითგარეჯის მრავალმთის გამოქვაბული მონასტრების კომპლექსში შემავალი რამდენიმე მონასტერი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ფარგლებშია მოქცეული. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ერთი კომპლექსის შემადგენელი ნაწილია, დავარღვიეთ ძეგლთა ტერიტორიული კუთვნილებით განლაგების პრინციპი და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ერთ მთლიანობაში წარმოდგენა.

წიგნს აქვს შესავალი, რომელშიც მიმოხილულია კახეთის ისტორია, მხარის არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლები. საკუთრივ მუნიციპალიტეტს ახლავს მოკლე, საცნობარო სტატია. ცალკე სტატია ახლავს ასევე ქალაქ საგარეჯოს და იმ სოფლების ნაწილს, რომლებზედაც შესაძლებელი გახდა ისტორიული ცნობების მოპოვება.

წიგნში ყოველ ერთეულს (ქალაქი, სოფელი, ძეგლი) მინიჭებული აქვს საკუთარი ნომერი (ინდექსი). კომპლექსში შემავალი ცალკეული ძეგლები (იქნება ეს ცალკე მდგომი ნაგებობა, კედლის მხატვრობა თუ მცირე ფორმის არქიტექტურის ძეგლი) მოცემულია დაყოფით. დაყოფითვეა მოცემული რომელიმე ძეგლის პარალელურად გამოყენებული ან ცნობილი, ძველი სახელწოდება (მაგალითად: 021. წმ. გიორგის ეკლესია, თ ა ვ წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა; ან 025. ანთოკი, ა ნ თ უ კ ი; ან 047. წმ. გიორგის ეკლესია, თ ე ლ ე თ ი და ა.შ.).

⇦ სოფ. მუხროვანი. ეკლესიის კომპლექსი. ეკლ. საკურთხევლის მოხატულობა „ვედრება“. დეტალი

ძეგლის სახელწოდების შემდეგ მოცემულია დეფინიცია – თუ რა კატეგორიის ძეგლია იგი (მაგალითად: ისტ., არქეოლ., არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძეგლი და სხვ. კატეგორიების ჩამოთვლისას უპირატესობა ეძლევა ძეგლის მთავარ მახასიათებელს).

წიგნს ერთვის: მრავალრიცხოვანი გრაფიკული ილუსტრაცია (ანაზომები, ნახაზები) და ფოტოსურათები; ანბანზე განლაგებული და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლების ან ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია. გამოცემაში, ცალკეული სტატიის ბოლოს, ადგილის ეკონომიის მიზნით, მოცემულია იმ ბიბლიოგრაფიული ერთეულის ნომერი, რომელიც აღნიშნულ სტატიას ეკუთვნის (მაგალითად: – ბიბლ.: 41 ბ. აქ პირველი რიცხვით აღნიშნულია ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მოცემული ბიბლიოგრაფიული ერთეულის რიგითი ნომერი – 21. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები; ასო ბ აღნიშნავს გამოცემის ტომს ან წიგნს. ე. ი. წგ. 2.

წიგნს დართული აქვს ანბანზე განლაგებული საძიებლები – პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, სახელიანი ძეგლების, მოხატული ეკლესიების. ამასთან, ეკლესიების ქრონოლოგიური საძიებლები. ასევე, გამოყენებული ილუსტრაციების სია, ფოტოსურათების ავტორების, ძეგლების აზომვითი სამუშაოების შემსრულებლების, სამეცნიერო პუბლიკაციების და იმ დაწესებულებების მითითებით, რომლებშიც ინახება ესა თუ ის ნახაზი ან ფოტოსურათი.

წიგნს, რა თქმა უნდა, არა აქვს სისრულის პრეტენზია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა მასში შემავალი ძეგლები, ალბათ მაინც გამოგვრჩა რომელიმე ძეგლი ან მოვლენა.

ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების, დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით, შესაძლებელი გახდება მასალის შევსება და გამოვლენილი ძეგლები შევა აღწერილობის ბოლო, სპეციალურ, დამატებით წიგნში.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ წინამდებარე წიგნი, ისევე როგორც მთელი გასრულებული გამოცემა, დიდ როლს შეასრულებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და ჩვენი სულიერი კულტურის პროპაგანდის საშურ და აუცილებელ საქმეში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ვფიქრობთ, წიგნი საინტერესო იქნება, როგორც მკვლევართათვის, ისე ხელოვნებითა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.




საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

წიგნი 1-III

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

სოფ. ნინოწმინდა. სამონასტრო კომპლექსი (142), წმ. ნინოს ტაძარი. ხედი ჩრდ.-დას.-იდან



კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, ისტორიული მხარეა. მისი ისტორია, საქართველოს სხვა კუთხეებთან დამოკიდებულებისა და თვითმყოფადობის გათვალისწინებით, მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

სახელწოდება „კახეთი“ პირველად ძველ ქართულ, საისტორიო წყაროში – „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში გვხვდება. ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში მოტანილი ლეგენდის თანახმად, ქართველთა წინაპარს ქართლოსს ხუთი შვილი – მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი ჰყოლია. მამის გარდაცვალების შემდეგ, შვილებს მისი სამფლობელო დაუნაწილებიათ. კახოსს რგებია მიწა-წყალი „კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“. ისტორიული კახეთი დღევანდლისგან განსხვავებულ ტერიტორიას მოიცავდა. საკუთრივ კახეთის გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა: კუხეთი, უფრო სამხრეთით – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გარდაბნის ქვეჯანა, ჩრდილოეთით – ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, დურძუკეთი და ღლიღვეთი, ანუ კავკასიის მთიანეთი, რომელსაც ქართული წყაროებით „მთიულეთი კახეთისა“ ეწოდებოდა.

აღმოსავლეთიდან კახეთს ჰერეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. მათ შორის საზღვარი ვეჯინისა და გავაზის დასავლეთით, ალაზნის ველს მიუყვებოდა. დასავლეთით საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით კი – მდინარე მტკვარზე. ისტორიულ პროცესში კახეთი, კულტურულად და პოლიტიკურად თანდათან ფარავს ჰერეთს. საერთოდ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ტერმინებს „კახეთს“, „კუხეთსა“ და „ჰერეთს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, შესაბამისად, „ქვეყანათა“ საზღვრებიც საკმაოდ ძნელად დასადგენი და არამყარია.

კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ივრის ზემო წელი, თიანეთსა და უჯარმას შორის), რომლის ცენტრი ჩელეთი იყო, IV საუკუნიდან – უჯარმა, XI საუკუნიდან – თელავი, XV საუკუნიდან – გრემი, XVII საუკინის II ნახევრიდან ისევ თელავი. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კახეთი მოიცავს მდ. ივრის შუა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზს – ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს.

კავკასიის გეოკლიმატური პირობები და მისი ბუნებრივი სიმდიდრე ათასწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა და არეგულირებდა აქ მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების ძირითად მიმართულებებს. ამ მატერიალურ ბაზაზე წარმოიშვა კავკასიაში (მათ შორის კახეთში) ერთიმეორესთან მრავალმხრივ დაკავშირებული, არქეოლოგიური კულტურები, ჩამოყალიბდა აქ მცხოვრებ ადამიანთა უნიკალური ყოფა-ცხოვრებითი ერთიანობა.

კავკასია ადამიანის ისტორიის დასაბამიდან წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, ძირითადი გზების გზაჯვარედინს, რაც ხან



მდ. იორი

ხელს უწყობდა ადგილობრივი კულტურების წინსვლას, ხანაც აფერხებდა მას. თუმცა, გარე სამყაროს ინტერესი კავკასიის მიმართ არ განისაზღვრებოდა მხოლოდ აქ გამავალი სატრანზიტო გზების მნიშვნელობითა და საჭიროებით.

დაწინაურებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფონზე, კავკასიაში იყო ისეთი ბუნებრივი სიმდიდრე (ლითონის უმდიდრესი ნედლეული და ამ ბაზაზე განვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება), რომელიც მისი განვითარების უმთავრეს ბერკეტად და მის მიმართ მთელი გარე სამყაროს გაცხოველებული ინტერესის ფაქტორად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში სამეურნეო ცხოვრების სწორედ ეს მიმართულება უნდა ყოფილიყო კავკასიური კულტურის განვითარებისათვის უმთავრესი ბიძგის მიმცემი.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კახეთის მხარე გეოგრაფიულად გამოცალკევებულია მდინარეების – ივრისა და ალაზნის ოროგრაფიული სისტემით და მატერიალური კულტურის მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, ზოგადად იგი უძველესი, სამხრეთ კავკასიური კულტურების განუჯოფელი ნაწილია და მხოლოდ მათთან ერთად, ერთ სისტემაში უნდა იქნას განხილული.

კახეთი მდიდარია როგორც მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით, ისე ნოყიერი ნიადაგებით, ნიადაგისეული საფარით – ტყის მასივებით, საძოვრებით და წყლის რესურსებით. ყოველივე ეს, ზომიერ ჰავასთან ერთად, ადამიანის საცხოვრებლად და მისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

როგორც ჩანს, კავკასიის ეს კუთხე ოდითგანვე გამოირჩეოდა ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობებით.

ამის საუკეთესო მანიშნებელი უნდა იყოს კახეთის სხვადასხვა მხარეში, უფრო კი ივრის ხეობაში (ვაშლოვნის ნაკრძალი, ტარიბანას ველი, დავითგარეჯის უდაბნო, გომბორის ქედის სამხრეთი ფერდები), აღმოჩენილი განმარხებული ცხოველების ძვლები, რომელთა შორის ინდივიდების მთელი ჩონჩხებიც გვხვდება (სპილო, მარტორქა და სხვ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავითგარეჯის უდაბნოში, ლავრის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად აღმოჩენილი პრიმატის კბილი, რომლის ასაკიც მეოტური პერიოდით განისაზღვრება.

ამ თვალსაზრისით ისიც მნიშვნელოვანია, რომ ვაშლოვნის ნაკრძალის ტერიტორიაზე, მასიური ტყის სახით, ცოცხლად არის გადარჩენილი მილიონობით წლის წინანდელი ხის ჯიშები, რაც მსოფლიო მასშტაბით უნიკალური მოვლენაა.


კახეთში საუკეთესო ბუნებრივი პირობები იყო ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებისთვისაც. ამაზე უმთავრესად მიგვითითებს ივრის ხეობაში, გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობებზე და ივრის ზეგანზე აღმოჩენილი ქვის ხანის ადამიანის რამდენიმე ათეული ღია სადგომი, სადაც მრავლად გამოვლინდა კაჟისგან დამზადებული იარაღები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზიარათან აღმოჩენილი ადრინდელი ქვის ხანის ადამიანის



მდ. ივრის ხეობა

ნაბინავარი, სადაც კულტურული ფენა დაურღვეველად, თავდაპირველ მდგომარეობაშია გადარჩენილი. მონაპოვარი მასალის მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ქვის ხანაში ადამიანი მუდმივად სახლობდა. აქ მისი ცხოვრების კვალი დაახლოებით ძვ. წ. 2 მილიონ 300 ათას წელსა და 10.000 წელს შორის უნდა განისაზღვროს.

კახეთში ქვის ხანის ძეგლებიდან ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) ხანის ძეგლები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ამ მხარეში მათ არსებობაზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევითი აღმოჩენა მიგვანიშნებს. საზოგადოების განვითარების შემდგომი საფეხურის, ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანა) ხანის ნა-



ქვის ხანის ადამიანის კაჟის იარაღები

მოსახლარები კახეთში აღმოჩენილია მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წითელგორის მახლობლად; გურჯაანის მუნიციპალიტეტში – სოფ. ჯიმითთან და სოფ. ჭერემთან. აქ აღმოჩენილია შენობათა მცირე კვალი და დიდძალი არქეოლოგიური მასალა (ხელით ნაძერწი თიხის უხეში ჭურჭელი და ნახეხ-ნაპრიალები ქვის იარაღი), რომლებიც დათარიღებულია ენეოლითური ხანის დასასრულით. ამ ძეგლებზე გამოვლინდა წმინდა სპილენძისგან დამზადებული ნივთის ერთადერთი ფრაგმენტიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში მეტალურგიულ წარმოებას, შესაძლოა, ძვ. წ. ექვსი ათასი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი.


დავითგარეჯის უდაბნოს სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ჯანდარის ტბის პირას, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე აღმოჩნდა თიხის მრგვალი და ოთხკუთხა შენობებიანი დიდი ნამოსახლარი. მოპოვებული მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, რომლის უმეტესობა სამეთუნეო მორგვზეა დამზადებული (მცირე ტერაკოტული ქანდაკებები, თიხის საბეჭდავები და წმინდა სპილენძისაგან დამზადებული იარაღები), იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ, ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, შესაძლოა მესოპოტამიიდან ემიგრირებული ხალხის დიდი ჯგუფი სახლობდა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში.

კავკასიაში სპილენძ-ქვის ხანის ეპოქის შემდგომი პერიოდი (ადრინდელი ბრინჯაოს ხანა) ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ დროს სამხრეთ კავკასიის მთელ ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელშიც ერთიანდება იორ-ალაზნის აუზიც, დღევანდელი კახეთის ტერიტორია.

კახეთში ამ დროის ბევრი ნამოსახლარია ცნობილი, თუმცა, ისინი ჯერჯერობით სრულად გამოკვლეული არ არის. უკეთ არის შესწავლილი აქ გამოვლენილი სამარხეული ძეგლები. ძირითადად გათხრილია გორასამარხები დიდი ქვაყრილით, რომლის ცენტრალური ნაწილის ქვეშ უორმოო, საოჯახო, კოლექტიური სამარხებია განლაგებული, ხშირად მიცვალებულების ფერფლით. ზოგჯერ დასაკრძალავ დარბაზებს აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს ქვის ფილებით ნაგები, გრძელი დერეფნები – დრომოსები, რომლებშიც შეწირული ადამიანების მთლიანი ჩონჩხები ან ჩონჩხების ნაწილებია მოთავსებული. კახეთში შესწავლილია იმდროინდელი, გრანდიოზული, კატაკომბური სამარხებიც, რომლებიც ქვის დიდი ყრილის ქვეშ არის განლაგებული.

სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება მიცვალებულისათვის ჩატანებული, მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, შედარებით იშვიათად – ბრინჯაოს იარაღი და სამკაული. ამ დროიდან სამარხეულ ინვენტარში გვხვდება ოქროს ნივთებიც, ძირითადად, სასაფეთქლე ხვიების სახით.

ცნობილია, რომ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში და მის მეორე ნახევარში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მის ადგილს იმკვიდრებს ე. წ. მარტყოფული და ალაზან-ბედენური (ადრინდელი ყორღანული) კულტურები, რომლებიც მთლიანად მოიცავს თანამედროვე აღმოსავლეთ საქა-



შირაქი. თიხის ჭურჭელი გორასამარხის კომპლექსიდან. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული

რთველოს ტერიტორიას (კახეთის ჩათვლით) და დღევანდელი სომხეთის ჩრდილო ნაწილს.

კახეთი ამ კულტურების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა და ნიშანდობლივია, რომ



ჭაბუკიანი. ანანაურის გორასამარხი, სამკაულები. ოქრო. ვერცხლი. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

პირველად სწორედ კახეთის მასალების მიხედვით დაისვა საკითხი ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული და მარტყოფული კულტურების ქრონოლოგიური და გენეტიკური სიახლოვის შესახებ. ამ ორი ჯგუფის ძეგლების ქრონოლოგიური სიახლოვე დაადასტურა ივრის ზემო დინებაში, სიონის ნამოსახლარზე აღმოჩენილმა მასალებმა, სადაც მათთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაკეთობანი ერთი და იმავე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა. შემდგომ უკვე მათ გენეტიკურ კავშირზე საუბრის საფუძველი მოგვცა ანანაურის გორასამარხების კერამიკულმა მასალამ, ვინაიდან ეს ნაკეთობები ერთდროულად შეიცავდა ორივე კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს.

კახეთში როგორც მარტყოფული, ისე ალაზან-ბედენური კულტურების სამარხეული მასალა განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. ამ დროის სამარხებში, როგორც წესი, მოზრდილ მიწისზედა ან ორმოში არსებულ, დასაკრძალავ დარბაზზე მოზვინულია ქვისა და მიწის დიდი ბორცვი, რომელიც სიმაღლით ზოგჯერ 20 მეტრს აღწევს, მისი დიამეტრი კი 200-250 მეტრამდეა. არის მათი თანადროული, შედარებით მცირე ზომის გორასამარხებიც, რომელთა კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, დიდი გორასამარხების იდენტურია. სამარხის ყრილის ქვეშ გამართულია ხის დიდი მორებით ნაგები, მიწისზედა, ჯარგვალური, დასაკრძალავი დარბაზი (ხშირად 10×10 მ), რომლის იატაკი და გადახურვა ხის მორების რამდენიმე ფენისგან შედგება. იატაკზე, ზოგჯერ, გეომეტრიული სახეებით, სხვადასხვა ფერად შეფერადებული ტყავია დაფენილი, გადახურვას კი სქლად ნაქსოვი ჭილოფი ფარავს. ზოგჯერ დასაკრძალავი დარბაზი მოზრდილ ორმოშია მოწყობილი, რომლის კედლები ვერტიკალურად მდგარი, მსხვილი მორებით არის გამოყვანილი. ხშირია დასაკრძალავი დარბაზის გადახურვაზე ადამიანის მსხვერპლშეწირვა, უმეტესწილად, სრულიად უინვენტაროდ.

ამ დროის განათხარი სამარხების უმეტესობა კახეთში ძველადვეა გაძარცული, მაგრამ მაინც მოხერხდა დაკრძალვის წეს-ჩვეულების სურათის აღდგენა.

მარტყოფული და ბედენური კულტურის დასაკრძალავი დარბაზების ცენტრალურ ნაწილში ხის მოზრდილი, ოთხთვალა ურემი იდგმებოდა, რომელზეც ჭილოფში გახვეული, დამწვარი მიცვალებულის ფერფლი და მისი პირადი ნივთები (განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, სამკაული და სხვ.) ეწყობოდა.

როგორც მარტყოფული პერიოდის, ისე ალაზან-ბედენური დროის სამარხებში, ადამიანის მსხვერპლშეწირვა დასაკრძალავი დარბაზის კუთხეებშიც დასტურდება. ჩონჩხები გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილი, უინვენტაროდ არის წარმოდგენილი. ამ დროის დიდ სამარხებში მიცვალებულისთვის ჩატანებული ინვენტარი განსაკუთრებით მდიდრულია – ეს არის შავად გამომწვარი, კარგად ნაპრიალები, რთული, გეომეტრიული სახეებით შემკული, სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს მრავალნაირი იარაღი – ცულები, შუბისპირები, სატევრები, ისრისპირები, რომელთა ნაწილი ვერცხლით არის ინკრუსტირებული; ოქროთი ინკრუსტირებული ხის მშვილდები; გავარსით შემკული, მოსართავი ნაკეთობები; მაღალი ტექნიკით




წნორი. ლომის ქანდაკება. ოქრო. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დამზადებული ობსიდიანის ისრისპირები და სხვ.

შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახ.) კახეთი თრიალეთური კულტურის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. ამ დროის

სამარხეული ძეგლები კახეთის ყველა კუთხეშია აღმოჩენილი. ეს ძირითადად ხის მორებით გადახურული, ორმოიანი გორა-სამარხებია სხვადასხვა ზომის მიწაყრილით და აღმოსავლეთის მხრიდან დრომოსის იმიტაციით. მათ შორის გვხვდება როგორც მდიდარი, ისე შედარებით ღარიბული ინვენტარის შემცველი სამარხები. მდიდრულ სამარხებში მიცვალებული ხშირად ხის, ოთხბორბლიან ურემზეა დასვენებული (მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით), ღარიბულ სამარხებში კი მიცვალებული დასვენებულია დასაკრძალავი ორმოს ფსკერზე. იშვიათად – ხის სარეცელზე. სამარხებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მიცვალებულებს ასევე დიდი რაოდენობით ატანდნენ საგზალს სხვადასხვა ზომის, შავპრიალა, თიხის ჭურჭლით. ძალიან იშვიათია წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. სამარხებში მიცვალებულებს ატანდნენ აგრეთვე ბრინჯაოს მახვილებს, ბრინჯაოს ჭურჭელს, სხვადასხვა სახის ქვის მძივებს, კაჟისა და ობსიდიანის ისრის-პირებს, ვერცხლისა და ოქროს მრავალნაირ სამკაულს და სხვა. ამ დროის სამარხებში მიცვალებულის კრემაცია არ დადასტურებულა.



ზემო ბოდბე, სამარხეული კომპლექსის ინვენტარი. შუა და გვიანდელ ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდი

კახეთის აღმოჩენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქ პირველად გამოვლინდა თრიალეთური სამოსახლოები, რამაც ამ კულტურის გააზრების სრულიად ახალი მიმართულებები წარმოაჩინა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. თავწყაროსთან ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ დაიწყო არქეოლოგიური ძეგლის „ტახტიფერდას“ შესწავლა. იგი ივრისა და ალაზნის აუზების დამაკავშირებელი გზების გადაკვეთაზე მდებარეობს და ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ობიექტია. მისი ცენტრალური, შემაღლებული ადგილი და ჩრდილო ფერდი დიდი სამლოცველოა. ქვედა ფენა შუა ბრინჯაოს ხანისაა. იგი ხის კონსტრუქციების გალავნით არის დაცული. ზედა ფენა კი ძვ. წ. II ათასწლეულის ტაძარია. იგი შემოსაზღვრულია სათავდაცვო კედლით (სიგანე 5 მ), რომელსაც ორი, ოთხკუთხა კოშკით დაცული კარიბჭე დასავლეთიდან აქვს. მისი საძირკველი ქვის დიდი ლოდებით არის ნაგები. ზედა ნაწილი კი ხის მორების ბადურ წყობას წარმოადგენს, რომელთა შორის ღიობები წვრილი ქვა-ღორღით არის შევსებული. არსებითია, რომ ივრის ზეგანსა და გარეჯის მრავალმთაში ამ დროის ყველა დასახლება მსგავსი კონსტრუქციის გალავნებითაა დაცული. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს საფორტიფიკაციო ნაგებობები გეგმარებით, მასშტაბურობით და სამშენებლო ტექნიკით წინა აზიის თანადროული ცივილიზაციების შესაბამისი ძეგლების იდენტურია.



კაჭრეთი. სადუდას ველის გორასამარხი. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურულს, ჩვენში მკვიდრდება საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის წინააზიური ტრადიციები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურებისთვის დამახასიათებელი ხდება.

კახეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად კავკასიოლოგიურ მეცნიერებაში ერთმანეთს გენეტიკურად დაუკავშირდა ორი დიდი ეპოქა – შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანა. ეს მიღწეულ იქნა მათ შორის დამატებითი განვითარების, სამი შუალედური რგოლის გამოყოფის შედეგად, რის საფუძველზეც შემუშავდა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II ათასწლეულის კულტურების თანამიმდევრობის სრულიად ახალი, ქრონოლოგიური სქემა.

კახეთში აღმოჩენილია ამ დროის როგორც ნამოსახლარების, ისე სამლოცველოებისა და სამაროვნების მთელი სერია.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე გორასამარხთა კონსტრუქციები მხოლოდ მდიდრულ სამარხებს ახასიათებს. მასობრივად კი ამ პერიოდიდან მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, მათ შორის კახეთშიც, ორმოსამარხებია გავრცელებული. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოკიდებული, მთლიანად გვიანდელი ბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანაში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურისთვის, მათ შორის კახეთშიც, სამარხები მხოლოდ ინჰუმაციურია და ინდივიდუალური. ძალიან იშვიათია წყვილადი დაკრძალვა. როგორც წესი, კიდურებმოხრილი მიცვალებულები დასვენებული არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, სამარხი ორმოს ფსკერზე, ი შ ვ ი ა თ ა დ – ხის სარეცელზე.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის სამარხეული მასალა წარმოდგენილია, ძირითადად, შავპრიალა თიხის ჭურჭლით, რომელიც, როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისე გარეგნული სახით, აგრძელებს შუა ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ ტრადიციებს, თუმცა, ამ დროს ჩნდება შემკობის თავისებური წესიც, კერძოდ, გამოწვის შემდეგ შავზედაპირიანი



კაჭრეთი. სადუდას ველის გორასამარხი. დოლურები. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი


თიხის ჭურჭლის თეთრი ან წითელი საღებავით შემკობა. ამ დროიდან შედარებით ხშირია სამარხში უხეშზედაპირიანი, თიხის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია, რომელიც პირველად შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს იჩენს თავს. მათი კეცი, უმეტესწილად, კვლავ წმინდაა და ორფენოვნად გამომწვარი, ზედაპირი დაღარული აქვს კონცენტრული ხაზებით, რაც სწრაფადმბრუნავი, სამეთუნეო ჩარხის კვალს წარმოადგენს. ეს კი სამეთუნეო წარმოებაში უდიდესი წინსვლის ნიშანია. სწორედ ამგვარად შემკული ჭურჭელია გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელი რკინის ხანისთვის ძირითადი, დამახასიათებელი ნაწარმი. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, ჯერ კიდევ ინარჩუნებს წინააზიური პროტოტიპების სახეს, რომლებიც კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის IV საფეხურზე ჩნდება. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე კი მათ საფუძველზე უკვე ტიპური კავკასიური, საბრძოლო იარაღის ფორმები ყალიბდება. მსგავსი სურათი გვაქვს ლითონის სამკაულის მიხედვითაც.

კახეთში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მრავალი ძეგლია (ნამოსახლარი, სამლოცველო, სამარხეული კომპლექსი) შესწავლილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I საფეხურის ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის, გრანდიოზული სამლოცველოები, რომლებიც სამოსახლოებს გარეთ, განცალკევებით არსებობდა და რამდენიმე დასახლების სალოცავ ცენტრს წარმოადგენდა, რაც ამ დროის საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I და II საფეხურის ნამოსახლარები კახეთში საგანგებოდ არ არის შესწავლილი, ვაისწყლისა და უდაბნოს ნამოსახლარებზე ჩატარებული, მცი-

რე სამუშაოებით სრულიად აშკარად გამოიკვეთა ერთი არსებითი ცვლილება ნამოსახლართა მშენებლობის ტექნიკაში. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მთელი ამ ხნის განმავლობაში გენეტიკურად იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული.

იმავე ინფორმაციას გვაწვდის ივრის ხეობაში არსებული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფია, თუმცა, აქ იგი ალაზნის ველისგან რამდენადმე განსხვავებულია. კერძოდ, ივრის აუზში შუა ბრინჯაოს ხანის და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის ნამოსახლარები, ჩვეულებრივ, დაბლობ ადგილებშია განლაგებული, უფრო მეტად მდინარეების თუ ღელეების პირას, მდინარეულ ტერასაზე. მაგრამ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად, ისიც ცხადი გახდა, რომ დაბლობში განლაგებული ნამოსახლარე-




კაჭრეთი. სადუღას ველის გორასამარხი. შტანდარტის ფრაგმენტი. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



დიდი შირაქის ველი. ნაზარლების სამლოცველო. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრეული საფეხურიდან როგორც საცხოვრებელი, ისე სათავდაცვო ნაგებობების საძირკველი ქვით არის ნაგები. ზედა კი – ხის მორების ბადური წყობით. მშენებლობის ეს ტექნიკა და ხშირად გეგმარებაც, შესაძლოა, მცირეაზიური ცივილიზაციების ზეგავლენის შედეგად, სწორედ ამ დროიდან ჩნდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. შემდგომ კი ამ მხარეში, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, საკმაოდ გავრცელებული ქვის არქიტექტურა მისი წინამორბედი პერიოდის,გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტრადიციაზე უნდა იყოს დაფუძნებული. როგორც კახეთის ძეგლების შესწავლისას დადგინდა,ალაზნის ველზე, მის მარჯვენა ნაპირას,ბრინჯაოს ხანის ქვედა საფეხურის ნამოსახლარის კულტურული ფენები ერთიმეორეზეა დაფენილი. აქ განსაკუთრებულად ხელსაყრელი, სამეურნეო პირობები უნდა ყოფილიყო,რამაც განსაზღვრა ადამიანის ცხოვრება ერთი და იმავე ადგილზე თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში. ალაზნის ველზე ბრინჯაოს ხანაში არსებული კულტურები ბიდან, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში, თითქმის ქვედანაგან, მოსახლეობა იქნე, მახლობლად მდებარე მთის თხემზე ადის საცხოვრებლად, სადაც უფრო მოსახერხებელია მძლავრი სა-



დიდი შირაქის ველი. ნაზარლების სამაროვანი. სარდიონის, ნიჟარის და პასტის მძივები. ძვ. წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფორტიფიკაციო ნაგებობების გამართვა. ეს, გარდა შიდა განვითარების შედეგად გამოწვეული აუცილებლობისა, გარე საშიშროებით უნდა ყოფილიყო ნახდება მთლიანად გვიანდელი ბრინჯაო-რკინის ხანაში.

არსებული მონაცემების მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის



შილდა. შედგენილტარიანი, კახური ტიპის სატევარი. ბრინჯაო. ძვ. წ. XIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

კარნახევი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კახეთის ძეგლებზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე.

ივრის ხეობაშიც შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფია აქ არსებულ კულტურათა გენეტიკურ კავშირზე მიგვითითებს და ძვ. წ. II-I ათასწლეულში კულტურის თანამიმდევრულ, უწყვეტ განვითარებას გვიდასტურებს.

იმავე დასკვნის საფუძველს გვაძლევს კახეთის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე პირველად დადასტურებული საფორტიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია (ხის მორების ბადისებრი წყობა, რომელშიც მორებს შორის არეები რიყის წვრილი ქვითა და ღორღით არის შევსებული). გამაგრების ამ სისტემით მშენებლობა იორ-ალაზნის აუზის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებისთვის ტრადიციული

II ნახევარში, გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელ რკინის ხანაში,უმაღლეს განვითარებას აღწევს ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება, რაც აშკარად დასტურდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ინვენტარის მიხედვით.


ამ დროს უმაღლეს განვითარებას აღწევს აგრეთვე სამეთუნეო წარმოება და ხელოსნობის სხვა დარგები. საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საქმიანობა – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა კარგად არის ორგანიზებული. ამ დროიდან მიწათმოქმედება ხელოვნურ რწყვაზეა დაფუძნებული, მესაქონლეობა კი კვლავ სამომთაბარო ხასიათს ატარებს.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში კავკასიის ამ რეგიონში განვითარების ზოგად სურათს კარგად შეეფარდება დაგეგმარებული და მძლავრი, სათავდაცვო სისტემით გამაგრებული, ქალაქური ტიპის დასახლებების აღმოჩენა დავითგარეჯის უდაბნოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაომარი გორის სახელწოდებითაა ცნობილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზილჩის, დიდი და პატარა შირაქის ველების ირგვლივ განლაგებულ დასახლებებს შორის, დიდნაურად წოდებულ ადგილში. იგი, სავარაუდოდ, ამ ველების ირგვლივ, მთა-გორებზე განლაგებულ ორმოცდაათამდე დასახლების ეკონომიკურ



მელაანი. ფეხურების სამაროვანი. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს. გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავი

და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა და ისევე როგორც ნაომარი გორის ნაქალაქარი, სამხრეთ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში სა-



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავი



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. ფრაგმენტი. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი

ხელმწიფოებრივი სტრუქტურის მატარებელ უძველეს, ადრეკლასობრივ, მცირე წარმონაქმნს უნდა წარმოადგენდეს. ამ საზოგადოებას სოციალური თვალსაზრისითაც, მაღალი განვითარებისათვის მიუღწევია. ამის დასტურია ნამოსახლარებიდან გამოყოფილი სამლოცველოებიც (მელაანი, მელიღელე, არაშენდა, შილდა, ბაკურციხე) და იქ აღმოჩენილი უმდიდრესი ინვენტარი: საბრძოლო იარაღი, სამკაული, კერამიკული ნაწარმი.

კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის პლატოზე და მის მიმდებარე ალაზნის ველის დიდ მონაკვეთზე არსებული ძვ.წ. IX-VIII საუკუნეების მცირე ქალაქური დასახლებების არსებობა რეგულარული გეგმარებით, თიხით ნაშენი საცხოვრებელი უბნებით, მოკირწყლული ქუჩებით და საკანალიზაციო ქსელით, ამ დროს აქ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. როგორც ჩანს, ყველა ეს დასახლება განადგურებულია ერთდროულად ძვ. წ. VII საუკუნეში, ჩრდილოეთიდან მომხდური, სკვითური ტომების მიერ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შირაქის პლატოზე აღმოჩენილია „დიდი რუის“ სახელწოდებით ცნობილი, სარწყავი სისტემის არსებობის კვალი. პალინოლოგიურმა კვლევამ მოგვცა იმის თქმის საფუძველი, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისს საუკუნეებში შირაქის პლატოს სამხრეთ ნაწილში მდებარე მთები უღრანი ტყის მასივებით უნდა ყოფილიყო დაფარული. სარწყავი არხი – „დიდი რუიც“ სწორედ ამ მთებიდან იღებდა სათავეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარე, „გოხების“ სახელწოდებით ცნობილ, ერთ-ერთ მაღალ მთის თხემზე აღმოჩნდა სამლოცველო, სადაც სხვა ნივთებთან ერთად, შეწირული იყო საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელი, რომელიც შირაქის ამ მცირე ქალაქების თანადროულია. საბრძოლო ეტლის არსებობა კი თავისთავად გულისხმობს ამ დროის საზოგადოებაში შესაბამისი რეგულარული, საჯარისო შენაერთების არსებობასაც.

ამასთან, შირაქის უკლებლივ ყველა ნამოსახლარზე განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა კამეჩის თავის გამოსახულების მქონე თიხის ნიღბები. გამორიცხული არ არის, რომ იგი აქ წმინდა ცხოველად ითვლებოდა, რაც თავისთავად ასოცირდება ამ მხარის უძველეს სახელწოდებასთან – კამბეჩოვანთან. კამბეჩოვანი კი შემდგომი დროის იგივე ქიზიყია. კახეთში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებაც მოგვცა. კერძოდ, გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების საზღვრებით, დავაკავშიროთ კონკრეტულ, ქართულ ეთნიკურ ერთეულებთან. ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, რადგან მასზე დაყრდნობით შეიძლება სარწმუნოდ ვისაუბროთ არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ კუთვნილებაზე.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, უმთავრესად კი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის შესწავლის შედეგად, გამოიყო სამი თავისებური ჯგუფი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან და თითოეული მათგანი მკაცრად შემოფარგლულ ტერიტორიაზეა გავრცელებული. ერთი ჯგუფი, მასალის გავრცელების საზღვრების შესაბამისად, შემოიფარგლა მდ. ალაზნისა და ივრის ზემო დინებით, ვიდრე მდ. არაგვამდე; მეორე ჯგუფის გავრცელების საზღვრები მთლიანად მოიცავს მდ. ალაზნის შუა და ქვემო დინებას და ტერიტორიას მის სამხრეთით, მდ. ივრამდე; მასალების

მესამე ჯგუფი შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და თბილისის და რუსთავის მიდამოებში ფარავს ფართობს მდ. მტკვრის ორივე მხარეს ჩრდილოეთით – მდ. ივრამდე, სამხრეთით კი – მდ. ალგეთამდე.

ქართულ ისტოგრაფიაში რეალობად არის მიჩნეული ლეონტი მროველის თხზულებაში გადმოცემული საქართველოს ისტორიის საწყისი, სადაც იგი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამბებს უნდა გადმოგვცემდეს. სხვა მონაცემებთან ერთად, აქ ზუსტად არის შემოფარგლული თავდაპირველად თარგამოსიანთა, შემდეგ კი მისი შთამომავლების – ქართლოსიანთა კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები. მნიშვნელოვანია ის, რომ თარგამოსის ძის, ჰეროსისა, და ქართლოსის ძეთა – კახოსისა და კუხოსის კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები ზუსტად დაემთხვა იორ-ალაზნის აუზის, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების სამი ჯგუფის გავრცელების საზღვრებს, რაც, არ შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მითუმეტეს, რომ წერილობით წყაროში აღწერილი ტომთა დასახლების საზღვრები ქრონოლოგიურად ემთხვევა არქეოლოგიური მასალების ამ სამი თავისებური ჯგუფის თარიღს.

დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ამ უძველესი ქართველური ტომების – კახების, კუხების და ჰერების ეთნიკური ისტორია ძვ. წ. II ათასწლეულიდან უნდა დავიწყოთ.

კახეთში აღმოჩენილია ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანების მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებიც. ალაზნის ველზე, სოფ. ტიბაანის მახლობლად, ქუმბათად წოდებულ ადგილზე გაითხარა ბრწყინვალე ნასახლარის ნაშთები აქემენიანთა იმპერიის დედაქალაქის – პერსეპოლისისთვის დამახასიათებელი, ტიპური სვეტის ქვის ძირებით, რომლებიც ლოტოსის ფოთლის გამოსახულებებითაა შემკული.

თუ სვეტების ძირების დიამეტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, სვეტების სიმაღლე რვა მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რაც ნაგებობის გრანდიოზულობაზე მიგვანიშნებს. ამ დროს კავკასიის ამ მხარის აქემენიდურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის მანიშნებელია სოფ. პატარძეულში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, კერძოდ, ძვ. წ. VI ს-ის ომფალოსიანი ბრინჯაოს თასები, ვერცხლის ფიალა. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია შესწავლილი შირაქშიც, სოფ. ქვემო ქედში. აქ გაითხარა სამოსახლოსგან გამოყოფილი ლითონდამ-



დუდოფლისწყარო. გოხების მთის სამლოცველო. ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მუშავებელი, დიდი სახელოსნო, რომელიც აქემენიდური იმპერიის თანადროულია, მისი გავლენის მრავალ ნიშანს ატარებს და სრულიად გარკვევით მიგვითითებს ამ მხარეში არსებული საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე.

შედარებით უკეთ არის ცნობილი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით დათარიღებული, ე. წ. იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები, რომელიც ამ მხარის მხოლოდ უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთშია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოპოვებული. მეტად მნიშვნელოვანია,რომ ამ მასალებს არაფერი საერთო არა აქვს მის წინამორბედ,ადგილობრივ კულტურასთან და,რაც მთავარია, იგი კახეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 100-150 წლის არსებობის შემდეგ უკვალოდ ქრება ისე, რომ მისი არც ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება შემდგომი დროის ადგილობრივ მასალებში აღარ შეინიშნება. ეს კი იმის დასტურია, რომ კახეთის ტერიტორიაზე იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები ეკუთვნის მომხვდურს,რომელსაც ეს ტერიტორია დროებით ჰქონდა დაპყრობილი. უფრო დაწვრილებით საუბარი კახეთის ამ ხანის წარსულზე ჭირს, რადგან იგი ჯერჯერობით საგანგებოდ არ არის შესწავლილი.

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ სოფ. ქვემო ქედში აღმოჩენილი ერთი ორმოსამარხი, რომელშიც იალოილუთაფას კულტურის კუთვნილ, კერამიკულ მასალასთან ერთად, რომაელი ლეგიონერის ლითონის მუზარადიც აღმოჩნდა. ცნობილია, რომ რომაელმა ლეგიონერებმა აშკარა კვალი დატოვეს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ახალი აღმოჩენის მიხედვით კი, უკვე

საგარაუდოა, რომ მათი მოძრაობის მარშრუტში შირაქის ველის ჩრდილო განაპირა ზოლიც შედიოდა, მითუმეტეს, რომ აქ საგზაო მაგისტრალი უკვე ბრინჯაოს ხანაში არსებობდა.

საყურადღებოა, რომ სოფ. ჭერემსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. კოჯორში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნებით თარიღდება, მთლიანად იდენტურია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში მოპოვებული მასალებისა, რაც შესაძლოა ამ დროს მათ ერთ პოლიტიკურ სისტემაში არსებობაზე მიუთითებდეს.

ისტორიულ ეპოქაში კახეთი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს – ქართლის (დასავლური წყაროებით იბერია) აღმოსავლეთი პროვინცია იყო. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქს მცხეთა წარმოადგენდა. ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა ქართლის სამეფო რვა საერისთაოდ დაყო (კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და არგვეთის). კახეთის ერისთავს „მისცა მიწაწყალი არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი". ჯუანშერს (XI ს.) ვახტანგ გორგასლის დროინდელ წარჩინებულთა შორის დასახელებული ჰყავს „დემეტრე ერისთავი კახეთისა და კუხეთისა" და „გრიგოლ, ერისთავი ჰერეთისა".

კახეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა, საერთოდ, ქართლის გაქრისტიანების ისტორია. სწორედ აქ აღესრულა წმ. ნინო და იქვე, დაბა ბოდეში (შემდეგდროინდელი ბოდბე) მიაბარეს მიწას, სადაც დღემდეა შემონახული მისი საფლავი.

ბარის მოსახლეობისგან განსხვავებით, კახეთის მთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვედრია.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. დაიწყო ეკლესიათა მშენებლობა, რაც ახალი იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა.

IV საუკუნეში ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანს, კახეთი და კუხეთი საუფლიწულოდ თავისი ვაჟის რევისთვის მიუცია – „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე". უჯარმის დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია მეფე ასფაგურს მიაწერს (III ს.). უჯარმა მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა და ქართლის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მეფე ვახტანგ გორგასალმა უჯარმაში მნიშვნელოვანი მშენებლობები ჩაატარა და იგი სამეფო რეზიდენციად აქცია. უჯარმა ეკონომიკური თვალსაზრისით მთისა და ბარის, ხოლო პოლიტიკურად სამი მეზობელი მხარის ინტერესებს აერთიანებდა. იგი კახეთ-კუხეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ცენტრსაც წარმოადგენდა. დიდი, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ციხე-ქალაქ ნეკრესსაც, რომელიც ერთიანი ქართლის სამეფოს არსებობის საწყის პერიოდში ფარნავაზიანთა დინასტიის მეოთხე მეფემ ფარნაჯომმა ააშენა. ახ. წ. IV საუკუნეში ნეკრესში ერთ-ერთი უძველესი, ქრისტიანული ეკლესია აიგო. კახეთის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები ნეკრესი, ჭერემი და ხორნაბუჯი ვახტანგ გორგასალმა თავის უფროს ძეს დაჩის უბოძა, თავად კი „დაჯდა უჯარმოს". უჯარმის ციხეშივე გარდაიცვალა სპარსელებთან ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი მეფე.

კახეთი „ტყე იყო შეუვალი მტერისა მიერ", ამიტომ სპარსელთა შემოსევის საშიშროების დროს, ნაკლებად გამაგრებული სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა კავკასიის მთებსა და კახეთში იხიზნებოდა. განსაკუთრებით კლდით შემოზღუდული ლოპოტის ხევი ყოფილა კარგად დაცული და მოსახლეობით საცხე. იმდროინდელი კახეთის მტრისგან დაცულობის გამო, ვახტანგის ძის – დაჩის მეფობის დასაწყისში, როდესაც მან იწყო „შენებად ქართლისა", „მოიხრებულ იქმნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი, თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა".



ნეკრესის მონასტერი. IV-XVIII სს.



უჯარმის ციხე. V ს-ის II ნახევარი

VI საუკუნეში კახეთში მოღვაწეობდა ასურელი მამების დიდი ნაწილი: დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი,ზენონ იყალთოელი და სტეფანე ხირსელი. ასურელმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას. მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და კულტურის მძლავრ კერებად იქცა. დავით გარეჯელის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ისეთი უნიკალური სამონასტრო კომპლექსის დაარსება, როგორიც დავით-გარეჯის მონასტრებია.

შუა საუკუნეებში აქ დიდი მშენებლობა წარმოებდა, იხატებოდა ფრესკები, გაჩაღებული იყო ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართლის სამეფოზე თავიანთი გავლენის გავრცელებას სპარსეთისა და რომის იმპერიები ცდილობდნენ. მათ შორის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა,მაგრამ უკვე VI ს-ის დასაწყისში ირანმა იმძლავრა და 523 წელს, გურგენ მეფის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, ქართლში მეფობა გააუქმა. ამავე საუკუნის ბოლოს ქართლში კვლავ აღდგა ქართული ხელისუფლება, რომლის მეთაური ერისმთავრად იწოდებოდა. კახეთი კვლავ ქართლის საერისთავოს წარმოადგენდა.

VI ს., ეროვნული კულტურის განვითარების პროცესის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ხანაა: პოლიტიკური ძალა მტრის ხელშია, მაგრამ კულტურა განიცდის აღმავლობას. უცხო კულტურა ვერა თუ ვერ ახშობს ადგილობრივს, იგი კვალსაც ვერ ტოვებს ამ კულტურაში. ეს პირველ რიგში



ხორნაბუჯი. ციხე-ქალაქი. V-XVII სს.

ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლებით დასტურდება.

კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი ადრინდელ შუა საუკუნეებში დაიწყო. ქართლის საერისმთავროს იგი VIII ს-ის 80-იან წლებში გამოეყო. IX ს-ის დასაწყისისთვის კახეთის სამთავროს საზღვარი ქართლის საერისმთავროსთან მდ. ქსანზე გადიოდა.

VII-IX სს-ში,საქართველოში არაბების და ბიზანტიელების ბატონობის მიუხედავად, ქვეყანა, გარკვეულწილად, მაინც ერთიანი იყო, რომლის სათავეში „ქართლის მეფენი“, ანუ ერისმთავრები იდგნენ. VIII ს-ის 80-იან წლებში, როდესაც ერისმთავარი არჩილი გარდაიცვალა (786 წ.), ერთიანობა დაირღვა და მისმა შვილებმა – იოანემ და ჯუანშერმა ქვეყანა გაიყვეს. იოანეს ეგრისი შეხვდა, ხოლო ჯუანშერს – ქართლ-კახეთი. ჯუანშერი მალევე გარდაიცვალა და 787 წლიდან მთავარმა გრიგოლმა კახეთი ცალკე სამთავროდ გამოაცხადა. მისი ცენტრი გახდა უჯარმა. დროთა განმავლობაში, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ფონზე, კახეთის სამთავროს ცენტრი ბოჭორმა, ხოლო შემდეგ თიანეთი გახდა, რომელიც კახეთის

მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო კარგად განვითარებული მესაქონლეობით. ზოგადად კახეთ-კუხეთ-გარდაბანი ადრინდელ შუა საუკუნეებში ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული იყო მთის ალპური მეურნეობით, ბა-




მანავის ციხე. X-XI სს.

რის (ივრისა და ალაზნის აუზები) ინტენსიური მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ადმინისტრაციულად იმ დროს კახეთი ძირითადად სამ საერისთავოდ იყოფოდა. საერისთავოს სათავეში ქორეპისკოპოსი იდგა, რომელსაც ერისთავთა წრიდან ირჩევდნენ. თავიდან ქორეპისკოპოსი სასულიერო ხელისუფალი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, კახეთ-კუხეთ-გარდაბნის სამთავროდ ჩამოყალიბების პარალელურად, რაშიც, სხვა ძალებთან ერთად, წანარებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ქორეპისკოპოსმა საერო ხელისუფლის თითქმის ყველა ატრიბუტი შეიძინა იმდენად, რომ უკვე IX ს-იდან მას ბიზანტიის იმპერატორები „წანართა არხონტს“ (მთავარს) უწოდებდნენ.

VII-VIII სს. მიჯნაზე კახეთის სამთავრო, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად აქტიურად იბრძვის არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ფაქტობრივად მთის მოსახლეობა – წანარები უძღვებოდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. არაბებს დიდი ძალებით მთაში შესვლა და ბრძოლა არ შეეძლოთ, ამიტომ მცირე მასშტაბის ტაქტიკურ ბრძოლებს მიმართავდნენ და ხშირად მარცხდებოდნენ. არაბობის შედეგად, ბარის მოსახლეობის და მეურნეობის გაჩანაგების ფონზე, საქართველოს მთიანეთი უფრო ხალხმრავალი და ძლიერი იყო. მიუხედავად ამისა, არაბებმა მაინც შეძლეს VIII ს-ის შუა წლებში დარიალის აღება, აქ გარნიზონის ჩაყენება და წანართა დახარკვა.

VIII-X სს-ში კახეთის სამთავრო აქტიურად იბრძვის ქართულ სამთავროებს შორის პირველობისთვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჰერეთის სამთავრო იყო. კახთა ქორეპისკოპოსების გარდა, ჰერეთისათვის ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ეგრისაფხაზეთის, ისე გაერთიანებული საქართველოს მეფეები. X ს-ის II ნახევარში ჰერეთის ეკლესია ქართულ ეკლესიას შეუერთდა. კახეთის მთავრები ხშირ შემთხვევაში აფხაზთა მეფის პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ. კახეთის ქორეპისკოპოსები, ზოგჯერ სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების დასუსტების შემთხვევაში, უარს არ ამბობდნენ მათი ტერიტორიების (აფხაზეთის, ქართლის, ჰერეთის) შემოერთებაზე, ისევე როგორც ეს ერთეულები ამავე მოტივით არაერთგზის დასხმიან თავს კახეთის სამთავროს. ბრძოლები ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.



კახეთის მთავრები ვერც საქართველოს გაერთიანების იდეას ურიგდებოდნენ. ისინი აქტიურად იბრძოდნენ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის წინააღმდეგ. ბაგრატმა შეძლო ერთიანი საქართველოსათვის კახეთისა და ჰერეთის შემოერთება. ბაგრატ III-ის მემკვიდრის გიორგი I-ის დროს (1014-1027 წწ.), რომელიც ბიზანტიასთან მძიმე ბრძოლაში იყო ჩაბმული, კვირიკე III-მ (1010-1037 წწ.) კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობა აღადგინა. მან კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის ტიტული მიიღო და კახეთის სამთავრო გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოდ აქცია. კვირიკე ამავე დროს ბიზანტიური მაგისტროსის ტიტულსაც ატარებდა. ჰერეთის შემომტკიცების შემდეგ მან სამთავროს დედაქალაქი თელავში გადაიტანა, რაც სტრატეგიულად და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ბიზანტიის, ასევე განძისა და თბილისის ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში კახეთის სამეფო საქართველოს მეფის მოკავშირეა, მაგრამ, როდესაც ბაგრატ IV-მ კახეთის შემოსაერთებლად უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, კახეთის მეფე ბაგრატის მოწინააღმდეგე ლიპარიტის მოკავშირე გახდა. კახელი დიდებულების დახმარებით ბაგრატ IV-მ მოახერხა კვირიკეს შევიწროება და სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილის შემომტკიცება.

თურქ-სელჩუკების გამოჩენამ ძალთა თანაფარდობა შეცვალა. კახეთის მეფემ აღსართანმა სულთანს ერთგულება აღუთქვა და ამ გზით დაკარგული ტერიტორიები და დამოუკიდებლობა დაიბრუნა. კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემომტკიცება საბოლოოდ დავით აღმაშენებლის დროს მოხერხდა. თურქ-სელჩუკთა გავლენის შესუსტებისა და ქართული სახელმწიფოს გაძლიერების პარალელურად, 1103 წელს, დავით აღმაშენებელმა კახეთის მეფე კვირიკე IV-ს ზედაზნის ციხე წაართვა. მალე კვირიკე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმისწული აღსართან II ავიდა. კახეთის დიდებულებმა იგი შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. კახეთის სამეფო გაუქმდა, მაგრამ კახეთისთვის ბრძოლა გრძელდებოდა. 1104 წელს დავითმა ერწუხთან სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკების და მათი მოკავშირეების დიდი ლაშქარი, ხოლო 1117 წელს ჰერეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ციხე გიშის და სხვა ეკლესია-მონასტრებს გადასცეს მფლობელობაში. ამით სამეფო კარი ცდილობდა მტკიცე ერთგულებაში ჰყოლოდა ეს მხარე.

თურქ-სელჩუკთა მიერ განადგურებული და შემდეგ კვლავ აღდგენილი კახეთის ბარის მეურნეობა, მონღოლთა შემოსევების შედეგად, ისევ



აღებით, საბოლოოდ დასრულდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

საქართველოს ერთიანობის ხანაში, XII-XV სს-ში, კახეთი და ჰერეთი საერისთავოებს წარმოადგენდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული სრულიად საქართველოს ცხოვრებაში. საინტერესოა, რომ კახეთის შემომტკიცების შემდეგ ცენტრალურმა სამეფო ხელისუფლებამ, თავდაპირველად დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კახეთის სოფლებისა და ყმა-მამულის უდიდესი ნაწილი კათალიკოსს, სვეტიცხოველს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მონღოლმა მომთაბარეებმა საზამთრო სადგომებად დაიკავეს ივრისპირეთი და მტკვრის ნაპირებზე რუსთავის მიდამოები. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კახეთის ხშირ ტყეებს შეაფარა თავი. მონღოლებმა საქართველო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – დუმნებად დაყვეს. მათ სათავეში მდგომ დუმანნოინებს ევალებოდათ ამ ერთეულებიდან ჯარის გამოყვანა და ხარკის აკრეფა. ისტორიული კახეთი (კახეთ-ჰერეთ-კამბეჩოვანი)

ერთ დუმანს შეადგენდა, რომელსაც სათავეში მონღოლებმა ფრიად წარჩინებული ფეოდალი ეგარსლან ბაკურციხელი ჩაუყენეს. ეგარსლან ბაკურციხელი მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის 1246 წლის შეთქმულებაში, მაგრამ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც ტახტის მემკვიდრე არ ჩანდა, ეგარსლან ბაკურციხელმა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. ამის გამო მის წინააღმდეგ ამხედრდნენ სხვა ქართველი, პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ბაკურციხელი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს.



ლევან კახთა მეფე ტაძრის მაკეტით ხელში, დედოფალი თინათინი და უფლისწული ალექსანდრე. ნეკრესის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები

კახეთისთვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დამანგრეველი იყო საქართველოს ტერიტორიაზე ორ უზარმაზარ მონღოლურ სახელმწიფოს – ოქროს ურდოსა და ილხანთა სამეფოს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლები. ამ ბრძოლების შედეგად, კახეთის მოსახლეობა და მეურნეობა დიდად ზარალდებოდა. დამანგრეველი გამოდგა ამ ორ სახელმწიფოს შორის 1262-1263 წლებში მიმდინარე ბრძოლები, რომლის დროსაც დავით VII ულუს ილხანთა მხარეს უხდებოდა მონაწილეობა. 1265 წელს ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ ილხანის ყაენ აბაღასთან შესაბმელად გადმოიარა და მოარბია შირვანი, ჰერეთი და კახეთი, კერძოდ, იორისპირეთი.

ყაენის კარზე გამგზავრების წინ დავით ულუმ კახეთის წინამძღოლობა პანკისის ერისთავ თორღვას დაავალა. ყაენის კარზე მეფეს შეაგვიანდა. თორღვამ თავი კახეთის სრულუფლებიან მმართველად გამოაცხადა. მეფის დაბრუნების შემდეგ, თორღვა შეიპყრეს და საჯაროდ დასაჯეს.

უმძიმეს საგადასახადო სისტემასთან ერთად, მონღოლთა გაუთავებელ ლაშქრობებში საქართველოს მონაწილეობა სასტიკად აჩანაგებდა ქვეყანას.

გიორგი V ბრწყინვალის დროს, როდესაც კახეთი ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, აღდგა და განვითარდა ბარის მეურნეობა, მომრავლდა მოსახლეობა, კვლავ ამოქმედდა სარწყავი სისტემები, გაშენდა ვენახები. მაგრამ მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV ს-ის ბოლო წლებში თემურ ლენგის რვაგზისმა, დამანგრეველმა შემოსევებმა, ერთი მხრივ, გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა და მოშალა ბარის მეურნეობა, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველი დაუდო საქართველოს პოლიტიკურ დაშლას. თემურ ლენგის შემდეგ ქართულ ენაში ფართოდ გავრცელდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნასოფლარი“, „ნასახლარი“, „ნაფუძარი“ და სხვ. კახეთისთვის განსაკუთრებით მაოხრებელი და სისხლისმღვრელი იყო თემურ ლენგის 1399 წლის ლაშქრობა.

1465 წელს, სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-ის მიერ ქართლის მეფის გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ, დიდმა ფეოდალებმა კახეთის დამოუკიდებელ მთავრად ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავი – დავითი დასვეს. 1466 წელს ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართლის მეფე გიორგი VIII, ქართლში სამეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ, კახეთში გადავიდა, დაამარცხა დავითი და საფუძველი ჩაუყარა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. კახეთში გამეფების შემდეგ გიორგი VIII მოიხსენიება, როგორც გიორგი I კახეთის მეფე. ამის შემდეგ გიორგიმ კახეთში, სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, გარკვეული რეფორმები გაატარა. მან გააუქმა საერისთავოები და მათ მაგივრად ქვეყანა უფრო წვრილ ერთეულებად – სამოურავოებად დაყო. მოურავობის სახელო, კახეთის მეფეების ხელში, ადგილობრივი ფეოდალების მორჩილებაში ყოლის ეფექტური საშუალება აღმოჩნდა. სხვადასხვა მხარის მოურავობას იღებდნენ კახეთის ძლიერი, ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები. გიორგის მეფობაშივე ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო, რომელთა ფარგლებშიც, საჭიროების შემთხვევაში, ლაშქრის მობილიზება ხდებოდა. თითოეული სადროშოს სათავეში გიორგი მეფემ, ქართლისაგან განსხვავებით, სარდლებად ეპისკოპოსები დანიშნა. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით. ეს კი ხელს

უწყობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას, რამაც ხელი შეუშალა კახეთში ნახევრად დამოუკიდებელი, ძლიერი საფეოდალოების – სათავადოების ჩამოყალიბებას.

კახეთის სამეფოს (1465-1762 წწ.) საზღვარი დასავლეთით გადიოდა მდ. არაგვზე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – მდ. მტკვარზე, ჩრდილოეთით – კავკასიის მთავარ ქედზე (ნაწილობრივ ჩრდილოეთი საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა – პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახურიც კახეთის სამეფო საზღვრებში შედიოდა). XVII ს-ის დასაწყისამდე აღმოსავლეთ საზღვარი იქ იწყებოდა, სადაც იორ-ალაზანი მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით აჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის გაყოლებით კავკასიის ქედამდე გადიოდა. XVII ს-ის შემდეგ კი საზღვარმა დასავლეთით ყაფაჩაიმდე გადმოიწია.

კახეთის სამეფოში შედიოდა: ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერმის, ნეკრესის, ხარჭაშინის და სხვა საეპისკოპოსოები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა.

მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეურნეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა; მოჰყავდათ ტექნიკური მცენარეები და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება. აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი.

კახეთის სამეფოს ისტორიის პირველი პერიოდი შედარებითი სიმშვიდით და აღმშენებლობით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მარცვლეული მეურნეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება, აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი. კახეთის მეფე გიორგი I-ის დროს სამეფოს დედაქალაქი გადატანილ იქნა გრემში, რომელიც აკონტროლებდა როგორც კავკასიის მთიანეთში, ასევე სპარსეთში მიმავალი გზის ერთ-ერთ შტოს.

კახეთის მეფეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511 წწ.), რომელიც გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა. მან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, სეფიანთა ირანთან, შაქისა და შირვანის სახანოებთან და XV ს-ის მეორე ნახევარში უზუნ-ჰასანის, იაყუბ ყაენის და შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობების დროს, დიპლომატიური მოქნილობის წყალობით, მშვიდობა შეუნარჩუნა კახეთს. ალექსანდრე I-მა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის პირველმა დაამყარა ურთიერთობა რუსეთთან და 1483 და 1492 წლებში ელჩები გაგზავნა მოსკოვში. 1511 წელს ალექსანდრე I-ის შვილმა – გიორგიმ მამა მოკლა, ხოლო ძმა – დიმიტრი დააბრმავა. ამის გამო კახეთის მეფე გიორგი II, ავგიორგის სახელითაა ცნობილი. იგი ქართლის სამეფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე არ იყო და ჯერ კიდევ მამის მეფობაში, ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ, ხშირად აწყობდა ქართლში ლაშქრობებს. გა-



მეფე თეიმურაზ I და მარიამ დედოფალი. ქრისტეფორე დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

მეფეების შემდეგ მან გააგრძელა ქართლის ტერიტორიაზე თარეში. 1513 წელს ქართლში ერთ-ერთი ასეთი შეჭრის დროს იგი ბაგრატ მუხრანბატონმა დაატყვევა ძალისის ხევში. იმავე წელს იგი მუხრანის ციხეში გარდაიცვალა. ქართლის მეფემ კახეთის სამეფო შეიერთა, 1513-1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოს წარმოადგენდა. ქართლის ხელისუფლებამ კახეთის ტახტის მემკვიდრის – მცირეწლოვანი ლევანის შეპყრობა სცადა, მაგრამ ლევანი კახელმა თავადებმა გადაამალეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ქართლის საგარეო მდგომარეობა გართულდა, 1520 წელს გაამეფეს. ქართლის მეფემ დავით X-მ ორჯერ წარუმატებლად სცადა კახეთის დაბრუნება, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა ზავი დაედო ლევანთან და მდგომარეობას შეგუებოდა. ლევანმა 1574 წლამდე იმეფა და მისი მეფობაც, ალექსანდრე I-ის მსგავსად, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისათვის; გაშენდა ქალაქები და სოფლები. მან მოახერხა აქტიური სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის შენარჩუნება სპარსეთთანაც. შაქი-შირვანის შემოერთების წარუმატებლობის მიუხედავად, ლევანმა, ჩერქეზებთან კავშირის წყალობით, დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთი და აღადგინა პოლიტიკური კავშირი რუსეთთან. ივანე IV-სთან შეთანხმებით, რუს მეთოფეთა რაზმი ქვეყნის სანაპირო სიმაგრეებში ჩააყენა, მაგრამ რუსეთმა ანგარიში გაუწია ირანისა და ოსმალეთის პროტესტს და სამხედრო ნაწილები 1572 წელს უკანვე გაიწვია.

ლევანის შემდეგ ტახტი მისმა შვილმა ალექსანდრე II-მ (1574-1605 წწ.) დაიკავა. მან მამის მოქნილი პოლიტიკა გააგრძელა, რის შედეგადაც კახეთი ბევრჯერ გადაურჩა საფრთხეს და აღმშენებლობის გზას დაადგა –

მომრავლდა მოსახლეობა, გააქტიურდა საგარეო ვაჭრობა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით ალექსანდრეს დროს: „ესრეთ შენი იყო კახეთი, ვითარ ძნიად სადმე იპოებოდა სანადირონი“. მაგრამ კავკასიაში, ოსმალეთის მომძლავრებასთან ერთად, გაძლიერდა საშამხლოს მთიელთა თავდასხმები კახეთზე და ჩაიკეტა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზები ირანისა და ასტრახანისკენ. ირანელი და ოსმალო დამპყრობლებისთ-



არჩილ II

ვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთ საშუალებად ალექსანდრე II-ც რუსეთთან ურთიერთობას ხედავდა და 1587 წელს კახეთის მეფემ ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“, რომლითაც რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა აღიარა, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა გარეშე მტრისგან. ამასობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოს და კახეთის დაუძინებელი მტერი – შაჰ-აბასი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ალექსანდრეს წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა. 1601 წელს, მისი წაქეზებით, ალექსანდრეს ვაჟმა დავითმა მამა და ძმა თორღვას ციხეში გამოკეტა. მაგრამ რამდენიმე თვეში, როდესაც მძიმე სენით დაავადებული დავითი გარდაიცვალა, ალექსანდრე გრემში დაბრუნდა და მეფობა განაგრძო. 1605 წელს, შაჰის დავალებით, ირანის სამეფო კარზე გაზრდილმა, ალექსანდრეს უმცროსმა ძემ – კოსტანტინემ, მამა და ძმა – გიორგი დაახოცინა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ კახელები აჯანყდნენ მამისა და ძმის მკვლელის და ქვეყნის მოღალატე მმართველის წინააღმდეგ და ბელაქანთან ბრძოლაში დაამარცხეს ის. კახეთს მცირე ხნით დავით ალექსანდრეს ძის ქვრივი ქეთევანი განაგებდა. 1606 წელს შაჰ-აბასმა კახეთში დავითის ძე თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ I) გამოგზავნა, რომელმაც დედამისისგან გადაიბარა მეფობა. ირან-ოსმალეთის ომის ფონზე შაჰი ვერ იცლიდა კახეთისთვის, მაგრამ მალე ეს დროც დადგა.

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომი ირანის გამარჯვებით დასრულდა. ზავის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო ირანს დარჩა, დასავლეთი – ოსმალეთს. კავკასიაში ამ დროს რუსეთიც აქტიურობდა. ეს გარემოება კი შაჰ-აბასს ხელს არ აძლევდა. 1606 წ. შაჰმა ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნა, ციხესიმაგრეებში კი საკუთარი გარნიზონები ჩააყენა და ქართველ მეფეებს მორჩილება მოსთხოვა. ამ უკანასკნელებმა ვასალობა აღიარეს, მაგრამ შაჰ აბასს ქართლ-კახეთის სრული მოსპობა და იქ მომთაბარე ტომების ჩასახლება ჰქონდა განზრახული. XVII ს-ის კახეთის ტრაგედიაც ამ გეგმის ნაწილი იყო.

1614-17 წლებში აბას I-მა ოთხჯერ ილაშქრა კახეთში. კახელები ყოველი გოჯი მიწისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ. მტერი ანგრევდა, წვავდა, მიწასთან ასწორებდა სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხდა ბაღ-ვენახებს. მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი შემდგომში აღარ აღმდგარა. 200 ათასზე მეტი ტყვე ირანის სხვადასხვა პროვინციაში (ფერეიდანში, ხორასანში, მაზანდარანში) ჩაასახლეს. მათმა შთამომავლებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი.

შაჰ-აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შეივწროებული კახეთის მოსახლეობა შესაფერისს მომენტს ელოდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა, სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით, კავშირი შეკრა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. აჯანყება დაიჩქარა ოსმალთა არმიის დაძვრამ სპარსეთის საზღვრებისაკენ. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობას, დაიწყო დავით ჯანდიერის მეთაურობით. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. მათ კავშირი დაამყარეს შირვანთანაც. აბას I-მა, აჯანყების ჩასაქრობად, 15 ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა.

ოსმალეთის მხარდაჭერის იმედი არ გამართლდა, ვერც ქართლი მიეხმარა თეიმურაზს, ამიტომ მან მარტომ შეუტია მტერს და შაჰ-აბასს ლაშქარი გაუნადგურა. მტერზე გამარჯვებამ რწმენა განუმტკიცა ქართველებს, ხოლო შაჰი სასტიკად განარისხა და შურისძიების სურვილით აღავსო. კახეთს 1616 წლიდან, შაჰის ნაცვალი, ყიზილბაში ფეიქარ ხანი მართავდა, რომელიც თურქმანი ტომების ამ მხარეში ჩასახლებასა და მოსახლეობის გამუსლიმანების პოლიტიკას განაგრძობდა. პარალელურად, თავიანთ ფუძე-კარს უბრუნდებოდნენ მთაში და ტყეში გახიზნული კახელები, რაც ირანელებს იმდენად დიდ პრობლემებს უქმნიდა, რომ ფეიქარ ხანმა შაჰს 1625 წელს ახალი სადამსჯელო ექსპედიციის გამოგზავნა სთხოვა. თეიმურაზი იმედებს კვლავ ოსმალებზე ამყარებდა, მაგრამ

ირანთან ბრძოლაში ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ამით თეიმურაზს ხელი მოეცარა. პარალელურად, მეფე რუსეთთანაც ცდილობდა ურთიერთობის გაცხოველებას, რასაც აგრეთვე შედეგი არ მოჰყოლია. შაჰ-აბასი კი თეიმურაზის აქტიურობით გაღიზიანებული იყო. მან დაასაჭურისა ირანში მყოფი უფლისწულები, ხოლო მათი ბებია, თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი საშინელი წამებით მოაკვლევინა. ქრისტიანობისთვის თავდადებული ქეთევანი ქართველმა ერმა და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1625 წელს, ფეიქარ ხანის მოთხოვნით, შაჰ-აბასმა ახალი სადამსჯელო ექსპედიცია გამოაგზავნა საქართველოში. მტერს ქართლ-კახეთის ერთიანად ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული. მარტყოფის ველზე 26 მარტს, ხარება დღეს, ქართველებმა, გიორგი საакაძის მეთაურობით, თითქმის 30 ათასი ყიზილბაში გაჟლიტეს. (მხოლოდ 3 ათასმა შეძლო გაქცევა). საакაძემ ჯერ ქართლიდან განდევნა მტერი, ხოლო შემდეგ კახეთიდან გაქცეულ ფეიქარ ხანს დაედევნა და ყარაბაღის სახანოდანაც გააქცია ირანელები. მცირე ხანში, თბილისის გარდა, მთელი ქართლ-კახეთი გათავისუფლდა. აჯანყებულებმა ოსმალეთში მყოფი თეიმურაზი მოიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს მეფედ დასვეს. ქართლ-კახეთი გადარჩა, ეს დიდი გამარჯვება იყო.

ირანელთა ახალი შემოტევა 1625 წლის ივნისში განხორციელდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახალ, დიდ ჯართან მარაბდის ბრძოლაში ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მტერმა, რომელმაც ამ ლაშქრობებში 70 ათასი კაცი დაკარგა, მიზანს ვერ მიაღწია – ქართლ-კახეთი ვერ აღგავა პირისაგან მიწისა.

შაჰი ამის შემდეგ საакაძის, თეიმურაზ I-ის და თავადების ურთიერთწაკიდების პოლიტიკაზე გადავიდა და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1626 წელს გაიმართა ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი. ომში თეიმურაზმა დაამარცხა საакაძე და ქვეყნიდან გააძევა. დიდი მოურავი ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წელს სულთნის დიდვეზირის ბრძანებით მას, მის შვილს ავთანდილს და 40-მდე მხლებელს თავები მოჰკვეთეს. იმავე წელს გარდაიცვალა შაჰ-აბასიც.



ერეკლე I (მაჰმადიანობაში ნაზარალი-ხანი)

1631 წელს თეიმურაზი ფაქტობრივად ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა. 1632 წელს მან – შაჰის აჯანყებულ მოხელესთან – დაუდხან უნდილაძესთან ერთად – ბარდა და ყარაბაღი დაარბია, ამისათვის ირანის ახალმა შაჰმა სეფი პირველმა თეიმურაზი გადააყენა და ქართლის მმართველად როსტომ-ხანი, ხოლო კახეთში ყიზილბაში სელიმ-ხანი დანიშნა. თეიმურაზი წარუმატებლად ეწინააღმდეგებოდა როსტომ-ხანს, რომელმაც 1648 წელს თეიმურაზი კახეთიდანაც გააძევა. თეიმურაზმა ვერც რუსეთისგან მიიღო მხარდაჭერა, წარუმატებელი აღმოჩნდა დახმარების მიღების მცდელობა, როგორც დასავლეთის ქვეყნებისგან, ასევე ოსმალეთისგან. იმედგაცრუებული თეიმურაზი 1661 წელს ბერად შედგა. მალე იგი დიდი ამალით ირანს გაემგზავრა, სადაც გამაჰმადიანების შემთხვევაში კახეთის მეფობა აღუთქვეს. თეიმურაზმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, რის შემდეგაც იგი დააპატიმრეს. 74 წლის თეიმურაზ I ასტრაბადის ციხეში გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

ირანის მესვეურები ხელს არ იღებდნენ შაჰ-აბასის გეგმებზე. 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და იქ ყიზილბაში მმართველი დასვეს, მცირე ხანში კახეთში თურქმანების 1500 ოჯახი ჩამოასახლეს. კახელებმა აჯანყება გადაწყვიტეს. აჯანყების სამზადისს ზაალ არაგვის ერისთავი ჩაუდგა სათავეში. 1660 წელს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ალავერდელი ეპისკოპოსი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და თუშ-ფშავ-ხევსურები ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და გოგოლაურის მეთაურობით მტერს მოულოდნელად დაესხნენ თავს, აიღეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხესიმაგრეები, ხოლო



თეიმურაზ II

მეციხოვნეები გაუჟლიტეს. კახელებს ქართლელებიც მიეხმარნენ. აჯანყების მოთავეებზე

ყიზილბაშებმა სასტიკად იძიეს შური და წამებით დახოცეს, მაგრამ ამ ამბანყებამ კახეთი ფიზიკური გადაშენებისგან იხსნა, თუმცა ირანის ბატონობა მაინც გრძელდებოდა.

კახეთი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის, შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) მმართველობაში გადავიდა, ხოლო შემდეგ მის შვილს არჩილს ებოძა, რომელმაც 1664 წელს დაიკავა იგი. მან კახეთში აღმშენებლობითი მოღვაწეობა



ერეკლე II

დაიწყო, შედარებითი წესრიგი დაამყარა, ნაწილობრივ ალაგმა ლეკთა თარეში, აღადგინა სახელმწიფო მოწყობა, ხოლო რეზიდენცია გრემიდან თელავში გადაიტანა.

ირანელებს არ მოეწონათ ვახტანგისა და არჩილის მიერ ქართლ-კახეთის გაერთიანება-მოძლიერება, ამიტომ თეიმურაზის შვილიშვილი, რუსეთში გადახვეწილი ერეკლე I (ნაზარალი ხანი) ჩამოიყვანეს და კახეთის ტახტი აღუთქვეს. არჩილმა 1675 წელს დატოვა კახეთი და იმერეთში გამეფებას შეეცადა. 1699 წელს იგი რუსეთში გადასახლდა.

1703 წელს ერეკლე ირანში გაიწვიეს, მეფობაც უბოძეს, მაგრამ რეალურად ტახტზე მისი შვილი დავითი (იმამყული-ხანი) დასვეს, რომელიც ლეკთა თარეშის ალაგმვას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. ლეკები უფრო მომძლავდნენ და აღმოსავლეთ კახეთის რამდენიმე სოფელი დაიკავეს.

1722 წელს კახეთის სამეფო ტახტზე დავით II-ის ძმა – კონსტანტინე ავიდა, რომელმაც, ლეკების ნაცვლად ქართლს დაუწყო ბრძოლა, მაგრამ ქართლი ვერ დაიპყრო, ლეკები კი უფრო მოამძლავრა. ამასთან ერთად, ქართლი ოსმალებმა დაიკავეს. კონსტანტინემ ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირე ვერ იპოვა და ფშავ-ხევსურეთში გაიქცა. ლეკებმა კი ისარგებლეს კახეთში ხელისუფლების კრიზისით და მთელი ამ მხარის დაპყრობა განიზრახეს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა ჭარ-ბელაქანი ლეკებს გადასცა. 1732 წელს ოსმალებმა კონსტანტინე მოკლეს და კახეთი დაიკავეს.

1733 წელს კახეთის სამეფო ტახტზე კონსტანტინეს უმცროსი ძმა – თეიმურაზ II ავიდა. 1735 წელს ირანმა განდევნა ოსმალეთი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, თეიმურაზ II დააპატიმრეს და ისპაჰანს გაგზავნეს, კახეთი კი გამაჰმადიანებულ ალექსანდრეს ჩააბარეს. ქართლ-კახეთში ახალი ძალით გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამან აიძულა ნადირ-შაჰი 1736 წელს თეიმურაზ II კახეთში დაებრუნებინა, მისი ძე ერეკლე (ერეკლე II) კი ინდოეთის ლაშქრობაში იახლა. შაჰმა 1744 წელს თეიმურაზ II-ს ქართლი, ერეკლე II-ს კი კახეთი ჩააბარა ქრისტიანობის შენარჩუნებით. ქართველთა თავგამოდებამ და შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო – ნადირ შაჰმა ქართლ-კახეთის გამუსლიმანების გეგმაზე ხელი აიღო. 1747 წელს ნადირ-შაჰი ირანის შიდაპოლიტიკურ ბრძოლებს შეეწირა, რითაც ისარგებლა ერეკლე II-მ და თბილისის და სხვა ციხეებიდან ირანელი მეციხოვნეები განდევნა. 1748 წლიდან ქართლ-კახეთმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1748-1752 წლებში თეიმურაზ II და ერეკლე II წარმატებით იბრძვიან მეზობელი სახანოების წინააღმდეგ და პარალელურად არაერთხელ ამარცხებენ ქართლ-კახეთში შემოჭრილ ლეკებს. ერევნის, განჯისა და ნახიჭევანის ხანებმა თავი ერეკლე II-ის მოხარკეებად ცნეს. 1754 წელს ერეკლემ მცირე ლაშქრით ბრწყინვალედ გაიმარჯვა ქვეყანაში შემოჭრილ მრავალრიცხოვან ლეკ მოთარეშეებზე. 1755 წელს კახეთში ლეკების უფრო დიდი ლაშქარი შემოიჭრა ხუნძახის ბატონის ნურსალბეგის სარდლობით. მან ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს და, როდესაც მეციხოვნეებს ტყვია-წამალი და სურსათის მარაგი ელეოდათ, ერეკლეს მიერ გამოგზავნილი რაზმი ციხესიმაგრეში შეიჭრა და თან საბრძოლო მასალაც შეიტანა, ქიზიყელთა მეორე დიდი რაზმი კი ჭარის დასარბევად გაეშურა. ამ ტაქტიკურმა სვლამ ლეკები აიძულა ალყა მოეხსნათ და კახეთს გასცლოდნენ. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წლიდან, ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფე გახდა. ირანმა სცნო მისი მეფობა და გავლენა მეზობელ სახანოებზე.

ერეკლე II-მ მტკიცე ხელით განაგრძო მამასთან ერთად დაწყებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განვითარების საქმე. მან აღკვეთა მის წინააღმდეგ ფეოდალთა ერთი ჯგუფის მიერ წამოწყებული შეთქმულება, გააუქმა მსხვილი საერისთავოები, ააღორძინა საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა და ვაჭრობა. სამეფო კარმა დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის განვითარებას: იმ დროისთვის დამუშავების პროგრესული მეთოდით აღადგინა ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის საბადოები. შეიქმნა თოფ-ზარაფხანის, თოფის წამლის, მინის ქარხნები და მანუფაქტურები, აამოქმედა სამეფო ზარაფხანა, სტამბა და ა. შ.

დაიწყო სახელმწიფო მმართველობის რეფორმაც. ცენტრალური მმართველობა დაიყო: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლებისა და სამხედრო უწყებებად. 1774 წელს შეიქმნა რეგულარული, „მორიგე“ ჯარი, რომელსაც ლეკთა თარეში უნდა აღეკვეთა. ქართულ ჯარში შემოიღეს ევროპული ჩინები და ცდილობდნენ ახალი სამხედრო სისტემის ჩამოყალიბებას. საკმაოდ დაიხვეწა და განვითარდა სასამართლო სისტემაც. აღმავლობა შეეხო მეცნიერებისა და კულტურის სფეროსაც – აღდგა სტამბა, გაიხსნა სახელმწიფო სკოლები და სასულიერო სემინარია, დაარსდა თეატრი და სხვ.

ქართული სახელმწიფოს წარმატებებს იმედის თვალით უყურებდა ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობა. ისინი ხშირად თხოვდნენ დახმარებას



დარეჯან დედოფალი

ერეკლე II-ს. აქტიურობდნენ სომხები, რომლებიც მეფეს ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას და მეთაურობას სთავაზობდნენ.

ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას ითვალისწინებდა. 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლემ, რუსეთის დახმარებით, სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლება სცადა, მაგრამ რუსის ჯარის ავანტიურისტი სარდლის ტოტლებენის მოღალატური პოლიტიკის წყალობით, რაც მარტო ამ სარდლის ინიციატივა არ უნდა ყოფილიყო, ეს განზრახვა ჩაიშალა; თუმცა, რუსეთთან მოლაპარაკებები გრძელდებოდა, რაც 1783 წელს ქ. გეორგიევსკში ტრაქტატის დადებით დასრულდა. ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს. მეფეს, იმპერატორის ნებართვის გარეშე, არ ჰქონდა უფლება ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო, საჭიროების დროს, დახმარებოდა რუსეთს ჯარით. ქვეყნის საშინაო მართვა-გამგებლობაში მეფე სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცავად, რუსეთს საქართველოში მუდმივად უნდა ჰყოლოდა ორი ბატალიონი ჯარი ოთხი ზარბაზნით. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ იზრუნებდა მტერთაგან მიტაცებული მიწების საქართველოსათვის დაბრუნებაზე.

ტრაქტატის დადებას ირანისა და ოსმალეთის მკვეთრი გაღიზიანება მოჰყვა. ოსმალებმა კვლავ წააქეზეს ლეკები. 1785 წელს ქართლ-კახეთი დიდად დააზარალა ავარიის მმართველის ომარ-ხანის ლაშქრობებმა. პარალელურად გაჩნდა ქართლ-კახეთის დასავლეთ საქართველოსთან გაერთიანების შესაძლებლობა, რაც, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. თუმცა, 1790 წელს დაიდო სამხედრო კავშირი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის.

ამასობაში, ირანში, ტახტისთვის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანმა გაიმარჯვა, მომძლავრდა და როდესაც დარწმუნდა, რომ რუსეთი საქართველოს სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა, 1795 წელს ქართლში შემოიჭრა. რუსეთის მოიმედე ერეკლე II მტერს ძვლებურად მომზადებული ვერ შეხვდა. 5 ათას კაციან ჯარს იმერეთის მეფემ 3 ათასი მოლაშქრე მიახმარა. კრწანისის ბრძოლა, ღალატის შედეგად, ქართველების მარცხით დასრულდა. მტერი თბილისში შემოიჭრა და ერთიანად ააოხრა. აღა-მაჰმად-ხანი, შიდა პოლიტიკური არეულობის გამო, მალე იძულებული გახდა ირანში გაბრუნებულიყო. ერეკლე მეფე კვლავ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ მხცოვანი მეფე 1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა.

ტახტი ერეკლეს უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-მ დაიკავა; მას დიდხანს არ უმეფია, იავადმყოფა და მალევე გარდაიცვალა, რითაც ისარგებლა რუსეთმა და 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველოში მეფობა გააუქმა, ქართლ-კახეთის სამეფო კი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულ სწრაფი კოლონიზაციის



გიორგი XII

და ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას ქართული საზოგადოება ვერ ეგუებოდა. დაიწყო მძლავრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1802 წელს თბილისის სიონის ტაძარში, ქართლ-კახე-

თის სამეფოს გაუქმების მანიფესტის გამოცხადების დღეს, რუსეთის ერთგულების ფიცის დადებაზე კახეთის თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა, რუსების ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. სწორედ ეს მოვლენაა მიჩნეული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისად. შინ დაბრუნებული კახელი თავადაზნაურობა 1802 წლის ივლისში ქიზიყში შეიკრიბა და მთელ მოსახლეობასთან ერთად, რუს მოძალადეებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მათ დასაშლელად გაგზავნილი რუსების ბატალიონი ქიზიყელებმა სასტიკად დაამარცხეს, იულონ ერეკლეს ძის ერთგულების ფიცი დადეს და რუსების იმპერატორს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს, რომელსაც 69 თავადი აწერდა ხელს. რუსების მიერ კახეთში დამატებითი ძალების გაგზავნის შემდეგ აჯანყებულებმა მიიჩნიეს, რომ დროებით უნდა დაშლილიყვნენ. 1804-1812 წლებში ეროვნული მოძრაობა საქართველოს სხვა მხარეებსაც მოედო. განსაკუთრებით ძლიერი იყო მთიულეთის აჯანყება, რომლის სასტიკად ჩახშობის მიუხედავად, ქართველ ერში სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი არ ჩამქრალა.

1812 წელს კახეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. რუსი ოკუპანტების ძალმომრეობითა და თავხედობით აღშფოთებულმა კახელებმა ქალაქი თელავი აიღეს და რუსების გარნიზონი ციხეში გამოკეტეს. მალე აჯანყებულებმა სიღნაღიც დაიკავეს და დამპყრობელთაგან სოფლების გაწმენდას შეუდგნენ. კახელებს ფშავ-ხევსურებმაც დაუჭირეს მხარი. მათ დუშეთი და ფასანაური გაათავისუფლეს. აჯანყებულები ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას და ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნებას მოითხოვდნენ. საოკუპაციო ხელისუფლებამ გაჭირვებით მოახერხა აჯანყების ჩახშობა; აჯანყების მოთავეები დასაჯეს, მაგრამ ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო – კახეთში გაუქმდა კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა, აღდგა მოურავობა, რუსული სასამართლოს ნაცვლად დროებითი სასამართლოები შეიქმნა, სადაც სამოქალაქო საქმეების გარჩევა ქართული კანონებისა და ადათის საფუძველზე ხდებოდა.



ნეკრესის მონასტერი. სამნავიანი ბაზილიკა. IV ს-ის II ნახევარი

1812 წლის აჯანყების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. მისი ჩასახვა და განვითარება მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებაში მყოფ ბატონიშვილთა წრეში დაიწყო. ამ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სოლომონ დოდაშვილმა შეთქმულების იდეა რუსეთიდან საქართველოში გადმოიტანა. კახეთში შეთქმულთა იდეურ ცენტრს ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლი წარმოადგენდა. შეთქმულთა ერთი ჯგუფი, რომლის სათავეში, ძირითადად, ქართველი ბატონიშვილები იდგნენ, მოითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენას. მეორე ჯგუფი კი,რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგი იყო და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას მოითხოვდა. ერთ-ერთი ჯგუფი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. შეთქმულთა ნაწილი მოითხოვდა საქართველოს დარჩენას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. შეთქმულება გასცეს და მისი მონაწილე 38 კაცი დააპატიმრეს, მ. შ. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მიზნად დაისახეს ქართული სახელმწიფოებრიობის ეტაპობრივი აღდგენა, ანუ თავდაპირველად იმპერიის ფარგლებში ავტონომიის მიღწევა და, შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე, სრული დამოუკიდებლობის მიღება.

მას შემდეგ, რაც რუსეთში 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დემოკრატიულმა ძალებმა რუსეთის თვითმპყრობელობა დაამხეს, საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართული სახელმწიფო 1921 წლის 25 თებერვლამდე ფუნქციონირებდა. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არც საბჭოთა რეჟიმის პირობებში შეწყვეტილა. 1921 წელსვე აჯანყებამ მოიცვა სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. 1922 წლიდან მოქმედება დაიწყო „სამხედრო ცენტრმაც“ და ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პატრიოტულმა რაზმმა. 1924 წლის ივლის-აგვისტოში აჯანყებამ იფეთქა კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. საყოველთაო აჯანყების ხელმძღვანელად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაინიშნა. 1924 წლის აჯანყება სხვადასხვა მიზეზთა გამო დამარცხდა, რის შემდეგაც კახეთშიც, ისევე როგორც საქართვე-

ლოს სხვა კუთხეებში, სასტიკი რეპრესიები განხორციელდა.

საბჭოთა რეჟიმის არსებობის მთელ პერიოდში საქართველოში და შესაბამისად,კახეთშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩამკვდარა. მან დიდი გასაქანი პოვა და



ძველი შუამთის მონასტერი. მარცხნიდან: ბაზილიკა – V ს-ის შუახანები, დიდი გუმბათოვანი ეკლესია – VII ს., მცირე გუმბათოვანი ეკლესია – VII ს.

განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი სსრკ-ის დაშლის პროცესების პარალელურად, XX ს-ის 80-90-იან წლებში მიიღო, როდესაც ბოლშევიკების მიერ იმპერიის მოდერნიზების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ, აღიდგინა დამოუკიდებლობა.

კახეთი განსაკუთრებით გამორჩეულია ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სიმრავლით. საქართველოს დანარჩენი მხარეების მსგავსად, შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა აქაც, ძირითადად, საეკლესიო ხუროთმოძღვრებითაა წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს საქართველოში გავრცელებულ ყველა ტიპის საეკლესიო ნაგებობას. სწორედ ამ მხარეშია შემორჩენილი საეკლესიო ნაგებობების ისეთი ნიმუშები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებს უკავშირდება.

კახეთის მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძირითადი თავისებურება გარე მორთულობის სისადავეა, რომელიც მან განვითარების მთელ გზაზე შეინარჩუნა. თუმცა, ამ მხარის ხუროთმოძღვრება, როგორც განვითარების ეტაპებით, ისე სტილის ცვალებადობით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელი ქვეყნის ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიასთან.

კახეთის ხუროთმოძღვრები საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდნენ თავიანთი დროის ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი ძალისხმევა ძირითადად საქართველოს დანარჩენი მხარეებისგან განსხვავებით, ტაძრების შესამკობად იშვიათად ან სრულებით არ იყენებდნენ ორნამენტულ სამკაულს. მათ ხელთ არსებული დაბალი, დეკორატიული ღირსებების მქონე სამშენებლო მასალით შეუძლებელი იყო დეკორატიული ეფექტების მიღწევა. ძეგლების გარეგნული უბრალოება, სავსებით პასუხობდა მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებებს და მათი ესთეტიკური წარმოდგენის ანარეკლს წარმოადგენდა. ესაა არსებითი სხვაობა კახეთის მონუმენტურ ნაგებობებსა და საქართველოს სხვა მხარეთა მსგავს ნაგებობებს შორის, რომელთა საშენ მასალად ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ჯიშის ქვის კარგად თლილი კვადრები. ეს უკანასკნელი კი ფასადების ფიგურული რელიეფებით და მრავალსახა ჩუქურთმით მორთვის შესაძლებლობას იძლეოდა.

კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები მნახველზე ზემოქმედებას ახდენს ფორმებისა და სივრცის სრულყოფილებით.



კარდანახი. საბაწმინდის მონასტრის სამეკლესიიანი ბაზილიკა. VI ს-ის შუახანები

შესანიშნავ ნიმუშებს, მაგრამ ითი ძალისხმევა ძირითადად

მიმართულია სტრუქტურული ამოცანების გადაწყვეტაზე – ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნილებების შესაბამისი შიდა სივრცის შექმნაზე, რომელსაც



კისისხევი. კონდამიანის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი

სავსებით შეესატყვისებოდა შენობის გარეგანი ფორმები. ნაგებობები აგებულია უბრალო საშენი მასალით. ესაა სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და ფეროვანი ტუფი. ე.წ. შირიმი. გარდა რიყის ქვისა და შირიმისა, სხვადასხვა პერიოდში საშენ მასალად იყენებდნენ აგრეთვე აგურს, რომელსაც, საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით, კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ადრინდელ ხანებში მას დამატებით საშენ მასალად იყენებდნენ – ძირითადად კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ელემენტების გამოსაყვანად. გვიანდელი ხანის საეკლესიო და საერო ნაგებობების დიდი ნაწილი კი, ძირითადად ან მთლიანად, აგურითაა ნაშენი. სწორედ კახეთის საეკლესიო ნაგებობებში შემუშავდა აგურის წყობისათვის ნიშანდობლივი მრავალფეროვნებით გამორჩეული, ფასადთა დეკორაციული მორთულობის ელემენტების მთელი სისტემა (სხვადასხვა კონფიგურაციის ჩაღრმავებული არეები და ჯვრები, რომბები, დაკბილული ლავგარდნები და სხვ.). როგორც ჩანს, ამ სამშენებლო მასალის წინა პლანზე წამოწევას გარკვეული მყარი საფუძველი შეუქმნა კახეთში ოდითგანვე ფართოდ განვითარებულმა კერამიკულმა წარმოებამ, რაც დასტურდება თუნდაც იმით, რომ უძველესი ნაგებობები ძირითადად, კრამიტითაა გადახურული.



ხაშმი. კაწარეთის სამება. VI ს-ის ბოლო – VII ს-ის დასაწყისი

კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, იგება ასევე ტაძრები პალესტინური ბაზილიკების ნიმუშების მიხედვით. საეკლესიო მმართველობის მიერ საეკლესიო ნაგებობის ეს ხელოვნურად დანერგილი ფორმა იმთავითვე ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად იქნა გადამუშავებული. კახეთის ბაზილიკების უძველესი ნიმუშების დიდი ნაწილი (ნეკრესის მონასტრის თავდაპირველი ეკლესია, ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა, მატნის ცხრაკარას მონასტრის ბაზილიკა) ძლიერ განსხვავდება ადრექტისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისგან. ბაზილიკის მსგავსად, ისინი სამ ნავად არის გაყოფილი, რომლებიც ერთიანი სივრცის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. შენობები მოკლეა, ნავები, ხის კონსტრუქციების ნაცვლად, გადახურულია ქვის კამარით. ამავე ხანებში იგება ნამდვილი ბაზილიკების ტიპის ეკლესიებიც (კაწარეთის სამების ეკლესია, ე. წ. ჭაბუკაურის ეკლესია ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე, თელავის ღვთაების, ტიბაანის წმ. სტეფანეს, კონდოლის ნათლისმცემლის, ნატკორის ეკლესიები, ნაქალაქარ არეშის ბაზილიკა), VI საუკუნის ნახევრიდან VII საუკუნის ჩათვლით. შენობები შესამჩნევად მოკლდება, ნავები გაყოფილია ბოძების მხოლოდ ორი წყვილით (ვაზისუბნის დვთისმშობლის მიძინების, ახშანის გორისჯვრის, ბოდბის

წმ. ნინოს მონასტრის ეკლესიები, აზერბაიჯანის კახის რაიონში ყუმის ეკლესია და სხვ.). დამოკლების ტენდენცია შესამჩნევია როგორც VIII-IX საუკუნეებში, ისე მომდევნო X საუკუნეშიც. პროპორციული თვალსაზრისით, ეს ნაგებობები შედარებით უკეთ არის გადაწყვეტილი, შიდა სივრცე აქ გაცილებით დახვეწილია და ხალვათი, პროპორციები – შემაღლებული (აკურის მამა დავითი, ზემო ალვანის ნათლისცემლი, ვაზისუბნის სანაგირის ბაზილიკა). სამნავიანი ბაზილიკის აგების გვიანდელი მაგალითია ჟალეთის ბაზილიკა.



ზეგაანი. წმ. მარინეს ეკლესია. V ს.

VI საუკუნის I ნახევარში, ნამდვილი ბაზილიკური ნაგებობების გვერდით, ჩნდება ამ თემის თავისებური, რამდენადმე სახეცვლილი ვარიანტი, რომელსაც აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა „სამეკლესიიანი ბაზილიკა“ შეარქვა და რომელიც საქართველოს გარეთ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება. ამ ტიპის ტაძრის თავისებურება იმაშია, რომ მას გარეგნობით ბაზილიკის ასახულობა აქვს, მაგრამ სტრუქტურით იგი არ არის ბაზილიკა. ბაზილიკისგან განსხვავებით, ერთ ნაგებობაში, ჩვენ გვაქვს ერთმანეთისგან ერთიანი კედლებით გამიჯნული, ხშირ შემთხვევაში კარებით დაკავშირებული, სამი წაგრძელებული სადგომი, რომლებსაც აღმოსავლეთით დამოუკიდებელი საკურთხეველი აქვს. ასე, რომ ერთ ნაგებობაში ერთდროულად სამი ეკლესიაა. კახეთი განსაკუთრებითაა გამორჩეული სამეკლესიიანი ბაზილიკების სიმრავლით. VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ამ თემამ კახეთში როგორც სივრცობრივი გადაწყვეტით, ისე გარეგანი გაფორმების თვალსაზრისით, მხატვრულად დახვეწილი, დასრულებული სახე მიიღო.

ნაგებობის შიდა სივრცის ფორმირების პროცესში, ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებზე დამყარებულმა, მისი ცენტრულობის მიზანდასახულობამ – გუმბათოვანი გადახურვით და შუქის ძირითადი წყაროთი ზემოდან, განსაზღვრა ქრისტიანული ტაძრის თავდაპირველი ფორმები – ცენტრული გეგმის მქონე გუმბათოვანი სტრუქტურა.

კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის უძველესი ნიმუშები VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება. ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპის ეკლესიების ჯგუფს შეადგენენ. ამ ძეგლებში ჯერ კიდევ ბევრია გაუწონასწორებელი, დაუხვეწავი და მხატვრულად მოუქნელი ფორმები, ხუროთმოძღვრებს ჯერ კიდევ არა აქვთ ათვისებული არქიტექტურული კომპოზიციის ყველა მხარე, მათი შემოქმედებითი აზროვნება მთლიანადაა მიმართული ქრისტიანული არქიტექტურის ცენტრალური ამოცანის (შიდა სივრცის შექმნა) გადასაწყვეტად.



ვაზისუბანი. ორმოცი მოწამის ეკლესია. VII ს.

ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის გვხვდება ტეტრა-



ნინოწმინდის ტაძარი. VI ს-ის შუახანები

კონქების და „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის სხვადასხვა ვარიანტები. ყველა ამ ეკლესიაში გუმბათი ეყრდნობა კედლებს და არა ცალკე მდგომ ბოძებს.

ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებიდან უძველესია ძველი გავაზის ეკლესია (VI ს-ის III მეოთხედი), რომელიც ყველა



კისისხევი. ყველაწმინდის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი

მიმართებით, უთუოდ, ამ ტიპის საწყის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. გეგმით იგი უბრალო ოთხყურაა – ცენტრალურ ნაწილში გუმბათქვეშა კვადრატით, რომელსაც ოთხივე მხრიდან ნალისებრი აფსიდი შეერთვის. შენობის გარე მოხაზულობა ზუსტად იმეორებს შიგა აღნაგობას.

ნაგებობათა კომპოზიციური გადაწყვეტისა და მხატვრული სრულყოფის ძიების რთულ გზაზე, ტეტრაკონქის ტიპის მომდევნო საფეხურია ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი (VI ს-ის III მეოთხედი), რომელშიც გუმბათის დიამეტრის გაზრდის და, შესაბამისად, გუმბათქვეშა სივრცის გაფართოების მიზნით, ჯვრის



კალაური. წმ. გიორგის ეკლესია. VI-VII სს.

მკლავებს შორის, დიაგონალურ ღერძებზე, მოწყობილია გარკვეული დანიშნულების, ორაფსიდიანი, მცირე სადგომები. ეკოლუციური თვალსაზრისით, ნინოწმინდის ტაძარი უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. საქართველოში მეორე ასეთი კომპოზიცია არ გვხვდება. ტეტრაკონქის კომპოზიცია უდევს საფუძვლად ძველი შუამთის მონასტრის ორივე გუმბათოვან ეკლესიასაც (პირველი – VI ს-ის დასასრული-VII ს-ის დასაწყისი, მეორე – VII ს.).

ტეტრაკონქის ტიპის გარდა, ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის, გვხვდება „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული, კომპოზიცია – ერთი აფსიდითა და სამი, სწორკუთხა მკლავით. სივრცობრივი აღნაგობით ესაა ერთი საერთო ტიპი, რომელიც, მინიატურული ზომებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული თვალსაზრისით რამდენადმე გამარტივებულია. არსებობს მისი ოთხი სახესხვაობა: ერთი, როდესაც გეგმას გარედანაც ჯვრული მოხაზულობა აქვს (ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია, ეწ. ერელაანთ საყდარი სოფ. მატანთან და ამაღლების ეკლესია სოფ. კოჭბაანთან), მეორე – შეცვლილი გარეგანი კონტურით (დავითიანის ორმოცი მოწამისა და ვაჩნაძიანის სვეტიცხოვლის ეკლესიები), მესამე – სრულიად თავისებური, მკვეთრად ხაზგასმული გრძივი ღერძით (იყალთოს მონასტრის სამების ეკლესია) და მეოთხე, განსაკუთრებით საინტერესო ტიპი, სადაც ორი მკლავი დასრულებულია აფსიდით, ხოლო დანარჩენი ორი სწორკუთხაა (კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია).

VII საუკუნის დასასრულიდან, გუმბათოვანი ტაძრების ახალი ფორმების ძიებაში ფართოდ იყენებენ ბაზილიკებისა და სამეკლესიიანი ბაზილიკების კომპოზიციის პრინციპს, რაც განსაკუთრებული თავისებურებითაა გამოვლენილი VIII-IX საუკუნეებში. ამ პერიოდში გვხვდება სხვადასხვაგვარი კომ-

პოზიციების კომბინირების მაგალითები. ნაგებობის ცენტრალური სივრცის დამაგვირგვინებელი გუმბათი შერწყმულია გუმბათოვანი სტრუქტურისათვის უცხო, ბაზილიკური და სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ფორმებთან. ამის მაგალითია გურჯაანის ყველაწმინდა (ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია საქართველოში), დასავლეთის გახსნილი პატრონიკით და განცალკევებული სადგომებით გვერდითი ნავების თავზე. ხუროთმოძღვრული ფორმების ევოლუციის მაჩვენებელია, ვაჩნაძიანის მიდამოებში მდებარე ყველაწმინდის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც საქართველოში გარდამავალი ხანის ყველაზე მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. ტაძარი საერთო კომპოზიციით წარმოადგენს სამეკლესიიანი ბაზილიკის თავისებური გადამუშავების მაგალითს, რომელშიც ძირითადი ელემენტების ორგანულმა შეთანხმებამ შუა სადგომის, როგორც „გუმბათოვანი დარბაზის“, შექმნის შესაძლებლობა განაპირობა. გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დასაკავშირებლად აქ, პირველად საქართველოში, ჩნდება ახალი კონსტრუქციული ელემენტი – აფრა (პანდატივი), თუმცა, მის გვერდით არც ტრომპებია უგულებელყოფილი.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში, სამეკლესიიან ბაზილიკებში შემუშავებული თემა – გვერდითი სადგომების დასავლეთის გარშემოსავლელით დაკავშირება – სხვადასხვა გუმბათოვან კომპოზიციებშიცაა გამოყენებული. ხუროთმოძღვრები აგებენ ღია გალერეებს, სადაც ისინი, ისევე როგორც სამეკლესიიან ბაზილიკებში, დანაწევრებულია თაღებით, რომლებიც ფასადებზე დამატებით მხატვრულ აქცენტებს ქმნის. ამის მაგალითია ძველი გავაზის ტეტრაკონქი, რომელსაც VIII-IX საუკუნეებში სამი მხრიდან გარეთკენ თაღებით გახსნილი გარშემოსავლელი მიადგეს.



გურჯაანი. ყველაწმინდის ეკლესია. VIII ს.

გარშემოსავლელის თემის გარდა, მუშავდება ასევე პატრონიკეს თემაც. კახეთის ტაძრებში პატრონიკე არც თუ ისე ბევრ ნაგებობებშია დადასტურებული. მისი შექმნის პირველი ცდა ცნობილია უგუმბათო არქიტექტურაში – კარდენახის საბაწმინდის მონასტრის ძველ, სამეკლესიიან ბაზილიკაში. აქ პატრონიკე არ წარმოადგენს ტაძრის აუცილებელ, კომპოზიციურ ელემენტს – კაცთა და ქალთა განმაცალკევებელ ადგილსამყოფელს, არამედ იგი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია და მისი გაჩენა, როგორც ჩანს, წმინდა კონსტრუქციული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. კერძოდ, გუმბათის განმბრჯენი ძალების გასაწონასწორებლად. ამ ამოცანის გადასაჭრელად გურჯაანის ორგუმბათიანი ბაზილიკის ხუროთმოძღვარი გვერდითი ნავების თავზე დამატებით ეკლესიებს ქმნის, ხოლო ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ტაძრის ხუროთმოძღვარი – პატრონიკეს.

კახეთის ამ პერიოდის ძეგლთაგან განსაკუთრებული ინდივიდუალობითაა გამორჩეული ნეკრესის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სამეკლესიიანი ბაზილიკის თემის გუმბათოვანი



ვაჩნაძიანი. ყველაწმინდის ეკლესია. VIII-IX სს-ის მიჯნა

ეკლესიის თემასთან შერწყმის მაგალითი, რაც აქ სრულიად განსხვავებულადაა გადაწყვეტილი: ხუროთმოძღვარი მაღალყელიან გუმბათს შენობის ცენტრალური, გეგმით კვადრატული ნაწილის კედლებზე აფუძნებს და გუმბათის განმბრჯენ ძალებს უპირისპირებს ხუთწახნაგოვან, შვერილ აფსიდს და გარშემოსავლელს სამი მხრიდან.

ამავე პერიოდში გვხვდება ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ თემის სხვადასხვა ვარიანტები. ამ მხრივ საინტერესოა ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესია, რომლის სამნავიანი სტრუქტურა, VIII-IX საუკუნეებში, ჩაშენებული, ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძითა და მათზე დაყრდნობილი გუმბათით, ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს.

საყურადღებოა ასევე იყალთოს მონასტრის მთავარი ტაძრის (დიდი ნაწილი აღდგენილია მოგვიანებით) კომპოზიცია – გუმბათით ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე და კარიბჭით თითოეული შესასვლელის წინ.

„ჩაწერილი ჯვრის“ თემის რედუქციერებული მაგალითებია ოზაანის ამაღლებისა და ვარცანის ღვთისმშობლის ეკლესიები, რომელთა გადაწყვეტა გუმბათოვანი ტაძრის ახალი ფორმების ძიების შედეგს წარმოადგენს.

ოზაანის ტაძარი მხატვრული ხასიათის განმსაზღვრელი რიგი ნიშნებით, როგორიცაა წარმოსადეგობა, მთავრის და მისი შემადგენელი ნაწილების პროპორციების საგულდაგულოდ ჩამოყალიბებული ჰარმონიულობა და კომპოზიციის მთლიანობა, მჭიდროდაა დაკავშირებული კახეთის მონუმენტური არქიტექტურის მომდევნო პერიოდთან, კერძოდ, X საუკუნესთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზაანის ტაძრის კანკელის ზღუდის შესრულების დონე, რომელიც, როგორც მხატვრული, ისე კვეთის ტექნიკის სრულყოფით უდავოდ გამორჩეული ძეგლია.

X საუკუნე ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაში თავისებური მიჯნაა. ხანგრძლივი და დაუღალავი



აკურა. მამადავითის ეკლესია. 855 წ.

შემოქმედებითი ძიების შედეგად ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ტაძრის ის ტიპი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დომინირებული მდგომარეობა შეინარჩუნა. ესაა ნაგებობა მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძით, რომლის ძირითადი სივრცის შემადგენელი, მაღალი, ორფერდა სახურავით დასრულებული ჯვრის მკლავები და მათ შორის მოქცეული, შედარებით დაბალი, ცალფერდასახურავიანი კუთხის ნაწილები შენობის გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი.



კალაური. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. სატრაპეზო. IX ს. პორტალი

არქიტექტურული ამოცანის გადაწყვეტის მხატვრულ მიდგომაში სახეზეა ის წინსვლა, რამაც სრული გამოხატულება და განვითარება მხოლოდ მომდევნო ეპოქაში – X-XIII საუკუნეებში მიიღო.

X საუკუნის II ნახევრიდან კახეთში ახალი აღმავლობის პერიოდი იწყება – იგება სრულიად დასრულებული სტილის ტაძრები, რომლებიც სავსებით შეესაბამება ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურულ მოთხოვნებს – მივიწყებულია სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკების თემები, უპირატესობა ძირითადად ენიჭება წაგრძელებული ღერძის მქონე გუმბათოვან ნაგებობებს, იზრდება გუმბათის ყელის წახნაგთა რაოდენობა, შენობის კორპუსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილები სხვადასხვა სიგრძისაა, შესასვლელები ცენტრალური ღერძიდან შესაბამისი ფასადის დასავლეთ ბოლოში ინაცვლებს, გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის

ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად იყენებენ აფრებს და არა ტრომპებს, კონსტრუქციული ხასიათის ძიების შეწყვეტასთან ერთად, არქიტექტორების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიპყრობილია ახალი კომპოზიციების ძიებაზე. აღმოსავლეთ ფასადზე ჩნდება მაღალი,სამკუთხა გეგმის ნიშები,რომლებიც ხელს უწყობენ შუქ-ჩრდილების თამაშს. საგრძნობლად იცვლება შენობის ზომები, იზრდება კორპუსის ცალკეული ნაწილების და გუმბათის ყელის პროპორციები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სივრცობრივი აღქმის მთლიანობა არ ირღვევა. ამის ნათელი დადასტურებაა XI საუკუნის პირველი მეოთხედის სწორუპოვარი ქმნილება,ალავერდის სახელგანთქმული ტაძარი, რომელიც არა მხოლოდ კახეთის,არამედ მთელი საქართველოს ერთი დიდებული ქმნილებათაგანია. იგი არის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე მაღალი (გუმბათიანად 50 მეტრს აღემატება) საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. ტაძრის გეგმის საფუძველს შეადგენს ტრიკონქი, რომლის სამივე აფსიდი გარე კედლების სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული. მისი შიდა სივრცე გრანდიოზულია,ნათლად იგრძნობა კახური ძეგლების დამახასიათებელი თავისებურება – პროპორციების აზიდულობა. ნაგებობის კედლები როგორც შიგნით, ისე გარედან მთლიანად მოპირკეთებულია სუფთად გათლილი, ფოროვანი ტუფის, ე. წ. შირიმის ფილებით. ფასადები ძუნწადაა მორთული. კედლების სიბრტყეები მხოლოდ თაღებითა და ნიშებითაა დანაწევრებული, რაც ქმნის იმპოზანტურობის, დიდებულების შთაბეჭდილებას. ალავერდის ხუროთმოძღვარმა შექმნა საეკლესიო ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული გენიის უმაღლეს მხატვრულ მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ ალავერდის ტაძარი განსხეულებული კახური მრავალჟამიერია.

X-XI საუკუნეებში კახეთის არქიტექტურაში იკვეთება აგრეთვე სხვა მიმართულებებიც, რომლებშიც ყალიბდებოდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ერთი საერთო ნიშანი – ერთი მხრივ, ნაგებობის გრანდიოზულობა და დიდებულება, ხოლო მეორე მხრივ – კეთილსახოვნება. ორივე ეს მიმართულება განსაკუთრებულად ვლინდება ამ პერიოდის ორ საყურადღებო ნაგებობაში – ბოჭორმისა და კვეტერის ციხეების ეკლესიებში. მათ ფორმებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, ისინი ერთიმეორის გვერდით დგას როგორც დამოუკიდებელი, თავისი მხატვრულობით გამორჩეული ქმნილება.

კომპოზიციური თვალსაზრისით კვეტერის ეკლესია ძველი შუამთის II გუმბათოვანი ეკლესიის თავისებური გამოძახილია. ესაა პატარა და საოცრად მოხდენილი ნაგებობა. გეგმის საფუძველი, ისევე როგორც მის პროტოტიპში, აქაც ტეტრაკონქია. ეკლესია შიგნით და გარედან მოპირკეთებულია სუფთად ნათალი და სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, შირიმის, სწორკუთხა ფილებით. ხუროთმოძღვარი ცვლის წინა საუკუნეებში გამომუშავებულ ყველა თანაფარდობას. პირველ რიგში ის სრულიად სხვაგვარად აყალიბებს გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლის სისტემას, რაც მიღწეულია სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის თაღების მონაცვლეობით. გუმბათქვეშა წრე გაცილებით მაღლაა „ატანილი“ გუმბათქვეშა თაღებზე, რაც სივრცის ამაღლებულობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეკლესიის შიდა სივრცის სტრუქტურასთან შეწონასწორებულია გარეთა ფორმებიც; შენობის თითოეული ნაწილი დამოუკიდებელ მოცულობად აღიქმება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი თავისებური შეხამებისა და რეგულირების წყალობით მთლიანობა არ ირღვევა. ყოველი ნაწილი შემკულია ნახევარკოლონების კონებით, რომელთა სიუხვის უკან თითქოს კედლის მასაც კი შეუმჩნეველია. შეიძლება ითქვას, რომ კვეტერის ტაძარში მაქსიმალურადაა გამოყენებული შირიმის დეკორატიული შესაძლებლობები. მასალისა, რომელიც იოლად არ ექვემდებარება დეკორატიულ დამუშავებას.

პროპორციების დახვეწილობით, მოხდენილი არქიტექტურუ-



ყვარელი. ცხრაკარას ეკლესია. VIII-IX სს.

ლი ფორმებით და მხატვრული გაფორმების სრულყოფითაა გამორჩეული ბოჭორმის ეკლესიაც, რომელიც სრულად ეპასუხება ეპოქის მხატვრულ



ვაზისუბანი. სანაგირის ბაზილიკა. X ს-ის მიწურული

ამოცანებსა და დეკორატიულ მოთხოვნებს. კვეტერისგან განსხვავებით, ბოჭორმის ეკლესიაში ექვსი აფსიდია. კუთხეები აქაც ნახევარკოლონებითაა მორთული, საშენი მასალა აქაც ნათალი ქვაა – წყობის თანაბარი რიგებით. გაწყობის ელემენტებია: ნახევარკოლონები, თაღები, ზოლურები. მაგრამ, როგორც გეგმის, ისე ხუროთმოძღვრულ ფორმათა კომბინირებაში და დეკორაციული გაწყობის სისტემაში, აქ სრულიად სხვაგვარი მიდგომა ვლინდება. ბოჭორმის ეკლესიის კორპუსი გარედან დანაწევრებულია სამკუთხა ნიშებით.

ნაგებობის საერთო სახის წარმოსადგენობის მისაღწევად იგივე საშუალებები და ელემენტებია გამოყენებული არა მხოლოდ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიასა და კუნ-



ჭერემი. საკათედრო ტაძარი. X-XI სს.

ტურის საყდარში, არამედ XIII საუკუნის და XIV საუკუნის დასაწყისის ძეგლებზეც.

XII საუკუნის დასაწყისიდან კახეთის სამეფო შედის გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში, რომლის გავლენა ვრცელდებოდა კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. XII საუკუნიდან XIII საუკუნემდე კახეთში გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლები არ გვხვდება. თუმცა, ქვეყნისათვის ამ პოლიტიკური გარდატეხის დროს, შემოქმედებითი სული და მხატვრული ტრადიციები არ შენელებულა.

X-XI საუკუნეებში დამკვიდრებული „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპი ამ დროის საეკლესიო ნაგებობებში კვლავ განაგრძობს არსებობას. შენობებს აერთიანებს ფასადების დეკორატიული დამუშავების მხარეც, რა თქმა უნდა, ორნამენტული მორთულობის გარკვეული შეზღუდვებით. სწორედ XIII საუკუნის I ნახევარში აშენდა დიდი, გუმბათოვანი ეკლესია კარდანახის საბაწმინდის მონასტერში და ფუძნარის გუმბათოვანი ეკლესია, ხოლო უფრო გვიან (სავარაუდოდ, XIV ს-ის შუა წლებამდე) – ნატიფი და საოცრად დახვეწილი, გუმბათოვანი ტაძარი საჩინო (ზემო ხოდაშნის მიდამოები).

გუმბათოვან ეკლესიებთან ერთად, ეს პერიოდი საყურადღებო, დარბაზული ეკლესიებითაცაა წარმოდგენილი. ისინი ტრადიციული, კახური საშენი მასალით – რიყის ქვითაა ნაშენი. ზოგ შემთხვევაში ნაგებობა იმოსება სუფთად ნათალი და სწორხაზოვნად დაწყობილი შირიმის ფილებით. სარკმლები გაფორმებულია ლილვებით – მათ შორის გრეხილი ლილვითაც. საპირეების თაღის ქუსლები და ქვედა კუთხეები კვადრატებითაა გამოყოფილი, რომლებშიც ამოკვეთილია ვარდულები. ფასადზე ჩნდება ჩუქურთმით შემკული გირჩებიც. ამ პერიოდის ეკლესიებიდან აღსანიშნავია: ზემო ხოდაშნის დედათა

მონასტრის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (დაახლ. – XIII ს.), ამავე სოფლის მიდამოებში მდებარე ე.წ. ტარიელაანთ საყდარი (განვით. შუა საუკუნეები) და კურტანაძეულის წმინდა მარინეს ეკლესია (XIII ს.) სოფ. მატანთან. ამავე ხანებში დასტურდება ორსართულიანი ეკლესიების აგების შემთხვევებიც (უებოტა, მარტყოფი, ართანა). გარდა ამისა, იგება მესვეტეთათვის განკუთვნილი კოშკური ნაგებობებიც, რომლის



კვეტერა. ციხის ეკლესია. X ს-ის II ნახევარი

უძველესი ნიმუში ერთ-ერთი „ათსამმეტ მამათაგანის“ წმ. ანტონის მიერ VI საუკუნის II ნახევარში სოფ. მარტყოფის მახლობლად აგებული კოშკი-სვეტია. განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებულ ამ ტიპის ნაგებობათაგან როგორც სტრუქტურით, ისე შესრულების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ქისტაურის ნათლისმცემლის ეკლესიასთან მდგარი სამსართულიანი კოშკი-სვეტი.

ამ პერიოდის კულტურული აღმავლობის კარგი მაჩვენებელია დავითგარეჯის სამონასტრო მშენებლობა, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. გარე კახეთის ამ უდაბურ, უტყეო, კლდოვან მთებში, VI საუკუნეში, ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად, საქართველოში სირიიდან დაბრუნებულ „ათსამმეტ მამათაგან“ ერთ-ერთი, წმინდა დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად დასახლდა გარეჯის უდაბნოს ბუნებრივ მღვიმეში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ აღგილას მონასტრის დაარსებას. იგი დავითის ლავრის სახელითაა ცნობილი. IX საუკუნეში აქ მოღვაწეობას იწყებს წმინდა ილარიონ ქართველი, რომელიც აფართოებს მონასტრის ეკლესიას და ახალ ფილიალსაც აარსებს. დროთა ვითარებაში გამოქვაბულ მონასტერთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა და ჩამოყალიბდა მძლავრი რელიგიურ-კულტურული ცენტრი, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, რამაც ხელი შეუწყო მათ დაწინაურებას. მოყოლებული VI საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე დავითგარეჯის მრავალმთის მონასტრები კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის როგორც რელიგიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში.

XV საუკუნე ძირითადად მონღოლთა ურდოებისა და თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენის პერიოდია. სამეფო კარს უკვე აღარ ძალუძს ძველი დიდების შემობრუნება. ქვეყანა დაშლილი იყო ცალკე სამეფოებად და სათავადოებად. XV საუკუნის II ნახევარში კახეთი ისევ ცალკე სამეფოდ გამოიყო.

კახეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამ პერიოდში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით უკეთესი იყო, რადგან იგი, მეტ-ნაკლებად, მაინც გადაურჩა ძარცვასა და მიწასთან გასწორებას.

XVI საუკუნიდან კახეთში ახალი აღმავლობის ხანა იწყება. მთელი XVI საუკუნის განმავლობაში და XVII საუკუნის პირველ წლებში გაცხოველებული აღმშენებლობაა. შენდება ანსამბლები, იმპოზანტური საეკლესიო ნაგებობები, სამეფო რეზიდენციები გრემსა და ბაზარში (ახლანდელი ზაგემი), საქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები და სხვ.

მშენებლობის მასშტაბებით ამ დროის კახეთი, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, გაცილებით დაწინაურებულია. ნაგებობები გამოყვანილია ძირ-



ბოჭორმა. წმ. გიორგის ეკლესია (აფეთქებამდე). X ს. 1920-იანი წლების ფოტო

ითადად აგურით, ხუროთმოძღვრები ეკლესიებისთვის იყენებენ ირანული არქიტექტურის ელემენტებსა და დეტალებს, ახდენენ მათ იმიტაციას.

სამშენებლო საქმიანობის აღმავლობის მიუხედავად, ამ პერიოდის არქიტექტურა მაინც ხასიათდება შემოქმედებითი ძიებისა და ოსტატობის დაქვეითებით, მხატვრული ჩანაფიქრისა და დეკორატიული მიდგომების გამარტივებით. წინა ეპოქებიდან განსხვავებით, სატაძრო ნაგებობების გეგმებსა და საერთო ფორმებში აღარ შეინიშნება შემოქმედებითი ზრდის ტენდენცია, პირიქით, ვლინდება ერთგვარი რემისია, რაც გამოიხატა დეკორატიულ მორთულობაშიც. არქიტექტურული თემის და კონსტრუქციულ საკითხებთან მიმართებით არაფერი შეცვლილა. წინა ეპოქებში გავრცელებული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი (ორ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით) კვლავ განაგრძობს არსებობას. კომპოზიციის ყოველი დეტალის და მათი ცალკეული ელემენტების დამუშავების მიუხედავად, წინა ეპოქების ძეგლებისაგან განსხვავებით, ეს ნაგებობები ვერ აღწევს სრულყოფილების და ოსტატობის ხარისხს, თუმცა, მხატვრული ძიების არსებობა მაინც შესამჩნევია, რაც ძირითადად გამოიხატა შენობათა მასების სხვაგვარ აგებასა და პროპორციების გამწვავებულ შეფარდებაში. ამ ტაძართა ინტერიერების სივრცობრივი გადაწყვეტა აგრძელებს და უფრო აძლიერებს ქართული არქიტექტურის ისტორიული განვითარების დამახასიათებელ იდეას – სიმაღლისკენ სწრაფვას, რომელმაც თავის მაქსიმალურ ზღვარს სწორედ ამ ეპოქის ძეგლებში მიაღწია (ახალი შუამთის, გრემის მთავარანგელოზთა, შიხიანის აღდგომის და ჭიკაანის კვირაცხოვლის ეკლესიები). კახთა მეფეების მიერ აგებულ ამ ძეგლთა თავისებურებაა ისიც, რომ, წინა ეპოქისაგან განსხვავებით, ისინი მთლიანად აგურითაა ნაგები. აგურის წყობა განსაზღვრავს დეკორატიული სისტემის ხასიათს. ყოველი ფასადი დანაწევრებულია სხვადასხვა მოხაზულობის, ოდნავ შეღრმავებული არეებით, რომლებიც გაფორმებულია შეღრმავებული ჯვრებით, თაღოვანი ნიშებით, რომბების კომბინაციით



ალავერდის ტაძარი. XI-ს-ის I მეოთხედი



კარდანახი. წმ. საბას ეკლესია. XIII ს-ის I ნახევარი

და ა.შ. მთლიანად აგურითაა ნაგები ამ პერიოდის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ნაგებობა ნინოწმინდის მონასტრის სამრეკლო, რომელიც გამოდის კახეთის ჩვეულებრივი სამრეკლოების რიგიდან და მაღალი სტილის, კარგად გააზრებულ, მხატვრულად დასრულებულ ქმნილებას წარმოადგენს. მაგრამ, ამავე დროს, ამ არქიტექტურული ნაწარმოებების გვერდით, ჩვენ ვხედავთ ძეგლთა ჯგუფს [ე. წ. ბახთალოს ეკლესია (ყოფ. ქ. ბაზარი), თარაქის „ვედრებისას“ წმ. გიორგის ეკლესია, ზემო ალვანის სამების ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია მატანში,ახატელის ღვთაების ეკლესია], რომლებშიც იგრძნობა შემოქმედებითი ენერგიის ერთგვარი მინელება. გარედან ისინი სრულიად სადაა, მხოლოდ გუმბათის ყელია დამუშავებული. კედლის სიბრტყეები დაუნაწევრებელია, უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია ყოველგვარ დეკორატიულ სამკაულს.

კახეთის ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ ფართოდ გაშლილი, სამშენებლო საქმიანობა XVII საუკუნის დასაწყისში (სპარსეთის შაჰის აბას I-ის მიერ 1614-1616 წლებში განხორციელებული ლაშქრობების შედეგად) ერთბაშად შეწყდა. ნანგრევებად იქცა ულამაზესი ქალაქი გრემი. იგი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც გვიანდელი შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს დედაქალაქი, არამედ როგორც ურბანული არქიტექტურის ნიმუში, რომელშიც კარგადაა შემორჩენილი როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ნაშთები, ისე ინფრასტრუქტურის ელემენტები.

XVIII საუკუნეში კახეთში კვლავ დაიწყო მშენებლობის აღორძინება. კახეთს, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ახლაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ახალ ნაგებობათა რაოდენობით. ამ პერიოდის საეკლესიო მშენებლობაში რაოდენობრივი უპირატესობა სრულიად მარტივ, დარბაზულ ეკლესიებს ეკუთვნის, თუმცა, მათ შორის ზოგიერთი, როგორც გეგმარებით, ისე შესრულების ხარისხით, უდავოდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს (საგარეჯოს პეტრე-პავლეს, ფიჩხოვანის ხარჭაშნის ღვთაების, ჯიმითის ყველაწმინდის ეკლესიები). შენდება გუმბათოვანი ეკლესიებიც, რომლებშიც ძველი,არქიტექტურული თემების რემინისცენციის შემთხვევებსაც ვხვდებით. ამის მაგალითია: ღვთისმშობლის პატარა ეკლესია მანავში, რომელიც, წარწერის თანახმად, გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ეფთიმეს მიერ 1794 წელსაა აგებული; გურჯაანის ქაშვეთისა და მელაანის ღვთისმშობლის ეკლესიები. მომდევნო პერიოდის საეკლესიო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია სოფ. ქოდალოს ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია, რომელიც 1817-1835 წლებს შორის აუგია კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, მეფე გიორგი XII-ის მინბაშს, აბელ ანდრონიკაშვილს.



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი. XVI ს.

კახეთში მრავალი სამრეკლოა შემორჩენილი. მათი დიდი ნაწილი დაუთარიღებელია. დღემდე შემორჩენილი სამრეკლოებიდან XV საუკუნეზე ადრეულად მიჩნეულია ვეჯინის ციხეში, ამაღლების ეკლესიის დასავლეთით მდგარი სამრეკლო.



ვეჯინის ციხე. წმ. მარიამის ეკლესიის სამრეკლო. XV ს.

სამრეკლოების მეორე ჯგუფი ლევანის მეფობის ხანას (1520-1574 წწ.) შეიძლება დაუკავშირდეს. ესაა ალვანის ნათლისმცემლის, გრემის ღვთისმშობლის მიძინების დარბაზული ეკლესიის, კარდანახის საბა-წმინდის, საყდრიონის წმ. გიორგის და ფონას ეკლესიების სამრეკლოები. ისინი მიშენებულია ეკლესიის რომელიმე შესასვლელზე ისე, რომ სამრეკლოს ქვედა სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს.

XV-XVI საუკუნეებს განეკუთვნება ახშანის გორისჯვრის ეკლესიასთან მდგარი სამრეკლო, რომლის ქვედა სართულზე სამლოცველოა მოწყობილი.

მომდევნო პერიოდისაა ლელიანის წმ. თევდორეს ეკლესიის სამრეკლო, რომელიც ტაძრის შეკეთების დროსაა ჩადგმული, მატნის ცხრაკარას მონასტერში მთავარი ბაზილიკის ჩრდ. ნავზე დაშენებული ფანჩატური და სხვ.

კახელ ხუროთმოძღვართა მხატვრულ-შემოქმედებითი დონის კარგი მაჩვენებელია საერო და სამონასტრო ნაგებობებიც. ადრეული პერიოდის საერო ხუროთმოძღვრება ძირითადად რეული არც ერთი არ არის. საქართველოში პირველი დათარიღებული სამრეკლო არის გუდარეხის მონასტრის სამრეკლო, რომელიც მასზე დაცული წარწერის თანახმად, 1272 წელსაა აგებული.



ნინოწმინდის მონასტერი. სამრეკლო. XVI ს.

კახეთში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამრეკლოების უმარტივესი სახე – ეკლესიის სახურავის კეხზე დაფუძნებული, თაღებით გახსნილი, პატარა კიოსკი. გვხვდება ორსართულიანი სამრეკლოებიც – კუბური ფორმის ნაგებობაზე დადგმული რვაწახნაგა ფანჩატური, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქვედა ნაწილს არ უკავშირდება. გვხვდება ასევე ფანჩატურით დაგვირგვინებული, დიდი, მრავალსართულიანი ნაგებობები.

კახეთის უძველესი სამრეკლოები (ვეჯინი, შიხიანი, წინანდალი, ლალისყური) ეკლესიასთან ახლოს მდგომი ნაგებობებია. ამათგან ყველაზე



ჭიკაანი. კვირაცხოველის ეკლესია. XVI ს.

სასახლეების სახითააა წარმოდგენილი (კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ველისციხე, ნეკრესი, ჭერემი, თიანეთი). სტრუქტურული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი არსებითად ერთი და იმავე ტიპის ნაგებობებია – მცირედი სახესხვაობით. თითოეული მათგანი მკაფიოდ არის დანაწევრებული ფუნქციური მოთხოვნილებების შესაბამისად. ყველა შენობა ორსართულიანია. ქვედა სართულში თავმოყრილია დამხმარე, სამომსახურო სათავსები, ზედა სართულში კი – ფეო-

დალის სამყოფელი და საზეიმო დარბაზი. ზედა სართული მნიშვნელოვნად მაღალია ქვედაზე. გრძივი ფასადის მხარეს იგი დანაწევრებულია თანაბრად განლაგებული განიერი, მაღალი, თაღოვანი ღიობებით. ფრონტონით დასრულებული განივი ფასადების მხარეს ორ-ორი თაღოვანი ღიობია. საეკლესიო ნაგებობებისგან განსხვავებით, აქ გადახურვა ბრტყელია, ხის კოჭებზე. ნაგებობები ქვითაა ნაშენი. ვაჩნაძიანსა და თიანეთში გამოყენებულია აგური – დიფერენცირებულად. აგური ყოველთვის დიდი ზომისაა. აგურითაა ნაწყობი თაღები და კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო დეტალები. სასახლეებთან, არქიტექტურული გადაწყვეტით, ახლოს დგას იყალთოს მონასტრის აკადემიის სატრაპეზოს ნაგებობები. ინტერიერისა და ფასადის თავისებური გაფორმებითაა გამორჩეული სოფ. კალაურის მახლობლად მდებარე ნათლისმცემლის მონასტრის სატრაპეზო, რომელიც წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, IX საუკუნით უნდა დათარიღდეს.

XVI საუკუნის საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ძეგლთაგანია ლევან კახთა მეფის მიერ სოფ. ალვანთან აგებული სასახლე, ე. წ. ცხრაკარა. XVI საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება ამ სასახლიდან შორიახლოს მდგარი მეორე სასახლე. განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამჟამად დიდად სახეშეცვლილი არჩილ მეფის სასახლე თელავში (1667-1675 წწ; გადაკეთებულია XVIII და XIX სს-ში), რომელიც ე. წ. ბატონის ციხის კომპლექსშია ჩართული. საერო არქიტექტურის საინტერესო ნიმუშია მიტროპოლიტ საბა ტუსიშვილის სახლი ნინოწმინდაში (XVIII ს-ის 70-იანი წლები). აღსანიშნავია კახეთის საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი ჯგუფი, რომლებშიც სამეურნეო, საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქციებია შერწყმული (რუისპირის ადამაანთ ციხე, ახმეტის ჯანდიერაანთ ციხე და ზემო ხოდაშნის ბერაანთ ციხე).

კახეთის ხუროთმოძღვრებაში, საეკლესიო ნაგებობათა გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სათავდაცვო, ანუ სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს. უჯარმის, თელავის, კვეტერის, ბოჭორმის, ვეჯინის, ხორნაბუჯის, მანავის, პანკისის და თორღვას ციხე (მაწიმისწყლის სათაოებში) კახეთის უძველესი ციხეებია. ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებშია აგებული და ქვეყნის თავდაცვის ერთიან სისტემას ქმნიდნენ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უჯარმის, კვეტერის, ბოჭორმის და ვეჯინის ციხესიმაგრეებს. კახეთში ყველაზე ძლიერ და გავლენიან პუნქტებად ეს ციხეებია მოხსენიებული. ციხესიმაგრეებთან ერთად,



მელაანი. ღვთისმშობლის ეკლესია. XVIII ს-ის მიწურული



დავითგარეჯა. ლავრის მონასტერი. VI-XVIII სს.



იყალთოს მონასტერი. აკადემიის შენობა. XII-XIII სს-ის მიჯნა

შენდებოდა ციხე-დარბაზები, გალავნები და კოშკები, მეფეთა და ფეოდალთა სასახლეები, ქალაქისა და სოფლის საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულ ნაგებობათა ქრონოლოგია დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს – დაწყებული ადრინდელი შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე – და ყოველი მათგანი ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს.

კახეთის ციხესიმაგრეები წმინდა სამხედრო-სათავდაცვო შენობებია, სადაც, გარდა გარნიზონის სადგომებისა, სხვა რაიმე მუდმივი საცხოვრებელი არ არის.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აგებდნენ ციხე-გალავნებს, რომლებიც განკუთვნილი იყო (განსაკუთრებით ლეკიანობის დროს) ერთი ან რამდენიმე სოფლის მოსახლეობის შესახიზნად. ასეთი გალავნები შენდებოდა ვაკე ადგილას, ჩვეულებრივ, მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ დიდ სოფლებში. გალავანი აღჭურვილი იყო ფართო ჭიშკრებით – ხალხისა და საქონლის სწრაფად შესახიზნად. გალავანს არავითარი შიდა სათავდაცვო ნაგებობა არ გააჩნია. იგი შედგება საკუთრივ კედლებისა და მათ ხაზში ჩართული კოშკებისაგან, რომელთაგან ზოგი საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. ციხე-გალავნის დანიშნულებას ასრულებდა ცალკეულ ტაძართა ზღუდეებიც, რომლებიც თავიანთი ფართობით დიდად აჭარბებდა ციხესიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებს.

ყველა სახის სათავდაცვო ნაგებობაში ძირითადი ელემენტი არის კოშკი. XVIII საუკუნის ნახევრიდან, ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების შემდეგ, უპირატესობა ენიჭება მრგვალ კოშკებს. სწორკუთხა კოშკი იშვიათია.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, კახეთის ხუროთმოძღვრების განვითარება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. აღარ შენდება ციხესიმაგრეები და სხვადასხვა სახის სათავდაცვო ნაგებობები. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში მიზანდასახულად ინერგება რუსულ-ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმები და ელემენტები (მაგ. ვაზისებ-



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი. ხარების ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ის მიწურული



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი, სატრაპეზო. X-XI სს-ის მიჯნა

ნის ნათლისმცემლის ეკლესია); ხდება ეკლესიათა საფუძვლიანი შეკეთება-გადაკეთება. არის შემთხვევები, როცა რუსეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისთვის და ჯარის ნაწილებისათვის შენდება ახალი ეკლესიები (დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, გომბორი). მიუხედავად ამისა, ეროვნული, ხუროთმოძღვრული ტრადიციები არ ჩამკვდარა. ეკლესიების მშენებლობას გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ძირითადი ყურადღება გადატანილია საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაზე. მათ ნაწილზე ნათლადაა ასახული შემოსული, ხუროთმოძღვრული ფორმების ადგილობრივ ფორმებთან ტრანსფორმაციის შედეგი (ჭავჭავაძეების სასახლე ყვარელში, დიმიტრი აფხაზის სასახლე კარდანახში, ჭავჭავაძეების სასახლე წინანდალში, დავით სარაჯიშვილის სახლი ბაკურციხეში, ლეჟან ჯანდიერის სახლი ვაჩნაძიანში და სხვ.), რაც საგანგებო ეთანხმება კახეთის ხუროთმოძღვრების ზოგად მიმართულებას XIX საუკუნეში.

კახეთში არაერთი ეკლესია იყო მოხატული. შემორჩენილი ნიმუშები ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ვრცელ პერიოდს მოიცავს. ადრინდელ ძეგლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გვხვდება კედლის ქვის წყობის იმიტაცია გრაფიკული ნახატით (ერწოს სიონი, ჟალეთის ბაზილიკა, ყვარლის სამების ეკლესია). XI საუკუნის მოხატულობის მცირე ნაწილია შემორჩენილი ალავერდის ტაძრის აფსიდში – ეკლესიის მამების მონუმენტური ფიგურები და გრანდიოზული ორნამენტის ფრაგმენტები. ტაძარში ასევე შემორჩენილია: XV, XVI და XVIII საუკუნეების მხატვრობის ნაშთებიც. XI საუკუნეში მოიხატა ძველი შუამთის მონასტრის დიდი გუმბათოვანი ეკლესია. XI საუკუნის I ნახევარში დაიწყო ოზაანის ამაღლების ტაძრის მოხატვა, რომელიც დასრულდა XIII საუკუნეში. XII საუკუნის დასწყისს განეკუთვნება ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. XIII საუკუნისაა არგოხის ყველაწმინდის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც მეტად დახელოვნებული ოსტატის მიერაა შესრულებული. ამავე დროით თარიღდება ასევე სანაგირის ბაზილიკისა და რუისპირის წმ. შიოს ეკლესიის მოხატულობები.

კახეთის მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გარეჯის ფერწერულ სკოლას, რომელმაც თავისი არსებობის ხუთი საუკუნის განმავლობაში



ნეკრესის მონასტერი. ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები. „ღვთისმშობლის მიძინება“

ასახა მონუმენტური მხატვრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. გარეჯის ფერწერული სკოლიდან უძველესია დოდორქის მონასტრის წმინდა ნინოს ეკლესიის მოხატულობა (IX ს.). გარეჯის მრავალმთის მონასტრების კედლის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა გამოსახულებების სიმრავლე, მ. შ. საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა – ბერთუბნის ეკლესია, მეფე დემეტრე II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია). გარეჯის სამხატვრო სკოლის ერთ-ერთი თავისებურებაა ეროვნული წმინდანის წმინდა დავითის ცხოვრების ამსახველი ციკლის შექმნა. უდაბნოს მონასტერში ორი ასეთი ციკლია, რომლებიც წმინდა დავითის სასწაულთანაა დაკავშირებული. ერთი მათგანი ორმოცი წამებულის ეკლესიაშია, მეორე – მონასტრის მთავარ ეკლესიაში. ცალკე უნდა გამოვყოთ ბერთუბნის მონასტრის საკრებულო ტაძრის მოხატულობა (XII-XIII სს.) ღვთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ციკლით.

XVI საუკუნეში კახეთში არაერთი ეკლესია მოიხატა (გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი, მატნის ცხრაკარა, ვეჯინის ამაღლების ეკლესია, ახალი შუამთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესია, ნეკრესის მონასტრის ბაზილიკა და სხვ.). ამ ძეგლთა შორის შესრულების დონით და მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებითაა გამორჩეული გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა. დაზიანების მიუხედავად, გარკვევით ჩანს, რომ მხატვრობა საგანგებო მნიშვნელობის სამეფო შეკვეთაა. იგი თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის უახლოესი, სტილისტიკური პარალელები ათონის მთის მოხატულობათა შორის მოიპოვება. ცნობილია, რომ XVII საუკუნეში გრემის ფერწერის განახლებაზე მუშაობდნენ მოსკოვიდან მოწვეული ოსტატებიც.

სამეფო დაკვეთების გარდა, კახეთში შემორჩენილია ე.წ. „ხალხური“ მხატვრობის მრავალი, საინტერესო ნიმუში, რომლებიც XVI საუკუნეს განეკუთვნება და ამ მხატვრობით, მეტწილად, ადრინდელი ეკლესიებია შემკული (კალაურის წმ. გიორგის ეკლესია – 2009 წელს მხატვრობის კონსერვაციისას, აფსიდის ჩრდ. ნაწილში, ჭვარტლისა და სანთლის მოხსნის შემდგომ, გამოჩნდა წმინდა ნინოს გამოსახულება შესაბამისი, ასომთავრული წარწერით, ზეგაანის მონასტრის წმ. მარინეს ეკლესია, ერელაანთ საყდარი მატანთან, ფიჩხოვნის ნათლისმცემლის ეკლესია და სხვ.).

1823 წლით დათარიღებული, მეტად საინტერესო კედლის მხატვრობა ამკობს ბოდბის მონასტრის ბაზილიკას. მისი დამკვეთია დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილი, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი.



ვეჯინის ციხე. ამაღლების ეკლესიის მოხატულობა. XVI ს. „ლაზარეს აღდგინება“



კალაური. წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის II ნახევარი

შუა საუკუნეების კახეთის არქიტექტურამ შემოგვინახა უამრავი ძეგლი, რომელთაც ნამდვილი, მხატვრული ღირებულება აქვს და ცხოველმყოფელი შემოქმედების კვალს ატარებს.

კახეთის სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის ძეგლები, ისევე როგორც სრულიად საქართველოსი, ხასიათდება პროპორციების გარკვეული სიმკვეთრით, ნაწილთა ჰარმონიული შეთანხმებით და მასშტაბით. ისინი არ გადიან განსაზღვრული, „ადამიანური“ ზომების საზღვრებიდან. შიდა სივრცე გამოირჩევა რბილი, დენადი, ბუნებრივი გადასვლებით ერთი შემადგენელი ნაწილიდან მეორეზე. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს სინათლის წყაროების განაწილების სისტემა. სინათლის მთავარი წყარო თავმოყრილია გუმბათში, მას ემატება სარკმლებიდან და შესასვლელებიდან შემოსული შუქი, რომელიც რბილი გადასვლებით იატაკამდე აღწევს.

თავისი განვითარების გრძელ გზაზე კახეთის არქიტექტურა ქმნის შიდა სივრცეს, რომელშიც სრული სიცხადითაა გადმოცემული თავისუფლების, სიმაღლისა და სიდიადის შეგრძნება.

აუცილებელია აღინიშნოს კახეთის ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც მთელი ქართული ხუროთმოძღვრებისთვის საერთოა, ესაა არქიტექტურული ნაწარმოების ჩართვა გარემოში. კახეთის ხუროთმოძღვართა მიერ იქმნებოდა არა მხოლოდ განცალკევებული ნაგებობა, არამედ ერთი მთლიანი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც წარმოადგენდა გარემოს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. ამის თვალნათელი მაგალითია, თუნდაც, გრემის მთავარანგელოზთა კომპლექსის დაუვიწყარი სილუეტი კავკასიონის ქედის დიდებულ ფონზე.

თამაზ დვალი, კახაბერ კახაძე, კიაზო ფიცხელაური.



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი. XVI ს.

საბარეჯოს მუნიციპალიტეტი



• დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი
1 მცხეთის მუნიციპალიტეტი



დავითგარეჯის მრავალმთა. ლავრის მონასტერი. საერთო ხედი სამხრ-იდან



საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში.

1917 წლამდე საგარეჯოს ახლანდელი მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის თბილისის მაზრაში.

1921 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ თბილისის მაზრაში იყო. 1929 წელს გარეკახეთის რაიონის სახელწოდებით შევიდა თბილისის ოლქში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. სამხრეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით – გარდაბნის და მცხეთის, ჩრდილოეთით – თიანეთის, ახმეტისა და თელავის, აღმოსავლეთიდან – გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები. ფართობი 1491,3 *კვ მ*-ია. მუნიციპალური ცენტრია ქ. საგარეჯო. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი (საგარეჯო) და 43 სოფელი [ანთოკი, ასკილაური, ბადიაური, ბოტკო, ბურდიანი, გიორგიწმინდა, გომბორი, გორანა, დიდი ჩაილური, დუზაგრამა, ვაშლიანი, ვერონა, ვერხვიანი, ზემო ყანდაურა, თოხლიაური, თულარი, იკვლივგორანა, იორმუღანლო, კაზლარი, კაკაბეთი, კოჭბაანი, ლამბალო, მანავი, მარიამჯვარი, მზისგული, ნინოწმინდა, ოთარანი, პალდო (დუზაგრამის თემის საკრებულო), პალდო (უჯარმის თემის საკრებულო), პატარა ჩაილური, პატარძეული, რუსიანი, სათაფლე, სასადილო, უდაბნო, უჯარმა, ქეშალო, ქვემო ყანდაურა, შიბლიანი, წიწმატიანი, წყაროსთავი, ხაშმი, ხინჭები]. 2014 წლის აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 51,76 ათასი კაცია.

მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთას. მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ქედზე, აღმართულია მთები: გომბორი (1839,5 *მ*), მანავის ცივი (1682 *მ*), ცივი (1991 *მ*), ქედის თხემი მოგლუვებულია. ნაზკონტურიანი, დამრეცი კალთები დასერილია ივრის მარცხენა შენაკადების: გომბორის, ვაშლიანის, თვალთხევის, ლაფიანხევის, მანავისხევის, ჩაილურისა და სხვ. ეროზიულ ხევ-ხეობებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი გაშლილია ივრის ზეგანზე. ზეგნის მორფოლოგიურ სახეს ქმნის ტექტოგენური ფორმები – მონოკლინური და ანტიკლინური მაღლობები (ბორცვიანი და დაბალმთიანი სერები) და ვრცელი, სინკლინური ქვაბულები. ამ რელიეფზე დაშენებულია ეროზიული ფორმები: ხეობები, ხევები, ხრამები, ტერასები და სხვ. მდინარე ივრის გასწვრივ, საგარეჯოსა და კაჭრეთის შორის, წიწმატიანისა და კაჭრეთის აკუმულაციური ვაკეებია. მათ ერთმანეთისაგან ყოფს მთა საყარაულო. ვაკეები არის სამხრეთითაც: აჯის, უდაბნოს და სხვ. ზეგანზე გაბნეულია დაბალი, ანტიკლინური სერები (ნატახტრის, გორის, საქარის, ყარანლიქდარის, თეთრი უდაბნოს და იაილა-ჯიხის) და დაბალივე მთები (აქლემისგორა, დათვისსერი, დემურდაღი, თეთელი, ნაომარი, ნატახტარი, ტინიანი, ქვაკაცა და სხვ.). ივრის ზეგნის ერთი ნაწილი მთლიანად დაბალი მთიანეთია – დავითგარეჯის მრავალმთა. მთავარი წიაღისეულია ნავთობი, არის აგრეთვე გაჯის ნედლეული.

მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში, ივრის ზეგანზე, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა. გომბორის მთისწინეთში და ქვემო კალთებზე, ქედის ზემო კალთებსა და თხემზე ჰავა ზომიერად ნოტიოა.

მდინარეთა ქსელს ქმნის მდინარე იორი და მისი შენაკადები. ზოგი მდინარე (ვაშლიანი, გომბორი) მუდმივია, და-

ნარჩენები – დროებითი. მდინარე ივრიდან გაყვანილია სარწყავი არხი – სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი. ივრის ზეგანზე ბევრი ტბაა (კუპატაძის ტბა, სახარე ტბა, ქაჩალტბა და სხვ.). ყველა მლაშეა. ზოგი მათგანი ზაფხულობით მთლიანად შრება. გეხვდება მლაშე წყაროებიც.

ივრის ზეგანზე დიდი ფართობი უჭირავს მცირე და საშუალო სისქის შავმიწებს, აგრეთვე წაბლა ნიადაგებს. ზეგნის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულია ბიცობი და ღრმად დამლაშებული ნიადაგები, ხოლო დაბალ ტერასებზე, შედარებით მცირე ფართობზე – მდელოს ჭაობიანი და ტენიანი მდელოს ნიადაგები. საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია სუსტად განვითარებულ, მცირე სისქის, სხვადასხვა ტიპის ნიადაგებს. მდინარე ივრის გასწვრივ ჩამოყალიბებულია ალუვიური ნიადაგები. გომბორის ქედზე გამოხატულია ნიადაგსაფრის სიმაღლებრივი ზონალურობა: მთისწინეთსა და ქვემო კალთებზე – განვითარებულია ტყის ყავისფერი ნიადაგი. გომბორის მთისწინეთსა და ივრის მარცხენა ნაპირეთის ვაკეზე კორდიან-კარბონატული ხირხატიანი ნიადაგებია. ქედის ზემო კალთები უჭირავს ტიპურ და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებს. ყველაზე მაღალ ადგილებში ფრაგმენტულადაა გავრცელებული კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები. მუნიციპალიტეტის ნიადაგები ნოყიერია და შესაფერისი რელიეფისა და მორწყვის პირობებში უხვ მოსავალს იძლევა.

მუნიციპალიტეტში მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო მდიდარი და მრავალფეროვანია. ივრის ზეგანზე გავრცელებულია უროიანი და ვაციწვერიანი სტეპი. დიდი ფართობი უჭირავს ჯაგეკლიან სტეპს ტყის ფრაგმენტებით. ივრისპირას შემორჩენილია ჭალის ტყე. გომბორის ქედის მთისწინეთში არის მუხნარ-ჯაგრცხილნარი და ჯაგეკლიანი სტეპი. მთის ქვემო კალთები დაფარულია მუხნარ-რცხილნარით, ზემო – წიფლნარით, რომელსაც ურევია ნეკერჩხალი, რცხილა და სხვ. ქედის სამხრ. კალთებზე, აქა-იქ, მთის ფიჭვნარია, მას ვრცელი ტერიტორია უჭირავს მარიამჯვრის ნაკრძალში. მუნიციპალიტეტში არის ივრის ნაკრძალი. გომბორის ქედის ყველაზე მაღალ ადგილებში გავრცელებულია მეორეული სუბალპური მდელოები.

მუნიციპალიტეტში გავრცელებულია როგორც ტყის, ისე სტეპის ცხოველები. აქ ბინადრობენ: მურა დათვი, შველი, მგელი, მელა, კვერნა, მაჩვი, ტურა, აქა-იქ არის ზოლებიანი აფთარი, ენოტისებრი ძაღლი. ფრინველებიდან – კაკაბი, ხოხობი, მწყერი, გარეული მტრედი, შაშვი, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ყვავი, ქორი და სხვ. მდინარეებში არის ქაშაყი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა, თაღლითა და სხვ.

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს სოფლად (2010 წლის მონაცემებით 51190 კაცი). მდინარე ივრის ხეობასა და გომბორის ქედის მთისწინეთში. განსახლების ძირითადი ზონა ვრცელდება ზღვის დონიდან 400-800 მ ფარგლებში. მოსახლეობის უმეტესობა ქართველებია. ცხოვრობენ აგრეთვე აზერბაიჯანლები, რუსები და სხვ.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი 16%-ია, მრეწველობის – 4%, განვითარებულია ვაჭრობა (28%), მიმდინარეობს მშენებლობები (2%). ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეებია: მევენახეობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა, სარძევე-სახორცე მესაქონლეობა. სავარგულებს უჭირავს 88,6 ათასი ჰა, აქედან სახნავ-სათესია 32,3 ათასი ჰა, სათიბ-საძოვრებს – 46,7 ათასი ჰა. სარწყავი ფართობი შეადგენს 20,9 ათასი ჰა-ს. ვენახს უკავია 6,7 ათასი ჰა. ნათესი ფართობი შეადგენს 28,5 ჰა-ს (ძირითადად მოჰყავთ მარცვლეული და მზესუმზირა).

მრეწველობა ძირითადად ემყარება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილის-თელავის სარკინიგზო ხაზი და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზები: თბილისი-გომბორი-თელავი და თბილისი-საგარეჯო-სიღნაღი.

001. საბარეჯო, ქალაქი, მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთის მთისწინეთში, მდ. თვალთხევის (ივრის მარცხენა შენაკადი) ორივე ნაპირზე, თბილის-გურჯაანის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 700 *მ*, თბილისიდან 58 *კმ* (რკინიგზით).

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქ. საგარეჯოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი ძვ. წ. II ათასწლეულიდან შეიმჩნევა.

წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ ქ. საგარეჯოს ადრე „თვალი“ ერქვა, იგი ზოგჯერ მოიხსენიებულია როგორც „თვალნი“, „თვალ-საგარეჯო“ და „საგარეჯო“.

სოფლის სახელწოდებად „თვალი“ ისტორიულ საბუთებში XIV საუკუნიდან ჩნდება. სახელწოდება „თვალნი“ კი მიუთითებს იმაზე, რომ აქ რამდენიმე სოფელი იყო გაერთიანებული, რასაც მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლეც მოწმობს, თუმცა, ახლა ამ სოფლებს შორის საზღვრები უკვე აღარ გაირჩევა. სახელწოდება „საგარეჯო“ ჩნდება XV საუკუნის შუა წლებიდან. პირველად ეს ტერმინი გარეჯის მონასტრების მფლობელობაში მყოფ სოფლებსა და მამულებზე ვრცელდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო“. XVIII საუკუნეში გაჩნდა სახელწოდება „თვალ-საგარეჯო“. რადგანაც სოფელი საგარეჯოს სენიორიაში შედიოდა, ამ ორი სახელის შერწყმა სავსებით გასაგები ხდება.

გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის ცნობით (კახეთში იმოგზაურა 1772 წელს): „კახეთის მხარეს თვალსაგარეჯოს უჭირავს იორის ქვედა დინება და მთისწინეთის ქვემო ნაწილი და მისი ვაკეები. მასვე ეკუთვნის კედლებით და ციხეებით აღჭურვილი ადგილები: 1. მანავი, ყველაზე განაპირა აღმოსავლეთი ადგილი. 2. ნათლუღი. 3. მარტყოფი, რომელსაც თვლიან ქალაქად. 4. ნორია. 5. ლოჭინი 6. ბატორო. 7. სეოლი. 8. მონასტერი ნინოწმინდა. 9. ნანიანი და 10. საგარეჯო, რომელსაც აგრეთვე ქალაქი ჰქვია“.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის სოფლის სახელწოდებას „თვალი“ მთლიანად ჩამოსცილდა და, როგორც დავითგარეჯის კუთვნილ სოფელს, დარჩა სახელი – „საგარეჯო“. ახლა საგარეჯოს ძველ სახელს ატარებს ქალაქის გამყოფი დიდი ხევი, რომელსაც თვალთხევი ეწოდება, და ქალაქის თავში არსებული ქრისტიანული საღოცავი – თვალთავის წმ. გიორგის ეკლესია.

საგარეჯომ მრავალჯერ განიცადა მტრის გამანადგურებელი თავდასხმა. XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის მრავალგზის შემოსევების შედეგად, დავითგარეჯის სამონასტრო ცხოვრება მოიშალა და მისი კუთვნილი სოფლები, მ.შ. თვალიც, ალექსანდრე I-მა მცხეთის საკათალიკოსოს გადასცა. 1741 წელს საგარეჯო ირანელთა მარბიელმა რაზმებმა ააოხრეს. გვიანდელ შუა საუკუნეებში ხშირი იყო ლეკთა თავდასხმები.

საგარეჯო, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდგომაც, მნიშვნელოვანი სტრატეგიულ-ეკონომიკური პუნქტი იყო. აქ გადიოდა თბილისიდან კახეთში მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. საგარეჯოზე გადიოდა აგრეთვე უკანამხრის „ცხვრის გზის“ ერთი ტოტი, რომლითაც ფშაველებს, ერწოთიანელებს და თუშებს ცხვარი შირაქიდან საზაფხულო საძოვრებზე გადაჰყავდათ.

XV საუკუნეში გარეკახეთი სამოურავოს წარმოადგენდა. მის მოურავს, რომელიც სამეფო კარის დიდმოხელე იყო, მეფე ნიშნავდა. სამოურავოს ადმინისტრაციული ცენტრი სოფ. თვალი იყო.

XVI საუკუნეში ქართლის მეფემ დავით X-მ (1505-1525 წწ.), კახეთის დაკავების მიზნით, ორჯერ ილაშქრა კახეთში. საგარეჯოელებმა მას მხარი დაუჭირეს, რის გამოც, მეფე, მეორედ, ლაშქრობის დროს მხედრიონთან ერთად, სწორედ საგარეჯოში დაბანაკდა.

XVII საუკუნეში, შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად განადგურებული საგარეჯოს აღდგენა XVII საუკუნეშივე, გარეჯის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტა-



001. ქალაქის ხედი



001. დავით აღმაშენებლის ქუჩა

ძის ძალისხმევით დაიწყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაუკაცრიელებულ სოფელში მოსახლეობის დაბრუნებას. დასახლებულებს შორის პირველები იყვნენ ქურუხის ხეობიდან ჩამოსახლებული ქურხულები. ჭიაურის ხეობიდან ჩამოსახლდნენ ჭიაურლები, ირანიდან – ჯაბადრები. გარდა ამისა, მოსახლეობა გადმოსახლდა ქართლის სოფლებიდანაც. ონოფრე მაჭუტაძის თაოსნობით აღდგა ციხე, ნათლისმცემლის, ღვთისმშობლის, წმ. შიოს და წმ. დოდოს ეკლესიები. აშენდა პეტრე-პავლეს ეკლესია, მასთან ახლოს კი – მარანი და ბერების საცხოვრებელი. მოეწყო სკოლა და ბიბლიოთეკა. მთიულეთიდან ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ, თავის მხრივ, ააგო ლაშარის ჯვრის სახელობის ეკლესია. 1736 წელს ონოფრე მაჭუტაძე გარდაიცვალა. დაკრძალეს მის მიერვე აშენებულ პეტრე-პავლეს ეკლესიის გვერდით.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებისთვის საგარეჯო უკვე ქალაქური ტიპის დასახლებას – დაბას წარმოადგენდა, სადაც დაახლ. 500 კომლი ცხოვრობდა. გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის აღწერილობით საგარეჯო გარშემორტყმული იყო გალავნით. სახლების უმეტესობა გალავანს გარეთ იდგა, დასახლების ირგვლივ კი გაშენებული იყო ვენახები და ხეხილის ბაღები.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე II-მ სივნიეთიდან (ახლანდელი მთიანი ყარაბაღი) სომხები ჩამოასახლა. ამან ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ხელოსნობის სწრაფ განვითარებას. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, თბილისელი და საგარეჯოელი ვაჭრები ხშირად ჩადიოდნენ ინდოეთში სავაჭროდ.



001. ქალაქის ხედი

XVIII საუკუნის საქართველოში ხელოსნობის ერთ-ერთ გავრცელებულ დარგს სამღებრო საქმიანობა წარმოადგენდა. განთქმული სამღებრო საგარეჯოშიც იყო. მთელ კახეთში დიდი მოწონებით სარგებლობდა საგარეჯოში დამზადებული ქვევრები.

სოფელი იყოფოდა უბნებად: გაღმა უბანი, დოდოს უბანი, ესაიანთ უბანი, კილაანთ უბანი, კუჭუანთ უბანი, ფერდის უბანი, ქვლივიძიანთ უბანი, ქურხულიანთ უბანი. მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მემინდვრეობა. მევენახეობა ნაკლებად იყო განვითარებული. მისდევდნენ მეცხოველეობასაც, ძირითადად – მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას.

1786 წლის 18 დეკემბერს ერეკლე II-მ საგარეჯოში დიდებულთა თათბირი მოიწვია. დღის წესრიგში საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი იდგა.

თათბირს გიორგი ბატონიშვილი და საქართველოს კათალიკოსი ესწრებოდნენ.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, გარეკახეთის დიდი ნაწილი, მ. შ. საგარეჯოც, თელავის მაზრაში შევიდა. ამ დროისათვის საგარეჯო გარეკახეთის კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. 1804 წლის აღ-

წერით საგარეჯოში 4 000 კაცი ცხოვრობდა.

1812 წლის კახეთის აჯანყების დროს საგარეჯოელებმა, მოურავ თადია ჩოლოყაშვილის თოჯინების თეატრი, მიხეილ ჭიაურელის სახელობის კულტურის სახლი, ხელოვნების სკოლა, ვანო მჭედლიშვილის სახელობის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის სახელოსნო. ასევე: ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა,



001. მიხეილ ჭიაურელის სახელობის კულტურის სახლი

მეთაურობით, თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

1875 წლის 20 ოქტომბერს, ალ. ცხვედაძის თაოსნობით, საგარეჯოში გაიხსნა პირველი სკოლა, რომელშიც დაწყებით განათლებას გლეხის შვილები იღებდნენ. 1921 წელს იგი შვიდწლიან სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1927 წელს – საშუალო სკოლად.

1928 წელს შეიქმნა გარეკახეთის რაიონი, რომლის ცენტრი სოფ. საგარეჯო გახდა. 1959 წელს სოფ. საგარეჯო გადაკეთდა დაბად, ხოლო 1962 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის კატეგორია.

ამჟამად ქ. საგარეჯოში ფუნქციონირებს მრავალი საჯარო დაწესებულება. მ.შ. მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების გაერთიანება, რომელშიც შედის: საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, ბიბლიოთეკების გაერთიანება, სახალხო თეატრი, ოთხი საჯარო სკოლა, ექვსი საბავშვო ბაღი, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანებები, კომპლექსური სასპორტო სკოლა, პროფესიული კოლეჯი „ილია“, სპორტული გაერთიანება (რომელშიც შედის ჭიდაობის რამდენიმე დარბაზი, კრივის დარბაზი და ცენტრალური სტადიონი), ღვინის სამი ქარხანა („საამო“, „სამება“, „გილეხი“), მეფრინველეობის ფაბრიკა, მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი „ჯეო ჰოსპიტალსი“, კლინიკა „ლაიფი“ და სხვ. გამოდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე“.

2014 წლის აღწერის მონაცემებით ქალაქში ცხოვრობს 10 871 კაცი.

გ. აფრასიძე.


ბიბლ.: 78ბ; 107; 129; 148; 200; 241ბ; 255ა,ბ; 266ა,ბ,ე; 266 ა,ბ,ე; 314ა,ბ,გ; 322ა,ბ.

002. ბიბლიოთეკა, ისტ. ძ. მდებარეობს დავით აღმაშენებლის ქ. № 13-ში. შეიქმნა 1876 წელს, სახალხო მასწავლებლის ალ. ცხვედაძის თაოსნობით. თავდაპირველად იყო სასკოლო, ხოლო 1889 წლიდან გადაკეთდა სახალხო ბიბლიოთეკად. 1895 წლიდან 1903 წლამდე ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შუა ბაზარში, მჭედელ ალექსი ვაშაძის სახლში. ამ დროს მას განაგებდა მასწავლებელი სპირიდონ გაბელაშვილი. ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი იზრდებოდა, როგორც შემოწირული წიგნების, ისე საგარეჯოს სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახალხო თეატრის მიერ წიგნთსაცავისათვის გამოყოფილი თანხებით შეძენილი ლიტერატურით. ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეუწირავს ცნობილ ქართველ მწერალს შიო არაგვისპირელს. XIX ს-ის 90-იანი წლებისათვის საგარეჯოს ბიბლიოთეკის წიგნსაცავში ინახებოდა მრავალი უნიკალური წიგნი, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკამ მრავალჯერ შეიცვალა ბინა. 1978 წლიდან იგი განთავსდა კულტურის სახლის შენობაში.

ზ. ჯამბურია.

ბიბლ.: 107.

003. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ-ით, ორიოდე კმ-ზე, ხშირი, ფოთლოვანი ტყით და-




003. გეგმა

ფარულ მთაზე. სავარაუდოდ, თარიღდება IX-X სს-ით.

ეკლ. დარბაზულია (გარე ზომები: სიგრ. – 6,83 მ, სიგ. –

3,85 მ). ნახევარწრიული აფსიდით აღმ-ით და ერთადერთი შესასვლელით სამხრ-იდან. ძირითადად ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვის (კედლების



003. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

სისქე 0,75-0,8 მ-ია) ირეგულარული წყობით, თუმცა, გარეთა კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, სწორხაზოვნად გამავალი რიგებიცაა, რ-ებიც შესაბამის კედლებს თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს. გარეთა კუთხეები ნაწყობია შერჩეული, შედარებით მოზრდილი ზომის ქვით. შიგნით კედლები ბათქაშითაა გასწორებული, რ-იც საპირე



003. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

ეკლ. ძლიერ იყო დაზიანებული. მისი დიდი ნაწილი დაფარული იყო მიწითა და მცენარეულობით. მიწის ზემოთ, ორიოდე მ-ის სიმაღლეზე, მხოლოდ გრძივი კედლების აღმ. ნახევარიღა იყო დარჩენილი, თუმცა, მათაც საფასადე წყობის დიდი ნაწილი აკლდა. შესასვლელიდან კი წირთხლების მცირე ნაწილი იყო შემორჩენილი.

2014 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის მიერ ჩატარებული სარესტ. სამუშაოების შედეგად (პროექტის ავტორი აკ. შავერდაშვილი), აღდგა კედლების დანგრეული ნაწილები. შიგნით ეკლ. გადაიხურა რიყის ქვის კამარით, რ-ის მცირე ნაწილი ორივე კედელს ჰქონდა შემორჩენილი. ეკლესიის გაწმენდითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა ღარისებრი კრამიტის მრავალი ნატეხი, რის საფუძველზეც შენობა დაიბურა ღარისებრივე კრამიტით.

შიდა სივრცე ვიწროა, პროპორციები – დადაბლებული. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ 0,2 მ-ითაა შემაღლებული. მოგვიანებით იგი დარბაზისგან რიყის ქვით ნაშენი კანკელით გაუმიჯნავთ, რ-ისგანაც შემორჩენილი იყო მხოლოდ განაპირა ნაწილები (სიმ. დაახლ. 0,6 მ). აფსიდის ორივე მხარი მთელ სიმაღლეზე დგას. ორივე უომპოსტოა და დარბაზის კამარას უშუალოდ ერწყმის. ჩანს, რომ აფსიდს თაღი არ ჰქონდა, რის გამოც კონქი და დარბაზის კამარა ერთ სიბრტყეში მდებარეობდა. აფსიდის ღერძზე, საკურთხევლის იატაკიდან 1,4 მ სიმაღლეზე, შემორჩენილია სარკმლის ძირი, რ-ის ქვემოთ, კედელზე მიყრდნობილი, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. აფსიდის გვერდებს ორმოცდაათიოდე სმ სიმაღლის საფეხური გასდევს.აფსიდის და დარბაზის იატაკი მოლესილი იყო კირის ხსნარით.

შენობის კედლები გარედან სადაა. ჩრდ. მხრიდან, მთელ




003. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

სიგრძეზე, მას მინაშენი ეკვროდა (შემორჩენილია აღმ. კედლის ნაშთი).

თ. დვალი.

004. თვალთავის წმ. გიორგის ეკლესია, თვალწმინდა გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ.-და. განაპირას, თვალთხევის მარცხ. ნაპირზე, ტყით დაფარულ, ციცაბო ფერდობზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (5,3x3,4 მ), დგას კლდოვან ფერდობზე, ხელოვნურ, მცირე ფართობის ბაქანზე და სამხრ. ფასადით ფერდობისკენაა მიმართული. ერთადერთი შესასვლელი სწორედ ამ მხრიდან, სამხრ-იდანაა. შესასვლელს წინიდან რიყის, მოზრდილი ქვებით ნაშენი, მრავალსაფეხურიანი კიბე ადგება.



004. გეგმა

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვის ირეგულარული წყობით. კუთხეებში და კედლების ქვედა ნაწილებში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. გარედან კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, შიგნით კი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის შესასვლელი ვიწროა. იგი გარედან წვრილი, რიყის ქვით გამოყვანილი, ნახევარწრიული თაღით, შიგნით კი თარაზულადაა გადახურული.დარბაზი თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 2,18 *მ*, სიგ.



004. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

– 2,1 *მ*). აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, გვერდებში კი თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ქვის ტრაპეზია მიდგმული. ტრაპეზიდან აფსიდის ჩრდ. მხრამდე, ნიშის ძირის დონეზე, მთლიანი ქვიშაქვის თაროა (სიგ. დაახლ. 30 *სმ*).

აფსიდი გადახურულია არაწესიერი ფორმის, დადაბლებული პროპორციების მქონე კონქით. კონქი აფსიდის კედელს ჩვეულებისამებრ კი არ ერწყმის, არამედ, ქუსლის დონეზე, ათიოდე *სმ*-ით, კედლის სიღრმეშია შეჭრილი, რის გამოც კონქისა და აფსიდის კედლის საზღვარზე უსწორმასწორო, მცირედ დაქანებული საფეხური იქმნება. მსგავსი საფეხური კამარის ორივე ქუსლის დონეზეცაა შექმნილი.

კანკელი ახალია, მოწყობილია 2009 წელს.

ეკლესიის ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-ის ორივე საფეხური კუთხით შვერილი აგურების თითო რიგისგან შედგება.

2004 წელს, ადგილ. მაცხოვრებლების მიერ, ეკლესიას თვითნებურად ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც დაირღვა ძეგლის ავთენტურობა (არსებულ ლავგარდანს დააშენეს ახ., უსახური ლავგარდანი და შენობა გადახურეს ღარისებრი კრამიტით). მომდევნო, ასევე თვითნებურად განხორციელებული რემონტის დროს (2011-2012 წწ.), ეკლესიის გარეთა კედლებს ჩამოაცილეს ნალესობა, გაამაგრეს და რიყის ქვებით მოაპირკეთეს შენობის ბაქანი და ეკლესიასთან ასასვლელი კიბე.

ეკლესიის ჩრდ-ით, ორმოცდაათიოდე *მ*-ის მანძილზე, დგას ღვთისმშობლის ნიში – რიყის ქვით ნაგები, სწორკუთხა გეგმის (1,52x0,92 *მ*), კრამიტის ორფერდა სახურავით გადახურული, მასიური ნაგებობა (სიმ. – 1,8 *მ*), რ-ის ერთ-ერთ წახნაგში



004. ხედი სამხრ.-დას-იდან

მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი შეღრმავებაა. სამხრ-ით კი (სამოცდაათიოდე *მ*-ის მანძილ-




004. ღვთისმშობლის ნიში

ზე), ფერდობის ძირში, შენობის ნანგრევი – რიყის ქვით ნაგები კედლის ნაწილია (სიმ. – 1,5-1,8 მ) შემორჩენილი.

თ. დვალი.

005. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქვლივიძეების უბანში, სასაფლაოზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



005. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (10,25x 6,70 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვით და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია. გარეთა კუთხეების და ალაგ-ალაგ, ფასადების წყობაში ჩართულია სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვიშაქვის ქვები. ძლიერ დაზიანებულია. კედლებიდან ყველაზე დიდ სიმაღლეზე გრძივი კედლების აღმ. ნაწილებია შემორჩენილი (მაქს. სიმ. 2,5 მ-ია), თუმცა, მათაც საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც შიგნით, ისე გარედან, ჩამოშლილი აქვს.

სამხრ. კედლის დას. ნაწილში შესასვლელია გაჭრილი, რ-ის გვერდებზე, გარედან, რიყის ქვებითვე გამოყვანილია თითო, მცირედშვერილი პილასტრი. თითქმის სწორკუთხა, კუთხეებმომრგვალებული საკურთხევლის აღმ. კედლის შუაში სარკმლის ძირია შემორჩენილი. მის ორივე მხარეს კი თითო სწორკუთხა ნიშაა. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ დაახლ. 20 სმ-ითაა შემაღლებული. გრძივი კედლები ერთიანია, უპილასტრო.

ეკლესიის გარშემო ქვლივიძეთა საგვარეულო სასაფლაოა. ზოგიერთ საფლავზე ეპიტაფიაა შემორჩენილი.

თ. დვალი.

006. კოშკი, ქვლივიძეთა ციხე, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-დას. ნაწილში, ქვლივიძეების უბანში. განეკუთვნება XVIII ს-ის II ნახევარს.

კოშკი გეგმით მრგვალია (შიდა დიამ. პირველ სართულზე – 4,35 მ, კედლის სისქე – 1,70 მ). შემორჩენილია ორსართულნახევრის სიმაღლეზე.

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. ზოგიერთი კონსტრ. ელემენტი ქართ. აგურითაა ნაწყობი.



006. ხედი სამხრ.-დას-იდან

შესასვლელი მეორე სართულის დონეზეა, ჩრდ.-დას-ით. კარი გადახურულია შეისრული თაღით, რ-იც მოქცეულია აგურით გამოყვანილ, საფეხურით შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეში. არე მოყვითალო, წმინდა ხსნარითაა შელესილი და დაგვირგვინებულია მაღალი, ორსაფეხურიანი ფრიზით, რ-იც აგურის ხერხულა და ჩვეულებრივი წყობის მონაცვლეობითაა გამოყვანილი. აგური, გარკვეული ინტერვალებით, შესასვლელის გვერდებშიცაა ჩართული. იგი აქ რიყის ქვას ენაცვლება.

პირველი სართული დამხმარეა. იგი ხის კოჭებით თარაზულად იყო გადახურული (შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები). კოჭების ძირის დონეზე, კოშკში შესასვლელის ქვემოთ, მცირე ზომის ხვრელია, რ-იც, როგორც ჩანს, სართულის ვენტილაციისთვის გამოიყენებოდა. იმავე დონეზე, კედლის აღმ. ნაწილში მეორე ასეთივე ხვრელია.



005. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

მეორე სართული საცხოვრებელია. გადახურულია სხმული, დადაბლებული პროპორციების მქონე, გუმბათოვანი კამარით. შესასვლელის მოპირდაპირედ შეისრულთაღოვანი ბუხარია. სართულზე სხვადასხვა სიმაღლის, ბრტყლად გადახურული ოთხი ნიშაა. მათგან ორში,



006. შესასვლელი

რ-ებიც დანარჩენ ორს სიმაღლით ბევრად აღემატება, თითო სათოფურია მოწყობილი. ამ სათოფურების გარდა, სართულზე კიდევ რამდენიმე ცალმაგი სათოფურიცაა.

მეორე სართული მესამეს კედლის სისქეში მოწყობილი კიბით უკავშირდება. კიბის უჯრედში შესასვლელი აღმ-ით, სართულზე შემოსასვლელი კარის გვერდითაა. კარი შეისრულთაღოვანია (შემორჩენილია თაღის ერთი გვერდი). კიბის უჯრედში, სხვადასხვა დონეზე, ორი სარკმელი და ხუთი სათოფურია განლაგებული.

მესამე სართულის შემორჩენილ კედელში (სიმ. დაახლ. 1,7 *მ*) ხუთი შეღრმავებაა, რ-ებიც ცალმაგი და შეწყვილებული სათოფურებითაა აღჭურვილი. გარდა ამისა, სართულზე კიდევ ორი შეწყვილებული და ათი ცალმაგი სათოფურია.

კოშკი გარედან სადაა და ამ პერიოდის კოშკების მსგავსად, ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება. კედლის ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. ჩრდ-ით, კოშკში შესასვლელის თავზე, გამოყვანილია საფეხურით შეღრმავებული, ოთხკუთხა არე, რ-შიც, შესაძლოა, წარწერიანი ფილა იყო ჩასმული. ამ არის ზემოთ კედელი შელესილი ყოფილა (ნალესობა თითქმის მთელ პერიმეტრზეა შემორჩენილი) და წყობის ხასიათიც, ქვედა ნაწილთან შედარებით, ოდნავ განსხვავებულია. გარდა ამისა, შეცვლილია კედლის დახრილობის კუთხეც. როგორც ჩანს, კოშკის ზედა და ქვედა ნაწილი ერთდროულად არ აგებულა, თუმცა, ქრონოლოგიურად, ისინი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან.


XX ს-ის II ნახევარში კოშკი მასზე სამხრ-იდან მიდგმული ნაგებობისათვის გამოუყენებიათ. ამ დროს კოშკის პირველი სართულის კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუნგრევიათ და იგი ამოუვსიათ რკინა-ბეტონით, საიდანაც რკინის ორი ძელია გამოშვერილი.

ადგილობრივთა გადმოცემით, აქვე, მახლობლად მდგარა კიდევ ერთი კოშკი (სრულიად დანგრეულია), რ-საც ნაცვლიანთ ციხეს უწოდებდნენ.

თ. დვალი.

007. კოშკი, არქიტ. ძ. დგას ქალაქის სამხრ.-აღმ-ით, შვიდიოდე კმ-ზე, კოშკისგორად წოდებულ, პატარა გორაკზე. სავარაუდოდ თარიღდება XVIII ს-ით.

კოშკის გეგმა კვადრატულია (7,75x7,75 *მ*). გარედან, ოთ-



007. I სართულის გეგმა

ხივე კუთხეში, ჩართული აქვს მომრგვალებული, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული შვერილები. კოშკი მთლიანად რიყის ქვითა და კირის დუღაბითაა



007. ხედი სამხრ.-დას-იდან

ნაგები. კედლების ზედაპირი გარედან გასწორებულია წმინდა ბათქაშით. შიგნით კი, კედლები, ბათქაშის გარეშეა. ძლიერ დაზიანებულია. მთელ სიგრძეზე შემორჩენილია მხოლოდ აღმ. კედელი, ჩრდ. კედელი შუა ნაწილში განგრეულია დანარჩენი კედლებიდან მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი. კოშკი, როგორც ჩანს, სამსართულიანი იყო. მისი ზედა სართული ღია იქნებოდა, ქონგურებით დასრულებული.

კოშკის სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (შემორჩენილია ძელების ბუდეები). შენობის პირველი სართულის შემორჩენილ კედლებს არავითარი ღიობის კვალი არ ეტყობა. დანამდვილებით შესაძლებელია იმის თქმა, რომ აღმ-იდან მას კარი არ ჰქონდა.

კოშკის მეორე სართულის აღმ. და ჩრდ. კედლების შუაში, თარაზულად გადახურული, გარეთკენ შევიწროებული თითო სარკმელია.

კოშკის მესამე სართულის შემორჩენილ კედლებს, რაიმე არქიტ. თუ საბრძოლო ელემენტის კვალი არ ეტყობა.

კოშკთან ახლოს დგას ობელისკი, რ-იც 1901 წელს, ნიახურის (კაკაბეთის) ბრძოლაში გამარჯვების 100 წლისთავთან დაკავშირებით, აღმართა მეფის რუსეთის მთავრობამ. ობელისკში ჩასმული იყო მარმარილოს მოზრდილი ფილა რუსული წარწერით (ამჟამად დაკარგულია).

კოშკი სათავდაცვო ნაგებობის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. მსგავსი, ოღონდ ოდნავ მოზრდილი კოშკი თელავის მუნიციპ-ის სოფ. კისისხევის ბოლოშია, გურჯაანიდან თელავისკენ მიმავალი გზის პირას.

თ. დგალი.

008. კუსთაფას ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ქალაქის სამხრ-ით, 2 კმ-ზე, მდ. თვალთხევის ორ ტოტს შუა. რკინიგზის მახლობლად, გორაზე. ნამოსახლარი ამ მხარის, ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნის ნამოსახლარების იდენტურია და, სავარაუდოდ, ამ პერიოდს მიეკუთვნება.

ძ. აღმოჩნდა შემთხვევით, მაღალი ძაბვის ანძის დადგმის დროს. ნამოსახლარი განლაგებულია თხემმოსწორებულ, მაღალ ბორცვზე (სიგრ. – 50 მ), რ-საც ტერასა შემოსდევს. ტერასის კიდეს, ირგვლივ, მცირე შემაღლება აქვს, რ-იც გალავნის ნაშთის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბორცვი დაუზიანებელია, რის გამოც ზედაპირული მასალის შეკრება არ მოხერხდა.

კ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 294.

009. ლაშარის ჯვარი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 2 კმ-ზე, თვალთხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,97x3,90 მ). ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვით. წყობაში, ალაგ-ალაგ, გამოყენებულია შირიმ-




009. გეგმა

იც. გარეთა კუთხეების მოგვიანებით განახლებული ნაწილები აგურისაა.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი მეორე სარკმელი დას. კედელშია. აფსიდში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი.

საკურთხეველი გადახურულია კონქით, დარბაზი კი – ცილინდრული კამარით.



009. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

გარედან, ეკლესიის ორივე სარკმლის თავზე, მცირე წარბია გამოყვანილი.

ალ. ელერდაშვილი.

010. მთავარმოწამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, ქურხულების საგვარეულო სასაფლაოდან ხუთასიოდე მ-ის დაშორებით, ვაკეტყედ წოდებულ ადგილზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,1x 5,0მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი შიგნით სწორკუთხაა, გარედან თაღოვანი. აღმ-ით გეგმით სწორკუთხა, კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული საკურთხეველია, რ-იც დარბაზისაგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. საკურთხევლის სიღრმე თითქმის დარბაზის სიგრძის ტოლია. საკურთხევლის აღმ. კედელში ვიწრო, ბრტყლად გადახურული სარკმელია. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია რიყის ქვით ნაშენი, კუბური ფორმის ტრაპეზი, რ-საც წინიდან, იატაკის დონეზე, მცირე ნიშა აქვს. ტრაპეზსა და ჩრდ. კედელს შორის მოწყობი-

ლია ოცდაათიოდე *სმ*-ის სიმაღლის და თითქმის იგივე სიგანის ხარისხი. სამხრ-ისა და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში და დარბაზის ჩრდ.-დას. კუთხეში თითო, მცირე ზომის, ოთხკუთხა



010. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ნიშაა. ეს უკანასკნელი კამარის ქუსლის დონეზეა.

შიგნით ეკლ. გადახურულია რიყის ქვით ნაწყობი, ნახევარცილინდრული ფორმის, ერთიანი კამარით.

ეკლესიის ფასადები სადაა, მოკლებულია ყოველგვარ სამკაულს.

2001 წელს ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. გაარემონტა, რ-ის დროსაც შენობამ თითქმის მთლიანად დაკარგა თავდაპირველი სახე: გარედან კედლების საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები აღდგენილია რიყის ქვითა და ცემენტის დუღაბით, ინტერიერი მთლიანად შელესილია გაჯით, იატაკი ქვისაა, შეცვლილია კარის გადახურვა, დავიწროებულია და შიგნიდან თაღითაა გადახურული საკურთხევლის სარკმელი. მოწყობილია ახ., უსახური ლავგარდანი (აღმ. და დას. ფასადებზე შემორჩენილი იყო აგურის ლავგარდნის ნაწილები). ეკლ. ღარისებრი კრამიტითაა გადახურული.

თ. დვალი.

011. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე მეორის ქუჩაზე. შემორჩენილი ნანგრევებით ირკვევა, რომ შენობა რიყის ქვითა და კირის ხსნარით ყოფილა ნაგები.

ამჟამად ამ ადგილას დავით გარეჯელის სახელობის ნიში დგას. ამავე ქუჩაზე მეორე ნაეკლესიარიცაა. სავარაუდოდ, ერთ-ერთი ნაეკლესიარის ადგილზე ადრე იდგა წმ. ნინოს ეკლ., რ-იც წერილობითი დოკუმენტის თანახმად, 1823 წელს „ძლიერის ქარისაგან“ დანგრეულა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 255ბ.


012. პეტრე-პავლეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის დასით, ძველ სასაფლაოზე. აუგია დავითგარეჯის წინამძღვარს ონოფრე მაჭუტაძეს (გარდაიცვალა 1736 წელს. დაკრძალულია ეკლესიის გვერდით), რასაც ადასტურებს 1712 წლის გუჯარი: „აღვაშენე თვალზე საყდარი პეტრე-პავლესი და შევამკე პატიოსანი ხატითა, ჯვრითა, სიწმინდის იარაღითა, შესამოსლებითა და წიგნებითა“. ონოფრე წინამძღვრად დაინიშნა 1690 წელს. ამრიგად, ეკლ. აგებული უნდა იყოს 1690 წლიდან 1712 წლამდე პერიოდში.



012. საერთო ხედი სამხრ-იდან

ეკლ. დარბაზულია. იგი საკმაოდ მოზრდილი (ზომები გარედან: 17,20x9,28 *მ*), აზიდული პროპორციებისაა. გარეთა კედლების წყობაში გამოყენებულია რიყის და თლილი ქვა. თლილი ქვისაა: ცოკოლი, ლავგარდნები, ოთხივე კუთხე, პორტალის თაღის სიმაღლეზე – დას. ფასადის ქვედა ნაწილი; შესასვლელების, სარკმლების, ჩუქურთმიანი ჯვრების გარშემო არეები. დანარჩენი ნაწილები კი თანაბარი ზომის რიყის ქვისაა, რ-ებიც წყობაში თარაზულ რიგებს ქმნის. კედლის ზედაპირი გასწორებულია წმინდა დუღაბით. თვით დუღაბის ფენა ძალიან სქელია და ქვები თითქოს მასშია ჩაძირული, რაც კედლებს რუხ-მოთეთრო ფერს ანიჭებს. შიგნით კედლები რიყის ქვისაა. პილასტრები, კედლის თაღები და შესასვლელთა ღიობები – თლილი ქვის. კამარა, საბჯენი თაღები და კონქი – აგურის. აგურის წყობაც, ისევე როგორც ქვისა, მაღალ, პროფესიულ დონეზეა შესრულებული. დამახასიათებელია კამარის წყობა: მისი ორივე მონაკვეთის ზედა ნაწილი შეკრული კამარის მსგავსადაა გამოყვანილი – თითოეული მათგანი ოთხი სამკუთხა ნაწილისგან შედგება, რ-თა წვეროები თავს კამარის ცენტრში იყრის. კედლები და კამარები შელესილი ყოფილა.


ეკლესიის შიდა სივრცე მაღალია და ფართო. შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან ტიმპანითაა დასრულებული, შიგნით კი გადახურულია ნახევარწრიული თაღით. ორივე შესასვლელის წირთხლები შიგნითკენ გრძელ-



012. გეგმა

ორი მწკრივითაა გაფორმებული.

ეკლესიის ფასადები უხვადაა მორთული. საფასადო მორთულობაში არსებით როლს თამაშობს მოჩუქურთმებული და ჩუქურთმებითვე მოჩარჩოებული, დიდი ჯვარი, რ-იც ამოღრმავებულ ბუდეში ზის. ჩუქურთმითაა დაფარული ბუდის ფერდებიც. ჯვარი თითქმის თანაბარმკლავებიანია, აქვს მარტივი პროფილი. იგი არსებითად მსხვილი ლილვია.




012. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

დება და თაღის ქუსლის დონემდე ქვისავე შვერილებს ქმნის.

აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, ერთი მაღალი სარკმელია, რ-ის თაღის წვერი კონქის ქუსლს სწვდება. ერთი თაღოვანი სარკმელი დას. კედელშია, ორ-ორი – ერთ სიმაღლეზე – სამხრ. და ჩრდ. კედლებში. სარკმლების თაღები შიგნით შეისრულთაღოვანია, გარედან ნახევარწრიული. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ნიშაა, რ-ის ძირი იატაკიდან ოცდაათიოდე *სმ*-ის სიმაღლეზეა. მის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორ-ორი ოდნავ დაბალი, სწორკუთხა გეგმის მქონე, შეისრულთაღოვანი ნიშაა სიმეტრიულად განლაგებული. ყველა ნიშის თაღი ერთ დონეზეა. თითო მსგავსი, ოღონდ ოდნავ განიერი ნიშა დას. კარის გვერდებზეა, ერთიც – ჩრდ. კედლის დას. მონაკვეთში, სარკმლის ქვემოთ. ამ უკანასკნელში მთლიანი ქვის ემბაზია ჩასმული. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ მცირედ შემაღლებულია.


დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი განიერი პილასტრია, რ-ებზეც გადაყვანილია შეისრული ფორმის, საბჯენი თაღი. მათ შორის აღმ. წყვილი საკურთხეველს გამოყოფს მლოცველთათვის განკუთვნილი ნაწილისაგან. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათ კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. პილასტრებს შორის გამოყვანილია მცირედ შეღრმავებული, შეისრული თაღით დასრულებული, განიერი არე. პილასტრები დაგვირგვინებულია მთლიანი ქვის, პროფილირებული კაპიტელებით, რ-ებიც წვრილი ნახევარდისკოების

აღმ. ფასადზე სარკმელი და ჯვარია. ჯვარი ლენტოვანი წნულითაა დამუშავებული. ჯვრის ბუდეს ირგვლივ ევლება შროშანის მწკრივის მოტივით გაფორმებული, ორმაგი ლილვი, რ-იც ჯვრის ქვედა მკლავის ბოლოსთან რთულ ნასკვებს ქმნის. სარკმლის საპირე ორმაგია: შიგნითა – თაღოვანია, გარეთა – სწორკუთხა. ჯვრის მკლავების ბოლოებთან სხვადასხვა



012. ხედი ჩრდ.-დას-იდან

სკულპტურული გამოსახულებებია (კუდებგადანასკვული, ერთმანეთთან ზურგშექცეული გველეშაპი, ლომი, ქერობინები, ჩიტები, ყურძნის მტევნები). ზოგი მათგანი ისეა მოჩარჩოებასთან გადაბმული, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. რელიეფების ზედაპირი, ღარებითა და ფრთებით, ორნამენტულადაა დამუშავებული. თავად გამოსახულებები ბრტყელია. მათი მოდელირების ამოცანა ოსტატის წინაშე არ დგას. ჯვარსა და სარკმელს შორის, ორ დონეზე, ადამიანის ორ-ორი სახეა (მზისა და მთვარის სიმბოლო). მათ შორის ქვედა ორი ქვაშია ამოკაწრული, ხოლო ორ ზედას მცირე რელიეფი აქვს. დამახასიათებელია დამუშავების დეტალები – წარბებისა და ცხვირის გაერთიანება საერთო კონტურით, თვალების გადმოცემა ერთმანეთში ჩასმული, წვეტიანი ოვალების სახით და სხვ.



012. აღმ. ფასადი


სარკმლის საპირის გარეთა ნაწილი დამუშავებულია გეომეტრიულ-ლენტოვანი წნულით, შიდაზე კი, ფოთლოვანი მოტივია. გარეთა საპირე ბრტყელია, შიდა კი, იმდენადაა ამობურცული, რომ ნახევარცილინდრულ ზედაპირს ჰგავს. სარკმლის მორთულობაში ორი ფრინველის (მტრედები ან ფარშევანგები?) ჰერალდიკური გამოსახულებაცაა. ჯვრის ასწვრივ, ფრონტონის წვერთან, მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული, ცრუ სარკმელია.

დას. ფასადის ცენტრალურ ნაწილში, ერთ ვერტიკალზე, განთავსებულია პორტალი, სარკმელი და ჯვარი. პორტალსა და სარკმლის ჩარჩოს შორის მცირე მანძილია, ჯვრის ჩარჩო კი სარკმლის ჩარჩოზეა დაბჯენილი. პორტალი იმდენად ფართოა, რომ მას ფასადის სიგანის თითქმის ნახევარი უჭირავს. თავად შესასვლელი პატარაა (სიგ. – 96 *სმ*, სიმ. – 165 *სმ*), მაგრამ სტრუქტურითა და არქიტ. დამუშავებით ძლიერ შთამბეჭდავი. იგი რამდენადმე კედლის სიღრმეშია შეწეული და გარშემოვლებულია შეწყვილებული, სადა ლილვით, რ-იც ზედაპირის ჩაკვეთითაა გამოყვანილი და შესასვლელის ირგვლივ დარჩენილ არესთან ერთ სიბრტყეშია. შესასვლელის საპირე საკმაოდ განიერია და რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რ-ებიც სხვადასხვა სახის ჩუქურთმითაა მორთული და გარეთკენ ისეა გაშლილი, რომ საზეიმო პორტალის შთაბეჭდილებას ქმნის. გარეთ სამლილვიანი წნულია, შემდეგ ტლანქი, გრეხილი ლილვი, ისევ საპირე – რთული, კუთხოვანი, გეომეტრიული ხლართით, გლუვი ლილვი და შიდა საპირე – ისლამური წარმოშობის სტალაქტიდებით.

სარკმელს გარს ევლება განიერი, რთული პროფილის მქონე, სწორკუთხა ჩარჩო. იგი მოჩუქურთმებულია წვრილი, სამლენტოვანი წნულით, რ-იც ჩარჩოს გარეთაც არის გასული. კვეთილობა ბრტყელია. საპირის ის ნაწილი, რ-იც უშუალოდ სარკმლის ღიობს ევლებოდა, აღარ არსებობს. ამჟამინდელი საპირე 1976 წელს ჩატარებული სარესტ. სამუშაოების დროსაა მოწყობილი. მას აღმ. სარკმლის საპირის ანალოგიური პროფილი (ორ ლილვს შორის მოქცეული ამოზნექილი ზედაპირი) აქვს.

საკმაოდ ისლამური ხასიათისაა ამავე ფასადის ჯვრის „რვიანებიანი“ ჩარჩო. ჯვარი თითქმის თანაბარმკლავებიანია. პროფილით ეს მარტივი, მსხვილი ლილვია. ჩარჩო ჯვრის ფორმას იმეორებს. იგი შედგენილია სამი გლუვი ლილვისაგან, რ-თაგანაც ორი –

პარალელურად მიემართება, დროდადრო კვეთს ერთმანეთს და წაგრძელებულ, ტეხილკუთხოვანი რვიანების მსგავს ფიგურებს ქმნის. მკლავების



012. ინტერიერი. ხედი დას-კენ

ბოლოებში ისინი, დამამთავრებელი ნასკვების შესაქმნელად, უფრო რთულად იხლართება. მესამე ლილვი მთელ ამ ხლართს გარს ევლება, თუმცა, რიგ ადგილებში, მასთანაა დაკავშირებული.

სამხრ. ფასადზე, აღმ. და დას. ფასადებისგან განსხვავე-



012. აღმ. ფასადი. დეტალი

ბით, თავისუფალი, მოურთავი არე გაცილებით უფრო დიდია. აქ მხოლოდ შესასვლელია მორთული. იგი ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, შეისრული თაღით დასრულებულ არეში და გარს უვლის ორმაგი, მაგრამ წვრილი და ბრტყელი, ორმარცხ. ხელში ჯვარი უჭირავს, მარჯვენაში – დაზიანების გამო გაურკვეველი საგანი (ჯვარი? სამწერობელი?). მარჯვ. ანგელოზსაც თითქოს ჯვარი და სამწერობელი უპყრია. ლენტის ორივე ბოლოში თითო მტევანია გამობმული. რელიეფები ბრტყელია, არაპლასტიკური. კომპოზიციაც თავმოუყრელია – მარჯვ. ანგელოზი ცენტრ. ფიგურასთან ზურგშექცევით დგას. უსუსუ-



012. დას. ფასადი. დეტალი

რია ნახატიც: მაკურთხებელი მარჯვ. ხელი სხეულს ორგანულად ვერ ებმის, არაბუნებრივად მოკლეა, თანაც გარედან დაუკავშირებლად არის მიდებული სხეულის კონტურზე. არსებითად გამოსახულია მარტო ხელის მტევანი – ის, რაც კურთხევის შესასრულებლად იყო საჭირო. ფიგურების (უმთავრესად შუა პერსონაჟისა) ტანსაცმელი დამუშავებულია ორნამენტული ღილებითა და პარალელური,



012. დას. ფასადი. შესასვლელი

მორკალული ხაზებით. ფასადზე ორივე სარკმელს სადა საპირეები ევლება.

ჩრდ-ის ფასადი, ტრადიციისამებრ, სრულიად მოურთავია, თლილი ქვით გამოყვანილი ორი მცირე სარკმელი ვერ არღვევს



012. ნაგებობა ეკლესიის ჩრდ-ით. ხედი სამრ.-დას-იდან

კედლის დიდი ზედაპირის მოსაწყენ ერთფეროვნებას.

ეკლ. ქვიშაქვის ნათალი ქვით ნაგებ მაღალ, სამსაფეხურიან ცოკოლზე (ორი საფეხური და მ.შ. ლილვი) დგას. შენობის ოთხივე კუთხეს მსხვილი ლილვი აუყვება. ლავგარდანი მარტივი პროფილისაა – ლილვი, წრეთარგი, თარო.

ნაგებობა თავდაპირველად გადახურული იყო ლორფინით, რ-იც 1976 წელს ჩატარებული რესტავრაციის დროს თუნუქით შეცვალეს.

ეკლესიის ჩრდ-ით, ათიოდე მ-ზე, რიყის ქვით ნაშენი ნაგებობის ნანგრევია. გამოთქმულია მოსაზრება (გ. ჩუბინაშვილი), რომ აქ ბერების საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო.

2006 წელს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანების (№665) საფუძველზე, ეკლესიას მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ნ. ანდღულაძე, თ. დვალი.

ბიბლ.: 33, 106, 107, 255ბ; 464, 475.

013. სამაროვანი, არქეოლ. ძ.. მდებარეობს ქალაქის აღმ. ნაწილში, მუნიციპ-ის საავადმყოფოს ეზოში. განეკუთვნება ძვ. წ. VIII-VII სს.

1979 წელს, მიწის სამუშაოების დროს, მთლიანად დაინგრა ერთი სამარხი, რ-ის მასალის დიდი ნაწილი მშენებლებმა საგარეჯოს მხარეთმც. მუზეუმს გადასცეს. დანარჩენი მასალა ადგილზე, მიწის დღევანდელი ზედაპირიდან 3 მ-ის სიღრმეზე შეკრიბა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხში აღმოჩნდა: თიხის ექვსი ჭურჭელი; ბრინჯაოს მახვილი, სამაჯურები, მახათი, დედალი დუგმა, წრიული ფორმის, მცირედ ამობურცული, ორნახვრეტიანი ფირფიტა, შუბისპირი, ფრაგმენტირებული და ნაკლული სარტყელი. იმავე 1979 წელს კაპ-მ მიწის ზედაპირიდან 3 მ-ის სიღრმეზე, გათხარა ათი ორმოსამარხი – ქვაყრილითა და ირგვლივ რიყის ქვის წრით. სამარხები დამხრობილია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-ისკენ, აღმ-იდან დას-ისკენ და ჩრდ-იდან სამხრ-ისკენ. ყველა სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი. ერთ-ერთ სამარხში მიცვალებული ხის სარეცელზე იყო დასვენებული.

სამარხებში გამოვლენილი თიხის ჭურჭელი (დერგი, ქილა, სადღვებელი, ჩაფი, დოქი, ხელადა, ცალყურა ქილა, სასმისი, კათხა, ქოთანი, ლანგარი, ჭურჭლის ხუფები და სხვ.), როგორც დამუშავებისა და გამოწვის ტექნიკით, ისე ფორმებით, განსხვავებულია აღმ. საქართვ. ტერიტორიაზე იმავდროულ ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკისაგან. სამაროვნის თიხის ჭურჭლის უმეტესობა წითლადაა გამომწვარი.თიხა წმინდამარცვლოვანია, ი შვიათად – წვრილსილანარევი. კეცი – უჩვეულოდ თხელი. დიდი ნაწილის ზედაპირი მოჩალისფრო-ვარდისფერია – გადავლებული აქვს ანგობის თხელი ფენა. ფორმებში შეინიშნება ცალკეული განმასხვავებელი დეტალები: ძალზე გამობერილი, სფერული მუცელი, ძალიან დაბალი და ვიწრო ყელი, „ფიალისებრი“ პირი და სხვ.


სამაროვნისეული ლითონის ნაწარმი დიდ მსგავსებას იჩენს აღმ. საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილ, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების სამარხების ლითონის ინვენტართან. სამარხებში გამოვლინდა ბრინჯაოს სამი სადა და მთლიანმასრიანი შუბისპირი; მთლიანად სხმული მახვილი, გვერგვი – მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილი, მასიური ღეროთი და დაბრტყელებული, ჩახვეული ბოლოებით; მრგვალგანივკვეთიანი მახათი გრძელი წვერით და სამკუთხა, მრავალნახვრეტიანი, დაბრტყელებული ყუნწით; ჩაჭიფი, ერთნახვრეტიანი; ნალისებრი საკიდი; დედალი დუგმა, სარტყელი – გრავირებული ორნამენტით; როგორც ჭდეულზედაპირიანი, ასევე მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული სამაჯურები – გახსნილი, მოჭრილი ბოლოებით. რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია: მახვილი ბრინჯაოსნაწილებიანი ტარითა და ქარქაშით; დანა გრძელი, ოდნავ მოხრილი ყუით, წვერისკენ თანდათან შევიწროებული, თხელი ფხითა და მოკლე, სატარე ყუნწით. აღმოჩნდა აგრეთვე სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული, განსხვავებული ფორმის მძივები.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 208.

014. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ციხის უბანში.

ეკუთვნის ცაბაურიძეებს. სახლი შედგება სხვადასხვა ზომისა და პერიოდის ორი ნაწილისაგან,



014. გეგმა

რ-ებიც ამ ადგილას ადრე არსებული ციხე-გალავნის შემორჩენილ კედელზე შიგნიდან და გარედან არის მიდგმული და ამ კედელში მოწყობილი კარით (გვიანდელია) უკავშირდება ერთმანეთს.

შენობის თავდაპირველ ნაწილში (13,45x6,90მ), რ-იც, სავარაუდოდ, XIX ს-ის შუა ხანებს განეკუთვნება, გალავანს ეზოს მხრიდან ეკვრის, ორი ოთახია. მეორე, გალავანზე გარედან მიდგმული, მოგვიანებით აგებული ნაწილი, ბევრად უფრო პატარაა (6,2x4,9 მ) და მხოლოდ ერთი ოთახისგან შედგება.

სახლის თავდაპირველი ნაწილის დას. კედელში გამოიყოფა სხვადასხვა პერიოდის ორი სამშენ. ფენა, რ-ებიც ერთმანეთისგან, როგორც ქვების ზომით, ისე წყობის ხასიათითაც განასხვავდება. მათ შორის ქვედა ნაწილი (სიმ. დაახლ. 0,7 მ) გალავანთან წყობითაა დაკავშირებული და წყობაც გალავნის წყობის მსგავსია. ზედა კი, გალავანზეა მიყრდნობილი და გალავანთან შედარებით, გაცილებით წვრილი, რიყის ქვითაა ნაწყობი. ჩანს, რომ ციხე-გალავნის ამ მონაკვეთში ადრე რაღაც ნაგებობა იდგა, რ-ის ერთ-ერთი კედლის დარჩენილ ნაწილზე სახლის დას. კედელი დაუშენებიათ.

სახლის თავდაპირველი ნაწილი, ძირითადად, რიყის, წვრილი ქვითაა ნაშენი. კარ-სარკმელთა ღიობები გამოყვანილია ქართ. აგურით. იატაკი, ჭერი და ოთახებს შორის ტიხარი ხისაა. სახურავი ორკალთაა. იგი ხის კოჭებზეა გამართული. სახლს აქვს სხვენი, რ-იც ორი მხრიდან ღიაა. საკუთრივ თავხე დაყრდნობილია აგურითა და რიყის ქვით ნაწყობ, ორ ოთხკუთხა ბოძზე. ბოძებს ატყვია გადაკეთების კვალი. მათი დიდი ნაწილი მოგვიანებითაა განახლებული, თუმცა, მათ შორის ქრონოლ. შუალედი დიდი არ ჩანს.

სახლის მოგვიანებით მიშენებული ნაწილიც რიყის ქვითა და აგურითაა ნაგები. აგური აქ ოდნავ მოზრდილი ზომისაა და ფერითაც უფრო ღიაა. განსხვავებულია კედლების წყობის ხასიათიც.

სახლის სამივე ოთახი გეგმით კვადრატს უახლოვდება. სამივეში ბუხარია. თავდაპირველი ნაწილის ორივე ოთახს შესასვლელი სამხრ-იდან, მოგრძო სათავსიდან აქვს, რ-იც



014. ხედი დას-იდან

ადრე არსებული ღია აივნის ადგილზე, XX საუკუნის ბოლოსაა აგებული. ამ სათავსში ორივე ოთახიდან ორ-ორი თაღოვანი სარკმელი გამოდის. კიდევ ორი სარკმელი აღმით მდებარე ოთახს ჭუჩის მხარეს, კედლის შუაში არსებული ბუხრის ორივე გვერდზე აქვს. გარედან ამ სარკმლებს აგურის ფიგურული წყობით გამოყვანილი ტიმპანი აგვირგვინებს. როგორც ჩანს, მსგავსი ტიმპანით სრულდებოდა აივანზე გამომავალი კარ-სარკმლებიც (ყველა ტიმპანი მონგრეულია და ხე-

ლახლაა ამოშენებული). დას-ით მდებარე ოთახს, დას-ით (ეზოს მხარეს), სარკმლები არ ჰქონია. ამ კედელში, ბუხრის



014. ინტერიერი. აღმ. ოთახი

გვერდებზე, სარკმლის ნაცვლად, თითო განჯინაა მოწყობილი. ერთი განჯინა ჩრდ. კედელშიცაა. ამავე კედელშია სახლის მოგვიანებით მიშენებულ ნაწილში გამავალი კარიც, რ-ის ადგილზე, როგორც ჩანს, ადრე განჯინა იყო. XX ს-ში ბუხრის მარცხნივ (აღმ-ით) მდებარე განჯინა მოუშლიათ და მის ადგილზე თაღოვანი სარკმელი მოუწყვიათ. ორივე ოთახში ბუხარი მოქცეულია განიერ, საფეხურით შეღრმავებულ არეში, რ-იც კედლს იატაკიდან თითქმის ჭერამდე აუყვება და ბუხრის თავზე გამოყვანილი, ვიწრო ზოლით ორ ნაწილად იყოფა.

სახლის მოგვიანებით აგებულ ნაწილს დამოუკიდებელი შესასვლელი გარედან, ქუჩის მხრიდან აქვს. ამ ნაწილის ჩრდ. კედლის შუაში საკმაოდ უსახური ბუხარია. კედელს, გვიანდ. გადაკეთებების შედეგად, თავდაპირველი სტრუქტურა მთლიანად დაკარგული აქვს. ბუხრის ძირამდე (დაახლ. 0,7 *მ* სიმაღლეზე) კედელი ძველია. იგი მთლიანად რიყის ქვისაა, ზემოთ კი – აგურისა და რიყის ქვის. გარედან კედლის უმეტესი ნაწილი ბეტონის ბლოკებითაა განახლებული. ბეტონის ბლოკებითვეა ნაწყობი ამ ოთახის დას. კედელიც, რ-იც სახლის თავდაპირველ ნაწილთან დამაკავშირებელი კარის შესაბამის წირთხლთან ერთ სიბრტყეშია. ოთახი გაჯითაა შელესილი.



014. გალავნის ნაწილი.


შენობის ორივე ნაწილის ფასადებიდან არქიტ. ელემენტებით მხოლოდ თავდაპირველი ნაწილის, ქუჩის მხარეს მოქცეული ფასადია გაფორმებული. მორთულობა ძუნწია, მარტივი. ფასადზე ორივე სარკმლის ღიობი აგურითაა ნაწყობი. სარკმლის ტიმპანი ნახევარწრიულია, გამოყვანილია აგურის ფიგურული წყობით და მოქცეულია კედლის სწორხაზოვან შვერილში, რ-საც მარტივი პროფილის (თარო და ამოზნექილი ზედაპირი) ლავგარდანი აგვირგვინებს. მსგავსი პროფილის ზოლი ფასადს სარკმლის ძირისა და ტიმპანის საფუძვლის დონეზე გასდევს. თავხის საყრდენი სვეტის ზედა ნაწილში ორსაფეხურიანი, თაროსებრი შვერილია გამოყვანილი. სვეტის ძირში კი, სამკუთხა ფორმის საკვამლე ხვრელია, რ-იც მოგვიანებით დუღაბით ამოუვსიათ. იგივე მეორდება თავხის მეორე საყრდენ სვეტზეც. ამ ფასადზე დეკორატ. აქცენტს ქმნის კედლის წყობაში აგურით გამოყვანილი, დანარჩენი სარკმლების ტიმპანის დონეზე მდებარე ორი თაღი.


თ. დვალი.

015. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-დას-ით, თვალთხევის მარჯვ. ნაპირზე, ფანოზაანთ გორაზე. განეკუთვნება, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეს.

ეკლ. დარბაზულია (5,68x3,35 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და ქვიშაქვის ნატეხი ქვებით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა, კარი შიგნით ოდნავ ფართოვ-





015. გეგმა. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ



015. ხედი ჩრდ.-დას-იდან

დება და თარაზულადაა გადახურული. აფსიდი თითქმის ნახევარწრიული ფორმისაა. აფსიდის ჩრდ. გვერდი დარბაზის გრძივი კედლიდან მხრითაა გამოყოფილი, სამხრ-ისა კი მხრის გარეშეა. აფსიდის შუაში გაჭრილია უჩვეულოდ დაბალი (სიმ. დაახლ. 40 *სმ*-ია), თაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ქვის ტრაპეზია მიდგმული.

შიგნით ეკლ. გადახურულია დადაბლებული პროპორციების, ამორფული ფორმის კამარით. ამორფული ფორმისაა კონქიც. კამარა და კონქი ერთმანეთს უშუალოდ ერთვის. თუმცა, მათი თანხვედრის საზღვარი მთელ სიგრძეზეა აღბეჭდილი.

1996 წელს ადგილ. მოსახლეობის მიერ ჩატარებული რემონტის დროს, გადახურვის გამაგრების მიზნით, კამარას შეუყენეს წყალსადენის საკმაოდ სქელი მილი. აფსიდი დარბაზისგან გამიჯნეს დაბალი, თხელი კედლით. შიგნით ეკლ. შელესეს და შეათეთრეს, გარედან კი, ცემენტის ხსნარით შეთხუპნეს.

თ. დგალი.

016. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას გაღმა უბანში, ფანოზაშვილების სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,23x 4,08 *მ*), შეიცავს სხვადასხვა პერიოდის, ერთმანეთისგან მასალით და შესრულების ხარისხითაც მკაფიოდ განსხვავებულ ორ სამშენ. ფენას. შენობის თავდაპირველი ნაწილი, გარედან, გამოყვანილია ირეგულარულად ნაწყობი, სრულიად დაუმუშავებელი ქვიშაქვის ლოდებით, რ-თა შორის დარჩენილი არეები წვრილი ქვიშაქვის ქვებითა და დუღაბითაა ამოვსებული. შიგნით კი, ძირითადად, მოზრდილი ზომის, რიყის ქვაა გამოყენებული. შენობის მოგვიანებით გახანძლებული ნაწილები, საკმაოდ დაუდევრად, მთლიანად წვრილი რიყის ქვითაა ნაგები.

ეკლესიას შესასვლელი (ზედა ნაწილი სახეშეცვლილია)



016. ხედი სამხრ.-დას-იდან

სამხრ-იდან აქვს. თითო სარკმელი კი – აღმ-ით და დას-ით. ორივე სარკმელი ოთხკუთხაა, დაბალი. ორივეს გარეთა ღიობი გადაკეთებულია. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ორ-ორი მცირე ზომის ნიშაა, სარკმლის ქვემოთ კი ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. აფსიდი კონქითაა გადახურული, დარბაზი – კამარით. კონქიც და კამარაც ძლიერ დაზიანებულია და ჩამოქცევის პირასაა მისული. საკურთხევლის იატაკზე დაფენილია რიყის, ბრტყელი ქვები.


ეკლესიის სამხრ. კედლის წინ დგას სასანთლე ნიში – კვადრ. აგურითა და ქვიშაქვით ნაგები, კუბური ფორმის, დაბალი ნაგებობა, რ-საც აღმ. წახნაგში თაღოვანი ნიშა აქვს მოწყობილი.

ეკლესიის ირგვლივ საფლავის ქვებია.

2007-2008 წწ-ში ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ეკლ. გაარემონტეს. თუმცა, უხარისხოდ.


თ. დგალი.

017. ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი, არქიტ. ძ. დგას ქურდაანთ უბანში, ძვ. სასაფლაოს ტერიტორიაზე. აგებულია XIX ს-ში და ფუნქციონირებდა 1925 წლამდე. ამის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ეკლ. სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა, რის გამოც მნიშვნელოვანი გადაკეთებები განიცადა. 1970-იანი წლების ბოლოს იგი გაარემონტეს. 1990-იანი წლების დასაწყისში ეკლესიაში აღდგა ღვთისმსახურება. 2000-იანი წლების დასაწყისში შენობა გადახურეს თუნუქით. 2015 წელს




017. გეგმა.

ეკლესიაში ააგეს ხუთთაღიანი, ქვის კანკელი და იატაკზე ბაზალტის ფილები დააგეს. ამავე წელს, ეკლესიის დას-ით, ააგეს ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის ქვედა სართული თაღოვან გასასვლელს წარმოადგენს.



017. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



017. დას. ფასადი

ეკლ. დარბაზულია. აქვს ნახევარწრიული შვერილი აფსიდი, რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან, შიგნით პილასტრებით, ხოლო გარედან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი (შიდა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ. – 14,91 *მ*, სიგ. – 6,45 *მ*. კედლის სისქე – 1,3 *მ*).

შენობა, როგორც ეს ნალესობაზე აღბეჭდილი კვალიდან ჩანს, ნაგები ყოფილა აგურითა და რიყის ქვით. ცოკოლი (სიმ. დაახლ. 0,7 *მ*-ია) დიდი ზომის, რიყის ქვითაა ამოყვანილი.

შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან ოდნავ შეისრულია, შიგნით – სწორკუთხა.

საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ შემაღლებულია ორი საფეხურით და შუაში ორსაფეხურიანივე, ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ფართო, თაღოვანი სარკმელი. აფსიდში ხუთი თაღოვანი ნიშაა. მათგან ერთი – სარკმლის ჩამოსწვრივაა, ორ-ორი კი – მის ორივე მხარეს. გრძივ კედლებზე სამი წყვილი შეკიდული პილასტრია, რ-ებზეც გადაყვანილია საბჯენი თაღები. პილასტრი დას-ის ორივე კუთხეშიცაა. მათ ამავე კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. საბჯენი თაღები ნახევარწრიულია. იგივე ფორმისაა კამარაც. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია მარტივი პროფილის ქვის იმპოსტები. საკურთხევლის სარკმლის გარდა, ხუთი თაღოვანი სარკმელი გრძივ კედლებში, ერთმანეთის პირდაპირაა გაჭრილი.

ეკლესიის ფასადებიდან დეკორატ. ელემენტებით მხოლოდ დას. ფასადია მორთული. ფასადის ცენტრალურ ნაწილში საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში ჩასმული, თაღოვანი შესასვლელია, რ-ის



017. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

თავზე ორი საფეხურით შეღრმავებული, თაღოვანი ნიშაა. ნიშაში ხატია ჩასმული. ნიშის ასწვრივ კი მაღალი, მრავალსაფეხუროვან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. შესასვლელის გვერდებზე ვერტიკალურად განლაგებული, ერთიმეორეზე გადაბმული, ათ-ათი ჩაღრმავებული რომბია. სამხრ. და ჩრდ. ფასადები დანაწევრებულია მაღალი, საფეხურით შეღრმავებული, თაღოვანი არეებით. სამხრ. ფასადზე ოთხი ასეთი არეა, ჩრდ. ფასადზე კი – სამი. სამხრ. ფასადზე, დას-იდან მეორე, შეღრმავებულ არეში, მოქცეულია შესასვლელი

და ერთ-ერთი სარკმელი, რ-ის ძირის დონეზე, ორივე მხარეს,



017. სამხრ. ფასადი. დეტალი

წყობაში, ჩასმულია საფლავის ნახევარ-ნახევარი ქვა – მხედრ. ანბანით შესრულებული ეპიტაფიით.

ეკლესიის კედლები და საკურთხეველი დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობისგან შედგება. დარბაზი ორკალთა სახურავითაა



017. დას. ფასადი. დეტალი


გადახურული. საკურთხევლის შვერილს კი, კონუსისებრი, ორსაფეხურიანი გადახურვა აქვს.


ეკლესიის დას. კედელზე შემორჩენილი იყო სამრეკლოს კვადრ. საფუძველი, რ-ზეც 2006 წელს ახ. ოთხკუთხა სამრეკლო დაუდგამთ.

თ. დვალი.

018. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის სამხრ-ით, ათიოდე მ-ის მანძილზე. აგებულია, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეში.

ეკლ. დარბაზულია (6,26x5,23 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის,





018. გეგმა. გრძივი ჭრილი, ხედი სამხრ-კენ

რიყის ქვით. წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩართულია სრულიად დაუმუშავებელი ქვიშაქვის ქვები. წყობა ქაოსურია. ეკლ. შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. შენობის გარეთა კედლებს აშკარად ეტყობა თვითნებური შეკეთებების კვალი, რ-თა ნაწილი XX ს-ის მიწურულში განხორციელდა, ნაწილი კი – 2002 წელს. ბოლო რემონტი ეკლესიას 2015 წელს ჩაუტარდა. ამ დროს დაიდგა ხის კანკელი, იატაკზე დაიგო ბაზალტის ფილები, მოეწყო ლავგარდანი და შენობა ღარისებრი კრამიტით გადაიხურა. კედლების აღდგენილი ნაწილები, მასალითაც და წყობითაც, არსებულთან შეუსაბამოა, რამაც შენობა საკმაოდ უსახური გახადა.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი შიგნით და გარეთ აგურის, კოლოფა თაღითაა გადახურული. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ცენტრში, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის



018. ხედი სამხრ-იდან. უკანა პლანზე: ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი

მარცხ. მხარეს ერთი სწორკუთხა ნიშაა. ერთი სწორკუთხა სარკმელი დას. კედლის ზემოთა ნაწილშიცაა.

ეკლესიაში ჯაბადრების ორი საფლავია. მათ შორის ერ-



018. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან.

თზე 1897 წლის ეპიტაფია იკითხება, ხოლო მეორეზე – 1903 წლის.

თ. დვალი.

019. ძვავის საყდარი, არქიტ. ძ. დგას ქალაქის აღმ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, კოდად წოდებული ადგილისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს.

შენობა თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი კე-

დლების სიმ. 1 მ-ს არ აღემატება. 2016 წელს, ქალაქის ერთ-ერთი მოსახლის მიერ ეკლესიის თვითნებურად აღდგენის დროს, შემორჩენილი კედლები გააშიშვლეს, რის გამოც ისინი მნიშვნელოვნად დააზიანეს.



019. ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლ. დარბაზულია (6,3x5,4 მ), უაფსიდო. ნაგებია მოზრდილი ზომის, დაუმუშავებელი რიყის ქვითა და ქვიშაქვით. აღმ-ით საფეხურით შემაღლებული საკურთხეველია (სიღრმე – 2,12 მ, სიგ. – 3,43 მ), რ-ის გვერდითი კედლები დარბაზის გრძივ კედლებთან ერთ სიბრტყეშია. შესასვლელი (შემორჩენილია ზღურბლის ქვა და წირთხლების ნაშთი) სამხრ-იდანაა.

თ. დვალი.

020. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ციხის უბანში.

ციხის შესახებ ისტ. დოკუმენტებიდან დგინდება, რომ იგი – 1690 წლიდან 1712 წლამდე პერიოდში – აღუდგენია დავით-გარეჯის წინამძღვარს ონოფრე მაჭუტაძეს, რაც დადასტურებულია 1712 წლის გუჯარში. ამავე ციხის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი, რ-მაც კახეთში 1772 წელს იმოგზაურა. მისი ცნობით: „საგარეჯო გარშემორტყმულია გალავნით, ხოლო მისი სახლების უმეტესობა გალავნის გარეთაა. აქ არის დაახლოებით 500 მკვიდრი ოჯახი“.

ციხე თითქმის მთლიანად დანგრეულია. ქალაქის ეს უბანი ამჟამად მჭიდროდ არის დასახლებული, რის გამოც ციხის გეგმარების დადგენა არ ხერხდება – გალავნის შემორჩენილი ნაშთების ნაწილი საცხოვრებელ თუ სამეურნეო ნაგებობებშია ჩართული, ხოლო ნაწილის კვალიც კი აღარ ჩანს. ციხის კედლებიდან მხოლოდ ჩრდ. კედლის მცირე მონაკვეთიღა დგას (სიგრძ. დაახლ. 30 მ-ია, სიმ. – 5-5,6 მ). იგი მთლიანად რიყის ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები. იმის გამო, რომ კედელს ზედა ნაწილი აკლია, არ დგინდება ქონგურებით იყო იგი დასრულებული, თუ თავი ჰქონდა მომრგვალებული.

თ. დვალი.

ბიბლ.: 78ა.

021. წმ. გიორგის ეკლესია, თავწმინდა გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ.-აღმ-ით, ოთხიოდე კმ-ის მანძილზე, წმ. გიორგის ქედზე, კოდად წოდებული ადგილისკენ მიმავალი გზის სიახლოვეს, ქ. საგარეჯოსა და სოფ. გიორგიწმინდის საზღვარზე.



021. ხედი სამხრ.-დას-იდან

განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,25x4,60 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. გარეთა კუთხეებში და ალაგ-ალაგ, კედლებშიც მოზრდილი, დაუმუშავებული ქვებია გამოყენებული. კედლები მოყვითალო ფერის, წმინდა ბათქაშითაა გასწორებული, რ-იც საპირე ქვების უმეტეს ნაწილს მთლიანად ფარავს. სამხრ.-აღმ. კუთხის წყობაში, მიწიდან დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, შირიმის მოზრდილი ქვაა ჩართული. შიგნით კედლები შელესილია.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც, აფსიდის ღერძიდან ოდნავ სამხრ-ით, გაჭრილია გარეთკენ შეკიწროებული, ბრტყლად გადახურული სარკმელი. იგი თითქმის მთლიანად კონქის ფარგლებშია მოქცეული. აფსიდის კედელს ორმოციოდე სმ სიმაღლისა და ოციოდე სმ-ის სიგანის საფეხური გასდევს, რ-ის შუაში რიყის ქვით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას.


აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. ამავე ფორმისაა კამარაც.

გარედან ეკლესიის კედლები სადაა. აღმ. კედლის ძირში (მთელ სიგრძეზე) და სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში შემორჩენილია ცოკოლის ნაშთი (სიმ. – 20-25 სმ). ეკლესიასთან ახლოს (ჩრდ-ით), სხვადასხვა ზომის, ბევრი ქვევრი აწყვია.


1980-იან წლებში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. გაურემონტებია. ამ დროსაა აღდგენილი გარეთა კედლების საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები. თუმცა, აღდგენილი ნაწილები თავდაპირველისგან, როგორც წყობის დაბალი ხარისხით, ისე დუღაბის ფერითაც, მკვეთრად გამოირჩევა. აღდგენილია შესასვლელის დიდი ნაწილი და იგი ხის ძელებით თარაზულადაა გადახურული. მოწყობილია აგურის, ორსაფეხურიანი ლავგარდანი, რ-იც თავდაპირველთან შედარებით (თავდაპირველი ლავგარდნის საფუძვლის კვალი ოთხივე ფასადზეა შემორჩენილი), სამოციოდე სმ-ით მაღლაა „ატანილი“. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

022. წმ. დოდო გარეჯელის და სვიმეონ მესვეტის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას რუსთაველის ქუჩაზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



022. გეგმა




022. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიის გარეთა კედლების წყობაში აშკარად გამოიყოფა ორი სამშენ. ფენა, რ-ებიც განსხვავებული მასალითაა ნაწყობი. მათ შორის საზღვარი მიწიდან დაახლ. 3 *მ* სიმაღლეზე გადის. შენობის ქვედა ნაწილი, რ-ებიც არქიტ. ნიშნებით განვით. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. სხვადასხვა ზომის, ქაოსურად ნაწყობი რიყის ქვითაა გამოყვანილი, კუთხეები კი – კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების მნიშვნელოვან ნაწილს თითქმის მთლიანად ფარავს. შენობის ზედა ნაწილი, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება. კედლები აგურისა და წვრილი რიყის ქვისაა. ეს უკანასკნელი სწორხაზოვან რიგებადაა დაწყობილი, რ-ებიც, ზოგ ადგილებში, ორრიგად ნაწყობი აგურის რიგებს შორისაა მოქცეული. შენობის კუთხეები, ლავგარდანი, არქიტ. და დეკორატ. ელემენტები მთლიანად აგურისაა. შიგნით ეკლ. შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლ. დარბაზულია (11,7x6,7 *მ*). აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც გრძივი კედლებიდან, როგორც შიგნით, ისე გარედანაც, მოკლე მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი, კონუსისებრი სახურავი ხურავს.

შესასვლელი ორია: დასიდან და სამხრ-იდან. ორივე კარის გვერდები, გარედან, საფლავის ქვებით იყო გამოყვანილი (შემორჩა მხოლოდ სამხრ. შესასვლელს) და საფლავისავე ქვით თარაზულად იყო გადახურული. ამჟამად ორივე კარს, გარედან, აგურით ნაწყობი, ბრტყელი თაღი ხურავს, შიგნით კი მშვილდისებრი ფორმის თაღით არის დასრულებული.

აღმ-ით, აფსიდის ღერძზე, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდში გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი სამი ნიშაა. სამივე კონქითაა გადახურული. მათ შორის ერთი სარკმლის



022. სამხრ. ფასადი

ქვემოთაა, თითო-თითო – სარკმლის გვერდებზე.

ეკლესიის გრძივ კედლებზე ორ-ორი განიერი, ოდნავ შეღრმავებული არეა. ორივე თანაბარი სიმაღლისაა, ოღონდ სხვადასხვა სიგანის. აღმ-ით მდებარე არე რამდენადმე ვიწროა და დასრულებულია



022. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კვერცხისებრი თაღით. დას-ისა კი – ნახევარწრიულით.

ინტერიერი კარგადაა განათებული. საკურთხევლის სარკ-



022. ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

მლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ შვიდი სარკმელი აშუქებს. მათგან ოთხი – მრგვალია, დანარჩენები – თაღოვანი. გრძივ კედლებში თითო თაღოვანი და ორ-ორი მრგვალი სარკმელია. ერთი თაღოვანი სარკმელი დას-ითაა – შესასვლელის ზემოთ. გრძივ კედლებში მოწყობილი ორივე თაღოვანი სარკმელი აღმ-ით მდებარე არეშია მოქცეული, მრგვალი სარკმლები კი ამ არეების თავზეა.

ნავი ცილინდრული კამარითაა გადახურული. აფსიდის თაღის გარდა, კამარა ეყრდნობა კიდევ ორ შეკიდულ, საბჯენ თაღს, თაღები – მთლიანი ქვის კრონშტაინებს, რ-ებიც კამარის ჭუსლის დონეზეა მოთავსებული.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, გამოსახულია მრავალსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი, თითო მაღალი ჯვარი. დას. სარკმელი ლილვით გამოყვანილ ჩარჩოშია ჩასმული. ამ სარკმლის ასწვრივ, ფრონტონის წვერთან, მცირე ზომის, მრგვალი სარკმელია, რ-იც კამარისზედა სივრცეს აშუქებდა. გრძივ ფასადებზე მრგვალ სარკმლებს აგურით ნაწყობი, ბრტყელი, რელიეფური საპირე ეკვეთა. მსგავსი საპირე ეკვეთა თაღოვან სარკმლებს და დას. შესასვლელსაც.

ფასადები დასრულებულია აგურის ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი შეადგენს.

2012 წელს ეკლ. თვითნებურად გაარემონტეს. ამ რემონტის დროს ორივე შესასვლელი აამაღლეს და თაღით გადახურეს, გააგანიერეს დას. შესასვლელი და გრძივ კედლებზე განლაგებული ორივე თაღოვანი სარკმელი; შენობას დასიდან მიადგეს უსახური, ორფერდასახურავიანი, ღია ფარდული.




022. სამხრ. ფასადი. შესასვლელი

2016 წელს აამაღლეს საკურთხევლის იატაკი და დააგეს ხელოვნური ქვის ფილები, დადგეს ხის კანკელი და შეათეთრეს ინტერიერი.

თ. დგალი.

023. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ჩრდ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, ქურხულიანთ უბნის სასაფლაოსთან ახლოს. განეკუთვნება, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეს.


ეკლ. დარბაზულია (5,62x 4,20მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის



023. გეგმა

ხსნარით. წყობა ირეგულარულია, ტლანქი. გარეთა კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, ლოდებია ჩართული. კედლების ზედაპირი, როგორც გარედან, ისე შიგნითაც გასწორებულია ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების დიდ ნაწილს ფარავს. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა და კონქის დიდი ნაწილი, მთელ სიმაღლეზეა გამსკდარი აღმ. კედელი და ჩრდ.-დას. კუთხე, დანგრეულია სამხრ. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი, აღმ. კედელს ფრონტონის დიდი ნაწილი აკლია.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარს ზედა ნახევარი მონგრეული აქვს და მისი გადახურვის



023. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ფორმა არ დგინდება. აღმ-ით, აფსიდის ღერძზე, გაჭრილია ოდნავ შემაღლებული პროპორციების, ოთხკუთხა სარკმელი, რ-საც მხოლოდ გარეთა გადახურვა შემორჩა. სარკმლის ორივე მხარეს მოწყობილია თითო მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშა. კონქი



023. ხედი სამხრ.-დას-იდან


იმდენად დადაბლებული პროპორციებისაა, რომ მის თაღს თითქმის ბრტყელი გვერდები აქვს. შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, რომ მსგავსი ფორმა ჰქონია დარბაზის კამარასაც.

ეკლესიის ჩრდ-ით, 300-500 მ-ზე, ნატეხი და რიყის ქვით ნაგები, გრძელი ნაგებობის აღმ. და ჩრდ. კედლების ფრაგმენტებია შემორჩენილი. აღმ. კედელზე ნიშის კვალი შეიმჩნევა.

თ. დვალი.

024. წმ. შიოს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას გაღმა უბანში, ფანოზაშვილების სასაფლაოს ჩრდ-ით, ექვსასიოდე მ-ზე, ტყეში. განეკუთვნება, სავარაუდოდ, XVII-XVIII საუკუნეს.

ეკლ. დარბაზულია (5,92x4,51 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია. კედლები, შიგნით და გარეთ გასწორებული იყო წმინდა დუღაბის თხელი ფენით,




024. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

რ-იც საპირე ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავდა. ამჟამად გარეთა კედლებზე ნალესობა ალაგ-ალაგაა შემორჩენილი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდის ღერძზე გაჭრილია ბრტყლად გადახურული სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ჩამოსწვრივ, კედელზე, რიყის ქვით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი კონქითაა გადახურული. დარბაზი კი – ნახევარცილინდრული კამარით.

2007-2008 წლებში ადგილ. მაცხოვრებლებმა ეკლ. თვითნებურად, იმდენად უსახურად აღადგინეს, რომ იგი გარედან ანგარს დაამსგავსეს – ეკლესიის გარეთა გადახურვა შიგნითა გადახურვის ფორმას



024. აღმ. ფასადი


იმეორებს და ცემენტის ხსნარითაა გადალესილი. დარბაზის სახურავის ფორმასთან შესაბამისობაშია მოყვანილი გრძივი კედლების ზედა, აღდგენილი ნაწილებიც. ამრიგად, ეკლ. გარედან ნახევარცილინდრული ფორმისაა. ე. ი. განივი ფასადე-



024. ხედი სამხრ.-დას-იდან

ბი, ჩვეულებისამებრ, ფრონტონით კი არ სრულდება, არამედ თავი მომრგვალებული აქვს.

თ. დვალი.



024. გეგმა

ანთოკი
(გიორგიწმინდის თემის საკრებულო)

025. ანთოკი, ა ნ თ უ კ ი, სოფელი. ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირას, გომბორის ქედის მთისწინეთში, საგარეჯოს აღმ-ით, 6 კმ-ზე.

არქეოლ. მასალებით მტკიცდება, რომ სოფლის ტერიტ. ადამიანის საცხოვრისს უძვე-

ლესი დროიდან წარმოადგენდა. ბუნებრივი პირობები აქ ხელს უწყობდა მევენახეობის, მემინდვრეობის, განსაკუთრებით, მეცხოველეობის განვითარებას.

საქართვ. ერთიანობის ხანაში ანთოკი საკათალიკოსო სოფელია. ასეთად ჩანს იგი მომდევნო ხანებშიც. სიგელგუჯრებში ხაზგასმულია, რომ ანთოკზე, კათალიკოსის გარდა, „სხვას არავის ხელი არა აქვს“. XVII საუკუნეში,მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად, სოფელი გაპარტახებულა და მოსახლეობაც საგრძნობლად შეთხელებულა. მოგვიანებით ანთოკის მოსახლეობა, თიანეთიდან ჩასახლებულების ხარჯზე, კვლავ გაზრდილა. XVII-XVIII საუკუნეებში სამხ.-ადმინისტრაციულად სოფელი რუსთავის სადროშოში შედიოდა და ბრძოლის დროს რუსთაველი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ დგებოდა.


საბჭ. პერიოდში ანთოკი გაერთიანებული იყო გიორგიწმინდის სარძეო-სასაქონლო მეურნეობაში. აქ ფუნქციონირებდა ფერმა-ქარხანა, რ-იც რძის პროდუქციას უშვებდა. სოფელში ამჟამად წამყვანი დარგებია მეცხოველეობა და მეფრინველეობა.

ა. კახაძე.

ბიბლ.: 145; 321ა; 322ა.


026. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. განაპირას.აგებულია XIX საუკუნეში. ეკუთვნოდა პაპუნაშვილებს.

მარანი განთავსებულია კოშკური ტიპის, ორსართულიანშენობაში, რ-იც ოდნავ დაფერდებულ ადგილზე დგას ისე, რომ შენობის პირველი სართულის ზურგის მხარე ფერდობშია შეჭრილი, პირით კი სამხრ-ითაა მიმართული. შენობის კედლები წვრილი რიყის ქვითაა ნაშენი, რ-ებიც წყობაში თანაბარი სიმაღლის სწორხაზოვან რიგებს ქმნის.კარ-სარკმლების ღიობები კი კვადრ. აგურითაა გამოყვანილი.



026. პირველი სართულის გეგმა.

მარანში შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი გარედან შეისრული თაღითაა გადახურული, შიგნით კი – მუხის სქელი ფიცრებით – თარაზულად. შიგნით, კარის აღმ-ით, ორი ოთხკუთხა ნიშაა, რ-თა შორის გეგმით ნახევარწრიული ბუხარია მოწყობილი. ნიშებიდან ერთი – კარის გვერდით მდებარე – ორი სათოფურითაა აღჭურვილი, მეორე – უსათოფუროა. კარის დას-ით ერთი ოთხკუთხა ნიშაა, რ-შიც



026. მეორე სართულის გეგმა.

ასევე ორი სათოფურია მოწყობილი. მსგავსი ფორმის სამ-სამი ნიშა აღმ. და დას. კედლებშიცაა. მათგან აღმ-ით მდებარე სამივე ნიშაში თითო სათოფურია, დას. კედელში არსებული ნიშებიდან კი, სათოფური მხოლოდ კედლის სამხრ. ბოლოსთან მდებარე ნიშას გააჩნია. ნიშებიდან, ერთის გარდა, ყველა ფიცრითაა გადახურული. ჩრდ. კედლის გასწვრივ, ქვის მასიური საწნახელია. ამავე კედელში ერთი მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. მარანი განათებული იყო მცირე ზომის, ორი სწორკუთხა სარკმლით, რ-ებიც იმდენად ზემოთაა „ატანილი“, რომ თავი ჭერის დონეზე აქვთ. იატაკში ქვევრებია ჩაფლული.

სართულშუა გადახურვა გამართული იყო მუხის, გარდიგარდმო გადებულ ექვს კოჭზე (შემორჩენილია მხოლოდ ორი). მათ დასაყრდნობად კი, გრძივ კედლებში (მთელ სიგრძეზე), კვადრ. კვეთის, ხის ძელია ჩასმული.

შენობის მეორე სართული საცხოვრებელია. ამ სართულის შესასვლელი ჩრდ. კედლის შუაშია. იგი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნით კი ფიცრითაა გადახურული. მოგვიანებით ღიობის ძირი ამოუშენებიათ და კარი სარკმლად გადაუკეთებიათ (შემორჩენილია ხის, სწორკუთხა ჩარჩო



026. ინტერიერი. ხედი ჩრდ-კენ

და ფრამუგის ნაწილი). მსგავსი ღიობი სამხრ. კედელშიცაა. იგი გადიოდა აივანზე, რ-იც დაყრდნობილი იყო კედლიდან შვერილ, მრგვალ, ხუთ ძელზე (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილი). ბუხარი ამ სართულზეცაა – სამხრ. კედელში, აივანზე გასასვლელი კარის მარცხნივ. იგი გეგმით ნახევარწრიულია და მარანში არსებული ბუხრის მსგავსად, მთლიანად აგურითაა ნაწყობი. ბუხარი მშვილდისებრი თაღით ყოფილა გადახურული (შემორჩენილია მცირე ნაწილი) და მორთული იყო კედლიდან შვერილი აგურებით გამოყვანილი, მარტივი არქივოლტით (ორ ვიწრო პილასტრზე დაყრდნობილი თაღი), რ-საც ძირის დონეზე, კუთხით შვერილი აგურების ორი რიგით გამოყვანილი ზოლი (შემორჩენილია აღმ. ბოლო)გაუყვებოდა. სართულის დას. კედელი მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი. იგი სრულიად ყრუა.

შენობის სამხრ. და ჩრდ. კედლების შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, სავარაუდოდ, შენობა გადახურული იყო ორფერდა სახურავით.

გარედან, ჩრდ. კედლის წინ, შემორჩენილია რიყის ქვით ნაშენი, გაურკვეველი ნაგებობის კედლების კვალი.

შენობა გამაგრებული საცხოვრებლის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. აქ, მცირე ზომის (9,2x6,8მ), ორსართულიან კორპუსში, კარგადაა შერწყმული საცხოვრ., თავდაცვითი და სამეურნეო დანიშნულების შენობის ფუნქციები.

თ. დგალი.



026. ხედი სამხრ-იდან

027. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს. სამაროვანში გამოვლინდა ბრინჯაოს შედგენილტარიანი, ე. წ. კახური ტიპის სატევარი, რ-ის პირის ორივე მხარეს ფანტასტიკური ცხოველებია გრავირებული. ტიპოლოგიურად სატევარი ყველაზე ადრეულია ამ სახის საბრძოლო იარაღს შორის და იგი ძვ. წ. XIII ს-ის ახლო ხანებით თარიღდება.

სატევარი საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართვ. მუზეუმშია დაცული.


ქ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 489.

028. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, ეკუთვნის გოცირიძეებს. სახ-

ლის მესაკუთრეთა გადმოცემით, აგებულია XX საუკუნის დასაწყისში, რაჭველი ხელოსნების მიერ.

სახლის ხუროთმოძღვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტა ასიმეტრიულია. იგი შედგება სხვადასხვა სიდიდის ორი ნაწილისგან, რ-თა შორის ერთი, გაცილებით უფრო მოზრდილი (გარეთა ზომები – 7,7x5,8 *მ*) – ერთსართულიანია, ხოლო მეორე (გარეთა ზომები – 5x5 *მ*) – ორსართულიანი.



028. გეგმა II სართულის დონეზე

სახლის ორსართულიანი ნაწილის ქვედა სართული (კვადრ. გეგმის, რიყის ქვით ნაშენი სადგომი, რ-ის ზურგი ფერდობშია შეჭრილი) უფრო ადრინდელია. როგორც ჩანს, სახლის აგებამდე, ამ ადგილზე რაღაც შენობა იდგა, რ-იც მშენებლობისას ახ. შენობის კორპუსში ჩართეს.

სახლის ერთსართულიანი ნაწილი და ორსართულიანი ნაწილის მეორე სართული ერთი პერიოდისაა. თითოეული მათგანი თითო ოთახისგან შედგება. ისინი სხვადასხვა დონეზე არის განლაგებული (დონეთა შორის სხვაობა დაახლ. 1,3 *მ*-ია) და ეზოს მხარეს, ფასადის მთელ სიგრძეზე, ხის, გადახურული აივანი გასდევთ. აივნები ერთმანეთთან კიბით არიან დაკავშირებული. კიბე აივნისავე ფარგლებშია – ერთსართულიანი ნაწილის დას. ბოლოში. ეზოდან, ხის, შვიდსაფეხურიანი კიბით ჯერ ერთსართულიანი ნაწილის აივანზე ვხვდებით, აქედან კი, ორსართულიანი ნაწილის აივანზე. ოთახებში შესვლა მხოლოდ აივნიდანაა შესაძლებელი. თავდაპირველად, ორსართულიანი ნაწილის მეორე სართულზე, ოთახის გარდა, მოწყობილი ყოფილა დერეფანი (სიგ. დაახლ. 2 *მ*), რ-იც სახლის უკანა მხარეს არსებულ ეზოში გადიოდა. მოგვიანებით, დერეფნის ორივე ბოლოში კედელი ჩაუშენებიათ და იგი სამზარეულოდ გადაუკეთებიათ. სამზარეულოში, ისევე როგორც ოთახში, აივნიდან ვხვდებით. აივანზე, კარის გარდა, სამზარეულოს ერთი ვიწრო სარკმელიც გამოდის.

საკედლე მასალად გამოყენებულია მუხის, თლილი ფიცრები (სისქე – დაახლ. 10 *სმ*, სიგ. – 30-40 *სმ*). შენობის კუთხეები გამოყვანილია ჭდობით და 20-25 *სმ* სიგრძის ნაშვერები აქვს დატოვებული. სახლის ერთსართულიანი ნაწილის სამი კედელი ხისაა და დაყრდნობილია რიყის ქვით ნაშენ ცოკოლზე (სიმ. – დაახლ. 1 *მ*). მეოთხე, უკანა კედელი კი, კვადრ. აგურითა და რიყის ქვითრის ნაგები. გარედან კედლის ზედაპირი დანაწევრებულია ორრიგად დაწყობილი აგურის ჰორიზ. შრეებით, რ-თა შორის დარჩენილი არე შევსებულია ცერად დაწყობილი რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებით. კედლის ბოლოები კი, მთლიანად აგურისაა. შიგნით კედელი, ძირითადად, აგურითაა ნაწყობი. კედლის შუაში, მთელ



028. ხედი სამხრ.-დას-იდან

სიმაღლეზე, საფეხურით შელრმავებული, ბრტყელი თაღით დასრულებული, განიერი არეა, რ-იც ვიწრო, ჰორიზ. ზოლით ორ ნაწილად არის გაყოფილი. მ.შ. ზედა – სადაა. ქვედაში



028. ინტერიერის დეტალი

კი ბუხარია მოწყობილი, რ-იც ასევე ბრტყელი თაღით არის დასრულებული. ბუხრის გვერდებზე მოთავსებულია თითო მაღალი თახჩა (კედლის კარადა). ოთახი განათებულია ოთხკუთხა სამი სარკმლით. ორი მათგანი, რ-ებიც შესასვლელის ორივე მხარესაა მოწყობილი, აივანზე გამოდის, ხოლო მესამე (მოგვიანებით ნაწილობრივ ამოუშენებიათ) – უკანა კედელშია. ეს უკანასკნელი შიგნიდან, ხის ძელებით, თარაზულადაა გადახურული, ხოლო გარედან მთლიანად აგურითაა გამოყვანილი და დასრულებულია ბრტყელი თაღით. ხის ძელებითაა გადახურული თახჩებიც.

სახლის ორსართულიან ნაწილში არსებული ოთახის (ფართ. დაახლ. 10 *კვ. მ*) ოთხივე კედელი ფიცრისაა – უსარკმლო. როგორც ჩანს, ეს ოთახი სამეურნეო დანიშნულების იყო. ოთახები ბრტყელი ჭერითაა გადახურული. აივანი კი – ჭერის გარეშეა. იგი დაყრდნობილია ხის რამდენიმე მსხვილ ბოძზე. გადახურვისათვის გამოყენებულია ოთხკუთხა კოჭები. აივნის ნაწილს შემორჩენილი აქვს ფიცრული მოაჯირი, რ-იც მარტივი, გამჭოლი სახეებითაა გაფორმებული.

სახლის ორსართულიანი ნაწილის ქვედა სართულის კედლები თითქმის მთლიანად რიყის ქვისაა. აგური გამოყენებულია მხოლოდ გარეთა კუთხეების, შესასვლელის და სარკმლის წყობაში.

სართულის შუაში დგას დედაბოძი. იგი მხატვრულად დაუმუშავებელია და მხოლოდ კონსტრუქციულ მოვალეობას ასრულებს – ჭერის საყრდენს წარმოადგენს. სართულის იატაკი მიწურია.

გარედან, შენობის ამ ნაწილის დას. კედელში, შესამჩნევია აგურით ნაწყობი მონაკვეთი, რ-იც ერთ-ერთ გვიანდელ გადაკეთებას უნდა უკავშირდებოდეს.

სახლის უკანა კედელს, როგორც ჩანს, აღმ. ბოლო მოხსნილი აქვს. კედლის გაგრძელებაზე შეიმჩნევა საძირკვლის კვალი.

შენობა გადახურულია შიფრის, ორფერდა სახურავით (სახურავის კავები და თავხე გამოცვლილია).

ნაგებობა ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს დას. საქართვ. ტერიტორიაზე შემონახული ხის სახლების ძველ ნიმუშებთან.

თ. დვალი.

029. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, ტყეში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლესიიდან შემორჩენილი იყო: აფსიდის სამხრ. გვერდი – მხართან ერთად (სიმ. – 1,6-1,8 *მ*), ჩრდ. გვერდის ნაშთი, აფსიდის კედელზე მიყრდნობილი, რიყის ქვით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი (ამჟამადაც ადგილზეა) და სამხრ. კედლის ნაწილი. შემორჩენილი კედლები ნაგები იყო რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

2009 წელს ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად, სათანადო პროექტის შედგე-



029. ხედი სამხრ.-დას-იდან

ნის გარეშე აღადგინა, რის გამოც ძეგლის თავდაპირველმა ფორმებმა ნაწილობრივი ცვლილებები განიცადა.

თ. დვალი.

030. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 2-3 *კმ*-ზე, ტყეში. განეკუთვნება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გამოყენებულია აგურიც. ინტერიერი შელესილია. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით – სწორკუთხა. აღმ-ით, სწორკუთხა საკურთხევლის აღმ. კედელში, თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. საკურთხევლის სამხრ. და ჩრდ. კედელზე თითო ოთხკუთხა ნიშაა. შიგნით ეკლ. გადახურულია ერთიანი, შეისრული ფორმის კამარით.


სამხრ. ფასადზე, შესასვლელის თაღის თავზე, ჩასმულია ოთხკუთხა ქვა, რ-შიც კვადრ. ნიშაა ამოკვეთილი.


ეკლესიას აგურის ლავგარდანი აქვს და გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

031. წმ. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.


დას-ით, დაახლ. 500 მ-ზე. საგარაუდოდ თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.





031. გეგმა. განივი ჭრილი, ხედი აღმ-კენ

ეკლ. დარბაზულია (3,8x2,7 მ), უაფსიდო. ნაგებია რიყის ქვითა და მოყვითალო ფერის კირის ხსნარით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. აღმ. კედელში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის ქვემოთ, კედლებზე, რიყის ქვით ნაშენი, კუთხეებმომრგვალებული ტრაპეზია მიდგმული. სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ბოლოსთან თითო მცირე, ოთხკუთხა ნიშაა. შიგნით ეკლ. გადახურულია ერთიანი, ნახევარცილინდრული კამარით.



031. სამხრ. ფასადი

2008 წელს ადგილ. მაცხოვრებლებმა ეკლ. თვითნებურად, სათანადო პროექტის შედგენის გარეშე შეაკეთეს:კედლების დანგრეული ნაწილები აღდგენილია რიყის ქვით, აგურითა და ცემენტის ხსნარით, შესასვლელი გარედან გადახურულია აგურის შეუსაბამო თაღით, კედლებს აღარ აქვს ლავგარდანი.

თ. დვალი.



031. ხედი სამხრ.-დას-იდან

ასკილაური

(გომბორის თემის საკრებულო)

032. აღგილის დედა, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, ექვსასიოდე მ-ზე, ტყით დაფარულ მთაზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,25x3,42 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის, სრულიად დაუმუშავებელი ქვიშაქვით. წყობაში, ალაგ-ალაგ, მოზრდილი, თხელი ქვებიცაა ჩართული, რ-ებიც ბრტყელი პირით ფასადის მხარეს არის მიქცეული. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით. წყობა ძირითადად ქაოსურია.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოქცეულია გადახურვა, არსებული კედლებიდან, ქვეშაზე ნაკლები დანაკარგებით, ჩრდ. კედელია შემორჩენილი. სამხრ. კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია, აღმ. კედლის დარჩენილი ნაწილი კი მთელ სიმაღლეზეა გახეთქილი. ინტერიერში და კედლებზე ამოსულია ხეები.

ერთადერთი შესასვლელი (შემორჩენილია აღმ. წირთხლი) ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით აფსიდია, რ-იც დარბაზის კედლებიდან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში გაჭრილია გარეთკენ შევიწროებული სარკმელი, რ-საც გადახურვა ჩამოშლილი აქვს. აფსიდის სამხრ. გვერდში მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.



032. ხედი სამხრ.-დას-იდან

თ. დვალი.

033. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სამიოდე კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. კუთხეებში შედარებით დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია აღმ. კედელი და გრძივი კედლების აღმ. ნაწილები (სიმ. – 1,8-2 მ-ია), დას. კედლიდან კი საძირკველიღაა დარჩენილი.

აღმ. კედლის შუაში გაჭრილია გარეთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელი, რ-საც გადახურვა და გვერდების ზედა ნაწილი მონგრეული აქვს. სარკმლის კვალი სამხრ. კედელშიცაა. ამავე კედლის აღმ. ნაწილში მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. თუ საიდან ჰქონდა ეკლესიას შესასვლელი, ან რო-



033. ხედი ჩრდ.-დას-იდან

გორ იყო ეკლ. გადახურული, არ დგინდება.

ეკლესიას ჩრდ-იდან მინაშენი ჰქონდა, რ-ის კედლები ნანგრევებადაა ქცეული.

ც. დადიანიძე.

034. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 1,3 კმ-ზე, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,82x4,67 მ), ნაგებია მოზრდილი ზომის, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. შიგნითა კედლების წყობაში ნატეხი ქვაცაა ჩართული. გარეთა კუთხეები ძირითადად ამოყვანილია არცთუ ისე სუფთად დამუშავებული, შირიმის ბლოკებით. საპირე ქვებს შორის დარჩენილი არეები, როგორც გარედან, ისე შიგნით, ამოვსებულია დუღაბით.

ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული: კედლებიდან ყველაზე დიდ სიმაღლეზე დას. კედლი დგას, თუმცა, ფრონტონის მნიშვნელოვანი ნაწილი მონგრეულია. დანარჩენი კედლებიდან აღმ-ისა და ჩრდ-ისა,



034. ხედი სამხრ-იდან

გარედან, თითქმის მთლიანად მიწითაა დაფარული, სამხრ-ისა კი, დაახლ., 1,8 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეკლესიის აღმ. ნახევრის დიდი ნაწილი ამოვსებულია ქვებითა და მიწით.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-საც შუა ნაწილი განგრეული აქვს. აფსიდის ჩრდ. გვერდში საშ. ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი, დარბაზის შესაბამისი კედლებიდან, გამოყოფილია მხრებით, რ-თა დიდი ნაწილი შირიმის ქვითაა გამოყვანილი. დას. კედლის ზედა ნაწილში, ჯგუფად განლაგებული, მცირე ზომის, ხუთი კვადრ. ნიშაა. მ.შ. ოთხი – თითქმის ერთ დონეზეა, წყვილ-წყვილად, ხოლო მეხუთე – მარცხ. წყვილის თავზეა.

ეკლ. შიგნით გადახურული იყო სხმული კამარით, აფსიდი კი – კონქით. კონქიდან მხოლოდ ჩრდ. ნახევარია დარჩენილი, კამარიდან კი, მთელ სიგრძეზე – ჩრდ. გვერდის ნაწილი.

თ. დვალი.

035. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 1,2 კმ-ზე, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,4x3,7 მ), ნაგებია ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კედლები ძირითადად მოზრდილი ქვებითაა ამოყვანილი, წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩართულია ლოდებიც. წყობა ქაოსურია, ტლანქი. ბათქაშის შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ შიგნით კედლები შეთეთრებული ყოფილა.

ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია კამარა და კონქის დიდი ნაწილი, დანგრეულია სამხრ. და ჩრდ. კედლების დას.



035. ხედი აღმ-იდან


ნახევარი, მთელ სიმაღლეზე გახეთქილია აღმ. კედელი, სამხრ. კედლის შემორჩენილ ნაწილს, გარედან, საპირე წყობა თითქმის მთლიანად მონგრეული აქვს, ინტერიერში და კედლებზე ხეებია ამოსული.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც განიერი, გარეთკენ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი. აფსიდის ჩრდ. გვერდში მცირე, ოთხკუთხა ნიშაა.


თ. დვალი.

036. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, ორიოდე კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, აქვს თანადროული მინაშენი სამხრ-იდან, რ-იც ძირითად ნაწილს წყობის გადაბმით უკავშირდება (ზომები გარედან: სიგრ. – 6,80 მ, სიგ. – 6,55 მ). საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და სრულიად დაუმუშავებელი ქვიშაქვის ნატეხი ქვა. ამ უკანასკნელით, მეტწილად, შენობის გარეთა კედლებია ნაწყობი. შიგნით კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც შიგადაშიგ საპირე ქვების ზედაპირს თითქმის მთლიანად ფარავს.



036. გეგმა



036. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

შენობა ძლიერაა დაზიანებული: ჩამოქცეულია ეკლესიისა და მინაშენის კამარა, თითქმის მთლიანადაა დანგრეული მინაშენის სამხრ. კედელი, დაბზარულია საკურთხევლის კონქი, ეკლესიის ჩრდ. კედელს, ორივე ბოლოში, გამჭოლი ბზარები დაუყვება, ინტერიერში აწეულია მიწის დონე და ამოსულია ხეები, გარეთა კედლების საპირე წყობის ქვები, ალაგ-ალაგ, ჩამოცვენილია, ეკლესიის ჩრდ. ნახევარი, დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე, მიწაშია ჩამჯდარი.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან, მინაშენიდან აქვს. კარი გარედან თარაზულად იყო გადახურული (შემორჩენილია ზღუდრის ორივე ბოლოს კვალი) შიგნიდან კი – თაღით (შემორჩენილია ორივე ქუსლის წყობა).

აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია. აფსიდის შუაში გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. სარკმელი, როგორც ჩანს, გარედანაც თაღით იყო გადახურული (გარეთა ღიობის საპირე ქვები მთლიანად ჩამოცვენილია). აფსიდის მხრები დასრულებულია შირიმის მარტივი პროფილის კაპიტელით. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის ნაწილი, თაღთან ერთად, ჩამოშლილია.

მინაშენი ვიწროა (სიგ. – 1,1 *მ*). აღმ-ით იგი დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც გაჭრილია შიგნიდან და გარედან თარაზულად გადახურული, ვიწრო სარკმელი. მინაშენი გადახურული იყო ერთიანი კამარით, რ-ის ნაშთი ეკლესიის ძირითადი ნაწილის სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი. მინაშენის სამხრ. კედლის სტრუქტურა, გათხრა-გასუფთავების გარეშე, ვერ დგინდება.

მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-იდან გაურკვეველი დანიშნულების სადგომი მიუშენებიათ (შემორჩენილია აღმ. კედელი და სამხრ. კედლის აღმ. ნაწილი), რ-ის აღმ. კედელი (სიმ. – 1,8 *მ*) ეკლესიის აღმ. კედლის ხაზზეა. გარედან, სადგომის სამხრ.-აღმ. კუთხეზე, მიბჯენილია ქვიშაქვის ნატეხი ქვით ნაგები, მრუდე კედელი (სიგრ. დაახლ. – 5 *მ*, სიმ. – 1,2-1,4 *მ*), რ-ც აღმ-ით მიემართება.



036. აღმ. ფასადი

თ. დვალი.



037. დას. კედელი. ხედი აღმ-იდან

037. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, ტყეში. განეკუთვნება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ძ. თითქმის მთლიანად დანგრეულია. ამჟამად მისგან მხოლოდ დას. კედელი დგას (სიმ. – დაახლ. 3,5 *მ*). თუმცა, მასაც ჩრდ. კიდე და ფრონტონის მნიშვნელოვანი ნაწილი აკლია. შენობის დანარჩენი კედლები მიწასთანაა გასწორებული.

ეკლ. ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ქაოსურია. დას. კედლის სამხრ. კიდის ზედა ნაწილში, ფრონტონის ძირის დონეზე, შირიმის ქვაა ჩართული. კედლები გარედან გალესილი ყოფილა. შიგნით კი – ბათქაშით გასწორებული.

თ. დვალი.

038. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 0,7 *კმ*-ზე, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი და დას. კედელი, გრძივი კედლები კი – დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე. აღმ. კედელს ჩრდ. კიდე და საფასადე წყობის დიდი ნაწილი ჩამოშლილი აქვს, ინტერიერი ამოვსებულია ქვებითა და მიწით. მიწითა და ნანგრევებითაა დაფარული გარეთა კედლების მნიშვნელოვანი ნაწილიც.

ეკლ. დარბაზულია (5,8x3,75 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კედლები გამოყვანილია მოზრდილი, შემთხვევითი ფორმის, თხელი ქვებით, რ-ებიც ბრტყელი პირით ფასადის მხარეს არის მიქცეული. წყობა ძირითადად ქაოსურია, ტლანქი. შიგნით, კედლების წყობაში, გაცილებით მცირე ზომის ქვებია გამოყენებული. ჩრდ. კედლის საპირე წყობაში ქვები თავისებურად არის განლაგებული – თხელი, მოგრძო, ნატეხი ქვები თევზფხურადაა დაწყობილი. მსგავსი წყობით გამოყვანილი ერთი ზოლი დას. კედლის ქვედა ნახევარშიცაა. ინტერიერი შელესილი ყოფილა. ნალესობის ფრაგმენტები ძირითადად საკურთხეველშია შემორჩენილი.

ერთადერთი შესასვლელი (შემორჩენილია წირთხლების ნაშთი) ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. აფსიდი ნახევარწრიული ფორმისაა. იგი ღრმაა. იმდენად, რომ მისი სიღრმე დარბაზის სიგრძის ტოლია. აფსიდის შუა ნაწილი, სარკმლის ადგილზე, განგრეულია, ბოლოებთან კი, თითო ოთხკუთხა ნიშაა (სამხრ-ით მდებარეს უკანა მხარე განგრეული აქვს). აფსიდი გადახურულია ტლანქად ნაგები კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმა ჰქონდა კამარასაც, რ-ის კვალი დას. კედელზეა შემორჩენილი. ამავე კედელს ფრონტონის მცირე ნაწილიც შემორჩა.

ეკლ. გადახურული იყო დაუმუშავებელი, ქვიშაქვის თხელი ფილებით (ნაშთები შემორჩენილია აღმ. ნაწილის სახურავზე), რ-ებიც დაწყობილი იყო დუღაბის სქელ ფენაზე.

თ. დვალი.



038. ხედი სამხრ.-დას-იდან

ბადიაური

(ყანდაურის თემის საკრებულო)

039. ბადიაური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გარეკახეთის ზეგანზე, საგარეჯოდან 25 *კმ*-ზე. დაარსდა XX ს-ის დასაწყისში, რკ-გზ. სადგურ „ბადიაურის“ დაარსების შემდეგ.

სოფლის დღევანდელი მოსახლეობა ზემო და ქვემო ყანდაურიდანაა ჩამოსახლებული. ბადიაურზე გადიოდა თრიალეთისკენ ქიზიყის ცხვრის გადასარეკი ტრასა.

ალ. ელერდაშვილი.

ბიბლ.: 107.

040. გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს ხანას.

შემთხვევით გამოვლენილი გორასამარხი შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფარი და ორთითები, რ-ებიც კახეთის ტერიტორიაზე სამხრ-

იდან შემოტანილად არის მიჩნეული.

ლ. მაისურაძე.

ბიბლ.: 174; 294.

041. თელეთისგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მთაზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს ხანას.


ძ. ძლიერ დაზიანებულია. აქ მდგარი ეკლესიის შეკეთებისას მიწა ბულდოზერით მოუსწორებიათ და კულტ. ფენა დაურღვევიათ. ძეგლზე ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მ. კალანდაძე.

ბიბლ.: 294.

042. თელეთის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (ჩრდ-ით), სამიოდე *კმ*-ზე, თელეთის გორაზე.

ეკლ. დარბაზულია (5,6x4,9 *მ*). შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს, აღმ-ით კი ნახევარწრიული აფსიდი, რ-შიც გაჭრილია მცირე ზომის, თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა, ქვემოთ კი – ოთხწახნაგა ტრაპეზი, რ-იც



042. გეგმა

კედელზეა მიყრდნობილი. დარბაზი კვადრატულია (3,1x3,1 *მ*), გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით.

XXI ს-ის დასაწყისში ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად, სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე გაარემონტა, რ-ის დროსაც კედლები შიგნით გაჯით, ხოლო გარედან ცემენტისა და ქვიშის ხსნარით შეილესა. ამის გამო ძეგლს ისტ. ღირებულება დაეკარგა.

თ. დვალი.

ბოტკო, იხ. სოფ. კოჭბაანი.


ბურდიანი
(მანავის თემის საკრებულო)

043. გამოქვაბული მონასტერი, ქვაბსაყდარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 2 *კმ*-ზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. ძ. აღმოჩნდა 2004 წელს, ადგილ. მაცხოვრებლის ნ. ტაბატაძის მიერ. ძ. ამავე წელს შეისწავლა საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გამოქვაბულთა შემსწავლელმა სპეციალიზირებულმა ჯგუფმა (გ. გაფრინდაშვილი, ს. ბურდილაძე). აღმოჩნდა კლდეში ნაკვეთი, ორნავიანი ეკლ. და მასზე სამხრ-იდან მიშენებული, აფსიდიანი ნაგებობა. გათხრების შედეგად მიაკვლიეს ქვის კარიერებსაც. გამოვლინდა აგრეთვე ბერის საცხოვრ. სენაკი და რამდენიმე სამარხი ქვაყუთი. აფსიდიან ნაგებობაში აღმოჩნდა ქვის, ოთხწახნაგა ტრაპეზი, რ-იც შემდგომი რესტავრაცია-კონსერვაციის მიზნით, გადაიტანეს საქართვ. ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართვ. მუზეუმში. 2006 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტომ ეკლესიის მიმდებარე ტერიტ. გაწმინდა მიწისა და კლდის ჩამონაშლისაგან, გამოქვაბულის ჩამოშლილი, ზედა ნაწილი გადაიხურა ხის ძელებით, ჰიდროიზოლაციისათვის დაიყარა ღორღი, რ-იც დაიბურა ბალახის საფარით, ჩატარდა ძეგლის საკონსერვაციო და გამაგრებითი სამუშაოებიც.



043. ეკლესია (კონსერვაციის შემდეგ). ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლ. ორნავიანია. ორივე ნავი თითქმის თანაბარი ზომისაა (სიგრ. – 6,8 *მ*, მაქს. სიგ. – 2,5 *მ*), გამოკვეთილია კლდის ძნელად დასამუშავებელ ქანში, რის გამოც კედლები უსწორმასწოროა. ნავები ერთმანეთთან დაკავშირებულია კლდეშივე გამოკვეთილი სამი მაღალი, თაღოვანი მალით, რ-ებიც ერთმანეთისგან ოთხწახნაგა ბურჯებით არის გამიჯნული. აღმ-ით ორივე ნავი ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. ჩრდ.



043. გეგმა

ნავის ჩრდ. კედელში, იატაკიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, ამოკვეთილია ვიწრო (სიგ. – 50 *სმ*), მოგრძო (სიგრ. – 1,5 *მ*) ემბაზი, რ-ის ფსკერი თითქმის ნა-



043. ეკლესია (კონსერვაციის შემდეგ). ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ვის იატაკის დონეზეა. ჩრდ. ნავი, აფსიდითურთ, ერთიანი კამარითაა გადახურული. კამარით იყო გადახურული სამხრ. ნავიც, რ-ის უმეტესი ნაწილი ჩამოშლილია. სამხრ-ით მდებარე ნავს სამხრ-იდან ეკვრის ნატეხი ქვით ნაშენი, აფსიდიანი ნაგებობა (კედლები 1-1,5 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი), რ-იც, ადგილის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, ეკლესიის გამოკვეთის დროსვე უნდა იყოს აგებული.

ეკლესიის აღმ-ით, თხუთმეტიოდე მ-ზე, კლდის იმავე მასივში, მცირე ზომის გამოქვაბულია, მის პირდაპირ კი, ნახევარწრიული მოხაზულობის კედლის ნაწილია (სიმ. – დაახლ. 1,3 *მ*) შემორჩენილი. კედლების ნაშთებია ეკლესიის სამხრ-ითაც, ათიოდე მ-ზე. მონასტრის აღმ-ით ნაგებობათა ნაშთები და სამარხებია. ყოველივე ეს კი საფუძველს ქმნის, ვივარაუდოთ, რომ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე დიდი დასახლება არსებობდა.

ეკლესიაში აღმოჩენილი ტრაპეზი ოთხწახნაგაა (სიმ. – 101 *სმ*, წინა და უკანა მხარეების სიგ. – 60 *სმ*, გვერდითი მხარეების სიგ. – 48 *სმ*), გამოკვეთილია მთლიან ქვიშაქვაში. დაზიანებულია. ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი მას მოტეხილი აქვს. ფრაგმენტებიდან ნაწილი ადგილზე, გათხრების დროს აღმოჩნდა, ნაწილი კი დაკარგულია.

ტრაპეზი მდიდრულადაა შემკული. ოთხივე კუთხეში მას ნახევარსვეტი აუყვება. წინა კუთხეების ამყოლი ორივე ნახევარსვეტი შედგენილია თანაბარი ზომის ბურთულებისგან, რ-ებიც ერთმანეთისგან განცალკევებულია ვიწრო, ორმაგი, რელიეფური ზოლით. უკანა კუთხეების ამყოლი სვეტები კი სადაა. ტრაპეზის წინა მხარე გაყოფილია თითქმის თანაბარი სიმაღლის სამ არედ, რ-ებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია ბრტყელი ზოლით. ზედა და შუა არეების გამყოფი ზოლი გაფორმებულია ნაძვის წიწვისებრად განლაგებული ხაზების რიგით. როგორც ჩანს, ასეთივე ზოლით იყო გამიჯნული შუა და ქვედა არეც. სამივე არე მოქცეულია ერთიან, ორმაგი რე-



043. ეკლესია. ჩრდ. ნავი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

ლიეფური ზოლით გამოყვანილ, ვიწრო ჩარჩოში. სამივე არეზე გამოსახულია თითო მრავალფიგურიანი, რელიეფური კომპოზიცია. ფიგურები დაბალი რელიეფით არის მოცემული და პლასტიკურად თითქმის დაუმუშავებელია.

ამჟამად, დიდი დანაკარგების გარეშე, მხოლოდ შუა არეზე გამოსახული კომპოზიციაა შემორჩენილი, თუმცა, ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი მასაც აკლია. სამივე არეზე წარმოდგენილია ფრონტალურად მდგომი შვიდ-შვიდი ფიგურა, რ-თაგანაც შუაში მდგომი



043. ტრაპეზი. საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი

ფიგურები, სხვებთან შედარებით, ოდნავ უფრო განიერია. ზედა არეში ფიგურები ერთნაირ სამოსელშია წარმოდგენილი. მათი მოსასხამი ქვედა ნაწილში გახსნილია და მოჩანს გრძელი, კოჭებამდე დაშვებული



043. ტრაპეზი. საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი

კვართი. ყველა მათგანს აცვია დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, რ-ებიც ქუსლებით ერთმანეთზე აქვთ მიბჯენილი. კომპოზიციის მარცხ. კიდეში მდგომი ფიგურა მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი. მას ადგას რადიალურად გაშლილი, სწორი ხაზებით გაფორმებული შარავანდი, ხელში კი დახურული წიგნი უჭირავს. აღმოჩენილი ფრაგმენტების საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ კომპოზიციის შუაში წარმოდგენილი იყო მაცხოვარი. მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი ფიგურები კი, სავარაუდოდ, მოციქულები ან მღვდელმთავარნი უნდა იყვნენ.

შუა არე ცუდადაა შემორჩენილი. იკითხება მხოლოდ ფიგურების სილუეტები. დანარჩენი დეტალები კი თითქმის გამქრალია. თუმცა ჩანს, რომ ყველა გრძელ სამოსშია გამოწყობილი და, როგორც ეს მარცხ. კიდეში მდგომი ფიგურის (ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი) მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, ხელში დახურული წიგნი უჭირავთ. აღნიშნული ფიგურა ჩაცმულობით მის ასწვრივ, ზედა არეში მდებარე ფიგურისგან ოდნავ განსხვავდება. განსხვავებულია აგრეთვე ცენტრ. ფიგურაც. ეს უკანასკნელი მიჩნეულია ღვთისმშობლად, რ-საც ხელში ჩვილი ქრისტე უჭირავს. მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი ფიგურები კი – წმინდანებად.



043. ფრაგმენტი. საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი

ქვედა არის ფიგურებიდან მეტ-ნაკლებად შემორჩენილია მარჯვ. სამი ფიგურა, რ-თა მიხედვითაც ჩანს, რომ ამ არეში წარმოდგენილი ფიგურები სხვაგვარად იყვნენ ჩაცმულები – მოკლე, მუხლებამდე ჩამოგრძელებული სამოსელი, რ-ის ქვემოთ მოჩანს ერთმანეთზე ქუსლებით მიბჯენილი ფეხები, ცხვირწაწვეტებული ფეხსაცმლებით. მხოლოდ ერთი, ცენტრ. ფიგურაა შემოსილი გრძელი, კოჭებამდე დასული კაბით.



043. ფრაგმენტი. საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი

ტრაპეზის გვერდითი მხარეები მცენარეული ორნამენტებითაა გაფორმებული. მხარეებიდან მარცხენაზე დეკორი თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი, მარჯვენაზე კი – დეკორის მხოლოდ ქვედა ნახევარი. მარცხ. გვერდზე გამოსახულია ერთმანეთზე გადაბმული, მსხვილყორტებიანი, ფოთლოვანი ელემენტი. მარჯვ. გვერდის მორთულობა კი მსხვილი, ცენტრ. ღეროს აქეთ-იქით განლაგებული, წაგრძელებული ფოთლებისგან შედგება.


ტრაპეზის უკანა მხარე მოურთველია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 147.

044. მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (ჩრდ.-დას-ით), სამიოდე *კმ*-ზე, ტყეში. თარიღდება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. მცირე ზომის, დარბაზული ეკლესიაა (5,0x3,65 *მ*), ნახევარ-




044. გეგმა

წრიული აფსიდით და ერთადერთი შესასვლელით დას-იდან, რ-იც გარედან თაღითაა დასრულებული, შიგნით კი თარაზული გადახურვა აქვს.

ეკლესიის კედლების დიდი ნაწილი ნაგებია წვრილი რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩართულია მოზრდილი ზომის, ქვიშაქვის სრულიად დაუმუშავებელი ქვები. გარეთა კუთხეები კი მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვიშაქვის ლოდებითაა გამოყვანილი.

მოგვიანებით ეკლ. მნიშვნელოვნად შეუკეთებიათ, რ-ის დროსაც გარეთა კედლების საპირე წყობის დიდი ნაწილი აღუდგენიათ. XX ს-ის II



044. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ნახევარში, ადგილ. მოსახლისმიერ ჩატარებული რემონტის დროს, შიგნით, კედლების დიდი ნაწილი ცემენტისა და ქვიშის ხსნარით შეუღესავთ და შენობა ღარისებრი კრამიტით დაუბურავთ, რ-იც ხის მსხვილ ტოტებზეა დაწყობილი.

ეკლესიის ინტერიერი განათებულია აფსიდში გაჭრილი ერთადერთი სარკმლით. იგი გარეთკენ შევიწროებულია, აქვს თარაზული გადახურვა და შიგნითკენ მკვეთრად დახრილი ძირი. სარკმლის გარეთა ღიობი გამოკვეთილია შირიმის ერთ ქვაში, რ-იც წყობაში თავდაყირაა ჩასმული (დიდი ალბათობით – შეკეთების დროს), რის გამოც სარკმელს ძირი მომრგვალებული აქვს, ზემოდან კი თხელი, რიყის ქვა ხურავს. აფსიდის სამხრ. გვერდში მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი, მაგრამ ოდნავ მომცრო ნიშა, რ-იც აშკარად გვიანდელია, დარბაზის ჩრდ. კედელშიცაა. აფსიდი გადახურულია ოდნავ დადაბლებული პროპორციების კონქით, რ-ის თაღის



044. აღმ. ფასადი

მოხაზულობა სრულ ნახევარწრეზე ოდნავ ნაკლებია. მსგავსი ფორმა ჰქონდა კამარასაც (მნიშვნელოვანი ნაწილი აკლია). ინტერიერი შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.

თ. დვალი.

045. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, დას-ით. გამოვლინდა ხუთი ორმოსამარხი, რ-ებიც XX ს-ის შუა ხანებში შეისწავლა არქეოლოგმა ნინო ბერძენიშვილმა. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს შუბისპირი და სატევარი. გამოვლენილი მასალის მიხედვით, სამარხი ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარს განეკუთვნება.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართვ. მუზეუმში.

ლ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 294.

046. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, ჩრდ-ით, ოთხასიოდე მ-ზე.

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო. შესასვლელი დას-იდან ჰქონია. კედლები, დაახლ., 1,7 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი.

XXI ს-ის დასაწყისში, ადგილ. მოსახლეობას აქ მდგარი ეკლესიის ადგილზე აუგია ახ. ეკლ., რ-ის კედლები, არსებული ეკლესიის კედლებზე, გარედანაა მიშენებული.

თ. დვალი.

047. წმ. გიორგის ეკლესია, თ ე ლ ე თ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ, ღვთისმშობლის ეკლესიიდან ოცდაათიოდე მ-ზე.

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი დას-იდან ჰქონია.

XX ს-ის ბოლო მეოთხედში ეკლ. თვითნებურად, სათანადო პროექტის შედგენის გარეშე აღუდგენიათ, რის გამოც ძეგლის თავდაპირველ ფორმებს ნაწილობრივი ცვლილებები განუცდია: შიგნით იგი გადაუხურავთ ფიცრის უსახური კამარით, საკურთხევლის აღმ. კედლის აღდგენილ ნაწილში მოუწყვიათ ორი უსახურივე, ოთხკუთხა სარკმელი, კედლები კი ცემენტისა და ქვიშის ხსნარით შეუღესავთ.

თ. დვალი.

ბიორგიწმინდა

(საკრებულოს ცენტრი)

048. ბიორგიწმინდა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. წიფლისხევის (მდ. ივრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე, საგარეჯოდან 3 კმ-ზე.

წერილობით წყაროებში სოფელი პირველად XIV ს-ში იხსენიება. იგი დავითგარეჯს ეკუთვნოდა. თემურლენგის მრა-

ვალეზის შემოსევების შედეგად, დავითგარეჯის სამონასტრო ცხოვრება მოიშალა და მისი კუთვნილი სოფლები, მ. შ. გიორგიწმინდაც, საქართველოს მეფემ ალექსანდრე I-მა დიდმა (მეფობდა 1412-1442 წწ.-ში) 1424 წელს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1589 წელს გიორგიწმინდა კვლავ დავითგარეჯს დაუბრუნდა. მოგვიანებით აქ მამულები თოხლიაურელმა თავადებმა ჩერქეზიშვილებმა შეიძინეს. XVIII საუკუნეში სოფელში თავისი ყმა-ხელოსნები ჰყავდა სამეფო კარს. ერეკლე II-ის ბრძანებით გიორგიწმინდაში სამშენ. სამუშაოები უწარმოებიათ. ამას მოწმობს სოფელში მდგარი ერთ-ერთი კოშკის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერა.

ამჟამინდელი გიორგიწმინდა უბნებად არის დაყოფილი. უბნების სახელწოდება აქ მცხოვრები ძირითადი გვარებიდან მომდინარეობს: გულისაანი, დიღმელაანი, კევლიაანი, მარიდაანი, მეკოკიაანი, ჭიაბერიაანი.

გიორგიწმინდის მეურნეობაში წამყვანია მიწათმოქმედება, ჭარბობს მემინდვრეობა. უმთავრესად ითესება ხორბალი (დოლის პური, თავთუხი, პორშილა), სიმინდი. მისდევენ მევენახეობასაც. მეცხოველეობაში ჭარბობს მსხვილფეხა, რქოსანი საქონელი. ცხვარი ადრე შეძლებულ კომლებს ჰყავდათ.

გ. აფრასიძე, ალ. ელერდაშვილი.

ბიბლ.: 28; 122; 200; 255; 273; 322.

049. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. გიორგიწმინდასა და საგარეჯოს შორის. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს.

ძ. აღმოჩნდა 1939 წელს. სამაროვანზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა ისტორიკოსმა სტეფანე მენთეშაშვილმა. ორმოსამარხებში მიცვალებულები ესვენა მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რკინის საბრძოლო იარაღი და ლითონის სამკაული.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართვ. მუზეუმში.

კ. ფიცხელაური.


ბიბლ.: 294.

050. ღვთისმშობლის ეკლესია, კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ძვ. ნაწილში.


კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ეკლ. და მასთან ახლოს მდგომი ორი კოშკი. კოშკები ერთმანეთისგან ოცდახუთიოდე მ-ის მანძილზე დგას, ეკლ. კი მათ შორისაა მოქცეული.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა დარბაზულია (15,72x6,25 მ), აქვს ორი შესასვლელი: ერთი დას. კედელშია გაჭრილი, მეორე – სამხრ. კედლის შუაში. ორივე თარაზულადაა გადახურული. სამხრ. კარის თავზე მოთავსებულ ქვაზე მხედრ. დამწერლობით შესრულებული, ოთხსტრიქონიანი წარწერაა, რ-ის მიხედვით. ეკლ. 1800 წელს აუშენებია მღვდელ ივანე კევლიშვილს.

XX ს-ის 50-იან წლებში ეკლ. კლუბად გამოიყენებოდა, რა დროსაც მან გარკვეული სახეცვლილება განიცადა. ნაგებობა მნიშვნელოვნად გადაკეთდა XXI საუკუნის დასაწყისში ჩატარებული, სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგადაც. ამ დროს გადააკეთეს დას. შესასვლელი, აამაღლეს საკურთხ-



050. ღვთისმშობლის ეკლესია. გეგმა



050. ღვთისმშობლის ეკლესია. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

ევლის იატაკი, ააგეს კანკელი და ინტერიერი შელესეს გაჯით.

ძ. რიყის ქვითა და აგურითაა ნაგები. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. კონსტრ. ნაწილები, შესასვლელები და ლავგარდანი გამოყვანილია



050. ღვთისმშობლის ეკლესია. ხედი სამხრ.-დას-იდან.

აგურით. გარედან კედლები კირის დუღაბითაა გასწორებული, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის დიდ ნაწილს ფარავს.

ეკლესიის შიდა სივრცე ამ ტიპის ნაგებობებისათვის უჩვეულოდ გრძელია (შიდა ზომები აფსიდის ჩათვლით: სიგრ. – 13,7 *მ*, სიგ. – 4,2 *მ*). აღმ-ით იგი დასრულებულია ღრმა, ნახევარწრიული აფსიდით, რ-შიც გაჭრილიაგანიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. გარედან იგი აგურითაა გამოყვანილი და ბრტყელი თაღი ხურავს. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს და ქვეშ, თითო განიერი ნიშაა. მ. შ. სარკმლის სამხრით მდებარე ნიშა სწორკუთხაა, დანარჩენი ორი – თაღოვანი.

დარბაზის გრძივ კედლებზე სამი წყვილი პილასტრია. პილასტრების დას. წყვილი, რ-იც დანარჩენებთან შედარებით ოდნავ უფრო განიერია, კუთხეებთანაა შერწყმული. ყველა პილასტრი დასრულებულია ტლანქი, ძლიერ შვერილი, თაროსებრი კაპიტელით. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან თითო – გრძივი კედლების დას. ნაწილში, ერთმანეთის მოპირდაპირედაა გაჭრილი. ერთიც – დას. კედელში. შიგნით ყველა სარკმელი თაღოვანია. საკურთხევლის სარკმლისგან განსხვავებით, მათი გარეთა ღიობი ქვიშაქვის ოთხ-ოთხი გათლილი ქვითაა გამოყვანილი და აგურის წყობის შეღრმავებით გამოსახულია მრავალსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი, რ-ის განივი მკლავების ბოლოსთან, ოდნავ ზემოთ, თითო პატარა, ტოლმკლავა ჯვრის შეღრმავებული გამოსახულებაა.

სამხრ. ფასადზე, შესასვლელის გადახურვის დონეზე, გამოყვანილია მაღალი, მცირედ შეღრმავებული, ოთხკუთხა არე, რ-საც აგვირგვინებს წყობიდან კუთხით გამოშვერილი, აგურების ორი რიგით შედგენილი ფრიზი. თავად არის ზედაპირი კი აგურის ფიგურული წყობითაა დამუშავებული (აგურები თევზისფხურადაა დაწყობილი), რაც საგანგებო, მხატვრული ამოცანის არსებობას მოწმობს. შესასვლელის ორივე მხარეს, ერთიმეორის თავზე განლაგებული, ორ-ორი შეღრმავებული რომბია. შესასვლელის ზემოთ კი მცირედ შეღრმავებული, კვადრ. ნიშაა, რ-შიც წარწერიანი ქვაა ჩასმული.

ეკლესიის დას. შესასვლელის გადახურვაც მოქცეული იყო შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეში (შემორჩენილია კვალი).



050. ღვთისმშობლის ეკლესია. ხედი დას-იდან. უკანა პლანზე ჩრდ.-აღმ. კოშკი

კვადრატს მიახლოებული ფორმა აქვს. მსგავსი კიდევ ერთი სარკმელი იყო გაჭრილი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, რ-იც რემონტის დროს ისეა ამოშენებული, რომ მისი კვალიც კი აღარ ჩანს.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ,

იგი ამჟამად ამოშენებულია და ზედ ლითონის ორკალთა წინფრაა მიმაგრებული.


ფასადები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით (განა-



050. დვთისმშობლის ეკლესია. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ


ხლებულია ეკლესიის რეაბილიტაციის დროს), რ-იც გამოყვანილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით შედგენილი რიგების მონაცვლეობით.

შენობა გადახურულია ღარისებრი კრამიტით.




050. ჩრდ.-აღმ. კოშკი. II სართულის გეგმა

კომპლექსის ორივე კოშკი ტიპურია XVIII ს-ის II ნახევრისათვის (ორივე მათგანს 2016-2017 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა საქართვ. ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა). კოშკები ცილინდრულია და რიყის ქვითაა ნაგები.მათგან ერთი – ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან დგას, სამიოდე მ-ზე, ხოლო მეორე – ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხის მოპირდაპირედ, დაახლ. 8 მ-ის მოშორებით.



050. ჩრდ.-აღმ. კოშკი. III სართულის გეგმა

ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან მდგარ კოშკზე, შესასვლელის ზღუდარზე (რ-ისთვისაც საფლავის ქვაა გამოყენებული), შემორჩენილია მხედრ. დამწერლობით შესრულებული სამშენ. წარწერა. იგი დაზიანებულია და კარგად არ იკითხება:



050. ჩრდ.-აღმ. კოშკი. ჭრილი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

„ქ: მ`ფე: ი`კლ: მეორე: ჯბშმა: რმზ; ჩმს: მე. . .: ბძნებით: ჯრბში: სამი გალვნი: გჯკე“.

წარწერის შინაარსის შესახებ სამეცნ. ლიტერატურაში გამოთქმულია ორი თვალსაზრისი. იმ საკითხში, რომ კოშკები აგებულია მეფე ერეკლე II-ის ყორჩიბაშის – რამაზის მიერ, მკვლევართა შორის თანხმობაა. აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად ტექსტში აღნიშნული სიტყვის – „ჯრბში“-ის წაკითხვაშია. მკვლევარი პ. ზაქარაია მას კითხულობს, როგორც „კარებში“,ხოლო მკვლევარი თ. ბარნაველი – „ჯარებაში“ (ხარებაში). პ. ზაქარაიას აზრით, კოშკების მშენებლობის დროს „მათ შორის ეკლესია არ მდგარა“.



050. ჩრდ.-აღმ. კოშკი. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კოშკი ოთხი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. პირველი სართული ყრუა. ერთადერთი შესასვლელი მეორე სართულზეა, სამხრ.-დას-ით. შესასვლელის პირდაპირ, შეისრულთაღოვანი ბუხარია. სარკმელი ამ სართულზე მხოლოდ ერთია, სამხ.-აღმ-ით. იგი ჩვეულებრივზე მოზრდილია. სართულზე სამი ოთხკუთხა ნიშაა,




050. ჩრდ.-აღმ. კოშკი. შესასვლელის ზღუდარი წარწერით

რ-ებიც თითო შეწყვილებული სათოფურითაა აღჭურვილი. ბუხრისა და სარკმლის გვერ-


დებზე დაბლა დახრილი, თითო ცალმაგი სათოფურია. კარის მარცხნივ მესამე სართულზე ასასვლელი, ნახევრად ღია კიბეა, რ-ის ფარგლებში ორი სათოფურია მოწყობილი.

კოშკის მესამე სართულზე ექვსი სწორკუთხა ნიშაა, რ-ებშიც თითო შეწყვილებული სათოფურია განლაგებული. ნიშებს შორის თითო ცალმაგი სათოფურია. ბუხარი



050. სამხრ.-დას. კოშკი. II სართულის გეგმა


ამ სართულზეცაა, აღმ. მხარეს. იგი თაღოვანია და მეორე სართულის ბუხართან შე-



050. სამხრ.-დას. კოშკი. III სართულის გეგმა


დარებით, ოდნავ უფრო მცირე ზომისაა. კოშკის მეოთხე სართულის შემორჩენილ კედელში სიმეტრიულად განლაგებული ექვსი სალოდის კვალი შეიმჩნევა. მათი ნისკარტა შვერილი დაყრდნობილი ყოფილა ხის ორ-ორ კონსოლზე.

მეორე კოშკის პირველი სართულის კედელიც ყრუა. XIX



050. სამხრ.-დას. კოშკი. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ს-ში კოშკის მეორე და მესამე სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა და ისინი ისეა გადაკეთებული, რომ თავდაპირველი სტრუქტურა მხოლოდ მიახლოებით დგინდება. შესასვლელი ამ კოშკშიც მეორე სართულის დონეზეა, ჩრდ.-აღმ.



050. სამხრ.-დას. კოშკი. ჩრდ.-დას. ფასადი

მხრიდან. სართულის კედლებში სამი პატარა სარკმელი და ექვსი ცალმაგი სათოფურია. სათოფურები ზოგი პირდაპირ, ზოგი კი ქვემოთკენაა მიმართული. მესამე სართულის კედლებში ასიმეტრიულად განლაგებული, თითო სათოფურით აღჭურვილი, რვა მცირე ზომის ნიშაა (მოგვიანებით, ზოგ ნიშაში სათოფურის ადგილას სარკმელი მოუწყვიათ, ზოგში – კარი). სართული გადახურულია აგურით ნაწყობი, ნახევარსფერული გუმბათით.



050. სამხრ.-დას. კოშკი. ხედი სამხრ.-დას-იდან

კოშკის ზედა ნაწილი მორღვეულია და არ ჩანს როგორ იყო იგი დასრულებული.

ეკლესიის სტრუქტურა, გარეთა კედლებში (ძირითადად აღმ. და დას. კედლებში) საშენი მასალის შემადგენლობა და წყობის არაერთგვაროვნება გვაფიქრებინებს, რომ ეკლ. ერთდროულად არ უნდა იყოს აგებული და სხვადასხვა დროის ორი ნაწილისგან უნდა იყოს შემდგარი. კერძოდ, ძირითადი (აღმ.) ნაწილი, ერთ ისტორიულ საფეხურს მიეკუთვნება, დას. ნაწილი კი – მეორეს.

სავარაუდოდ, კოშკების აგებამდე, ამ ადგილას (რ-საც კოშკების სამშენ. წარწერის თ. ბარნაველისეული წაკითხვით „ხარება“ ერქვა) ძლიერ დაზიანებული ძვ. ეკლ.იდგა (ხარე-




050. სამხრ.-დას. კოშკი (რეაბილიტაციის შემდეგ). ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ბის სახელობისა), რ-იც მღვდელ ივ. კევლიშვილს 1800 წელს განუახლებია და მისთვის დასიდან ახ. ნაწილი მიუდგამს.

თ. დგალი.

ბიბლ.: 28; 122; 475.

051. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX სს-ის მიჯნით. 2007 წელს ადგილ. მოსახლეობას ძ. სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე გაურემონტებია, რის შედეგადაც მას




051. გეგმა

თავდაპირველი სახის განმსაზღვრელი არაერთი საყურადღებო დეტალი დაკარგული აქვს.

ეკლ. დარბაზულია (8,2x5,5 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და მოყვითალო ფერის კირის დუღაბით. კუთხეებში შედარებით უფრო მოზრდილი ქვებია გამოყენებული. კარ-სარკმლების წირთხლები, კამარა, კონქი, საბჯენი თაღები მთლიანად აგურისაა. წყობა ირეგულარულია, ტლანქი.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. იგი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნით კი ხის მსხვილი ძელით იყო გადახურული (შემორჩენილია კვალი და ძელის მცირე ნაწილი). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია დაბალი, ბრტყლად გადახურული სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, თითო თაღოვანი ნიშაა



051. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

მოწყობილი. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო მსგავსი სარკმელი სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში და დას. კედელშიცაა. სამივე სარკმელი თითქმის ერთ დონეზეა განლაგებული. ეკლესიის დარბაზი მოკლეა და გეგმით კვადრატს უახლოვდება (დარბაზის სიგრ. ორმოცდაათიოდე *სმ*-ით სჭარბობს მის სიგანეს).

გრძივი კედლები და კამარა წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი, ნახევარწრიული საბჯენი თაღით, დაახლ. ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. თაღის ქუსლებთან მოთეთრო ქვის, ტლანქად დამუშავებული, თაროსებრი იმპოსტებია. ასეთივე იმპოსტებია სატრიუმფო თაღის და დას. კედლის მიმდებარე, შეკიდული, საბჯენი თაღების ქუსლებთანაც.

დამახასიათებელია კამარის წყობა. კამარის ორივე მონაკვეთი შეკრული კამარის მსგავსადაა ნაწყობი – ორივე შედგება ოთხი სამკუთხა ნაწილისგან, რ-თა წვეროები თავს კამარის



051. ხედი სამხრ-იდან

ცენტრში იყრის. კამარის მსგავსად, არც კონქია ჩვეულებისამებრ ნაწყობი. მისი ზედა ნაწილი კვერცხისებრი ფორმისაა, გამოყვანილია წრისებრად განლაგებული აგურების წყობით და რამდენადმე შემაღლებულია სატრიუმფო თაღის მიმართ.

შიგნით ეკლ. შეთეთრებული ყოფილა.

შენობის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და სამხრ. ფასადებია მორთული. აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შერღმავებით, გამოსახული იყო საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი. რემონტის დროს, მის ნაცვლად,



051. ხედი აღმ-იდან

ახ. ჯვარი გამოუსახავთ, ოღონდ გაცილებით დაბლა – სარკმლის თავზე.

სამხრ. ფასადზე შესასვლელი საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც სამსაფეხურიანი ფრიზი აგვირგვინებს. სამივე საფეხური აგურის თითო რიგითაა გამოყვანილი. მ. შ. ორში, აგურები კბილანებისებრად, კუთხითაა



051. ინტერიერი. კამარის დას. ნაწილი

გამოშვერილი. ხოლო მესამეში – ჩვეულებრივადაა დაწყობილი. კარის ორივე მხარეს, ერთიმეორის ზემოთ, ორ-ორი რომბია განლაგებული.

ეკლესიის ლავგარდანი და კედლების ზედა ნაწილები განახლებულია. თავდაპირველი ლავგარდანი მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე იყო შემორჩენილი. იგი შედგებოდა ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით წინწამოწეული აგურებით გამოყვანილი ოთხი რიგის მონაცვლეობით.

მთელი რიგი სახასიათო ნიშნებით, ეკლ. ახლოს დგას სოფლის ძველ ნაწილში, კოშკებს შორის მდგარ ღვთისმშობლის ეკლესიასთან. გამორიცხული არ არის, რომ ეს ეკლესიაც მღვდლის – ივ. კევლიშვილის მიერ იყოს აგებული.

თ. დვალი.

052. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, სასაფლაოზე, აქვე მდგარ ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,0x3,4 *მ*), უაფსიდო. ნაგებია რიყის წვრილი ქვითა და აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-ებშიც ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა მხარეს დახრილი ქვებით გამოყვანილი რიგები. კედლების ზედაპირი კი დუღაბითაა გასწორებული. კამარა და შესასვლელის ღიობი გამოყვანილია აგურით. კუთხეებში აგურისა და მოზრდილი, რიყის ქვის შერეული წყობაა (მონაცვლეობით). ფასადებისგან განსხვავებით, შიგნითა კედლების წყობის ხარისხი რამდენადმე დაბალია.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამოშლილია სახურავის საფარი, მონგრეულია ჩრდ. ფასადის ზედა ნახევარი, ჩრდ. დას. კუთხე (მთელ სიმაღლეზე) და დას. კედლის ზედა ნაწილი, ჩამოქცევის პირასაა მისული კამარა.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. საკურთხევლის აღმ. კედელში რიყის მოზრდილი ქვით ნაწყობი, თითქმის პარალელურწირთხლებიანი სარკმელია, რ-საც ძირი თარაზული აქვს და გარეთკენ საფეხურებად დაბლდება იმდენად, რომ სარკმლის გარე-



052. ხედი სამხრ.-დას-იდან

თა ღიობი ფორმით კვადრატს უახლოვდება. საკურთხევლის ჩრდ-ით და სამხრ-ით თითო პატარა, სწორკუთხა ნიშაა.

თ. დვალი.

053. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 1, 5*კმ*-ზე, სოფ. ანთოკსა და გიორგიწმინდას შორის მდებარე მთაზე. სავარაუდოდ თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (4,94x2,95 *მ*), უაფსიდო. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და მოყვითალო ფერის კირის დუღაბით. გარეთა კედლებში, ალაგ-ალაგ, ირიბად დაწყობილი ქვის რიგებია, რ-ებიც შესაბამის კედლებს მთელ სიგრძეზე არ გასდევს. კედლების ზედაპირი, როგორც შიგნით ისე გარედანაც, გასწორებულია ბათქაშით. მიუხედავად ამისა, იგი მაინც უსწორმასწოროა.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი გარედან გამოყვანილია აგურით და ნახევარწრიული ტიმპანითაა (შემორჩენილია მცირე ნაწილი) დასრულებული, შიგნით კი თარაზული გადახურვა აქვს. კარის ზღურბლი მიწიდან სამოციოდე *სმ*-ის სიმაღლეზეა, რის გამოც, შესასვლელის წინ რამდენიმესაფეხურიანი კიბე უნდა ყოფილიყო მოწყობილი (ამჟამინდელი კიბე XX ს-ის მიწურულს, ადგილ. მაცხოვრებლების მიერაა გაკეთებული).

ეკლესიის გეგმა შიგნითაც ოთხკუთხაა. საკურთხევლის ნაწილი იატაკის მიმართ თხუთმეტიოდე *სმ*-ითაა შემაღლებული. აღმ. კედელში გაჭრილია გარეთკენ ოდნავ შეეიწროებული, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი, რ-ის წირთხლები და თაღიც აგურითაა გამოყვანილი. სარკმლის ძირის დონეზე, სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ბოლოში, თითო პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ჩამოსწვრივ კი, აგურით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას.

ეკლ.შიგნით გადახურულია ერთიანი კამარით, რ-იც გრძივ კედლებთან შეერთების ადგილზე, მცირე კუთხეს ქმნის.

ეკლესიის ფასადები სადაა. სამხრ. შესასვლელის თავზე, წყობაში, ჩასმულია საფლავის (?) ოთხკუთხა ქვა. კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც




053. ხედი სამხრ-იდან

შედგენილია დაკბილული და ჩვეულებრივი წყობით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით.

ეკლ. გადახურულია დარისებრი კრამიტით, რ-ის ნაწილი აყრილია, ნაწილი კი – დამტვრეული.


თ. დვალი.

054. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 3 *კმ*-ზე, ტყეში. სავარაუდოდ აგებულია გვიანდ. შუა საუკუნეებში.



054. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (6,62x4,75 *მ*), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია დაბალი,



054. აღმ. ფასადი

თარაზულად გადახურული სარკმელი. აფსიდში, კედელზე მიდგმულია ოთხწახნაგა ტრაპეზი. სამხრ. კედლის აღმ. კიდეში პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდს და დარბაზის სამივე კედელს საფეხური გასდევს.

ეკლ. შიგნით გადახურულია დადაბლებული პროპორციების, სხმული კამარით. დადაბლებული პროპორციებისაა კონქიც.

ეკლესიას თაროსებრი ლავგარდანი აქვს.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘ

(საკრებულოს ცენტრი)

055. ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘ, გონბორი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. გომბორის მარჯვ. ნაპირზე, ქ. საგარეჯოდან 55 *კმ*-ზე.

სოფლის სახელწოდება ცივ-გომბორის ქედის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. ცივ-გომბორის ქედი წერილობით წყაროებში XI საუკუნიდან იხსენიება, სოფელი – XVIII საუკუნიდან. ვახუშტის მიხედვით, ცივ-გომბორის მთის კალთები უხვმოსავლიანი იყო. აქაური მაცხოვრებლები, ძირითადად მეხილეობა-მებოსტნეობას და მესაქონლეობას მისდევდნენ. გომბორზე გადიოდა შიდა და გარე კახეთის დამაკავშირებელი გზა, რის გამოც იგი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. რუსული მმართველობის შემოღებისთანავე, აქ ჩააყენეს პრეობრაჟენსკის გრენადერთა პოლკის მცირე კონტიგენტი, რ-ის რაოდენობა მომდევნო წლებში თანდათან გაიზარდა.

ლეკიანობის აღკვეთის შემდეგ, ამ ადგილებში ჩამოსახლება დაიწყეს ფშაველებმა და ხევსურებმა. ქართველ მოსახლეობას მიემატა დემობილიზებული, რუსი სამხ. მოსამსახურეების ოჯახები (ამჟამად აღარ სახლობენ). სოფ. გომბორში ცხოვრობს აგრეთვე მოსახლეობის ერთი ჯგუფი, რ-ებიც საყოველთაო აღწერის დროს აზერბაიჯანელებს მიაკუთვნეს. საკუთარ თავს კი ისინი ლაიჯებს უწოდებენ. მათი სახელწოდება მომდინარეობს ბაქოს იმჟამინდელ გუბერნიაში მდებარე სოფ. ლაჰიჯიდან, საიდანაც XX ს-ის დასაწყისში გადმოსახლდნენ.


საბჭ. პერიოდში, გომბორის მიდამოებში განთავსებული იყო მსხვილი სამხ. ბაზა, რ-ის შემადგენლობაში სარაკეტო ბრიგადაც შედიოდა.

გ. აფრასიძე, ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 7; 115; 129; 173; 314ა;ბ;გ.

056. ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, სამიოდე *კმ*-ზე. განეკუთვნება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (5,78x4,32 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის, სრულიად დაუმუშავებელი, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. ქვები, ზომისა და ფორმის მიხედვით, შერჩეული არ არის. ისინი შემთხვევით არის დაწყობილი, რის გამოც წყობა ქაოსურია.



056. გეგმა

ძ. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მისგან ამჟამად მხოლოდ აფსიდი დგას, თუმცა, ისიც შუაშია განგრეული. გვერდები გადმოხრილია ცენტრისაკენ და ნგრევის პირასაა მისული. დანარჩენი კედლები მიწიდან 0,5-1 *მ*-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. მ.შ. სამხრ. კედელს შუა ნაწილი, ხოლო დას. კედელს სამხრ. ნახევარი აკლია. ინტერიერში ამოსულია ხეები და დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული.

შესასვლელი (გასუფთავების გარეშე კვალი არ ჩანს) ეკლესიას სამხრ-ით ჰქონია. დარბაზი იმდენად მოკლეა, რომ



056. აღმ. ფასადი. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

მისი განივი ღერძი, დაახლ. 1 *მ*-ით, აღემატება გრძივ ღერძს. აფსიდი ნახევარწრიულია. მასში განიერი, გარეთკენ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი. მის ორივე მხარეს კი სიმეტრიულად განლაგებული მცირე ზომის, ორი ოთკუთხა ნიშაა მოწყობილი. ნაშთებიდან ჩანს, რომ სარკმელი თაღოვანი ყოფილა.

ეკლესიის შემორჩენილ კედლებს საფასადე წყობა თითქმის მთლიანად აქვს ჩამოცვენილი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 269.

057. ამაღლება, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით,2-2,5 *კმ*-ზე. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია. სამხრ-იდან მას მინაშენი ეკვროდა, რ-იც ეკლესიის ძირითად ნაწილთან წყობით იყო დაკავშირებული. ძ. ძლიერ დაზიანებულია. ამჟამად მისგან, აფსიდის შესაბამისი გვერდებითურთ, შემორჩენილია: სამხრ.-აღმ. და ჩრდ.-აღმ. კუთხეები და სამხრ. კედელი. თუმცა, წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი მათაც აკლია. მ. შ. ჩრდ.-აღმ. კუთხის შემორჩენილ ნაწილს, ნგრევის შედეგად, ისეთი ფორმა აქვს მიღებული, რომ იგი მაღლა აშვერილ ხელის მტევანს წააგავს. სამხრ. კედელი კი, აფსიდის შესაბამის მხართან ახლოს, გახეთქილია, კედლის დას. ნაწილი დაძრულია და გადაქცევის პირასაა მისული. დას. და ჩრდ. კედლების კვალიც კი აღარ ჩანს. ეკლესიის შიგნით ამოსულია ხეები. ინტერიერი 1-1, 5 *მ* სიმაღლეზე მიწითა და ქვებითაა ამოვსებული, მინაშენი კი მთლიანად დანგრეულია.



057. ხედი სამხრ-იდან

ეკლესიის შემორჩენილი კედლები ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის, სრულიად დაუმუშავებელი,ნატეხი ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები. წყობაში,ალაგ-ალაგ, ჩართულია ლოდებიც. წყობა ქაოსურია.



057. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან, მინაშენიდან ჰქონდა. კარი გარედან მთლიანი, მოგრძო ქვითაა გადახურილი, შიგნით კი – თხელი ქვებით გამოყვანილი თაღით, რ-იც ფორმით ნახევარწრეს უახლოვდება. ჰქონდა თუ არა ეკლესიას კიდევ სხვა შესასვლელი, გათხრა-გასუფთავების გარეშე დადგნა შეუძლებელია.

აფსიდს, როგორც ეს შემორჩენილი ნაწილებიდან დგინდება, ნახევარწრიული მოხაზულობა ჰქონია. აფსიდის ჩრდ. გვერდში, იქ, სადაც კედელი ყველაზე თხელია, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი ნიშა აფსიდის სამხრ. გვერდშიც ყოფილა მოწყობილი (შემორჩენილია ნაწილი). აფსიდის კუთხეებიდან მხოლოდ სამხრ-ისდაა შემორჩენილი, რ-იც თითქმის მთელ სიმაღლეზე დგას. აფსიდი დასრულებული იყო კონქით. მისი წყობის რამდენიმე ქვა აფსიდის ჩრდ. გვერდს შემორჩა.

სამხრ. კედელში, შესასვლელის ასწვრივ, კედლის კონტურის მიხედვით ჩანს, რომ ამ ადგილას სარკმელი იყო გაჭრილი.

ეკლესიის მინაშენიდან შემორჩენილია მხოლოდ კამარის ნაშთი, რ-იც სამხრ. კედელს



057. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

თითქმის აღმ. კიდემდე გასდევს. აქედან ირკვევა, რომ მინაშენი უაფსიდო იყო და აღმ-ით სწორი კედლით სრულდებოდა.

თ. დგებალი.

058. ნაგებობების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, მდ. ბომბორის მარცხ. ნაპირზე, ტყიანი მთის ჩრდ. კალთაზე, სოფლიდან დაახლ. 400 მ-ზე. ადგილ. მოსახლეობა მას ამაღლებას უწოდებს.



058. ზურგიანი კოშკი. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

კომპლექსის ნაგებობებიდან ყველაზე უკეთ შემორჩენილია ე. წ. ზურგიანი კოშკი, რ-იც ადრე ამ ადგილას მდგარ ნაგებობაზე ჩრდ-იდანაა მიდგმული ისე, რომ ამ უკანასკნელის ჩრდ. კედელი კოშკის კედელსაც წარმოადგენს. კოშკი ფერდობზეა აგებული და ზურგი ჩრდ-ით, ფერდობისკენ აქვს მიმართული, რაც ამ ტიპის ნაგებობებისათვის სრულიად უჩვეულოა. ადგილის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, იგი ნაგებობის საყრდენი ბურჯის მოვალეობასაც ასრულებს.

ნაგებობა, რ-ზეც კოშკია მიშენებული, ეკლესიის იერს ატარებს. იგი აღმ.-დას-ის მიმართულებით ყოფილა წაგრძელებული. შენობის მხოლოდ



058. ზურგიანი კოშკი. ხედი სამხრ-იდან

ჩრდ. კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი (სიგრ. – 3,8 მ-ია, სისქე – 0,87 მ, სიმ. დაახლ. – 3 მ). დანარჩენი კედლების კვალი აღარ ჩანს. კომპლექსის სხვა ნაგებობებიდან კედლების ნაშთებიღაა დარჩენილი. ორი მათგანი კოშკის ოდნავ ქვემოთ, ფერდობის ბუნებრივად მოსწორებულ ადგილზე, დაახლ. 50 მ-ის მანძილზეა განლაგებული. ერთი მოზრდილი ნაგებობის ნანგრევი კი კოშკის აღმ-ითაა, ოციოდე მ-ზე. გარდა ამისა, კოშკის სიახლოვეს კიდევ სხვა ნაგებობების კვალიც შეიმჩნევა. მათი გეგმარებითი სტრუქტურა და განლაგება ადრე აქ მონასტრის არსებობაზე მიგვანიშნებს.

კოშკი ორსართულიანია, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული. თარიღდება IX-X საუკუნეებით. შენობა ნაგებია საშ. ზომის ნატეხი ქვით – კირის სქელ დუღაბზე. ქვა შერჩეულია და დაწყობილია ჰორიზ. რიგებად, რ-თა სწორხაზოვნება გარეთა კედლის მთელ პერიმეტრზეა დაცული. ნაგებობის კედლიც, რ-ზეც კოშკია მიშენებული, იმავე საშენი მასალითაა ნაგები, ოღონდ ქვები უფრო დიდი ზომისაა, წყობა კი – ქაოსური. შემორჩენილ კედელს ორივე ბოლო მონგრეული აქვს. მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ კედელი როგორც აღმ-ით, ისე დას-ითაც გრძელდებოდა და სიგრძით ბევრად აღემატებოდა კოშკის ბრტყელ მხარეს. კოშკი ადრე აქ მდგარი ნაგებობის თანადროული არ არის და მასზე მოგვიანებითაა მიდგმული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ კოშკის მომრგვალებული კედლის ორივე ბოლო უკვე არსებულ კედელზეა მორგებული და არა პირიქით.ადრე კოშკში მოხვედრა შესაძლებელი იყო პატარა, კვადრატს მიახლოებული ღიობიდან (დაახლ. 60x60 სმ). იგი კოშკის ბრტყელ მხარეს, მიწიდან სამიოდე მ-ის სიმაღლეზეა.

დღეს კოშკში მოხვედრა შესაძლებელია ნაპრალიდან, რ-იც ნაგებობის შემორჩენილი კედლის დას. ნაწილის მონგრევის შედეგადაა გაჩენილი.

კოშკი შიგნითაც ნახევარწრიულია. პირველი სართული, როგორც ეს გარედან შეიძლება დავასკვნათ, დაბალია. იგი ქვებითაა ამოვსებული და გაწმენ-



058. ზურგიანი კოშკი. II სართულის ინტერიერი. სამხრ. კედელი

დის გარეშე მისი გეგმარების დადგენა არ ხერხდება.

კოშკის მეორე სართული მაღალია და კონქითაა გადახ-


ურული. შესასვლელის გარდა, ამ სართულს სხვა რაიმე არ-ქიტ. ელემენტი არ გააჩნია.

კოშკი, როგორც ჩანს, ბერის საცხოვრებელს წარმოადგენდა.

კომპლექსის დანარჩენი ნაგებობებიც ქვიშაქვის ქვებით ყოფილა ნაგები. ზოგიერთის კედლებში გამოყენებულია ლოდებიც. ყველა ნაგებობა ისეა შემორჩენილი, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე მათი გეგმარების და დანიშნულების გარკვევა არ ხერხდება.

თ. დვალი.


059. წმ. სერგი რადონეჟელის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზედა უბანში, თბილის-თელავის გზის მარჯვ. მხარეს, გზიდან ორმოციოდე მ-ზე.



059. გეგმა

აგებულია 1888 წელს, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის სახსრებით. 1920-იან წლებში ეკლ. დაარბიეს და ხანგრძლივი დროის მანძილზე აღარ ფუნქციონირებდა. საბჭ. პერიოდში იგი სოფლის კინოთეატრად გამოიყენებოდა. 2014 წელს ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოქმედი გახდა.

ეკლ. გეგმით ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედია (14,7x 8,8 *მ*). მას აღმ-ით ფართო მხრებით გამოყოფილი საკურთხევლის, ხუთწახნაგა შვერილი ეკვრის, დას-ით კი – ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის პირველი სართულის იატაკზე არსებული, მოზაიკური წარწერის თანახმად, იგი 1909 წელსაა აგებული. შიგნით ეკლესიის სიგრ. (საკურთხევლის ჩათვლით) 16,5 *მ*-ია, სიგ – 7,2 *მ*.




059. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

შესასვლელი ორია: დასიდან, სამრეკლოს ქვედა სართულიდან, რ-იც ეკლესიის კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა და სამხრ-იდან. საკურთხეველი შიგნიდანაც ხუთწახნაგაა. საკურთხევლის ირიბ წახნაგებში თითო მოზრდილი, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ამ სარკმლების გარდა, ეკლესიას კიდევ შვიდი მსგავსი სარკმელი აშუქებს. მ.შ. ოთხი – ჩრდ. კედელშია, ხოლო სამი – სამხრ. კედელში. თითო სარკმელია სამრეკლოს პირველი სართულის სამხრ. და ჩრდ. კედლებშიც. ყველა სარკმელს ხის შემინული ალათები აქვს.

ეკლესიის შიდა სივრცე დადაბლებული პროპორციებისაა და დასრულებულია ბრტყელი ჭერით, რ-იც საკურთხევლის ჭერის დონეზეა. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

სამრეკლო ორსართულიანია, გეგმით კვადრ. (4,2x4,2 *მ*) და თითქმის მთლიანად აგურითაა ნაგები. შესასვლელი დასიდან აქვს. სამრეკლოს ქვედა სართული ეკლესიის კარიბჭის ფუნქციას ასრულებს და ამ უკანასკნელს ფართო შესასვლელით უკავშირდება. მეორე სართული რვაწახნაგა ფანჩატური ყოფილა (შემორჩენილია მცირე ნაწილი), რ-იც 1920-იან წლებში მოუნგრევიათ.

ეკლესიის ფასადების გაფორმება, თავისი ხასიათით, ეკლექტიკურია. შენობის გარეგანი სახე საერო და საეკლ. ხუროთმოძღვრების ელემენტების შერევითაა შექმნილი. ფა-



059. სამხრ. ფასადი

სადების მხატვრულ ეფექტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შენობის ნაწილების ფერს, რაც მიღწეულია საშენი მასალის



059. ხედი სამხრ.-დას-იდან

დიფერენციაციით. ეკლესიის კუთხეები, ლავგარდნები და



059. სამხრ. ფასადი. სარკმელი

კარ-სარკმელთა გვერდები აგურითაა ნაწყობი და ღია მოწითელო ფერისაა, კედლის სიბრტყეები და პროფილებისუფთად გათლილი ქვიშაქვითაა გამოყვანილი და მუქი ნაცრისფერია. გრძივი ფასადების კიდეებს განიერი, მცირედშვერილი პილასტრი ასდევს. მათ შორის მოქცეულია ფართო, რუხი სიბრტყე, რ-იც დასრულებულია აგურით ნაწყობი, კბილანებით დამუშავებული, მაღალი ფრიზით. გრძივ ფასადებზე ეს სიბრტყეები, კარ-სარკმლების ღიობებით, თანაბრადაა დანაწევრებული. ჩრდ. ფასადზე ოთხი სარკმელია, სამხრ. ფასადზე კი სამი სარკმელი და ერთი კარი. ყოველ ღიობს ზემოდან ევლება რთულპროფილიანი საპირე, რ-საც ბოლოებში მცირე, ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. მსგავსი პროფილის შვერილი გასდევს სარკმლების ძირებსაც. ყოველ სარკმელში ლითონის, მარტივნახატიანი გისოსია ჩასმული.

ეკლესიის კედლები დასრულებულია კბილანა ლავგარდნით. იგი გრძივ ფასადებზე არსებული, შეღრმავებული სიბრტყეების ფრიზის მსგავსია, მაგრამ მასზე „კბილების“ ზომა და შესაბამისად, მათ შორის მანძილიც შემცირებულია.

ეკლესიის სარკმლების ანალოგიურადაა გაფორმებული სამრეკლოს სარკმლებიც. სამრეკლოს შესასვლელი არქიტექტურულადაა დამუშავებული – ქვის პროფილირებულ ბაზისებზე დადგმულ, პროფილირებული კაპიტელებით დასრულებულ ორ სვეტზე ნახევარწრიული თაღია გადაყვანილი. სამრეკლოს კუთხეები ქვიშაქვის პროფილირებული ლავგარდნითაა დასრულებული, რ-თა შორის, სამხრ. და ჩრდ. ფასადების ღერძებზე, წყობის შეღრმავებით, თითო ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული.

ეკლ. თუნუქით დაბურული, ორფერდა სახურავითაა გადახურული, ორ-ორი ნახევარწრიული სამერცხლულით თითოეულ ფერდში. საკურთხეველს კი დამოუკიდებელი, ხუთფერდა სახურავი ხურავს.

2014 წელს, ეკლესიის რეაბილიტაციის დროს, ფანჩატური (შემორჩენილი კედლების მიხედვით) თავდაპირველი სახით აღადგინეს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 460.

060. ხიდი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, გადებულია მდ. გომბორის მარჯვ. უსახელო შენაკადზე, რ-იც ამ ადგილას რკინა-ბეტონის კალაპოტშია მოქცეული. აგებულია XIX ს-ში.



060. საერთო ხედი ჩრდ-იდან

ხიდი ზომითა და ხასიათით სოლიდურია, ერთმალიანი, სამცენტრიანი თაღის ფორმისა (სიგრ. – 10, 2 *მ*, სიგ. – 6, 4 *მ*, სიმ. მდინარის ზედაპირიდან – 7, 5 *მ*). ნაგებია აგურით. თაღის საყრდენი ბურჯები ნათალი ქვისაა და იმავე ჯიშის, რუსტირებული ქვებითაა მოპირკეთებული.



060. დას. ბურჯი

დაზიანებულია. ხიდს მოაჯირი აღარ აქვს, მარცხ. ბურჯს აკლია მოსაპირკეთებლი ქვების დიდი ნაწილი. ხიდი ამჟამადაც მოქმედია.

თ. დგალო.

გორანა
(კოჭბაანის თემის საკრებულო)

061. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში, დიდ ვაკეებად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია: სამხრ. კედელი, აფსიდის სამხრ. გვერდი და დას. კედლის სამხრ. ნაწილი. კედლები (მაქს. სიმ. – 1,6 *მ*) ნაგებია ნატეხი ქვითა და რიყის ქვით – კირის დუღაბზე. შემორჩენილი წირთხლების მიხედვით, შესასვლელი სამხრიდან ყოფილა.

მ. აბაშიძე.

062. ბაბგულის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში, დაახლ. 3 *კმ*-ზე, ტყეში. განეკუთვნება VII-X საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, თანადროული მინაშენით სამხრ-იდან. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილი კედლები გარედან მიწითაა დაფარული და მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანს. შიგნით კედლებიდან შედარებით უკეთ ჩანს ჩრდ. კედლის ფრაგმენტი (სიმ. – 1 *მ*, სისქე – 0,7 *მ*). აღმ-ით იკითხება აფსიდის მოხაზულობა.


მინაშენი მიწითაა ამოვსებული. მოჩანს მხოლოდ დას. კედლის ნანგრევი. ეკლესიის გარშემო, დიდ ფართობზე, ქვებია მიმოფანტული. მ. შ., აქა-იქ, შირიმის ქვებიცაა.

ეკლესიას გარს ევლებოდა გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები), რ-საც შესასვლელი ჩრდ-ით ჰქონია.

ც. დადიანიძე.

063. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (7,3x5,1 *მ*). შენობას სამხრ-იდან ეკვრო- და თანადროული მინაშენი,



063. გეგმა

რ-იც ეკლესიასთან წყობით იყო დაკავშირებული. შენობის კედლები რიყის ქვითა და ნატეხი ქვითაა ნაგები. ქვა შერჩეულია და დაწყობილია თარაზულ რიგებად. კონსტრუქციულ ნაწილებში და გარეთა კუთხეებში გამოყენებულია შირიმის დამუშავებული კვადრები. შიდა კედლები შედარებით ნაკლები ზომის ქვებითაა ნაწყობი – თარაზული რიგების გამოყვანის გარეშე.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამოშლილია კამარა, მიწის პირამდეა დანგრეული აფსიდის ჩრდ. ნახევარი – გარეთა კედლების შესაბამისი ნაწილებითურთ. შემორჩენილი კედლები დაბზარულია. ინტერიერში ყრია ქვები და კედლის ნან-




063. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

გრევები.

ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი ხის, თარაზული გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია კვალი).

აფსიდის კედელს სარკმლის სამხრ. წირთხლი და მასზე დაყრდნობილი თაღის ნაწილი შემორჩა. აფსიდის სამხრ. ბოლოსთან მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. თითო მსგავსი ნიშა ეკლესიის ჩრდ. და სამხრ. კედლებშიცაა. სამხრ. კედელში შიგნიდან და გარედან ბრტყელი ქვით გადახურული სარკმელია გაჭრილი. მისი გვერდები კი, თითო მოგრძო, რიყის ქვით არის გამოყვანილი.



063. სამხრ. ფასადი

მინაშენი ეკლესიაზე რამდენადმე მოკლეა და ეკლესიის სამხრ. ფასადს თითქმის შუამდე გაუყვებოდა. იგი უაფსი-

დოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული (სიმ. დაახლ. 3 მ-ია), რ-იც ეკლესიის აღმ. კედლის ხაზზეა. კედელში პატარა, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. მინაშენის სამხრ. კედელი მიწის პირამდეა დანგრეული. დას. კედლიდან კი, მცირე ნაწილი მოჩანს. მინაშენი ეკლესიასთან დაკავშირებული ყოფილა თაღოვანი კარით (მოგვიანებით ამოუშენებიათ), რ-ისგანაც შემორჩენილია აღმ. წირთხლი და თაღის შესაბამისი ქუსლი. მინაშენი გადახურული იყო კამარით (ნაშთი ეკლესიის სამხრ. კედელს შემორჩა).

შენობის ფასადებს ეტყობა შეკეთების კვალი. კედლები, ალაგ-ალაგ, ტლანქი ნალესობით არის დაფარული.


ც. დადიანიძე.

064. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის მიდამოებში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (4,15x3,15 მ), ნაგებია რიყის ქვითა და დამუშავებული ქვის კვადრებით. ძლიერაა დაზიანებული: კედლები შემორჩენილია რამდენიმე *სმ*-ის სიმაღლეზე, აღმ-ით შეინიშნება აფსიდის კვალი, სამხრ.კედლის შემორჩენილ ნაწილში – კარის წირთხლი.

ბ. კუპრეიშვილი.

065. კვირიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას,




065. გეგმა



065. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

გორაზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,4x4,3 მ). ნაგებია რიყის ქვითა და დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვით – ტლანქად. დაზიანებულია: ჩამოშლილია საბურავი და ლავგარდანი, მონგრეულია ჩრდ.-აღმ. კუთხე, გაბზარულია



065. აღმ. ფასადი


აღმ. კედელი,ფასადებზე საპირე ქვები, ალაგ-ალაგ, ჩამოცვენილია. ეკლესიას ეტყობა გვიანდ. შეკეთების კვალი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აფსიდს გეგმით დეფორმირებული ნახევარწრის ფორმა აქვს. აფსიდში, ღერძიდან ოდნავ ჩრდ-ით ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის მარჯვნივ, ერთმანეთთან ახლოს, ორი ოთხკუთხა ნიშაა. იმავე ზომის ორი ნიშა დას. კედელშიცაა. ერთ-ერთ მათგანში სამალავია მოწყობილი. შიგნით ეკლ. გადახურულია ერთიანი, შეისრული კამარით.

ბ. კუპრეიშვილი.

066. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (6,3x3,7 მ), რ-საც გვერდებიდან, მთელ სიგრძეზე, გვიანდ. მინაშენები ეკვრის. ეკლესიის კედლები ამოყვანილია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. კედლების წყობაში გამოყენებულია მოზრდილი,



066. გეგმა

დაუმუშავებელი, თხელი ქვები, რ-ებიც ისეა დაწყობილი, რომ ბრტყელი მხარე ფასადისკენ აქვს მოქცეული.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია ეკლესიის საბუ-



066. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

რავი, ლავდარდანი და გარეთა პერანგის დიდი ნაწი-

ლი. მინაშენებიდან კედლების ფრაგმენტებიღაა დარჩენილი.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი გადახურულია თხელი, მო-



066. აღმ. ფასადი

გრძო, ნატეხი ქვებით ნაწყობი, შეისრული თაღით.

ეკლესიის შიდა სივრცე დადაბლებული პროპორციებისაა (სიმ. იატაკიდან კამარის წვერამდე 4 *მ*-მდეა). აღმ-ით მცირე სიღრმის აფსიდია, რ-შიც განიერი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე, აფსიდის ბოლოებთან, მოწყობილია თითო პატარა, ოთხკუთხა ნიშა. სარკმელი შიგნით თაღითაა გადახურული, გარედან კი თხელი ქვით – თარაზულად. აფსიდში დგას ნატეხი ქვით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი, რ-იც სარკმლის ქვემოთაა და კედელზეა მიბჯენილი. აფსიდის სამხრ. მხართან შემორჩენილია კანკელის ნაშთი. აფსიდი კონქითაა გადახურული, დარბაზი – კამარით (ჩამოშლილია ჩრდ.-დას. კუთხესთან). კონქიც და კამარაც ძირითადად თხელი, ნატეხი ქვითაა ნაწყობი; გამოყენებულია რიყის ქვაც. შიგნით ეკლ. შელესილი ყოფილა.

ჩრდ. მინაშენიდან დას. კედელი და ჩრდ. კედლის შუა ნაწილია დარჩენილი. დას. კედელში ბრტყელი თაღით გადახურული, განიერი ღიობია.

სამხრ. მინაშენიდან აღმ. კედლის მცირე ნაწილი და სამხრ.-დას. კუთხეა შემორჩენილი. ორივე მინაშენის შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 2,5 *მ*-ია.

თ. დვალი.

067. წმ. მარიამის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, ტყეში, პატარა ვაკეებად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. დანგრეულია. კედლები მიწის დონიდან 50-60 *სმ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია (იკითხება კვალი).

ბ. კუპრეიშვილი.

დავითგარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსი, იხ. სოფ. უდაბნო, დავითგარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსი.

დავითგარეჯის მრავალმთა. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია



დიდი ჩაილური
(საკრებულოს ცენტრი)

068. დიდი ჩაილური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ივრის ზეგანზე, მდ. ჩაილურის (ივრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 700 მ-ზე, საგარეჯოდან 15 კმ-ზე.

ტოპონიმი „ჩაილური“ ხევის წყალს ნიშნავს. სოფელი 1724 წლის წყალობის წიგნშია მოხსენიებული. დღევანდელი დიდი ჩაილურის ადრინდ. სახელებია დაბლა ჩაილური, პატარა ჩაილურისა კი – მაღლა ჩაილური.

შუა საუკუნეებში ჩაილურზე გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რ-ითაც ქ. ჭერემი გარეკახეთს უკავშირდებოდა. გვიანდ. შუა საუკუნეებში დიდი და პატარა ჩაილური თავად ჩერქეზიშვილების მფლობელობაში იყო.


სოფელს დიდ ზიანს აყენებდა ღვარცოფული ნაკადულები. სავარაუდოდ, ღვარცოფული ნაკადულების პერიოდში უნდა იყოს გაჩენილი გამოთქმა „ჩაილურის წყალი დალიაო“. ითვლებოდა, რომ თუ გამტაცებლები მდ. ჩაილურის მეორე ნაპირზე გადასვლას მოასწრებდნენ, მათ დევნას აზრი აღარ ჰქონდა და მდევრებიც დანანებით ჩაილაპარაკებდნენ – „ჩაილურის წყალი დალიაო“.

გ. აფრასიძე.

ბიბლ.: 107; 321გ.

069. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XVIII საუკუნით. 2007 წელს ადგილ. მოსახლეობამ ეკლ. მთლიანად აღადგინა (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი).

ეკლ. დარბაზულია (9,45x6,32 მ). კედლებიდან, მთელ სიმაღლეზე, მხოლოდ ჩრდ. კედელი და აფსიდის ჩრდ. ნახევარი იყო შემორჩენილი, აფსიდის სამხრ. ნახევარი და დანარჩენი კედლები კი 0,5-0,7 მ სიმაღლეზე იდგნენ.



069. გეგმა

ეკლესიის შემორჩენილი კედლები თითქმის თანაბარი ზომის, თარაზულ რიგებად დაწყობილი, რიყის ქვითაა ამოყვანილი – კირის სქელ ღუდაბზე.

შესასვლელი დას-იდან ჰქონია (შემორჩენილი იყო ზღურბლი). მლოცველთათვის განკუთვნილი ნაწილი თითქმის კვადრატულია. საკურთხევლის აფსიდი კი – ნახევარწრიულია. აფსიდის შემორჩენილ ნაწილში ერთი ნახევარწრიულთაღოვანი ნიშა და ვიწრო, ბრტყლად გადახურული სარკმელია, რ-იც აფსიდის მხართან ძლიერ ახლოსაა გაჭრილი, დაახლ. 30 სმ-ის მოშორებით. როგორც ჩანს, მსგავსი სარკმელი აფსიდის სამხრ. მხართანაც იყო გაჭრილი. ამრიგად, აფსიდში სამი სარკმელი იყო მოწყობილი.



069. (აღდგენამდე) ხედი სამხრ.-დას-იდან

ერთი შუაში და თითო-თითო აფსიდის მხრებთან, რაც ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენდა. ერთი ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი ჩრდ. კედლის აღმ. მონაკვეთში.

ჩრდ. კედლის შუაში პილასტრია. იგი თითქმის მთლიანად რიყის ქვისაა, თავი კი აგურით აქვს გამოყვანილი. პილასტრს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა, რ-იც, როგორც ეს თაღის შემორჩენილი ნაშთიდან ჩანს, აგურით იყო ნაწყობი. აგურით იყო ნაწყობი კონქის თაღიც. თუ რა მასალით იყო გამოყვანილი საკუთრივ კონქი და დარბაზის გადამხურავი კამარა, არ ჩანს.



069. (აღდგენის შემდეგ) ხედი სამხრ.-დას-იდან


ეკლესიის გარშემო რამდენიმე საფლავის ქვაა.

თ. დვალი.

ვაშლიანი
(გომბორის თემის საკრებულო)

070. აბგილის დედა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (3,95x2,9 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმის კვადრებიც. ძლიერაა დაზიანებული: ჩამოშლილია ეკლესიის საბუ-



070. გეგმა

რავი და კამარის დიდი ნაწილი, დანგრეულია სამხრ. კედელი,

მონგრეულია აღმ. და დას. კედლების ზედა ნაწილები, იატაკი ჩამონაშალი ქვებითა და მი-



070. აღმ. ფასადი

წით წარმოქმნილი, დაახლ. 1 *მ* სიმაღლის ფენითაა დაფარული.

შესასვლელი (შემორჩენილია კვალი) ეკლესიას სამხრიდან აქვს. აღმ-ით კონქით გადახურული, ნახევარწრიული აფსიდია,რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მის გვერდებზე კი თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. გარედან სარკმელი თარაზულადაა გადახურული.

მ. აბაშიძე, ბ. კუპრეიშვილი.

ბიბლ.: 269.

071. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ორიოდე *კმ*-ზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (4,6x3,5 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. ძლიერ დაზიანებულია: კედლები 0,5-1 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. ინტერიერი ამოვსებულია კამარის ნანგრევებითა და კედლებიდან ჩამონაშალი ქვით.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონდა (შემორჩენილია კარის დას. წირთხლი). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია ვიწრო, თაღოვანი სარკმელი (შემორჩენილია ქვედა ნაწილი). აფსიდის ჩრდ. გვერდში მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.

გარედან კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწითაა დაფარული.

მ. აბაშიძე.

ვერონა

(გომბორის თემის საკრებულო)

072. ვერონა, ვერენა, ვერანა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ძირში, თბილისი-თელავის საავტ. გზის მარცხ. მხარეს.

სოფელი დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან. წყაროებში პირველად XV ს-ში ვერენას სახელწოდებით იხსენიება. ახლა სოფელში ცხოვრობენ მთიდან ჩამოსახლებული ხევსურები. ისინი გავერანებულ ადგილებზე დასახლდნენ და ამიტომ სოფელს ვერანა დაარქვეს. დღეს სოფელი ვერონის სახელწოდებითაა ცნობილი. სოფელზე გადიოდა ივრის ხეობიდან გომბორის უღელტეხილით ალაზნის ველზე გამავალი გზა.

გ. აფრასიძე.

ბიბლ.: 321ვ; 107.

073. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, გომბორაულად წოდებულ ადგილში, ციხის ქვედა ტერასაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნებს.

კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. წყობაში შიგადაშიგ რიყის ქვებიცაა ჩართული. კედლები შელესილი ყოფილა (კედლის სისქე ფუძის დონეზე 1,9 *მ*-ია).

კოშკის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ.-აღმ. კუთხე (მიწიდან დაახლ. 8 *მ* სიმაღლეზე) და შესაბამისი კედლების ნაწილები, რ-თა შეერთებით შექმნილი კუთხე გარედან მომრგვალებულია ისე, რომ მისი ორივე ბოლო კედლის სისქეშია შეჭრილი და კუთხეში ჩართულ, ნახევარწრიულ ბურჯს წააგავს, რაც კოშკის ინდივიდუალური თავისებურებაა.

ც. დადიანიძე.

074. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მკვიდრის ხ. ჭინჭარაულის საკარმიდამო ნაკვეთში. განეკუთვნება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებს.

სამაროვანზე 1974 წელს კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური), მიწის ზედაპირიდან 40-50 *სმ*-ის სიღრმეზე, გათხარა სამი ორმოსამარხი. დაზიანების გამო არ მოხერხდა სამარხების ზომებისა და დამხრობის დადგენა. სამივე სამარხს, სავარაუდოდ, ქვის ყრილი ჰქონდა. ერთ-ერთი ორმოსამარხის დას. ნახევარში აღმოჩნდა: ექვსი ადამიანის თავის ქალა; ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, ნაცრისფერკეციანი, მრგვალმუცლიანი და ბრტყელძირიანი, ცალყურა ხელადა; სუფთად განლექილი თიხისაგან დამზადებული, ნაცრისფერკეციანი, მოწითალო ფერის ხელადის ძირ-გვერდის ფრაგმენტი; რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი; ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტის სამი რგოლი, ბრინჯაოსავე საკინძი, რ-საც კონუსისებრი თავი და მრგვალგანივკვეთიანი, თავისკენ გამსხვილებული ღერო აქვს. სამარხში ასევე აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც.

მეორე სამარხში დადასტურდა ნაცრისფრად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული დერგის ფრაგმენტები, ბრინჯაოს საკინძი, რ-ის თავი ვედრების პოზაში მყოფი ადამიანის ფიგურითაა შემკული.


მესამე სამარხში შემორჩენილი იყო ბარძაყის ძვლის ფრაგმენტები და მრგვალმასრიანი, რკინის შუბისპირი – მასრაზე ნახვრეტით.

ც. მუნაბძე.

ბიბლ.: 203; 292.


ვერხვიანი
(კაკაბეთის თემის საკრებულო)

075. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის



075. გეგმა

სამხრ-ით, ექვსასიოდე მ-ზე, ვენახებს შორის მდებარე, პატარა ბორცვზე. ადგილ. მოსახლეობა ეკლესიას ციხეს უწოდებს.



075. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ეკლ. დარბაზულია (10,85x7,8 მ). სავარაუდოდ თარიღდება XVI საუკუნით. ნაგებია საშ. ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ქვა შერჩეულია და დაწყობილია თანაბარი სიმაღლის, თარაზულ რიგებად. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია აგური. კედლები გამაგრებული ყოფილა ხის მსხვილი ძელებით (შემორჩენილია კვალი).


შენობა ძლიერ დაზიანებულია: მთლიანადაა ჩამონგრეული კამარა, დანგრეულია სამხრ. და დას. კედლების დიდი ნაწილი, განგრეულია აფსიდის კედლის შუა ნაწილი, შემორჩენილ



075. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

კედლებს, მიწიდან 2-2,5 მ სიმაღლეზე, გარედან და შიგნიდან, საპირე წყობა ჩამოშლილი აქვს.

შესასვლელი ეკლესიას დას-იდან ჰქონია. იგი გარედან ჩასმული ყოფილა აგურით გამოყვანილ, საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-ისგანაც მხოლოდ ზედა, მარცხ. ნაწილიღაა შემორჩენილი. ჰქონდა თუ არა ეკლესიას მეორე შესასვლელი, არ ჩანს.



075. აღმ. ფასადი

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ორივე გვერდში, სიმეტრიულად, მოწყობილია თითო მაღალი (სიმ. 2,5 მ-მდეა), შეისრულთაღოვანი ნიშა. მათი გეგმის მოხაზულობა თითქმის ნახევარწრიულია. თაღები კი, აგურითაა ნაწყობი. აგურითაა ნაწყობი საკურთხევლის სარკმლის თაღიც, რ-იც როგორც



075. ხედი დას-იდან

შიგნიდან, ისე გარედანაც შეისრულია და გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება. აფსიდი კონქითაა გადახურული (შემორჩენილია თითქმის მთლიანად), რ-ის ქვედა ნაწილი აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობითაა ამოყვანილი, ზედა კი, მთლიანად აგურისაა. ეკლესიის აღმ. კედელი და გრძივი კედლების

შესაბამისი ბოლოები კონქის ქუსლის დონემდეა შემორჩენილი, რის გამოც კონქი გარედან მთლიანად გაშიშვლებულია და შორიდან გუმბათს წააგავს.

ეკლესიის დარბაზი შემაღლებულ პროპორციებში ყოფილა გადაწყვეტილი. დარბაზის გადამხურავი კამარა დაყრდნობილი ყოფილა საბჯენ თაღზე, საკუთრივ თაღი კი – პილასტრებზე (ჩრდ. კედლის შუაში შემორჩენილია პილასტრის კვალი), რ-თა წყობაში აგურიც იყო გამოყენებული. პილასტრის ნაშთი დარბაზის ჩრდ.-დას. კუთხეშიცაა. ამ უკანასკნელს დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ეყრდნობოდა.

თ. დვალი.

ზემო ქანდაურა

(ქანდაურის თემის საკრებულო)

076. ზემო ქანდაურა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, ზ. დ. 750 მ-ზე, ქ. საგარეჯოდან 36 კმ-ზე, ბადიაურიდან (უახლოესი რკ. გზ. სადგ.) 6 კმ-ზე.

ქანდაურა, სოფლების-ზემო და ქვემო ქანდაურის ძვ. სახელწოდებაა. ადრე ერთი სოფელი ყოფილა. იგი ისტ. დოკუმენტებში ქანდაურიანად იწოდებოდა. სოფლის სახელწოდება, სავარაუდოდ, მამაკაცის საკუთარი სახელისგან, ქანდიასაგან მომდინარეობს.

XVII ს-ში, შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად, გარეკახეთის მრავალ სოფელთან ერთად, ქანდაურაც განადგურდა და ნასოფლარად იქცა. კათალიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის 1797 წლის 23 თებერვლის განჩინებაში აღნიშნულია, რომ: სოფ. ქანდაურა ძველთაგანვე ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრებაში იყო. შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ განადგურებული და გაუკაცრიელებული სოფელი მეფე ერეკლე II-მ აღადგინა და საუფლისწულო მამულად თავის ძეს, უფლისწულ მირიან ბაგრატიონს (1766-1834 წწ.) უბოძა. იოანე ბაგრატიონის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერაში“ საუფლისწულოდ ერთადერთი სოფელი – ქანდაურა იხსენიება, მის მფლობელად კი მითითებულია ბატონიშვილი მირიანი. მირიან ერეკლეს ძე, რ-იც საიმპერატორო სენატის წევრი, გენერალ-მაიორი და ქაბარდოს პოლკის შეფი იყო, ამავე დროს ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან შემოგვინახა დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ავტორისეული ხელნაწერი.

სხვადასხვა დროს სოფელში შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, სამეგრელოდან და კახეთის ცალკეული სოფლებიდან წამოსულები დასახლდნენ. მოგვიანებით, სოფლის მოსახლეობის ნაწილი ბადიაურში ჩაასახლეს, ნაწილი კი, ქვემო ქანდაურაში დასახლდა. სოფელს „ნაცვალი“ მართავდა. სოფლის მოსახლეობის 1804 წლის აღწერის მიხედვით, ქანდაურის ნაცვალი აზნაური ბერი (ბერო) გამყრელიძე იყო.


1812 წლის კახეთის აჯანყებაში ქანდაურელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. რუსეთის ადგილ. ხელისუფლების წარმომადგენელს, თავად იოსებ ანდრონიკაშვილს, მისი მოთხოვნის საპასუხოდ, წარედგინა მოხსენება, რ-შიც ლაპარაკი იყო სოფლის აჯანყებაში ჩაბმის მიზეზებზე: „ასე გაგვიჭირდა საქმე ჩვენ ამ დრაგუნებისაგან, ღმერთიც დაგვავიწყეს, ხელმწიფეც და ჩვენი სიცოცხლეცა ... გვცარცვავდნენ ... მოგეხსენებათ, ახალი მოსახლე არის სოფელი ... ამთენი მწუხარება დრაგუნის მაიორისაგან და იარანალი პორტნეგირის ჯარისაგან გვჭირდა ... და ეს ბუნტიც მოხდა“.

ყანდაურელი იყო, აქ მცხოვრები მედავითნის გიორგი დიმიტრის ძე ფხალაძის ოჯახში დაიბადებული, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკ III (1872-1960 წწ.).

სოფელში კარგად იყო განვითარებული მესაქონლეობა. უპირატესობა მსხვილფეხა რქოსან საქონელს ენიჭებოდა. ზაფხულში ცხვარს თრიალეთში მიერეკებოდნენ, ზამთარში კი ივრის პირებზე რჩებოდა. სოფელში განვითარებული იყო მეჭურჭლეობა. აქაური კერამიკული ნაწარმი მთელ გარეკახეთში იყო განთქმული.

ალ. ელერდაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ბიბლ.: 107; 321დ.

077. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 500 მ-ზე. ეკლესიის სამხრ. კედელში, გარედან, ჩასმულია ბაზალტის ქვა, რ-ზეც ამოკვეთილია



077. გეგმა

ორენოვანი (ქართ., სომხ.) სამშენ. წარწერა. წარწერის მიხედვით ეკლ. აგებულია 1884 წელს, სიმონ პეტრუსოვის „ფულითა და გამრჯობითა“. თუმცა, შენობის კედლებში სხვა, ბევრად



077. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

უფრო ძვ. ფენაცაა შესამჩნევი, რ-იც, როგორც საშენი მასალის რაობით, ისე წყობის ხასიათითაც გამოირჩევა და ხუროთ-

მოძღვრული ნიშნებით გვიანდ. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. ჩანს, რომ ეკლ. 1884 წელს კი არ აუგიათ, არამედ აღუდგენიათ, თუმცა, ამ ფაქტის აღნიშვნის ნაცვლად, წარწერაში, ეკლესიის აგების შესახებაა საუბარი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები, აღმ. კედელი შუაში, მთელ სიმაღლეზე, გახეთქილია, ეკლესიის შიგნით მცენარეულობა და მოზრდილი ხეა ამოსული.



077. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლ. დარბაზულია (8,95x5,35 მ). შენობის თავდაპირველი ნაწილი რიყის თანაბარი ზომის ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები.წყობაში, აქა-იქ, რიყის ნატეხი ქვები და ლოდებიცაა ჩართული. კუთხეები ოდნავ მოზრდილი ქვებითაა ამოყვანილი. რიგების სწორხაზოვნება ძირითადად დაცულია. მოგვიანებით აღდგენილ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, აგურიცაა გამოყენებული. სარკმლები და არქიტ. ელემენტები კი მთლიანად აგურისაა.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს.კარი შიგნითკენ ოდნავ ფართოვდება. იგი გადახურული იყო აგურით ნაწყობი, ბრტყელი თაღით (შემორჩენილია თაღის დას. ქუსლის წყობის მცირე ნაწილი). აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც დაბალი, ოთხკუთხა სარკმელი და გეგმით ნახევარწრიული ორი ნიშაა. სარკმელი,ჩვეულებისამებრ, აფსიდის ღერძზეა, ნიშები კი აფსიდის ბოლოებთანაა განლაგებული. ჩრდ. ნიშაში წყობიდან გამოშვერილი აგურებით გამოყვანილი თაროა. სამხრ. ნიშა კი ძირიდან სამოციოდე *სმ*-ის სიმაღლეზეაა შემორჩენილი. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, აფსიდის მხართან ახლოს, შემორჩენილია სარკმლის ქვედა ნაწილი. იგი, საკურთხევლის სარკმლის მსგავსად, გარეთკენ ოდნავ ვიწროვდება და დახრილი რაფა აქვს.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის მარჯვნივ,აგურით გამოყვანილი ვიწრო, მაღალი, ოთხკუთხა ნიშაა, რ-იც ლოდითაა გადახურული.

თ. დვალი.

078. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 500 მ-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები. გეგმა სრულად არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

079. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, გაანაპირას. განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას.

შემთხვევით აღმოჩენილი ორმოსამარხი შეისწავლა კპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხში აღმოჩნდა ივრისა და ალაზნის ქვემო წელისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს მახვილი. ინახება საგარეჯოს მხარეთმც. მუზეუმში.


ტ. ჯაშიაშვილი.

ბიბლ.: 294.

080. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას, ნაზიაანთ უბანში. თარიღდება XIX საუკუნით.

ეკლ. დარბაზული ტიპისაა (9,5x6,1 მ). აგებულია რიყის წვრილი ქვით. კედლების საპირე წყობაში ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, აგურის (18,5x18, 5x3, 8/4 *სმ*) ორ-ორი რიგით გამოყვანილი, ჰორიზ. შრეებია ჩართული; გარეთა კუთხეები და კარ-სარკმლების ღიობები მთლიანად აგურითაა ნაწყობი. შენობა დგას რიყის ქვით ნაწყობ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და




080. გეგმა

დას-იდან. ორივე შიგნიდან და გარედან ბრტყელი თაღითაა გადახურული. ღიობში კი, ხის სწორკუთხა ალათაა ჩადგმული, რ-ის ზემოთ დარჩენილი არე აგურის წყობითვეა შევსებული.

შიდა სივრცე ვრცელია, აღმ-ით იგი დასრულებულია აფსიდით, რ-იც დარბაზის გრძივ კედლებს მხრების გარეშე შეერთვის. აფსიდს გეგმით არასრული, ნახევარწრის ფორმა აქვს და დარბაზის იატაკის მიმართ ოცდაათიოდე *სმ*-ითაა შემაღლებული. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, ჩრდ. ბოლოსთან კი, ღრმა ნიშაა, რ-იც, როგორც ეს შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, თაღოვანი ყოფილა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს გრძივ კედლებში გაჭრილი კიდევ ორი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. სამივე სარკმლის თაღი, ისევე როგორც შესასვლელთა თაღები, შესაბამის ღიობს განით ოდნავ აღემატება, რის გამოც, თაღების ქუსლების დონეზე, დაახლ. 4-5 *სმ* სიგანის საფეხური იქმნება. სამივე სარკმელში ხის, სწორკუთხა ალათის კვალია შემორჩენილი. ჩრდ. კედელში გაჭრილი სარკმლის რაფა ხისაა, თარაზული. სარკ-

მლის ქვეშ გამოყვანილია მისივე ტოლი სიგანის, ღრმა ნიშა. კიდევ ერთი, მაგრამ გაცილებით მცირე ზომის ნიშა, აფსიდის ჩრდ. კიდესთანაა, იატაკიდან დაახლ. 2, 2 *მ* სიმაღლეზე. სავარაუდოდ, ადრე მასში ჩასმული იყო წარწერიანი ქვა.



080. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

ნაგებობას აშკარად ეტყობა მოგვიანებით ჩატარებული რემონტის კვალი, რ-ის დროსაც საკურთხევლის ბაქანი აუმაღლებიათ და რამდენადმე წინ წამოუწევიათ. დარბაზის იატაკი მოგებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის აგურით, მათ შორის უხვადაა პროფილირებული აგურები. აგურით ყო-



080. ინტერიერი. ხედი დას.-კენ

ფილა მოგებული საკურთხევლის ბაქანიც.

ხუროთმოძღვრული ნიშნებით ჩანს, რომ ეკლ. შიგნით ხის კამარით იყო გადახურული, რაც ამ პერიოდის ძეგლებში არცთუ ისე იშვიათია.

შენობას დას-იდან ეკვრის სწორკუთხა გეგმის (2x1 *მ*), აგურით ნაგები კარიბჭე (ორ მოგრძო, ოთხკუთხა ბოძზე გადაყვანილი, ნახევარწრიული კამარა), რ-იც კედელს თითქმის მთელ სიმაღლეზე აუყვება. იგი დასრულებული იყო ლეკალური აგურით (ერთი აგური შემორჩენილია ჩრდ. მხარეს) ნაწყობი ლავგარდნით. კარიბჭის თავ-

ზე მოწყობილია სწორკუთხა ბაქანი, რ-ზეც დადგმული იყო აგურისავე, ოთხკუთხა ფანჩატური (შემორჩენილია ნაშთი).

ეკლესიის ფასადები სადაა. მორთულობის ძირითადი ელემენტია აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრები, რ-ებიც მუქი წითელი ფერით იყო დაფარული.

აღმ. ფასადი საკურთხევლის სარკმლის გადამხურავი თაღის სიმაღლემდეა შემორჩენილი. კედელი დგას მთლიანად რიყის ქვით ნაწყობ ცოკოლზე (სიმ. მიწიდან 72 *სმ*). ფასადს მთელ სიგანეზე გასდევს ორრიგად ნაწყობი აგურის რამ-



080. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დენიმე ჰორიზ. შრე, რ-ებიც თანაბრად ანაწევრებს კედლის ზედაპირს.

სამხრ. ფასადი დანაწევრებულია აგურით ნაწყობი, პილასტრისმაგვარი ექვსი შვერილით, რ-ებიც მას თითქმის მთელ სიმაღლეზე აუყვება და თანაბარი სიგანის შვიდ არედ ყოფს. დასიდან მეორე არეში შესასვლელია მოქცეული, მეოთხეში კი – სარკმელი.

დას. ფასადზე, კარიბჭის ორივე მხარეს, ერთიმეორის ზემოთ, განლაგებულია ორ-ორი შეღრმავებული ჯვარი. მათგან ქვედა ნაწილში განლაგებული ორივე ჯვარი დაყრდნობილია სამსაფეხუროვან პოსტამენტზე,



080. (აღდგენის შემდეგ) ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აქვს ვიწრო, სამყურით დაბოლოებული მკლავები და მუქი წითელი ფერითაა შეღებილი. ზედა ნაწილში განთავსებული ჯვრები კი, თითქმის ტოლმკლავაა. მათი მკლავები, ქვედა ჯვრების მკლავებთან შედარებით, ბევრად უფრო განიერია და სწორად მოხაზული ბოლოები აქვს, შეღმავებული ნაწილი კი, წვერზე დაყენებული, კვადრ. აგურებითაა გაფორმებული.

ჩრდ. ფასადი მნიშვნელოვანი დანაკარგებითაა მოღწეული. ფასადის დას. ნაწილში მოწყობილია განიერი, მაღალი სარკმელი, რ-ის დას. კიდესთან ახლოს გამოყვანილია, სამსაფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვარი.

2012 წელს ეკლ. აღადგინეს (პროექტის ავტორები: ნ. მინდორაშვილი, გ. ქალებაშვილი, ა. შავერდაშვილი). ინტერიერის გაწმენდის შემდეგ, აფსიდში, დას. კედლის მთელ სიგრძეზე

და სამხრ. კედლის დას. ნახევარში, გამოჩნდა ძვ., ადრე ამ ადგილას არსებული ეკლესიის კედლების ნაშთები, რ-ებიც განახლებული ეკლესიის კედლებშია ჩართული.

თ. დგალი.

081. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. განაპირას. განეკუთვნება XIX საუკუნეს.



081. ხედი დას-იდან

ძ. ძლიერაა დაზიანებული: მთლიანადაა დანგრეული სამხრ. კედელი, აღმ. და დას. კედლები 1,8-2 *მ* სიმაღლეზეღა დგას, ჩრდ-ისა კი – 0,8 *მ* სიმაღლეზე. ეკლესიის შიგნით მოზრდილი ხეა ამოსული.


ეკლ. დარბაზულია (7,7x4,5 *მ*), უაფსიდო. ნაგებია ნატეხი ქვით. წყობა არაწესიერია. დას. კედელში საფლავის ლოდია ჩართული. ასეთივე ლოდი ჩართული ყოფილა სამხრ. კედლის აღმ. კიდეშიც.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია.

თ. დგალი.

082. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. თარიღდება XIX ს-ის მიწურულით.

ეკლ. დარბაზულია. აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის დიდი ნაწილი გეგმის სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული, ნაწილი კი გამოშვერილია. საკურთხევლის შვერილი, ეკლესიის ძირითადი კორპუსისგან, მოკლე მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი, კონუსისებრი სახურავი ხურავს (გარეთა ზომები საკურთხევლის შვერილის ჩათვლით: სიგრ. – 13,9 *მ*, სიგ. – 7,6 *მ*).



082. გეგმა

შენობის საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, ნატეხი ქვა და აგური. გარეთა კედლები, ძირითადად, რიყის ქვითაა გამოყვანილი. ქვა შერჩეულია და დაწყობილია თარაზულ რიგებად. საკურთხევლის შვერილის ჩრდ-იდან და დას-იდანაა. ჩრდ. ეკლესიაში შესასვლელი ოყენებული, სადაც მათ რიყის მოზრდილი ქვები ენაცვლება. ოთხივე კუთხის ქვედა ნაწილში თითო საფლავის ლოდია ჩართული. კედლები შელესილი ყოფილა. ნალესობა მხოლოდ სამხრ. კედელზეღაა შემორჩენილი.



082. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

შესასვლელი შენობის ჩრდ-იდან და დას-იდანაა. ჩრდ. შესასვლელი თავდაპირველია.



082. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

იგი აგურითაა ნაწყობი და შეისრული თაღი ხურავს. დას. შესასვლელი 2010 წელსაა მოწყობილი, ადგილ. მოსახლეობის მიერ თვითნებურად ჩატარებული, აღდგენითი სამუშაოების დროს. ამ დროს აღუდგენიათ კამარა, დას. კედლის დიდი ნაწილი და სამხრ.-დას. კუთხე. ეკლ. შიგნიდან გაჯით შეულესავთ, ორივე შესასვლელის წინ აუგიათ გეგმით ოთხკუთხა, უსახური კარიბჭე და ეკლ. ბრტყელი კრამიტით გადაუხურავთ.

აფსიდი დარბაზისგან წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღითაა გამიჯნული. აფსიდის ღერძზე ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-იც კედლის გულისაკენ, შიგნიდან და გარედან, ოდნავ ვიწროვდება (გარეთა ღიობი სახეშეცვლილია). სარკმლის ქვემოთ მაღალი, თაღოვანი ნიშაა. ორორი თაღოვანი, ოღონდ რამდენადმე დაბალი ნიშა აფსიდის გვერდებში, სიმეტრიულადაა განლაგებული. კიდევ ერთი მცირე, ოთხკუთხა ნიშა აფსიდის ჩრდ. გვერდის ბოლოშია.



082. სამხრ. ფასადი. საფლავის ქვა

გრძივ კედლებზე ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრია. პილასტრების წინა საფეხურზე კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი, გვერდითებს კი კედლის თაღები ეყრდნობა. პილასტრია სამხრ.-დას. კუთხეშიც, რ-ზეც დას. კედლის მიმდებარე თაღი იყო გადაყვანილი. ყველა პილასტრი დაგვირგვინებულია მარტივი პროფილის კაპიტელით. სამხრ. და ჩრდ. კედლებში შიგნით თაღოვანი, გარედან სწორკუთხა ორორი სარკმელია, რ-თა გარეთა ღიობები აღდგენის დროს გაუგანიერებიათ.

თ. დვალი.

თარაძი (ნასოფლარი), იხ. სოფ. მ ა ნ ა ვ ი

თოხლიაური

(საკრებულოს ცენტრი)

083. თოხლიაური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთის ძირას, თბილის-გურჯაანის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. ზ. დ. 700 მ-ზე, ქ. საგარეჯოდან 10 კმ-ზე, სოფ. მანავიდან (უახლოესი რკ.-გზ. სადგ.) 5 კმ-ზე.

თოხლიაური თავად ჩერქეზიშვილების კუთვნილი სოფელი იყო. აქ მდებარეობდა მათი სასახლე და საგვარეულო სასაფლაო.

სოფლის ძირითადი უბნებია: ყიასაანთ უბანი, მათიაანთ უბანი, ვაკე უბანი.

თოხლიაურში ადრე მესაქონლეობას უფრო მისდევდნენ, ვიდრე მიწათმოქმედებას. მესაქონლეობაში კი უპირატესობა მსხვილფეხა, რქოსან საქონელს ენიჭებოდა. სოფლის კუთვნილი ცხვრის ფარის ნაწილი ზაფხულში თოხლიაურის ცივზე აჰყავდათ. უმეტეს ნაწილს კი ჯავახეთში მიერეკებოდნენ.

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სამოდე კმ-ზე, შავქედის ნასოფლარია. საბჭ. პერიოდში ნასოფლარის ტერიტორიაზე პიონერთა ბანაკი იყო გაშენებული, რ-ის ერთ-ერთი ობიექტი განთავსებული იყო „საციო მარანში“, რ-იც ადრე თავად ჩერქეზიშვილებს ეკუთვნოდა.


ალ. ქლურდაშვილი.

ბიბლ.: 107; 321დ.

084. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, ძველ სასაფლაოზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX ს-ით. მოსახლეობის გადმოცემით, ეკლესიას საბჭ. პერიოდში სოფლის კლუბად იყენებდნენ, რის გამოც მან მნიშვნელოვანი გადაკეთებები განიცადა (ამოუშენებიათ დას. შესასვლელი და ჩრდ. კედელში არსებული ორივე სარკმელი, გაუფართოებიათ სამხრ. სარკმლები, შიგნითა კედლები კი გაჯით შეულესავთ). 2000-იანი წლების დასაწყისში სოფელს ეკლესიის განახლება თვითნებურად დაუწყია და მალევე მიუტოვებია (გაუხსნიათ ამოშენებული ღიობები, კამარის ქუსლის დონეზე მოუწყვიათ რკინა-ბეტონის, განიერი სარტყელი, რ-ის დიდი ნაწილი ეკლესიის შიგნით არის გადმოშვერილი და დაყრდნობილია

ეკლესიის შიგნითა კედლებზე მიყრდნობილ რკინა-ბეტონის, უსახურ ბოძებზე).

ეკლ. დარბაზულია, აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გარედან ხუთწახნაგოვან აბრისშია ჩაწერილი (შიგნითა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ. – 13,5 *მ*, სიგ. – 5,9 *მ*, კედლის სისქე – 1 *მ*). საშენ მა-



084. გეგმა

სალად გამოყენებულია წვრილი რიყის ქვა და კვადრ. აგური. მათი ხვედრითი წილი თითქმის თანაბარია. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-თა წყობაში აგურით გამოყვანილი, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებული, თარაზული რიგებია ჩართული. კარ-სარკმლების ღიობები და არქიტ. ელენენტები მთლიანად აგურისაა, ოღონდ, წირთხლების წყობაში თითო-ოროლა რიყის ქვაცაა ჩართული. ქვებს შორის არსებული არეები, შიგნითა კედლებში, ბათქაშითაა ამოვსებული. ინტერიერი შეთეთრებული ყოფილა.

შესასვლელი სამხ-იდან და დას-იდანაა. ორივეს პარალელური წირთხლები აქვს და ბრტყელი თაღითაა გადახურული. ინტერიერი განათებული იყო ხუთი სარკმლით, რ-თა შორის ერთი – აფსიდშია, აღმ-ით, ორ-ორი კი – გრძივ კედლებში – ერთმანეთის პირდაპირ. აღმ. სარკმელი თარაზულად, ფიცრითაა გადახურული, დანარჩენებს კი თავდაპირველი გადახურვა აღარ შემორჩათ. აფსიდში, სარკმლის გვერდებზე, გეგმით სწორკუთხა სამი ნიშაა (ორი – სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით). სამივე ნიშა სამკუთხა თაღითაა გადახურული.

ეკლესიას თავდაპირველი გადახურვის კვალი არ ეტყობა. სავარაუდოდ, იგი შიგნიდან ხის კამარით იქნებოდა გადახურული.

ეკლესიასთან ახლოს ჩერქეზიშვილთა საფლავების ქვებია.

თ. დვალი.

085. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 3 *კმ*-ზე, ნასოფლარ შავქედის მიდამოებში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (3,55x2,50 *მ*), უაფსიდო. ნაგებია რიყის მოზრდილი ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ქაოსურია. დაზიანებულია. შენობიდან, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე, აღმ. ნახევარიღაა შემორჩენილი, სამხრ. და დას. კედლები 1-1,4 *მ* სიმაღლეზე დგას, ჩრდ-ისა კი – მთელ სიმაღლეზე. ამ უკანასკნელს კამარის მცირე ნაწილიც შემორჩა.

შესასვლელი სამხრ-იდან ყოფილა. შიდა სივრცე ერთიანია. საკურთხევლის აღმ. კედელში მოწყობილია განიერი, დაბალი სარკმელი, რ-იც თარაზულად, რიყის მოზრდილი ქვითაა გადახურული. სარკმლის გარეთა ღიობი, როგორც ეს შემორჩენილი კვალის მიხედვით ჩანს, შესაძლოა შირიმის ქვებით იყო გამოყვანილი. საკურთხეველი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, რ-იც დარბაზის კამარის შემორჩენილ ნაწილთან ერთ სიბრტყეშია.

თ. დვალი.

086. ეკლესია, კ ე რ პ ი ს ს ა ყ დ ა რ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, სამიოდე *კმ*-ზე, ნასოფლარ შავქედის სამხრ-ით, 300 *მ*-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,8x4,5 *მ*). საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა. წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩართულია შირიმიც. და-



086. გეგმა

ზიანებულია: შემორჩენილია აფსიდი (კონქთან ერთად), ჩრდ. კედელი-დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე და დას. კედლის ჩრდ. ნაწილი, რ-ის სიმ. 1 *მ*-ს არ აღემატება.

აფსიდი ნახევარწრიულია, გადახურულია დადაბლებული პროპორციების კონქით. აფსიდის ღერძზე გაჭრილია შე-



086. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ისრულთაღოვანი სარკმელი (შემორჩენილია მხოლოდ თაღი). სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. ინტერიერი შელესილი ყოფილა.


ა. თოფურია, ბ. კუპრეიშვილი.

087. ეკლესია, დ ა მ უ რ ა ს ს ა ყ დ ა რ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 3-3,5 *კმ*-ზე, დიდველების ქედზე, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. სავარაუდოდ, აგებულია ძვ., ბევრად უფრო ადრინდ. ეკლესიის ადგილზე, რ-ის ერთ-ერთი (აღმ.) კედლის შემორჩენილი ნაწილი ახ. ეკლესიის შესაბამის კედელშია ჩართული.

ეკლ. დარბაზულია (5,7x4,3 *მ*). ნაგებია დაუდევრად, რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობაში შირიმის ქვებიცაა გამოყენებული.


შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია მხოლოდ წირ-

თხლების ნაწილი). ეკლესიის დარბაზი მოკლეა და დაბალი (სიგრ. – 2,9 *მ*, სიგ. – 3,3 *მ*; სიმ. იატაკიდან კამარის წვერამდე, დაახლ. 3,5 *მ*-ია). აღმ-იდან მას ერთვის აფსიდი, რ-საც გეგმით



087. გეგმა

გაგანიერებული ნახევარწრის ფორმა აქვს. აფსიდში მოწყობილია დაბალი, რიყის მოზრდილი ქვით გადახურული სარკმელი, რ-იც აფსიდის ღერძიდან ოდნავ ჩრდ-ითაა გადაადგილებული. სარკმლის ორივე მხარეს, იმავე დონეზე, თითო მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე მიყრდნობილი ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. აფსიდი ტლანქად ნაყობი კონქითაა გადახურული.




087. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

დარბაზის დას-ის ორივე კუთხე ოდნავ მომრგვალებულია. დას. და ჩრდ. კედლებში თითო ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

გარედან, აღმ. კედლის წყობაში, შესამჩნევია ძვ. ეკლესიის საჰირე წყობის ქვედა რიგების მცირე ნაწილი, რ-იც სუფთად გათლილი, ერთმანეთთან მიჯრით დაწყობილი, შირიმის ქვებითაა გამოყვანილი.

თ. დვალი.

088. ეკლესია, ღონიტას ველის საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ღონიტასხევის მარცხ. მხარეს, ტყიან ქედზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



088. გეგმა. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ეკლ. დარბაზულია (3,65x3,35 *მ*). ნაგებია რიყის სხვადასხვა ზომის ქვით და კირის ხსნარით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა და კედლის ღერძიდან ოდნავ სამხრ-ითაა გადაადგილებული. აღმ-ით, ოდნავ ნალისებრ აფსიდში, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის სამხრ-ით მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. იმავე ფორმის, ოღონდ ოდნავ მოზრდილი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ბოლოშიცაა. დას. კედელში, შესასვლელის ჩრდ. გვერდის ასწვრივ, მოწყობილია ოთხკუთხა, თითქმის პარალელურწირთხლებიანი სარკმელი.

შიგნით ეკლ., განძის მაძიებლების მიერ, დაახლ. 1,2 *მ* სიმაღლეზეა ჩაღრმავებული.


ა. თოფურია, ბ. კუპრეიშვილი.


კალოგნის ღვთისმშობლის ეკლესია, ცალკე მდგომი ძ. იხ. სოფლების რიგში.

კალოგნის წმ. გიორგის ეკლესია, ცალკე მდგომი ძ. იხ. სოფლების რიგში.

089. მთავარმოწამე, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ოთხიოდე კმ-ზე, დიდველების ტყიან ქედზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

საშენ მასალად რიყის მოზრდილი ზომის ქვაა გამოყენებული. წყობა ძირითადად ქაოსურია. თუმცა, ალაგ-ალაგ, სწორხაზოვნად გამავალი რიგებიცაა გამოყვანილი. შემორჩენი-





089. ჭრილი, ხედი სამხრ-კენ. გეგმა

ლი კედლებიდან, დიდი დანაკარგების გარეშე, დაახლ. 2,4 *მ* სიმაღლეზე, მხოლოდ დას. კედელი დგას.

ეკლ. უაფსიდოა (5,65x4,45 მ). აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც მოწყობილია გარეთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელი (შემორჩენილია კვალი).

შესასვლელი სამხრ-იდანაა (წირთხლები 1-1,3 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი). დას. კედელში დაბალი, ვიწრო სარკმელია გაჭრილი. შიგნით, დას. ორივე კუთხე უმნიშვნელოდაა მომრგვალებული.

თ. დვალი.

090. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 400-450 მ-ზე, მანავის მეურნეობის სასტუმროს (აგებულია



090. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

XX ს-ის დასაწყისში. საქართვ. გასაბჭოებამდე შენობა მეწარმე ფრიდონაშვილს ეკუთვნოდა. ამჟამად შენობა ბიზნესმენ თ. ქარჩავას საკუთრებაა) ზემოთ (ჩრდ-ით), 60-70 მ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. XX ს-ის მიწურულს ეკლ. თვითნებურად, სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე, გაურემონტებიათ, რის შედეგადაც მას თავდაპირველი სახის გამსაზღვრელი დეტალები დაკარგული აქვს.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყის სხვადასხვა ზომის ქვითა და კირის დუღაბით. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. კარი შეისრული თაღითაა გადახურული, გამოყვანილია აგურით და, როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც შელრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ორივე გვერდში თითო მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა. აფსიდი შუა ნაწილში განგრეული ყოფილა. რემონტის დროს იგი დაუდევრად ამოუშენებიათ და თაღოვანი სარკმელი მოუწყვიათ. ამავე დროსაა მოწყობილი დას. კედელში, გვერდიდვერდ განლაგებული, ორი მრგვალი სარკმელიც.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით, რ-იც ხის, წვრილ ტოტებზეა დაწყობილი.

თ. დვალი.

091. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. არქიტ. ნიშნებით, სავარაუდოდ, XVIII საუკუნით თარიღდება. 2013-14 წლებში სოფლის მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად აღადგინა (გააახლეს კამარა, კონქი, აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლების ზედა ნაწილები და დას. კედელი მთლიანად – მასში შესასვლელია მოწყობილი; ააგეს კანკელი, იატაკზე დააგეს ნატეხი ქვის ფილები, შელესეს



091. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ინტერიერი, გარედან მოაწყვეს რკინა-ბეტონის, ორსაფეხურიანი ლავგარდანი და ეკლ. გადახურეს ღარისებრი კრამიტით), რის შედეგადაც მას თავდაპირველი სახის განმსაზღვრელი, ხუროთმოძღვრული ნიშნები თითქმის მთლიანად დაეკარგა.

ეკლ. დარბაზულია (11,1x5,5 მ), ნაგებია რიყის ქვით. აფსიდის კონქის (ქუსლის მთელ სიგრძეზე შემორჩენილი იყო დაახლ. 1 მ სიმაღლის მონაკვეთი) და სამხრ. შესასვლელის წყობაში (შემორჩენილი იყო აღმ. წირთხლი და მასზე დაყრდნობილი თაღის მცირე ნაწილი) გამოყენებული იყო კვადრ. აგური.

აფსიდი გეგმით ნახევარწრიულია. მასში განიერი, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე კი, ორი ნახევარწრიულთაღოვანი ნიშაა სიმეტრიულად განლაგებული.

გრძივ კედლებზე ერთსაფეხურიანი ორ-ორი პილასტრია. პილასტრებზე დაყრდნობილი იყო კამარის საბჯენი თაღები (ეკლესიის „რესტავრაციისას“ საბჯენი თაღები აღარ აუგიათ). პილასტრები დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედლის მიმდებარე, საბჯენი თაღი იყო გადაჯვანილი. ჩრდ. კედლის შუაში საშ. ზომის, ოთხკუთხა ნიშაა (ადრე იგი ნახევარწრიული თაღით იყო დასრულებული). სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში კი, აფსიდის მხარსა და პილასტრს შორის, დაბალი, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

თ. დვალი.

იკვლივგორანა

(კოჭბაანის თემის საკრებულო)


092. ლომისის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 2 კმ-ზე, ტყიან ფერდობზე. განეკუთვნება VIII-IX სს.

ეკლ. ორნავიანია (სიგრ. – 7,4 მ, სიგ. – 6,8 მ), ნაგებია რიყის სხვადასხვა ზომის ქვითა და კირის დუღაბით.გარეთა კედლების წყობაში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. ქვა შერჩეულია და ერთმანეთთან მჭიდროდაა მიწყობილი, თუმცა, არ ქმნის სწორხაზოვნად გამავალ რიგებს. კუთხეების, არქიტ. ელემენტების და კონსტრ. ნაწილების წყობაში, რიყის ქვასთან ერთად, არცოუ ისე სუფთად გათლილი შირიმის ქვებიცაა გამოყენებული.

ეკლესიის ორივე ნავი აფსიდიანია და ერთმანეთს ორმაღლიანი თაღედით უკავშირდება. თაღები ეყრდნობა სწორკუთხა ბურჯს, რ-იც დაგვირგვინებულია ნატეხი ქვით გამოყვანილი,

თხელი, თაროსებრი კაპიტელით. მსგავსი კაპიტელებითაა დასრულებული თაღედის განაპირა კედლებიც.


შესასვლელი სამხრ. ნავის სამხრ. კედლის შუაშია. კარი გარედან თარაზულად იყო გა-



092. გეგმა

დახურული (შემორჩენილია ზღუდრის კვალი), შიგნიდან კი ნახევარწრიული ფორმის თაღითაა გადახურული.


ორივე ნავის აფსიდი ნახევარწრიულია. ორივეში თაღოვანი, გარეთკენ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი. ორივე სარკმლის თაღი, შიგნიდან და გარედან, შირიმის მთლიან ქვაშია გამოკვეთილი. მთავარი ნავის აფსიდის გვერდებში თითო



092. ჭრილი მთავარ ნავზე. ხედი სამხრ-კენ

პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. სამხრ. ნავის აფსიდი კი ნიშების გარეშეა. აფსიდები დასრულებულია წესიერი ფორმის კონქით. მთავარი ნავის კონქის თაღი აფსიდის მხრებზეა დაყრდნობილი, სამხრ. ნავისა კი – მარტივპროფილიან კაპიტელებზე. მთავარი ნავის კონქის ქუსლის დონეზე, წყობიდან ოდნავ გამოშვერილი ქვებით, გამოყვანილია თარო, რ-იც აფსიდს მთელ სიგრძეზე გაუყვება.

ორივე ნავი, შიგნით, გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით (სამხრ. ნავის კამარის სამხრ. გვერდის აღმ. მონაკვეთი მოგვიანებით აღუდგენიათ). მთავარ ნავს, გარდა საკურთხევლის სარკმლისა, ანათებს სამხრ. კედელში გაჭრილი ორი პატარა, ოთხკუთხა სარკმელი, რ-ებიც იმდენად მაღლა არის „ატანი-



092. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ლი“, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კამარის მრუდშია მოქცეული. სამხრ. ნავს, საკურთხევლის სარკმლის გარდა, სხვა სარკმლები არა აქვს.

აღმ. ფასადზე, მთავარი ნავის სარკმელი შემკულია ნახევარწრიული, რელიეფური თაღით. იგი დაყრდნობილია იმავე პროფილის ორ სვეტზე, რ-ებსაც ბოლოებში ჰორიზ. გადანაკეცები აქვს (მარჯვ. სვეტი და გადანაკეცი ამჟამად ჩამომტვრეულია). სარკმლის ზემოთ, ფრონტონის არეში, ერთ ქვაში გამოკვეთილია რელიეფური ჯვარი (ჯვრის ზედა მკლავი არ შემორჩენილა).

მთავარი ნავი გადახნული იყო ორქანობიანი სახურავით, ხოლო სამხრ-ისა – ცალქანობიანით.

თ. დვალი.

093. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შენობის კუთხეებში და სარკმლის წირთხლებად გამოყენებულია შირიმიც. შეინიშნება გვიანდ. შეკეთების კვალი. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარისა და სამხრ. კედლის დიდი ნაწილი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია კვალი). აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის წირთხლები შირიმის ქვისაა. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია ტრაპეზი. აფსიდი დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი. კონქის თაღი ნახევარწრიულია. იგი შირიმის თაროსებრ იმპოსტებს ეყრდნობა.

ა. თოფურია, ბ. კუპრეიშვილი.

კაკაბეთი
(საკრებულოს ცენტრი)

094. კაკაბეთი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, ქ. საგარეჯოდან 23 კმ-ზე, ბადიაურიდან (უახლოესი რკ. გზ. სადგ.) 12 კმ-ზე.

კაკაბეთი XVII და XVIII საუკუნეების ისტ. დოკუმენტებში იხსენიება. სოფელი თავდაპირველად ჩერქეზიშვილთა სამკვიდრო ყოფილა. 1675 წლიდან კი, ალავერდელ ეპისკოპოსს გადაეცა. როცა მეფე ერეკლე I-მა ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიას ბოქაულთუხუცესი გოჯასპი ზაალიშვილი შესწირა მისი ყმითა და მამულით, მათ შორის იყო კაკაბეთის მამულებიც. 1693 წელს კახეთის ბატონმა და ყარაბაღის ბეგლარბეგმა – აბასყული-ხანმა სოფელი უბოძა თუშთა მოურავს მამუკა ჩოლოყაშვილს, სახლთუხუცესს დურმიშხანსა და მათ შვილებს.

კაკაბეთი იყოფა უბნებად. მათი სახელწოდება მომდინარეობს სოფელში მცხოვრები ძირითადი გვარებისაგან, გარდა უკიდურეს აღმ. განაპირა უბნის ვერხვიანისა (ამჟამად სოფელია).

1800 წლის 7 ნოემბერს, სოფლის მახლობლად, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე, ნიახურის ველზე, გაიმართა დიდი ბრძოლა ომარ-ხან ავარიელის 20 ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ. საისტ. ლიტ-რაში ეს ბრძოლა იხსენიება როგორც კაკაბეთის, ისე ნიახურის ბრძოლის სახელით.

რუსეთისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს ჩამოშორებას, ირანთან ერთად, ავარიის მფლობელი ომარ-ხანიც ცდილობდა. გეგმის მიხედვით, დაღესტნელებსა და ყიზილბაშებს თბილისისათვის ორი მხრიდან უნდა შეეტიათ, მაგრამ, ირანში შინააშლილობისა და მაშინდელი გამგებლის ბაბა-ხანის პოლიტ. მოსაზრების შეცვლის გამო, ირანელებმა გადაიფიქრეს და დასახული მიზნის შესრულება ომარ-ხანის ლაშქარს დაეკისრა. დაღესტნელთა მოსალოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად, იოანე და ბაგრატ ბატონიშვილების მეთაურობით, შეიქმნა ქიზიყელ მოხალისეთა რაზმი. მათ რუსთა 2 ბატალიონიც დაეხმარა.

ბრძოლა ომარ-ხანის ლაშქრის სრული განადგურებით დამთავრდა. თვით ომარ-ხანმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. ქვეყანა აოხრებას გადაურჩა.

1812 წლის კახეთის აჯანყების დროს კაკაბეთელებმა გაანადგურეს სოფელში განლაგებული რუსთა საეგზეკუციო რაზმი.

ლ. მოწონელიძე.


ბიბლ.: 25; 87; 107; 266დ; 394.

095. ავაზასბორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით მოგრძო, ბუნებრივ ბორცვზე. ანაკრეფი მასალის მიხედვით, ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. დაზიანებულია: ბორცვის ფერდები ძლიერაა გადარეცხილი. ძ. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარზე აღმოჩნდა ქვის, ნავისებრი ხელსაფქვავის ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები.

მ. კალანდაძე.

ბიბლ.: 294.

096. კავთის ღვთისმშობელი, ეკლესია, დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 2 *კმ*-ზე, ტყიანი ქედის ძირში, დიდველებად წოდებულ ადგილზე. ადგილ. მოსახლეობის მიერ აგებულია XX ს-ის



096. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ. გეგმა

II ნახევარში, ძვ., დანგრეული ეკლესიის ნაფუძარზე.


ეკლ. მცირე ზომისაა (4,9x4,0 *მ*), ნაშენია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი დას-იდან აქვს. ამავე კედელში სარკმელიცაა მოწყობილი.

შენობა შიგნიდან და გარედან ხის, ორკალთა სახურავითაა გადახურული. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

097. კავთის წმ. გიორგი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 3 *კმ*-ზე, ტყეში. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (7,1x4,9 *მ*), ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და შირიმით. ეს უკანასკნელი, ძირითადად, კუთხეებში



097. გეგმა

და კონსტრ. ნაწილებშია გამოყენებული. შირიმისაა ლავგარდანიც.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, განიერი, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს



097. გრძივი ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილია ფართო მხრებით და მათზე დაყრდნობილი, სატრიუმფო თაღით.

დას. კედელში, შესასვლელის ოდნავ ზემოთ, პატარა, ოთხკუთხა სარკმელია.

გარედან, დას. კედელზე, ლიოთონის ჯვარია დადგმული.

ეკლესიას დას-იდან მიშენებული ჰქონია სწორკუთხა გეგმის (4,9x2,8 *მ*) ნაგებობა,

რ-ისგანაც კედლების მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი.

ბ. კუპრეიშვილი.

098. საბაღურისგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით.

ძ. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი გამართულია მაღალ, კონუსისებრ გორაზე, რ-საც თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო ერთი ფართო ტერასა შემოსდევს. ძეგლზე, ამონაყარ მიწაში აიკრიფა კაჟის ნამგლის ჩასართი და ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი, მსხვილქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, კონცენტრული ამოღარული ზოლებით შემკული, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

მ. კალანდაძე.

ბიბლ.: 294.

099. სამების ეკლესია, დგას ოთიაანთ უბნის განაპირას, ბორცვზე. აგებულია 1989 წელს, ძველ ნაეკლესიარზე.

ნაგებობა უაფსიდოა. აქვს ერთი შესასვლელი (დას-ით) და ორი სარკმელი (აღმ-ით და დას-ით). კედლები შიგნიდან და გარედან შელესილია. ეკლესიის სახურავის კეხის კიდეებში თითო ლითონის ჯვარია დადგმული.

ბ. კუპრეიშვილი.


100. ტახტიმუხის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. განაპირა უბანში, მცირე შემაღლებაზე, შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარზე, რ-საც გარშემო სათავდაცვო თხრილი შემოუყვება. XIX ს-ში სასაფლაო მოუწყვიათ. აკრეფილი თიხის ჭურჭლის მიხედვით, ნამოსახლარი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს განეკუთვნება.

მ. კალანდაძე.

ბიბლ.: 294.


101. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას კუპატაძეთა უბნის განაპირას, შემაღლებულ ადგილზე. განეკუთვნება XIX საუკუნეს.

ეკლ. დარბაზულია. აქვს ნახევარწრიული, შვერილი აფსიდი, რ-იც გარედანაც იგივე ფორმისაა და დარბაზისგან, რიყის სრულიად დაუმუშავებელი ქვა და ე. წ. ქართ. კვადრ. აგური. კედლების დიდი ნაწილი ოყოფილი (ეკლესიის გარეთა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ. – 11 *მ*, სიგ. – 6,9 *მ*).



101. გეგმა

საშენი მასალა ორგვარია: როგორც შიგნიდან, ისე გარედან, განიერი მხრებითაა გამ-



101. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

და კონსტრ. ელემენტები აგურისაა. რიყის ქვა, ძირითადად, გარეთა კედლებშია გამოყენებული, სადაც იგი მოქცეულია ერთ და ორ რიგად ნაწყობი აგურის თარაზულ რიგებს შორის კედელი ოციოდე სმ-ითაა



101. ხედი სამხრ.-დას-იდან

რის, რ-ებიც თანაბრად ანაწევრებს შესაბამისი კედლების ზედაპირს. როგორც შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, ეკლ. შიგნიდან და გარედან შეთეთრებული ყოფილა.

შესასვლელი ორია: დას-იდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი ბრტყლადაა გადახურული. საკურთხევლის ცენტრში განიერი, შემაღლებული პროპორციების, თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორ-ორი ნიშაა განლაგებული. სარკმელთან ახლოს მდებარე ნიშები გეგმით ნახევარწრიულია და კონქითაა გადახურული. დანარჩენი ორი – გაცილებით ვიწროა, მაღალი და აქვს თარაზული თავი.

კონქი დადაბლებული პროპორციებისაა, ამის გამო მისი თაღი ოდნავ ბრტყელია. თაღის ზემოთ კი – კამარამდე, მაღალი კედელია (სიმ. – 1,5 მ-მდე) აღმართული.

დარბაზის გრძივი კედლები და კამარა ორი წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი, შეისრული, საბჯენი თაღით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების მესამე, დას. წყვილი დარბაზის შესაბამის კუთხეებშია. მათზე დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრებს შორის კედელი ოციოდე სმ-ითაა შეღრმავებული და ბრტყელი თაღითაა დასრულებული.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ხუთი მსგავსი სარკმელი აშუქებს. ყველა სარკმელი პილასტრებს შორის არსებული შესაბამისი არის ღერძზეა. მ. შ. სამი – სამხრ-ითაა, ხოლო ორი – ჩრდ-ით – განაპირა არეებში.

დარბაზი გადახურულია შემაღლებული პროპორციების მქონე, შეისრული კამარით, რ-ის სამივე მონაკვეთი შეკრული კამარის მსგავსადა ანაწყობი – სამივე შედგება ოთხი სამკუთხა ნაწილისგან, რ-თა წვეროები თავს კამარის ცენტრში იყრის.

ეკლესიის გარე მორთულობა ძუნწია. ფასადების დამუშავების ძირითადი საშუალებებია საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეები. დანაწევრება გეომეტრიულად მკაფიოა, ხაზოვანი.

გრძივი ფასადები გაფორმებით ერთგვაროვანია. ჰორიზ. მიმართულებით ორივე ფასადს აბზაცებად ჰყოფს სამ-სამი შეღრმავებული არე. სამხრ. ფასადზე, ყოველ მათგანში, სარკმელია გაჭრილი. ჩრდ. ფასადზე, შუა არეში, შესასვლელია. დანარჩენ ორში კი, თითო სარკმელია მოთავსებული. თვით სარკმლების პროპორცია აზიდულია. ყოველი სარკმელი შვერილ საპირეშია ჩასმული, რ-საც ძირი გახსნილი აქვს. საპირის თაღის გარემოხაზულობა ნახევარწრიულია, შიგნითა მხრიდან კი წვერი კილისებრად აქვს შემაღლებული.

საკურთხევლის შვერილის სიბრტყე აგურით ნაწყობი ჰორიზ. შრეებით, რიტმულადაა დანაწევრებული. სარკმლის ორივე მხარეს თითო „ცრუ“ სარკმელია.

დას. ფასადის უმეტესი ნაწილი საფეხურით შეღრმავებულ არეს უჭირავს, რ-ის შუაში, მცირე სიღრმის, თაღოვან არეში, შესასვლელია ჩასმული (მსგავს არეშია ჩასმული ჩრდ. შესასვლელიც). შესასვლელის ასწვრივ, ფრონტონის ფარგლებში, აგურის წყობის ამოღრმავებით, ჯვარია გამოყვანილი.

კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით. მსგავსი ლავგარდნითაა დასრულებული საკურთხევლის შვერილიც, რ-საც დამოუკიდებელი, კონუსისებრი სახურავი ხურავს.

დარბაზი გადახურულია ორკალთა სახურავით, რ-ის დას. კიდეში სამრეკლოს ოთხკუთხა საფუძველია შემორჩენილი.

ეკლესიასთან ახლოს სამი საფლავის ქვაა, რ-თა შორის უძველესი 1884 წელსაა საფლავზე დადებული.

2007 წელს სოფელს ეკლ. გაურემონტებია. რემონტის დროს კედლების მომტვრეული ადგილების ნაწილი წყობით შეუვსიათ, ნაწილი კი ხელშეუხებლად დაუტოვებიათ. სარკმლის ღიობებში ჩაუსვამთ ხის, შემინული ალათები, შესასვლელებში კი – ხის, ორფრთიანი კარები. მოუწყვიათ ხის კანკელი და სახურავი მოთუთიავებული თუნუქით დაუბურავთ.

2016 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ნ. მინდორაშვილი): ეკლესიის შიგნით მოიხსნა გამურული ნალესობა და 2007 წელს თვითნებურად აღდგენილი ნაწილებიც, რ-ებიც ხელახლა, არსებულ წყობასთან შეხამებით, ამოშენდა. ეკლ. გადაიხურა თუნუქის ახ. სახურავით.

თ. დვალი.

102. ღვთისმშობლის ეკლესია, დგას შუა სოფელში. აგებულია XX ს-ის II ნახევარში, ადგილ. მოსახლეობის მიერ, ძვ., დანგრეული ეკლესიის ადგილზე.

ეკლ. გეგმით ოთხკუთხაა (6,3x5,3 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და ბეტონის ბლოკებით. შენობას აქვს ორი შესასვლელი (სამხრ-ით და დას-ით) და ერთი სარკმელი (აღმ-ით). გადახურულია ხის მორებზე დაწყობილი, ღარისებრი კრამიტით.

ბ. კუპრეიშვილი.

103. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1 *კმ*-ზე, ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. შემორჩენილია აფსიდის ჩრდ. ნაწილი და ჩრდ. კედლის მცირე მონაკვეთი (სიმ. – 1 *მ*). გეგმა მთლიანად არ იკითხება.

ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის სხვადასხვა ზომის ქვითა და კირის დუღაბით.


ბ. კუპრეიშვილი.



103. ხედი დას-იდან

კალობანი

104. კალობანის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ. თოხლიაურსა და მანავს შორის, ტყით დაბურულ მთაზე. განეკუთვნება სავარაუდოდ გვიან. შუა საუკუნეებს.



104. გეგმა

2013 წელს ეკლ. თვითნებურად, შემორჩენილი ნაწილების სრული უგულებელყოფით გაურემონტებიათ, რის გამოც ძეგლს ისტ. ღირებულება მთლიანად დაკარგული აქვს.



104. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლ. დარბაზულია (4,5x3,2 *მ*), უაფსიდო. ნაგებია ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. გარეთა კედლების წყობაში, აქა-იქ, შემთხვევითი ფორმის, სრულიად დაუმუშავებელი, მოზრდილი ქვებია ჩატანებული. წყობა ქაოსურია.

ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით და დას-ით კი – თითო სწორკუთხა სარკმელი. რემონტის დროს, აღმ. კედელში არსებული სარკმლის ნაცვლად, მრგვალი სარკმელი მოუწყვიათ, დას. სარკმელი კი დაუდევრად დაუდაბლებიათ.




104. ხედი ჩრდ.-დას-იდან

შენობა გადახურულია ხის ნივნივებზე დალაგებული, ღარისებრი კრამიტით.


თ. დვალი.

105. კალობანის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფ. თოხლიაურსა და მანავს შორის, ტყით შემოსილ მთაზე, ღვთისმშობლის ეკლესიის აღმ-ით, ორმოცდაათიოდე *მ*-ზე. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. აღდგენილია XIX საუკუნეში – 1825 წლის შემდეგ (რაც სამხრ. კედელში ჩატანებული საფლავის ქვის წარწერიდან ირკვევა. თარიღიანი, მეორე საფლავის ქვა დას. კედელშია ჩატანებული. მისი საფლავზე დადების თარიღი 1798 წელია). 1960-იან წლებში ადგილ. მოსახლეობას ეკლ.



105. გეგმა

თვითნებურად გაურემონტებია და შიფრით გადაუხურავს. 2013 წელს იგი კვლავ თვითნებურად, სპეციალისტებთან შეუთანხმებლად გაარამონტეს, იმდენად შეუსაბამოდ, რომ ეკლესიას ისტ.



105. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

ღირებულება თითქმის მთლიანად დაუკარგეს.


ეკლ. დარბაზულია (7,85x6,13 მ), შეიცავს ორ ძირითად სამშენ. ფენას. თავდაპირველი ფენა რიყის ქვით, ნატეხი ქვიშაქვითა და მოყვითალო ფერის დუღაბითაა ნაგები. განახლებული ნაწილები კი მთლიანად აგურისაა. ამ დროს, აგურითვე, კანკელი აუგიათ და ეკლ. შიგნიდან შეულესავთ.

შესასვლელი სამხრ. კედლის დას. მონაკვეთშია (გვიანდელია. თავდაპირველი შესასვლელიც ამ ადგილას ყოფილა). კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, რ-იც საფლავის ქვაშია გამოკვეთილი. კარის წირთხლები და შიგნითა თაღი აგურითაა გამოყვანილი. კარი, ორივე მხრიდან, ჩასმულია კედლის საფეხურით შეღრმავებულ არეში. მ. შ. გარეთას – თარაზული თავი აქვს, შიგნითა კი – თაღოვანია.

ეკლესიის დარბაზი თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 3,9 მ, სიგ. – 4,1 მ), აღმ-ით მას ერთვის ოდნავ ნალისებრი აფსიდი, რ-შიც განიერი, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც (ორივე სარკმელი გვიანდელია და აგურითაა ნაწყობი). აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა. საკურთხეველში დგას აგურით ნაშენი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. მეორე, ასეთივე ნაგებობა ჩრდ. ნიშის ჩამოსწვრივაა და, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა.

აფსიდის კედლის გარდა, შენობის ნაწილების ქრონოლოგია შესამჩნევია კონქის წყობაშიც. ჩანს, რომ კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვიანებითაა აღდგენილი – მისი თავდაპირველი თაღის ორივე, ოდნავ ნალისებრი მოხაზულობის ქუსლია შემორჩენილი. მსგავსი მოხაზულობა ჰქონდა კამარასაც.

გრძივ კედლებში, აფსიდის მხრებთან ახლოს, მოწყობილია თითო ოთხკუთხა ნიშა.



105. სამხრ. ფასადი

ეკლესიის კედლებში, გარედან, რამდენიმე საფლავის ქვაა ჩატანებული. აღმ., ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე, წყობიდან შვერილი აგურებით, გამოყვანილია ორ-ორი ტოლმკლავა, რელიეფური ჯვარი. აღმ. ფასადზე, ფრონტონის არეში, საკმაოდ განიერი, თითქმის თანაბარმკლავებიანი ჯვრის შეღრმავებული გამოსახულებაა, რ-იც საფეხურებიან პოსტამენტზე დგას. დას. ფრონტონზეც, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვარია. ოღონდ ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო მცირე ზომისაა და დაყრდნობილია დაბალ, მოგრძო პოსტამენტზე.

ეკლ. გადახურულია ფიცრის, ორკალთა სახურავით, რ-იც გარედან თუნუქითაა დაბურული.

ეკლესიის ეზოს რიყის ქვის გალავანი გარშემოუყვებოდა, რ-იც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, კვალი კი თითქმის მთელ პერიმეტრზე იკითხება. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი საფლავის ქვაა.

ეკლესიის ჩრდ-ით, 5-6 მ-ის მანძილზე, დარბაზული ეკლესიის (მიახლ. ზომები: სიგრ. – 8,3 მ, სიგ. – 6,1 მ) ნანგრევებია, რ-თა მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაშია ჩამჯდარი. შემორჩენილია: სამხრ. კედელი (აფსიდის შესაბამის გვერდთან ერთად – დაახლ. 1,5 მ სიმაღლეზე), რ-იც მოგვიანებით გალავანში ჩაურთავთ; აფსიდის ჩრდ. გვერდის ნაწილი (სიმ. – 1,2 მ), და დას. კედელი (თავდაპირველი დონიდან აღმ-ითაა გადმოწეული).



105. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, აფსიდიდან 1,5 *მ*-ზე, სარკმელია გაჭრილი (შემორჩენილია ორივე



105. აღმ. ფასადი. დეტალი

წირთხლი), რ-ის გარეთა ღიობი შირიმის ნათალი ქვებით ყოფილა გამოყვანილი. ამავე კედლის შუა ნაწილში, კედლის სისქეში არსებული სამლავის ნაშთია, დას. ნაწილში კი – კვადრ. (30x30 *სმ*) ნიშა.

თ. დვალი.

კოჭბაანი

(საკრებულოს ცენტრი)

106. კოჭბაანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 960 *მ*-ზე, საგარეჯოდან 65 *კმ*-ზე. 2014 წლის აღწერით სოფელში ცხოვრობს 132 კაცი.

ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული თქმულების მიხედვით, თამარ მეფეს ზაფხულში ლაშქრითურთ ივრის ხეობაში გამოუვლია. მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლისას მეფეს წყალი კოჭებამდე მისწვდენია. „მეფეს კოჭი დაებანაო“, – უთქვამთ და ადგილისათვის კოჭბაანი დაურქმევიათ.

სოფელში აღმოჩენილი არქეოლ. მასალა (ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართვ. მუზეუმში) მოწმობს, რომ აქ ადამიანი უკვე ბრინჯაოს ხანიდან სახლობდა.


კოჭბაანის მიდამოები, კერძოდ, იალნოს მთები, მოხსენიებულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ივანე კოტორაშვილის ამბავი“. მოთხრობის მიხედვით, ივანემ სწორედ იალნოს მთის ძირში, ციცაბო კლდის თავზე მდგომ კვირიკეს ეკლესიაში, კომბლით ამოხოცა დამალული ორმოცი ლეკი.

1976 წლიდან 1986 წლამდე აქ მოსახლე ფშაველების თაოსნობით, იმართებოდა სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“, ახალგაზრდობის თაოსნობით კი – „ფშავ-ხევსურული ლექსის ზეიმი“.

ლ. არჩემაშვილი.

107. ადგილის დედა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 800-900 *მ*-ზე, ნასოფლარ ბოტკოს ტერიტორიაზე. განკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (9,5x6,8 *მ*), სამხრ-იდან და დას-იდან მას




107. გეგმა

თითო მინაშენი ეკვრის. სამხრ. მინაშენი ეკლესიის თანადროულია და წყობით არის მასთან დაკავშირებული. დას. მინაშენი კი, გვიანდელია.

საშენი მასალა ორგვარია: სრულიად დაუმუშავებელი, ნატეხი ქვა და რიყის ქვა. ეკლესიის გარე პერანგისათვის უმთავრესად გამოყენებულია მოზრდილი ზომის, ნატეხი ქვები, რ-თა შორის დარჩენილი არეები შევსებულია წვრილი, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. იგივე მასალა, ოღონდ შედარებით უფრო მცირე ზომისა, შიგნითა კედლების ქვედა ნაწილების წყობაშიცაა გამოყენებული. კედლების ზედა ნაწილებში მათ რიყის ქვა და წვრილი, ნატეხი ქვა ენაცვლება. კედლების გული რიყის წვრილი ქვით, ნატეხი ქვის ნამტვრევებითა და კირის დუღაბითაა შედგენილი. მოგვიანებით აღდგენილი ნაწილებიც ნატეხი ქვისაა, რ-ებიც მოყვითალო ფერის დუღაბზეა ნაწყობი. ლავგარდანიც ამ დროისაა. იგი მთლიანად აგურისაა (22x22x4,5/5 *სმ*).

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის უმეტესი ნაწილი.თითქმის მთლიანადაა დანგრეული ჩრდ. კედელი. გარედან ჩამოშლილია სამხრ. კედლის საპირე წყობის ზედა ნაწილი.მთელ სიმაღლეზე გაბზარულია აღმ. კედელი. ინტერიერში ყრია კამარის ნანგრევები და ჩრდ. კედლიდან ჩამოშლილი ქვები. დანგრეულია ორივე მინაშენის გადახურვა და კედლების ნაწილი. ნანგრევებითაა დაფარული ეკლესიის ჩრდ. კედლის შემორჩენილი ნაწილი.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან და შიგნიდან თარაზულადაა გადახურული – გარედან მოზრდილი ქვით, შიგნიდან კი – ხის ძელებით



107. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

(შემორჩენილია კვალი). მოგვიანებით (დიდი ალბათობით, დას. მინაშენის მშენებლობისას), დას. კარის სამხრ. წირთხლზე კედელი მიუშენებიათ და იგი იმდენად დაუვიწროებიათ, რომ ადამიანი ძლივსღა გაეტევა.

დარბაზი თითქმის კვარდატულია (სიგრ. – 5,65 *მ*, სიგ. – 5 *მ*). აღმ-ით მას ერთვის ნახევარწრიული აფსიდი, რ-ის ღერძზე გაჭრილია, მაღალი, გარეთკენ დავიწროებული, თაღოვანი სარკმელი. მისი გარეთა ღიობი მთლიანადაა განახლებული: ღიობი ნატეხი აგურით ნაწყობი, შეისრული თაღით გადაუხურავთ და რამდენადმე დაუდაბლებიათ, რის გამოც სარკმლის რაფა შიგნითკენ ძლიერაა დახრილი. აფსიდის ჩრდ. კედელში ერთი მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი (მცირე ნაწილი აკლია) ნახევარწრიული ფორმისაა. მსგავსი ფორმისა იყო კამარაც, რ-ის სამხრ. გვერდის დიდი ნაწილია შემორჩენილი. დანარჩენი ნაწილის ანაბეჭდი კი, დას. კედელს ატყვია. კამარის აღმ. ნაწილში, კონქის თაღთან ახლოს, თიხის ჭურჭელია ჩადგმული. კამარა ეყრდნობოდა საბჯენ თაღს (შემორჩენილია სამხრ. გვერდის ნაწილი), რ-იც გადაჟანილი იყო გრძივი კედლების



107. ხედი ჩრდ.-დას-იდან



107. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

შუაში მოწყობილ მარტივ პილასტრებზე.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სარკმელი ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. სამხრ. სარკმელი გადახურულია შეისრული თაღით, რ-იც თხელი, ნატეხი ქვითაა ნაწყობი. სარკმლის გარეთა გადახურვა და გვერდების ზედა ნაწილი ჩამოშლილია. ჩრდ. სარკმლიდან მხოლოდ ძირიღაა შემორჩენილი.

სამხრ. მინაშენი ეკლესიაზე ბევრად უფრო მოკლეა. იგი უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-იც ეკლესიის აღმ. კედლის ხაზზეა (შიგნითა ზომები: სიგრ. – 3,55 *მ*, სიგ. – 2,41 *მ*). შესასვლელი (გარედან მიწითაა დაფარული) მინაშენს დას-იდან აქვს, კედლის ჩრდ. ბოლოში. კარი ორივე მხრიდან თარაზულადაა გადახურული. აღმ. კედლის შუაში შეისრულთაღოვანი სარკმელია, რ-ის წყობაში რიყისა და ნატეხ ქვასთან ერთად,

აგურიცაა გამოყენებული. გარედან სარკმლის თაღი ნახევარწრიულია. შიგნიდან, სარკმლის სამხრ-ით, პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. მინაშენი შიგნით გადახურული იყო დამრეცი კამარით, რ-ის ნაწილი ეკლესიის სამხრ. კედელზეა შემორჩენილი.

დას. მინაშენი ეკლესიის დას. ფასადს მთელ სიგრძეზე გაუყვება. შესასვლელი მას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან აქვს. ორივე კარი გარედან მოზრდილი ქვითაა გადახურული. შიგნიდან კი – ხის ძელით (შემორჩენილია კვალი). მინაშენი ეკლესიასთან დაკავშირებულია ვიწრო, ძლიერ შემაღლებული, შეისრული თაღით გადახურული გასასვლელით (სიგ. – 62 *სმ*-ია). შიგნით მინაშენს ერთიანი კამარა ეხურა, რ-იც აღმ-ით ეკლესიაზე მიშენებულ კედელზე იყო დაყრდნობილი, დას-ით კი – მინაშენის დას. კედელზე.

ეკლესიის განივი ფასადები მახვილი ფრონტონითაა დასრულებული, რაც ეკლესიის



107. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

თავისებურებას შეადგენს. აღმ. ფრონტონის წვერთან მოთავსებულ, მომრგვალებული ფორმის ქვაზე ამოკაწრულია „აყვავებული“, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულება, რ-ის ზედა და განივ მკლავებს ორკაპა ბოლოები აქვს. ორივე ფრონტონის წვერს ლავგარდანი აქვს შერჩენილი. იგი ხუთსაფეხურიანია და შედგენილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით. ლავგარდნის მცირე მონაკვეთი (ქვედა რიგის რამდენიმე აგური) სამხრ. კედელზეცაა შემორჩენილი.



107. აღმ. ფასადი. ფრონტონი

ეკლ. დაბურული ყოფილა კრამიტით. ინტერიერში აღმოჩნდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტი (სიგრ. – 36 *სმ*, ერთი გვერდის სიგ. – 22 *სმ*, მეორე გვერდისა – 26 *სმ*), რ-იც მხატვრულადაა გაფორმებული: ვიწრო, რელიეფური ზოლით გამოსახულია ერთიმეორეში ჩასმული, საერთო ცენტრის მქონე, სხვადასხვა რადიუსის ორი წრეხაზი, რ-ებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია იმავე სისქის, რადიალურად



107. კრამიტი

განლაგებული რვა ზოლით. მათგან ოთხი – შიგნითა წრის ფარგლებში იჭრება, თავს ცენტრში იყრის და ტოლმკლავიანი ჯვრის სახეს ქმნის. მათი შეყრის ადგილას კი კოპია გამოყვანილი. მსგავსი, ოღონდ გაცილებით მცირე ზომის, სამი კოპი ჯვრის ზედა მკლავის ბოლოსთანაცაა – წრეხაზის გარეთ. ჯვრის ქვედა მკლავს ორკაპა დაბოლოება აქვს, რ-იც წრეხაზის გარეთაა მოქცეული. თითოეულ მათგანზე კი, თითო ტოლმკლავა ჯვარი ჰკიდია. იგივე ელემენტებით გაფორმებული კრამიტის ნამტვრევები ინტერიერში მრავლად აღმოჩნდა.

ეკლესიას გარშემოუყვებოდა ნატეხი ქვით ნაშენი, მრუდხაზოვანი მოხაზულობის გალავანი, რ-ისგანაც სამხრ. და დას. კედლების ნანგრევებია შემორჩენილი (სიმ. 1 *მ*-მდეა).


თ. დგალო.

ბიბლ.: 269.

108. ეკლესია კვირია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ორასიოდე *მ*-ის დაშორებით, მთის ერთ-ერთი განშტოების კეხზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (ზომები გარედან: სიგრ. – 4,7 *მ*, სიგ. – 3,3 *მ*, კედლების სისქე – 0,85 *მ*), ნაშენია სხვადასხვა ზომის, სრულიად დაუმუშავებელი, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. ქვა ზომისა და ფორმის მიხედვით შერჩეული არ არის, დაწყობილია უსისტემოდ, რის გამოც წყობა ქაოსურია. დას. კედლის საპირე წყობაში ჩართულია რამდენიმე დიდი ზომის, ფეხზე დაყენებული და ფასადის მხარეს პირით მიქცეული ქვა. შიგნითა კედლების წყობაში შედარებით წვრილი ქვაა გამოყენებული. კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვებს შორის დარჩენილ არეებს ავსებს და წვრილი ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

შენობა ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი. დაწეულია შენობის სამხრ.-აღმ. კუთხე, რის გამოც აღმ. კედელი მთელ სიმაღლეზეა გახეთქილი. და-



108. გეგმა

ბზარულია დას. და სამხრ. კედლები. სამხრ. კედელს საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი აკლია. მთლიანადაა ჩამოშლილი ლავგარდანი.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი შეისრული თაღითაა გადახურული. თაღი გამოყვანილია მოგრძო, რადიალურად დაწყობილი, თხელი ქვებით. შიგნით ღიობი გადახურული ყოფილა ხის ძელით (შემორჩენილია კვალი).



108. ხედი სამხრ-იდან

აფსიდი ნახევარწრიულია და დარბაზის გრძივი კედლებიდან გამოყოფილია მოკლე მხრებით, რ-ებსაც კონქის თაღი ეყრდნობა. აფსიდში გაჭრილია ვიწრო, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი, რ-იც მოზრდილი ქვითაა გადახურული და ოდნავ დახრილი რაფა აქვს. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა, ქვემოთ კი, კედელზე მიშენებული, ოთხკუთხა ტრაპეზის ნაშთია შემორჩენილი.

შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. ინტერიერი შელესილი ყოფილა – შესასვლელის წირთხლებზე და თაღის მნიშვნელოვან ნაწილზე შემორჩენილია ნალესობის ნაშთი.

ფასადები დასრულებული იყო ნატეხი ქვებით გამოყვანილი, თაროსებრი ლავგარდნით. ამჟამად მისგან მხოლოდ ორი



108. ხედი სამხრ.-აღმ-იდან


ქვაა შემორჩენილი. ორივე ჩრდ. ფასადზეა, ერთმანეთის გვერდიგვერდ.

ეკლესიას ფიქლის სახურავი ჰქონია.

თ. დვალი.

109. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილ-



109. გეგმა

ია აღმ. კედელი (მთლიანად) და სამხრ-ისა და ჩრდ. კედლების ნაწილი. შემორჩენილი კედლები დეფორმირებულია; ჩამონგრეულია კამარა და კონქი. ეკლესიის ინტერიერი ნანგრევებითაა ამოვსებული.

გეგმით სწორკუთხა ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიულ აფსიდში ვიწრო, ოთხკუთხა, გარედან შიგნით გაფართოებული სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა, ხოლო ქვეშ, კედელზე, ნატეხი ქვით ნაგები ტრაპეზია მიდგმული.

ბ. კუპრეიშვილი.

110. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზედა სასაფლაოზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ძ. მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა, რ-ისგანაც შემორჩენილია აღმ. კედლის ჩრდ. ნახევარი (აფსიდის ჩრდ. გვერდის ნაწილი, კონქის წყობის ორ რიგთან ერთად) და




110. ხედი აღმ-იდან

ჩრდ.-აღმ. კუთხე (თითქმის მთელ სიმაღლეზე). დანარჩენი კედლები მიწასთანაა გასწორებული ისე, რომ გასუფთავების გარეშე მათი კვალიც კი არ ჩანს. აფსიდს სარკმლის ჩრდ. წირთხლი შემორჩა, რ-ის მიხედვითაც ირკვევა, რომ სარკმელი გარეთკენ ვიწროვდებოდა და შიგნიდან თარაზულად ყოფილა გადახურული. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით, 2013 წლის შუა ხანებამდე, ეკლესიის აღმ. კედლის სამხრ. ნახევარიც ყოფილა შემორჩენილი. თუმცა მას, იქვე ახლოს მდგარი, ხე დასცემია და მთლიანად დაუნგრევია.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები მოზრდილი ზომის, დაუმუშავებელი ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და რიყის ნატეხი ქვითაა ნაგები. აღმ. ფასადის წყობაში ქვიშაქვის ლოდია ჩაყოლებული, რ-იც ზედაპირით ფასადის მხარესაა მიქცეული. წყობა არაწესიერია, ტლანქი.

თ. დვალი.

111. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით. ექვსასიოდე *მ*-ის მოშორებით, ნასოფლარ ჭეხილას ტერიტორიაზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



111. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5,7x3,7 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. ქვა შეურჩევლად, ირეგულარულად არის დაწყობილი. კუთხეები, როგორც ეს სამხრ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეების შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, ამოყვანილი ყოფილა შირიმის ტლანქად დამუშავებული ქვებით. შირიმითაა გამოყვანილი საკურთხევლის სარკმლის გარეთა ღიობიც. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ნატეხი ქვაც. აღმ. ფასადის ზედა ნაწილში, ფრონტონის ძირის დონეზე, წყობაში, ჩატანებულია ქვიშაქვის სრულიად დაუმუშავებელი ლოდი (სიგრ. – 1,6 *მ*, სიმ. – 0,8 *მ*). კედლები გარედან მობათქაშებული ყოფილა.

შენობა ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა, დანგრეულია გრძივი კედლების მნიშვნელოვანი ნაწილები, გახეთქილია ჩრდ.-აღმ კუთხე და აღმ. კედელი. აღმ. და დას. კედლებს ზედა ნაწილები მონგრეული აქვს; გარედან სამხრ. კედელი, დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, ქვებითა და მიწითაა დაფარული, ინტერიერში დგას საკმაოდ დიდი ხე.

შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია წირთხლების ქვედა ნაწილი). აღმ-ით ნალესებრი აფსიდია, რ-იც დადაბლებული პროპორციების კონქითაა გადახურული. კონქს თაღისა და წყობის ცენტრ. ნაწილი ჩამოშლილი აქვს. თუმცა, თაღს ორივე ქუსლი შემორჩა, რ-თა მიხედვით ჩანს, რომ თაღი ნალისებრი ყოფილა. აფსიდში თაღოვანი სარკმელი და მცირე ზომის, ორი ოთხკუთხა ნიშაა, რ-ებიც სარკმლის ორივე მხარესაა განლაგებული. სარკმელი ორივე მხრიდან თაღოვანია და როგორც შიგნიდან გარეთ, ისე ზემოთკენ, ოდნავ ვიწროვდება. სარკმლის გარეთა თაღი შირიმის ერთ ქვაშია გამოკვეთილი. აფსიდი გრძივი კედლებიდან გამოყოფილია განიერი მხრებით. ისინი რიყის მოზრდილი ქვითაა ნაწყობი და დასრულებულია რიყის ქვისავე კაპიტელებით, რ-ებიც მხრების მიმართ ოდნავაა გამოშვერილი. შიგნით ეკლ. შელესილი



111. ხედი სამხრ.-დას-იდან

ყოფილა. აფსიდში, ნალესობის შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ზოგიერთზე, საღებავის კვალი შეიმჩნევა.

ეკლესიის სამხრ. ფასადის წინ ძლიერ მაღალი მიწაყრილია, რაც ადრე ამ ადგილას რაღაც ნაგებობის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს (შესაძლოა ეკლესიას ამ მხრიდან მინაშენი ეკვროდა). თუმცა, გასუფთავების გარეშე, მისი არსებობის შესახებ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ.

თ. დვალი.

112. პირიმზითის საყდარი, არქიტ. ძ.დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 1-1,5 *კმ*-ზე, ტყიანი მთის სამხრ. კალთაზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,45x3,35 *მ*), უაფსიდო. ნაგებია რიყის ქვი-



112. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

თა და ქვიშაქვის ნატეხი ქვით. წყობა ქაოსურია, ტლანქი. შენობის შიგნითა კედლები მთლიანად რიყის ქვითაა ამოყვანილი და შებათქაშებული ყოფილა, გარეთა კედლები კი, ძირითადად, ნატეხი ქვისაა, წყობაში, აქა-იქ, რიყის ქვაცაა ჩართული.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა, თითქმის მთლიანადაა დანგრეული სამხრ. კედელი, დანგრეულია ჩრდ. კედლის აღმ. ბოლო, ინტერიერის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვებით.

შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია დას. წირთხლი და მასზე დაყრდნობილი თაღის ორი ქვა). აღმ. კედლის ღერძზე ნატეხი ქვით გამოყვანილი, თარაზულად გადახურული, ვიწრო სარკმელია, რ-იც ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება. ჩრდ. კედლის შუაში მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.

შიგნით ეკლ. გადახურული იყო ნახევარცილინრდული ფორმის, ერთიანი კამარით, რ-ის ანაბეჭდი დას. კედელზეა შემორჩენილი.

თ. დვალი.

113. სამაროვანი, არქეოლ. ძ. განეკუთვნება VI-VII და XIV სს. ძ. 1965 წელს აღმოჩნდა შემთხვევით. დანგრეული სამარხების ერთ ჯგუფში დაფიქსირდა ბრინჯაოს და მინისთავებიანი ბრინჯაოს საკინძები, მეორე ჯგუფში – მინის სამაჯურები, მინის, ძვლის, ფაიანსის და ქალცედონის მძივები.

ბ. ჯორბენაძე.

ბიბლ.: 374.

114. ჭეხილას ციხის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 750-800 მ-ზე, ივრის მარჯვ. ნაპირზე, ნასოფლარ ჭეხილას მიდამოებში, მაღალიმთის ფერდობზე.


ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული თქმულების თანახმად, ციხეს ერთ ხანს იცავდნენ „ცხრა ძმა ჭახილანი“, რის გამოც სოფლის და ციხის სახელსაც მათ უკავშირებენ.

კომპლექსში შედის: კოშკი, დარბაზი, კარის ეკლ. და გალავანი. შენობები სხვადასხვა პერიოდისაა. ისინი ერთმანეთზეა მიშენებული, რ-თა ერთობლივი გეგმა სამხრ.-ჩრდ. მიმართულებითაა წაგრძელებული და ფორმით ტრაპეციას უახლოვდება.




114. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან


ნაგებობებიდან ყველაზე ადრინდელია კოშკი, რ-იც ხუროთმოძღვრული ნიშნების საფუძველზე, განვით. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. დარბაზი, ეკლ. და გალავანი კი მომდევნო ხანებში, სავარაუდოდ, XV-XVI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ქვედა შენობა რიყის ქვითა და კირის სქელი დუღაბით



114. გეგმა: 1 - დარბაზი, 2 - კარის ეკლესია, 3 - კოშკი, 4 - გალავანი



114. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან




114. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

არის ნაგები. ყველას გარეთა კუთხეები მომრგვალებული აქვს.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: კოშკში ჩამონგრეულია სართულშუა გადახურვა. შიგნით ქვები დაწითლებულია, რაც ხანძარზე მიუთითებს. განგრეულია სამხრ. კედლის ქვედა ნაწილი, კედლის ზედა ნაწილი მთელ სიმაღლეზეა გახეთქილი. ეკლესიას სახურავის საფარი და კედლების ზედა ნაწილები ჩამოშლილი აქვს.

კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ოთხსართულიანი კოში. იგი რამდენადმე სამხრიდან ჩრდ-ითაა წაგრძელებული და ზემოთკენ სწორხაზოვნად



114. დას. ფასადი

კი დაბზარულია. დანგრეულია დარბაზის სამხრ.-დას. კუთხე და კედლების დიდი ნაწილი, – 15 მ-მდეა). გალავნის სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთი, ჩრდ.-დას. კუთხე კი ვიწროვდება (გარეთა ზომები: სიგრ. – 9,3 *მ*, სიგ. – 6,9 *მ*, სიმ.

კოშკის პირველი სართულის კედლები ყრუა. სართულის სამხრ. კედელი დანგრეულია და მისი გადაწყვეტა არ ირკვევა. შესასვლელი მეორე სართულის ჩრდ. კედლის შუაშია (ამოშენებულია მოგვიანებით). ამ სართულზე აღმ. და დას. კედლები ყრუა, სამხრ. კედელში კი ორი სარკმელი ყოფილა გაჭრილი. ეს კედელი შუაში განგრეულია, რის გამოც სარკმლებიდან მხოლოდ განაპირა წირთხლებიღაა შემორჩენილი.

მესამე სართულის დას. და ჩრდ. კედლებში ორ-ორი სარკმელია, აღმ. კედლის სამხრ. ბოლოსთან კი – მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშა. მსგავსი ნიშა იყო მოწყობილი სამხრ. კედლის შუაშიც. კედელი ამ ადგილას განგრეულია და ნიშისგან



114. ეკლესია. დას. ფასადი. შესასვლელი

მხოლოდ გადახურვა და აღმ. გვერდის ნაწილია შემორჩენილი. კონსტრ. მდგრადობის გასაძლიერებლად, კედელში ჩატანებული ყოფილა ხის მორი (შემორჩენილია მრგვალი ღრუ, რ-იც კედელს მთელ სიგრძეზე გაუყვება).

მეოთხე სართულის ჩრდ. კედელში ორი სარკმელია, დას. და სამხრ. კედლებში კი – თითო-თითო. კოშკის ყველა სარკმელი მაღალია, განიერი და გარეთკენ საფეხურებად დაბლდება.

კოშკის მეხუთე სართულის კედლები 20-30 *სმ*-ის სიმაღლეზეღაა შემორჩენილი. სართულშუა გადახურვა გამართული ყოფილა ხის კოჭებზე, რ-ებიც ბოლოებით აღმ. და დას. კედლებს ეყრდნობოდა

(კედლების მთელ სიგრძეზე შემორჩენილია კოჭებისგან დატოვებული ღრმულები).



114. კოშკი. ინტერიერი. ხედი ჩრდ-კენ

დარბაზი გეგმით კვადრატს უახლოვდება (შიდა ზომები: 7,5x5,5 მ). იგი კოშკს სამხრ-იდან ისე ებჯინება, რომ კოშკთან საერთო კედელი აქვს. დარბაზის აღმ. კედელში, რ-იც დანარჩენ კედლებთან შედარებით უფრო მეტ სიმაღლეზეა შემორჩენილი, ოთხკუთხა, გარეთკენ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი. მის ქვემოთ კი, ერთი პატარა, ოთხკუთხა ნიშია. დარბაზს შესასვლელი დას. კედლის სამხრ. ნახევარში ჰქონია მოწყობილი. კედელი ამ ადგილას განგრეულია და კარის კვალი აღარ ჩანს. ამავე კედლის ჩრდ. ნაწილში, იქ, სადაც დარბაზის კედელი კოშკს ებჯინება, მეორე სართულის დონეზე, ერთი მცირე ზომის, ოთხკუთხა სარკმელია.

ეკლ. კოშკს ჩრდ-იდან ეკვრის. იგი მცირე ზომისაა (4,45x3,5 მ) და სწორხაზოვნად დაწყობილი, მოზრდილი ზომის, რიყის ქვითაა ნაგები. შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს – კედლის შუაში. კარი შიგნით ლოდითაა გადახურული (შუაზეა გახეთქილი), გარედან კი ოდნავ შეისრული თაღით, რ-საც ბოლოებთან ნალისებრი ფორმა აქვს.ეკლესიის დარბაზი მოკლეა, იმდენად, რომ მისი განივი ღერძი, დაახლ. 1 მ-ით, აღემატება გრძივ ღერძს. აღმ-ით აფსიდია, რ-იც გეგმით ოდნავ დეფორმირებული ნახევარწრის ფორმისაა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია მაღალი, შიგნიდან და გარედან შეისრული თაღით გადახურული, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი. სარკმლის გვერდებზე თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი შეისრული ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. იგი ჩრდ-ით კედელზეა დაყრდნობილი, სამხრ-ით კი – კოშკზე მიშენებულ, შეისრული ფორმის თაღზე, რ-ის აღმ. გვერდი აფსიდის მხარის ფუნქციას ასრულებს.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი სარკმელი დას. კედელშიცაა – შესასვლელის ასწვრივ. იგი შიგნიდან შეისრული თაღითაა გადახული, გარეთა გადახურვა კი, კედლის საპირე წყობასთან ერთად, ჩამოშლილი აქვს. თუმცა, ჩანს, რომ იგი გარედანაც თაღით ყოფილა დასრულებული.

გარედან, ეკლესიის ჩრდ. კედლის ბოლოში, იქ, სადაც კედლის მომრგვალება იწყება, ვიწრო, მაღალი, ოთხკუთხა ხვრელია, რ-ის დანიშნულების გარკვევა (მიუდგომლობის გამო) არ ხერხდება.

გალავანი ციხეს სამხრ-იდან და დას-იდან უვლის. გალავნის ჩრდ. კედელი ეკლესიის ჩრდ. კედლის გაგრძელებაზეა და მასთან წყობითაა დაკავშირებული. ეკლესიიდან ექვსიოდე მ-ის შემდეგ, გალავანი მართი კუთხით უხვევს სამხრ-ისკენ და დარბაზის ბოლომდე სწორხაზოვნად მიემართება. დარბაზის სამხრ.-დას. კუთხის პირდაპირ იგი აღმ-ით უხვევს და დარბაზის სამხრ.



114. კოშკი. სამხრ. ფასადი

კედლის პარალელურად გრძელდება, სადაც, დარბაზის სამხრ.-აღმ. კუთხესთან, გალავნის აღმ. კედელს მართი კუთხით ერთვის. ამრიგად, გალავანი კომპლექსის ნაგებობების წინ არსებულ, მცირე ფართობის მქონე ეზოს სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდიდან ფარგლავს, აღმ-იდან კი გალავნის დანიშნულებას თვით კომპლექსის ნაგებობების შესაბამისი კედლები ასრულებს.

შესასვლელი გალავნის სამხრ. კედლის შუაშია. ეს კედელი გამაგრებულია ორი ნახევარწრიული ბურჯით, რ-ებიც შესასვლელის ორივე მხარეს არის განლაგებული.

გალავნის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში, ეკლესიასთან, სარკმლისმაგვარი ღიობია. გალავანს, ისევე როგორც ციხის დანარჩენ ნაგებობებს, გარეთა კუთხეები მომრგვალებული აქვს.

თ. დგალი.

მანავის დასახლებამ და მისმა ციხე-სიმაგრემ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პერიოდში. სხვა ქართულ სამთავროებთან ურთიერთობისა თუ არაბებთან ბრძოლის დროს, ერთიანი ქართ. სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, ეს ფუნქცია მოიშალა, მაგრამ ფეოდ. დაშლილობისა და კახეთის სამეფოს დაარსების შემდეგ, როგორც სტრატეგიული პუნქტი, იგი კვლავ მნიშვნელოვანი გახდა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ლეკიანობის დროს.

1706 წელს იმამყული-ხანმა თავისი საზამთრო რეზიდენცია ყარაღაჯიდან მანავში გადმოიტანა. ვახუშტი ბატონიშვილი ამის მიზეზად ლეკიანობას თვლის.

1712 წელს მანავში იქორწინეს თეიმურაზ მეფემ და ვახტანგ VI-ის ასულმა თამარმა.

1715 წელს, როდესაც მანავში მყოფ დავით იმამყული-ხანთან მისი დის ელენეს დასანიშნად, ქართლის მეფის იესეს (ალიყული-ხანი) წარმოგზავნილი, დიდგვაროვანი მოხელეები იმყოფებოდნენ, „ჭარელნი მოვიდნენ რბევად“ და კახელებს, თავისი სტუმრებიანად, მათ მოსაგერიებლად მოუწიათ წასვლა.

1715 წელს აჯი ჩალაბთან ქართველების დამარცხების შემდეგ გულმოცემული ლეკები საქართვ. შემოესივნენ და, როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „მრავალი ალაგი წაახდინეს ... წაბრძანდა მეფე ერეკლე მათთან საბრძოლველად. დახვდნენ ლეკნი მანავის თავში, ძლიერებითა ღვთისათა გაემარჯვა მეფეს ერეკლეს და ამოწყვიტეს ლეკნი“. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის დასაწყისში მანავის მოსახლეობის ნაწილი ლეკიანობის გამო აყრილა კიდეც, მაგრამ ერეკლე II-ის მეფობის დროს ბევრნი კვლავ დაბრუნებულან.



115. სოფლის ერთ-ერთი უბანი. უკანა პლანზე ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, მანავი ძირითადად სამეფო-სახასო მამულად განიხილებოდა. სოფელსა და მის შემოგარენს მეფის მოურავები განაგებდნენ. ერეკლე II-ის დროს მოურავებად ჩერქეზიშვილები ყოფილან, რ-ებსაც, დროთა განმავლობაში, მანავის ყმა-მამულის ნაწილი მიუსაკუთრებიათ, რის გამოც სამეფო კართან გაუგებრობები წარმოქმნილა. მანავში ყმა-მამულს ავალიშვილებიც ფლობდნენ. ამას გარდა, მანავში ყმა-მამულს, სახნავ-სათესსა და ვენახ-

მანავი

(საკრებულოს ცენტრი)

115. მანავი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთის ძირას, საგარეჯოდან 15 კმ-ზე. სოფლის ხელსაყრელი გეოგრ. გარემო კარგ პირობებს ქმნიდა მეურნეობის მრავალი დარგის, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის. მანავში, ვახის „კახური მწვანის“ ჯიშიდან, საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა სასიამოვნო, სპეციფიკური გემოს და არომატის მქონე ღვინო „მანავის მწვანე“. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „ჰერეთის მთის ძირს არს მანავი, სადაც აღაშენა სასახლე იმამ-ყული ხან. მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსვრილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი“. ვარაუდობენ, რომ მანავზე გადიოდა ე. წ. „ცხვრის გზა“, რ-იც შვიდი დღის სავალი იყო და ამ გზით ცხვარი მთიულეთიდან შირაქში გადაჰყავდათ ზამთრის საძოვრებზე.

ებს ეკლესიაც ფლობდა. იყო საუფლისწულო მიწებიც. საომარი მოქმედებების წინ, მანავთან ხდებოდა, როგორც კახეთის, ასევე ქართლ-კახეთის ლაშქრის შეკრება. 1748 წლის ახლო ხანებში ერეკლეს „კახნი კაის ჯარით ზოგი საგარეჯოს და ზოგი მანავს“ შეუკრებია, ხოლო 1796 წელს აქ დაუბარებია მას ოთარ ამილახორი მთელი თავისი სასარდლოთი.

1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, მანაველებმა გაანადგურეს რუსთა საეგზეკუციო ჯარი, მაგრამ მარკიზმა ფილიპე პაულუჩიმ ხაშმის ბარბაროსულად დარბევის შემდეგ, უბრძოლველად დაიკავა პატარძეული, საგარეჯო, მანავი და კაკაბეთი.

1812 წლის 26 ნოემბერს მანავთან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა რუსებსა და ქართველებს შორის, რ-ებსაც ალექსანდრე ბატონიშვილი მეთაურობდა. ქართველებს ლეკებიც უნდა მიხმარებოდნენ. სოფელთან „იქნა ბრძოლა ძლიერი, სადაცა იძლივნენ ქართველ-ლეკნი“.


ქართველთა დამარცხების მიზეზად თეიმურაზ ბატონიშვილი თავის ნაშრომ „ახალ ისტორიაში“ კარის წინამძღვრის ელეფთერ ზუკაკიშვილის, გიორგი მეფის ეშიკაღასბაშ ალექსანდრე მაყაშვილის და ლეკთა რაზმის დალატს ასახელებს. აჯანყებაში მონაწილეობის გამო მრავალი გააციმბირეს. რეპრესირებულთა შორის იყო მანავის მოურავი ივანე ჩერქეზიშვილი. ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობის“ მიხედვით, მუხრანბატონის შვილიშვილს ერმიას თუში მეცხვარეების ხმალი მოსწონებია. თუშებს ხმალი არ დაუთმიათ. განაწყენებულ ერმიას მათთვის აჯანყებაში მონაწილეობა დაუბრალებია. ამ ცრუ ბრალდების გამო, დიმიტრი ორბელიანს თუში მეცხვარეები შეუპყრია და დაუწვავს.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი 1772 წელს კახეთში მოგზაურობის დროს აღნიშნავს: „23 თებერვალს დილით გავედით საგარეჯოდან და 5/4 საათში გავიარეთ 5 საჟენის სიგანის მდინარე, რომელიც მიედინება სოფ. მანავის 1 ვერსით ზემოთ. ეს სოფელი თითქმის მთლიანად განადგურებულია; გადარჩენილ მოსახლეთაგან მცირე ნაწილმა შეაფარა თავი ოდნავ ჩრდილოეთით ვიწრო გალავანს ციცაბო მაღლობზე. ეს არის ყველაზე განაპირა ადგილი თვალ (?) საგარეჯოს მხარისა, რომელიც გადაჭიმულია პირველი მთისწინეთის სამხრეთ კალთების გასწვრივ, ტბილისიდან ამ ადგილამდე“. 1825-26 წლებში საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ედუარდ აიხვალდმა. იგი, მანავს ახლომახლო ქართულ სოფლებს შორის, ყველაზე დიდად მიიჩნევს.

ქ. კახაძე.


ბიბლ.: 75; 104; 129; 176; 266დ; 314გ; 322გ,დ.

116. დედა ღვთისმშობელი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 1,5 კმ-ზე, წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს (აღმ-ით), 25-30 მ-ზე.



116. გეგმა

ეკლ. გეგმით ტრაპეციის ფორმისაა – დას. ნაწილი ვიწროა, აღმ-ისა კი შედარებით განიერი (3,1x2,3 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: კედლები მიწის დონიდან 1,3 მ-ზეა




116. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

შემორჩენილი. შესასვლელი დას-იდან აქვს. შიგნით კუთხეები მომრგვალებულია. იატაკი კი – ჩაღრმავებული. აღმ. კედელს, მთელ სიგრძეზე, საფეხური გასდევს.

ეკლ. შიფრის ორკალთა სახურავითაა გადახურული.

ა. თოფურია, ბ. კუპრეიშვილი.

117. დედა ღვთისმშობელი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ნასოფლარ თარაქის ტერიტორიაზე. განკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.




117. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (6,7x4,6 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ქვიშაქვით. წყობაში, აქა-იქ, გამოყენებულია შემთხვევითი ფორმის, სრულიად დაუმუშავებელი ლოდები. ქვები ზომისა და ფორმის მიხედვით არ შეურჩევიათ, რის გამოც წყობა ირეგულარულია.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა. სამხრ. და ჩრდ. კედლები 1-1,5 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. თითქმის მთლიანადაა დანგრეული დას. კედლის ჩრდ.

ნახევარი. ეკლესიის შიგნით და კედლებზე ამოსულია ხეები.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი, ჩვეულებისამებრ, კედლის ღერძზე კი არ არის გაჭრილი, არამედ ჩრდ-ით, კედლის ბოლოსთან, რაც ეკლესიას ერთგვარ თავისებურებას ანიჭებს.



117. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, აგურით ნაწყობი, დადაბლებული პროპორციების მქონე, შიგნიდან და გარედან შეისრული თაღით გადახურული სარკმელია, რ-იც გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება. სარკმლის ორივე მხარეს,




117. ხედი აღმ-იდან

აფსიდის ბოლოებთან ახლოს, თითო ნიშაა მოწყობილი, რ-თა გადახურვა ერთმანეთზე მიყრდნობილი, ორი თხელი ქვითაა გამოყვანილი. მსგავსი ნიშაა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში. იგი სიმაღლით 1 მ-დეა და იატაკის დონიდან იწყება.

თ. დგალი.


118. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ოთხიოდე კმ-ის მანძილზე, ნასოფლარ თარაქის სამხრ.-აღმ. განაპირას, სწორ ადგილზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,5x4,7 მ), ნაგებია მოზრდილი ზომის



118. გეგმა

რიყის ქვითა და ქვიშაქვის ნატეხი ქვით. ქვების დიდი ნაწილი შემთხვევითი ფორმისაა,



118. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ნაწილი კი ოდნავაა დამუშავებული. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმიც. საკუთრივ წყობა არაწესიერია, ტლანქი. ეკლ. შიგნით შელესილი ყოფილა.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: შენობას გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები დანგრეული აქვს. შემორჩენილი კედლებიდან ყველაზე დიდ სიმაღლეზე ჩრდ. კედელი დგას (მაქს. სიმ. 2,4 მ-ია). შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია დას. წირთხლის ნაწილი).

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია განიერი, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი (შემორჩენილია ძირი). აფსიდის ორივე გვერდში გეგმით ნალისებრი, თითო მაღალი, თაღოვანი ნიშაა, რ-ებიც იატაკის დონიდან იწყება. ნიშების თაღები შირიმის, სოლისებრი ქვებითაა გამოყვანილი. თაღების გარდა,



118. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

შირიმი ნიშების გვერდების წყობაშიცაა გამოყენებული. ორივე ნიშის გვერდით თითო პატარა, სწორკუთხა ნიშაცაა. დარბაზის გრძივი კედლები პილასტრების გარეშეა.



118. ხედი სამხრ.-დას-იდან

გარედან ეკლესიის შემორჩენილი კედლები სადაა. ქვებს შორის დარჩენილი არეები დუღაბითაა ამოვსებული. სამხრ. ფასადის წყობაში ჩატანებულია შირიმის საკმაოდ დიდი, სრულიად დაუმუშავებელი ქვა.

თ. დვალი.

119. ვედრებისის წმ. გიორგის ეკლესია, ვ ე დ რ ე ბ ე ლ ა, არქიტ. ძ. დგას ნასოფლარ თარაქის ზემოთ 1,5-2 *კმ*-ზე, მანავის ცივის მაღალი მთის, ტყით დაფარული ერთ-ერთი ფერდის, გავაკებულ წვერზე.


სახელი „ვედრებელა“ ფშაველების შერქმეული უნდა იყოს, რ-ებიც წელიწადში ერთხელ, გარე კახეთიდან ცივის მთაზე საქონლის გადარეკვის დროს, ამ ეკლესიას მსხვერპლს სწირავდნენ (ლ. მელიქსეთ-ბეგი).

ეკლ. ნაგებია კვადრ. აგურით (22x22x5 *სმ*) და კირის სქელი ხსნარით. ფასადებზე საძირკველთან გამოყენებულია რიყის დიდი ზომის ქვა, ლავგარდნებისათვის კი – შირიმი და ქვიშაქვის თლილი კვადრები.

ეკლ. გეგმით (7,3x6,8 *მ*) ჯვრის ფორმის ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა, რ-ის აღმ. და დას. მკლავები აფსიდებიანია, ჩრდ-ისა და სამხრ-ისა – სწორკუთხა.




119. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან




119. გეგმა

აღმ-ით, საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში, ერთი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. დანარჩენ სამ მკლავში შესასვლელებია მოწყობილი. ქვედა შესასვლელი სწორკუთხა ყოფილა და ხის ბრტყელი ზღუდარი ჰქონია (ამჟამად სამივე კარის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია). სამხრ. და ჩრდ. მკლავებში შესასვლელები თავზე, ოდნავ შეისრულთაღოვანი სარკმლებია გაჭრილი. ჩრდ. და სამხრ. მკლავის თაღები სიბრტყიდან ნახევარი აგურის სიგანის შვერილებს ემყარება. გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეები ვიწრო მხრებითაა აქცენტირებული, რ-ებიც ქვემოთ



119. ჭრილი. ხედი აღმ-კენ



119. დას. ფასადი



119. ხედი სამხრ.-დას-იდან

სწორკუთხედებზეა დამყარებული. ჯვრის მკლავებში, 2 მ-ის სიმაღლეზე, მრგვალი ხვრელობებია დატანებული. კუთხეებთან, დას. მკლავის შუა არეში, დამატებით, კიდევ თითო ხვრელობია დატანებული. იატაკი ამჟამად მიწისაა, ოღროჩოღრო.

გარედან ეკლ. რვაწახნაგაა. დიაგონალზე მდებარე წახნაგები უფრო დაბალია და ყოველ მათგანში გეგმით ნახევარწრიული, კონქიანი ნიშებია განთავსებული (ზედა ნაწილები ჩამოშლილია). ნიშები ასრულებენ, როგორც კონსტრუქციულ, ისე მხატვრულ ფუნქციას – კედლები შემსუბუქებულია, ფასადებზე კი მკაფიო, რიტმული მახვილებია დასმული. მათი წყალობით სიბრტყეთა ცხოველხატული მოძრაობა იქმნება.

აღმ. ფასადზე კედლის სიბრტყე ოდნავ ჩაღრმავებულია და ზემოთ დასრულებულია შეისრული, ვიწრო თაღით. საკურთხევლის სარკმლის ზემოთ სიბრტყეში ჩაღრმავებული, განიერი ჯვარია გამოსახული, რ-საც სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი აქვს. ასეთივე ჯვარია გამოსახული დას. ფასადზეც. ჩრდ-ისა და სამხრ-ის ფასადებზე, შეღრმავებაში, სარკმლების ზედა ნაწილია ჩასმული.



119. ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

ყოველი მკლავი გადახურული იყო ორქანობიანი სახურავით, რ-ის ქვეშ განთავსებული ყოფილა შირიმის ლავგარდანი – წრეთარგისა და ლილვის მქონე პროფილით (შემორჩა საკურთხევლის სამხრ. მხარეს).



119. ინტერიერი. ხედი გუმბათზე

გუმბათის ყელი რვაწახნაგაა. მასზე შავი ქვის ფილებით ამოყვანილია რვაწახნაგა სახურავი. ლავგარდნის ქვეშ, ლეკალური აგურით გამოყვანილი თაღების მწკრივია. ყოველ წახნაგზე ორ-ორი თაღია. მათი „საყრდენი“ შვეული ლილვებიც ლეკალური აგურისაა. აგური მხოლოდ წიბოებზეა აყოლებული, წახნაგების შუაში კი აგური „დაკიდულია“.

ფასადებზე ორი ტონალობის აგურია გამოყენებული – ღია ვარდისფერი და მოყავისფრო. ამას ემატება მოყვითალო შირიმის ლავგარდანი და მოთეთრო – რუხი დუღაბი, რ-ის სქელი ფენები, უაღრესად თვალსაჩინოა აგურის რიგებს შორის.

ნ. ანდღულაძე.

ბიბლ.: 33; 105; 219.

120. ზეიანის გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 5 კმ-ზე, ზეიანად წოდებულ ადგილში.

1982 წელს კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური), სამაროვანზე გათხარა სამი გორასამარხი. ერთ-ერთი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებს განეკუთვნება, მეორე – IV ათასწლეულის II ნახევარს, ხოლო მესამე – I ათასწლეულის I ნახევარს.

ზეიანში სარწყავი სისტემის მშენებლობის დროს გორასამარხები დაზიანდა. ყველაზე დიდი მიწაყრილის მქონე ერთ-

ერთ გორასამარხს (მიწაყრილის დიამ. – 55-60 *მ*; სიმ. ცენტრ. ნაწილში – 6 *მ*) მიწაყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, დასაკრძალავი ორმოს თავზე, რიყის ქვის ზვინული ჰქონდა, შუაში ძაბრისებრი ჩაღრმავებით (ქვაყრილის დიამ. – 25 *მ*, სიმ. ცენტრში – 2 *მ*). სამარხი ადრევე გაუძარცვავთ, რასაც მოწმობს ქვაყრილის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ძვ. ჰუმუსის დონეზე არსებული ღიობი და მის გასწვრივ სამარხი ორმოს ჩანგრეული კედელი. დასაკრძალავ დარბაზზე წრიულად დაზვინული ქვის ირგვლივ, მისგან 1 *მ*-ზე, დასაკრძალავი ორმოს ყველა კედელთან, ძვ. ჰუმუსის დონეზე აღმოჩნდა ნახანძრალი ბუდეები, რაც იმას მიანიშნებს, რომ დასაკრძალავი ორმოს გაწმენდის მიზნით, მის ყველა კედელთან კოცონი დაუნთიათ. ქვაყრილს, 1,5-2 *მ*-ის დაშორებით, ირგვლივ, ჰორიზონტალურად დაწყობილი, შეწვილებული მორების წრე შეუმოუყვებოდა (სიმ. – 1 *მ*), ხოლო მორების წრეს, 2 *მ*-ის დაშორებით, გარს უვლიდა რიყის ქვის ყორე (სიგ. – 4-5 *მ*, სიმ. – 2 *მ*).

ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმისკენ დამხრობილი დასაკრძალავი ორმო (12x9 *მ*, სიღრმე – 5 *მ*) ხის მორებით იყო გადახურული. კრემაციაქმნილი მიცვალებულის ფერფლი ურმით შეუსვენებიათ. სავარაუდოდ, სამარხის ძირზე შემორჩენილი ოთხი ორმო ურმის ბორბლების ჩასადგმელი იყო. ურემზევე ეწყო თიხის ჭურჭელი და სხვა ინვენტარი.

დასაკრძალავი დარბაზის სამხრ. კუთხესთან, გვერდზე მწოლიარე, ორი ჩონჩხი აღმოჩნდა, ძლიერ მოხრილი კიდურებით. ერთი – მარჯვ. გვერდზე ესვენა, მეორე – მარცხენაზე. მათი ხელის მტევნები ერთმანეთს ეხებოდა (შეწირული ადამიანები?).

სამარხში აღმოჩნდა სილანარევი და ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, კარგად გამომწვარი, შავზედაპირიანი, ნაპრიალები ჭურჭელი (დერგი, ჯამი, ფიალა). ჭურჭელი შემკულია განიერი, რელიეფური სარტყლით, ამოკაწრული სამკუთხა ორნამენტით. ერთ-ერთ ჭურჭელს, მუცელზე, კოპები ჰქონდა დაძერწილი. ჭურჭლის გარდა, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბიკონუსური ფორმის ორი მძივი და პირამიდულთავიანი ისრისპირი. აგრეთვე ნიჟარის ფუძის ბრტყელი საკიდი.

სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებით არის დათარიღებული.

მეორე გორასამარხი (დიამ. 30 *კმ*) მიწაყრილიანია, რ-ის ცენტრშიც რიყის ქვის ზვინულია. დასაკრძალავი კამერა ქვის ყრილის სამხრ. ნაწილის ქვეშ მდებარეობდა. მის გაგრძელებაზე, სამხრ.-აღმ. ნაწილში, ქვის ფილებით გადახურული დრომოსი იყო (სიგრ. – 3,4 *მ*, სიგ. – 0,9 *მ*). კამერის დას. ნაწილში, შემაღლებულ ადგილზე, პირდაპირ ქვიან გრუნტზე დასვენებული ექვსი ადამიანის დამწვარი ძვლები აღმოჩნდა. კამერის მთელ იატაკზე ნახშირის საკმაოდ მძლავრი ფენა დაფიქსირდა. კამერის აღმ. ნაწილში სპეციალურად დადაბლებულ, მოსწორებულ, ტყავითა და ჭილოფით მოგებულ გრუნტზე ორი კიდურებმოხრილი მიცვალებული ესვენა. ერთი – მარცხ. გვერდზე, მეორე – მარჯვენაზე, თავით სამხრდას-ისკენ. მიცვალებულებს ზემოდანაც ჭილოფი და ტყავი ეფარათ. დრომოსში საგანგებოდ ჩაწყობილი 7 ადამიანის თავის ქალა, მენჯისა და კიდურების ძვლები დადასტურდა (შეწირულები?).

მონაპოვარი თიხის ჭურჭლის მიხედვით, სამარხი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლია.

მესამე ქვამიწაყრილიანი გორასამარხი გაძარცული აღმოჩნდა. დასაკრძალავი დარბაზის კედელი რკინის სალტეებით და ლურსმნებით გადაბმული, ხის ფიცრებით იყო მოპირკეთებული. კამერის ფსკერზე, დას. კედელთან, მამაკაცის ქვის ქანდაკება იდგა (სიმ. 2 *მ*).

მ. კინწურაშვილი.

ბიბლ.: 33; 105; 219.


121. „თათრეგის ციხე“, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას გორხანის უბნის ზემოთ, მთის ფერდობზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (3,9x2,5 *მ*), უაფსიდო. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, დანგრეულია სამხრ. კედლის შუა ნაწილი.

შენობას შესასვლელი სამხრიდან ჰქონია. შიგნით ოთხივე კუთხე მომრგვალებულია. აღმით საკურთხეველია, რ-იც გრძივი კედლებიდან გამოყოფილი არ არის. აღმ. და დას. კედლების ზედა ნაწილში, თითო, უწვეულოდ დაბალი, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ბ. კუპრეიშვილი.

122. თელეთი, მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდით, ნასოფლარ თარაქის მიდამოებში, დაახლ. 1 *კმ*-ზე. ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.




122. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5,1x3,8 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვით. წყობა ირეგულარულია. კუთხეები ამოყვანილ-

ია მოზრდილი ზომის, არცთუ ისე სუფთად ნათალი, მოგრძო ქვიშაქვის ქვებით, რ-თა დიდი ნაწილი სიგრძით 1 მ-ს აღემატება. კარ-სარკმლები გამოყვანილია აგურით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი შეისრული თაღითაა



122. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

(სამხრ. გვერდის ზედა ნაწილი აკლია) გადახურული. თაღი გარედან ჩასმულია ოდნავ შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეში, რ-საც ხერხულა ფრიზი აგვირ-



122. დას. ფასადი

გვინებს. შიგნიდან კარი სწორკუთხაა და იატაკის მიმართ ორმოციოდე *სმ*-ით მაღლაა გაჭრილი.

ეკლესიის დარბაზი იმდენად მოკლეა (სიგრ. 2 მ-მდეა, სიგ. – 3, 5*მ*), რომ მისი განივი ღერძი დაახლ. 1 მ-ით აღემატება გრძივ ღერძს.

აღმ-ით ღრმა აფსიდია, რ-ის სამხრ. გვერდი ოდნავ ნალისებრი მოხაზულობისაა, ჩრდ-ისა კი – ნახევარწრიულია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ შევიწროებული, შეისრულთაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს, სარკმლის ძირის დონეზე, თითო კვადრ. ნიშაა. სარკმლის ქვემოთ დგას ერთიან, ქვიშაქვის მოზრდილ ქვაში გამოკვეთილი ტრაპეზი. აფსიდი დადაბლებული პროპორციების კონქითაა გადახურული. კონქის თაღი შეისრულია, ქუსლებთან



122. ხედი სამხრ.-დას-იდან

კი ოდნავ ნალისებრ ფორმას იძენს. შეისრულია კამარაც. იგი პირდაპირ კედლებს ეყრდნობა. ერთი შეისრულთაღოვანი სარკმელი დარბაზის დას. კედელშია. ინტერიერი შელესილია.

ეკლესიის ფასადები მოურთველია. დას. ფასადის წყობაში ჩატანებულია ქვიშაქვის სამი მოგრძო ქვა. მათგან ორი შესასვლელის სამხრ-ითაა, ერთი ჩრდ-ით. კედლები დასრულებული ყოფილა ქვიშაქვისავე მოგრძო ქვებით ნაწყობი ლავგარდნით, რ-ის რამდენიმე ქვა სამხრ. ფასადს შემორჩა.

ეკლ. დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით (დიდი ნაწილი ჩამოშლილია).

თ. დვალი.

კალობნის ღვთისმშობლის ეკლესია, ცალკე მდგომი ძ. იხ. სოფლების რიგში.

კალობნის წმ. გიორგის ეკლესია, ცალკე მდგომი ძ. იხ. სოფლების რიგში.

123. ნათლისმცემელი, ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კედლები მიწის პირამდეა დანგრეული. შემორჩენილია მხოლოდ სამხრ.-დას. კუთხის ნაშთი. გეგმა არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.

124. ნათლისმცემელი, ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. დანგრეულია. შემორჩენილია ჩრდ.-დას. კუთხე (სიმ. – 1,5 *მ*) და აფსიდის ფრაგმენტები.


ბ. კუპრეიშვილი.

125. ნათლისმცემელი, ნაეკლესიარი, არქეოლ., არქიტ. ძ. მდებარეობს ტურის უბანში, თბილისი-გურჯაანის გზატკეცილის პირას, მარჯვ. მხარეს.შემორჩენილი იყო აღმ.-დას-ის ღერძზე განლაგებული ორი ნაგებობის ნაშთი. მ.შ. დას-ით მდებარე ნაგებობიდან, მიწის ზემოთ, მხოლოდ ჩრდ. კედლის მცირე ნაწილი იყო შემორჩენილი (სიმ. დაახლ. – 2 *მ*), აღმ-ით მდებარე კი მიწის პირამდე იყო დანგრეული და კედლების კვალი მხოლოდ აქა-იქღა მოჩანდა.

ადგილ. მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით, აღმ-ით მდებარე შენობის ადგილზე გადაწყდა ახ. ეკლესიის აშენება, რის გამოც, ეკლესიის შემორჩენილი ნაშთების გამოვლენის მიზნით, 2011 წელს ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები (დამფინანსებელი – ბიზნესმენი თეიმურაზ ჩიხლაძე, სამუშაოებს უძღვებოდა არქეოლოგი გელა გიუნაშვილი).


გათხრების შედეგად ეკლესიის ნაშთი არ აღმოჩნდა. გა-

მოვლინდა მოზრდილი შენობის მცირე ნაწილი, რ-ის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (გარეთა ზომები: აღმ.-დას-ის ღერძზე – 11 *მ*, სამხრ.-ჩრდ-ის ღერძზე, დაახლ. – 12 *მ*) სამი ოთახია ჩაწერილი. ოთახები ერთმანეთისგან გამიჯნულია კაპიტ.



125. გეგმა

კედლით და თითო კარით უკავშირდება ერთმანეთს (შემორჩენილი კედლების სიმ. – 90-100



125. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

სმ, სისქე – 90 *სმ*). ოთახებიდან ორი შენობის ჩრდ. ნახევარშია მოქცეული, ხოლო მესამე – სამხრ. ნახევარში (ამ ოთახის სამხრ. კედლის მდებარეობა ნაგებობის ამ ნაწილის გაუთხრელობის გამო, დაუდგენელია). ჩრდ-ით მდებარე ოთახები თითქმის თანაბარი ფართობისაა (ფართობი დაახლ. 16 *კვმ*-ია). ორივე ოთახში თითო ბუხარია. დას-ით მდებარე ოთახში ბუხარი ჩრდ. კედლის სისქეშია მოწყობილი, აღმ-ით მდებარე ოთახში კი – კედელზეა მიდგმული. ბუხარი მესამე, სამხრ-ით მდებარე ოთახშიცაა – აღმ. კედლის შუაში.

შენობის ჩრდ. ნახევრის ჩრდ. კედლის შემორჩენილი ნაშთის (სიგრ. 50 *სმ*-ია) მიხედვით ჩანს, რომ კედელი აღმ-ითაც გრძელდებოდა, რ-იც მოგვიანებით მოუნგრევიათ.


შენობის დას. ნაწილიდან (გაუთხრელია) მხოლოდ ორი ოთახის კედლის ნაშთები იკითხება. მათგან დას-ით მდებარე (ფართ. 25 *კვმ*-ია) ოთახის ჩრდ. კედლის შუაში ბუხარია, დას. კედლის შუაში კი (კედელი ამ ადგილას დანგრეულია), სავარაუდოდ, კარი იყო მოწყობილი. აღმ-ით მდებარე ოთახიდან მხოლოდ ჩრდ. კედლის მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი.

საშენ მასალად თანაბარი ზომის, რიყის ქვაა გამოყენებული, რ-იც დაწყობილია წესიერ, თარაზულად გამავალ რიგებად. ბუხრები მთლიანად აგურით ყოფილა გამოყვანილი. აგურის ნატეხები, ალაგ-ალაგ, კედლების წყობაშიცაა ჩატანებული. კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის (ფაიანსის და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, ვერცხლის ჯვარი, რკინის ლურსმნები და სხვ.) საფუძველზე, შენობა, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებით დათარიღდა.

ნაგებობის დას-ით, ორმოციოდე *მ*-ის მანძილზე, შემორჩენილია აღმ.-დას-ის მიმართულებით ორიენტირებული, რიყის ქვითა და აგურით ნაგები შენობის ნანგრევი (ჩრდ-დას. კუთხე და ჩრდ. კედლის ნაწილი), რ-იც შესაძლებელია ეკლესიის ნაშთიც კი იყოს (ამ ადგილას მოსახლეობას ორი პატარა ნიში აუგია. ხანდაზმულთა გადმოცემით, სოფლის ამ ნაწილში ადრე ორი ეკლ. მდგარა – ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობისა – და კიდევ რამდენიმე ნაგებობა, რ-ებიც XX ს-ის შუა ხანებში დაუნგრევიათ). იქვე ახლოს, დას-ით, ერთ-ერთი მოსახლის ეზოს შემომზღუდავ კედელში, ჩართულია დაახლ. 2 *მ* სიმაღლის, რიყის ქვით ნაშენი კედლის (მეორე ეკლესიის კედლის?) ნაწილი.

თ. დვალი.



125. აღმ. ოთახი. ბუხარი

126. ნიში, საკულტო ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მანავის ციხის გზაზე. წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა, ორფერდასახურავიან ნაგებობას. გალესილია და შეთეთრებული. დას. მხარეს მოწყობილი აქვს სასანთლე ნიშა. ნაგებობას მავთულის ღობე აქვს შემოვლებული.

ბ. კუპრეიშვილი.

127. ჟალის ციხე, თამარის ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, თოხლიაურისხევის სათავეებთან, მანავის ცივის სამხრ. კალთის ერთ-



127. კოშკი. ხედი სამხ-იდან

ერთ განშტოებაზე, სოფლიდან (ბურდიანის გავლით) დაახლ. 10 კმ-ზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



127. კოშკი. ხედი ჩრდ-იდან

ციხის სახელწოდებას ლეგენდა თამარ მეფეს უკავშირებს. თითქოს ციხე მეფე – ქალს აუშენებია და ამიტომ ჰქვია მას ქალის ციხე. სხვა ვერსიის მიხედვით კი, როდესაც მამაკაცები საომრად იყვნენ წასულნი, ციხეს ქალები იცავდნენ და სახელიც აქედან მომდინარეობს.



127. ეკლესია. ხედი სამხ.-აღმ-იდან

ქართლის ცხოვრების მიხედვით, XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რ-ებიც მონღოლებს მიემხრნენ, კახეთის ცივზე მიიწვია და ამოწყვიტა: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალე გიორგი მეფემანცა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა. მერმე მოიყვანნა ყოველნი ამის ქუყანის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყვიდნა მუნ ურჩნი თვისისა მეფობისანი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერისთავნი თვისნი მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი“.

არსებობს ვარაუდი, რომ გიორგი ბრწყინვალემ მოღალატე ერისთავები სწორედ ქალის ციხეში დასაჯა სიკვდილით.

ციხე განლაგებულია ორი ღრმა ხევის შესაყართან, მაღალ, ციცაბოფერდებიან მთაზე ისე, რომ ხევების მხრიდან იგი სრულიად მიუდგომელია. ერთადერთი მისადგომი ბილიკი ჩრდ-იდან, მანავის ცივის მხრიდანაა. აქედან კი ციხემდე 1,5-1,7 კმ იქნება. ადგილის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, ციხის გეგმა არაწესიერი მოხაზულობისაა (ფართ. დაახლ. 5000 კვმ-ია, კედლის სისქე – 1-1,5 მ) და მთის გასწვრივ, რამდენადმე ჩრდ-იდან სამხრ-კენაა წაგრძელებული. ციხის სამხრ. ბოლოში, ყველაზე დაბალ ადგილზე, გეგმით ნახევარწრიული, მძლავრი, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული კოშკია (შემორჩენილია ოთხსართულნახევრის სიმაღლეზე), რ-იც გალავანშია ჩართული და როგორც ჩანს, ციხის მხარეს მთელ სიმაღლეზე იყო გახსნილი. კოშკის სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა – შემორჩენილია გადახურვის კოჭების ბუდეები. გალავნის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. ციხის ტერიტ. მთლიანად ტყითაა დაფარული და უამრავი ქვაა მიმოფანტული.




127. ეკლესია. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ციხის ჩრდ. ნაწილში, მცირე შემაღლებაზე, ძლიერ დაზიანებული, დარბაზული ტიპის ეკლესიაა, რ-ისგანაც, არსებითად, მხოლოდ აღმ. და დას. კედლებია შემორჩენილი (სიმ. დაახლ. 5 მ). სამხრ. და ჩრდ. კედლები კი დაახლ. 1-1,5 მ-ის სიმაღლეზეა დგანან. თუმცა, ორივე კედელი გარედან მიწითა და ქვებითაა დაფარული. შესასვლელი, როგორც ჩანს, ეკლესიას დას-იდან ჰქონია. კედელი ამ ადგილას განგრეულია. აღმ-ით აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

თ. დვალი, გ. ქოქიაშვილი.

128. ქაშვეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



128. გეგმა

ძ. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია: საკურთხევლის აფსიდი და გრძივი კედლების აღმ. ნაწილი (სიმ. – 2,8-3 *მ*). აფსიდი შუა-



128. აფსიდის ნაშთი

ში განგრეულია, ჩრდ. კედლის შემორჩენილი ნაწილი მოცილებულია აფსიდს და ჩრდ-ითაა გადახრილი.

ეკლ. დარბაზულია (სიგ. – 5,1 *მ*, სიგრძის გაზომვა არ ხერხდება). ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. აფსიდი მოკლეა, განიერი. აფსიდის სამხრ. გვერდში ორი ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი, ჩრდ. გვერდში კი – ერთი. აფსიდის კედელში თიხის ჭურჭელია ჩატანებული.

თ. დვალი.

129. ქვაჯვარა, საკულტო ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, მანავის ციხისაკენ მიმავალ გზაზე. ქვაჯვარა ერთ ქვაშია გამოკვეთილი (სიმ. – 1 *მ*, სიგ. – 50 *სმ*).

ბ. კუპრეიშვილი.

130. ღვთისმშობელი, ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვ. მათიაშვილის კარ-მიდამოში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. მთლიანად დანგრეულია. გეგმა არ იკითხება. ადგილ. მოსახლეობას ეკლესიის საფუძველზე კედლები ამოუყვანია.

ბ. კუპრეიშვილი.

131. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე, ქაშვეთის ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით, ორმოცდაათიოდე მ-ზე. არქიტ. ნიშნებით, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეს განეკუთვნება. 2007 წელს სოფლის ერთ-ერთ მაცხ-



131. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ოვრებელს ეკლესიის აღდგენა თვითნებურად დაუწყია, მაგრამ აღარ დაუსრულებია. შენობის განახლებულ ნაწილებში ძვ. კედლების შემორჩენილი ნაშთებია ჩართული. თუმცა, განახლებული ნაწილების შენების ხარისხი იმდენად დაბალია და შენობაც ისეა დამახინჯებული, რომ მას ეკლესიის სახე მთლიანად დაკარგული აქვს. დღეს შენობა სახურავის გარეშეა დარჩენილი.

ეკლ. დარბაზულია (6,3x4,5 *მ*), ნაგები იყო ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და კირის მოყვითალო დუღაბით. შესასვლელი სამხრიდან ჰქონია. აღმ-ით კუთხეებმომრგვალებული საკურთხეველია, რ-ის გვერდითი კედლები ეკლესიის გრძივ კედლებთან ერთ სიბრტყეშია. საკურთხევლის აღმ. კედლის ღერძზე გაჭრილია დაბალი, გარეთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელი, რ-საც ქვიშაქვის ფილა ხურავს. თითო მსგავსი ქვაა გამოყენებული წირთხლებშიც. მსგავსად იყო ნაგები დას. სარკმელიც, რ-ისგანაც მხოლოდ ჩრდ. წირთხლია შემორჩენილი. მეორე, სამხრ. წირთხლი, რ-იც კედელთან ერთადაა განახლებული, აგურის ნატეხების უსახური წყობითაა ამოყვანილი. სარკმლის გადახურვისათვის კი, ვაზის შესამაგრებელი რკინა-ბეტონის სარებია გამოყენებული. იგივე მასალითაა გადახურული შესასვლელიც. დას. კედლის ჩრდ. ბოლოსთან მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.

თ. დვალი.

132. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილის ჩრდ. განაპირას, მთის კალთაზე. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, წყობაში ჩასმული იყო მარმარილოს ფილა. მასზე ამოკვეთილი, ნუსხური დამწერლობით შესრულებული, სამშენ. წარწერა – „... დროსა უმაღლესის ჴელმწიფის საქართუჱლოჲსა და სხუათა, მეფის ირაკლის მეორისას, მოწყალებით ქრისტე ღმრთისათ, აღუაშენე დედისა ღმრთისა შობისა წმიდა ეკლესია მრავალ მთის ნათლისმცემლის მონასტრის, მონასტრის ადგილსა შინა, ნათლის მცემლის მონასტრის არხიმანდრიტმან ეფთიმი, სადიდებლად საწმიდაობასა შინა მხოლოჲსა მეფებისა ღმრთისა მამისა, ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა და




132. საერთო ხედი სამხრ-იდან

დედისა ღმრთისა და პატივად დიდებულის ნათლის მცემლის იოანესით, ქრისტეს აქეთ ჩღ[დ] და ქართულსა ქრონიკონსა უპბ“ (ე. ი. 482+1312=1794) – გვაუწყებდა, რომ ეკლ. აგებულია 1794 წელს, დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტის ეფთიმის (მონასტერს განაგებდა 1774 წ-იდან 1798 წ-მდე) მიერ. სამეცნ. ლიტერატურაში წარწერა პირველად განხილული იყო 1920 წელს, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ. 1951 წელს აკად. გ. ჩუბინაშვილს, რ-იც მანავში ეკლესიის შესწავლის მიზნით იმყოფებოდა, წარწერა ადგილზე აღარ დახვედრია.

ეკლ. კუპელჰალეს ტიპის გვიანდ. ვარიანტს წარმოადგენს. ე. ი. შიდა სივრცის სტრუქტურით იგი დარბაზულია, ოღონდ გუმბათითაა დაგვირგვინებული (გარეთა ზომები: სიგრ. – 10,8 *მ*, სიგ. – 7,1 *მ*).


საშენ მასალად რიყის ქვა, აგური და შირიმია გამოყენებული. კედლები, ძირითადად, რიყის ქვითა და შირიმის სუფთად დამუშავებული ქვითაა ნაწყობი. გუმბათი, კამარები, კონქი, საბჯენი და კარ-სარკმლების თაღები აგურისაა. ფასადებზე, კედლების ზედა ნაწილები, უმთავრესად, შირიმის გათლილი კვადრებითაა ნაწყობი, ქვედა ნაწილები კი – რიყის ქვით. ლავგარდანი და დეკორატ. ელემენტები მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. შიგნითა კედლების წყობაში რიყის ქვისა და აგურის რიგები ენაცვლება ერთმანეთს. XIX ს-ში კედლები



132. გეგმა

შიგნიდან და გარედან შეულესავთ და შეუთეთრებიათ.

შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. ორივე კარი თაღოვანია. საკურთხევლის აფსიდი ღრმაა,ნახევარ წრეზე ოდნავ მეტი. აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო, ოდნავშეისრული თაღით გადახურული ნიშაა, ხოლო ქვემოთ – განიერი, სწორკუთხა ნიშა. ჩრდ. ნიშის გვერდებზე, დამატებით, პატარა, სწორკუთხა ნიშებია მოწყობილი. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ შემაღლებულია ოციოდე *სმ*-ით და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხევლის და დარბაზის იატაკი მოგებულია კვადრ. აგურით.



132. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ერთი სარკმელი დას. კედელშია – შესასვლელის ასწვრივ, ხოლო ორი – ერთი-მეორის ზემოთ – სამხრ-ით. ყველა სარკმელი შიგნიდან თაღოვანია. მ. შ. დას. და სამხრ. კედლის ქვედა ნაწილში მდებარე სარკმელი გარედანაც თაღოვანია, სამხრ. კედლის ზედა ნაწილში მდებარე სარკმელი – სწორკუთხა.




132. ინტერიერი. გუმბათქვეშა სისტემა. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

გრძივი კედლებიდან გამოშვერილი თითო მძლავრი, ორსაფეხურიანი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი, საბჯენი თაღით მლოცველთათვის განკუთვნილი სივრცე ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. საბჯენი თაღის ქუსლებთან იმპოსტებია, რ-თა პროფილს თარო და ამოზნექილი ზედაპირი შეადგენს. მსგავსი იმპოსტებითაა დასრულებული დას. კუთხის პილასტრებიც, რ-ებზეც შესაბამისი კედლის მიმდებარე საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრების გვერდებზე ნახევარწრიული თაღით დასრულებული, თითო შეღრმავებული არეა, რ-თა ხარჯზე დარბაზი სიგანეში ოდნავ გაზრდილია. ჩრდ-ით მდებარე ორივე არე ყრუა. სამხრ. არეებიდან აღმ-ისაში სარკმელია გაჭრილი, დას-ისაში კი – კარი.

დარბაზის აღმ. ნაწილი დაგვირგვინებულია ვიწრო (დიამ. 1,8 *მ*-მდეა), მაღალი გუმბათით, რ-იც აფრების მეშვეობით აფსიდის თაღს და კამარის საბჯენ თაღს ეყრდნობა. გუმბათს მხოლოდ ეკლესიის სიგანის ნახევარი უჭირავს. ამის გამო,

გუმბათქვეშა კვადრატის დონეზე, სამხრ-ით და ჩრდ-ით, დარბაზის გრძივ კედლებამდე, ჯვრის მკლავების მსგავსი სივრცე იქმნება. თითოეული მათგანი შეკრული კამარითაა გადახურული. საკუთრივ კამარა სამი სამკუთხა ელემენტისგან შედგება, რ-თა გადაკვეთით შექმნილი ხაზები თავს გუმბათქვეშა კვადრატის შესაბამისი თაღის წვერთან იყრის. გუმბათის საყრდენი სისტემის ყველა თაღი, ისევე როგორც დარბაზის დას. ნაწილის კამარა და დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი, შეისრული ფორმისაა.

გარედან შენობას ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის აღნაგობა აქვს – გუმბათქვეშა მკლავების შესაბამისად, ორივე გრძივ ფასადზე შუა ნაწილი შემაღლებულია და ფრონტონითაა დასრულებული. მკლავების გადაკვეთის ადგილას კი, აღმართულია ვიწრო, მაღალყელიანი გუმბათი, რ-ის ყელში გაჭრილია რვათაღოვანი სარკმელი.



132. დას. ფასადი

ეკლესიის ჩრდ. ფასადი ფერდისკენაა მოქცეული და თითქმის სრულიად ერუა. მხოლოდ ფრონტონის არეშია გამოყვანილი ერთადერთი დეკორატ. ელემენტი – შეღრმავებული ჯვრის გამოსახულება. მსგავსი, ოღონდ უფრო მაღალი ჯვარი აღმ. ფასადზეცაა. ჩრდ. ფასადის მსგავსად, სამხრ. ფასადის ფრონტონის არეშიც საფეხუროვან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვარია გამოსახული, რ-ის ორივე მხარეს, კვარცხლბეკის დონეზე, თითო შეღრმავებული რომბია. ეპოქის დამახასიათებლადაა გაფორმებული შესასვლელიც – შეისრულთაღოვანი კარი, რ-იც მცირედ შეღრმავებულ, სამსაფეხურიანი ფრიზით დაგვირგვინებულ, ოთხკუთხა არეში ზის. თვით ფრიზი, ჩვეულებისამებრ, წყობიდან კუთხით შვერილი აგურების სამი რიგ-

132. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



ითაა გამოყვანილი. კარის ზემოთ სწორკუთხა ნიშაა, რ-შიც ადრე წარწერიანი ფილა იყო ჩასმული.



132. გუმბათი. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დას. ფასადი შედარებით უკეთაა მორთული. ფასადის შუა ნაწილში, აგურის ორი თხელი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი აგურისავე, ნახევარწრიული თაღით, შემოფარგლულია ვიწრო, მაღალი არე, რ-ის ქვედა ნაწილში შეისრულთაღოვანი, სტანდარტულად გაფორმებული შესასვლელია. მის ზემოთ კი – ერთ ვერტიკალზე განლაგებული, მაღალი, შეღრმავებული ჯვარი და სარკმელი. საკუთრივ სარკმელი მოქცეულია თაღის არეში, რ-იც დანარჩენი ნაწილისგან პილასტრების კაპიტელების დონეზე მდებარე, ორსაფეხურიანი თაროთია გამოჯნული. მსგავსი პროფილისაა საკუთრივ კაპიტელებიც.

შენობის ძირითადი დეკორ. დომინანტია გუმბათის ყელი, რ-იც საგანგებოდაა მორთული. გარედან იგი რვაწახნაგაა. თითოეული წიბოს მთელ სიმაღლეზე გამოყვანილია ნახევარსვეტი, რ-იც მასიურ, ორსაფეხურიან ბაზისზეა დაყრდნობილი და დასრულებულია არანაკლებ მასიური კაპიტელით. ლილვებს გვერდებზე აუყვება განიერი, პროფილირებული აგურით ნაწყობი, წახნაგის ცენტრისკენ დახრილი არშია, რ-ითაც წიბოებს შორის თაღოვანი არეა შემოფარგლული. თვით არშია ლილვების საერდენ ბაზისზეა დაყრდნობილი და დასრულებულია ორსაფეხურიანი კაპიტელით. კაპიტელებს შორის იგივე პროფილის თაროა, რ-ითაც წახნაგის ზედა, თაღოვანი ნაწილი ქვედა ნაწილისგანაა გამოჯნული. ამ უკანასკნელის ღერძზე კი ვიწრო, მაღალი თაღოვანი სარკმელია. მთელი ეს სისტემა დაყრდნობილია გუმბათის ყელის ძირის დონეზე გამოყვანილ, ლილვისებრ სარტყელზე.

გუმბათის ყელი დასრულებულია მაღალი, რთული პროფილის ლავგარდნით, რ-იც მრავალი ელემენტისგან შედგება. ლავგარდნის ძირს კი ლურჯად მოჭიქული აგურით გამოყვანილი ზოლი გაუყვება. გუმბათი აგურის პირამიდული სახურავითაა გადახურული.

2006 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ეკლესიას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ზ. ყიფშიძე, შემსრულებელი შპს „ოდა“): გამაგრდა ეკლესიის კედლები და სახურავი, აღდგა კედლებისა და არქიტ. ელემენტების მონგრეული ნაწილები, ამოივსო კედლებში და კამარებში გაჩენილი ბზარები, კამარები გამაგრდა ჟანგისგან დამცავი ხსნარით დამუშავებული ლითონის მჭიმებით, მთლიანად აღდგა გუმბათქვეშა კვადრატი, გუმბათის ყელის სარკმლებში ჩაისვა ლითონის ბადიანი, ხის ალათები, ჩრდ. ფასადის წინ მოიხსნა ფერდობიდან ჩამოზვავებული მიწა, ეკლესიის ირგვლივ მოეწყო სარინი, ეკლ. დაიბურა ღარისებრი კრამიტით.

2006 წელს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანების (№665) საფუძველზე, ეკლესიას მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 28; 33; 219; 462; 475.

133. ციხე, კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დასით, მაღალი მთის წვერზე. ზოგადი ნიშნებით ციხის ძვ. ფენა X-XI საუკუნეებით თარიღდება, გვიანდ. კი – XVI-XVIII საუკუნეებით.

სამხ. თვალსაზრისით ციხე მეტად მოხერხებულ ადგილზეა

133. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ-იდან






133. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

აგებული, რაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მეთვალყურეობის საშუალებას იძლევა.

ვახუშტი ბატონიშვილი სოფელ მანავზე საუბრისას აღნიშნავს: „მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსრვილი“. ამ ცნობის თანახმად, სავარაუდოა, რომ 1724 წლამდე, ე. ი. ვახუშტი ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებამდე, ციხე ჯერ კიდევ მოქმედებდა, ხოლო მეორე ციხე, რ-იც, როგორც ჩანს, „მთის ძირად“ არსებულა, უკვე „შემუსრვილი“ იყო. ვახუშტისავე ცნობით, მანავში თავისი რეზიდენცია ჰქონდა კახეთის მეფეს დავით მეორეს (იმამყული-ხანს. 1703-1722): „... რამეთუ დაუტევა იმამ-ყულიხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თჳსი თელავს და მანავს, და იმყოფოდა ზამთარს მუნ, ხოლო ზაფხულს მაღაროს“. მანავში, 1712 წელს, მეფე თეიმურაზმა „დიდებითა და ზითვითა მოიყვანა თამარ მანავს და ქმნა კუალად ქორწილი ჯეროვანი“.

სოფ. მანავის და მისი ციხის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტიც, რ-იც კახეთში 1772 წელს იმყოფებოდა. მისი ნაშრომიდან ირკვევა, რომ სოფ. მანავი იმხანად თითქმის მთლიანად ყოფილა განადგურებული. გადარჩენილ მოსახლეთაგან მცირე ნაწილს კი, სოფლიდან ოდნავ ჩრდ-ით, ციცაბო მაღლობზე მდებარე, ვიწრო გალავნისათვის შეუფარებია თავი. დიდი ალბათობით, აქ მანავის ციხე უნდა იგულისხმებოდეს. ე. ი. სავარაუდოა, რომ იმ დროისათვის ციხე თავის ფუნქციას ჯერ კიდევ ასრულებდა. ცნობილია, რომ მანავის ციხის მნიშვნელობა განსაკუთრებით ლეკიანობის დროს იყო გაზრდილი.

ციხე ორი ნაწილისგან შედგება – შიდა და ქვედა ციხისაგან. შიდა ციხე მთის წვერზეა განლაგებული, ხოლო ქვედა, რ-იც ფართობით შიდა ციხეს თითქმის ორჯერ აღემატება, მას



133. გეგმა. I - შიდა ციხე. II - ქვედა ციხე. 1 - ეკლ., 2 - წყალსაცავი, 3 - საცხოვრებელი ნაგებობა (?), 4 - კოშკი, 5 - ნაგებობის ნაშთი, 6 - გალავანი

აღმ-იდან ესაზღვრება. რელიეფიდან გამომდინარე, ციხე დასიდან მიუდგომელია.

ციხის გალავნისა და ნაგებობების ძირითად სამშენ. მასალად რიყის სხვადასხვა ზომის ქვაა გამოყენებული.


ციხის მთავარი შესასვლელი მდებარეობდა ქვედა ციხ-



133. შიდა ციხე. ეკლესიები (რესტავრაციამდე). ხედი სამხრ.-დას-იდან

ის ჩრდ. კედელში, აქ მდგარი კოშკის (მთლიანადაა დანგრეული) ქვედა სართულზე. შიდა ციხეში კი – გალავნის აღმ. კედლის სამხრ. ნახევარში (კვალი აღარ ჩანს), ციხის მთავარ შესასვლელთან ახლოს.

შიდა ციხე გეგმით არაწესიერი ფორმისაა და სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (დაახლ. 90x50 მ). მისი შემომზღუდავი გალავნის აღმ., დას. და სამხრ. კედლები სწორხაზოვანია, ჩრდ-ისას კი ტეხილი ფორმა აქვს. კედლებიდან ყველაზე უკეთ დას. და ჩრდ. კედლებია შემორჩენილი. დანარჩენების დიდი ნაწი-




133. შიდა ციხე. ჩრდ-ით მდგარი ეკლ. გეგმა

ლი დანგრეულია და მხოლოდ კვალი ირკვევა.

გალავნის ჩრდ. კედლის შუაში მდგარა მოზრდილი, სამსართულიანი შენობა (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედლის ნაწილი. სიგრ. – დაახლ. 7 მ), რ-ის პირველი სართულის ქვეშ განთავსებული იყო სწორკუთხა გეგმის, კამარით გადახურული წყალსაცავი. ამ შენობის აღმ-ით, დაახლ. 10 მ მანძილზე, დგას გეგმით კვადრ., კოშკური ტიპის, სამსართულიანი ნაგებობა. შესასვლელი მას მეორე სართულზე აქვს, სამხრ-იდან. კარის პირდაპირ სარკმელია, რ-ის მარჯვნივ და კუთხეში პატარა ნიშებია. მესამე სართულის კედლის შემორჩენილ ნაწილში არქიტ. ელემენტების კვალი არ ჩანს.

კოშკის გვერდით (აღმ-ით) გალავნის კედლის მოზრდილი მონაკვეთია, რ-იც გარედან მასიური, ნახევარწრიული ბურჯითაა გამაგრებული. ამ ადგილიდან შიდა ციხის სამხრ.-აღმ. კუთხემდე, გალავნის კედელი



133. შიდა ციხე. ჩრდ-ით მდგარი ეკლესია. (რესტავრაციამდე). ჭრილი. ხედი აღმ-კენ

სწორხაზოვნად მიემართებოდა და რამდენიმე ნახევარწრიული ბურჯით იყო გამაგრებული. კედლის ბოლოსთან კი მოწყობილი იყო შიდა ციხის კარი.

შიდა ციხის სამხრ.-დას. კუთხეში დგას მოზრდილი, კოშკური ტიპის, ოთხკუთხა ნაგებობა, რ-ისგანაც მხოლოდ დას. კედელი იყო შემორჩენილი. სამი სართულის სიმაღლეზე. შესასვლელი შენობას აღმ-იდან ჰქონია, პირველი სართულის დონეზე. მეორე სართულის დას. კედლის შუაში მოწყობილია განიერი, თაღოვანი სარკმელი, მესამეზე კი – მცირე ზომის, სათვალთვალო ხვრელი. მოგვიანებით, გამაგრების მიზნით, შენობის სამხრ.-დას. კუთხესთან – სამხრ. მხრიდან – მიუშენებიათ დიდი კონტრფორსი, დას. კედელზე კი – კედელი.

შიდა ციხეში შემორჩენილია ციხის შუაში, გვერდიგვერდ მდგარი, გვიანდ. შუა საუკუნეებში აგებული სამი დარბაზული ეკლ. მათთან ახ-



133. შიდა ციხე. ეკლესიები. ხედი სამხრ.-დას-იდან

ლოს კი – ჩრდ.-აღმ-ით, ათიოდე მ-ზე, სწორკუთხა წყალსაცავია.

ეკლესიებიდან ჩრდ-ით მდგარი (8,5x5,5 მ) ყველაზე ადრეულადაა მიჩნეული. კედლები შიგნით, ძირითადად, სხვადასხვა ზომის (27x27x7/8; 21x21x4; 22x22x5 სმ) აგურითაა ნაყობი. აფსიდის კუთხეები და კონქის თაღის გვერდების შემორჩენილი ნაწილი შირიმითაა გამოყვანილი. ეკლესიის გარეთა კედლები შირიმის სუფთად ნათალი ქვისაა, რ-ებიც დაწყობილია სწორხაზოვან, თითქმის თანაბარი სიმაღლის რიგებად. წყობაში, აქა-იქ, ჩატანებულია აგურიც. დას. კედლის წყობაში კი, აგურით ნაწყობი მონაკვეთებიცაა. მთლიანად აგურისაა აღმ. ფრონტონიც.




133. შიდა ციხე. ჩრდ-ით მდგარი ეკლესია (რესტავრაციის შემდეგ). ხედი სამხრ.აღმ-იდან

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს. კარი გარედან კედლის შეღრმავებულ, ნახევარწრიულთაღოვან არეში ხის. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში დაბალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია, რ-იც მთლიანად კონქის არეშია მოქცეული. სარკმლის გარეთა ღიობის ქვედა ნახევარი შირიმის მოზრდილ ქვაშია ამოკვეთილი. ერთი სარკმელი დას. კედელშიცაა (შემორჩენილი იყო მხოლოდ წირთხლები). აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, სარკმლის ძირის დონეზე, თითო მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდში, ცერად დაწყობილი აგურების ერთი რიგით, დეკორატ. ზოლია გამოყვანილი. აფსიდს დაახლ. 30 სმ-ის სიმაღლის საფეხური გასდევს.

ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, ორი სამკუთხა ნიშაა მოწყობილი. მათი ძირი მიწიდან დაახლ. 30 სმ სიმაღლეზეა და ფასადს თითქმის ფრონტონის ძირამდე აუყვება.


ამ ეკლესიის სამხრ-ით მდგარი ეკლ. გაცილებით მცირე



133. შიდა ციხე. ეკლესია წყალსაცავით. გეგმა

ზომისაა (4,3x3,2 მ). ნაგებია რიყის სხვადასხვა ზომის ქვით. იგი უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-შიც სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელი დას. კედელშიცაა. შესასვლელი სამხრ-იდანაა. სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში კი პატარა, ოთხკუთხა ნიშაა.

მესამე ეკლ. (7,9x5,0 მ), დანარჩენ ორთან შედარებით, უკეთაა შემონახული. სავარაუდოდ,



133. შიდა ციხე. ეკლესია წყალსაცავით (რესტავრაციამდე). ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

თარიღდება XVIII ს-ით. ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვით. წყობაში, აქა-იქ (ძირითადად კუთხეებში), გამოყენებულია აგური და შირიმი. შენობა დგას რიყის ქვით ნაგებ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს, სარკმლები კი – აღმ-ითა და დას-ით. კარი ორივე მხრიდან სწორკუთხაა, სარკმლები – თაღოვანი. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიულია. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშია. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. საკურთხევლის



133. შიდა ციხე. ეკლესია წყალსაცავით (რესტავრაციამდე). აღმ. ფასადი

იატაკი დარბაზის იატაკიდან დაახლ. 50 სმ სიმაღლეზეა და შემორჩენილი კვალის მიხედვით, მას ნახევარწრიული ამბიონი ჰქონია. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი შეისრული ფორმისაა და მთლიანად შირიმითაა ნაწყობი. თაღი ეყრდნობა შირიმისავე იმპოსტებს, რ-თა პროფილს თარო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. შირიმი აფსიდის მხრების წყობაშიცაა გამოყენებული. აფსიდის თაღის ფორმისაა კამარაც.

იატაკზე კვადრატ. აგურია მოგებული.

ეკლესიის ქვეშ მოწყობილია შეისრული კამარით გადახურული წყალსაცავი (სიღრმე – 3,5-



133. შიდა ციხე. ეკლესიები. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან. წინ პლანზე წყალსაცავი

4 მ). მასში წყალი ჩაედინება ეკლესიის დას. კედელში, მიწის დონეზე არსებული, პატარა, სწორკუთხა (10x15 სმ) ხვრელიდან. წყალსაცავიდან წყლის ამოსაღებად, აღმ. მხრიდან, ცოკოლის ფარგლებში, თაღოვანი კარია მოწყობილი.

ქვედა ციხე მთის აღმ. კალთაზეა განლაგებული და ფართობით შიდა ციხეს თითქმის ორჯერ აღემატება. მისადგომი მას აღმ-იდან და ჩრდ-იდან აქვს, რის გამოც, ამ მხარეებიდან იგი მძლავრი კედლებით (შემორჩენილია ნაწილობრივ) იყო დაცული. მ. შ. აღმ. კედელი, რ-ის სიგრ. დაახლ. 100 მ-ია, ნახევარწრიული კონტრფორსებით ყოფილა გამაგრებული (ირკვევა ექვსი კონტრფორსის ნაშთი). კედელში ჩართული ყოფილა ორი მოზრდილი, ოთხკუთხა კოშკი. ბოლოებში კი – თითო, გაცილებით მცირე ზომის, ნახევარწრიული კოშკი, რ-ებიც მთლიანად გალავნის ფარდლებს გარეთ არიან გასული.

ქვედა ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია მოზრდილი, გეგმით ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთები.

1980-იან წლებში, შიდა ციხის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (პროექტის ავტორი, არქიტ. გ. სეხნიაშვილი). მთლიანად აღდგა მცირე ეკლ., წყალსაცავიანი ეკლესიის კედლების დანგრეული ნაწილები და იგი გადაიხურა ღარისებრი კრამიტით. აღდგა ჩრდ-ით მდგარი ეკლესიის აღმ. და დას. კედლების დანგრეული (ზედა) ნაწილები და საკურთხევლის კონქი, აღდგენილ კედლებს გაუკეთდა რკინა-ბეტონის თაროსებრი ლავგარდანი, საკურთხევლის ნაწილი და დას. კედელი დაიბურა ღარისებრი კრამიტით. გრძივი კედლები კი დაკონსერვდა. გარდა ამისა, გამაგრდა გალავნის დას. და ჩრდ. კედლები და ნაწილობრივ აღდგა მათი დანგრეული ნაწილები. საკონსერვაციო და ნაწილობრივი, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა დანარჩენ ნაგებობებსაც.

2006 წლიდან, საპრეზიდენტო პროგრამა „რაინდების“ ფარგლებში, ამავე ტერიტორიაზე, არქეოლ. სამუშაოებს აწარმობდა საქართვ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული, ეროვნული მემკვიდრეობის კლუბი „ტაძარი“. გაიწმინდა და შესწავლილ იქნა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და რამდენიმე კოშკი. 2006 წელს სარეს.-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა შიდა ციხის სამხრ.-დას. კოშკს (პროექტის ავტორი არქიტექტორ-რესტავრატორი ნ. მინდორაშვილი).

133. შიდა ციხე. ეკლესია წყალსაცავით (რესტავრაციის შემდეგ). ხედი სამხრ.-აღმ-იდან



შიდა ციხის სამხრ.-დას. კოშკის გათხრების შედეგად გამოვლინდა სამი კულტ. ფენა, რ-თაგან ზედა – გვიანდ. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, შუა – განვით. შუა საუკუნეებს, ხოლო



133. შიდა ციხე. სამხრ.-დას. კოშკი (1980-იანი წლების კონსერვაციის შემდეგ). ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ქვედა – გვიანდ. ანტ. ხანის დასასრულსა და ადრინდ. შუა საუკუნეებს. ქვედა ფენა დადასტურდა, როგორც კოშკის მთელ ფართობზე (სიღრმე – 3,2 *მ*, სისქე – 0,75 *მ*), ისე მის გარეთაც. ქვედა ფენა დაზიანებულია. მასში ჩაჭრილია კოშკის ერთ-ერთი საძირკველი და გვიანდ. შუა საუკუნეების ხანის თონეები. გაირკვა, რომ ციხე, რ-ის ძვ. სამშენ. ფენა X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება, დგას გაცილებით ადრინდ., კულტურულ ფენებზე.ე. ი. ამ ადგილას, ციხის აგებამდე, გაცილებით ადრეულ ხანაში ყოფილა დასახლება.

არქეოლ. მონაპოვარი წარმოდგენილია თიხის სამეურნეო (ქვევრების ფრაგმენტები – გვერდები, ძირი, რ-იც დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, უხეშმინარევებიანი თიხისგან. მათ მოწითალო-მოაგურისფრო, ხაოიანი ზედაპირი აქვს. ფრაგმენტები შემკულია რელიეფური წიბოებით), სამზარეულო (ქოთნების ფრაგმენტები, რ-თათვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, კარგად გამოკვეთილი გვირგვინი, ხაოიანი, მოწითალო-მოაგურისფრო ზედაპირი. ქოთნების უმეტესობა შემკულია ტალღოვანი ორნამენტით), სუფრის ჭურჭლის (სამტუჩა დოქი, მსხლისებრი კორპუსის მქონე ხელადების ძირები და ყურები. მათთვის დამახასიათებელია სამტუჩა პირი, ვიწრო ყელი, მკვეთრად დაქანებული მხრები და მრგვალი ძირი. თიხა უმეტესად კარგად არის განლექილი, შეიმჩნევა კვარცისა და ქარსის მცირე მინარევები. ფერი, ხშირ შემთხვევაში, მოჩალისფროა, არის მოწითალო-აგურისფერი ნიმუშებიც) და სამშენ. კერამიკის (ძირითადად კრამიტი. დადასტურდა ალიზის ფრაგმენტებიც. როგორც ჩანს, აქ ადრე იდგა ნაგებობა, რ-იც კრამიტით იყო გადახურული) ფრაგმენტები. აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს თოთხმეტწახნაგა საკინძი და სარდიონის, კასრისებრი, თვალადი მძივი.



133. შიდა ციხე. სამხრ.-დას. კოშკი (2006 წელს ჩატარებული რეაბილიტაციის შემდეგ). ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

2006 წელს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანების (№665) საფუძველზე, კომპლექსს მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.


თ. დვალი, ე. ლღილაშვილი.

ბიბლ.: 28; 33; 115; 122; 125; 126; 462; 475.

134. წიწიხიდნის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ნასოფლარ შავქედის მიდამოებში, წიწიხიდნად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.

დანგრეულია. კედლების დიდი ნაწილი დაშლილია და მიწითაა დაფარული, რის გამოც ეკლესიის გეგმა სრულყოფილად არ ვლინდება. ეკლესიის შიგნით და კედლებზე ხეებია ამოსული.

ეკლ. დარბაზულია, საშ. ზომის. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის დუღაბით. შეს-



134. გეგმა

ასვლელი (შემორჩენილია კვალი) სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით ოდნავ ბრტყელი აფსიდია, რ-საც ჩრდ. გვერდი და ჩრდ.-დას. კუთხე (სიმ. – 60-70 *სმ*) შემორჩა.

ეკლესიის დას-ით, ორმოცდაათიოდე *მ*-ის მანძილზე, შემორჩენილია გეგმით კვადრ. (9,5x9,5 *მ*), შირიმის სუფთად დამუშავებული კვადრებით ნაგები შენობა, რ-ის დანიშნულების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა, გათხრა-გასუფთავების გარეშე, რთულია.



134. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

შენობა ძლიერაა დაზიანებული. ოთხივე კედელი დაახლ. 3,7 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. ინტერიერი მოზრდილი ხეებითა და მცენარეულობითაა ჩახერგილი.

ერთადერთი შესასვლელი შენობას სამხრ-იდან, კედლის შუაში აქვს. გარედან იგი გადახურული ყოფილა მოზრდილი არქიტრავით (შემორჩენილია კვალი). შენობის გეგმა სიმეტრიულია. სტრუქტურულად იგი გაყოფილია სამ, აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებულ ნაწილად, რ-ებიც



134. სამხრ. ფასადი. შესასვლელი


ბოლოებში ერთმანეთისგან ყრუ კედლებით არის გამიჯნული, შუაში კი ერთმანეთს ერთვის. შენობის გვერდითი ნაწილები ვიწროა, თანაბარი სიგანის. შუა ნაწილი კი მათზე თითქმის სამჯერ უფრო განიერია. შენობის ოთხივე კედლის ღერძზე განიერი, გარეთკენ შეკვიწროებული სარკმელია. ოთხივე სარკმლიდან მხოლოდ ქვედა ნაწილიდაა შემორჩენილი. ყველას შიგნითკენ მკვეთრად დახრილი რაფა აქვს.

თუ როგორ იყო გადახურული შენობის ნაწილები არ ჩანს.

თ. დვალი.


135. წმ. გიორგის ეკლესია, ო დ ი შ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 1,5 კმ-ზე, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ადგილობრივთა გადმოცემით, ეკლ. აუგიათ სამეგრელოდან გადმოსულ სტეფანიებს და დღესაც მათ (სტეფანიშვილების) სალოცავად ითვლება.

ეკლ. დარბაზულია (6,75x4,92 მ), უაფსიდო. ნაგებია ქვიშაქვის ლოდებით, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა ქაოსურია. გამოყენებულია აგურიც. დაზიანებულია. ჩამონგრეულია კამარა, გრძივი კედლებს ზედა ნაწილები, ალაგ-ალაგ, მონგრეული აქვს.



135. გეგმა

შესასვლელი დას-იდანაა. კარი სწორკუთხაა. საკურთხევლის აღმ. კედელში ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-ის



135. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ქვემოთ, კედელზე, ოთხკუთხა ტრაპეზია მიდგმული. მსგავსი, ოღონდ ოდნავ უფრო პატარა ნაგებობა საკურთხევლის ჩრდ.-აღმ. კუთხეშიც დგას.

ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში ვიწრო პილასტრია, დას. ნაწილში კი – მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშა.


ა. თოფურია. ბ. კუპრეიშვილი.

მარიამჯვარი
(გიორგიწმინდის თემის საკრებულო)

136. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, წმ. გიორგის ფერდად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილი კედლები (სიმ. დაახლ. 1,5 მ) ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. ნაგებობის ჩრდ-ით საწნახელია, ხოლო სამხრ-ით რიყის ქვითა და კირის ხსნარით ამოშენებული ღრმა და ფართო, სამეურნეო ორმო.


ბ. კუპრეიშვილი.

137. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ორიოდე კმ-ზე, ტყეში.



137. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (4,8x3,2 მ), უაფსიდო. 1988 წელს სოფელში მაცხოვრებელ მამისაშვილებს ნაეკლესიარზე თანამედ-



137. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

როვე სტანდარტის აგურითა და ცემენტით აუგიათ სრულიად უსახური ნაგებობა (გადახურულია ფიცრისა და თუნუქის ნარჩენებით აგებული, ორკალთა სახურავით, რ-იც ღარისებრი კრამიტითაა დაბურული. კედლები, გარედან, ქვიშისა და ცემენტის ხსნარითაა შელესილი), რ-შიც ძვ. ეკლესიის კედლების შემორჩენილი ნაწილებია (აღმ.




137. ხედი სამრხ-იდან

კედელი და გრძივი კედლების ნაწილები) გამოყენებული.

თ. დგალი.

138. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, ტყეში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



138. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (6,1x3,9 *მ*). ნაგები იყო სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის



138. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ხსნარით. გამოყენებული ყოფილა შირიმიც. ძ. ძლიერ იყო დაზიანებული: ჩამონგრეული იყო კამარა, გრძივი კედლები 1-1,5 *მ* სიმაღლეზედა იყო შემორჩენილი. მ. შ. ჩრდ. კედელი გარედან მიწით იყო დაფარული.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით, ეკლესიის იატაკის მიმართ ოდნავ შემაღლებული, ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც მცირე ზომის, თარაზულად გადახურული სარკმელი და ორი ოთხკუთხა ნი-



138. ხედი სამხრ.-დას-იდან

შაა. ნიშებიდან ერთი აფსიდის სამხრ. მხართანაა, მეორე – ჩრდ. გვერდის შუაში. სარკმლის ქვემოთ დგას რიყის ქვით ნაშენი, არაწესიერი ფორმის ტრაპეზი. აფსიდი კონქითაა გადახურული. საკურთხევლის ბაქანს ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

გარედან ეკლესიის ჩრდ. კედელი გამაგრებული იყო ორი ნახევარწრიული კონტრფორსით.

1980-იან წლებში ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად აღადგინა, რამაც შენობას ისტ. ღირებულება თითქმის მთლიანად დაუკარგა.

თ. დგალი.

მუხროვანი

(უჯარმის თემი)

139. მუხროვანი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს კახეთის მთისწინეთში. ისტ. წყაროებში (იოანე ბაგრატიონი) მუხროვანი მოხსენიებულია მუხრანის სახელწოდებით.

მუხროვანში 1842 წლიდან 1866 წლამდე, დაბანაკებული იყო კავკასიის გრენადერთა საარტელერიო ბრიგადის № 1 სარეზერვო ბატარეა, რ-შიც 1852-53 წლებში მსახურობდა ცნობილი რუსი კლასიკოსი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი.

თ. დგალი


ბიბლ.: 115; 150; 151; 314გ.

140. ეკლესიის კომპლექსი, არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, თბილისი-თელავის გზის (გომბორის უღელტეხილით) მარცხ. მხარეს.თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

კომპლექსში შედის: ეკლ., კარიბჭე და გაურკვეველი დანიშნულების (სატრაპეზო?), კამარო-

140. ხედი სამხრ.-აღმ-იდან. წინა პლანზე: კამაროვანი ნაგებობა





140. გეგმა. 1. ეკლესია, 2. კარიბჭე, 3. კამაროვანი ნაგებობა

ვანი ნაგებობა. სათავსები მთის ციცაბო კლდის აღმ. ფერდის შუა ნაწილში, სამხრ.-ჩრდ-ის ხაზზე, გვერდიგვერდ არის განლაგებული. ეკლ. და კარიბჭე კლდეშია გამოკვეთილი, კამაროვანი ნაგებობის კედლები კი ქვიტკირისაა. კომპლექსისაკენ მიმავალი ბილიკი სამანქანო გზასთან ახლოს იწყება და ასიოდე მ-ის შემდეგ, ძეგლს სამხრ-იდან ადგება. თავდაპირველად კამაროვან ნაგებობაში ვხვდებით, აქედან – კარიბჭეში, ამ უკანასკნელიდან კი – ეკლესიაში. სხვა მხრიდან ეკლ. მიუდგომელია.

როგორც შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, ეკლ. და კარიბჭე ერთი პერიოდისაა, კამაროვანი ნაგებობა კი ოდნავ მოგვიანებით უნდა იყოს აგებული, სავარაუდოდ, ეკლესიის მოხატვის დროს.

ეკლ. დარბაზულია, გამოკვეთილია კლდის ფერდის ჩრდ. ბოლოში. ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდან, კარიბჭიდან აქვს. ეკლესიის მხრიდან კარი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, კარიბჭის მხრიდან, როგორც ეს შემორჩენილი კვალიდან ჩანს, თარაზული თავი ჰქონია. შიგნიდან, კლდის კონფიგურაციის გამო, კარის თაღი და გვერდების ზედა ნაწილი აგურითაა გამოყვანილი. გარედან კი, კარის ქვედა ნახევარი და წირთხლები აგურითაა ნაწყობი, ზედა ნახევარი – კლდის ნატეხი ქვით.

ეკლესიის დარბაზი გეგმით ტრაპეციის ფორმისაა. აღმ-ით იგი თანდათან ვიწროვდება და ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული (ეკლესიის სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 8,1 მ-ია, სიგ. (შუა ნაწილში) – 4,3 მ, სიმ. – 5 მ-დეა). ამჟამად აფსიდი შუაში განგრეულია, ხოლო სამხრ. გვერდის დიდი ნაწილი – ჩამოშლილი.

აფსიდის ჩრდ. გვერდში ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი დასრულებულია კონქით, რ-საც კლდეშივე გამოკვეთილი, ნახე-



140. ეკლესია. ინტერიერი. ხედი დას-კენ

ვარწრიული მოხაზულობის, სატრიუმფო თაღი აქვს. ეკლესიის შიდა სივრცე ზემოთკენ ვიწროვდება და შეისრული ფორმის კამარის მსგავსი ჭერი აქვს.

ინტერიერი შელესილი და მოხატულია, თუმცა, კედლების ზედაპირი არც თუ ისე სწორია.

მოხატულობა ორ რეგისტრადაა დაყოფილი. საკურთხეველის კონქში „ვედრებაა“ (დეისუსი) გამოხატული. მაცხოვარი დაბრძანებულია თეთრი ასისტებით (სხივისებრი ხაზებით) დამუშავებულ, მოწითალო ტახტზე – ოვალური საზურგითა და ორფერი მუთაქით. ქრისტე მარჯვ. ხელით აკურთხებს, მარცხ. ხელით კი მუხლზე გადაშლილი წიგნი უპყრია, რ-ზედაც ასომთ. დამწერლობით შესრულებული მათეს სახარების პერიფრაზია: „მიიღ(ე)თ ჴორც/ჩ(ე)მი ახლ/ისა [ა]ღთქმისა თქ(უე)ნ(და)“ (მათეს სახარება 26. 26-28). მაცხოვრის მიმართ მავედრებელი ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ტრადიციული გამოსახულებებიდან განმარტებითი, ასომთ. წარწერა შემორჩა იოანეს: „[ნა]თლი(ი)სმც(ე)მ(ე)ლი“.

მოხატულობა დაზიანებულია, მაგრამ ნ. ტოლმაჩევსკაიას მიერ 1928 წელს შესრულებული ასლებით (სულ 5 ასლი, დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის მონუმენტ. მხატვრობის ფონდში) და მოხატულობის თანადროული აღწერილობით, იქმნება ეკლესიის დეკორის მეტ-ნაკლებად მთლიანი სურათი.

ეკლესიის საკურთხეველის ქვედა რეგისტრები მედალიონებში ჩაწერილ გამოსახულებებს და ეკლესიის მამებს ჰქონიათ დათმობილი (ადარ არსებობს).



140. ეკლესია, საკურთხეველის მოხატულობა. „ვედრება“

სამრეველო დარბაზის კამარაცა და კედლებიც,მეორე რეგისტრზე წმინდანთა ცალკეული გამოსახულებების გარდა, იკონოგრაფიული ტრადიციის-მთლიანად ეძღვნებოდა „განკითხვის დღის“ მრავალპიზოდიან კომპოზიციას.

კამარის ცენტრში, ნათების წრეში, გამოსახული იყო იესო ქრისტე. მაცხოვრის ფიგურიდან, ნ. ტოლმაჩევსკაიას დროს, ცეცხლოვან თვლებზე დაყრდნობილი მისი ფეხები და ცეცხლოვანი მდინარის სათავე იყო შემორჩენილი. გამოსახულების ორივე მხარეს, კამარის ქანობებზე – შუბებით აღჭურვილი მცველი ანგელოზები და გრძელ მერხზე დაბრძანებული ექვს-ექვსი მსაჯული მოციქული. დას. ნაწილში გამოსახული იყო მაცხოვრის მიმართ მავედრებელი ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. სადღეისოდ, კამარის სამხრ. ქანობზე ჩანს მხოლოდ ღმრთისმშობლის ფიგურის ნაწილი, ჩრდ. ქანობზე კი – იოანე ნათლისმცემლის შარავანდიანი თავისა და სამი მცველი ანგელოზის ფრაგმენტები. კამარის დას. ნაწილშივე გოლგოთის რვამკლავა ჯვარია ვნების შესაბამისი იარაღებით (შუბით, ღრუბლითა და ეკლის გვირგვინით) და მის ორთავე მხარეს – მოფრენილი, მგლო-



140. ეკლესია. კამარის მოხატულობა. ფრაგმენტი

ვიარე ანგელოზებით. ჯვარი,

ამებრ, ეფუძნებოდა ჰეტიმასიას ანუ „საყდარს განმზადებულს“, რ-ის გამოსახულება (განადგურებულია) უკვე დას. კედელზე გადადიოდა და მის გვერდით, ნ. ტოლმაჩევსკაიას აღწერ-



140. ეკლესიის მოხატულობა. ფრაგმენტი

ის საფუძველზე, „ანგელოზთა მიერ ცოდვა-მადლის აწონვის“ ეპიზოდი და ორივე მხარეს მოზრდილი ზომის თითო ანგელოზი იყო წარმოდგენილი – გადაშლილი წიგნებით. ამჟამად, ჰეტიმასიის ფერხთით, ადამ და ევას მუხლმოყრილი ფიგურების მცირე ფრაგმენტები-



140. ეკლესიის მოხატულობა. იოანე ნათლისმცემელი (ასლი)

ღა შეინიშნება. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში შემორჩენილია კიდევ ერთი ფრაგმენტი – ანგელოზის ფრთა და თეთრი ასისტებით დამუშავებული, ოქრათი დაფერილი ტახტის ნაწილი. ის სამოთხის ეპიზოდთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან ნ. ტოლმაჩევსკაიას აღწერილობიდან ცნობილია, რომ აქ სამოთხის ხეების, ფრინველებისა და მართალთა მცირე ზომის, მუხლმოყრილი ფიგურების ჯგუფების ფრაგმენტები იკითხებოდა. კიდევ ერთი გამოსახულება, რ-იც მხოლოდ მუზეუმში დაცული ასლის (სხსმ/მმ 497) სახითაა ჩვენამდე მოღ-



140. ეკლესიის მოხატულობა. მწყემსი (ასლი)

წეული, წელზევით შიშველი, ახალგაზრდა, თავსაბურავიანი ჭაბუკია, რ-ის მსგავსი, XIV-XVI საუკუნეების გამოსახულებებში, მწყემსებს ხურავთ. მიუხედავად იმისა, რომ მას მკერდთან გადაჯვარედინებულ ხელებში მწყემსის კვერთხი არ უჭირავს, ის მართალთა რიგში ჩართული აბელის ფიგურა უნდა იყოს.

მოხატულობა ნათლად წარმოაჩენს ე. წ. პალეოლოგოსთა მხატვრული სტილისთვის დამახასიათებელი ფორმების მოცულობითი დამუშავების ტენდენციებს, რ-ის დროსაც, არა მხოლოდ ფიგურები და ცალკეული ობიექტები (ტახტი, გოლგოთის ჯვარი, ვნების იარაღები), არამედ სატრიუმფო თაღზე შემორჩენილი, მცენარეული ორნამენტიც „სივრცობრივადაა“ გადაწყვეტილი. სახეთა კონტური ჩაკარგულია სარჩულის ქვითელი ოქრას ზედაპირზე დადებულ, მუქ ყავისფერ ჩაჩრდილვაში, ვარდისფრად დაფერილი მოცულობითი ფორმები კი, თეთრას მოკლე, პარალელური მონასმებით მუშავდება. მხატვრობის ფერადოვნებას, ძირითადად, განსაზღვრავს მუქ, მორუხო-ლურჯ ფონზე თეთრათი დამუშავებული, ოქროსფერი ოქრას, მოყავისფრო წითლისა და სალათისფერი მწვანეს კონტრასტული დაპირისპირება, რაც მწყობრ კომპოზიციებთან და ოსტატურ ნახატთან ერთად, წარმოადგენს პოსტბიზანტიური პერიოდის ადრეულ, XV-XVI სს-თა მიჯნის ან XVI ს-ის პირველი ნახევრის ოფიციალური მიმართულების, მაღალპროფესიულ მხატვრობას.

კარიბჭე, ეკლესიასთან შედარებით, მომცროა და მასთან ერთადაა გამოკვეთილი. იგი სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან შედგება, რ-ებიც ერ-



140. კარიბჭე. ეკლესიაში შესასვლელი

თმანეთისგან, ეკლესიის სამხრ. „კედლიდან“ გამოშვერილი, დაახლ. 2 მ სისქისა და 1,3 მ სიმაღლის კლდის მასივითაა გამიჯნული. კარიბჭის დას. კედელსაც კლდე წარმოადგენს, სამხრ-იდან კი, კამაროვანი ნაგებობის ჩრდ. კედლითაა მოზღუდული. იმის გამო, რომ კამაროვანი ნაგებობა, კარიბჭეზე ბევრად უფრო გრძელია, ამიტომ, კამაროვანი ნაგებობის ჩრდ. კედელი, კარიბჭის აღმ-ით მდებარე სათავსის კედელიცაა. ეს სათავსი იმდენადაა დაზიანებუ-



140. კამაროვანი ნაგებობა. ინტერიერი. ხედი დას-კენ

ლი და მცენარეულობით ისეა ჩახერგილი, რომ გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების გარეშე, კარიბჭის თავდაპირველი გეგმარების და ნაწილების ქრონოლოგიის ზუსტად დადგენა არ ხერხდება.

კარიბჭის დას. ნაწილის დას. კედელი საკმაოდ უსწორმასწოროა, ნაპრალოვანი, რის გამოც კლდის ზედაპირი, მოხატვამდე (შემორჩენილია ფრაგმენტები), გაუსწორებიათ და ნაპრალები აგურის ნატეხებითა და დუღაბით ამოუვსიათ.

კარიბჭის სამხრ. კედელში, კარიბჭეში შესასვლელი კარის ასწვრივ, დაბალი, სწორკუთხა სარკმელია, რ-იც გარედან კამაროვანი ნაგებობის კამარითაა დაფარული.

კამაროვანი ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა და ოდნავ აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (შიგნითა ზომები: 6,30x4,60 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, ქვიშაქვის დაუმუშავებელი ქვებით. შესასვლელი (შემორჩენილია ორივე წირთხლის ნაწილი) სამხრიდან აქვს. შიგნიდან, კარის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი ორი ნიშა აღმ. კედელშიც ყოფილა მოწყობილი (კედლის შუა ნაწილი განგრეულია. ნიშებიდან კი განაპირა გვერდები და ზურგის კედლის ნაწილია შემორჩენილი). თითოეული ნიშის ზემოთ გაჭრილი იყო სარკმელი, რ-თაგანაც თითო გვერდიღაა დარჩენილი. სათავსის დას. კედლის შუაში, მიწიდან 1,4 *მ* სიმაღლეზე, ოთხკუთხა, ორი საფეხურით შეღრმავებული ნიშაა, რ-შიც ალბათ ხატი იყო დაბრძანებული.

სათავსი გადახურული იყო თხელი, ნატეხი ქვებით გამოყვანილი კამარით (შემორჩენილია დას. ნაწილი), რ-იც ოდნავ შეისრული ფორმისაა.

გარედან შენობის აღმ. კედელი ქარაფის თავზეა. შენობას სამხრ.-აღმ. კუთხე მომრგვალებული აქვს. მეორე, ჩრდ.-აღმ. კუთხე კი, მონგრეულია. როგორც ჩანს, კედელი ჩრდ-ით, ეკლესიამდე იყო გაგრძელებული და კარიბჭის წინა ნაწილს აღმ-იდან ზღუდავდა. ამჟამად ამ ადგილას კლდე ჩაშლილია და კედლის კვალი არ ჩანს.

კამაროვანი სათავსის დას. კედლის უკან, კლდის სიღრმეში, სიცარიელეა (სათავსი?). ამ ადგილას მოხვედრა, სავარაუდოდ, კარიბჭის დას. კედლის სამხრ. ბოლოში არსებული გასასვლელით ხდებოდა. ამჟამად ამ სივრცეში შესასვლელი თითქმის მთლიანად მიწითაა ამოვსებული. მასში მოხვედრა, გაწმენდის გარეშე, შეუძლებელია.

ძ. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილადაა მიჩნეული.

თ. დვალი, ნ. ჩიხლაძე

ბიბლ.: 336.

ნინოწმინდა

(საკრებულოს ცენტრი)

141. ნინოწმინდა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ. მთისწინეთზე, ზ. დ. 800 *მ*-ზე, ქ. საგარეჯოდან 2 *კმ*-ზე. 2014 წლის აღწერით სოფ-

141. სოფ. ნინოწმინდა და წმ. ნინოს ტაძრის კომპლექსი. ხედი აღმ-იდან



ლის მოსახლეობის რაოდენობა 1904 კაცს შეადგენდა.

ნინოწმინდა კახეთის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. აქ მოპოვებული არქეოლ. მასალა ნათელყოფს, რომ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისისათვის ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას განვითარებული ჰქონია მეურნეობის მრავალი დარგი, მ. შ. მევენახეობა. ანტ. ეპოქაში ნინოწმინდიდან სოფ. მანავამდე ტერიტ. დაქსელილი იყო სარწყავი სისტემით, რ-შიც ნინოწმინდის რუც იყო ჩართული. ამ სარწყავ სისტემას თავისი მნიშვნელობა შუა საუკუნეების მანძილზე არ დაუკარგავს.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ნინოწმინდა საქართვ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლ. ცენტრად იქცა.

ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრის მნიშვნელობა დიდი იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. XVIII ს-ში, ჭერმის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ (1757 წ.), ეპარქიის მნიშვნელოვანი ნაწილი ნინოწმინდელის, კერძოდ კი, საბა ტუსიშვილის სამწყსოს მიუერთეს. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ნინოწმინდელი ეპისკოპოსის „ხელქვეშე“ იყვნენ გარეჯის უდაბნონიც.ნინოწმინდელს არქიმანდრიტიც ეწოდებოდა, რადგან გარეჯის უდაბნოთაგან ზოგი საარქიმანდრიტო, ხოლო ზოგი საწინამძღვროა. სოფელში, ნინოწმინდელის გარდა, საკუთარ ყმა-მამულს ფლობდა საქართვ. კათალიკოსიც.

გიორგი XI-ეს (1676-88; 1703-09 წწ.), რ-იც ქართლში ტახტის დაბრუნებისათვის იბრძოდა, იმავ დროს კახეთში არჩილის გამეფება სურდა. 1691 წელს, ბარძიმ მსაჯულთუხუცესის მეთაურობით, მან კახეთში ჯარი გაგზავნა. ბარძიმთან ერთად იყვნენ გივი ამილახორი და თამაზ სპასპეტი. ბარძიმი ჯარით ნინოწმინდაში დაბანაკდა. მას ნინოწმინდელი მასპინძლობდა. ქართლელებს კახეთიდან რევაზ ჩოლოყაშვილი შეუერთდა თავისი მომხრეებით. ნინოწმინდაში ქიზიყის მოურავი დუშიაც მისულა. ბარძიმის თავშეუკავებელი ბუნებისა და სიმთვრალის გამო, ქიზიყის მოურავსა და ბარძიმს შორის შეტაკება მომხდარა. ბარძიმი დაჭრილა. ქართლის ჯარი კახეთიდან უშედეგოდ გაბრუნებულა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ნინოწმინდასთან დუშია მოურავის მიერ ქართლელთა დამარცხებით დიდად გაუხარია კახეთის მმართველს აბასყული-ხანს, რ-იც შაჰის დავალებით ცდილობდა ხელი შეეშალა ქართლის ტახტზე გიორგი XI-ის დაბრუნებისათვის.

XVII–XVIII საუკუნეებში ნინოწმინდაში,როგორც ქართლიდან, ისე იმერეთიდან, მოსახლეობის ჩამოსახლების ინტენსიური პროცესები მიმდინარეობდა.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 176; 266დ; 314ა,გ; 321თ; 322ა,ბ,ვ.

142. სამონასტრო კომპლექსი, არქიტ., ისტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „დასავლით ერთვის იორს ნინოწმიდის ჭევი ... ამ ჭევზედ არს ნინოწმიდა, ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასუა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქუეყნისა ქისიყამდე“.

კომპლექსში შედის: წმ. ნინოს ტაძარი კარიბჭით, სამრეკლო, ორი სასახლე, მარანი, სამეურნეო ნაგებობები, გალავანი კარიბჭითა და ოთხი კოშკით. ნაგებობები სხვადასხვა დროსაა აშენებული. კომპლექსის საერთო ფართობია – 4 ჰა.


აქ არსებული, მჩქეფარე, სამონასტრო ცხოვრება აპირობებდა იმას, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ნინოწმინდა კახეთის საეკლ. და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. მონასტერს მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონია. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები, მღვდელმთავრები – ათონის ლიტერატურული სკოლის მოღვაწე არსენ ნინოწმინდელი (X-XI სს.), მიტროფანე და იოანე ნინოწმინდელები (XVIII ს.), მიტროპოლიტი საბა ტუსიშვილი (XVIII ს-ის II ნახევარი) და სხვ.

2003 წელს, საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრების განჩინებით, ჩამოყალიბდა საგარეჯო-ნინო-

142. წმ. ნინოს ტაძარი. ხედი სამხრ.-დას-იდან



142. გენერალური გეგმა: 1. წმ. ნინოს ტაძარი, 2. კარიბჭე, 3. სამრეკლო, 4. საბა ტუსის შვილის სასახლე, 5, 6. სასახლე, 7. ნაგებობის ნაშთი, 8. გალავნის კარიბჭე.



წმინდის ეპარქია, რ-ის მღვდელმთავრად წმინდა სინოდმა აირჩია დავითგარეჯის ლავრის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ლუკა (ლომიძე).


წმ. ნინოს ტაძარი დგას კომპლექსის ცენტრში. აგებულია VI საუკუნის მესამე მეოთხედში. ნაგებია მომწვანო, უხეშად ნათალი, არცთუ ისე სწორი ფორმის, დიდი ზომის ქვის კვადრებით. კედლების შიდა და გარე საპირე ქვებს შორის არსებული არე, ამოვსებულია ყორე ქვითა და კირის დუღაბით. კამარები და თაღები გამოყვანილია მოყვითალო შირიმით. შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ იგივე მასალა ყოფილა გამოყენებული კედლების ზედა ნაწილების წყობაში (ლავგარდნის ქვეშ არსებულ რიგებში) და გუმბათის ყელის მოსაპირკეთებლად, რაც ეკლესიის ერთ-ერთი რესტავრაციის პერიოდს უკავშირდება. გარდა ამისა, შირიმითაა აღდგენილი თავდაპირველი წყობის გამოფიტული ან დაზიანებული ადგილებიც.

ტაძარი რამდენჯერმეა შეკეთებული და გადაკეთებული. პირველად იგი XI-XII სს-ში შეუკეთებიათ: შეკრული კამარა შეუცვლიათ გუმბათის მრგვალი ყელით. მომდევნო ხანებში, შიგნით, კონტრფორსებით გაუმაგრებიათ გუმბათქვეშა თაღების საყრდენი კედლები. XVI

ს-ში კახეთის მეფემ ლევან II-მ (1520-1574 წწ.) „ჟამთა სიგრძისა და ვითარებისაგან ... მოშლილი და დაქცეული“ ტაძარი „მეორედ აღაშენა და შეამკო ყოვლითურთ“. ამ დროს აშენდა სამრეკლო, მოიხატა ეკლ. 1671 წელს ნინოწმინდელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზ ანდრონიკაშვილმა ტაძარს დას-იდან კარიბჭე მიაშენა. XVIII ს-ის II ნახევარში ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთა ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა საბა ტუსიშვილმა. საბას მოღვაწეობა დაწვრილებითაა აღნუსხული საბუთში, რ-იც „ანდერძისებრნი ღუაწანის“ სახელით არის ცნობილი. ამ საბუთის თანახმად, „ეკკლესიისა ამის ჩემისა გჳრგჳნ-გუმბათი ესრეთ დაძველებული იყო, რომ ნიადაგ შიშსა შინა ვიყუჩნით დაცემისათჳს. ჭელვქავ იმისად მტკიცედ განმყარებად ესრეთ, რომელ იგი, რომელიცა ძველ იყო, და მოვაქციე. და დაქცევასა ამას ზედა ჭირნი არა უმცირეს აღშენებისა იყუნეს, რომელ დიდად დაგვაშრომილა“. ე. ი. საბამ დაძველებული გუმბათი ახლით შეცვალა, ახ. იატაკი დააგო საკურთხეველში, ააგო ახ. კანკელი, ეკლესიასა და კარიბჭეს შეაბა ახ. კარები და განაახლა გალავანი. ახლად აგებული გუმბათი არ გამომდგარა – „ჭალი არ შეიმაგრა“, ამიტომ იგი დააქციეს და ხელახლა ააშენეს – „სამ გზის ჭელვჰყავ მაზედ მუშაკობადღ“. საბა, როგორც ჩანს, თვითონ ხელმძღვანელობდა მშენებლობას. გუმბათი 1824 წელს მომხდარი მიწისძვრის დროს დანგრეულა, 1848 წელს კი, დანგრეულა ტაძრის სხვა ნაწილებიც.


ამჟამად შემორჩენილია შენობის აღმ. ნახევარი და დას. ნახევრის ქვედა ნაწილი.

ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი ჯვრის ტიპის ძეგლთა უშუალო წინამორბედია და წარმოადგენს ტეტრაკონქის განვითარებულ სახეს. შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ტოლმკლავა ჯვარი, რ-ის ოთხივე მკლავი აფსიდითაა შემოსაზღვრული (შიდა ზომები: აღმ.-დას-ის ღერძზე – 20 მ, სამხრ.-ჩრდ-ის ღერძზე – 19 მ). გუმბათქვეშა სივრცის გაფართოების მიზნით, ცენტრ. კვადრატის კუთხეებში, ოთხ აფსიდს შორის, დიაგონალურ ღერძებზე, თითო მცირე სადგომია განთავსებული. ოთხივე სადგომი გეგმით სწორკუთხაა და მოკლე გვერდების მხარეს, ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. ამ ოთახებს გარკვეული ფუნქცია ეკისრებოდა. გარედან, როგორც




142. წმ. ნინოს ტაძარი. გეგმა

142. წმ. ნინოს ტაძარი. ჭრილი. ხედი აღმ-კენ



ჯვრის მკლავების აფსიდები, ისე მკლავებს შორის მდებარე სადგომები, მოხაზულია კედლების ნახევარწრეებით. მხოლოდ საკურთხევლის აფსიდის გარეთა კედლის ქვედა ნაწილშია შესამჩნევი ხუთწახნაგოვნების ტენდენცია.



142. წმ. ნინოს ტაძარი. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ


შესასვლელი სამია – დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამივე შესასვლელის თავზე თითო სარკმელი ყოფილა გაჭრილი.

საკურთხევლის აფსიდი თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი. მასში სამი დიდი სარკმელია, დანარჩენებში – თითო. საკურთხევლის ცენტრ. სარკმლის ქვეშ, კედელთან, შემორჩენილია საეპისკოპოსო ტახტის ნაწილი, რ-ის ორივე მხარეს, კედლის გაყოლებით, ეკლესიის მსახურთა ჩამოსაჯდომად განკუთვნილი, აგურით ნაწყობი საფეხურებია. საკურთხეველში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი, რ-ის ქვედა ნაწილი შირიმითაა ნაწყობი, ზედა კი – აგურით.

საკურთხევლის აფსიდის წინ ბემაა. იგი კედლების შეღრმავებითაა გამოყოფილი. ბემის ჩრდ. კედელზე მიშენებულია ნაგებობა (სიმ. დაახლ. 2,3 მ), მოზრდილი ოთხკუთხა ნიშით, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა.

ტაძრის კომპოზიციის ცენტრს გუმბათი და მის ქვეშ არსებული სივრცე ქმნის. გუმბათი ეყრდნობოდა რვა გუმბათქვეშა ბურჯს, რ-ებიც ერთმანეთთან გუმბათქვეშა თაღებით იყო დაკავშირებული. რვაგე ბურჯის ზემოთ გაჭრილი სარკმლიდან ქვედა ნაწილია დარჩენილი.

ეკლესიის დანარჩენი სამი მკლავი ძლიერ დაზიანებულია: დას. მკლავი სიმაღლის ნახევარზეა შემორჩენილი. მკლავის შუაში ნალისებრთაღიანი კარია გაჭრილი (სავარაუდოდ, კარის ღიობი XVII ს-ში დაუვიწროებიათ, თაღის ლუნეტი კი ამოუშენებიათ). დას. მკლავს, დას-იდან ჰქონდა პორტალი და კარიბჭე. მათი გამოფიტული ნაწილები შემორჩენილია 1671 წელს მიშენებულ აგურის კარიბჭეში. თავად პორტალი ნახევარსვეტებისგან შედგება, რ-ებიც ზედა ნაწილში ბურთულისმაგვარადაა დამრგვალებული. კარიბჭიდან კი, მხოლოდ გვერდითი კედლების ნაშთებია შემორჩენილი. ისინი ამუამინდელი კარიბჭის კედლებზე მიშენებული საფეხურების ნაწილს შეადგენს. ჩრდ-ით, თავდაპირველი კარბჭის კედლის ნაშთი მთელ სიგრძეზე იკითხება, სამხრ-ით კი – მხოლოდ აღმ. და დას. კუთხეებში. დას. შესასვლელის ზემოთ გაჭრილი სარკმლიდან ქვედა ნაწილია დარჩენილი.




142. წმ. ნინოს ტაძარი. აღმ. ფასადი

სამხრ. მკლავიდან შემორჩენილია კედლის წყობის დაახლ. ორი რიგი. ნაწილობრივაა შემორჩენილი ჩრდ. მკლავიც. აფსიდის ღერძზე, აქაც, კარია გაჭრილი. კარის გადამხურავი თაღის შემორჩენილი ნაწილი შირიმის მოყვითალო ქვისაა, რაც გვიანდ. შეკეთების შედეგია. მომდევნო ხანების შეკეთებებში აგურია გამოყენებული: შემცირებულია კარის ღიობი და იგი ერთ ქვაში გამოკვეთილი თაღითაა გადახურული. ეს ბოლო ცვლილებები XVII ს-ის II ნახევარში, დას. შესასვლელის გადაკეთებების დროსაა განხორციელებული. ამავე პერიოდშია მოწყობილი ტაძარში გარედან ჩამოსასვლელი კიბეც.

დამატებითი სადგომებიდან, მთელ სიმაღლეზე, მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე სადგომებიღა დგას. დანარჩენი ორიდან კი, კედლების ქვედა ნაწილებია შემორჩენილი.

ოთხივე სადგომი გეგმით სწორკუთხაა. აქვს ორი აფსიდი – აღმ-ით და დას-ით. ჩრდ.-აღმ სადგომის შუა ნაწილი, ტაძრის ძირითად, გუმბათქვეშა სივრცესთან ფართო თაღითაა დაკავშირებული, რ-ის სიმ. 3,5-4 მ-ია. სადგომში შემოსასვლელი კარი, გარედან, მთლიანი ქვის ბლოკითაა გადახურული. მოგვიანებით შესასვლელი ამოუშენებიათ და შიგნით ბრტყელი ნიშა მოუწყვიათ. აღმ. აფსიდში მცირე ზომის, თაღოვანი სარკმელია, რ-ის ქვემოთ, მოგვიანებით დადგმული ტრაპეზია. დას. აფსიდში გაჭრილია კარი (გვიანდელია), რ-იც ჩრდ. მკლავის ბემაში გადის. ამ კარის ორივე წირთხლი აგურითაა ამოშენებული. სადგომის იატაკი, ტაძრის საკურთხევლის და დანარჩენი ნაწილების იატაკთან შედარებით, ორი საფეხურით დაბლაა. სადგომის ცენტრ. ნაწილი გადახურულია კოლოფა კამარით. სადგომის ზემოთ, ერთიმეორის თავზე განლაგებული, მცირე ზომის თითო სათავსია, რ-ებიც სამალავად გამოიყენებოდა. სათავსებში მოსახვედრად, გუმბათქვეშა სივრცესთან დამაკავშირებელი თაღის თავზე აღმართულ კედელში, სხვადასხვა სიმაღლეზე, მოწყობილია ორი ოთკუთხა ხვრელი.

გუმბათქვეშა სივრცესთან თაღითაა დაკავშირებული სამხრ.-აღმ. კუთხის სადგომიც. იგი მაღალია და ზემოთ-



142. წმ. ნინოს ტაძარი. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ (რეკონსტრუქცია)

142. წმ. ნინოს ტაძარი. ხედი აღმ-იდან





142. წმ. ნინოს ტაძარი. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ტაძრის გუმბათის ქელი, რ-იც მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი, შიგნიდან მრგვალია, გარედან კი – რვაწახნაგოვანი. იგი, ისევე როგორც თაღებისა და კამარების შემორჩენილი ნაწილები, გვიანდელია და რიგი ნიშნების საფუძველზე, ტაძრის პირველი რესტავრაციის პერიოდს, XI-XII საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს. სარკმლები, სავარაუდოდ, გუმბათის ქელის მხოლოდ ღერძულ წახნაგებში იყო გაჭრილი (შემორჩენილია აღმ., ღერძულ წახნაგში მდე-

კენ ოდნავ ვიწროვდება. თაღის თავზე აღმართულ, არცთუ ისე მაღალ კედელში, მოწყობილია ისეთივე კვადრ. ღიობი, როგორიც ჩრდ.-აღმ. სადგომის თაღის ზემოთ არსებულ კედელშია. ამ სადგომში გარედან შესასვლელი კარი ამოშენებულია. იგი, ჩრდ.-აღმ. სადგომის კარის მსგავსად, ქვის ზღუდრით თარაზულად არის გადახურული. აღმ. აფსიდშიც ვიწრო სარკმელია გაჭრილი, რ-ის ქვემოთ, კედელზე მიყრდნობილი, შირიმით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. მოგვიანებით, ამ სადგომის დას. აფსიდშიც კარი გაუჭრიათ, რ-ის წირთხლები აგურის წყობითაა გასწორებული. სადგომის გადახურვა ბრტყელია, გამოყვანილია შირიმით. იგივე მასალითაა ნაწყობი და თითქმის იგივე ფორმა აქვს აფსიდალური ნაწილების გადახურვასაც.

ჩრდ.-დას. სადგომის კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი. სადგომის გარეთა შესასვლელი რიყის ქვითაა ამოშენებული. აღმ-ით მდებარე სადგომების მსგავსად, ეს სადგომიც მხოლოდ ერთი სარკმლით იყო განათებული, ოღონდ აქ იგი დას. აფსიდშია გაჭრილი.

სამხრ.-დას. სადგომი მთლიანად დანგრეულია.



142. წმ. ნინოს ტაძარი. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

ბარე სარკმლის ქვედა ნაწილი). გუმბათქვეშა რვაკუთხედიდან გუმბათის ყელის საფუძვლის



142. წმ. ნინოს ტაძარი. ინტერიერი. საკურთხევლის აფსიდი. კონქის მოხატულობა

წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა განხორციელებულია კუთხეების თავზე მოწყობილი, პატარა თაღებით, რ-თა ზემოთ,



142. წმ. ნინოს ტაძარი. ინტერიერი. საკურთხევლის აფსიდი. კონქის მოხატულობა. მთავარანგელოზი მიქაელი

გუმბათის ყელის საფუძვლის დონეზე, ოდნავ გამოშვერილი, თაროსებრი სარტყელია გამოყვანილი. გუმბათის ყელი და მის ქვემოთ არსებული ყველა კონსტრ. ელემენტი (კამარები, თაღები) შირიმის ქვითაა ნაწყობი. ქვები არათანაბარი ზომისაა და არ წარმოქმნის სწორხაზოვნად გამავალ რიგებს.

ტაძრის აღმ. ნაწილში შემონახულია მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ი ს (XVI ს-ის 50-იანი წლები) მეტად დაზიანებული ფრაგმენტები. მოხატულობის ქტიტორი არის კახეთის მეფე ლევანი.

საკურთხევლის მხატვრობა სამ რეგისტრადაა დაყოფილი. კონქში წარმოდგენილია ზურგიან ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლისა და ყრმა ქრისტეს ფრონტალურად გამოსახული ფიგურები. ყრმას მარჯვ. ხელი, კურთხევის ნიშნად, ზემოთ აქვს აპყრობილი, მარცხ. – ქვემოთ უჭირავს (ამ მონაკვეთზე ნალეხობა ჩამოცვენილია). ტახტის წინ ფეხსადგამის ფრაგმენტია შემორჩენილი.

ღვთისმშობლის მარცხნივ და მარჯვნივ, მისკენ 3/4-ით შებრუნებული, ორი მთავარანგელოზი დგას. ქართ. ასომთ. წარწერების თანახმად, მარცხნივ მიქაელია, მარჯვნივ – გაბრიელი.

კონქის კომპოზიცია დიდი ზომისაა. მას არა მარტო მთელი კონქი, არამედ აფსიდის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს. რეგისტრის მოწითალო-ყავისფერი ხაზი, რ-იც შემოსაზღვრავს ამ კომპოზიციას, განლაგებულია აფსიდის სარკმლების თავზე, მათგან მცირე მანძილის დაშორებით.

აფსიდის კედელზე განლაგებული ორი რეგისტრი, კონქის კომპოზიციასთან შედარებით, ბევრად მცირე ზომისაა. მეორე რეგისტრი შემოსაზღვრულია აფსიდის სარკმლების ძირის დონეზე. მესამე რეგისტრი ამჟამად განადგურებულია, მაგრამ მისთვის განკუთვნილი კედლის მონაკვეთის ზომა მიუთითებს, რომ იგი მეორე რეგისტრთან შედარებით, უფრო პატარა უნდა ყოფილიყო.

მეორე რეგისტრის სამხრ. ნაწილში დარჩენილია 3/4-ით წარმოდგენილი ხუთი მოციქულის, ხოლო ჩრდ-ით – ორი მოციქულის ფრაგმენტი. ფიგურები მოჩარჩოებულია მრავალფრთიანი შეისრული თაღებით. მესამე რეგისტრში, როგორც ჩანს, ეკლესიის მამები იყვნენ გამოსახული.

ბემის კამარაში, ცენტრში, წარმოდგენილი იყო ქრისტეს წელზედა ფიგურა. შემორჩა მისი ჰიმატიონის ფრაგმენტი და სფერო, რ-ზეც ჯვარია აღმართული. ზევით გამოსახულია სული წმინდა. ქვევით, ბემის კამარის ჩრდ. და სამხრ. გვერდებზე, მთელი ტანით, თითო მთავარანგელოზია გამოსახული. ისინი ფრონტალურად დგანან, ცალი ხელი ზემოთ აქვთ აწეული (გაირჩევა სამხრ. მხარეს).

ბემის კედელზე მხატვრობა სამ რეგისტრად არის დაყოფილი. თითოეულ რეგისტრში თითო წმინდანია გამოსახული. პირველ რეგისტრში მოცემული დიდი ზომის წმინდანების ვინაობა უცნობია.

ბემის მეორე და მესამე რეგისტრებში თითო მოციქული და ეკლესიის მამა იყო წარმოდგენილი.

შედარებით კარგად შემორჩა სატრიუმფო თაღის სოფიტის მოხატულობა. აქ, მედალიონებში ჩაწერილი ათი წინასწარმეტყველის წელზედა ფიგურაა გამოსახული. მათ გაშლილი გრაგნილები უპყრიათ ხელთ.

წინასწარმეტყველთა სახელები ქართ. ასომთ. დამწერლობითაა შესრულებული.


წმინდანთა ფრაგმენტები დარჩენილია აგრეთვე გუმბათქვეშა სამხრ. აღმ. და ჩრდ.-აღმ. ბურჯებზეც. ჩრდ.-აღმ. ბურჯის სამხრ. მხარეს, ზედა ნაწილში გაირჩევა მესვეტის გამოსახულება. ქვევით, ბურჯების ნიშებში, წარმოდგენილი იყო თითო მოციქული და ეკლესიის მამა, რ-ებიც აგრძელებდნენ აფსიდისა და ბემის კედლებზე განლაგებული მეორე და მესამე რეგისტრების ფიგურების რიგს.

ორი სცენის ფრაგმენტია შემონახული ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხის სათავსებში, შესასვლელთა თავზე, თაღებით მოჩარჩოებული კედლების მონაკვეთებზე: ჩრდ-ით იკითხება „სამი ჭაბუკი სახმილსა შინა“, სამხრ. სცენის მეტი ნაწილი დაზიანებულია (ჩანს მთიანი პეიზაჟი).

მოხატულობაში გამოყენებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტის მოტივები, რ-ებიც ამკობდნენ სატრიუმფო თაღის წინაპირს, კუთხის სათავსებში შესასვლელების თავზე განლაგებულ თაღებს, აფსიდის მხრებს და სხვ.


ტაძრის მოხატულობა XVI საუკუნის ქართ. მონუმ. მხატვრობის რიგი ძეგლების (გრემი, ძველი და ახალი შუამთა, ალავანი და სხვ.) მსგავსად შესრულების პროფესიული დონით გამოირჩევა. აქაც მკაფიოდ ჩანს პალეოლოგოსთა ხელოვნების მხატვრული ტრადიციები, რ-ებიც ნინოწმინდის ოსტატთა მიერ, ეპოქის შესაბამისად არის გააზრებული. მხატვრობის კოლორიტში გაბატონებულია სხვადასხვა სიძლიერის მოწითალო-ყავისფერი, ყვითელი, მუქი ყავისფერი და ლურჯი. აგრეთვე გამოყენებული იყო ოქრო, რ-იც ისევე როგორც საკურთხევლის ცენტრ. კომპოზიცია, საზეიმო ხასიათს ანიჭებდა ამ მოხატულობას.

გარედან, საკურთხევლის შვერილზე, ამოკვეთილია ხუთი მოკლე წარწერა, რ-თაგან ოთხი ასომთ. დამწერლობითაა შესრულებული. მეხუთე წარწერის ნაწილი ბერძნულია, ნაწილი კი უცნობი ასოებითაა დაწერილი. წარწერების გვერდით ამოკვეთილია მორთულობის ცალკეული ელემენტები. ქვემოთ წარწერაში ვედრებაა. მათ-




142. სამრეკლო. მეორე სართულის გეგმა

გან საკურთხევლის შვერილის სამხრ.-აღმ. წახნაგზე, სარკმლის ქვემოთ, შემდეგი წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე სტეფანე არქიეპისკოპოსი“. საკურთხევლის შვერილის ჩრდ.-აღმ. წახნაგზე – „ქრისტე მოიჯსენენ სული ბაკურდუხტისი“. ჩრდ. წახნაგზე – „ქრისტე შეიწყალე კაცაი“. ამავე წახნაგზე, ოღონდ სხვა ქვაზე – „ქრისტე შეიწყალე



142. სამრეკლო. მესამე სართულის გეგმა


თევდორე“.აკად. ა. შანიძე პირველ და მეორე წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნებით, X-XI სს-ით ათარიღებს. თ. ბარნაველის ვარაუდით, დანარჩენი ორი წარწერაც იმავე ხანას განეკუთვნება.



142. სამრეკლო. ჭრილი. ხედი აღმ.-კენ

აღმ. წახნაგზე უცნობი ასოებით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერაა. ა. შან-

იძე მას „ჰერეთულს“ უწოდებს. დღემდე ამ წარწერის წაკითხვის სამი ცდაა ცნობილი. მ. შ. ორი ს. კაკაბაძეს ეკუთვნის, ერთი – პ. ინგოროყვას. პ. ინგოროყვა წარწერას V-VI საუკუნეების მიჯნით ათარიღებს. ს. კაკაბაძე კი – VI საუკუნის შუა ხანებით. ამავე პერიოდით ათარიღებს იგი საკუთრივ ტაძარსაც.



142. სამრეკლო. დას. ფასადი



142. სამრეკლო. ხედი სამხრ.-დას-იდან

1955 წელს, ტაძრის ინტერიერში, საკურთხევლის ბემის ჩრდ. კედლის ზედა ნაწილში, თ. ბარნაველმა შენიშნა კიდევ ორი წარწერიანი ქვა. მ.შ. ერთზე ასომთ. დამწერლობით შესრულებული წარწერაა: „ქრისტე, შეიწყალე სტეფ[ანე]“. ამ წარწერის მარცხნივ, ცალკე ქვაზე, გამოყვანილია რელიეფური, ასომთ. ასო – „ტ“. მის გვერდით კი ერთი ასოს ნაშთია. მკვლევრის აზრით ეს წარწერიანი ქვა, წყობაში, ტაძრის შეკეთების დროს უნდა იყოს ჩატანებული. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ წარწერის ნაშთი, ტაძრის აშენების ხანას, ე. ი. VI საუკუნის მესამე მეოთხედს მიეკუთვნება.

დას-იდან მიშენებული კარიბჭე გეგმით თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 6,5 *მ*, სიგ. – 6,7 *მ*). ნაგებია შერჩეული, კარგი ხარისხის, კვადრატ. აგურით (24x24x4 *სმ*). შესასვლელი დას-იდან აქვს. კარი შეისრულთაღოვანია. კარიბჭის ცენტრ. ნაწილი გუმბათოვანი თაღითაა გადახურული.

კარიბჭის შიგნით, ეკლესიაში შესასვლელის თავზე ჩასმულ ქვის ფილაზე, მხედრ. დამწერლობით შესრულებული წარწერაა: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჰელ-ეყავ გა-

ნახლებად ენდრონიკაშვილმა ნინოწმიდელმა ნიკოლოზ და განვაახლე გარეთ აგურითა, და-



142. სამრეკლო. დას. ფასადი. დეტალი

ვახატვინე კანკელი და შევამკევ სრულიად და აღვაშენე კარის ბჭე. ჱ: შემწეო ჩემო და შემდგომად ღვთისა და მშობელისა მისისა შესავედრელო წმიდაო ნინო, შეიწირე მცირე ესე ნაშრომი და ნაცვლად მაგე დღეს მას დიდსა განკითხვისასა, ამინ. ქორონიკონსა ტნთ“. წარწერის თანახმად, კარიბჭე 1671 წელს აუშენებია ეპისკოპოსს ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს (ამ წლის რესტავრაციას მიეკუთვნება არა მარტო კარიბჭე, არამედ აგურის ლავგარდანი ტაძრის აფსიდალურ შვერილებზე და აგურით შესრულებული, მცირე შეკეთებები). XIX ს-იდან დღემდე, კარიბჭეს ეკლესიად იყენებენ.

კარიბჭის დას. ფასადის შუა ნაწილში, საფეხურით შეღრმავებული, ხერხულა ლავგარდნით დასრულებული არეა, რ-შიც მოთავსებულია შესასვლელი და მის ზემოთ არსებული სარკმელი. ამ არის ზემოთ, საფეხურებიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვრის შეღრმავებული გამოსახულებაა. ფასადის გვერდით მონაკვეთებში, მიწიდან დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე, მოწყობილია თითო შეისრულთაღოვანი ნიშა. სამხრ. და ჩრდ. ფასადების შუაშიც, მთელ სიმაღლეზე, საფეხ-

სამსაფეხურიანია. იგი კუთხით შვერილი და სიგრძივ დაწყობილი აგურის რიგების მონაცვლეობისგან შედგება. კარიბჭე აგურით დაბურული, ორკალთა სახურავითაა გადახურული.


ტაძრის ჩრდ.-აღმ-ით, 15 *მ*-ზე, დგას ოთხსართულიანი სამრეკლო (7x7 *მ*) – სიდიდით ერთ-ერთი პირველთაგანი საქართველოში და თავისი დროის აგურის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშთაგანი. აგებულია XVI ს-ის შუა წლებში. სამრეკლოს სამი სართული ნაგებია ე. წ. ქართ. აგურით (24x24/25x4 *სმ*), მეოთხე – განსხვავებული ზომის (27x13x4, 5/5 *სმ*), ლეკალური აგურით.

პირველი სართული სქელკედლებიანი, კვადრატ. სადგომია, რ-ის ყოველ მხარეს, კედლის მთელ სიგანეზე, მცირე სიღრმის, შეისრულთაღოვანი არეა. შესასვლელი დას-იდანაა. კარიც შეისრულთაღოვანია. შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, აღმ. კედელში, ბუხარია. ჩრდ. კედელში – ერთი პატარა, მცირე სიღრმის ნიშა, ხოლო სამხრ. კედელში – მეორე სართულზე ასასვლელ კიბის უჯრედში შესასვლელი. იგი იატაკის დონიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზეა და შეისრული თაღი ხურავს. პირველი სართული გადახურულია აგურით ამოყვანილი, კუთხის აფრებზე დამყარებული, გუმბათოვანი კამარით.

მეორე სართული რვაწახნაგაა. მისი კედლები სიმაღლეში ორ ნაწილადაა გაყოფილი. კედლების ქვედა რიგში ბუხარი, კარები და სწორკუთხა ნიშებია განლაგებული, ზედაში კი – გარეთკენ ამაღლებული შეისრულთაღოვანი სარკმლები, რ-ებსაც საფეხურებად დამუშავებული, გრძელი რაფა აქვთ. სარკმლები სამხრ. და ჩრდ. წახნაგებშია განლაგებული. დანარჩენ წახნაგებში კი (დას. წახნაგის გარდა), სარკმლის ანალოგიური, მცირე სიღრმის ნიშაა. სართული გადახურულია ოდნავ დადაბლებული, შეკრული კამარით, რ-ის თითოეული მონაკვეთი აგურის წიწვისებრი წყობითაა გამოყვანილი. სართულის სამხრ.-აღმ. და ჩრდ.-აღმ კუთხეებში მდებარეობს თითო მცირე ზომის, სარკიანი კამარით გადახურული, სწორკუთხა სათავსი, რ-თა დას. კედელში მცირე ზომის თითო ნიშაა. თითო პატარა, სწორკუთხა ნიშაა სამხრ.-დას. და ჩრდ. წახნაგებში. სართულზე კიბიდან ვხვდებით, საკმაოდ მაღალი, შეისრულთაღოვანი ღიობით, რ-იც მოგვიანებით დაუვიწროებიათ და იმდენად დაუდაბლებიათ, რომ მასში ადამიანი წელში მოხრილი თუ შევა. ღიობის გვერდში ჩატანებულია მოჩუქურთმებული ქვის ფრაგმენტი, რ-იც დიდი ალბათობით, სამხრ. შესასვლელის მოჩარჩოების ნაწილი უნდა იყოს. სართულის ჩრდ.-დას. წახნაგში მესამე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედში შესასვლელია. კიბე დას. კედლის სისქეშია მოწყობილი.

მესამე სართული გეგმით კვადრატულია. შესასვლელი დას-იდანაა. აღმ. კედელში ბუხარია მოწყობილი, რ-ის გვერდებ-

ზე თითო მცირე ნიშაა. ორივე ნიშაში თითო ვიწრო სარკმელია გაჭრილი. სამხრ. კედლის



142. საბა ტუსისშვილის სასახლე. I სართულის გეგმა

სისქეში პატარა, მოგრძო ოთახია (სამლოცველო?), რ-საც, აღმ-ით და სამხრ-ით, თითო პატარა სარკმელი აქვს. ოთახი სარკიანი კამარითაა გადახურული.ოთახში,შესასვლელი კარის გვერდით, კვადრ. სივრცეა, რ-იც სამხრ-ით განიერი თაღითაა გახსნილი. დას. კედელში კი, სამრეკლოს მეოთხე სართულზე ასასვლელი კიბის ქვეშ, ღრმა ნიშაა მოწყობილი. ერთი სარკმელი სართულის ჩრდ. კედელშიცაა. ეს სართულიც გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, რ-ის წრიული საფუძველი შექმნილია სართულის ოთხივე კუთხეში განლაგებული აფრებით.


მეოთხე სართულზე ასასვლელი კიბე დას. კედლის სისქეშია,მესამე სართულზე ასასვლელი კიბის გაგრძელებაზე. სამხრ.-დას. კუთხესთან იგი უხვევს, სამხრ. კედლის სისქეში გადის და რამდენიმე საფეხურით სამრეკლოს კორპუსის დამასრულებელი ბაქნის აღმ. ნაწილში ადის.

ბაქანზე დადგმულია რვაწახნაგოვანი, გუმბათოვანი კამარით გადახურული ფანჩატური, რ-იც დასრულებულია მაღალი, პირამიდისებრი ფორმის, რვაწახნაგა სახურავით.

ფასადები თითქმის ერთნაირად არის დამუშავებული. მორთულობის პრინციპი წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, მარტივი ფიგურების კომბინირებითაა შედგენილი. ფასადთა პლასტიკური დამუშავების ძირითადი საშუალებებია რომბები და ვრცელი, ოთხკუთხა არეები, რ-ებშიც ჩასმულია შეისრულთაღოვანი, ბრტყელი ნიშები. ნიშებში კი, თავის მხრივ, თითო მოზრდილი, მრავალსაფეხურიან კვარცხლბეკზე დადგმული ჯვარია მოთავსებული. ჯვრების დიდი ნაწილი გამოყვანილია წყობიდან სანახევროდ გამოშვერილი აგურებით, ნაწილი კი, რ-ებსაც დანარჩენებისგან განსხვავებით ტეხილხაზოვანი კონტური აქვს, წყობაშია შეღრმავებული. შეღრმავებული, სწორკუთხა არეების ზედა კუთხეებთან, სიბრტყის ის ნაწილები, რ-ებიც ბრტყელი ნიშების თაღების მიღმაა დარჩენილი, დამუშავებულია აგურის ფიგურული წყობით, რაც თითოეულ ფასადზე დამატებით, დეკორატ. მახვილებს ქმნის.

სამრეკლოს ოთხივე ფასადი, რომბების მწკრივით შედგენილი ოთხ-ოთხი ზოლით, სიმეტრიულადაა დანაწევრებული. მ. შ. სამი – ვერტიკალურია, ხოლო მეოთხე – თარაზული. ვერტიკალური ზოლებიდან ორი ფასადის კიდეებს მთელ სიმაღლეზე აუყვება. მესამე კი,მათ შორისაა – შუაში. იგი განაპირა ზოლებთან შედარებით მოკლეა და ფასადის სტრუქტურიდან გამომდინარე, სხვადასხვა სიგრძე აქვს. მეოთხე, თარაზული ზოლი ფასადების ქვედა ნაწილშია, პირველი სართულის ღონეზე.

ფასადებიდან მთავარი დას. ფასადია (ჩრდ. ფასადის 3/4 სასახლის კორპუსითაა დაფარული. აღმ. ფასდის ქვედა ნახევარი კი – გალავნის შესაბამისი კედლით). ფასადის ქვედა ნაწილის ცენტრში



142. საბა ტუსისშვილის სასახლე. II სართულის გეგმა

ღრმა, შეისრულთაღოვანი არეა, რ-შიც სამრეკლოს შესასვლელია მოთავსებული. ამ არის გვერდებზე, ერთიმეორის თავზე, ორ-ორი შეღრმავებული, ვიწრო, მაღალი არეა. ოთხივეში ჩასმულია თითო შეისრულთაღოვანი ნიშა, რ-თაგანაც ზედები ბრტყელია,ქვედები კი – გეგმით ნახევარწრიული.

მეორე სართულის კედლის სიბრტყე დანაწევრებულია ორი შეღრმავებული, სწორკუთხა არით, რ-ებიც რომბებით შედგენილი, ვერტ. ზოლითაა გამიჯნული. ორივე არეში ოდნავ შეღრმავებული,შეისრულთაღოვანი, ბრტყელი ნიშაა, რ-შიც თითო რელიეფური ჯვრის გა-

მოსახულებაა. ამ სართულის დანარჩენი ფასადებიც ანალოგიურად არის დამუშავებული.


მესამე სართულის დონეზე, ფასადის შუა ნაწილში, ოთხკუთხა, შეღრმავებული არეა, რ-შიც მოთავსებულია საფეხურით შეღრმავებული, შეისრული თაღით დასრულებული, ბრტყელი ნიშა. ამ უკანასკნელში კი ⊥ ჯვარი. ანალოგიურია ამ სართულის აღმ. ფასადიც.

სამრეკლოს სამხრ. ფასადის პირველი და მეორე სართულების დეკორატ. დამუშავების სტრუქტურა მსგავსია. ოღონდ პირველ სართულზე გამოსახული ორივე ჯვარი რელიეფური კი არ არის, არამედ წყობის შეღრმავებითაა გამოყვანილი.

ფასადის ზედა ნაწილის ცენტრში, მესამე სართულის დონეზე, დას. და აღმ. ფასადების მსგავსად, სწორკუთხა, ბრტყელი თაღით აღჭურვილი, შეღრმავებული არეა, რ-ის ცენტრში შეისრულთაღოვანი ღიობია. მსგავსადაა გადაწყვეტილი სამრეკლოს მესამე სართულის ჩრდ. ფასადიც.

სამრეკლოს სწორკუთხა ნაწილის ლავგარდანი, ისევე როგორც ფანჩატურისა, საფეხუროვანია. იგი სიგრძივ დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით შედგენილი რიგების მონაცვლეობითაა გამოყვანილი. ფანჩატურის მორთულობის ელემენტები ლეკალური აგურითაა ნაწყობი. წიბოებს ლილვი აუყვება, რ-ებზეც შეისრული თაღებია გადაყვანილი. თაღების წვერზე დაყრდნობილია ტოლმკლავა ჯვარი. ჯვრის ზედა მკლავი მიყრდნობილია ჰორიზ. ლილვზე, რ-იც ლავგარდნის ქვეშ არსებულ არეს ქვემოდან საზღვრავს. ეს არეები ერთმანეთისგან გამიჯნულია წიბოების ამყოლი ლილვით, რ-საც გვერდებიდან თითო მოკლე ლილვი ისე აქვს მიდგმული, რომ ისინი ჯვრის სახეს ქმნის.

ს ა ს ა ხ ლ ე დგას კომპლექსის ჩრდ.-დას. კუთხეში, სამრეკლოსა და გალავნის ჩრდ. კუთხის კოშკს შორის, სპეციალურად მოსწორებულ ბაქანზე. იგი ზურგით გალავნის ჩრდ.-აღმ. კედელს ებჯინება. აგებულია 1774-77 წლებს შორის ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბა ტუსისშვილის მიერ. სასახლის მშენებლის შესახებ იგი თავად აღნიშნავს: „შემდგომად ზემოწერილისა მის რეკლოსა და გალავნის ჩრდ. კუთხის კოშკს შორის, სპეციალურად მოსწორებულ ბაქანზე. იგი ზურგით გალავნის ჩრდ.-აღმ. კედელს ებჯინება. აგებულია 1774-77 წლებს შორის ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბა ტუსისშვილის მიერ. სასახლის მშენებლის შესახებ იგი თავად აღნიშნავს: „შემდგომად ზემოწერილისა მის ვიღვაწე კვალად, და აღვაშენე სასახლე ეკლესიისა ამის გალავანსა შ˘ა, ზღუდის კერძოდ, სამრეკლოსა და ბურჯს შუა, მარნის გვერდზედ. სასახლე ესე არს ქვითკირისა, ძირს არს სამი სახლი: ორი საწოლი, და ერთი დიდი; და ზედეთ სახლი



142. საბა ტუსისშვილის სასახლე. თახჩის მოჩუქურთმებული ხის კარი (ლ. რჩეულიშვილის მიხედვით)

სამი: თავსა და ბოლოს საწოლი და საშუალ აივანი ყოვლითა, და სრულითა თჳსითა განწყობილებითა: და სასახლისა ამის წინარე, დაბლა და მაღლა, აივნები“.

XIX ს-ში სასახლის მარჯვ. ფრთა დაანგრიეს და სანაცვლოდ ულაზათო, დარბაზული სამლოცველო ჩააშენეს.

სასახლე ორსართულიანია, წარმოადგენს გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს (20x7 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. ქვედა სართულის შესასვლელი აგურისაა. ყოველ სართულზე სამ-სამი ოთახია. ოთახების განლაგება ორივე სართულზე მსგავსია: მარჯვნივ და მარცხნივ კვადრ. ოთახებია, შუაში – წაგრძელებული სწორკუთხა. პირველი სართული საზამთრო საცხოვრ. იყო, ამიტომ ოთახებში ბუხრებია მოწყობილი. ზედა სართულზე არის აივანი, ლოჯია, რ-საც შენობის სიღრმე უჭირავს, ისე როგორც მის ქვემოთ მდებარე, დახურულ ოთახებს. პირველ სართულზე ყველა ოთახს ეზოდან თავისი დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. დიდ ოთახში ორი სარკმელია, განაპირებში – თითო. ოთახები ერთმანეთს ერთ ხაზზე განლაგებული გასასვლელებით უკავშირდება.


მეორე სართულზე ასვლა გარედან მიდგმული ხის კიბით შეიძლებოდა. ახლანდ. შესასვლელი, რ-იც ჩრდ. კედელშია გაჭრილი, გვიანდელია.

შენობის ზურგის კედელი ყრუა. იატაკი ორივე სართულზე კვადრ. აგურითაა მოგებული. კედლები გაჯითაა შელესილი. სასახლის ინტერიერის მხატვრული გაფორმებისათვის კედლებში მოწყობილია ნიშები და განჯინები, რ-ებიც შემკულია ხის ორნამენტითა და თაბაშირის პროფილიანი ლავგარდნებით. პირველ სართულზე, ერთ-ერთ პატარა ოთახში, ჭერი შელამფულია და ლამფაზე თევზიფხური წყობით, გამოყვანილი ფრიზია. ფრიზს ვიწრო ლარტყებია მიკრული, ქვემოთ – დიდი, იატაკის დონი-



142. საბა ტუსიშვილის სასახლე. ხედი სამხრ.-დას-იდან

142. მარანი და გალავნის ჩრდ.-აღმ. კოშკი. გეგმა



რ-ებიც სწორკუთხა უჯრებად ყოფს პლაფონის ზედაპირს. ოთახს, ჭერიდან 30 სმ-ის დაშორებით, გარშემოუყვება გაჯით გამოყვანილი თარო. კედლებში სიმეტრიულად განაწილებული თახჩებია. მეორე სართულზე, ოთხივე კედელზე, ნალესობაში

დანვე დაწყებული ნიშები, რ-ებსაც აჟურული ხის კარები აქვს. დას. კედლის შუაში, ორ დიდ ნიშას შორის მოქცეული, სწორკუთხა თახჩის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ამოჭრილია სამლი სამხრ-იდან ყოფილა. იგი აგურისაა. გადახურული იყო ხის კოჭებიანი კონსტრუქციით (ჩრდ. კედელში შემორჩენილია კოჭების ბუდეები). კარი თაღოვანია. თაღს გეომეტრიული ორნამენტი შემოუყვება. საწნახელი (7,5x2 მ) ჩრდ. კედელზეა მიშენებული. იგი ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი – თეთრი და შავი ყურძნის ცალ-ცალკე დასაწურად. შემორჩენილია ხუთი ქვევრი (ზოგის მოცულობა 10 კუბ მ-ს აღწევს).

მარანი გადახურული ყოფილა ხის კოჭებით (ჩრდ. კედელში შემორჩენილია კოჭების ბუდეები).

კომპლექსის ჩრდ.-დას. კუთხეში, სპეციალურად მოსწორებულ ბაქანზე, დგას ძვ. სასახლე (ფართ. – 100 კვმ, კედლების სისქე – 1 მ). ძ. განკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ ქვედა სართულის კედლების ნაწილები (სიმ. – 2-4 მ). 1981-82 წლებში ძვ. სასახლის ჩრდ. და დას. კედლების ზედა ნაწილები გაუსწორებიათ და ბეტონის ხსნარით გაუმაგრებიათ.

სასახლეში შესასვლელი (სიმ. – 2,5 მ, სიგ. – 2 მ) სამხრიდან ყოფილა. სამხრ. კედლის ცენტრში დიდი, თაღოვანი ბუხარია (სიმ. – 2,5 მ, სიგ. – 2 მ, სიღრმე – 1,5 მ). ბუხრის ადგილი კედლის გარეთა მხრიდან გამოწეულია.

ბაქანი, რ-ზედაც სასახლე დგას, სამხრ-იდან გამაგრებულია დიდი ლოდებით აგებული კედლით (სიმ. – 1,5 მ). წყობა მშრალია.

ტაძარი შემოვლებულია მაღალი, გეგმით ხუთკუთხა მოხაზულობის, ქონგურებით დასრულებული გალავნით (პერიმეტრი დაახლ. – 215 მ, საშ. სიმ. – 7 მ, სისქე – 1,5 მ), რ-ის თითოეული კედელი მრავალი სათოფურითაა აღჭურვილი და გამაგრებულია




142. მარანი. ხედი აღმ-იდან. უკანა პლანზე: ძვ. სასახლე

კუთხა დაბოლოების მქონე პატარა საჭრაქეები. საჭრაქეების თავზე გაჯის ფილაში გამოჭრილი, აჟურული როზეტებია. ფრიზს ზემოთ დაბალი, სწორკუთხა თახჩებია განლაგებული.


სასახლის ეზოსკენ მიმართული ფასადის მეორე სართულზე, ცენტრალურ ნაწილში, მსუბუქი ლოჯიაა ხის სვეტებითა და მოაჯირით. მას შენობის მთელი სიგრძე უჭირავს, ისე როგორც მის ქვემოთ მდებარე, დახურულ ოთახს. ლოჯიის ორივე მხარეს ხის ცხაურებიანი თითო, ორსართულიანი, ფართო, სწორკუთხა ფანჯარაა. ამგვარი მსუბუქი და ახლებური გადაწყვეტით დარღვეულია ამ პერიოდის კახეთისათვის დამახასიათებელი მონუმენტურობა.

სასახლე გადახურულია კრამიტის, ორქანობიანი სახურავით.

მ ა რ ა ნ ი (ფართ.– 150 კვ მ) მდებარეობს კომპლექსის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შესასვლე-




142. ძვ. სასახლე და გალავნის ჩრდ.-დას. კოშკი. გეგმა



142. ძვ. სასახლე. ხედი აღმ-იდან. უკანა პლანზე: გალავნის ჩრდ.-დას კოშკი

ხუთივე კუთხეში აღმართული, გეგმით ნახევარწრიული კოშკებით. როგორც ჩანს, ამჟამინდელი გალავანი მოხაზულობით გალავანი, ისევე როგორც კოშკები, რიყის ქვითა და კირის ხსნარითაა ნაგები. ქონგურების ზედა ნაწილები აგურისაა.



142. გალავნის კარიბჭე. II სართულის გეგმა


უფრო ადრინდელს იმეორებს. გალავანი სამრეკლოს შემდეგ არის აგებული, არა უგვიანეს XVIII საუკუნის 20-იანი წლებისა. მეფე თეიმურაზ II-ის 1733 წლის გუჯრის მიხედვით, ჩანს, რომ გალავანი იმ დროისათვის უკვე აგებულია, რადგან, კახეთის მეფე კონსტანტინე II (1722-1729 წწ.), მეფე ერეკლე I-ის ძე, გალავანში, მისი შემოგარენის მოსახლეობას აგროვებს. XVIII ს-ის 70-იან წლებში გალავნის დაზიანებული კედლები აღადგინა ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა საბა ტუსისშვილმა.

კედლებს, 4,5 *მ* სიმაღლეზე, საბრძოლო ბილიკი გასდევს. ბილიკის ზემოთ, 1,5 *მ* სიმაღლეზე, ერთმანეთისაგან 1,5 *მ*-ის დაშორებით, მონაცვლეობით, ერთმაგი და შეწყვილებული სათოფურებია განლაგებული.


გალავნის კარიბჭე სამხრ. კუთხეში, აქ მდგარ ორ კოშკს შორისაა მოქცეული. თითოეული კოშკი სამსართულიანია. ქვედა სართული ყრუა, მეორე სართულზე სათოფურებია განლაგებული, მესამე კი – ქონგურებიანი ბანია.

კარიბჭის თავზე, კოშკების მეორე სართულის დონეზე, პატარა, ოთხკუთხა ოთახია (2,2x2,4 *მ*), რ-იც ორივე კოშკის შესაბამის სართულს თითო გასასვლელით უკავშირდება. ოთახის სამხრ. კედელში, სამი სათოფურია მოწყობილი. ჩრდ. კედელში კი – ერთი თაღოვანი სარკმელი. დას-ით მდებარე კოშკში მოხვედრა ეზოდან, გალავნის კედელზე მიშენებული, შვიდსაფეხურიანი კიბითაა შესაძლებელი. მეორე, აღმ-ით მდებარე კოშკში კი – საბრძოლო ბილიკიდან. ორივე შესასვლელი შეისრულთაღოვანია და აგურითაა გამოყვანილი.

ორივე კოშკის მეორე სართულზე თითო სწორკუთხა, სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული ოთახია (სიგრ. – 3,9 *მ*, სიგ. – 2,1 *მ*), რ-თა სამხრ. კედელში აგურით ნაწყობი, პატარა, შეისრულთაღოვანი ბუხ-



142. გალავნის კარიბჭე. ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ



142. გალავნის კარიბჭე. ჩრდ. ფასადი


არია. ორივე ოთახის კედლებში, ორ დონეზე, რთული სისტემით განლაგებული სათოფურებია (იატაკიდან 1 *მ* სიმაღლეზე, ხუთი სათოფურია განთავსებული, ხოლო 1,5 *მ*-ზე –ოთხი), ეზოს მხარეს კი თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. დასით მდებარე ოთახის ჭერში (სამხრ.-აღმ. კუთხეში) მოწყობილია ბანზე ასასვლელი, სწორკუთხა ხვრელი.

ბანი ერთიანია და ირგვლივ ქონგურებიანი კედელი (აღდგენილია) გარშემოუყვება, რ-იც სათოფურებითა და ნისკარტა სალოდებითაა აღჭურვილი.



142. გალავნის კარიბჭე. ხედი სამხ-იდან

ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდგარი კოშკი ოთხსართულიანია, ზევით დავიწროებული (სიმ. – 11 *მ*, დიამ. – 6 *მ*, კედლის სისქე – 1 *მ*). შესასვლელი პირველ და მეორე სართულებზეა. ორივე კარი შეისრულთაღოვანია. პირველი სართული ყრუა. მეორე სართულზე შესასვლელს, გალავნის ჩრდ. კედელსა და სასახლეს შორის არსებული, ვიწრო გასასვლელი უკავშირდება. ამ სართულზე ოთხი შეწყვილებული და ხუთი ცალმაგი სათოფურია. ამასთან, პატარა თაღოვანი ბუხარიც. ყველა შეწყვილებული სათოფური სწორკუთხა ნიშაშია მოთავსებული. ცალმაგი სათოფურებიდან კი – მხოლოდ ორი. მეორე სართული მესამეს ხის მისადგმელი კიბით უკავშირდებოდა. მესამე სართულზე ათი სათოფური (მ. შ. ორი შეწყვილებულია) და პატარა, თაღოვანი ბუხარია. მესამე სართული კარით უკავშირდება გალავნის ჩრდ. კედლის საბრძოლო ბილიკს.



142. ჩრდ.-აღმ. კოშკი. II და I სართულის გეგმა

მეოთხე სართულზე – ქონგურებიან ბანზე (აღდგენილია) – შიდა მისადგმელი კიბით ადიოდნენ. ამ სართულზე ქონგურებისა და სათოფურების გარდა, ოთხი ნისკარტა სალოდეცაა.

1920 წელს ტაძრის აზომვითი ნახაზები შეასრულა არქიტექტორმა. მ. კალაშნიკოვმა, ხოლო 1922 წელს – არქიტექტორმა ნ. სევეროვმა. 1949 წელს, არქიტექტორ ლ. რჩეულიშვი-

ლის მიერ, შესრულდა სამრეკლოსა და სასახლის აზომვითი ნახაზები.



142. ჩრდ.-დას. კოშკი. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

1952-53 წლებში და 1959 წელს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სარესტ. განყ-ბამ სარესტ. სამუშაოები ჩაუტარა საბა ტუსისშვილის სასახლეს (არქიტ. ლ. ხიმშიაშვილი); 1978 წელს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ სარესტ.-აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარა გალავანსა და კოშკებს. გარდა ამისა, სარესტ. სამუშაოები მიმდინარეობდა სასახლეზეც (პროექტის ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი მ. ანდრიაძე). 1980 წელს მომზადდა წმ. ნინოს სახელობის ტაძრის კონსერვაციის პროექტი (ავტორი არქიტ.-რესტავრატორი ზ. ქუფარაშვილი), რ-ც განხორციელდა 1981 წელს. 1982 წელს სარესტ. სამუშაოები ჩაუტარდა კარიბჭეს და მის მიმდებარე კოშკებს (პროექტის ავტორები არქიტ.-რესტავრატორები თ. ნემსაძე და გ. ნიკოლაძე). ამავე წელს მათივე პროექტით, დაკონსერვდა სამეურნეო სათავსები და მეორე სასახლე.




142. გალავნის დას. კედელი და სამხრ.-დას. კოშკი

2006 წელს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანების (№665) საფუძველზე, კომპლექსს მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ნ. ანდღულაძე, ფ. დუდარიანი, თ. დვალი, პ. ძიძიგური.

ბიბლ.: 10; 14; 28; 29; 34; 35; 39; 78ა; 126; 176; 222; 235; 237; 258; 321ზ,თ; 343; 356; 381; 410; 420; 462; 475.

143. სვეტიცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, დაახლ. 5 კმ-ზე, ქვემო სამგორის წყალშემკრები კაშხლის დას-ით, 1 კმ-ზე, პატარა ბორცვზე (სოფლის მოსახლეობის ნაწილი ეკლესიას კვირაცხოველს უწოდებს). თარიღდება XIX ს-ით.



143. გეგმა


2002 წელს ეკლ. თვითნებურად გაურემონტებიათ. რემონტის დროს ინტერიერი გაჯით შეულესავთ, აღუდგენიათ გარეთა კედლების საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები და შენობა მოთუთიავებული თუნუქით დაუბურავთ.

ეკლ. დარბაზულია. აქვს შვერილი აფსიდი, რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან, როგორც შიგნით, ისე გარედანაც, მოკლე მხრებითაა გამოყოფილი (ეკლესიის შიგნითა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ. – 4,8 მ, სიგ. – 2,8 მ).

შენობის კედლები, ძირითადად, უხეშად დამუშავებული ქვიშაქვითა და კირის

ხსნარითაა ამოყვანილი. ქვები მეტწილად მოზრდილი ზომისაა, რ-თა შორის ალაგ-ალაგ დარჩენილი არეები, წვრილი, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბითაა ამოვსებული. კარ-სარკმლები სუფთად ნათალი ქვებითაა გამოყვანილი.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან კი ნახევარწრიულთაღოვანია. ეკლესიის დარბაზი გეგმით კვადრატულია (2,8x2,8 მ). აღმ-ით მას ერთვის ოდნავ ნალისებრი აფსიდი, რ-შიც გარეთკენ შეკვეთილი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული სარკმელი და ორი მოზრდილი, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ნიშაა. ნიშები თითქმის სარკმლის სიმაღლისაა და მის ორივე მხარეს, სარკმლის ძირის დონეზე, სიმეტრიულად არის განლაგებული. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ნახევარწრიულია. იგი ქვიშაქვის მაღალ იმპოსტებს ეყრდნობა, რ-თა პროფილს თა-



143. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

რო და დახრილი სიბრტყე შეადგენს. ნახევარწრიულია კამარაც. ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლებში, ერთმანეთის მოპირდაპირედ, თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდის სარკმლის მსგავსად, ისინი გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება და ძლიერ დახრილი რაფა აქვთ. გარედან ყველა სარკმელი ოთხკუთხაა.

ფასადები სადაა. შესასვლელის არქიტრავზე გამოსახულია ორსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი, რ-ის კონტური ვიწრო, ოდნავ ამოკვეთი-



143. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ლი ზოლითაა გამოყვანილი. არქიტრავის თავზე მოწყობილი იყო ოდნავ შეღრმავებული, ტიმპანისებრი არე, რ-იც რემონტის დროს ამოუშენებიათ. ფრონტონის წყობაში ჩასმულია მოგრძო ფილა, რ-ზეც ამოტვიფრულია: ეკლესიის სახელწოდება („სვეტიცხოველი“) და აღდგენის თარიღი.

საკურთხეველს ადრე დამოუკიდებელი სახურავი ეხურა. ამჟამინდელი სახურავი ერთიანია.

თ. დვალი.

144. შძო, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 0,7 კმ-ზე, ტყეში. სავარაუდოდ, თარიღდება XVIII საუკუნით.

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო. ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით, ტლანქად. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია




144. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ოთხივე კედელი, რ-თა შორის, შედარებით დიდ სიმაღლეზე, აღმ. და დას. კედლები დგას (სიმ. დაახლ. 2,5 მ-ია). შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარის გადახურვის ფორმა არ დგინდება. აღმ. კედლის შუაში გარეთკენ შეკვეთილი სარკმელია გაჭრილი, რ-საც ზედა ნაწილი მონგრეული აქვს.

2009 წელს ადგილ. მოსახლეობას ეკლესიის ინტერიერი ნანგრევებისა და ნაყარი მიწისგან გაუწმენდია.

თ. დვალი.

145. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, შვიდასიოდე მ-ზე, მთაზე. ეკლესიას ჰქონდა სამშენ. წარწერა, რ-იც 1955 წელს




145. გეგმა

უნახავს თ. ბარნაველს. მკვლევრის წაკითხვით წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „[წყა]ლობითა ღვთისათა აღშე[ნებულია] ესე სახელსა წმიდის ღვთისმშობლის მარიამისა ჩყა (ან ჩყგ თუ ჩყკ) წელსა წარსაგებელითა იოანესი დაა-შვილისა და სოლომან(ის) მეუღლისა სულასა (?) და ნავრისა (?)“. წარწერის თანახმად, ეკლ. აგებულია 1801 (ან 1803 ან 1810) წელს.

ეკლ. დარბაზულია (6,25x4,6 მ), უაფსიდო. შენობის კედლები ამოყვანილია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვით, რიყის ქვით და კირის დუღაბით. გარეთა კუთხეები და არქიტ.

ელემენტები ქვიშაქვის ნათალი ქვებითაა ნაწყობი. კედლები, შიგნით და გარედან, გასწორებულია დუღაბით, რ-ითაც ქვებს შორის დარჩენილი არეებია ამოვსებული.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი თარაზულადაა გადახურული. ეკლესიის შიდა სივრცე, გრძივი კედლების შუაში არსებული პილასტრების წყვილით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით (შემორჩენილია ორივე გვერდის ნაწილი), ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. მ.შ. აღმ. ნაწილი მთლიანად საკურთხეველს უკავია, დას-ისა კი მლოცველთათვისაა განკუთვნილი. საკურთხევლის აღმ. კედლის ღერძზე გაჭრილია მაღალი, ნალისებრთაღოვანი სარკმელი, რ-ის წირთხლები ქვითაა ნაწყობი, თაღი კი – ე. წ. ქართ. აგურით. სარკმლის გარეთა ღიობი, შიდა ღიობთან შედარებით, გაცილებით პატარაა და ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული.



145. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

საკურთხევლის ჩრდ. და სამხრ. კედლებში,თითო განიერი ნიშაა. ორივე აგურით ნაწყობი, ბრტყელი თაღითაა გადახურული. პილასტრები რიყის ქვითაა გამოყვანილი. ორივე მთლიანი ქვის პროფილირებული (თარო და ლილვი) კაპიტელითაა დაგვირგვინებული, რ-ებზეც საბჯენი თაღია დაყრდნობილი. საკუთრივ თაღი, როგორც ეს სამხრ. გვერდის შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს (თაღის ჩრდ. გვერდი შელესილია), აგურით ყოფილა ნაწყობი.



145. აღმ. ფასადი

შიგნით ეკლ. გადახურული იყო ნატეხი ქვით ნაწყობი, ერთიანი კამარით, რ-ისგანაც ნაწილიდაა შემორჩენილი.

ფასადები სადაა. აღმ. სარკმლის ღიობი ქვიშაქვის ოთხი ქვისგანაა შედგენილი. სარკმლის ასწვრივ, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებაა. დას. ფასადზე,



145. ხედი ჩრდ.-დას-იდან

შესასვლელის თავზე, წყობაში ჩასმულია ქვიშაქვის ქვა, რ-საც ზედა მარჯვ. კუთხე მოტეხილი აქვს. ქვაზე ამოკვეთილია მცირედ შეღრმავებული, სამკუთხა თაღით დასრულებული არე, რ-ის ღერძზე სამკუთხა კვარცხლბეკზე დადგმული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

1987 წელს სოფლის ერთერთმა მაცხოვრებელმა ეკლ. თვითნებურად გაარემონტა. რის შედეგადაც შენობამ თავდაპირველი სახის განმსაზღვრელი, რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი დაკარგა. რემონტის დროს ინტერიერის დიდი ნაწილი რკინა-ბეტონის ფილებით გადახურეს, კედლების თავი და სახურავის კალთები ცემენტისა და ქვიშის ხსნარით გაასწორეს და შენობა ღარისებრი კრამიტით დაბურეს.


თ. დვალი.

ბიბლ.: 28; 107.

146. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. (პირდაპირი ხაზით) 3,5 კმ-ზე, ე. წ. დრეიძის ტყეში. თარიღდება XIX ს-ით.

ეკლესიისკენ მიმავალი გზა სოფლის დას-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, თბილის-გურჯაანის მაგისტრალიდან იწყება. გზა ჯერ სოფ. პატარძეულისკენ მიემართება, შემდეგ კი ეკლესიისკენ (პატარძეულიდან ეკლესიამდე ხუთიოდე კმ-ია).


შენობის კედლები რიყის სხვადასხვა ზომის ქვითა და კირის დუღაბითაა ამოყვანილი. ქვა მეტ-ნაკლებად შერჩეულია და ერთმანეთთან მჭიდროდ არის მიწყობილი.



146. გეგმა

მათ შორის დარჩენილი არეები წვრილი რიყის ქვით ან მათი ნატეხებითაა შევსებული, რ-თა მეშვეობით წყობაში თანაბარი

სიმაღლის, თარაზულად გამავალი რიგებია გამოყვანილი. შენობის გარეთა კუთხეები და არქიტ. ელემენტები სუფთად დამუშავებული ქვიშაქვის ქვებითაა ნაწყობი.



146. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ეკლ. დარბაზულია. თუმცა, ამ ტიპის ნაგებობებისგან განსხვავებით, თავისებურადაა გადაწყვეტილი. შენობის გეგმის კონტური კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (სიგრ. – 7 *მ*, სიგ. – 6,8 *მ*), რ-ის აღმ. ნახევარში ორი აფსიდია მოქცეული, დას. ნახევარში კი – განიერი, სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული დარბაზი (სიგრ. – 3 *მ*, სიგ. – 4,4 *მ*). აფსიდები სხვადასხვა ზომისაა. ორივე ნახევარწრიულია. ჩრდ-ით მდებარე აფსიდი მთავარია. იგი სამხრ-ით მდებარე აფსიდთან შედარებით, რამდენადმე უფრო განიერია და მაღალი. მეორე, სამხრ-ით მდებარე აფსიდი კი, დაქვემდებარებული მნიშვნელობის მქონეა. ორივე აფსიდის ღერძზე მაღალი, გარეთკენ შევიწროებული, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის, თაღოვანი ნიშაა. აფსიდები ერთმანეთისგან გამიჯნულია თხელი კედლით, რ-იც დარბაზის მხარეს, მარტივი პროფილის კაპიტელითაა დაგვირგვინებული. კაპიტელს ორივე აფსიდის კონქის თაღი ეყრდნობა. თაღების მეორე ბოლო კი შესაბამის კედელზე მოწყობილ პილასტრზეა დაყრდნობილი. მ. შ. სამხრ-ით მდებარე პილასტრი პროფილირებული კაპიტელითაა დასრულებული, ჩრდ-ით მდებარეს კი ზედა ნაწილი აკლია. ორივე კონქის თაღი ნახევარწრიულია და ქვიშაქვის სოლისებრი ქვებითაა ნაწყობი.

ეკლესიაში შესასვლელი დას-იდანაა. კარი შიგნით თაღოვანია, გარედან – არქიტრავული.

დარბაზის სამხრ. კედელში, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი (მსგავსი სარკმელი იყო გაჭრილი ჩრდ. კედელშიც). შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. გარედან კი ორკალთა, ღარისებრი კრამიტით დაბურული სახურავი ხურავს.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ დას. ფასადია მორთული. ფასადის ღერძზე სადა პორტალია, რ-იც სტრუქტურითა და არქიტ. დამუშავებით მარტივია. იგი კედლის სიბრტყიდან ოდნავაა გამოშვერილი და ფასადის სიმაღლის ნახევარზე მეტი უჭირავს. პორტალი ორი ნაწილისგან შედგება. მ. შ. ქვედა, რ-შიც თავად შესასვლელია მოქცეული, მაღალია და პროფილირებული ლავგარდნითაა დასრულებული. ზედა ნაწილი კი – ნახევარწრიულია. ამ ნაწილში გამოყვანილია სადა, ოდნავ შეღრმავებული, ნახევარწრიული არე, რ-იც კედელთან ერთ სიბრტყეშია. პორტალის მორთულობის ელემენტებია: სამკუთხა კვარლცხბეკზე დაყრდნობილი, რელიეფური ჯვრები, ვარდულები და სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები, რ-ებიც ვარდულების კომბინაციითაა შედგენილი. გამოსახულებები მარტივია, ბრტყელი. ისინი ფონის შეღრმავებითაა გამოყვანილი და პლასტიკურად არ არის დამუშავებული. პორტალზე ხუთი ჯვარია გამოსახული: თითო-თითო შესასვლელის გვერდებზეა, სამი – არქიტრავზე. ამ უკანასკნელებს შორის სიცოცხლის ხის თითო სტილიზებული გამოსახულებაა. პორტალის თავზე, წყობაში, ჩატანებულია ქვიშაქვის კვადრ. ქვა, რ-ზეც სამკუთხა კვარლცხბეკზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულებაა. მას ზედა მკლავზე პატარა ჯვარი ადგას, განივ მკლავებზე კი, იმავე ზომის სამ-სამი ჯვარი აქვს გამობმული.



146. ხედი ჩრდ.-დას-იდან

აღმ. ფასადზე ორივე სარკმელი შირიმის ქვითაა ნაწყობი და, როგორც ჩანს, ადრე თაღით იყო დასრულებული. ფასადის

ზედა ნაწილში, ფრონტონის არეში, შირიმის ქვებით გამოყვანილი, შელრმავებული ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც სამკუთხა კვარცხლბეკზე დგას.



146. დას. ფასადი. შესასვლელი

ეკლესიის ჩრდ. კედელი გამაგრებულია მასიური, ოთხკუთხა, ორი კონტრფორსით.


კედლები დასრულებული იყო შირიმის, თაროსებრი ლავგარდნით.

XX საუკუნის მიწურულში, ადგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად გაურემონტებია, რის გამოც მას თავდაპირველი სახის განმსაზღვრელი ბევრი საყურადღებო ელემენტი (ამ რემონტის დროსაა გაუქმებული ჩრდ. კედელში მდებარე სარკმელი) დაკარგული აქვს.

თ. დვალი.


147. წმ. ელიას ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება XVIII საუკუნეს.

ეკლ. დარბაზულია (5,7x5,0 მ), ნაგებია რიყის ქვითა და სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის დაუმუშავებელი ქვებით (ეს უკანასკნელი უფრო მეტად დას. ფასადის წყობაშია გამოყენებული). გარეთა კუთხეების, შესასვლელის და სარკმლის წირთხლების ამოსაყვანად გამოყენებულია აგურიც. წყობა ქაოსურია, ტლანქი.



147. გეგმა

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით კი თარაზულადაა გადახურული. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, გაჭრილია შეისრულთაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს, სარკმლის ძირის დონეზე, თითო ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიყრდნობილი. აფსიდი კონქითაა დასრულებული. კონქის



147. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

თაღი ოდნავ შეისრულია და ქვიშაქვის ტლანქად დამუშავებული ქვებითაა გამოყვანილი. თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა, რ-ებიც იმპოსტების გარეშეა.

XXI საუკუნის დასაწყისში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად გაურემონტებია, რის გამოც მას ისტ. ღირებულება დაკარგული აქვს. რემონტის დროს გაუუქმებიათ სამხრ. შესასვლელი, კედლები შიგნით გაჯით შეულესავთ და ეკლ. ფიცრის ორკალთა სახურავით გადაუხურავთ (1990-იან წლებში ეკლესიას თავდაპირველი




147. აღმ. ფასადი

სახის გადახურვა შემორჩენილი ჰქონდა), რ-იც გარედან მოთუთიავებული თუნუქითაა დაბურული.

თ. დვალი.

148. წმ. კვირიკეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ექვსასიოდე მ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. სავარაუდოდ 2008 წელს ადგილ. მოსახლეობას ეკლ. გაურემონტებია: აღდგენილია საფასადე წყობის ჩამოშლილი ნაწილები, კამარის დანგრეული ნაწილები ამოვსებულია ცემენტისა და ქვიშის ხსნარით, იმავე ხსნარითაა გასწორებული სახურავის



148. გეგმა

კალთები, რ-ზეც ღარისებრი კრამიტია დაფენილი, ძვ. შესასვლელის (კედელი ამ ადგილას მთლიანად იყო დანგრეული)

ადგილზე მოწყობილია ახ., უსახური შესასვლელი.

ეკლ. დარბაზულია (5,4x4,1 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა არაწესიერია, ტლანქი. შესასვლელი სამხრ-იდანაა. შიდა სივრცე დადაბლებული პროპორციებისაა. დარბაზი მოკლეა და გეგმით თითქმის კვადრატული (სიგრ. – 1,95 მ, სიგ. – 2,3 მ). აღმ-ით იგი დასრულებულია ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმის აფსიდით,



148. ხედი სამხრ-იდან

რ-ის ღერძზე დაბალი, გარეთკენ შეკიწროებული, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ კი, კედელზე, მოზრდილი, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი დარბაზისაგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. იგი გადახურულია არაწესიერი ფორმის, რიყის წვრილი ქვებით ნაწყობი კონქით, რ-იც უთაღოა და დარბაზის კამარასთანაა გაერთიანებული. კამარა ოდნავ შეისრულია.


თ. დგალი.

ოთარაანი

(კოჭბაანის თემის საკრებულო)


149. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 400 მ-ზე, თბილისი-თელავის საავტ. გზის მარცხ. მხარეს გორაკზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა. შენობის გეგმის კონტურში, რ-იც თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 9,2 მ, სიგ. – 9,4 მ),




149. გეგმა

ჩაწერილია გვერდიგვერდ განლაგებული, სხვადასხვა ზომის სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ. მ. შ. შუა, მთავარია. იგი გვერდით ეკლესიებთან შე-



149. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ


დარებით, რამდენადმე განიერია და მაღალი. მთავარი ეკლესიის დას-ით დერეფანია ე. წ. – გარშემოსავლელი, რ-იც გვერ-



149. ჭრილი მთავარ ეკლესიაზე. ხედი სამხრ-კენ

დით ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ეკლ. ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია მთავარი ეკლესიის კამარა და სამხრ. კედლის დიდი ნაწილი, ჩამონგრეულია გვერდითი ეკლესიებისა და დას. გარშემოსავლელის გადახ-



149. აღმ. ფასადი

ურვა, თითქმის მთლიანადაა დანგრეული დას. დერეფანი. მთავარი ეკლესიის განივი კედლები მთელ სიმაღლეზეა გახეთქილი, ინტერიერის დიდი ნაწილი მიწითა და ქვებითაა ამოვსებული.

შენობა, ძირითადად, სხვადასხვა ზომის, ქვიშაქვის ნატეხი ქვითაა ნაგები. გარეთა კედლების წყობაში შედარებით მოზრდილი ქვებია გამოყენებული. ქვები ზომისა და ფორმის მიხედვით არ არის შერჩეული, მათი უმეტესი ნაწილი ფეხზეა დაყენებული და ფასადის მხარეს პირით არის მიქცეული. ქვებს შორის დარჩენილი არეები კი, წვრილი, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარითაა შევსებული. ფასადებისგან განსხვავებით, ეკლესიის შიგნითა კედლები წვრილი, ნატეხი ქვითა და რიყის ქვითაა ამოყვანილი და შელესილია (შემორჩენილია ფრაგმენტულად).



149. მთავარი ეკლესიის ინტერიერი. ხედი აფსიდზე

მოგვიანებით ეკლ. გადაუკეთებიათ: შენობის სამხრ.-დას. კუთხეში, მთავარი ეკლესიის სამხრ. და დას. კედლების გაგრძელებაზე, კედლები ამოუყვანიათ და პატარა სათავსი მოუწყვიათ. ორივე კედლის შუაში თაღია, რ-ითაც სათავსი ეკლესიის შესაბამის ნაწილებთან იყო დაკავშირებული.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონდა (შემორჩენილია ნაშთი).

მთავარი ეკლესიის შიდა სივრცე მოკლეა. აღმ-ით იგი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე ნალისებრთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის გვერდებზე, გეგმით სწორკუთხა, შემაღლებული პროპორციების, ორი თაღოვანი ნიშაა სიმეტრიულად განლაგებული.

შესასვლელი სამია: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი, გარედან, მოზრდილი ქვით, თარაზულადაა გადახურული (მთლიანად მხოლოდ ჩრდ-ისდაა შემორჩენილი), შიგნიდან კი ნალისებრი თაღით (სამხრ. შესასვლელს მოგვიანებით ჩასმული, ხის ჩარჩოს ნაწილიც შემორჩა).

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცე კიდევ ორი სარკმლით ნათდებოდა. ორივე – სამხრ. კედელში იყო გაჭრილი. მათგან მხოლოდ აღმ-ით მდებარე სარკმელია შემორჩენილი. ნაშთებიდან ჩანს, რომ იგი შიგნიდან თაღით იყო დასრულებული (შემორჩენილია თაღის აღმ. გვერდის ნაწილი), გარედან კი თარაზული თავი აქვს. მეორე, დას-ით მდებარე სარკმლიდან მხოლოდ კვალი იკითხება. აფსიდი გადახურული იყო კონქით, რ-ის თაღი აფსიდის მხრების დამაგვირგვინებელ, თაროსებრ იმპოსტებს (შემორჩენილია ორივე იმპოსტი) ეყრდნობოდა. კამარიდან მხოლოდ ჩრდ. ქუსლის წყობის მცირე ნაწილებია შემორჩენილი.



149. მთავარი ეკლესიის ინტერიერი. სამხრ. კარი

ნაშთებიდან ჩანს, რომ კამარადაყრდნობილი იყო სამ საბჯენ თაღზე. მათგან ერთი აფსიდთანაა, მეორე დას. კედელთან, მესამე კი – დარბაზის შუაში. სამივე თაღიდან ქუსლის წყობის თითო-ოროლა ქვაღაა შემორჩენილი, რ-ებიც თაროსებრ იმპოსტებზე არის დაყრდ-



149. ხედი აღმ-იდან

ნობილი (შუა თაღის იმპოსტი ჩამოვარდნის პირასაა მისული).

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები ერთიანია. მ. შ. სამხრ-ისა აფსიდითაა დასრულებული (მიწის ზემოთ შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. გვერდის მცირე ნაწილი), ჩრდ. ეკლ. კი – სწორი კედლით. ორივე სადგომი გადახურული იყო კამარით, რ-ის ნაშთი მთავარი ეკლესიის კედლებზეა დარჩენილი.

შენობის ფასადებიდან არქიტექტურულად მხოლოდ მთავარი ეკლესიის ფასადები იყო დამუშავებული. მორთულობის ელემენტია კედლის სიბრტყეში მცირედ შეღრმავებული, ბრტყელი თაღი (სიგ. – 70 *სმ*, სიმ. – 130 *სმ*). როგორც ეს შემორჩენილი კედლებიდან ჩანს, თაღებით მხოლოდ აღმ. და სამხრ. ფასადები იყო დანაწევრებული. თაღები ერთ დონეზე არის განლაგებული. აღმ. ფასადზე ორი ასეთი თაღია. ისინი გვერდითი ეკლესიების სახურავის ოდნავ ზემოთ, ფასადის გვერდის ნაწილებშია განლაგებული. სამხრ. ფასადზე, როგორც ეს თაღების განლაგების სისტემიდან ირკვევა, სამი თაღი უნდა ყოფილიყო გამოყვანილი (შემორჩენილია მხოლოდ ორი). მათგან აღმ-იდან მეორე თაღის ღერძზე, სარკმლის ღიობია მოთავსებული.

მთავარი ეკლ. ჩვეულებისამებრ, ორფერდა სახურავით იყო გადახურული. გვერდითი ეკლესიები კი – ცალფერდათი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 462; 475.

ᲞᲐᲚᲓᲝ

(დუზაგრამის თემის საკრებულო)

150. ᲑᲝᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2, 5 *კმ*-ზე.

1971 წელს დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ᲝᲐᲔ ინ-ტის გარდაბნის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ-ები თ. ბუგიანიშვილი, შ. დედაბრიშვილი). დადასტურდა ქვაყრილიანი სამარხები (დიამ. – 30 *მ*, სიმ. – 1, 4 *მ*).

შ. დედაბრიშვილი.

151. ᲑᲝᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე.

ქვაყრილიანი გორასამარხი (დიამ. – 20 *მ*, სიმ. – 1,2 *მ*) 1971 წელს დაზვერა ᲝᲐᲔ ინ-ტის გარდაბნის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხის ყრილის ზედაპირზე აიკრიფა ობსიდიანის უსახო ანატკეცები.


შ. დედაბრიშვილი.

152. ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, ივრის კაშხალთან. განეკუთვნება II და I ათასწლეულების მიჯნას. არქეოლ. ი. გრძელიშვილის ცნობით, კაშხლის მშენებლობის დროს დაუზიანებიათ ოთხკუთხა ორმოებში გამართული სამარხები, რ-ებშიც ადამიანის ძვლები და ბრინჯაოს მახვილები აღმოჩნდა.

მ. გიორგობიანი.

ბიბლ.: 305.

153. ᲫᲝᲒᲗᲐᲕᲘ, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (ჩრდ.-დას-ით), დაახლ. 1,5-2 *კმ* ზე. ტყეში. განეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს.




153. გეგმა

ძ. სამნავიანი ბაზილიკაა, თუმცა, საეკლესიო ნაგებობის ამ არქიტ. ტიპისგან თავისებური, ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. ეკლ. სიგრძეში იმდენადაა დამოკლებული, რომ მისი გეგმის კონტური კვადრატს წარმოადგენს (8,7x8,7 *მ*).

საშენ მასალად დიდი ზომის, არცთუ ისე სუფთად გათლილი, ქვიშაქვაა გამოყენებული.

ქვები არათანაბარი ზომის და არასწორი ფორმისაა. ისინი შერჩევის გარეშეა დაწყობილი, რის გამოც წყობაში არ იქმნება სწორხაზოვანი რიგები. თაღები შირიმის, ნათალი ქვითაა ნაწყობი. შირიმის, წვრილი ქვები ზომოსულია ხეები, ლავგარდნის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.




153. ჭრილი. ხედი აღმ-კენ



153. აღმ. ფასადი

შესასვლელი სამხრ-იდან (დავიწროებულია აგურისა და წვრილი ქვის წყობით) და ჩრდიდანაა (მოგვიანებით ამოუშენებიათ). ორივე კარი შესაბამისი კედლის შუაშია.

გიერთი სარკმლის წყობაშიცაა გამოყენებული, რაც, გვიანდ. რემონტის დროინდელია. გარდა ამისა, რემონტის დროს აგური და წვრილი, ნატეხი ქვაცაა ნახმარი. შიგნითა კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით.



153. ჭრილი მთავარ ნავზე. ხედი სამხრ.-კენ



153. ინტერიერი. მთავარი ნავი. ხედი სამხრ.-დას-კენ

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია სამივე ნავის სახურავის საფარი და გარეთა საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მონგრეულია შუა ნავის გრძივი კედლების ბოლოები, სამივე ნავის სახურავზე

ბაზილიკის საეკლ. სივრცეს სამივე ნავი ქმნის. მ. შ. შუა, გვერდით ნავებთან შედარებით, ორნახევარჯერ უფრო განიერია და ბევრად უფრო მაღალი (დაახლ. 2,2 ჯერ). შუა ნავი აფსიდიანია, გვერდითი ნავები კი – უაფსიდო. ნავები ერთმანეთს ორ-ორი, განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი მალით უკავშირდება. თაღებს შორის ოთხკუთხა ბურჯია. აღმ-ით თაღები საკურთხევლის კედლებს ეყრდნობა, დას-ით კი – მცირედშვერილ პილასტრს. თაღების ქუსლებთან ქვიშაქვის, პროფილირებული (თარო და ოდნავ შეზნექილი ზედაპირი) იმპოსტებია გამოყოფილი. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიულია. მასში ერთი თაღოვანი, გარეთკენ ოდნავ შევიწროებული სარკმელი და ორი კვადრ. ნიშაა მოწყობილი. სარკმელი აფსიდის ღერძზეა, ნიშები კი – ბოლოებთან, სარკმლის ძირის დონეზე. აფსიდი გადახურულია შემაღლებული პროპორციების, წვრილი, ნატეხი ქვით გამოყვანილი კონქით, რ-ის თაღი ოდნავ კვერცხისებრი ფორმისაა. იგი ეყრდნობა აფსიდის მხრების დამაგვირგვინებელ იმპოსტებს, რ-ებსაც ნავების დამაკავშირებელი თაღების იმპოსტების ანალოგიური პროფილი აქვს. აფსიდის თაღის წინ კამარის საბჯენი თაღია. ეს

უკანასკნელი იმპოსტების გარეშეა და ნავის კამარას უშუალოდ ერწყმის. საკურთხეველი, ნავის იატაკთან შედარებით, ერთი საფეხურით იყო ამაღლებული. საკურთხეველში ერთ ქვაში გამოთლილი, დიდი ტრაპეზი დგას. თავზე, დაბალი რელიეფით გამოყვანილი, ბოლოებში ჰორიზ. გადანაკეცების მქონე, თაღოვანი თავსართია. სარკმლის სამხრ-ით, ოთხკუთხა ქვაზე, ამოკვეთილია კვადრატულ ჩარჩოში ჩასმული, რელიეფუ-



153. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ნავის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, თაღების საყრდენი ბურჯის აღმ. წირთხლის ასწვრივ, ვიწრო, ნახევარწრიული თაღით გადახურული სარკმელია გაჭრილი. კამარა ცილინდრულია.

სამხრ. და ჩრდ. ნავები ვიწროა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. ამ კედლების ღერძზე გაჭრილია თითო ვიწრო, თაღოვანი სარკმელი, რ-ებსაც თითქმის პარალელური წირთხლები აქვს. სამხრ-ის ნავის სარკმლის თაღი შირიმის, ერთიან ქვაშია გამოყვანილი. ნავები გადახურულია ცილინდრული კამარებით.

ეკლესიის ფასადებზე საპირე წყობის ქვების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოცვენილია. ქვების ნაწილი გამოფიტულია, ნაწილი კი (ძირითადად ჩრდ. მხარეს) მიწითაა დაფარული. სარკმელს, აღმ. ფასადზე, ერთ ქვაში გამოყვანილი თაღი აქვს, რ-ის რი ჯვრის გამოსახულება – დაგრძელებული ქვედა მკლავით. ამ ქვის სამხრ-ით, დაახლ. 1 მ-ზე, ერთ-ერთ ქვაზე, თაღოვან ჩარჩოში ჩასმული, გაფართოებულ ბოლოებინი რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც ასევე ფონის ამოკვეთითაა გამოყვანილი. ფასადის განაპირა ნაწილებს აშკარად ეტყობა გვიანდ. რემონტის კვალი. ამ რემონტის დროსაა განახლებული სამხრ. ნავის ფასადის წყობის დიდი ნაწილი – სარკმლის ღიობთან ერთად და ჩრდ. ნავის ფასადის ზედა მონაკვეთი. მოგვიანებით აღდგენილი მონაკვეთები სამხრ. ნავის სამხრ. ფასადზეცაა შესამჩნევი. ჩრდ. შესასვლელი, როგორც ეს შემორჩენილი კვალის მიხედვით ირკვევა, მოზრდილი ქვით თარაზულად იყო გადახურული. კედლები დასრულებული ყოფილა ქვიშაქვის თხელი ქვებით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდნით.

ეკლესიის ჩრდ-ით, ორასი-ოდე მ-ზე, რამდენიმე გამოქვაბულია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 358ა; 475.

პატარა ჩაილური

(ჩაილურის თემის საკრებულო)

154. პატარა ჩაილური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-და. მთისწინეთზე, მდ. ჩაილურის მარცხ. ნაპირას, ზ. დ. 750 მ-ზე, საგარეჯოდან 18 კმ-ზე.

ადრე პატარა და დიდი ჩაილური ერთ სოფელს წარმოადგენდა და ჩერქეზიშვილების მფლობელობაში იყო. სოფელში მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლებას. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი. მესაქონლეობაში უპირატესობა მსხვილფეხა, რქოსან საქონელს ენიჭებოდა.


ალ. ელერდაშვილი.

ბიბლ.: 107; 321ზ.

155. კვირაცხოვლის სალოცავი, მდებარეობს სოფლის ზემოთ, ჩრდ-ით. გადმოცემით, აქ მდგარა კვირაცხოვლის ეკლ., რ-ის ნანგრევებზეც, XX ს-ში, ადგილ. მოსახლეობას ფიცრული დაუდგამს და სალოცავად იყენებს.

ბ. კუპრეიშვილი.

156. კოპალე, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით. ორიოდე კმ-ზე, მთაზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



156. გეგმა

176 პატარა ჩაილური

ეკლ. გეგმით ოთხკუთხაა და აღმ.-დას-ის მიმართულებით შესამჩნევადაა წაგრძელებული (7,3x3,8 *მ*). ნაგებია ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კუთხეებში და არქიტ. ელემენტების წყობაში მოზრდილი, მეტ-ნაკლებად წესიერი ფორმის ქვებია გამოყენებული. შესასვლელი დასიდანაა. კარი მიწიდან ორმოცდაათიოდე *სმ*-ის სიმაღლეზეა.

აღმ-ით ნალისებრი ფორმის აფსიდია, რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან განიერი



156. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში მაღალი, გარეთკენ უმნიშვნელოდ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი, რ-ის თავი კონქის ქუსლის დონეზეა. სარკმელი ორი თხელი ქვით თარაზულადაა გადახურული. საკუთრივ კონქიდან სარკმლის თავზე არსებული ნაწილი – წვრილი, ნატეხი ქვების წყობის ხუთი რიგიდაა (სიგ. დაახლ. – 1,8 *მ*) შემორჩენილი. სარკმლის ქვემოთ, კედელში, რამდენიმე კრამიტია ჩატანებული. აფსიდის ჩრდ. გვერდში ერთი ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი თითო ნიშა დარბაზის გრძივი კედლების შუაშიცაა.

1990-იანი წლების მიწურულს, ადგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად გაურემონტებია. რის გამოც ისტ. ღირებულება ეკლესიას დაკარგული აქვს. რემონტის დროს აღუდგენიათ დას. კედლის დიდი ნაწილი და შესასვლელი, რ-იც ვენახის შესამაგრებელი რკინა-ბეტონის სარებითაა გადახურული. ეკლ. დაბურულია შიფრის, ორკალთა სახურავით, რ-იც ხის ნივნივებზეა დაწყობილი.

თ. დვალი.

157. მარანი, არქიტ. ძ. დგას სოფელში, აგებულია XIX საუკუნეში. ეკუთვნოდა მუჩიაშვილებს. ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები. შენობა ნაგები იყო რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კირით შელესილი საწნახელი მარნის აღმ. ნაწილში ყოფილა მოწყობილი. აღმ. კედელში ერთი ოთხკუთხა სარკმელი ყოფილა გაჭრილი. იატაკი მიწისაა. მასში შეიმჩნევა ერთი ქვევრი.

ბ. კუპრეიშვილი.

158. ნამოსახლარი, სამოსახლო ბორცვი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, თბილისი-გურჯაანის საავტ. გზის მახლობლად, ბორცვზე. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს.


ბორცვი ერთტერასიანია. ბორცვის აღმ. ნაწილში, ბორცვსა და საავტ. გზას შორის, მიწის დამუშავების დროს, დაზიანდა ორმოსამარხები, რ-ებშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს ე. წ. კახური ტიპის, მთლიანადსხმული მახვილები და სატევრები, რკინისა და ბრინჯაოს შუბისპირები, ბრინჯაოს სხვადასხვა სამკაული, თხელფირფიტოვანი სარტყლების ფრაგმენტები, ორთითები, სამთითები და სხვ.

მასალა ინახება საგარეჯოს მხარეთმც. მუზეუმში.

კ. ფიცხელაური.

159. ღვთისმშობლის ეკლესია, ბობოქარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ (ჩრდ-ით), ხუთასიოდე *მ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. მოგვიანებით, სავარაუდოდ, XIX ს-ში, გაურემონტებიათ.


ეკლ. დარბაზულია (7,8x5,1 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და კირის სქელიხსნარით. ქვა მეტ-ნაკლებად შერჩეულია და დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვან რიგებად, რ-ებიც უმეტესად კედლების ზედა ნახევარშია გამოყვანილი. კედლების ქვედა ნახევარში წყობა, ძირითადად, ქაოსურია. შენობის



159. გეგმა

გარეთა კუთხეები შედარებით მოზრდილი ქვითაა ნაწყობი. მოგვიანებით შეკეთებულ ადგილებში, რიყის ქვასთან ერთად, კვადრ. აგურიცაა (22x22x4,5 *სმ*) გამოყენებული.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა. გარედან, შესასვლელის ორივე გვერდი ქვიშაქვის სუფთად გათლილი, მთლიანი ქვისაა (სიმ. – 130 *სმ*, სიგ. – 45 *სმ*), რ-ებზეც, კარის



159. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

კიდეების გასწვრივ, წვრილი, გრეხილი ლილვია გამოყვანილი.

აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, გაჭრილია ფართო, ოთხკუთხა სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს, აფსიდის ბოლოებთან, თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფ-

სიდი დადაბლებული პროპორციების კონქითაა გადახურული. კონქის თაღი შეისრულია, იგივე ფორმისაა კამარაც.



159. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აღმ. ფასადზე სარკმელი მოქცეულია ოდნავ შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეში. სარკმლის ასწვრივ, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებაა, რ-ის ზედა მკლავი ფრონტონის წვერზეა მიბჯენილი. მსგავსი ჯვარი იყო გამოსახული შესასვლელის ზემოთაც. ორივე ჯვარი, სავარაუდოდ, XIX ს-ში ჩატარებული რემონტის დროინდელია.


2010 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად, სპეციალისტებთან კონსულტაციის გარეშე აღადგინა, რის გამოც მას თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახის განმსაზღვრელი თითქმის ყველა დეტალი დაკარგული აქვს. რემონტის დროს შესასვლელის ზედა ნაწილი აგურით აღუდგენიათ და ღიობი ფიცრით გადაუხურავთ; სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებზე, თავდაპირველი ლავგარდნის დონეზე (შემორჩენილია კვალი), მოუწყვიათ რკინა-ბეტონის სარტყელი, აუმაღლებიათ ოთხივე გარეთა კედელი (დაახლ. 60 *სმ*-ით) და ფასადების დიდი ნაწილი ცემენტისა და ქვიშის ხსნარით შეუთითხნიათ; დას. კედელში გაუჭრიათ ახ., უსახური სარკმელი, ინტერიერი გაჯით შეულესავთ და სახურავი თუნუქით დაუბურავთ. ამჟამად ეკლესიის ეზო ლითონის ღობითაა შემოფარგლული.

თ. დვალი.


160. ციხე, ნიახურის ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, საგარეჯო-გურჯაანის გზატკეცილის მარჯვ. მხარეს, გორაკზე. განეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეებს.

ციხე ნაგებია რიყის ქვით. 1980-84 წლებში, ძლიერ დაზიანებული ციხის აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (არქიტ-ები კ. გიორგობიანი, თ. დვალი). ციხე, შემორჩენილი ნაწილებისა და ანალოგიების მიხედვით, მთლიანად იქნა აღდგენილი.

გორაკის წვერი, რ-ზედაც ციხე დგას წინასწარაა მოშანდაკებული. ნაგებობა არათანაბარი ხუთგვერდაა (სიგრ. – 42 *მ*, სიგ. – 23 *მ*). რ-ის ოთხ კუთხეში მრგვალი კოშკებია აღმართული, ხოლო მეხუთეში – პატარა, მასიური, მრგვალი ბურჯი, რ-იც თითქმის მთლიანად გალავნის ფარგლებს გარეთაა გასული. ყველა კოშკს, ეზოს მხრიდან, სწორი კედელი აქვს. კოშკებიდან, უმნიშვნელო დანაკარგებით, მხოლოდ დას. ორი, სამხრ.-აღმ. კუთხეში და კუთხეში მდგარი კოშკი იყო შემორჩენილი. დას. კუთხეში მდგარ კოშკის (შემორჩენილი ჰქონდა სამი სართული და მეოთხის დასაწყისი) პირველ და მეორე სართულებს ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს. ორივე კარი სწორკუთხაა და ეზოს მხრიდანაა გაჭრილი. პირველ სართულზე



160. გეგმა



160. ჭრილი. ხედი დას-კენ

სამი სათოფურია. მათგან ორი – ჩრდ-აღმ-ითაა მიმართული, ერთი – აღმ-ით. მეორე სართულის კედელში სათოფურები ორ რიგადაა განლაგებული. ქვედა



160. საერთო ხედი სამხრ-დან

რიგში ერთი შეწყვილებული და ორი ცალმაგი სათოფურია, ზედაში – ექვსი შეწყვილებული და ერთი ცალმაგი. სართულის სამხრ.-დას. ნაწილში თაღოვანი ბუხარია მოწყობილი. მესამე



160. გალავნის ჩრდ. კედელი


სართულზეც მრავალი სათოფურია. ბუხარი ამ სართულზე დას. ნაწილშია. კოშკის მეოთხე სართული ქონგურებიან ბანს წარმოადგენდა.

ციხის სამხრ.-აღმ. კუთხეში მდგარ კოშკს მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს, პირველი სართულის დონეზე. ამ სართულზე, კედლის მომრგვალებული ნაწილის შუაში, ერთი შეწყვილებული სათოფურია. ორი ცალმაგი სათოფური მომრგვალებული ნაწილის ბოლოებთანაა განლაგებული. ისინი გალავნის შესაბამისი კედლების გასწვრივაა მიმართული.

მეორე სართულზე თაღოვანი ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს, სამ-სამი ცალმაგი სათოფურია. მესამე სართულზე, გარე კედელში, სამი შეწყვილებული და ოთხი ცალმაგი სათოფურია. ეზოს მხარეს, სწორი კედლის შუაში, განიერი, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ციხის სამხრ. კუთხეში მდგარი კოშკიდან, რ-იც სამსართულიანი ყოფილა, შემორჩენილია აღმ. კედლის ნაწილი, რ-შიც, მეორე სართულის დონეზე, სათოფურის კვალი შეიმჩნეოდა. ჩრდ. კუთხეში მდგარი კოშკი მხოლოდ საძირკვლის დონეზე იყო შემორჩენილი (სიმ. 1-1,2 მ).

აღმ. კუთხეში მდგარი ბურჯის უმეტესი ნაწილი თავდაპირველია. იგი მასიურია. მხოლოდ საბრძოლო ბილიკის დონეზე აქვს პატარა, ღია სადგომი (დიამ. დაახლ. 1,2 მ), რ-ის კედელში, გალავნის კედლების მიმართულებით, ორი სათოფური იყო გაჭრილი.



160. ციხის შესასვლელი და დას. კოშკი


ციხის ჩრდ. კუთხეში მდებარე კოშკის წინ, ხუთიოდე მ-ზე, გეგმით კვადრ. ნაგებობის (6x6 მ) საძირკველია შემორჩენილი.

ციხის გალავნის ნაშთები კოშკებზე იყო შემორჩენილი. მათი მიხედვით და ანალოგიების გათვალისწინებით, გალავანი ციხის მთელ პერიმეტრზე იქნა აღდგენილი. გალავნის ქვედა იარუსი ყრუა, ზედაზე კი, რ-იც ქონგურებითაა დასრულებული, მონაცვლეობით, დახრილი და თარაზულად მიმართული სათოფურებია განლაგებული.

თ. დვალი.

ბიბლ.: 122; 126; 475.

161. ციხე-კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, ოთხიოდე კმ-ზე, ტრიალ მინდორზე. განეკუთვნება XVII ს-ის შუა წლებს.



161. გეგმა

ძ. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ აღმ. და ჩრდ. კედელი. დანარჩენი კედლები მიწის პირამდეა დანგრეული, რის გამოც, გათხრა-გასუფთავების გარეშე, შენობის გეგმის მოხაზულობის დადგენა არ ხერხდება. შენობის ორივე კედელი სამი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი (სისქე პირველი სართულის დონეზე – 1,3 მ) და ერთმანეთს სწორი კუთხით უკავშირდება. გარედან ეს კუთხე მომრგვალებული, ზემოთკენ თანდათან შეკირის დუღაბითაა ნაგები. კედლების ზედაპირი, გარედან, გასწორებულია წმ. ბათქაშით. შიგნით კი, კედლები ბათქაშის გარეშეა. გარეთა კედლების წყობაში, ალაგ-ალაგ, აგურიცაა გამოყენებული. სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (კედლებზე შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები). პირველი სართულის დონეზე ორივე კედლის შუა ნაწილი განგრეულია. დანარჩენი ნაწილები კი ყრუა. მეორე სარ-




161. ხედი აღმ-იდან

თულზე, კონტრფორსებს შორის, თითო განიერი, ხით გადახურული სარკმელია. მესამე სართულის კედლებიდან მხოლოდ წყობის რამდენიმე რიგიღაა დარჩენილი.

ორივე კედელს, გარედან, პირველი სართულის ჭერის დონეზე, ვერტიკალურად დალაგებული აგურებით გამოყვანილი ზოლი გასდევს, რ-იც კონტრფორსებზეც გადადის.

შენობას უშუალო ანალოგიები არ მოეპოვება. ზოგადი ნიშნებით იგი ახლოს დგას სოფ. კისისხევისა და ქ. საგარეჯოს კოშკებთან.

თ. დვალი.




161. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ვიწროებული კონტრფორსითაა გამაგრებული. თითო მსგავსი კონტრფორსითაა გამაგრებული საკუთრივ კედლებიც. კოშკი მთლიანად რიყის ქვითა და

ბიბლ.: 122; 126; 475.

162. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, საღორისხევსა და დვრინისხევს შორის, მაღალმთაზე, ტყეში. სავარაუდოდ, სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.



162. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (4,25x3,5 მ), უაფსიდო. ნაგებია მოზრდილი ზომის, სრულიად დაუმუშავებელი ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია გადახურვა, თითქმის მთლიანადაა დანგრეული სამხრ. კედელი, აღმ. და დას. კედლებს ზედა ნაწილები აკლია.



162. დას. ფასადი

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. აღმ. და დას. კედლებში გაჭრილია თითო დაბალი, ოთხკუთხა სარკმელი, რ-ებსაც პარალელური წირთხლები აქვს. აღმ. კედლის სამხრ. ბოლოსთან პატარა ოთხკუთხა ნიშაა.

1980-იანი წლების ბოლოს, ადგილობრივ მოსახლეობას ეკლ. შიფრის ორკალთა სახურავით გადაუხურავს, რ-ის ხის ჩონჩხ-

ის დასაყრდნობად, ალაგ-ალაგ, შემორჩენილ კედლებზე, ტლანქად ნაწყობი აგურის სვეტები აუგიათ. ამჟამად ეკლ. სამხრ. მხარეს მთლიანად გახსნილია. ძვ., სამხრ. კედლის გადაქცეული ნაწილი კი იქნე აგდია.

თ. დვალი.

პატარძეული

(საკრებულოს ცენტრი)

163. პატარძეული, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. მთისწინეთზე, თბილისი-საგარეჯოს საავტ. გზაზე, საგარეჯოდან 8 კმ-ზე.

პატარძეულის მდებარეობა მეტად ხელსაყრელი იყო მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებისათვის. სოფელში უძველესი დროიდანვე მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, მეთინდვრეობას. არსებობდა სარწყავი სისტემა. განთქმული იყო აქაური ხორბალი და მისგან გამომცხვარი პური. სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა მეცხვარეობას, მეფრინველეობას (სოფელში ამჟამადაც ფუნქციონირებს თანამედროვე მეფრინველეობის ფაბრიკა), პოპულარული ყოფილა ნადირობა. ამის დასტურად მიაჩნიათ კოდმანის კლდის ძირში ნადირობის წარმართული ღმერთის – კოპალეს სალოცავის და ნადირობასთან დაკავშირებული ქრისტიანი წმინდანის – ესტატეს სახელობის ეკლესიის არსებობა.

სოფელი საისტორიო წყაროებში პირველად XIV ს-ში მოიხსენიება. ქართლ-კახეთ-მეხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯრის მიხედვით, პატარძეულის დიდი ნაწილი საკათალიკოსო იყო. გვიანდ. შუა საუკუნეებში, როცა კახეთის სამეფო ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოიყო, სოფელში საკათალიკოსო ყმა-მამულის გარდა, ზოგჯერ მის ხარჯზეც, გაჩნდა სხვა ეკლ.-მონასტრებისა თუ ცალკეულ ფეოდალთა კუთვნილი ყმა-მამული. 1600 წელს პატარძეულის ნინოწმინდის მონასტრისათვის ყმა-მამულები შეუწირავს ქეთევან წამებულს. პატარძეულშივე ჰქონია ყმა-მამული გარეჯის მონასტერს, აგრეთვე თავადებს ჩოლოყაშვილებს, სოლოღაშვილებს და სხვ.

სოფელ პატარძეულის მოსახლეობა, რ-იც იყენებდა სოფელში არსებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს (ბილანიშვილებისა და ფიცხელაურების კოშკები, პატარძეულის ციხე) ყოველთვის ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. 1616 წელს, შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევის დროს, სოფლის მოსახლეობის ნაწილი აჭყარეს და ფერეიდანში გადაასახლეს, სადაც დღესაც არსებობს სოფ. პატარძეული.

პატარძეული განსაკუთრებით ლეკთა დაუსრულებელი თარეშით ზარალდებოდა. ამის გამო XVII-XVIII სს-ში სოფლის მოსახლეობის რაოდენობა ძალზე შემცირდა. ამ დროიდან დაიწყო აქ საქართველოს მთიანეთიდან მოსახლეობის გადმოსახლება და დამკვიდრება.

ეპარქიულად პატარძეული ნინოწმინდის საეპისკოპოსოში შედიოდა. პატარძეულიდან გამოსული ლაშქარი რუსთაველი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ დგებოდა.

1905 წლის 20 მარტს ტყით სარგებლობის უფლების ჩამორთმევით უკმაყოფილო 10 ათასმა გლეხმა თავი პატარძეულში მოიყარა. საერთო შეკრებაზე გლეხებმა წამოაყენეს მოთხოვნები, რ-თა შორის მთავარი იყო ტყის და მიწის საერთო სარგებლობაში გადაცემა და სასამართლოსა და სკოლებში ქართ. ენის დამკვიდრება. შეკრებაზე გლეხებმა თვითმმართველობის ორგანოებიც აირჩიეს. შეშინებულმა თავადმა ჩოლოყაშვილმა თანხმობა გაანაცხადა ტყისა და მიწის გლეხებისათვის სარგებლობაში გადაცემაზე. ამოქმედდა არჩეული თვითმმართველობა, რ-იც გლეხების ინტერესებს იცავდა. მთავრობამ დამსჯელი ღონისძიების გატარება ვერ შეძლო.

პატარძეულიდან არიან გამოჩენილი მწიგნობრები – გრძელიძეები, XI ს-ის მოღვაწეები: ილარიონ თვალელი და არსენ ნინოწმინდელი, XX საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწე, პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

კ. კახაძე.


ბიბლ.: 98; 314გ; 317; 322; 361.

164. ბიბლიოთეკა, ისტ. ძ. განთავსებულია კულტურის სახლის მეორე სართულზე. გაიხსნა 1899 წლის 24 ოქტომბერს.

ბ-კა დაარსდა XIX საუკუნის ბოლოს ბილანიშვილებისა და პავლე ყუშიტაშვილის თაოსნობით. პ. ყუშიტაშვილმა სოფლის ცენტრში თავისი ხარჯით ააგო შენობა, შეიძინა მრავალი წიგნი და საჭირო ავეჯი. მიიღო წიგნთსაცავის გახსნის ნებართვაც. 1964-65 წწ-ში ბიბლიოთეკისათვის 300 წიგნი უჩუქებია პოეტ გ. ლეონიძეს. ამჟამად ბიბლიოთეკის თავდაპირველი შენობა აღარ არსებობს. მან მრავალჯერ შეიცვალა მისამართი, სანამ დღევანდელ ადგილზე განთავსდებოდა.

ზ. ჯამბურია.


165. ბილანიშვილების კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, ბილანიშვილების უბანში. განეკუთვნება



165. II სართულის გეგმა


XVIII საუკუნეს. ეკუთვნოდა ბილანიშვილების საგვარეულოს.

კოშკი ცილინდრულია, ხუთსართულიანი (გარე დიამ. ფუძის დონეზე – 8,1 მ). მეხუთე სართული ქონგურებიანი ბა-



165. III სართულის გეგმა

ნია. ნაგებია რიყის ქვით. კედლის ზედაპირი ნალესობითაა მოსწორებული. პირველი, მეორე




165. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

და მესამე სართულების გუმბათები აგურისაა. ერთადერთი შესასვლელი მეორე სართულზეა, ჩრდ. მხარეს. კარი სწორკუთხაა.

პირველი სართული, სამეურნეო დანიშნულების, გეგმით წრიული, ყრუ სათავსია. მასში მოხვედრა, მხოლოდ მეორე სართულიდან, კედლის სისქეში მოწყობილი კიბითაა შესაძლებელი. სართულის ცენტრში ჭა ყოფილა (ამოვსებულია).სართული გადახურულია აგურის ნახევარსფერული გუმბათით,რ-შიც, კამარის ქუსლის დონეზე, ერთი სარკმელია გაჭრილი.

კოშკის მეორე სართული შვიდწახნაგაა. ერთ-ერთ (ჩრდ.)



165. ჩრდ. ფასადი

წახნაგში კოშკში შემოსასვლელი კარია,რ-ის აღმ. წირთხლში პირველ სართულზე ჩასასვლელი კიბე იწყება. კარის პირდაპირ გეგმით ნახევარწრიული, შეისრულთაღოვანი ბუხარია. კარის მარჯვნივ კი – ზედა სართულთან დამაკავშირებელი კიბის უჯრედში შესასვლელი და ერთი პატარა სათოფური. კარის მარცხნივ (აღმ-ით) პატარა ნიშაა – ცალმაგი სათოფურით. დანარჩენ სამ წახნაგში შეწყვილებული სათოფურით აღჭურვილი, თითო დიდი ზომის, ღრმა ნიშაა. სართული გადახურულია აგურით ნაწყობი, ნახევარსფერული კამარით, რ-ის ქუსლის დონეზე, აღმ-ით, სარკმელია გაჭრილი.

მესამე სართულიც გეგმით წრიულია. ამ სართულზეც, შესასვლელი კარის პირდაპირ, გეგმით ნახევარწრიული, შეისრულ-



165. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

თაღოვანი ბუხარია. კედელში ოთხი ოთხკუთხა ნიშაა, რ-ებშიც ორმაგი სათოფურებია მოწყობილი. მ. შ. ერთ-ერთი ნიშა იატაკის დონიდან იწყება. მასში ორმაგი სათოფურის გარდა, ერთი ცალმაგი, დახრილი სათოფურიცაა. სართული გადახურულია ნახევარსფერული კამარით, რ-შიც სარკმელია მოწყობილი. ერთი პატარა სარკმელი სართულზე ამოსასვლელი კიბის ბაქნის დონეზეა.

მეოთხე სართული ქონგურებიანი ბანია. კედელში სიმეტრიულად განლაგებულია ხუთი ნისკარტა სალოდე, რ-თა შორის ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია მოწყობილი. სათოფურებია ზოგიერთი სალოდის გვერდის კედლებშიც და ქვემოთაც.

თ. დვალი.


ბიბლ.: 122; 126; 475.

166. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 0,5 კმ-ზე, გზის პირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. შემორჩენილია საკურთხევლისა და საძირკვლის ფრაგმენტები.

შენობა ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გეგმა არ იკითხება.


ბ. კუპრეიშვილი.

167. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ოთხიოდე კმ-ზე, წმ. გიორგის ეკლესიის დასით, დაახლ. 100 მ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



167. გეგმა

ეკლ. დარბაზულია, უაფსიდო (5,1x3,8 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. წყობაში გამოყენებულია ლოდებიც.



167. ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი და ფასადებზე საპირე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი, კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია, დანგრეულია სამხრ. კედლის შუა მონაკვეთი და მის ზემოთ კამარის ნაწილი, მონგრეულია სამხრ.-აღმ. კუთხე, სახურავზე ამოსულია მცენარეები, გარედან ეკლესიის კედლები, 0,7-1 მ სიმაღლეზე, მიწითა და ქვებითაა დაფარული.

შესასვლელი სამხრ-იდანაა (შემორჩენილია აღმ. წირთხლის წყობის ქვედა ნაწილი). საკურთხევლის აღმ. კედელში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში, იატაკიდან დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, პატარა, კვადრ. ნიშაა. შიგნით ეკლ. გადახურულია ერთიანი, ქარგილზე სხმული, შეისრული კამარით.

თ. დვალი.


168. ეკლესია, „კიკიას საყდარი“, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ოთხასიოდე მ-ზე. თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით.



168. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლ. დარბაზულია (13,5x8,1 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კუთხეების და არქიტ. ელემენტების წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგური. კედლების ზედაპირი გარედან გასწორებულია სქელი ბათქაშით, რ-იც საპირე ქვებს თითქმის მთლიანად ფარავს.


ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია გადახურვა, ეკლესიის ოთხივე კედელი კამარის ქუსლის დონემდეღაა შემორჩენილი.



168. გეგმა

შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. დას. კარი შესაბამისი კედლის ღერძზეა გაჭრილი, სამხრ-ისა კი – კედლის დას. ბოლოსთან. ორივე კარი შეისრულთაღოვანია და მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. შიგნით შესასვლელები ჩასმულია ღრმა, თარაზულად გადახურულ (შემორჩენილია კვალი) არეში. სავარაუდოდ, ორივე შესასვლელი შიგნით ნახევარწრიული თაღით იყო დასრულებული, რ-იც მოგვიანებით (შესაძლოა მშენებლობის პერიოდშივე) ამოუშენებიათ და ორივე არე ხის ძელებით გადაუხურავთ (დას. შესასვლელის გადახურვის თავზე, აშკარად იკითხება რიყის ქვით

ნაწყობი, მოგვიანებით ამოშენებული, ნახევარწრიული თაღი).



168. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

აღმ-ით ნახევარწრიული, ღრმა აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, მაღალი სარკმელია გაჭრილი. შიგნით სარკმელი შეისრული თაღითაა გადახურული, ხოლო გარედან – ნახევარწრიულით. შიგნით სარკმლის გვერდები და წირთხლები რიყის ქვითაა ნაწყობი, თაღი კი – აგურით. სარკმლის გარეთა ღიობი თითქმის მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ორ-ორი შეისრულთაღოვანი ნიშაა. დარბაზის გრძივი კედლების შუაში და დას. კუთხეებში ორსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღები იყო გადაყვანილი. საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო მს-



168. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

გავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. მ. შ. დას. სარკმელს ზედა ნაწილი აკლია.


ეკლესიის ორივე შესასვლელი, გარედან, კედლის მცირედ შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც ერთრიგად ნაწყობი აგურის ხერხულა ფრიზი აგვირგვინებს. დას. კარის გვერდები და თაღი ორსაფეხურიანია. ორივე შესასვლელის თაღის ირგვლივ მოქცეული სიბრტყე კი ნაძვის წიწვისებრად დაწყობილი აგურითაა გაფორმებული.

თ. დვალი.

169. კვირაცხოვლის ეკლესია,


არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. თარიღდება XVIII ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (11,2x6,5 მ). შეიცავს სხვადასხვა პერიოდის, ორ სამშენ. ფენას, რ-თა შორის დიდი, ქრონოლ. შუალე-



169. გეგმა

დი არ ჩანს. შენობის თავდაპირველ და გვიანდელ ნაწილთა შორის საზღვარი კედლების სიმაღლის ნახევარზე გადის.




169. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ორივე ნაწილი რიყის ქვითაა ამოყვანილი, თუმცა, როგორც წყობის ხასიათით, ისე ხარისხითაც, ისინი ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება. განსხვავებულია გარეთა კუთხეების ამოსაყვანად გამოყენებული საშენი მასალაც – შენობის ქვედა ნახევრის კუთხეები მოზრდილი, რიყის ქვებითაა ამოყვანილი, ზედა ნახევრისა კი – კვადრ. აგურით. კედლები, როგორც ქვედა, ისე ზედა ნახევარში, გასწორებულია ბათქაშით, რ-იც ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით და დას-ით (ამოშენებულია შიგნიდან). სამხრ. შესასვლელი სწორკუთხაა. დას-ისა კი – შეისრულთაღოვანი. სამხრ. შესასვლელის გარეთა ღიობი ტლანქად დამუშავებული ქვიშაქვის, მოზრდილი სამი ქვითაა გამოყვანილი – თითო-თითო გვერდებში და ერთი – გადასახურად. დას. შესასვლელის გვერდებიც ქვიშაქვისაა, თაღი კი – აგურის. რაც, დიდი ალბათობით, ეკლესიის განახლების პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ამავე დროს უნდა იყოს აღდგენილი სამხრ. შესასვლელის აღმ. გვერდის ზედა ნაწილიც. ეს უკანასკნელიც, ისევე როგორც დას. შესასვლელის თაღი, აგურითაა გამოყვანილი. კედლების უმეტესი ნაწილი, შიგნით, დაფარულია ნალესობით, რის გამოც, შენობის ნაწილებს შორის ქრონოლ. განსხვავება არ ჩანს.

აღმ-ით, ღრმა, ოდნავ ნალისებრი აფსიდია, რ-იც დარბა-



169. დას. ფასადი

ზის იატაკის მიმართ ოციოდე სმ-ითაა შემაღლებული. აფსიდში ერთი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი და სამი ნიშაა

მოწყობილი. ნიშებიდან ერთი სარკმლის სამხრ-ითაა, ორი – ჩრდ-ით. სამივე ნიშა ოთხკუთხაა. მ. შ. ორი (სამხრ-ით მდე-



169. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ბარე და აფსიდის ჩრდ. მხრის მიმდებარე), სიმაღლეში ორ ნაწილადაა გაყოფილი. მესამე ნიშა, როგორც ჩანს, ადრე თაღით იყო დასრულებული (ნიშის ზემოთ, ნალესობის ჩამოცვენილი ნაწილის ქვეშ, თაღის კვალი იკითხება). იგი მოგვიანებით დაუდაბლებიათ და ბრტყლად გადაუხურავთ. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც და მისი საბჯენი თაღებიც. კონქი, კამარა და საბჯენი თაღები აგურითაა გამოყვანილი. თითოეული თაღის ქუსლებთან მარტივი პროფილის იმპოსტებია გამოყოფილი.

დარბაზის გრძივ კედლებზე კედლის სიბრტყიდან ოდნავ გამოშვერილი, თითო, პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრები დას. კუთხეებშიცაა. მათ კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიის შიდა სივრცეს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მ. შ. თითო-თითო – გრძივი კედლების აღმ. ნაწილში ერთმანეთის მოპირდაპირედაა გაჭრილი. მესამე – დას. კედელშია – შესასვლელის ასწვრივ. ყველა სარკმელი აგურითაა გამოყვანილი. ჩრდ. კედლის დას. ნაწილში გეგმით ნახევარწრიული, კონქით გადახურული ნიშაა, რ-იც, სავარაუდოდ, მოგვიანებით უნდა იყოს მოწყობილი.

ეკლესიის აღმ. და დას. ფრონტონებზე აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხურებიან კვარლცხბეკზე დადგმული ჯვრის თითო გა-



169. სამხრ. ფასადი. სამშენ. წარწერა

მოსახულებაა. სამხრ. შესასვლელის ზემოთ, კედლის გახანგრძლივებულ ნაწილში, მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა, რ-შიც მოთავსებულია მარმარილოს ფილა. ფილაზე ამოკვეთილი ყოფილა მხედრ. დამწერლობით შესრულებული, შვიდსტრიქონიანი სამშენ. წარწერა. დაზიანების მიუხედავად, წარწერის პირველი სამი სტრიქონი მეტ-ნაკლებად იკითხება, დანარჩენი კი განადგურებულია. წარწერის მესამე სტრიქონის ბოლოში გარკვევით მხოლოდ ეკლესიის ამშენებლის სახელი – „გოგია“ იკითხება.

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით.

ეკლესიის ირგვლივ ძვ. საფლავის ქვებია.

2006 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (შემსრულებელი კავშირი „ორიენტირი“): გამაგრდა ყველა ავარიული ადგილი, გაკეთდა რკინა-ბეტონის სარტყელი, აღდგა ლავგარდანი და ალაგ-ალაგ (ძირითადად ლავგარდნის ძირის დონეზე) კედლების მონგრეული ნაწილები. ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

170. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ხუთასიოდე ჯ-ზე, ფიცხელაურების კოშკის მახლობლად. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. შემორჩენილია კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები. ერთ-ერთ კედელში შეიმჩნევა ბუხრის კვალი.

ბ. კუპრეიშვილი.

171. გიორგი **ლეონიძის სახლ-მუზეუმი,** ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. გაიხსნა 1968 წელს.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. სახლი აშენებულია XIX ს-ის II ნახევარში, გიორგი ლეონიძის მამის – ნიკოლოზის მიერ. სახლის ორივე სართულზე ორ-ორი ოთახია, რ-ებიც კარით უკავშირდებიან ერთ-

მანეთს. სახლს ეზოს მხარეს (სამხრ-ით), მთელ სიგრძეზე, ხის აივანი გასდევს, რ-იც ხის-ავე შვიდ სვეტს ეყრდნობა.



171. ხედი სამხრ.-აღმ-იდან.


აივანი გვერდის (დას.) ფასადის მხრიდან ყრუ კედლითაა შემოზღუდული. ოთახებში შესასვლელი აივნიდანაა. მეორე სართულის ოთახებს თითო სარკმელი გვერდით კედლებშიც აქვთ. ამ მხარეებზე პირველი სართულის კედლები ყრუა. ყრუა სახლის ზურგის კედლი.



171. I სართული. სამზარეულო

იც. აივანზე გამოდის ოთახების ორ-ორი სარკმელიც. აივნის მხარეს, მარმარილოს დაფაა წარწერით: „ამ სახლში 1899 წლის 27 დეკემბერს დაიბადა საქართველოს სახალხო პოეტი აკადემიკოსი გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე“. იქვეა პოეტის დიდი ფოტოსურათი.

პირველი სართული, მეორეს, ხის ორმარშიანი, გადახურული კიბით უკავშირდება, რ-იც აივანზე გარედანაა (აღმ-იდან) მიდგმული. პირველი სართულის აივნის დას. კედელში ბუხარია მოწყობილი. იატაკი აგურისაა. ადრე, პირველი სართულის ერთ ოთახში, სამზარეულო იყო განთავსებული, მეორეში – სარძევე (ამჟამად მუზეუმის ადმინისტრ. ოთახია). ორივე სართულის



171. II სართული. ერთ-ერთი ოთახი

თითო ოთახში თითო თაღოვანი ბუხარია. სახლის ქვედა სართულის სამხრ.-აღმ. კუთხეზე ნახევარწრიული კონტრფორსია მიდგმული. სახლში დაცულია: დიდი საოჯახო ტახტი, რ-ზეც დაიბადა პოეტი, საწოლი ტახტი, საგვარეულო ავეჯი, მისი პირადი ნივთები და სხვა – სულ 1337 ექსპონატი. ნივთები მეორე სართულზე, ორ დიდ ოთახშია გამოფენილი.

შენობა გადახურულია კრამიტის ორკალთა სახურავით.

სახლს აღმ. მხრიდან ეკვრის მარანი, რ-ის ზურგის (ჩრდ.) კედელში მოწყობილია თახჩები. მარანში ხის დიდი საწნახელია, რ-იც სახლის კედელზეა მიდგმული. იატაკი მიწისაა, მასში ქვევრებია ჩაფლული. მარანი გადახურულია ღარისებრი კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით.


სახლს აქვს საგვარეულო ეზო, რ-საც ხის ღობე ევლება.

2018 წელს გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს კულტ. მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ც. ბერძენიშვილი, თ. დვალი

ბიბლ.: 321ვ.


172. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. თარიღდება XIX ს-ით. ეკუთვნოდა მუჩიაშვილებს. ძლიერ



172. გეგმა

დაზიანებულია. შემორჩენილია ნანგრევების სახით.

შენობა გეგმით ოთხკუთხაა (10,75x7,6 მ). ნაგებია წვრილი, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. აღმ. კედლის გაყოლებით, მთელ სიგრძეზე, მოწყობილია



172. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ქვის საწნახელი, რ-იც კირის წმინდა ხსნარითაა შელესილი. საწნახლის თავზე, აღმ. კედლის შუაში, ოთხკუთხა სარკმელია. შესასვლელი დას-იდან ჰქონია. იატაკის დონე დარღვეულია. ჩანს მხოლოდ ერთი ქვევრი.

თ. დვალი.

173. მახარიკაანთგორის ნამოსახლარი, „ბ ე ჟ ი ტ ა ა ნ თ გ ო რ ა“, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. განაპირას. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით.

ძ. 1953 წელს აღმოაჩინა ქ. რუსთავის გარემოს შემსწავლელმა დაზვერვითმა არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი).

გორა წარმოადგენს თხემმოსწორებულ,ბუნებრივ ბორცვს, რ-საც გარშემო ხელოვნური ტერასები შემოუყვება. ნამოსახლარზე მრავლად აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ლ. მაისურაძე.

ბიბლ.: 22; 294; 297.

174. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, ორიოდე *კმ*-ზე. განეკუთვნება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ოთხკუთხა, გარეთკენ შეკვეთრებული სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო კვადრ. ნიშაა.

2008 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლ. თვითნებურად გაარემონტა, თუმცა, იმდენად დაუდევრად, რომ მას ამჟამად ისტ. ღირებულება თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს: შიგნით ეკლ. გადახურულია რკინა-ბეტონის ერთიანი, ამორფული კამარით, გარედან კედლები შელესილია ცემენტისა და ქვიშის ხსნარის სქელი ფენით. ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

175. ნაძალაძარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, უტიაშვილების უბნის გაგრძელებაზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ძ. დაფარულია ქედის ზედა ნაწილის ეროზიის შედეგად ჩამონარეცხი ქვა-ღორღითა და ტყით, მაგრამ მაინც შეინიშნება ეკლესიების, საცხოვრ. სახლების და, შიდა პერიმეტრზე, მრავალთახჩიანი, მცირე ნაგებობების ნაშთები.

კ. ფიცხელაური.

176. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს იფნიანისხევის მარჯვ. ნაპირზე, ყარადაღად წოდებულ ადგილში. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით.

სამარხები დაზიანებულია. სამაროვანზე აღმოჩნდა ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი. სატევრის ტარის დრუს ნაწილებში, ტიხრებს შორის, ხის ნაშთი იყო შემორჩენილი. ქუდის ზედა, მრგვალი ფანჯარა, ტარის ტიხრით, ორადაა გაყოფილი. პირი ამოკაწრული ორნამენტითაა შემკული.

1975 წელს სოფელში ზუკაკიშვილების ვენახის აღმ-ით, სარწყავი რუს მშენებლობის დროს, დაზიანდა გვერდიგვერდ მდებარე ორი სამარხი. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ყალიბში ჩამოსხმული ბრინჯაოს მხედრის ქანდაკება, ბრინჯაოსავე მილიანადსხმული სატევარი, ხელშუბის წვერი, დედალი დუგმა, რკინის შუბისწვერი და რკინის მახვილის წვერის ბრინჯაოს ქარქაში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 79.

177. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, უტიაშვილების უბანში. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს.

ძ. ზიანდება ამ ადგილზე სახლების მშენებლობის გამო. ორმოსამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი, ბრინჯაოს სამკაული, გრავირებული სარტყელი და სხვ.

მასალა ინახება ილიაუნში.

კ. ფიცხელაური.


178. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მთის ფერდზე. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარს.

ძეგლზე მცირე დაზვერვითი, არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ადგილობრივ მოსახლეობაში და დაზვერვითი სამუშაოების დროს შეგროვებული, ადგილნაცვალი, არქეოლ. მასალა ინახება ილიაუნში.

კ. ფიცხელაური.

179. ფიცხელაურების კოშკი, მ რ ი ზ ი ა ნ თ კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ხუთასიოდე *მ*-ზე, მთის ფერდობზე. განეკუთვნება XVIII ს-ის II ნახევარს. ეკუთვნოდა ფიცხელაურებს. ადგილ. მოსახლეობა მას მრიზიანთ კოშკსაც უწოდებს.


კოშკი ცილინდრულია, ხუთსართულიანი, ზემოთ შევიწროებული (გარე დიამ. ფუძის დონეზე – 7,8 *მ*, სიმ. – 16 *მ*). ნაგებია




179. II სართულის გეგმა

რიყის ქვით. კონსტრ. ელემენტები აგურისაა. მხოლოდ მეორე სართულის კედლებია შიგნით შელესილი.


კოშკის ქვედა სამ სართულს კამაროვანი გადახურვა აქვს. მეოთხე და მეხუთე სართულებს კი ხის კოჭოვანი, ბრტყელი გადახურვა ჰქონია (შემორჩენილია გადახურვის კოჭების ბუდეები). სართულებს შორის კავშირი კედლის სისქეში მოქცეული კიბით ხორციელდებოდა.



179. III სართულის გეგმა



179. ჭრილი. ხედი აღმ-კენ



179. ჩრდ. ფასადი

პირველი სართული დამხმარე დანიშნულებისაა. იგი შიგნიდანაც მრგვალია (დიამ. – 4 მ) და კამარაში მოქცეული, გარეთკენ შემაღლებული, სამი ფართო სარკმლით ნათდებოდა.



179. II სართულის ინტერიერი. დეტალი

მეორე სართული გეგმით რვაწახნაგაა. გადახურულია აგურით ნაწყობი, შეკრული კამარით. კოშკის ერთადერთი შესასვლელი ჩრდ., ღერძულ წახნაგშია მოწყობილი. კარი შეისრულთაღოვანია. მის ორივე მხარეს, კედლის სისქეში არსებული კიბის უჯრედის შესასვლელებია. დანარჩენი წახნაგებიდან ორში – შეწყვილებული სათოფურით აღჭურვილი, თითო ღრმა ნიშაა, ორში კი – ცალმაგსათოფურიანი თითო ნიშა.



179. (რეაბილიტაციის შემდეგ) ხედი სამხრ-იდან

სამხრ.-დას. წახნაგში გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია. სართული ორი სარკმლით ნათდებოდა, რ-ებიც კამარაშია გაჭრილი. მათი ღიობები გარეთკენ ამაღლებულია. ორივე სარკმლის თავზე, თითო ჩაღრმავებული რომბია. კამარის დანარჩენი წახნაგები, გარდა აღმ. ღერძულა წახნაგისა, ორ-ორი, ერთიმეორის თავზე განლაგებული რომბითაა გაფორმებული. აღმ. წახნაგზე, ქვედა რომბის ნაცვლად, გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი, რ-იც მის ქვემოთ მდებარე ნიშის თაღის წვეროს ებჯინება. ამ ნიშის ადგილმდებარეობის (აღმ. ორიენტაცია) და მის თავზე გამოყვანილი

ჯვრის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ამ ნიშს სალოცავადაც იყენებდნენ.


მესამე სართული გუმბათოვანი კამარით გადახურული, წრიული ოთახია. მის აღმ. მხარეს – გეგმით ნახევარწრიული ბუხარი. კედელში – ერთ დონეზე – ქვემოთკენ დახრილი და თარაზულად გაჭრილი ცალმაგი სათოფურებია განლაგებული. სართული სამი სარკმლით ნათდებოდა. სამივე კამარაშია მოქცეული.

კოშკის მეოთხე და მეხუთე სართულები საბრძოლო დანიშნულებისა იყო. მეოთხე სართულზე შემორჩენილია ოთხი სალოდე და ერთი საზარბაზნე, რ-თა შორის თითო ან ორ-ორი ძირს დახრილი სათოფურია მოთავსებული. მეხუთე სართულის შემორჩენილ კედელში მხოლოდ სათოფურებია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 122; 126; 475.

180. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას ჯიღაურიანთ უბანში. სავარაუდოდ, თარიღდება XIX საუკუნით. ეკლ. ადრე ამ ადგილას არსებული ციხე-გალავნის აღმ. კედელზე ისაა მიდგმული, რომ იგი ეკლესიის დას. კედლის მოვალეობასაც ასრულებს. 1990-იან წლებში აქ მამათა მონასტერი დაარსდა. აღდგა ეკლესიის გვერდით მდგარი ციხე-გალავნის ერთ-ერთი ცილინდრული კოშკი და გალავნის ნაწილი. ადრე არსებული გალავნის




180. გეგმა



180. საერთო ხედი სამხ-იდან

მთელ პერიმეტრზე აიგო სამონასტრო დანიშნულების რამდენიმე ახ. ნაგებობა და გარემონტდა ეკლ. მოიხსნა ეკლესიის დას. კედელზე დადგმული სამრეკლო, დაიდგა კანკელი. ეკლ. შიგნით გაჯით, ხოლო გარედან ცემენტითა და ქვიშის ხსნარით შეილესა.



180. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ეკლ. დარბაზულია (10,8x6,6 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კარ-სარკმლების მოსაპირკეთებლად სუფთად დამუშავებული ქვიშაქვაა გამოყენებული. შესასვლელი ორია: სამხრ-იდან (ამჟამად ამოშენებულია) და ჩრდ-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა. იატაკი დიდი ზომის, გათლილი ქვითაა მოგებული. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, გაჭრილია განიერი, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი, რ-ის სამხრ-ით ერთი შეისრულთაღოვანი ნიშაა, ხოლო ჩრდ-ით – ერთი ოთხკუთხა და ერთი შეისრულთაღოვანი ნიშა. მ.შ. სწორკუთხა ნიშის ზემოთ მცირე ზომის ნიშაა მოწყობილი, რ-საც საფეხურებად დამუშავებული გადახურვა აქვს. ერთი პატარა ნიშა აფსიდის სარკმლის ქვემოთაცაა. საკურთხეველი, დარბაზის



180. ჩრდ. ფასადი

იატაკის მიმართ, საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

საკურთხევლის სარკმლის მსგავსი თითო სარკმელი დარ-

ბაზის გრძივ კედლებშიცაა გაჭრილი. ოდნავ მომცრო, ერთი სარკმელი დას. კედლის ზედა ნახევარშია. იგი შიგნიდან თაღოვანია, გარედან კი – ოთხკუთხა.



180. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო მარტივი პილასტრია, რ-ებსაც საბჯენი თაღი ეყრდნობა. თაღის ქუსლებთან მაღალი, თაროსებრი იმპოსტებია გამოყოფილი. დას. კედლის ორივე პილასტრი იატაკიდან დაახლ. 2,5 მ-ის სიმაღლეზე იწყება. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, ხოლო დარბაზი – შეისრული კამარით. შეისრული ფორმისაა კონქის თაღიც და საბჯენი თაღებიც.



180. ხედი ეზოდან (დას-იდან)

ჩრდ. ფასადზე, კარის არქიტრავის თავზე, ნახევარწრიული ფორმის, შეღრმავებული არეა, რ-ის ზემოთ წყობაში ჩასმულ, ოთხკუთხა ქვაზე, მხედრული ფორმის, სრულიად დაუმუშავებელი ქვებითა და კირის დუღაბით. განახლებული ნაწილები ნაგებია ქვიშაქვით, რიყის ქვით და ცემენტის ხსნარით.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. აღმ-ით აფსიდია, რ-შიც განიერი, უსახური სარკმელია (გვიანდელია) მოწყობილი. ასეთივე სარკმელი დამწერლობით შესრულებული, ძლიერ დაზიანებული წარწერაა შემორჩენილი.


აღმ. ფრონტონზე, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც მაღალ, საფეხუროვან კვარლცხბეკზეა აღმართული. კედლები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დალაგებული აგურებით შედგენილი რიგების მონაცვლეობითაა გამოყვანილი. შენობა გადახურულია თუნუქის სახურავით.

ეკლესიის სამხრ. და დას. ფასადების წინ საფლავის ქვებია.


თ. დვალი.

181. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. აგებულია XX ს-ის 80-იან წწ-ში, ძვ., აქ მდგარი, სავარაუდოდ გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის (6,4x4,4 მ) გეგმის მიხედვით, თანაც ისე, რომ განახლებული ეკლესიის კედლებში ძვ. ეკლესიის შემორჩენილი ნაწილებია ჩართული. თავდაპირველი ეკლ.,

როგორც ეს შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, ნაგები ყოფილა ქვიშაქვის მოზრდილი ზო-



181. გეგმა



181. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



181. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ლია დას. კედელშიც. აფსიდის გვერდებში თითო, მცირე ზომის, შეისრულთაღოვანი ნიშაა. ეკლ. გადახურულია რკინა-ბეტონის, ორკალთა სახურავით, რ-იც გარედან ღარისებრი კრამიტითაა დაბურული.

თ. დვალი.

182. ციხე-კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, ჯიღაურიანთ უბანში. ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით (სამხრ-ით), სამიოდე მ-ზე. თარიღდება XVIII ს-ით.

კოშკი ცილინდრულია. ნაგებია რიყის, წვრილი ქვითა და კირის დუღაბით. შემორჩენილი იყო 2,5-3 მ სიმაღლეზე. 1990-იან წლებში, ამ ადგილას მამათა მონასტრის დაარსების დროს, იგი თვითნებურად აღადგინეს და ამჟამად მონასტრის საჭიროებისთვის გამოიყენება.

თ. დვალი.

183. წითლობისგორის ნამოსახლარი და სამაროვანი არქეოლ. ძ. მდებარეობს წითლობისგორის დას. კალთაზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანას.

ნამოსახლარზე აიკრიფა თიხის ჭურჭლის, ბათქაშისა და სამშენ. ქვის ნატეხები.

სამაროვანი ნამოსახლარის თანადროულია, რ-ზეც წლების მანძილზე ნადგურდებოდა სამარხები.


გ. გიუნაშვილი.

ბიბლ.: 22.

184. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდით, ოთხიოდე კმ-ზე, შემაღლებულ ადგილზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, რ-ის გეგმის კონტური კვადრატს უახლოვდება (სიგრ. – 5,7 მ, სიგ. – 5,1 მ). ნაგებია რიყის ქვით, აგურითა და კირის ხსნარით. შიგნით კედლები შელესილია.

ეკლესიას ეტყობა გვიანდ. შეკეთების კვალი. ამ დროს ეკლესიის აღმ., დას. და სამხრ. კედლებზე, გარედან, კონუსისებრი კონტრფორსები მიუშენებიათ. შესასვლელი სამხრ-იდანაა.



184. გეგმა

კარი გარედან მთლიანად აგურითაა გამოყვანილი და ნახევარწრიული თაღი ხურავს. შიგნით კი – ხის ძელი. ეკლესიის დარბაზი მოკლეა. იმდენად, რომ მისი სიგ. დაახლ. 1 მ-ით ჭარბობს სიგრძეს. აღმ-ით მცირე სიღრმის, ოდნავ არაწესიერი



184. ხედი აღმ-იდან


ფორმის აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, თარაზულად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მცირე ზომის, თითო ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ დგას რიყის ქვით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი. შიდა სივრცეს საკურთხევლის სარკმლის გარდა, დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. იგი ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება და ბრტყელადაა გადახურული. კამარა სხმულია. აღმ-ით იგი კონქის თაღს ეყრდნობა. დას-ით კი – შეკიდულ საბჯენ თაღს. ეკლესიის იატაკი აგურით იყო მოგებული (დიდი ნაწილი აყრილია).

ეკლესიის ფასადები შელესილი ყოფილა. აღმ. და დას. ფრონტონების წყობაში ერთრიგად დაწყობილი აგურის რამდენიმე სწორხაზოვანი ზოლია, რ-ებიც თანაბრად ანაწილებს ფრონტონის არეს. აგურით ყოფილა ნაწყობი ლავგარდანიც.

1990-იან წწ-ში, სოფლის მოსახლეობას ეკლ. გაურემონტებია (დაუდევრად) და იგი ღარისებრი კრამიტით გადაუხურავს (ეკლ. ადრეც კრამიტით იყო გადახურული).


თ. დვალი.

185. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდით, 1,5 კმ-ზე, ტყის პირას. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



185. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (5,8x3,8 მ). ნაგებია რიყის, სხვადასხვა ზომის ქვითა და კირის დუღაბით. წყობა არაწესიერია. შიგნით კედლები შელესილი ყოფილა.




185. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი თაღოვანია. აღმ-ით ოდნავ ნალისებრი ფორმის აფსიდია, რ-შიც მცირე ზომის, შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან ორიოდე კმ-ზე, მთაზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს. მოგვიანებით სამხრ. კედლისთვის, გარედან, სამი კონტრფორსი მიუშენებიათ. მ. შ. შუა და დას-ით მდგარი კონტრფორსი ერთმანეთთან კედლით არის დაკავშირებული.




185. ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლ. დარბაზულია (8,0x4,7 მ). ნაგებია ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვით.შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი შიგნით თაღოვანია, გარედან – სწორკუთხა. მოგვიანებით დას. შესასვლელი ამოუშენებიათ და შიგნიდან ნიშა მოუწყვიათ.




187. გეგმა



187. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

აღმ-ით ოდნავ ნალისებრი აფსიდია, რ-ის ცენტრში გაჭრილია ვიწრო, გარეთკენ შევიწროებული, ოთხკუთხა სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა, სწორკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი, რ-ებიც თაროსებრი იმპოსტებითაა დასრულებული. სამხრ. კედელში,



187. სამხრ. ფასადი

კარის ზემოთ, ერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ჩრდ. კედლის შუაში ნიშაა.

ქ. გიორგობიანი.

186. წმ. გიორგის ნიში, საკულტო ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით,აგებულია XX ს-ის 80-იან წწ-ში, ნაეკლესიარზე (ეკლესიის გეგმა არ იკითხება). ნიში კვადრ. გეგმის მქონე, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული, თავმომრგვალებული, მასიური ნაგებობაა. ნაშენია რიყის ქვით. დგას ბეტონის კვადრ. საფუძველზე. ერთ-ერთ წახნაგში მოწყობილი აქვს ოთხკუთხა, სასანთლე ნიშა.

თ. დვალი.

187. წმ. ესტატეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით,




188. ხედი სამხრ-იდან

ვის. აფსიდის შუაში ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც. აღმ. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. შიგნით ეკლ. გადახურულია ერთიანი კამარით.


2000-იანი წლების დასაწყისში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. ნაწილობრივ შეუკეთებია: შესასვლელის თავზე კედლის საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილი და გარეთა კედლების მონგრეული ნაწილები ამოუშენებიათ და შენობა ღარისებრი კრამიტით გადაუხურავთ.

თ. დგებაძე.

189. წმ. შიოს პატარა და დიდი ეკლესიები, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას. ნაწილში. ძვ., ამჟამად გაუქმებულ სასაფლაოს ტერიტორიაზე, რ-იც მავთულის ბადითაა შემოფარგლული. ორივე ეკლ. წმ. შიოს სახელობისაა, ორივე ქვითა და კირის მოყვითალო დუღაბით. შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით ტოლი, სწორკუთხა ხვრელია, რ-იც კონქის თავზე არსებულ სივრცეს (სამალავი?) აშუქებს.



189. ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



189. გეგმა

დარბაზულია და ერთ ხაზზე, ერთიმეორის მიყოლებით არის განლაგებული. ეკლესიები სხვადასხვა პერიოდისაა. მათგან დას-ით მდგარი შედარებით ადრეულია და სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება. აღმ-ით მდგარი კი – XIX ს-ით. ეს უკანასკნელი, დას-ით მდგარ ეკლესიას, ზომით თითქმის სამჯერ აღემატება.

წმ. შიოს პატარა ეკლესია გეგმით ოთხკუთხაა (7,4x4,8 *მ*), ნაგებია რიყის ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის ღერძზე გარეთკენ შეკვეთებული, ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს გეგმით ნახევარწრიული, თითო მოაღლო, თაღოვანი ნიშაა, რ-თა ძირი იატაკიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზეა.ერთი სწორკუთხა სარკმელია დას. კედელში.

აფსიდი კონქითაა გადახურული, ხოლო დარბაზი – შეისრული კამარით. შეისრულია კონქის თაღიც.

ეკლესიის კედლები, გარედან გასწორებული ყორფილა ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის დიდ ნაწილს ფარავდა.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, ტოლფერდა სამკუთხედია გამოსახული, რ-იც კედლის სისქეში პირამიდისებრადაა შეღრმავებული და შელესილია. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის წვერთან, თითქმის სარკმლის ამ სივრცესთან მეორე, ოღონდ გაცილებით მცირე ხვრელიცაა დაკავშირებული, რ-იც ჩრდ. ფასადზე გამოდის.

კედლები დასრულებული ყოფილა სადა, კედლის სიბრტყიდან ოდნავ გამოშვერილი, მაღალი ლავგარდნით (განივ ფასადებზე შემორჩენილია ფრაგმენტები), რ-იც თითქმის მთლიანად კირის დუღაბითაა გამოყვანილი, ეს, აღმ. ფასადის მორთულობის ელემენტთან ერთად, ეკლესიას ერთგვარ თავისებურებას ანიჭებს.

წმ. შიოს დიდი ეკლესია გეგმით ოთხკუთხაა. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც ეკლესიის ძირითადი კორპუსისგან ცალკე ნაწილადაა გამოყოფილი (შიგნითა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ.



189. წმ. შიოს პატარა ეკლესია ხედი სამხრ.-აღმ-იდან

– 13,8 *მ*, სიგ. – 7,1 *მ*). შენობა სხვადასხვა ზომის, ქვიშაქვის ნატეხი ქვითაა ნაგები. ქვები პირდაპირაა დაწყობილი – ზო-

მისა და ფორმის მიხედვით შერჩევის გარეშე, რის გამოც წყობა ქაოსურია. გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლების ღიობები და არქიტ. ელემენტები ქვიშაქვის, სუფთად ნათალი ქვისაა.



189. წმ. შიოს დიდი ეკლესია ხედი სამხრ.-აღმ-იდან

შესასვლელი ორია: ერთი დას-ის კედელშია გაჭრილი, მეორე – სამხრ. კედლის დას. ნაწილში. ორივე კარი სწორკუთხაა და შიგნით თაღოვან შეღრმავებაშია მოთავსებული. აღმ-ით, აფსიდის ღერძზე, თაღოვანი სარკმელია, რ-ის მარჯვნივ ერთი, ხოლო მარცხნივ ორი, სხვადასხვა ზომის, სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის იატაკი, დარბაზის იატაკის მიმართ, ოდნავ შემაღლებულია და შუაში ორსაფეხურიანი ამბიონი აქვს მოწყობილი. გრძივ კედლებზე სამი წყვილი პილასტრია, რ-ებზეც ნახევარწრიული საბჯენი თაღებია გადაყვანილი. პილასტრების დას-ის წყვილი, შესაბამის თაღთან ერთად, შერწყმულია დას. კედელთან. პილასტრები დასრულებულია მთლიანი ქვის, მარტივი პროფილის მქონე კაპიტელებით. დარბაზი განათებულია ხუთი განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლით. მ.შ. ერთი დას. კედელშია გაჭრილი – შესასვლელის ასწვრივ, ხოლო ორ-ორი – გრძივ კედლებში.

დარბაზი ცილინდრული კამარითაა გადახურული, რ-იც მთლიანად წვრილი, ნატეხი ქვითაა ნაწყობი. კამარის საბჯენი თაღები კი – აგურისაა.

სამხრ. ფასადზე, კარის თავზე, მცირე ზომის კვადრ. ნიშაა, რ-შიც ხატი იქნებოდა ჩასმული. კედლები დასრულებულია ქვიშაქვის ქვებით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდნით.

2000-იანი წლების დასაწყისში, ადგილ. მოსახლეობას ორივე ეკლ. გაურემონტებია. მ.შ. წმ. შიოს დიდი ეკლესიის (ამჟამად მოქმედია) მდგრადობის გაზრდის მიზნით, გრძივი კედლები ერთმანეთთან არმატურით დაუკავშირებიათ. აუგიათ კანკელი და ეკლ. შიგნიდან, გაჯით შეულესავთ.

თ. დვალი.

ბიბლ.: 475.

190. ჭუკიაანთ მიწების ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ჭუკიაანთ მიწებად წოდებულ ადგილზე. ანაკრეფი მასალის მიხედვით, თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით.

ძ. აღმოჩნდა შემთხვევით, ხვნის დროს. ნამოსახლარზე ერთმანეთში იყო არეული ბათქაში, სამშენ. ქვა, თიხის ჭურჭლის ნატეხები, კაჟისა და ობსიდიანის ნამგლისპირის, ხერხისკბილა ჩასართები. იქვე აღმოჩნდა რიყის ქვისაგან დამზადებული თოხი, ბრინჯაოს მახვილები და სამაჯური.

რ. რუსიშვილი.


ბიბლ. 22.

რუსიანი

(გომბორის თემის საკრებულო)

191. „აღგილის დედა“, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, სასაფლაოსთან. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (5,7x4,5 მ). ნაგებია დაუმუშავებელი, მოზრდილი ზომის ნატეხი ქვიშაქვითა და კირის ხსნარით. გარედან, შემორჩენილი კედლე-




191. გეგმა

ბის საპირე წყობაში, ჩართულია რამდენიმე დიდი ზომის, ფეხზე დაყენებული და ფასადის მხარეს პირით მიქცეული ბრტყელი ქვა. წყობა ირეგულარულია.

ძ. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. მისგან, ფაქტობრივად, მხოლოდ აღმ. კედელია დგას. თუმცა, მასაც დიდი ნაწილი აკლია. ეკლესიის იატაკი მიწისა და ქვების დაახლ. 1 მ სიმაღლის ფენითაა დაფარული. ინტერიერში ამოსულია დიდი ხე.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონდა (შემორჩენილია დას. წირთხლის მცირე ნაწილი). აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, გაჭ-



191. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

რილია ზემოთკენ ოდნავ შეიწროებული, თარაზულად გადახურული სარკმელი. სარკმლის სამხრ-ით, ძირის დონეზე, კვადრ. ნიშაა, რ-იც ტლანქად დამუშავებული ოთხი ქვითაა გამოყვანილი.

გარედან, საკურთხევლის სარკმელი, გადახურულია ქვიშაქვის ერთ ქვაში გამოკვეთილი



191. ხედი ჩრდ.-დას-იდან

თაღით, რ-საც თავდაპირველი ფორმა, დაზიანების გამო, შეცვლილი აქვს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 269.

192. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, ჩრდ.-დას-ით, 300-350 მ-ზე. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

შენობა გეგმით ოთხკუთხაა და აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (შიგნითა ზომები: სიგრ. – 13 *მ*, სიგ. – 9,3 *მ*, კედლების საშ. სისქე – 0,8 *მ*). დგას მთის ფერდობზე, ისე, რომ



192. ხედი აღმ-იდან

მისი ჩრდ. მხარე ფერდობშია შეჭრილი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობის ოთხივე კედელი დიდი დანაკარგებითაა მოღწეული. კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის პირამდეა დანგრეული, ნაწილი კი მცენარეულობით ისეა დაფარული, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე, გეგმის ზუსტად დადგენა არ ხერხდება. შენობიდან ყველაზე დიდ სიმაღლეზე, სამხრ.-აღმ. კუთხე დგას (სიმ. – 1,8-2 *მ*). შემორჩენილ კედლებს არქიტ. ელემენტების კვალი არ ეტყობა. ისინი სხვადასხვა ზომის, ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კირის ხსნარითაა ნაგები. წყობა ირეგულარულია.

აღმ-იდან შენობას ეკვროდა ორჯერ უფრო მოკლე (სიგრ. – 7,9 *მ*), გეგმით ოთხკუთხა მინაშენი, რ-ისგანაც მხოლოდ აღმ. და ჩრდ. კედლების მცირე ნაწილებია შემორჩენილი (სიმ. 1-1,2 *მ*). მინაშენის ჩრდ. კედელი ნაგებობის შესაბამისი კედლის ხაზზეა, სამხრ-ისა კი მიწის პირამდეა დანგრეული, რის გამოც, მინაშენის სიგანის დადგენა (გასუფთავების გარეშე) არ ხერხდება.

თ. დვალი.

193. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. განეკუთვნება XII-XIV სს.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა 1965 წელს.


ერთ-ერთ დანგრეულ სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს ოვალურად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი საყურე, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები.

ბ. ჯორბენაძე.

ბიბლ.: 374.

194. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას. განაპირას, შემაღლებულ ადგილზე, წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს, დაახლ. 50 მ-ზე. აგებულია XIX ს-ის მიწურულში. ეკუთვნის მთვარელ-აშვილებს.

სახლი ერთსართულიანია. აქვს ნახევარსარდაფი. ნაგებია კირითა და ნატეხი ქვით. კედლები შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. ნაგებობის გეგმა სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის (11,5x7,4 *მ*), რ-საც ორი მხრიდან (აღმ-იდან და ჩრდ-იდან) ეზო აკრავს, სამხრ. მხრიდან კი – გვიანდ. მინაშენი. სახლის ზურგის (დას.) კედელი და სამხრ. კედელი ყრუა. დანარჩენ ორ მხარეს, მთელ სიგრძეზე, გადახურული, ხის აივანი გასდევს.



194. გეგმა

სახლი ორი ოთახისგან შედგება. ოთახები ტიხრითაა გამიჯნული და ერთმანეთს ტიხარში მოწყობილი კარით უკავშირდება. ორივე ოთახს შესასვ-



194. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ლელი აივნიდან აქვს. აივანზე გამოდის სარკმლებიც. შესასვლელები და სარკმლები ოთხკუთხაა. აივანზე ასასვლელად, მთავარი ფასადის მხრიდან, ხის, ოთხსაფეხურიანი კიბეა მოწყობილი (გვიანდელია). ამავე მხარეს, აივნის სამხრ. ბოლოში, ბუხარია, რ-იც აგურით ნაწყობი, ბრტყელი თაღითაა დასრულებული. აივანს ფიცრული მოაჯირი აქვს, რ-შიც სხვადასხვა სახეებია გამოყვანილი. აივნის სახურავი ხის სვეტებზეა დაყრდნობილი. სვეტებს შორის აჟურული დეკორით შემკული „ფრიზია“.

სახლის ჩრდ-ით მდებარე ოთახის ქვემოთ ნახევარსარდაფია (სიმ. – 1,8 მ). შენობა გადახურულია ორკალთა, შიფრით დაბურული სახურავით (გვიანდელია).

მინაშენი (შემორჩენილია კედლების ნაწილები) გეგმით ოთხკუთხაა. ნაგებია წვრილი, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით.


თ. დგალი.

195. ციხე, კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ზემოთ, ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 0,7 კმ-ზე, მაღალი მთის წვერზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


მშენებლობის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ირკვევა, რომ თავდაპირველად ამ ადგილას იდგა მხოლოდ ეკლ., რ-საც, მოგვიანებით, დას-იდან კოშკი მიადგეს, თანაც ისე, რომ ეკლესიის დას. კედელი კოშკის აღმ. კედელშია მოქცეული. მომდევნო ხანებში, კოშკის წინ, აუგიათ მძლავრი, როგორც ჩანს, კოშკურა ნაგებობა (სათავდაცვო?), რ-ის აღმ. და ჩრდ. კედლები მიშენებულია ეკლესიის შესაბამისს კედლებზე, უმეტესი ნაწილი კი ეკლესიაზეა დაშენებული. ნაგებობის ჩრდ. კედელი ეკლესიის ჩრდ. კედელს მთლიანად ფარავს, აღმ-ისა კი – ეკლესიის აღმ. კედლის მხოლოდ ჩრდ. ნახევარს.

ეკლესია დარბაზულია (შიგნითა ზომები საკურთხევლის ჩათვლით: სიგრ. – 5,5 მ, სიგ. – 3,5 მ, კედლის სისქე – 1 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვით.

ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია კამარა (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. გვერდის ნაწილი), დანგრეულია სამხრ. კედლის დას. მონაკვეთი და დას. კედლის სამხრ. ნახევარი, დაბზარულია კედლები,



195. გეგმა



195. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ინტერიერი, დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე, ამოვსებულია მიწითა და ჩამონაშალი ქვებით.



195. ეკლესია. ხედი აღმ-იდან

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია (კვალი არ იკითხება). აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე, გაჭრილია გარეთკენ შევიწროებული, თაღოვანი სარკმელი (შემორჩენილია სამხრ. წირთხლი და ჩრდ. წირთხლის ნაწილი), რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი დარბაზის გრძივი კედლებიდან მცირედ-შვერილი პილასტრების წყვილითაა გამოყოფილი. პილას-



195. ეკლესია. სამხრ. ფასადის ნაწილი

ტრები ზემოთკენ თანდათან თხელდება და კონქის ქუსლის დონეზე ქრება. კონქის თაღის გარდა, დარბაზის კამარა დაყრდნობილი იყო კიდევ სამ საბჯენ თაღზე. საკუთრივ თაღები კი – პილასტრებზე. პი-



195. ეკლესია. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

ლასტრები დარბაზის მხოლოდ ჩრდ. კედელზეა შემორჩენილი. მათგან ერთი (აღმ-იდან მეორე) – შეკიდულია, დანარჩენები კი იატაკიდან იწყება. კამარას, როგორც ეს კონქის თაღის მოხაზულობიდან ჩანს, შეისრული ფორმა ჰქონდა.

დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში სარკმელია გაჭრილი, რ-ისგანაც მხოლოდ აღმ. წირთხლი და გადახურვის ნაშთი შემორჩა. ეკლ. შიგნით შელესილი ყოფილა.

ეკლესიის სამხრ. ფასადზე ლავგარდნის ნაწილია შემორჩენილი, რ-იც ეკლესიის აგების დროინდელი არ არის. სავარაუდოდ, იგი კოშკურა ნაგებობის მშენებლობის დროისაა. ლავგარდანი აგურისაა. იგი კედლის სიბრტყიდან ოდნავ გადმოშვერილია და ორი რიგისგან შედგება. მ. შ. ქვედა – კუთხით შვერილი აგურებითაა გამოყვანილი, ხოლო ზედა – ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით. ლავგარდნის ქვეშ, აგურის ორი რიგით შედგენილი, ვიწრო ზოლია, რ-იც კედლის სიბრტყეშია მოქცეული. ლავგარდნის ზემოთ ეკლესიაზე დაშენებული კოშკურა ნაგებობის კედლის წყობის რამდენიმე რიგია შემორჩენილი (სიმ. – 1,3-1,5 *მ*). თავდაპირველად ეკლესიას ნატეხი ქვით ნაწყობი, თაროსებრი ლავგარდანი ჰქონია, რ-ის ნაშთი ეკლესიის დას. კედელზეა დარჩენილი. შემორჩენილია ასევე ეკლესიის თავდაპირველი, ორკალთა სახურავის ნაშთიც. სახურავის სამხრ. კალთის კვალი კარგად მოჩანს კონქის თაღის ზემოთ, კამარის ჩამონგრეულ ნაწილში.

195. კოშკი. ჩრდ. კედელი



კ ო შ კ ი ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. წყობაში, ალაგ-ალაგ (ძირითადად არქიტ. ელემენტებში), გამოყენებულია კვადრ. აგურიც. წყობა მეტ-ნაკლებად წესიერია. კედლების ზედაპირი კი ბათქაშითაა გასწორებული. კედლებში, სიმტკიცისათვის, დატანებული ყოფილა ხის ძელები (შემორჩენილია კვალი).

კოშკი ძლიერ დაზიანებულია: ჩრდ. კედელი სამი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი (სიგრ. გარედან – 10,7 *მ*, სისქე – 1,3-1,5 *მ*). ამასთან, აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილი და დას. კედლის ნაშთი. სამხრ. კედლის



195. ნაგებობის ნაშთი ციხის აღმ-ით

კვალიც კი აღარ ჩანს. გარედან კოშკს ჩრდ-ით მდებარე ორივე კუთხე მომრგვალებული აქვს. საკუთრივ კედლები კი, ზემოთკენ, თანდათან თხელდება. კოშკის პირველი სართული თითქმის მთლიანად ნანგრევებითაა ამოვსებული. ამ სართულის ჩრდ. კედელში მხოლოდ ერთი, განიერი ნიშა მოჩანს, რ-იც აგურით გამოყვანილი, ბრტყელი თაღითაა გადახურული. მეორე სართულის აღმ. კედელში შესასვლელის ჩრდ. წირთხლია (ნაწყობია მთლიანად აგურით) შემორჩენილი, ჩრდ. კედელში კი – ოთხკუთხა, ცალმაგი სათოფურით აღჭურვილი ნიშა.კოშკის სართულშუა გადახურვა ხის ძელებზე ყოფილა გამართული.

ციხის აღმ-ით, ორმოციოდე *მ*-ზე, სანახევროდ დანგრეული ნაგებობაა (წყლის რეზერვუარი?), რ-იც შიგნით მრგვალია და წმინდა დუღაბითაა შელესილი.


თ. დვალი.

ბიბლ.: 475.

196. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას. განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (9,5x6,8 *მ*). სამხრ-იდან, დას-იდან და

196. გეგმა



ჩრდ-იდან მას თითო მინაშენი ეკვრის. მათგან სამხრ-ისა ეკლესიის თანადროულია და წყობით არის მასთან დაკავშირებული. სამხრ. კედელი ნაგებია ნატეხი ქვითა და დუღაბით. კედლების ზედაპირი ბათქაშითაა გასწორებული. კედლებში, სიმტკიცისათვის, დატანებული ყოფილა ხის ძელები (შემორჩენილია კვალი).

კოშკი ძლიერ დაზიანებულია: ჩრდ. კედელი სამი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი (სიგრ. გარედან – 10,7 *მ*, სისქე – 1,3-1,5 *მ*). ამასთან, აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილი და დას. კედლის ნაშთი. სამხრ. კედლის


195. ნაგებობის ნაშთი ციხის აღმ-ით

კვალიც კი აღარ ჩანს. გარედან კოშკს ჩრდ-ით მდებარე ორივე კუთხე მომრგვალებული აქვს. საკუთრივ კედლები კი, ზემოთკენ, თანდათან თხელდება. კოშკის პირველი სართული თითქმის მთლიანად ნანგრევებითაა ამოვსებული. ამ სართულის ჩრდ. კედელში მხოლოდ ერთი, განიერი ნიშა მოჩანს, რ-იც აგურით გამოყვანილი, ბრტყელი თაღითაა გადახურული. მეორე სართულის აღმ. კედელში შესასვლელის ჩრდ. წირთხლია (ნაწყობია მთლიანად აგურით) შემორჩენილი, ჩრდ. კედელში კი – ოთხკუთხა, ცალმაგი სათოფურით აღჭურვილი ნიშა.კოშკის სართულშუა გადახურვა ხის ძელებზე ყოფილა გამართული.

ციხის აღმ-ით, ორმოციოდე *მ*-ზე, სანახევროდ დანგრეული ნაგებობაა (წყლის რეზერვუარი?), რ-იც შიგნით მრგვალია და წმინდა დუღაბითაა შელესილი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 475.




196. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

შირებული. დანარჩენები – გვიანდელია.

საშენი მასალა ორგვარია: სრულიად დაუმუშავებელი, ნაგამოც მათ შორის დარჩენილია თავისუფალი არეები, რ-ებიც შევსებულია წვრილი ქვითა და დუღაბით. კედლების

ზედა ნაწილებში შედარებით მცირე ზომის ქვაა გამოყენებული. წყობა მეტწილად ირეგულარულია. თუმცა, ალაგ-ალაგ, სწორხაზოვნად გამავალი რიგებიცაა გამოყვანილი. შიგნითა კედლებიც იგივე მასალითაა ნაწყობი და შელესილია.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარის ჩრდ. ნაწილი. აღმ. და დას. კედლები, შუაში, მთელ სიმაღლეზე გარღვეულია, გახსნილია ჩრდ.-დას. კუთხე, დაბზარულია (მთელ სიმაღლეზე) სამხრ. კედელი, ინტერიერში ყრია კამარის ნანგრევები და ჩრდ. კედლიდან ჩამოშლილი ქვები. ეკლესიის ჩრდ. ნახევარსინდისი დაზიანებულია. ფასადის წყობის ზედა ნაწილი. აღმ. და დას. კედლები, შუაში, მთელ სიმაღლეზე გარღვეულია, გახ-



196. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ



196. ინტერიერი. სამხრ. კარი



196. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-დას-კენ

ში ნიადაგი დამჯდარია, რის გამოც შენობა დაძრულია და ოდნავ ჩრდ-ითაა გადახრილი.

მინაშენებიდან კედლების მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი გარედან, მოზრდილი ქვით, თარაზულადაა გადახურული, შიგნიდან კი შეისრულთაღოვანია.

აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში, ერთი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ელსაც ძირი და გარეთა ღიობის გვერდების დიდი ნაწილი აკლია. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურულია ოდნავ დადაბლებული პროპორციების კონქით, რ-ის თაღი აგურის მსგავსი, თხელი, ოთხკუთხა ქვებითაა გამოყვანილი. მსგავსი ქვითაა ნაწყობი კარ-სარკმლების თაღებიც. აფსიდის გარდა, თითო ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი ჩრდ. და სამხრ. კედლების აღმ. ნაწილში. მათგან სამხრ. სარკმელი შეისრული თაღითაა დასრულებული, ჩრდ. სარკმლიდან კი წირთხლების მცირე ნაწილი და თაღის დას. ქუსლის წყობის რამდენიმე ქვაა შემორჩენილი.

დარბაზი თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 5,25 *მ*, სიგ. – 4,7 *მ*). დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღი (შემორჩენილია

196. ინტერიერი. საკურთხევლის მოხატულობა. ეკლესიის მამები



ორივე ქუსლის წყობის ნაწილი) იმპოსტების გარეშე იყო დაყრდნობილი. იმპოსტების გარეშეა საკუთრივ კონქის თაღიც.

ეკლესიის ინტერიერი მთლიანად ყოფილა მოხატული. ამჟამად, მხატვრობის უდიდესი ნაწილი განადგურებულია,



196. ინტერიერი. საკურთხევლის მოხატულობა. დეტალი

ხოლო შემორჩენილ ფრაგმენტებზე ჩამორეცხილია ფერადოვანი ფენა, რის გამოც გამოსახულებების ვინაობის ამოცნობა თუ სცენების შინაარსის დადგენა გაძნელებულია. საკურთხევლის მოხატულობა სამ რეგისტრად იყო დაყოფილი. გამოსახულებები, უმთავრესად, კონქისა და აფსიდის ჩრდ. ნაწილშია შემონახული. კონქში გაირჩევა დიდი ზომის ტახტის ნაწილი: ძვირფასი ქვებით შემკული ერთი ფეხი და „ბადისებრი“ ორნამენტით დაფარული ზურგი (მოწითალო-ყავისფერი ხაზით შესრულებული რომბები, შიგ ჩაწერილი იმავე ფერის წერტილებით). ტახტზე თეთრი ფერის ქსოვილია გადაფარებული, რ-ზეც გაირჩევა ცალკეული ორნამენტული მოტივები. ტახტზე მჯდომი ფიგურა არ ჩანს. ფონისთვის გამოყენებულია მოწითალო-ყავისფერი (მიწა) და მუქი ლურჯი (ცა).

კონქის კომპოზიცია სრულდება აფსიდის კედლის ზედა ნაწილში. მომდევნო, არცთუ



196. ინტერიერი. საკურთხევლის მოხატულობა. დეტალი

დიდი ზომის რეგისტრი შემოსაზღვრულია საკურთხევლის სარკმლის შუა დონეზე. აქ, როგორც ჩანს, მოციქულები არიან განლაგებულნი. სარკმლის ჩრდ-ით, მთელი ტანით, ექვსი მამაკაცის გამოსახულებაა წარმოდგენილი. მათ მარჯვ. ხელი, კურთხევის ჟესტით, მკერდთან ახლოს, აქვთ აპყრობილი. ორ მათგანს ხელში წიგნი უჭირავს (დასაზუსტებელია, უჭირავთ თუ არა წიგნები ხელში დანარჩენ წმინდანებსაც). ჩანს აგრეთვე პირველი, უშუალოდ სარკმლის გვერდით გამოსახული ფიგურის სახის ნაკვთები: დიდი, ფართოდ გახელილი თვალები, სიმეტრიულად განლაგებული, გრძელი, რკალივით მოხრილი წარბები, სწორი ცხვირი. ორივე ფიგურა ფრონტალურადაა წარმოდგენილი, დანარჩენები – მეოთხე და მეხუთე ფიგურის ტერფების მდებარეობის მიხედვით – სამი მეოთხედით არიან გამოსახული. ამავე რეგისტრში, სარკმლის თავზე, მოთავსებულია მოწითალო-ყავისფერით მოჩარჩოებული, ასომთ. დამწერლობით შესრულებული წარწერა. წარწერა დაზიანებულია და მისი მხოლოდ ნაწილი იკითხება. ასოები მოწითალო-ყავისფერია, ფონი – თეთრი. ყურადღებას იპყრობს წარწერის მდებარეობა აფსიდის კედლის ცენტრ. ნაწილში და შე-



196. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

საბამისად, მისთვის მინიჭებული საგანგებო მნიშვნელობა საკურთხევლის მხატვრობის საერთო კომპოზიციაში. როგორც ჩანს, წარწერა ეკუთვნის

მოხატულობის ქკტიტორს, მაგრამ მისი ვინაობის დადგენა შეუძლებელია.



196. ხედი ჩრდ.-დას-იდან

მხატვრობის მესამე რეგისტრში წარმოდგენილი იყვნენ ეკლესიის მამები, რ-ელთაგან მკრთალი ლაქების გარდა, აღარაფერია დარჩენილი. შედარებით უკეთ შემონახულია ფრონტალურად მდგომი ერთი ფიგურა, რ-იც წარმოდგენილია ნიშის თავზე, აფსიდის ჩრდ. გვერდის კიდეში. მას ძვირფასი ქვებით შემკული წიგნი უჭირავს. ნიშის გვერდით, დას. მხრიდან, კედლის მცირე ზომის მონაკვეთზე, თეთრ ფონზე, გამოსახულია მრავალქიმიანი, შავი ფერის ვარსკვლავები. თუ სად სრულდებოდა ეს რეგისტრი, არ ჩანს, რადგან აფსიდის კედლის ქვედა ნაწილი, მიწითა და ქვებითაა დაფარული.

თითო წმინდანი საკურთხევლის სარკმლის ჩრდ. და სამხრ. წირთხლებზეა გამოსახული. ორივე უწვერულვაშოა. სამხრ. წირთხლზე მოცემული წმინდანი, ასომთ. წარწერის მიხედვით, წმ. თომაა. ჩრდ. წირთხლზე არსებული წარწერა აღარ იკითხება, მაგრამ ფერადოვანი ფენა აქ უკეთესადაა შემონახული. წმინდანის ქიტონი მომწვანო ყვითელია, ნაკეცთა ნახატი – მუქი-ყავისფერი. მოწითალო-ყავისფერი ქიტონის გაღიაფერება მომწვანო-ყვითელია. იგი ვიწრო ზოლის სახით დაუყვება ნაკეცთა ნახატს, რ-იც შესრულებულია მუქი ყავისფერი ან შავი საღებავით. გაირჩევა აგრეთვე ღია, თეთრნარევი ყვითელი და უფრო მკრთალი, თეთრი გაღიაფერებაც. წმინდანს ხელში დახვეული გრაგნილი უჭირავს.

ეკლესიის დარბაზის კედლებზე შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები უფრო მცირე ზომისაა. სამხრ. კედლის პილასტრზე გამოსახული იყო, ერთიმეორის თავზე განლაგებული, თითო წმინდანი – დარჩენილია მათი ტანსაცმლის ფრაგმენტები. ასევე – ერთ-ერთი წმინდანის სახის მცირე ნაწილი და რვაქიმიანი ვარსკვლავი, რ-იც, როგორც ჩანს, ერთი მათგანის ტანსაცმელს ამკობდა. ამავე პილასტრის დას. გვერდს ფარავდა მცენარეული ორნამენტი (მუხის ფოთოლი). სამხრ. კედლის დას. ნაწილში გაირჩევა ქერცლისებრი ორნამენტის ფრაგმენტი. სავარაუდოდ, იგი ამ ადგილას წარმოდგენილ, წმინდა მეომრის აბჯარს გამოსახავდა. მასთან ახლოს, დას. კედლის სამხრ. ბოლოში, შემორჩენილია თეთრი ფერის ცხენისა და მასზე მჯდომი მეომრის ნაშთები: წვივის ნაწილი, ერთი ფლოქვი, კუდი. ქვემოთ, ეკლესიის კარის სამხრით, ჩანს მოწითალო-ყავისფერი, განიერი ხაზით შემოვლებული წრე, რ-საც გარეთა მხრიდან დაუყვება თეთრი ფერის წერტილები (მარგალიტის იმიტაცია). კარის თავზე გაირჩევა ორი ფიგურის სილუეტი. კარის თაღი მოჩარჩოებულია მცენარეული ორნამენტის განიერი ზოლით. თაღის სოფიტი ყვითელი და მოცისფრო-ნაცრისფერი, პარალელური ხაზებითაა დაფარული, ხოლო ტიმპანში გამოსახულია პირი ღვთისა. დას. კედლის დანარჩენ ფრაგმენტებზე გამოსახულებების იდენტიფიკაცია არ ხერხდება.

196. ხედი სამხრ.-დას-იდან



მხატვრობა მიეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეების (არა უადრეს XVI საუკუნისა) მოხატულობათა ჯგუფს, რ-იც პირობითად „ხალხურის“ სახელით არის ცნობილი. გამოსახულებების დამუშავება სქემატურობით ხასიათდება: ფერადოვანი ფენების მონაცვლეობა არ ქმნის გრადაციის შთაბეჭდილებას, ფიგურათა ნახატი მეტად გამარტივებულია. წმინდანთა სახეების გამომეტყველება უშუალო გამომსახველობით გამოირჩევა.

კოლორიტისათვის უმთავრესად დამახასიათებელია მოწითალო-ყავისფერი, მუქი ყავისფერი, ყვითელი, მუქი ლურჯი, მოცისფრო-ნაცრისფერი და თეთრი ფერების შეხამება.

ეკლესიის სამხრ. მინაშენი გეგმით თითქმის კვადრატულია (ზომები გარედან: სიგრ. – 4,1 *მ*, სიგ. – 3,5 *მ*). შემორჩენილია აღმ. და სამხრ. კედლების ნაგლეჯები, რ-ებიც მიწის ზედაპირიდან დაახლ. 0,5-0,7 *მ* სიმაღლეზე დგას. მინაშენი ეკლესიაზე თითქმის ორნახევარჯერ უფრო მოკლეა და ისეა აგებული, რომ მისი აღმ. კედელი ეკლესიის აღმ. კედლის გაგრძელებაზეა. შესასვლელი მინაშენს დას-იდან ჰქონია. ამ ადგილას კედელი მიწის პირამდეა დანგრეული და გათხრა-გასუფთავების გარეშე, კარის კვალი არ ჩანს. მინაშენი გადახურული იყო კამარით, რ-ის ნაწილი ეკლესიის სამხრ. კედელზეა შემორჩენილი.

დას. და ჩრდ. მინაშენები ეკლესიის შესაბამისს კედლებს მთელ სიგრძეზე გაუყვებოდა. მ. შ. დას. მინაშენიდან, მიწის ზემოთ, მხოლოდ სამხრ. და დას. კედლების მცირე ნაწილებია დარჩენილი, ჩრდ. მინაშენიდან კი – აღმ. კედელი (სიმ. დაახლ. 1,4 *მ*). ამ უკანასკნელს სარკმლის ძირი შემორჩა. სარკმელი კედლის შუაშია გაჭრილი და გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება.

ფ. დევდარიანი, თ. დვალი.

ბიბლ.: 475.

სათაფლე

(საკრებულოს ცენტრი)

197. სათაფლე, კრასნოგორსკი, მალხაზიანი, აზანბური, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ივრის ზეგანზე, საგარეჯოდან 16 *კმ*-ზე.

1940 წლამდე სოფელს მალხაზიანი ერქვა, შემდეგ – კრასნოგორსკი. 2012 წლიდან – სათაფლე. შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში კი აზანბურად მოიხსენიება. იოანე ბაგრატიონი აზანბურს მოიხსენიებს, როგორც სამეფო საკუთრებაში არსებულ საძოვარ, სათიბ-სანადირო მინდვრებსა და მთიან ადგილებს. ლეონტი მროველის მიხედვით, აზანბური ჰერეთის დას. საზღვარია. სოფელში, სამეფო საკუთრების გვერდით, საეკლ. საკუთრებაში არსებული ყმა-მამულიც იყო, რ-საც სპეც. მოხელე – ამირბარი, განაგებდა. 1789 წლის საბუთის მიხედვით, კათალიკოს ანტონ II-ეს ამირბარ მაღალაძისათვის მეფეთა და კათალიკოსთა წყალობა განუახლებია, ხოლო იმამყული-ხანს მისთვის აზანბურისა და შამადანის მოურავობა უწყალობებია.

1757 წელს ერეკლე II-მ აზანბურთან სასტიკად დაამარცხა კახეთში გადმოსული ლეკთა მარბიელი ლაშქარი. გადმოცემით, ამ ბრძოლაში ერეკლეს თავად 300 ლეკი მოუკლავს. ამავე ბრძოლაში დაღუპულა ათასისთავი ედიშერ საამისშვილი.

სოფელში მისდევდნენ მეცხოველეობას, მემინდვრეობას. აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია მეფუტკრეობის განვითარებისათვის. სათაფლე ცნობილი იყო ნუშის ბაღებითაც.

კ. კახაძე

ბიბლ.: 151; 314ა; 322ბ.

198. თეთრი ქვების გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 1-1,5 *კმ*-ზე, გარეჯის უდაბნოში, თეთრ ქვებად წოდებულ ადგილში.


ძ. აღმოაჩინა კაე-მ. არქეოლ. სამუშაოები (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ტარდებოდა სხვადასხვა დროს. 1989 წელს გაითხარა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის, მიწაყრილიანი გორასამარხი (№ 2). მიწაყრილი განადგურებული იყო. მას ნატეხი ქვებისგან შედგენილი წრე შემოუყვებოდა (დიამ. – 17-20*მ*). ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ აღმოჩნდა მიწითა და ქვით ამოვსებული ორმო (2x2 *მ*, სიღრმე – 2 *მ*). ნაყარში ერია ადამიანის ძვლები და თიხის ჭურჭლის მრავალი ფრაგმენტი. გორასამარხის დასაკრძალავ დარბაზში ჩაშვებული იყო მძარცველების მიერ დაზიანებული ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის სამარხი.

1990 წელს, მთებით გარშემორტყმულ, თეთრ ქვებად წოდებულ ვაკეზე, გაითხარა მიწაყრილიანი სამარხების სამი ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში გამოვლინდა 15-20 გორასამარხი. მათი და ყრილის ზომები სხვა-

198. გორასამარხი №2. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



დასხვაა (დიამ. მერყეობს 10 მ-სა და 40-45 მ-ს შორის). სამარხები ძლიერ დაზიანებულია შემოსდევდა. ყრილის ქვეშ დასიდან აღმ-ისკენ დამხრობილი, დასაკრძალავი ორმო (3,8x3,0 მ, სიღრმე – 2,80 მ) გამოვლინდა. მის აღმ-ით კი – ელიფსური ორმო (სიღრმე – 2,85 მ), რ-იც ენებული. მიცვალებული კაკლის ხისაგან დამზადებულ, ოთხთვალა ურემზე (სიგ. – 1,70 მ, სიგრ. – 2,40 მ) ესვენა კიდურებმოხრილი, მარცხ. გვერდზე, თავით აღმ-ისკენ. მიცვალებულის დასვენების შემდეგ, ურმისთვის კაკლის ხის ლაფნისაგან დაწნული ჭილოფი გადაუფარებიათ.



198. გორასამარხი (თეთრი ქვები I). სამარხში აღმოჩენილი არტეფაქტები: 1 - ბრინჯაოს რაპირა. 2,6,7,8 – ოქროს მძივები, 3 – პასტის მძივები, 4,5 – ოფსიდიანის ისრისწვერი, 9 – სარდიონის მძივი, 10 – ბრინჯაოს სატევარი, 11 – ბრინჯაოს ქვაბი, 12, 13 – ქილა, 14 – დარგის ფრაგმენტი, 15 – ცალყურა ჯამი, 16, 17 – დერგი.

მიწის ინტენსიური დამუშავების გამო.

ამავე წელს კაე-მ გათხარა ყველაზე დას-ით მდებარე ჯგუფის (თეთრი ქვები I) ერთი გორასამარხი, რ-იც ძვ. წ. XVII საუკუნეს განეკუთვნება. სამარხის მიწაყრილი რელიეფთან იყო გასწორებული. მიწაყრილის (სიმ. – 30 სმ) ფუძეს ქვის წრე (გარე დიამ. – 28 მ) სამარხ ორმოსთან არ იყო დაკავშირებული. იგი გადახურული იყო თიხით გადალესილი, ხის, წვრილი ძელებით, რ-ებსაც ჭილოფი ეფარა. ამგვარად გადახურულ ორმოს ქვის ყრილი ჰქონდა. ასეთივე გადახურვა ჰქონდა დასაკრძალავ ორმოსაც. ოღონდ მას ქვის ყრილი არ ჰქონდა და გადასახურად მსხვილი ძელები იყო გამოყ-

სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი (12 ერთეული); ბრინჯაოს რაპირა, მოზრდილყუნწიანი სატევარი და ორყურა ქვაბი; კაჟის ქუსლამოღარული ისრისპირები; ოქროს და პასტის მძივები; ცხვრის მთელი ჩონჩხი და დანაწევრებული, მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

ჭურჭელი დამზადებულია სილის, ქვიშის და თეთრმინარევებიანი თიხისაგან. უმეტესობა შავპრიალაა, მოვარდისფრო-მოყავისფრო სარჩულით. ზედაპირი ძირითადად შემკულია ამოღარული, კონცენტრული სარტყლებითა და გეომეტრიული ორნამენტით, რ-ებიც შევსებულია სავარცხლისებრ ილის შტამპით დატანილი, ირიბი ხაზებით. რაპირას ბრტყელ ყუნწზე სამანჭვლე ნახვრეტი აქვს. მხრები აზიდულია. პირზე, ორივე მხარეს, მაღალი ქედი დაუყვება. სატევარი ბრტყელყუნწიანია, წვერმომრგვალებული, პირზე სუსტად გამოხატული ქედით. ქვაბის გადაშლილი პირი ცალკეა დამზადებული და ყელზე მანჭვლებითაა მიმაგრებული. მანჭვლებითაა მიმაგრებული აგრეთვე ქვაბის ორი ყური. ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებულ, ოთხ სფერულ მძივს შიგნიდან წნევით ამოყვანილი წერტილების ოთხი მწკრივი შემოუყვება.

2002 წელს გაითხარა კიდევ ერთი გორასამარხი (№ 3). იგი განეკუთვნება თრიალეთური კულტურის II ეტაპს.

გორასამარხი ორმოიანია,მიწაყრილიანი (დიამ. – 32 მ, სიმ. – 1,60 მ). მიწაყრილს ფუძეზე შემოსდევდა ქვის წრე (სიგ. – 1 მ, დიამ. – 27 მ). თხრილის

ჩრდ. ნაწილში დაფიქსირდა ქვის ჯავშნის ფრაგმენტი. სამარხი ორმო მიწაყრილის ცენტრში აღმოჩნდა (4,30x3,60 მ). შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, იგი გადახურული ყოფილა ხის მორებით. მორები ჯერ გრძივი კედლების გაყოლებით ეწყო, შემდეგ მასზე ელაგა საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ გადახურვას ჰქონდა მიწაყრილი, რ-ის სიმძიმემ, დროთა განმავლობაში, ჩაანგრია სამარხის გადახურვა.

მიცვალებული ხის ოთხთვალა ურემზე ესვენა მარჯვ. გვერდზე, თავით ჩრდ.-დას-ისკენ. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ცხრა ჭურჭლის ფრაგმენტი; გადახურვის ჩაქცევის გამო, ოთხად გატეხილი ბრინჯაოს რაპირა, ბრინჯაოს სატევარი; ტუფის სარქველი; ობსიდიანისა და კაჟის ისრისპირები; პასტის თეთრი და ცისფერი იოტები; ოქროს ფირფიტის მძივი და ქვის მრგვალი დისკო – ოქროს თხელი, ფირფიტოვანი გარსაკრავით; მსხვილფეხა საქონლის უთავო, მთელი ჩონჩხი. ასევე რამდენიმე ცალკე ძვალი და წვრილფეხა საქონლის მთელი ჩონჩხი.

ამავე სამარხის მახლობლად, 2005 წელს, მცირე, ყორღანული ერილის ქვეშ, ერთმანეთის გვერდით, დაფიქსირდა ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების ორი სამარხი ორმო. ერთ ორმოში მიცვალებული ესვენა მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დას-ისკენ. იქვე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამკაული. მეორე ორმოში – თიხის ექვსი ჭურჭელი და ცხოველის ძვლების ფრაგმენტები.

გორასამარხებში გამოვლენილი არქეოლ. მასალა ინახება გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ქარაზაშვილი, შ. კინწურაშვილი, რ. რუხაშვილი, ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 349; 490.

199. კოდისწყაროს სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დავითგარეჯის უდაბნოში, „ნაომარიგორის“ ნამოსახლარის აღმ-ით მდებარე ტაფობში.

სამაროვანზე 1987 წელს კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) სამი გორასამარხი გათხარა. სამივე განეკუთვნება შუადან გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს.

სამარხები ორმოიანია. ჰქონდათ ქვისა და მიწის ყრილი (ყრილის სიმ. – 1-1,3 მ, დიამ. – 15-17 მ). ზოგიერთი სამარხის ყრილს ქვის წრეები შემოსდევდა (დიამ. – 14-15 მ). სამარხი ორმოები (2,2/3x1, 55/1,60 მ; სიღრმე – 0,8-19 მ) დამხრობილია ჩრდ-იდან სამხრ-ისკენ. საავარაუდოდ, ისინი გადახურული იყო ხის ძელებით. ორ სამარხში მიცვალებული კამერის ცენტრალურ ნაწილში ესვენა, მესამეში – კამერის სამხრ. ნაწილში. მიცვალებულები დაკრძალული იყო კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ისკენ. ერთ-ერთ სამარხში ჩონჩხსა და ინვენტარს ტყავი ჰქონდა გადაფარებული.

სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი: დერგები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები და ღრუფეხებიანი თასები. აღმოჩენილი ჭურჭელი შემკულია ნაკაწრი, ნაჭდევი, წერტილოვანი და პრიალა ორნამენტით. სამარხებში გამოვლინდა აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 350.

200. მალხაზიანის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს რკ-გზ. სადგურ იორიდან სამხრ.-აღმ-ით, 8 კმ-ზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე. აქ, შემთხვევით მიკვლეულ ორმოსამარხებში, მოსახლეობას ბრინჯაოს ორი სატევარი აღმოუჩენია, რ-თა მიხედვით არქეოლოგმა მ. ივაშჩენკომ სამარხები ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღა.

ლ. ქაზახიშვილი.

ბიბლ.: 294; 417.

201. ნაომარიგორის ნამოსახლარები და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დავითგარეჯის უდაბნოში, მლაშე ტბების მხარეში. განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას.

ძ. აღმოჩნდა აეროფოტო მასალების დეშიფრირების შედეგად. 1989 წლიდან მასზე არქეოლ. გათხრები დაიწყო კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური), რ-საც წინ უძღვოდა გეოლოგიური გამოკვლევები, ტოპოგრაფიული სამუშაოები და სხვ.). 2001-2007 წლებში კი ნაომარგორაზე გათხრები აწარმოვა კაპე-ს და გერმანიის ქ. ტიუნბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის, ტროას ჯგუფის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, მ. კორფმანი). ნაომარიგორა, გეგმარებითი სტრუქტურის მიხედვით, წინასწარი პროექტით ნაგები კომპლექსია და ძველ, აღმოსავლურ ქალაქს უფრო ჰგავს, ვიდრე თანადროულ, კავკასიურ დასახლებას.


ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი (უდაბნო I) განლაგებულია მაღალ, მოგრძო მთის თხემზე (სიგრ. – 800 მ). დასახლების უკიდურესი, დას., შემაღლებული ნაწილი(-ფართ. დაახლ. – 500 კვ მ), რ-იც ციტადელს უნდა წარმოადგენდეს, დას-ით რელიეფიდან, დამატებით, გამოყოფილია ორი ღრმა თხრილით და მიწაყრილით. ტერასები და თხრილები ჩრდ-ითაც შეინიშნება. სამხრ-ით ისინი არ ჩანს, ალბათ ამ მონაკვეთის ჩარეცხვის გამო. ჩანს, რომ ციტადელს ქვით ნაგები სამი (ზოგან თითქოს ოთხი) გალავანი იცავდა.

შიდა გალავნის სამხრ. კედლის (სიგ. – 4 მ) შიდა და გარე პირი დიდი ლოდებისაგან შედგენილი პერანგითაა ნაგები. მათ შორის არე წვრილი, ნატეხი ქვითაა შევსებული. პერანგის ქვები ზოგან ორ ფენადაა შემოჩენილი. სავარაუდოდ, ამ საფუძველზე ხის კონსტრუქციებით მოხარჩოებული, მძლავრი გალავანი იყო ამოყვანილი, რ-ის ღი-

ობი წვრილი ქვით იყო შევსებული.

ციტადელის შიდა ზღუდის ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეში გაიწმინდა დიდი ლოდებით ნაგები, ოთხკუთხა კოშკების საფუძვლები. სამხრ.-აღმ. კოშკის ძირას, დას. მხარეს, ნამტვრევი, დამწვარი ქვით შედგენილი ფენის ქვეშ მოზრდილი ნაგებობის, ქვის კედელი გამოვლინდა, ხოლო ნაცრის ფენაში – სანახევროდ მიწაში ჩადგმული ქვევრი.

ბორცვის ყრილის ქვეშ გამოვლენილი კედელი და მთლიანად დამწვარი ქვით წარმოდგენილი ძ. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს განეკუთვნება.



201. უდაბნო I. აეროფოტო. 1 - ქალაქის ელიტარული დასახლება, 2 - ციტადელი (ძვ. წ. XIV-VIII სს.), 3 - წყალმომარაგების სისტემა

მოგრძო დერეფანია (შესაძლოა ციტადელის შესასვლელი). მასთან მდებარე პატარა სათავსში მრავლად აღმოჩნდა კერამიკა; ბრინჯაოს ნალისებრი საკიდები, თხელფირფიტოვანი, სამკუთხა ისრისპირები, მძივები და დიდი რაოდენობით წვრილი, დამწვარი ძვლის ფრაგმენტები. ნივთების ასეთი დიდი კონცენტრაცია, შესაძლოა, მთავარ შესასვლელთან საკურთხევლის არსებობაზე მიუთითებდეს.

ციტადელის შიდა, პირველ გალავანსა და დასახლების აღმ. ნაწილს შორის (რ-იც ციტადელის დაბალ დონეზეა განლაგებული), ციტადელის დონეზე, დამწვარი ქვის, მრგვალი ზვინული დადასტურდა. ზვინულის ირგვლივ ოთხკუთხა, ბრტყელი ფართობია, რ-იც ასევითვე დამწვარი ქვითაა მოგებული. მრგვალი ზვინულის ნაომარიგორა I-ის სამხრით, 200 მ-ზე, გალავნის ძირში მდებარე, დიდ ტერასაზე, სავარაუდოდ, დასახლების კუთვნილი,გაძარცული,ელიტარული სამარხები აღმოჩნდა. სამაროვანი განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას. ტერასის განაპირას გაითხარა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის ერთი სამარხი, ირგვლივ ქვის ლოდების მცირე წრით. სამარხში ლეგა კერამიკასთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოსტარიანი, კახური ტიპის სატევარი, ბრინჯაოს დიდი შუბისპირი, მასრაზე ორი რელიეფური სალტით და წელში გამოყვანილი, ფოთლისებრი, მომრგვალებული პირით. იმავე ტერასაზე გაიწმინდა ქვის ოთხი დიდი ნაგებობა (10x3 მ), რ-თა შესამჩნევად დამრეცი ფსკერი ქვითაა მოგებული. ნაგებობის ერთ ნაწილს, რ-იც დანარჩენისაგან ქვის განიერი ტიხრითაა გამოყოფილი, ზემოდან მოზვინული ჰქონია ქვის დიდი ყრილი. მიწაში ჩამჯდარი კედლების ნაწილი ლოდებითაა ნაგები, დანარჩენი – შედარებით მცირე ზომის ქვების ერთი მწკრივით. კედლების ქვეშ იყო სამეურნეო ორმოები ცენტრ. ამიერკავკასიისთვის დამახასიათებელი, დაახლ. ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების, შავპრიალა თიხის ჭურჭლით.

ქვის მიწისქვეშა, ტიხრიანი ნაგებობები დაზიანებულია IV-III საუკუნეების ორმოსამარხებით. მათში, როგორც წესი, ჩონჩხი ან არაბუნებრივ პოზაშია დამარხული, ან ნაკლულია – ჩვეულებრივ აკლია თავი, რაც, სავარაუდოდ, იმას მოწმობს, რომ სამარხები ბრძოლაში დაღუპულ ადამიანებს ეკუთვნის. ამას უნდა უკავშირდებოდეს ბორცვის სახელწოდებაც – ნაომარიგორა. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ზემოთ ოდნავ შეიწროებული, გვერდებჩაჭრილი, ცილინდრული ზარაკები, ნახევარსფერული საბეჭდავები, ქვიშაქვის ბორბლისებრი და სარდიონის ცილინდრული და სფერული, მინის თვალები და მედალიონი, მინისებრი პასტის ბრტყელი და მსხლისებრი მძივები, ნიჟარა კავური და სხვ.

ნაომარიგორის დანარჩენ ორ დასახლებაზე (უდაბნო II, უდაბნო III), რ-ებიც უდაბნო I-ის ჩრდ-ით, 300-400 მ-ზე მდებარეობს, აღმოჩნდა ნახევრადმიწური, საცხოვრ. ნაგებობები, რ-თა შიდა მხარე ქვის ერთი რიგითაა ამოშენებული. წყობა მშრალია. სათავსები სხვადასხვა ზომისაა. ყველა მათგანის ერთ-ერთ კუთხეში გამართულია კერა და ძევს ხელსაფქვავი. მოპოვებულია მრავალფეროვანი არქეოლ. მასალა: თიხის ქილები,ქოთნები,სასმისები,ჯამები,დერგები,პითოსები და სხვ., რ-ებიც დამზადებულია მაღალი ხარისხის, კარგად ნაზელი, ზოგჯერ წმინდა სილაშერეული თიხით. გამომწვარია

უმეტესად მონაცრისფრო. ორნამენტად გამოყენებულია წრიული, ტალღისებრი, ამოღარული ხაზები, ჭდეები, ნაკაწრი ხაზები და წრეები. ქვის მასალიდან აღსანიშნავია: ხელსაფქვავები, სანაყები, სასრესები. არის ძველის სხვადასხვა დანიშნულების ნივთებიც.

ნაომარიგორის სამხრ-ით მაღალი მთაა, რ-საც აღგილ. მოსახლეობა რკინის მთას უწოდებს. რკინის მთის სამხრ. ნაწილში მდ. ჩამძვრალახევის გაყოლებით, მრავალ ადგილზე გამოვლინდა რკინის, მაღალხარისხოვანი მადნის ძარღვები. რკინის ძვ. გამონამუშევრები და მადნის პირველადი დამუშავების საწარმოო უბნები.

მასალა ინახება ქ. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 312.

სასადილო

(კოჭბაანის თემის საკრებულო)

202. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს შუა სოფელში, თბილისი-თელავის საავტ. გზის პირას. თარიღდება XX ს-ის დასაწყისით. ეკუთვნის ქოქოშვილებს.

სახლი ორსართულიანია. დგას მცირე სიმაღლის ცოკოლზე. ნაგებია წვრილი, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კუთხეები გამოყვანილია მოზრდილი, მეტ-ნაკლებად სუფთად დამუშავებული ქვებით.




202. მთავარი ფასადი

კარ-სარკმლების გადასახურავად და, აქა-იქ, კუთხეებში გამოყენებულია აგური. კედლები შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია.

ნაგებობის გეგმა აღმ.-დასის მიმართულებით წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის (16,5x8,6 მ), რ-საც ორი მხრიდან (სამხრ-იდან და ჩრდ-იდან) ეზო აკრავს. სახლის ზურგის (ჩრდ.) კედელი ყრუა. აივანი ორივე სართულზეა, მთავარი ფასადის მხარეს. ადრე სახლს აივანი გვერდითი ფასადის მხრიდანაც ჰქონია, რ-ის ფარგლებში მოწყობილი იყო მეორე სართულზე ასასვლელი, ხის კიბე.



202. მთავარი ფასადი. დეტალი



202. II სართულის გეგმა

ამჟამინდელი კიბე აივანზე გარედანაა მიდგმული.

სახლის ორივე სართული ორ-ორი ოთახისგან შედგება (ახლა სამ-სამი ოთახია. ორივე სართულზე, აღმ-ით მდებარე ოთახი, ადრე არსებული აივნის ფარგლებშია მოწყობილი). ოთახებს შესასვლელი აივნიდან აქვს. აივანზე გამოდის სარკმლებიც. შესასვლელები და სარკმლები აგურის, ბრტყელი თაღითაა გადახურული. ოთახები ტიხრითაა გამიჯნული. ინტერიერში ტრადიცი-

ული, ქართ. ელემენტი – თახჩა და განჯინა არ არის. ოთახები ბრტყელი ჭერითაა გადახურული. პირველი სართულის აივანი, რ-იც ცოკოლის დონეზეა, უმოაჯიროა. მეორე სართულის აივანს ფიცრული მოაჯირი აქვს, რ-შიც სხვადასხვა სახეებია ამოხერხილი. აივნის სახურავი ხის სვეტებზეა დაყრდნობილი. სვეტებს შორის აჟურული დეკორით შემკული „ფრიზია“, რ-ის მოხაზულობა კარ-სარკმლების თაღების მოხაზულობის მსგავსია.

სახლი ღარისებრი კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავითაა გადახურული.

თ. დვალი.

უდაბნო

(საკრებლოს ცენტრი)

203. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 4 *კმ*-ზე, ველზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს.

ძ. 1990 წელს აღმოაჩინა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური), აქ გამოვლინდა მიწაყრილიანი გორასამარხების მთელი სერია. გაითხარა სამი ინვენტარიანი სამარხი. სამივე გორასამარხი (დიამ. – 15-20 *მ*, სიმ. – 1 *მ*) ორმოიანია (2x1,2 *მ*), ინჰუმაციური; მიცვალებულები ესვენნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით. ერთ-ერთ სამარხში მიცვალებული ესვენა ურემზე, თავით სამხრ-ით. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, წინააზიური ტიპის ბრინჯაოს სატევარი, ბრინჯაოსავე ლახტისთავი და შუბისპირი, აგრეთვე ობსიდიანის ისრისპირები.

მასალა ინახება ილიაუნის არქეოლოგიურ საცავში.

კ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 312.

204. გორასამარხების ველი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 200 *მ*-ზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით.



204. გორასამარხი. საერთო ხედი

ძ. გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ქვამიწაყრილიანი გორასამარხები ძალზე დაზიანებული იყო. გაითხარა შვიდი გორასამარხი (სიმ. –2 *მ*, დიამ. – 12 *მ*). სამარხი კამერები – გეგმით მართკუთხა, კიდეებმომრგვალებული ორმოები – გადახურული იყო ქვის ფილებით. ყველა სამარხი ინჰუმაციურია და ინდივიდუალური. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილები, თავით ჩრდ-ისკენ.

სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი.

დ. ყვავაძე.

205. გორასამარხების ველი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მრავალწყლის ხეობაში, სოფლიდან 8 *კმ*-ზე, ქ. რუსთავის მიმართულებით. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს.

205. გორასამარხი. საერთო ხედი



ძ. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა ძალზე დაზიანებული, თორმეტი ქვაყრილიანი გორასამარხი. სამარხები გეგმით მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოებს (2,5x1 *მ*) წარმოადგენდა. თითოეული მათგანი ქვის ფილებით იყო გადახურული, გარდა ერთისა, რ-ის გადასახურადაც ხის ძელები იყო გამოყენებული.

სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. ერთ-ერთ სამარხში გამოვლენილი თიხის ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი ორ ან სამფენოვანია, ნაცრისფერი ან ვარდისფერი შიდაპირით. ზედაპირი შავპრიალაა, შემკულია რელიეფური გამოსახულებებით, სავარცხლის კბილის შტამპით დატანილი სხვადასხვა ორნამენტული სახეებით და სხვ. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს რაპირა და დანა. ამ სამარხში აღმოჩენილი არქეოლ. მასალა განეკუთვნება თრიალეთურ კულტურას და ძვ. წ. XVIII საუკუნით თარიღდება.

დ. ყვავაძე.

206. გორასამარხების ველი, არქეოლ. ძ. მდებარეობს უდაბნო-საგარეჯოს გზის 22-ე *კმ*-ზე, ნაომარიგორის ჩრდ.-აღმ. ფერდობზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს.

ძ. 1985 წელს გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სა-



206. გორასამარხი. საბეჭდავი

მარხს (სიმ. – 1,20 *მ*, დიამ. – 15 *მ*), მიწაყრილის ზემოთ, ქვატეხილის ჯავშანი (სისქე – 20 *სმ*) ჰქონდა, ხოლო ფუძესთან შემოსდევდა კლდის დიდი ლოდების წრე. მასში სამი სამარხი აღმოჩნდა.

გორასამარხის ჩრდ. ნაწილში გაჭრილი ერთი სამარხი გადახურული იყო ქვის სამი ფილით, რ-თაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა კლდის მცირე ზომის ქვები. სამარხი წარმოადგენდა მართკუთხა, კიდეებმომრგვალებულ ორმოს. მიცვალებული დასვენებული იყო მარცხ. გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდ-ისკენ. სამარხში, გარდა სარდიონის მძივებისა, სხვა ინვენტარი არ აღმოჩნდა.

მეორე სამარხი გაითხარა გორასამარხის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 1,20 *მ*-ზე. სამარხი ორმო გადახურული იყო ხის ძელებით. მიცვალებული ესვენა მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ისაკენ.

მესამე სამარხი აღმოჩნდა გორასამარხის ყრილის ცენტრში. გეგმით მართკუთხა, კიდეებმომრგვალებული, ქვიშაქვის ფილებით გადახურული, დასაკრძალავი ორმო დამხრობილი იყო სამხრ.-დასიდან ჩრდ.-აღმ-ისკენ. სამარხში გამოვლინდა ზრდასრული ადამიანისა და ბავშვის ჩონჩხი. ზრდასრული მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ.-აღმ-ით. თავი ლანგარზე ედო. მისი ხერხემლის გასწვრივ დადასტურდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ხოლო თავთან – ქვაბქოთანი. ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა სამარხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში.

დ. ყვავაძე.

207. გორასამარხების ველი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ჩიჩხიტურის (დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი მონასტერი) ჩრდ-ით მდებარე ველზე, დავითის ლავრისაკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანას.

ძ. XX საუკუნის 80-იან წლებში შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა ერთი გორასამარხი. მისი ყრილი მიწისგან იყო მოზვინული (სიმ. – 1 *მ*, დიამ. – 10 *მ*). ყრილის ქვეშ დაფიქსირდა ორმოსამარხი (სიგრ. – 2,5 *მ*, სიგ. – 1,5 *მ*), რ-ის ფსკერზე აღმოჩნდა



208. გორასამარხი. თიხის ჭურჭელი

ხის, რომბისებრი, ორბორბლიანი, საზიდარი. მასზე მიცვალებული იყო დაკრძალული – მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დას-ისკენ. სამარხში გამოვლინდა აგრეთვე ამავე პერიოდისთვის ტიპური, თიხის რამდენიმე ჭურჭელი.

მოპოვებული მასალა ინახება ილიაუნის არქეოლ. საცავში.

კ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 305.

208. გორასამარხების ველი არხაშენი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან 30 *კმ*-ზე, არხაშენისხევის მარჯვ. მხარეს. ფართობი – 3 *ჰა*. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს.

ძ. 1990 წელს გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხები ორმოიანია. ორმოები გადახურულია ქვით. სამარხებში აღმოჩნდა თითო მიცვალებული, რ-ებიც დაკრძალული იყო მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, თავით ჩრდ-ისაკენ. სამარხებში დადასტურდა თიხის ჭურჭელი: ქვაბქოთნები, ქოთნები, დერგები და ლანგრები.

მასალა ინახება საგარეჯოს მხარეთმც. მუზეუმში.

დ. ყვავაძე.



დავითგარეჯის მრავალმთა. დოდორქის მონასტერი. წმ. დოდოს ეკლესია

209. დავითგარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსი, არქიტ., არქეოლ., ისტ., მონუმ. ხელოვნ. ძ., ადრინდ. შუა საუკუნეების საქართვ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი და კულტ.-საგანმან. კერა. თარიღდება VI-XIX საუკუნეებით. მდებარეობს ქ. საგარეჯოს სამხრ.-აღმ-ით, ორმოციოდე კმ-ზე. კომპლექსი ორ ათეულზე მეტი გამოქვაბული მონასტრისგან შედგება, რ-ებიც დაახლ. 25 კმ სიგრძეზეა განფენილი და გამოკვეთილია მდების იერისა და მტკვრის აუზების გამყოფი, შიშველი მთების განშტოებებში.

მონასტრების განლაგების არეალში ბუნება, მოსაზღვრე ადგილების ბუნებისგან, მკვეთრად განსხვავებულია. კლდეები აქ მხოლოდ ბალახითაა დაფარული, რ-იც მზის მცხუნვარე სხივების ზემოქმედებით, ზაფხულის დასაწყისშივე ხმება.

1976 წელს დავითგარეჯის კომპლექსი შევიდა იპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამართველოს განმგებლობაში, ხოლო 1979 წელს გამოცხადდა სახელმწ. მუზეუმ-ნაკრძალად.

დავითგარეჯის რელიგ. ცენტრის აღმნიშვნელი სახელწოდება – „გარეჯის უდაბნო“ – მხოლოდ გეოგრაფიულ გარემოს კი არ აღნიშნავს, არამედ კლდეში არსებულ სამონასტრო კომპლექსსაც, რ-ის წარმოქმნა განპირობებულია ბერის, მისიონერის საფარ-სადგომის – „ქუაბის“ კლდეში არსებობით. საერთაშორისოდ „უდაბნო“ ამ მხარეს VI საუკუნიდან შეერქვა, მას შემდეგ, რაც აქ მეუდაბნოე ბერის ცხოვრება დაიწყო ცამეტთაგან ერთ-ერთმა ასურელმა მამამ – დავითმა, რ-იც, გადმოცემის თანახმად, საქართველოში იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით მოვიდა. თავდაპირველად დავითი, მცირე ხანს, თბილისის ახლოს, მთის ფერდობზე არსებულ ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა (მოგვიანებით ამ ადგილას აშენდა მონასტერი, რ-იც მამადავითის სახელითაა ცნობილი), მაგრამ შემდგომში ასკეტური, სირიულ-პალესტინური, ბერმონაზვნური ცხოვრების წესის დანერგვისათვის შესაფერის ადგილად, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, გარეჯის მრავალმთა მიუჩნევია.

დავითის ცხოვრება და მოღვაწეობა მის სიცოცხლეშივე აღუწერიათ, მაგრამ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ხელახლა შედგენილ „ცხოვრებათაგან“ ერთ-ერთია „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ“ (X ს.). „ცხორება“ იწყება წმ. დავითისა და ლუკიანეს მისვლით გარეჯის მრავალმთაში. პირველ ხანებში წმ. დავითი „მარტოობით, იწროებითა და მოთმინებით“ ცხოვრების მიმდევარი იყო. მისი რწმენით, მეუდაბნოე უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმით, რაც ბუნებრივად მოიპოვებოდა. დავითმა და ლუკიანემ მონახეს ბუნებრივი გამოქვაბული და იქ დასახლდნენ, მათ საკვებს კი ბალახი და მცენარეთა ძირები შეადგენდა. როდესაც ბალახი გახმა და მეუდაბნოებს შიმშილის საშიშროება დაემუქრათ, მხსნელად მათ სამი ირემი მოევლინათ. „ლუკიანე ძმაო, (მიმართა მას დავითმა), აიღე პინაკი და მოწველე ირემნი ისი“. ირმებმა ლუკიანეს მოწველის უფლება მისცეს. ამ დღიდან მოყოლებული, დავითი და ლუკიანე, კვირაში ხუთი დღე, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, რძითა და ყველით იკვებებოდნენ.


ერთხელ ირმების მოწველის სასწაულს მონადირეები შეესწრნენ: „იხილეს ირემნი იგი მდგომარენი მყუდროდ, ვითარცა შინაურნი, და ლუკიანე მწველელი მათი და წმიდა დავით მჯდომარე შორის მათსა“. დავითის სასწაულებრივი ძალის ამბავი მონადირეებმა შორს გაავრცელეს. გარეჯის მრავალმთამ მთელ საქართველოში გაითქვა სახელი. უამრავი ხალხი მოდიოდა აქ სალოცავად: „ხოლო ამისა გამო განისმა ხმა მისი და ფრიად მრავალნი ერნი დაემოწაფნეს და მრავალნი ჯურღმულნი აღმოკუეთეს“.

დავით გარეჯელის „ცხოვრების“ აღმწერელს ტოპონიმი „გარეჯა“ ორი სიტყვის – „გარე“ და „სჯა“ – გაერთიანებად მიაჩნია: „დავითმა აღირჩია აქა სჯაჲ გარეგან უდაბნოსა შინა, ამისთჳს ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯაჲ“. იოანე ზედაზნელის ცხოვრების ერთ-ერთ რედაქციაში გარეჯას „გარეშეთი“ ეწოდება. არსებობს ვარაუდი, რომ წმ. დავითის მოღვაწეობის ადგილს „გარეშეთი“ იმიტომ ერქვა, რომ ქართლ-კახეთისათვის ის გარეშეს, გარეშეთს წარმოადგენდა (შდრ. შიგნი კახეთი და გარე კახეთი). ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებით, „გარეჯა“ უნდა განიმარტოს, როგორც ფილოსოფიური ტერმინი – „გარეითი მაფიქრებლობის“, „გარეშე სიბრძნის“, „ზე მსჯელობის“ გაგებით. ბ. ლომინაძის ვარაუდით კი, გარეჯი, როგორც დამოუკიდებელი ტოპონიმი, არსებობს უძველესი დროიდან და მცდარი უნდა იყოს ამ სახელის დაკავშირება აქაური ბერების განმარტოებით მსჯელობასთან. ზოგიერთ ძვ. ქართულ წყაროში გარეჯის სავანეები „ათორმეტ უდაბნოდაც“ იწოდება.

დავითისა და ლუკიანეს განმარტოებული ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ ირგვლივ, თანდათანობით, მომრავლდნენ ბერები, რ-ებმაც პირველ ხანებში, საცხოვრებლად, ბუნებრივი ქვაბები გამოიყენეს, შემდეგ კი, წმინდანის მითითებით, ქვაბები გააფართოეს და ახ. ქვაბებიც გამოკვეთეს. ამასთან, დაიწყეს კლდეში წყალშესაკრები სისტემების გამოკვეთაც. გარეჯის მთის კლდოვან ზედაპირზე ახლაც კარგად ჩანს ხელოვნურად ნაკვეთი ღარები, რ-ებიც კლდეშივე ამოკვეთილ, დიდ აუზში იყრის თავს. ასე დაარსდა გარეჯში პირველი მონასტერი – წმ. და-

ვითის ლავრა, რ-საც „დიდ უდაბნოსაც“ უწოდებდნენ.

გარეჯის მრავალმთის ქვაბებში ბერები თავიანთი სენაკების სასანთლე ნიშასთან, ინდივიდუალურად ლოცულობდნენ. ამიტომ წმ. დავითს, ეკლესიის მომლოცველობასთან იყო გათანაბრებული). ამიტომ გარეჯში მომლოცველები მთელი ქრისტ. აღმოსავლეთიდან ჩადიოდნენ. ლავრაში ინახებოდა წმ. დავითის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა (ამჟამად საქართვ. საპატრიარქოშია). დღემდე წმინდად ითვლება ლავრაში არსებული წყარო, ბინაშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ბ. ლომინაძე, ლ. მენაბდე) მიიჩნევს, რომ გარეჯაში თორმეტი მონასტერი არ იყო, რომ ციფრ თორმეტს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და შექმნილია ქრისტეს თორმეტი მოციქულის ანალოგიით. მეცნიერთა მეორე ჯგუფი (პ. ინგოროყვა, პლ. იოსელიანი) კი ფიქრობს, რომ



209. სქემატური რუკა

შექმნის იდეა არც წამოუყენებია. ლავრაში ეკლ. მხოლოდ მოგვიანებით ააშენეს. წმ. დავითის „ცხორების“ მიხედვით, მისი ამშენებელი რუსთაველი დიდებული ბუბაქარია, რ-მაც გაქრისტიანების შემდეგ, წმ. დავითის სიცოცხლეშივე, წმ. დავითისა და წმ. ლუკიანეს გამოქვაბულების პირდაპირ, თავის მსახურებს გამოაკვეთინა ეკლ., რ-იც მოგვიანებით ფერისცვალების სახელზე აკურთხეს

გადმოცემის თანახმად, იერუსალიმში წმ. დავითის მომლოცველობის შემდგომ, მის მიერ დაარსებულ სავანეს ნაბოძები ჰქონდა „იერუსალიმის მადლის მესამედი (გარეჯში სამჯერ ჩასვლა იერუსალიმში რ-იც მთის ქედის განშტოებაში არსებულ ღრმულში (ღარში?) წვეთ-წვეთად მოედინება.

მეუდაბნოეთა სიმრავლე ხელს უწყობდა სხვა გამოქვაბული მონასტრების წარმოქმნას. გარკვეულ პერიოდში მონასტერთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია. ამ დროიდან უნდა იყოს შემორჩენილი სახელწოდება „გარეჯის ათორმეტი მონასტერნი“. დავით გარეჯელის სიცოცხლეშივე ლავრას გამოეყო ორი სამონასტრო განშტოება: დოდორქა და ნათლისმცემელი.

სამეცნ. ლიტ-რაში გარეჯის მონასტრების რაოდენობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი (გ. ჩუგარეჯაში თორმეტი მონასტრის არსებობა ისტ. სინამდვილეა და რიცხვ თორმეტს არავითარი სიმბოლური დატვირთვა არ გააჩნია.

დღეისათვის გარეჯის მრავალმთაში ოცზე მეტი სავანეა აღრიცხული [დავითის ლავრა, დოდორქა, ნათლისმცემელი, უდაბნო, წამებული (მრავალმთაში), ვერანგარეჯი, ბერთუბანი, განსაშორი, ჩიჩხიტური, მრავალწყარო და მუხნარი (თეთრი უდაბნოს ქედში), საბერეები (მდინარე ივრის აუზში), ბერების სერი (4 უდაბნოთი), პირუკუღმარი (2 უდაბნოთი), ქოლაგირი, ქვაბები, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, განსაშორი, სატორგე და კოწახურა (2 უდაბნოთი)]. ზოგიერთი



209. დავითგარეჯის მრავალმთა. უკანა პლანზე: ჩიჩხიტურის მონასტერი

ძეგლის სახელწოდება თავდაპირველი არ არის. იგი პირობითია, რადგან მათი ძვ. სახელები დაკარგულია.

ძეგლთა სიმრავლიდან გამომდინარე, წინააღმდეგ „აღწერილობაში“ მიღებული წესისა, ყველა მათგანის დაწვრილებით აღწერა ვერ მოხერხდა, რის გამოც სტატიაში მხოლოდ ცნობილი ძეგლებია მიმოხილული.

უკანასკნელ წლებში, გარეჯის მრავალმთაში, მიკვლეულია მცირე, უსახელო უდაბნოებიც. ძეგლების ძიება და მათი სახელწოდებების დაზუსტება დღესაც გრძელდება.

დავითის ლავრის პირველი განშტოება, წმ. დავითის დავალებით, წმ. დოდოს მიერ ლავრის მოპირდაპირედ, რქისებრად წაზიდულ კლდის მასივში გამოკვეთილი დოდორქის მონასტერია, რ-იც წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქის გამოქვაბულებისა და ეკლესიების დიდ კომპლექსს. სწორედ დოდოს მიანდო დავითმა ახ., დამოუკიდებელი სავანის შექმნა: „ვინაჲთგან ღმრთისა მიერ რწმუნებულ არს მოურნეობა პირმეტყველთა ამათ ცხოვართა, აღუშენე მუნ ეკლესია ყოვლად უხრწნელისა ღმრთისმშობელისა და შესაკრებელი ძმათა ნუგეშის-საცემლად“. ასე დაარსდა გარეჯში ახ. დამოუკიდებელი მონასტერი – დოდორქა: „და აღაშენა მონასტერი ფრიად დიდი, რომელსა შინა მრავალნი ღვაწლნი და შრომანი აღასრულნა“. მონასტრის პირველი წინამძღვარი, მისივე დამაარსებელი წმ. დოდო გახდა. „ცხოვრების“ მიხედვით, დოდორქის მონასტრის მთავარი ეკლ. ღვთისმშობლის სახელზე იყო ნაკურთხი: „განვიდა ღირსი დოდოს რქასა მას, რომელი ამართულ არს პირისპირ, შექმნა მუნ ტაძარი ვრცელი ყოვლად წმიდისა ... გამოჰკვეთნა პალატნი, სენაკნი და შესაკრებელნი და ყოველივე საჭირონი ადგილნი და განსასვენებელნი, ხოლო თჳთ ზემოსა მას კლდესა, კაცთაგან შეუალსა, ითხარა მსგავსი საფლავისა, ყოვლად შემაიწრებელი სხეულისა, ფრიად იწრო, ხოლო დამტევნელი წმიდისა სადაყუდებლო“.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „არს გარეჯის მთასა შინა, ნათლისმცემელსა და დავით გარეჯას შუა, მონასტერი დოდო, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოდომ, რომელიცა იყო ნათესავით და ქუეყნით კახი, მოწაფე დავით გარეჯელისა, და დაფლულია იგი მუნვე“. გარდაცვალების შემდეგ, წმ. დოდო მთავარი ტაძრის ახლოს, კლდეში ნაკვეთ, მცირე, გუმბათოვან ეკლესიაში დაუკრძალავთ. 1881 წელს მ. საბინინის თაოსნობით, ღირსი დოდოს წმ. ნაწილები დოდორქის მონასტრის სავალალო მდგომარეობის გამო, წმ. დავითის ლავრაში, ფერისცვალების ეკლესიაში გადაასვენეს.

ცალკე მონასტერი, წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე, დაარსა ლუკიანემაც.

წმ. დავითის დროს დავითგარეჯა ადმინისტრაციულად რუსთავის საერისთავოს ეკუთვნოდა, ხოლო ეპარქიულად რუსთავის ეპისკოპოსს მორჩილებდა.

IX საუკუნეში გარეჯის მონასტრების ისტორიაში ახ. ხანა დაიწყო. ასკეტური ცხოვრების წესის მოთხოვნილებები სამშობლოში დაბრუნებულმა ილარიონმა გააცოცხლა და ფერისცვალების სახელზე აკურთხა ლავრის მონასტრის მთავარი ეკლესია, რ-შიც დაკრძალულნი იყვნენ დავითი და ლუკიანე. მანვე განაახლა სამონასტრო ცხოვრების წესი, რომელიც მხოლოდ საკურთხეველი, ზოგჯერ ჭერიც. XI-XIII საუკუნეებში გარეჯში საკრებულო ეკლესიები და მონასტრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი – სატრაპეზო, უკვე მთლიანადაა მოხატული.



209. ლავრის მონასტერი. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

ბები სამონასტრო ცხოვრების ახალმა წესმა შეცვალა, რ-ის დანერგვა წმ. ილარიონ ქართველის მოღვაწეობას უკავშირდება. გარეჯში იგი პირველად 15-16 წლის ასაკში მივიდა. აქ მან „ქუაბი რაჲმე პოვა მცირე, რომელსა შინა დაემკჳდრა“.

გარეჯში ილარიონმა 10 წელი დაჰყო. შემდეგ სულიერ ძმათაგან ერთ-ერთი თავის ადგილზე წინამძღვრად დაადგინა, ერთი კი გამოარჩია და მასთან ერთად იერუსალიმის გზას დაადგა. წმ. მიწასა და და იორდანეს უდაბნოში შვიდი წლის ცხოვრების შემდეგ, და გაამშვენა მათი საფლავები.

წმ. ილარიონის მოღვაწეობის დროიდან დავითგარეჯში დიდი სამონასტრო აღმშენებლობა დაიწყო. გაიზარდა ბერების რაოდენობა, დაარსდა ახ. მონასტრები, გაფართოვდა და გამშვენიერდა ძვ. ეკლესიები, გამოიკვეთა ახ. ტაძრები, შეიქმნა კეთილმოწყობილი საცხოვრ. და სამეურნ. სათავსები, განვითარდა მეურნეობა და სხვ.

IX საუკუნეში ახალ სამონასტრო ცხოვრების წესზე გადასვლას, მოჰქვა ეკლესიების მოხატვაც. თავდაპირველად იხატებოდა მხოლოდ საკურთხეველი, ზოგჯერ ჭერიც. XI-XIII საუკუნეებში გარეჯში საკრებულო ეკლესიები და მონასტრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი – სატრაპეზო, უკვე მთლიანადაა მოხატული.

გარეჯის კედლის მხატვრობის უძველესი ნიმუშია დოდორქის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობა, რ-იც IX საუკუნით თარიღდება [გარეჯის ფერწერული სკოლის მიმოხილვას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიაში („დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები“, თბ., 1949). ავტორის მიხედვით, გარეჯის სამხატვრო სკოლა გარეჯისავე მონასტრების წიაღშია ჩასახული და განვითარებული. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა გარე-

ჯის სამხატვრო სკოლის თავისუფალ, შემოქმედებით მხარეზე და აღნიშნა, რომ მსგავსი ტენდენციები დას. ევროპაში (მაგ. იტალიაში) გაცილებით უფრო გვიან, XIII საუკუნის მიწურულში ჩაისახა].

XI საუკუნის დასაწყისში დავითგარეჯა საქართვ. სამეფო კარის საკუთრება გახდა, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფ დაწინაურებას. ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) დიდი სამშენ. სამუშაოები ჩაატარა წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში.

XI საუკუნის II ნახევარში დავითგარეჯას დიდი ზიანი მიაყენა მომთაბარე თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა (დაახლ. 1080 წ.), რ-ებმაც მდ. ივრის სანაპირო კუხეთი, მათ შორის დავითგარეჯის სანახები, საძოვრებად აქციეს. ეს მხარე სრული განადგურებისგან დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) იხსნა. მან კახეთის სამეფოს შემოერთების (1104 წ.) და ქ. რუსთავის თურქებისაგან განთავისუფლების (1115 წ.) შემდეგ, დავითგარეჯა კვლავ სამეფო საკუთრებად აქცია. ამ პერიოდში, ონოფრე გარეჯლის დავალებით, აქ დაიწერა დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა გარეჯაში დავით აღმაშენებლის ძე დემეტრე I (1125-1156 წწ.). ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე იამბიკომ. მათში განსაკუთრებით გამორჩეულია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები. დემეტრე პირველისეული პოეტური სახეები ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დაფუძნებული. მისი „შენ ხარ ვენახი“ დღესაც ცოცხალი, პოეტური საგალობელია. ამავე დროს მოღვაწეობდა კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრაი, რ-მაც გადაწერა და ილუსტრაციებით შეამკო ორი ხელნაწერი].

დავითგარეჯა თამარის ეპოქაშიც ყოფილა დაწინაურებული. ზოგიერთი წყაროს ცნობით, გარეჯაში მოღვაწეობდა ამ დროის თვალსაჩინო მღვდელმთავარი ანტონ გნოლისთავისძე.

XIII საუკუნის დამდეგს დავითგარეჯა საკმაოდ დიდი პატივით სარგებლობდა და მას გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, სომხურ ქალკედონისტურ მონასტრებს შორის წამოჭრილი, სადავო საკითხების გადასაჭრელად, ივანე მხარგრძელის მიერ 1226 წელს დვინში მოწვეულ შეკრებას ესწრებოდა „დიდი მთავარი გარესჯისა“.

1265 წელს დავითგარეჯა და მისი მიმდებარე სოფლები ოქროს ურდოს ყაენის ბერქას სამასათასიანმა ლაშქარმა მოარბია. ქართლის ცხოვრების მიხედვით: შირვანის, ჰერეთის, კახეთის ივრისპირეთის აოხრების შემდეგ „ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯისათა“, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც. მონღოლთა შემოსევებმა და ბატონობამ გარეჯა ძალზე დაასუსტა და განადგურების პირამდე მიიყვანა. გაუქმდა ბერთუბნის მონასტერი, სხვა მონასტრებში კი ბერთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა დემეტრე II თავდადებულის მეფობის (1271-1289 წწ.) პერიოდში: აღდგა გარეჯის მონასტრების საგადასახადო შეუვალობა. როდესაც მეფე დემეტრე მონღოლებმა თავისთან დაიბარეს, მან სათათბიროდ, კათალიკოსთან, ეპისკოპოსებთან და დიდებულებთან ერთად, გარეჯელიც მიიწვია. ამ პერიოდში გარეჯელი მოღვაწეები სხვა მხარეებში მოგზაურობასა და ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებასაც ახერხებდნენ. კახ კეთილშობილთაგანს პიმენ სალოსს რამდენიმე წელი უმოღვაწია გარეჯაში, შემდეგ ქრისტიანობა უქადაგია და გაუვრცელებია ფშავში, თუშეთში, ლეკებში და ბელექანში.

XIV საუკუნის I ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის დროს (1314-1346 წწ.), დავითგარეჯა მძლავრ პოლიტ. და ეკონ. გაერთიანებას წარმოადგენდა. „გარეჯელი ძმანი“ მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობასა და ქვეყნის საერო და საეკლ. საქმეთა მართვაში. XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თემურ ლენგის რვაგზის შემოსევის შედეგად, „უდაბნონი გარესჯისანი“ მოიშალა. დაიწყო გარეჯის უდაბნოთა ადგილ-მამულების ძარცვა და მიტაცება. მეფე ალექსან-

209. დოდორქის მონასტერი





209. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. საერთო ხედი სამხრ-იდან

დრე I (1412-1442 წწ.) იძულებული იყო დაწვრილებით გაერჩია ქონებრივი საქმეები და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე აღედგინა უდაბნოთა უფლებები. საბუთებით ცნობილი ხდება არა მარტო საქმის ვითარება, არამედ ისიც, თუ რომელი უდაბნოები იყო იმდროისათვის მოქმედი.

მეფე ალექსანდრე I, 1428 წლის სიგელით, გარეჯის უდაბნოთა საკუთრებას მცხეთის საკათალიკოსო კათედრას უმტკიცებს. მცხეთის სახით გარეჯას მძლავრი მფარველი გამოუჩნდა. დარბეული მონასტრების მოვლა-პატრონობა საკათალიკოსო ტაძარს დაევალა. ამ დროიდან, XVI საუკუნის დასრულებამდე, ლავრისა და დოდორქის მონასტრები მოქმედია. ცხოვრების გამოცოცხლებაა ასევე მეტოქებშიც.

1616 წელს შაჰ-აბასის ურდოებმა, აღდგომა ღამეს, დავითგარეჯის მონასტრები დაარბიეს და იქ მოღვაწე ბერები ამოწყვიტეს (არის ვარაუდი, რომ ეს ამბავი თურქ-სელჩუკების შემოსევის დროს მოხდა). მოგვიანებით წმ. მოწამეთა წმ. ნაწილები გადაიტანეს უდაბნოს მონასტრის საძვალეში, რ-საც მოწამეთა ეწოდება.

შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს დავითგარეჯის მოქმედი მონასტრების გაუქმება მოჰყვა. მონასტრების აღდგენა-აღორძინებაში დიდი წვლილი შეიტანა როსტომ მეფის (ქართლ-კახეთის მეფე, 1648-1656 წწ.) მიერ მონასტრების ყმების სახელმწ. გადასახადებიდან განთავისუფლების სიგელმა (1651 წ.), რ-იც პლ. იოსელიანის ცნობით, რუსთაველი ეპისკოპოსის, „გარეჯის უდაბნოების ბევრი დანგრეული ნაგებობის აღმდგენის“ – ზაქარიას შუამდგომლობით შედგა. შაჰ-აბასის მიერ აოხრებული და გაძარცული მონასტრების აღდგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეფე თეიმურაზ I-საც (კახეთის მეფე 1606-1648 წწ-ში), რ-მაც წმ. დავითისა და წმ. დოდოს დარბეული მონასტრები აღადგინა. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი კი „უშენი“ დარჩენილა, რადგან მონაზონთა რაოდენობა მცირე იყო, ხოლო ქვეყანა – მტრისგან აოხრებული.

სპარსთა მიერ დარბეული მონასტრების აღდგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არჩილ II-მ (კახეთში მეფობდა 1664-1675 წწ-ში), რ-მაც აღადგინა წმ. დავითის ლავრა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი.

209. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. დას. ნაწილი



XVII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო დავითგარეჯის პოლიტ. და კულტ-ეკონ. აღორძინება, რაც ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის პერიოდს (1690-1736 წწ.) უკავშირდება. ონოფრე მაჭუტაძე, XVII-XVIII საუკუნეების მოღვაწეთა შორის, ყველაზე დიდი ფიგურაა დავითგარეჯის ისტორიაში. მას დავითგარეჯის მეორედ აღმშენებელს უწოდებენ. ამ დროს მონასტრებმა ძვ., დაკარგული მამულები დაიბრუნა და ახლებიც შეიძინა. წმ. დავითის ლავრაში გამოიკვეთა ახ. ეკლესიები, სატრაპეზოები, სენაკები, მარნები, სამეურნეო სათავსები. აშენდა პალატები და კოშკები, თავდაცვისათვის – გალავანი. გაიზარდა მონასტრის რჩენის სახსრები, მონასტრის გლეხები გათავისუფლდნენ სახელმწ. გამოსაღებებიდან, ვალდებულებებისგან და ბეგარისგან, მათ შორის სამხ. ვალდებულებისგან. მონასტრებს დაუმტკიცდათ საგადასახადო შეღავათები.

ონოფრემ, სამეფო კარის დახმარებით, აკურის მონასტერიც დაიბრუნა. მისი ინიციატივით შეიქმნა საგანმანათლებლო კერა – სამონასტრო და ლიტერატურული სკოლები, სადაც თავი მოიყარეს სწავლულმა ბერებმა. გარეჯა იქცა ქართ. მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. თუმცა, მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გარეჯაში ადრეც არსებობდა.

XVII-XVIII საუკუნეებში დავითგარეჯა კვლავ იქცა წამყვან სამწიგნობრო კერად. გარეჯელი მწიგნობრები თხზავდნენ ორიგინალურ ძეგლებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებს, ასკეტურ-მისტიკური და ჰომილეტიკური თხზულებების კრებულებს. გარეჯის, როგორც დიდი კულტ.-საგანმან. ცენტრის, ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა აქაურ მონასტრებში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკების არსებობა.

სხვადასხვა დროს გარეჯში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი, ქართვ. მწერლები, მქადაგებლები და კალიგრაფები, როგორებიც იყვნენ: ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გრიგოლ ვახვახიშვილი, ანტონ I, რომანოზ ერისთავი, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე, გაბრიელ საგინაშვილი, დომენტი კათალიკოსი და მრავალი სხვ. XVII საუკუნის მიწურულში წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდა სულხან-საბა ორბელიანი. 1698-1710 წლებში აქ დაწერა მან ქადაგებათა კრებული „სწავლანი“. გარეჯელ მწიგნობართა სია ზემოთ დასახელებული პირებით არ ამოიწურება. კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა აქ XIX საუკუნის თითქმის უკანასკნელ წლებამდე გრძელდებოდა.

ერეკლე I (ნაზარალი ხანი, ქართლის მეფე 1688-1703 წწ., კახეთის მეფე 1703-1709 წწ.), დიდად უწყობდა ხელს დავითგარეჯის დაწინაურებას. ერეკლე I-ის მატერიალური დახმარებით, ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის პერიოდში, ლავრაში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა: აშენდა წმ. ნიკოლოზის, ღვთისმშობლის მიძინებისა და წმ. მარინეს ეკლესიები. მოხატულობითა და კანკელით გამშვენდა წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლ.. დასრულდა კოშკებით აღჭურვილი, მაღალი გალავნისა და მთავარი კარიბჭის მშენებლობა. ნათლისმცემლისა და დოდორქის მონასტრებში აშენდა უფრო ფართო სატრაპეზოები. ახ. კანკელები აიგო სამონასტრო ტაძრებში. აღდგა ნათლისმცემლის მონასტრის ძვ. გალავანი, აიგო სენაკები.

1692 წელს ლავრას თავს დაესხნენ ლეკები და იქ მყოფი ბერები წამებით დახოცეს [წამებულნი საქართვ. სამოციქულო მარლთმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შეარაცხა. ხსენების დღედ დაწესებულია 12 (25) აგვისტო].



209. ნიჩხიტურის მონასტერი

გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ერთი პერიოდი დაკავშირებულია საქართვ. მეფეების – ერეკლე II-ისა (1762-1798 წწ.) და მისი ძის, გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) სახელებთან. ამ უკანასკნელის მიერაა აღდგენილი ღვთისმშობლის მიძინების ეკლ. ლავრის მონასტერში. ამავე მონასტერშია მისი სენაკიც.

XVIII საუკუნის დიდი ქართვ. გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი თავის საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველო-

სა“ (შედგენილია XVIII საუკუნის I მეოთხედში), გარეჯის მრავალმთაში მხოლოდ ხუთ მოქმედ მონასტერს ასახელებს: „გარეჯის მთას არს მონასტერი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი. ნათლის მცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღუარი, დავით გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღუარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წუმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძჳ, მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიანი, შემკულნი და დახატულნი ძუელითგანვე. მონასტრად ქმნული არს იგი მამათაგანისა დავითისაგან, მერმე შემკული, მომატებული მეფეთაგან“.

1768 წლის ცნობით, ბერთუბანი უკვე გაუქმებულია და ნინოწმინდელ ეპისკოპოსს აბარია. აზატ ხანისა და ლეკების ხშირი შემოსევების მსხვერპლი გამხდარა დოდორქაც.



209. საბერეები. მონასტრის საერთო ხედი სამხრ-იდან

ნი, კლდესა შინა გამოკუეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი. ნათლის მცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღუარი, დავით გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღუარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წუმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძჳ, მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიანი, შემკულნი და დახატულნი ძუელითგანვე. მონასტრად ქმნული არს იგი მამათაგანისა დავითისაგან, მერმე შემკული, მომატებული მეფეთაგან“.

1768 წლის ცნობით, ბერთუბანი უკვე გაუქმებულია და ნინოწმინდელ ეპისკოპოსს აბარია. აზატ ხანისა და ლეკების ხშირი შემოსევების მსხვერპლი გამხდარა დოდორქაც. ის ჯერ ლავრას შეუერთდა, საბოლოოდ დაცარიელებული კი ნინოწმინდელის ზედამხედველობის ქვეშ გადავიდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე დავითგარეჯი წარმოადგენდა მძლავრ ფეოდალურ-სამეურნეო ორგანიზაციას. „საგარეჯოდ“ წოდებული დავითგარეჯის მონასტრების სენიორია ძველთაგანვე მოიცავდა მონასტრების ირგვლივ და მის მახლობლად რუსთავ-ყარაიის სანახებში მდებარე სოფლებს, ასევე მდ. ივრის სანაპიროსა და ცივ-გომბორის მთის გადაღმა მდებარე სოფლებსაც. მონასტრების ქონების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ქართვ. მეფეების მიერ მონასტრებისათვის შეუვალობის მინიჭება იყო. ქონების ზრდა შეწირულობების ხარჯზეც ხდებოდა. დავითგარეჯის მონასტრების საკუთრებაში იყო მრავალი სოფელი, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ტყეები, ვენახები, სარწყავი არხები, წისქვილები და სხვ. აგრეთვე სასტუმროს დანიშნულების რამდენიმე შენობა თბილისში (სავარაუდოდ, ეს შენობები დღევანდელი ერეკლე II-ის მოედნის ფარგლებში უნდა ყოფილიყო).

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების (1801 წ.) შემდეგ, დავითგარეჯის სენიორია გაუქმდა. მისი კუთვნილი მამულები და საეკლ. ქონება კი სახელმწ. ხაზინას გადაეცა.

1920-იან წლებში, საქართველოში საბჭ. მმართველობის დამყარების შემდეგ, დავითგარეჯის მოქმედ მონასტრებში ცხოვრება შეწყდა. 1924 წელს, ახ. ადმ. დაყოფის თანახმად, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ახ. საზღვარი დადგინდა, რ-იც უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრების ტერიტორიაზე გადიოდა, ბერთუბანი კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

1948 წელს წმ. სავანეების მიმდებარე ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სამხ. ოლქის სასწავლო პოლიგონი განთავსდა (გაუქმდა 1991 წელს), რამაც მონასტრებს დიდი ზიანი მიაყენა.

1980-იანი წლების ბოლოს წმ. დავითის ლავრაში სამონასტრო ცხოვრება აღდგა, 2000 წლიდან კი სასულ. მოღვაწეობა წმ. იოანე ნათლისმცემლისა და დოდორქის მონასტრებშიც განახლდა.

XIX საუკუნის განმავლობაში გარეჯის მრავალმთის მონასტრები არაერთხელ იქნა მონახულებული განსწავლული მოგზაურებისა და საეკლ. სიძველეების მოყვარულთა მიერ. მათ შორის, ზოგიერთის თხზულებებში მეტად მნიშვნელოვანი მასალა მოიძებნება უდაბნოთა-ისტორიის შესახებ.

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, ნათლისმცემლის მონასტერი, დავითის ლავრა და უდაბნო მოინახულა ტოპოგრაფმა, არტილერიის პორუჩიკმა გ. გორდეევმა, რ-ის სტატიებიც 1832 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტში“.

1845 წელს უდაბნოებს, პ. იოსელიანთან ერთად, ეწვია წმ. მიწის, რუსეთისა და კავკასიის წმ. ადგილების ცნობილი მომლოცველი ა. მურავიოვი, რ-საც ეს მოგზაურობა აღწერილი აქვს სამტომიან ნაშრომში „Грузиа и Армениа“ (СПБ. 1848).

1886 წელს პ. კარბელაშვილის მიერ, ჟურნ. „ივერიაში“

გამოქვეყნდა ცნობები გარეჯის მონასტრების ბიბლიოთეკებიდან საქართვ. საეკლ. მუზეუმში გადმოტანილი მასალის შესახებ. 1890-იან წლებში ეს მასალა აღინუსხა მოსკოვის უნ-ტის პროფ. ა. ხახანაშვილისა და სხვების მიერ.

1919 წელს პროფ. ე. თაყაიშვილის წინადადებით, საქართვ. წარსულის შესახებ კრებულისთვის სტატიების მოსამზადებლად, გარეჯის მონასტრების მოხატულობების გასაცნობად, დავითის ლავრაში და მის მიმდებარე უდაბნოს მონასტერში, მიემგზავრებიან კავკასიის ისტ.-არქეოლ. ინ-ტის ადიუნქტი დ. გორდეევი და იმჟამად საქართვ. მუზეუმის არქეოლ. განყოფილების ასისტენტი შ. ამირანაშვილი. თუმცა, მათი მოგზაურობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

1921 წელს გარეჯის მრავალმთის მონასტერთა შესწავლის, მონასტრებში დარჩენილი ბიბლიოთეკისა და არქივების გამოტანის მიზნით, ჩატარდა სპეც. ექსპედ., რ-შიც გ. ჩუბინაშვილთან ერთად, მონაწილეობას იღებდა საქართვ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის პროფ., აკად. ე. ლანსერე, საარქივო საქმეების მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი, ისტორიკოსი ს. კაკაბაძე და თსუ-ს სომხ. ენის ლექტორი ლ. მელიქსეთ-ბეგი. გარდა ამისა, ექსპედიციის შემადგენლობაში შევიდნენ 1919 წლის მოგზაურობის მონაწილეები: დ. გორდეევი და შ. ამირანაშვილი.

ექსპედიციის დასრულებისთანავე, იმავე წელს, გ. ჩუბინაშვილის მიერ მომზადდა დავითგარეჯის გამოქვაბული მონასტრებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია – „დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები“ (წინამდებარე სტატიის დიდი ნაწილი აღნიშნული მონოგრაფიის მიხედვითაა მომზადებული).

1930 წელს საზღვარგარეთ დაგეგმილი, ძვ. ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის გადაწყდა გარეჯის მონასტრების ფრესკების კოლექციის ახ. ასლებით გამდიდრება, რისთვისაც 1929 წელს გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედ., რ-შიც მონაწილეობას იღებდნენ მხატვრები: შ. აბრამიშვილი, ს. მაისაშვილი, ქ. მაღალაშვილი, ვ. სიდამონ-ერისთავი, ბ. შევიაკოვი და სხვ. ასევე არქიტ. ვ. წილოსანი, იმჟამად საქართვ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ნ. ჩუბინაშვილი და იმჟამადვე თსუ-ს ხელობნებათმცოდნეობის კაბინეტის ასისტენტი შ. ამირანაშვილი.

1939 წელს გარეჯის უდაბნოში პალეონტოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ბა (ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ე. გაბაშვილი, დ. წერეთელი, მ. ფოფხაძე). აღმოჩნდა სამეცნ. ლიტ-რაში „უდაბნოპითეკის“ სახელით ცნობილი, ანთროპოიდული არსების ქვედა ყბის ფრაგმენტი.

1940-1947 წლებში საქართვ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმის თანამშრომელმა თ. თოდუამ, გარეჯის მრავალმთის ტერიტორიაზე მიმდინარე გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებში მონაწილეობის დროს, მიაკვლია, აღნუსხა და აზომა კლდეში ნაკვეთი რამდენიმე კომპლექსი.

1967 წელს საქართვ. ხელოვნების მუზეუმმა გარეჯის მონასტრებში სპეც. ექსპედ. მოაწყო ზოგიერთი, ძნელად გასარჩევი კომპოზიციისა და საღებავით შესრულებული წარწერების ულტრაიისფერი და ინფრაწითელი დასხივებით ფოტოგრაფირებისათვის (შემსრულებელი ი. გილგენდორფი). გამოვლინდა უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის თავდაპირველი მხატვრობის საყურადღებო დეტალები, აგრეთვე მომდევნო პერიოდის მხატვრობის საქტიტორო წარწერა.

1969 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, კლდეში ნაკვეთი ძეგლების შესწავლის მიზნით, დაარსდა სპეც. განყ-ბა [გ. გაფრინდაშვილი (ხელმძღვ.), ნ. ბახტაძე, ს. (იოსებ) ბურდილაძე, ზ. თვალჭრელიძე, ბ. მჭედლიშვილი], რ-იც წლების მანძილზე, არქეოლ. დაზვერვებთან და გათხრებთან ერთად, აღნუსხავდა და იკვლევდა „უდაბნოს“ ტიპის კლდის ძეგლებს. ექსპედიციების შედეგად მიკვლეულია, აზომილია და სათანადო სისრულითაა შესწავლილი მრავალი, სამონასტრო კომპლექსი. მათი ნაწილი მიმოხილულია გ. გაფრინდაშვილის წიგნში „გარეჯი“. ავტორის მიერ გამოთქმული ვარაუდის თანახმად, გარეჯში, წმ. დავითს და წმ. ლუკიანეს მოღვაწეობა უდაბურ ადგილას არ დაუწყიათ. უდაბნო, როგორც ქრისტ. კულტმსახურების ადგილი, აქ მათ დასახლებამდეც (ე.ი. VI საუკუნემდე) არსებობდა. ავტორი, მის მიერ მიკვლეულ ზოგიერთ ეკლესიას VI საუკუნეზე უფრო ადრინდ. პერიოდით ათარიღებს. მისი აზრით, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მეუდაბნოეთა მოღვაწეობა IV საუკუნეში ჩანს, ხოლო კოწახურას, ქვაბებისა და საბერეების კომპლექსებში – V საუკუნეში.



209. ქოლაგირი. მონასტრის საერთო ხედი

1971 წლიდან გარეჯის მრავალმთის ინტენსიური არქეოლ. შესწავლა დაიწყო ᲘᲐᲔ ინ-ტის ᲙᲐᲔ-მ.


1965, 1968, 1982-83 წლებში იკბძ-ს მიერ, ჩატარდა ლავრის

მონასტრის მთავარი ეკლესიის რესტავრაცია (არქიტ-ები: თ. აბრამიშვილი, ნ. ალხაზაშვილი, რ. გურამიშვილი, ო. თორთლაძე, თ. ნემსაძე). 1975 წელს აღადგინეს ამავე მონასტრის კარიბჭე (არქიტ. გ. ნიკოლაძე). 1977 წელს სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა ბერთუბნის მონასტრის ეკლესიასა და სატრაპეზოს (ხელმძღვ. არქიტ. თ. აბრამიშვილი), 1984 წელს – ორმოცი მოწამის ეკლესიას, ხოლო 1989 წელს უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიას (არქიტ-ები: თ. აბრამიშვილი, ნ. ზედანია). ორმოცი მოწამის ეკლესიას განმეორებით რესტავრაცია 2005 წელსაც ჩაუტარდა (არქიტ. ნ. ზაზუნიშვილი). 1976, 1989, 2007 და 2009 წლებში სარესტ. სამუშაოები მიმდინარეობდა ნათლისმცემლის მონასტერში (არქიტ-ები: თ. აბრამიშვილი, მ. ანდრიაძე, ნ. ზედანია, მ. კიკნაძე, ზ. მელვინეთუხუცესი). 2007 წელს სარესტ. სამუშოები ჩაუტარდა უდაბნოს მონასტრის აღდგომის ეკლესიას (არქიტ. თ. გაბუნია). ამავე დროს დაკონსერვდა ელია წინასწარმეტყველის ეკლ. 2010 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა დოდორქის მონასტერში – გაიწმინდა წმ. დოდო გარეჯელის საფლავზე აგებული ეკლ. და ღვთისმშობლის შობის გუმბათოვანი ეკლ. სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, უდაბნოს მონასტერში (1982 და 1988 წლებში), დოდორქაში (1984 წელს), ბერთუბანში (1985 წელს), ჩიჩხიტურში (1987 წელს), ნათლისმცემელში (1989 წელს), საბერეებში (1994 წელს) და მრავალწყაროში (1998 წელს) მიმდინარეობდა მოხატულობის რესტავრაცია-კონსერვაცია (მხატვარ-რესტავრატორები: მ. ბუჩუკური, დ. გაგოშიძე, გ. ჭეიშვილი).


2013-18 წლებში ლავრის მონასტერში, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ამავე მონასტრის არქიმანდრიტის მამა კირიონის (ონიანი) თაოსნობით: განახლდა ტერასების საყრდენი კედლები (არქიტ. ს. ბანძელაძე), აიგო ახ. სენაკები, გაიწმინდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლ., შეილესა და მოსახატავად გამზადდა ახ. სატრაპეზო, კეთილმოეწყო მონასტრის მიმდებარე ტერიტ. და სხვ.* (* იხ. გვ. 308),

ამრიგად, თითქმის ორი საუკუნეა, რაც დავითგარეჯის მრავალმთის მონასტრები როგორც მკვლევართა, ისე ხელოვნებითა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოების ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. ამ მიმართებით არაერთი მეცნ. ნაშრომია შექმნილი – მონოგრაფიებისა თუ სამეცნ. სტატიების სახით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძეგლების კვლევა-ძიება ოდნავადაც არ შენელებულა. სხვადასხვა ასპექტით ჯერ კიდევ ბევრი საკითხია დასაზუსტებელი. გარდა ამისა, არც ახ., სრულიად უცნობი ძეგლების გამოვლენის შესაძლებლობაა გამორიცხული.


თ. დვალი, ლ. მოწონელიძე



209. წმ. დავითის ლავრა. გუნგუგმა ზედა ეზოს დონეზე (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.). A - ქვედა ეზო, B - შუა ეზო, C - ზედა ეზო.
1 - წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლ., 2 - ნინოწმინდელი ეპისკოპოსის ანდრონაშვილის ქუაბნი, 3 - მიძინების ეკლ.,4 - ალექსანდრე მეფის კოშკი,5 - კოშკი,6 - მონასტრის მთავარი შესასვლელი



209. წმ. დავითის ლავრა. ჭრილი 1-1 (ვ. ფილოსნის მიხედვით. 1929 წ.)



209. წმ. დავითის ლავრა. ჭრილი 2-2 (ვ. ფილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

„ცხოვრებაში“. წმ. დავითის მონასტერი, დაარსების დღიდანვე ფართოვდებოდა და ამასთან ერთად, ახალ, დამოუკიდებელ სამონასტრო განშტოებებსაც ქმნიდა (სამწუხაროდ, ადრინდ. პერიოდის სავანეთა საკმაოდ დიდი ნაწილი აღარ არსებობს, რადგან მთები, რ-ებშიც მონასტრებია გამოკვეთილი, ფხვიერია, იფიტება და იოლად იშლება).


სამონასტრო ცხოვრების საწყისი პერიოდის სადგომები შემთხვევითი ფორმის და საკმაოდ მცირე ზომისაა, მხატვრული თვალაზრისით ნაკლებად მეტყველია და სავსებით შეესაბამება ასკეტური ცხოვრების წესის მოთხოვნებს. ისინი მხოლოდ თავშესაფრად გამოიყენებოდა. ბერთა სადგომები მომცროა, დაბალი. კედლები და ჭერი – უსწორმასწორო. აქ ყველაფერი მკაცრი მოღვაწეობისა და უკიდურესი ასკეტური ცხოვრებისაკენ სწრაფვის მოთხოვნილებაზე მეტყველებს. შესაძლოა, ზოგიერთი სადგომი მხოლოდ ნაწილობრივ იყო შელესილი. მათ გვერდით გვხვდება სენაკები, რ-ებსაც სწორი გეომეტრი-

არქიტექტურა

დავითგარეჯი, როგორც უკვე აღინიშნა, ქართ. სულიერი და მატერიალური კულტურის უძველესი კერაა, სადაც წარმოიშვა და განვითარდა მძლავრი, სამონაზვნო ცხოვრება, საკუთარი ხუროთმოძღვრული, სამხატვრო და ლიტერატურული სკოლებით.

ისტ. წყაროები და დოკუმენტები, განსაკუთრებით კი ხუროთმოძღვრული ძეგლები, თვალნათლივ წარმოაჩენს გარეჯის მრავალმთის უდაბნოთა კულტ. განვითარების საფეხურებს, უდაბნოებში არსებული მრავალფეროვანი, მჩქეფარე ცხოვრების სურათებს.

დავითგარეჯის მრავალმთაში მონასტრის დაარსების ამბავი, როგორც ითქვა, მოთხრობილია დავით გარეჯელის




209. წმ. დავითის ლავრა. ფერისცვალების ეკლესია. გეგმა (ვ. ფილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

ული ფორმები აქვს. თუმცა, მათი დიდი ნაწილი აშკარად ატარებს გვიანდ. გადაკეთების კვალს.


წმ. მამის დავითის სამარტვილე, რ-შიც მონასტრის დამაარსებელი წმ. დავითი იყო დაკრძალული.

ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ერთმანეთთან დაკავშირებული ორი სადგომისგან შედგება. ერთი – წინა, რ-იც საკუთრივ ეკლესიაა, დიდია და აღმ-ით საკურთხევლის აფსიდითაა დასრულებული (სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 15,2 მ, სიგ. – 5,6 მ, სიმ. – 5,5 მ). დარბაზის აღმ. ნახევარს ჩრდ-იდან ეკვრის მცირე ზომის, ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად გაყოფილი, გამოქვაბული სადგომი, რ-ის, აღმ. ნაწილი ეკლესიის საკურთხეველთანაა დაკავშირებული და სამკვეთლოდ გამოიყენებოდა, დას. ნაწილი კი – დარბაზთან [გამოთქმულია მოსაზრება (დ. თუმანიშვილი), რომ სამკვეთლო თავდაპირველი არ არის და მოგვიანებითაა მოწყობილი]. ამრიგად, შეიქმნა ეგეტერიანი ეკლესიის თავისებური ფორმა, რ-იც შემდგომ ხანებში, გარეჯის მრავალმთის სხვა სამონასტრო ჯგუფებში ეკლესიების გამოკვეთისას, კანონიკურ ფორმად, მისაბაძ ნიმუშად იქცა.



209. წმ. დავითის ლავრა. ფერისცვალების ეკლესია. ჭრილი 1-1 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

ამგვარად, გარეჯის სავანეების არსებობის პირველ საუკუნეებში გრძელდება ყველა ის ტრადიცია, რ-ებიც მონასტრის



209. წმ. დავითის ლავრა. ფერისცვალების ეკლესია. ჭრილი 2-2 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს, კედლის დას. ნაწილში. შენობა ორი სარკმლითაა განათებული. ორივე სამხრ-იდანაა. მათ შორის ერთი – საკურთხეველშია, მეორე – სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში. კამარა ნახევარწრიულია, საკმაოდ სწორი, რაც გვიანდ. შეკეთებებისა და შელესვების შედეგია. კამარის დას. ბოლოში და შუაში გამოყვანილია ცრუ საბჯენი თაღი, რ-იც დას. კედელთან მდებარე კონსოლებზეა დაყრდნობილი, მეორე კი – პილასტრებზე. ეკლესიის ყველა კედელს, ისევე როგორც საკურთხეველს, გაუყვება მცირე

დამაარსებლის, წმ. დავითის მიერ იყო დამკვიდრებული.


IX საუკუნეში გარეჯის მონასტრების ისტორიაში ახ. ხანა დაიწყო. მეუდაბნოებისა და ასკეტიზმის ტრადიციები სამონასტრო ცხოვრების წესის ორგანიზაციის ახ. პრინციპებით შეიცვალა. უდაბნოში ცხოვრების ამ ახ. წესის დანერგვა, როგორც აღინიშნა, წმ. ილარიონ ქართველის მოღვაწეობას უკავშირდება.

წმ. მიწიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ილარიონმა გააფართოვა და ფერისცვალების სახელზე აკურთხა




209. წმ. დავითის ლავრა. ფერისცვალების ეკლესია. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

სიმაღლის ხარისხი. ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია. მის უკან, კედელში – ნიშაა. ჩუქურთმით. სატრაპეზოს გეგმა ღრმა და მცირე ნიშებითაა გართულებული.



209. წმ. დავითის ლავრა. ფერიცვალების ეკლ. ჭრილი 3-3 (ვ. წილოსნის მიხედვით, 1929 წ.)

როგორც წყაროებიდან ჩანს, ილარიონს ფერისცვალების ეკლესიის გაფართოების გარ-



209. წმ. დავითის ლავრა. წმ. ილარიონ ქართველის „ფილიალი“. გეგმა. 1 - ეკლ. 2 - სატრაპეზო


და, მონასტერში, მონასტრის სამხრ. ნაწილის ზემოთ, „ფილიალიც“ შეუქმნია. მისი შემორჩენილი ნაწილი შეიცავს კლდეში გამოკვეთილ, დარბაზულ ეკლესიას, სატრაპეზოსა და სხვა სათავსებს. ეკლესიის ინტერიერის სივრცობრივი სტრუქტურა ხასიათდება გეომეტრიულად ზუსტი, სიმეტრიული ფორმებით. გრძივი კედლები შემკულია შეწყვილებული, ნალისებრთაღიანი, ბრტყელი ნიშებით. ეკლესიის დარბაზი, ბრტყელი ჭერის ნაცვლად, ნახევარცილინდრული კამარითაა „გადახურული“. საკურთხევლის სატრიუმფო თაღი და იმპოსტები შემკულია

როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ამ ხანებიდან გარეჯის უდაბნო-მონასტრები ახალ, კეთილმოწყობილი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების გზას დაადგა.

IX საუკუნიდან სამონასტრო კომპლექსის ცენტრ. ნაგებობა ეკლ. და სატრაპეზო ხდება, რ-თა მახლობლად სენაკები და სხვადასხვა დანიშნულების ქვაბებია განლაგებული.


XI საუკუნის ბოლოს, როცა გარეჯის მრავალმთის მონასტრების აღმავლობა და სწრაფი განვითარება დაიწყო, მონასტრებში გამოიკვეთა ახ. სათავსები. ისინი, მეტწილად, წესიერი ფორმისაა, საკმაოდ მაღალი და ვრცელი. ყოველ დიდ სავანეში ჩნდება დიდი, საერთო ეკლ., მათ სიახლოვეს კი – სატრაპეზო. თითოეული მონასტრის მთავარი ეკლ. იმეორებს ლავრის მონასტრის – ფერისცვალების ეკლესიის ფორმებს, რ-შიც მონასტრის დამაარსებელი წმ. დავითი იყო დასაფლავებული.

ლავრის მონასტერშივე, ზედა ეზოს კლდის დას. მასივში, გამოკვეთილი იყო წ მ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, – ეგვტერ-სამკვეთლოს გარეშე (ა. მურავიოვი ამ ეკლესიის შექმნას თამარის ეპოქის დიდ მოძღვართან ონოფრე გარეჯელთან აკავშირებს). ეს იყო საკმაოდ დიდი, ნახევარწრიულაფსიდიანი, დარბაზული ეკლ. (სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 18,5 მ, სიგ. – 7,8 მ), ნახევარცილინდრული კამარით, რ-იც პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღებზე იყო „დაყრდნობილი“. მათ შორის ერთი – დარბაზის დას. ბოლოში იყო მოწყობილი, ხოლო მეორე – შუაში. დარბაზს ჩრდ-იდან ეკვრის სადგომი – სატრაპეზო, რ-იც ეკლესიასთან ერთდროულადაა გამოკვეთილი. გ. გორდეევის




209. წმ. დავითის ლავრა. წმ. ილარიონ ქართველის „ფილიალი“. ჭრილი A-A

ცნობით, ეკლესიის საკურთხეველი გამიჯნული იყო ქვით ნაგები, მოხატული კანკელით (ჩრდ. კედელთან შემორჩენილი იყო კანკელის ნაწილი). მოხატულობა შემორჩენილი იყო ასევე ეკლესიის ჩრდ. კედელზეც, სადაც გამოსახული იყო: საქართვ. განმანათლებელი წმ. ნინო, წმ. გაიანე და სცენები წმ. დავითის ცხოვრებიდან.




209. წმ. დავითის ლავრა. წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)



209. წმ. დავითის ლავრა. მიძინების ეკლესია. გეგმა

კლდის გამოფიტვის გამო, ეკლესიის გასამაგრებლად, კლდეზე გარედან მიუშენებიათ ქვიტკირის კედელი. 1831 წელს, როდესაც ეკლ. გ. გორდეევმა მოინახულა, იგი ჯერ კიდევ მდგარა, თუმცა, ნგრევის პირას ყოფილა მისული. მართლაც, მალე, როგორც ამას ა. მურავიოვი და პლ. იოსელიანი აღნიშნავენ, გამოქვაბულის წინა ნაწილთან ერთად, ეკლესიაც დანგრეულა.

გარეჯის მონასტრებში სამონასტრო ცხოვრების ახ. წესის შემოღებით მიღებული შედეგი გამოვლინდა არა მარტო მთავარი ეკლესიების, საერთო სატრაპეზოების, ანდა ვრცელი, სპეციალურად გაწყობილი სენაკების შექმნით, ან, ამა თუ იმ უდაბნოში, მცირე კომუნების დაარსებით, არამედ მათი საერთო კულტ. და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებითაც. თითოეულმა უდაბნომ ერთი მთლიანი, ორგანიზებულად დაკავშირებული სახე მიიღო. მონასტერში ყველა ცალკეული სადგომის დასაკავშირებლად, კლდეში გამოკვეთილი გასასვლელებისა და კიბეების მთელი სისტემა შეიქმნა. კლდეში გამოიკვეთა ცისტერნები, წვიმის წყლის ნაკადებისათვის კი – ღარები. გამოქვაბულებში მოეწყო დიდი ბეღლები, როგორც ჩანს, მარცვლეულისათვის და სხვ.



209. წმ. დავითის ლავრა. მიძინების ეკლესია. ჭრილი 3-3

ცალკეული სენაკების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ბერების ამა თუ იმ ჯგუფის მომსახურებისათვის, მცირე ეკლესიის ე. წ. ფილიალის მშენებლობის პრაქტიკა დამკვიდრდა. ამავე ეპოქაშივე, როგორც ჩანს, ბერების რაოდენობის სწრაფი ზრდის გამო, ჩნდება ახ. მონასტრები (ბერთუბანი), არსებულ მონასტრებთან კი – სამონასტრო განშტოებები (წამებული – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის დას-ით და დოდორქის მონასტრის დას. ნახევარი).

გარეჯის მრავალმთის, XI-XIII საუკუნეების მონასტრების ყველა მთავარ ეკლესიას,

უდაბნოს უძველესი სალოცავ- და დას-იდან შემოზღუდულია ის, ფერისცვალების ეკლესიის კონტრფორსებით გამაგრებული ფორმები უდევს საფუძვლად, გალავნით.



209. წმ. დავითის ლავრა. ქვედა ეზო. ფერისცვალების ეკლესია. ხედი სამხ-იდან

რ-ებიც განმეორებულია დანარჩენი უდაბნო მონასტრების ყველა ეკლესიაში, თუმცა, მათი ზომები უკვე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. უპირატესად – სიმაღლე, რაც მნახველს შესვლისთანავე განაცვიფრებს.

განსაკუთრებით მაღალი და ვრცელია წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ეკლესია. მონასტერი წმ. დავითის ლავრის დას-ით, დაახლ. 8 კმ-ზე მდებარეობს. დაარსებულია VI საუკუნის II ნახევარში, წმ. დავით გარეჯელის მოწაფისა და თანამდგომის – წმ. ლუკიანეს მიერ: „ბრძანებითავე მამისა დავითის აღეშენა უდაბნო მრავალმთისა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“.

მონასტერი გამოკვეთილია 250 მ სიგრძის კლდის მასივში, ორ-სამ იარუსად – „ფიცხელს და უპოვარ ალაგზედ“. კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია: წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლ., სატრაპეზო, წინამძღვრის სახლი, სამრეკლო და კოშკი, რ-ის ქვედა სართული კარიბჭეს წარმოადგენს. მონასტრის ეს ნაწილი სამხრ-იდან


ეკლ. (სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 17 მ, სიგ. – 9,2 მ, სიმ. კამარის წვერომდე დაახლ. 9 მ-ია) უხვადაა განათებული დიდი, არასწორი ფორმის სარკმლებით. ჩრდ. მხარეს, ისევე როგორც ფერისცვალების ეკლესიაში, აქაც აფსიდიანი ეგეტერია (სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 11,15 მ, სიგ. – 5,5 მ), რ-იც ეკლესიის მთავარ სივრცეს ორი თაღით უკავშირდება. საკურთხეველს კი – ერთი გასასვლელით. ეგეტერი ამავე დროს მთავარი ეკლესიის სამკვეთლოს დანიშნულებასაც ასრულებს. იგი მთავარ ეკლესიაზე ოდნავ ვიწროა, ორჯერ მოკლე და ბევრად დაბალი, თითქმის სრულიად ბნელი.

ეკლ. კლდის სიღრმეშია. მის წინ მცირე ზომის, ოთხკუთხა სათავსია, საიდანაც, ვიწრო გასასვლელით, თავად ეკლესიაში ვხვდებით. მთავარ ეკლესიას სამხრ-იდან ეკვრის მცირე ზომის ეკლ. მასში მოხვედრა კიბითაა შესაძლებელი, რ-იც ეკლესიის გასასვლელში იწყება. თავად ეკლ. არაწესიერი ფორმისაა, უაფსიდო. მთავარი ეკლესიის საკურთხეველთან იგი განიერი ღიობითაა დაკავშირებული. მთავარი ეკლესიის საკურთხეველი დარბაზისგან ადრე გამიჯნული იყო ალებასტრის მაღალი, აჟურული ჩუქურთმით შემკული ზღუდით (შემორჩენილია ქვედა ნაწილი), რ-იც XVIII საუკუნის II ნახევარში მოუწყვიათ.

ეკლესიის სამხრ. კედლის ზედა ნაწილში დიდი სარკმელია, რ-იც მონასტრის წინამძღვრის ოთახში გადის. ეს ოთახი ეკლესიის წინ, რამდენადმე მაღლა მდებარეობს. მას-

209. ნათლისმცემელი. მონასტრის დას. ნაწილი. ხედი სამხრ.-აღმ-იდან






209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძარი და სატრაპეზო. გეგმა


ბაზში,2018 წელს მიგნებულ იქნა სამარხი,რ-იც ამავე წლის 28 ნოემბერს გაიხსნა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოს არქეოლოგიურმა სამსახურმა. სამუშაოებში მონაწილეობდა საქართვ. საპატრიარქოს სიწმინდეთა დაცვისა და მოძიების განყ-ბაც. სამარხი იატაკშია ამოკვეთილი, გადახურული იყო ქვიშაქვის თხელი ფილებით. სამარხში დაფიქსირდა ქრისტ. წესით დაკრძალული, ერთიმეორეზე დასვენებული, ორი ნეშტი (კვლევის პროცესშია). სამარხში აღმოჩნდა ფსკვნილის ნაწილი.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მთავარ ეკლესიასთან, როგორც ფორმებით, ისე ზომებითაც ახ-



209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძარი. სატრაპეზო. ჭრილი 2-2

209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძარი. ჭრილი 1-1




ში ასასვლელი კიბე კლდეშია გამოკვეთილი.


მთავარი ეკლესიის დას-ით, კომპლექსის ქვედა იარუსში, შემორჩენილია მონასტრის დაფუძნების ხანის რამდენიმე გამოქვაბული.

გვიანდ. შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეში ძვ. გამოქვაბულების დიდი ნაწილი გადაკეთდა, გამოიკვეთა ახ. სახლები, იარუსების დამაკავშირებელი გვირაბები, ღია გადასასვლელები და წყლის შემკრები სისტემები.

გამოქვაბულების დას. ჯგუფში არსებული ეკლესიის დარ-



209. ნათლისმცემელი. მონასტრის დას. ნაწილი. ჭრილი 1-1. გეგმა



209. ნათლისმცემელი. მონასტრის დას. ნაწილი. ქვაბების ჯგუფი ეკლესიით

ლოს დგას დოდორქიოს მონასტრის მთავარი ეკლესია (სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 16,2 მ, სიგ. – 7,2 მ). იგი მდებარეობს კლდის სიღრმეში. მის წინ გასასვლელებია, მცირე ზომის ოთახებით. გარედან ეკლესიის შესასვლელი დაცულია ჭიშკრიანი კედლით. კლდის თხემზე ოთხკუთხა კოშკია, რ-იც ხეობას გადაჰყურებს. აქაც, ჩრდ. მხრიდან, მთავარი ეკლესიის აღმ. ნახევარს ეკვრის ეგვტერი-სამკვეთლო, რ-იც მთავარ სივრცეს სამი მალით უკავშირდება.

ეკლ. კლდეში, სწორ ფორმებში, საგულდაგულოდაა გამოკვეთილი. აქა-იქ, მოგვიანებით დაზიანებული ნაწილები და კედლების უსწორმასწორო ადგილები გასწორებულია ნატეხი ქვის წყობით, რ-იც წმ. ბათქაშითაა დაფარული.

XVIII საუკუნეში, ისევე როგორც ნათლისმცემლის ეკლესიაში, საკურთხეველი დარბაზისგან ალებასტრის აჟურული ზღუდით გაუმიჯნავთ. საკურთხევლის შუაში ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას.




209. ნათლისმცემელი. მონასტრის დას. ნაწილი. ქვაბების ჯგუფი ეკლესიით. ეკლ. სამარხი

ეგვტერის ჭერი უსწორმასწოროა. მის ცენტრალურ ნაწილში ნატეხი ქვით ნაწყობი, საბ-

209. ნათლისმცემელი. სატრაპეზო და სამრეკლო. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



ჯ-ენი თაღია. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული. ორივე სადგომი შელესილი და შეთეთრებულია.




209. დოდორქა. მთავარი ეკლ. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

მთავარი ეკლესიის დას. კედელზე და საკურთხეველში ნალესობა ჩამოცვენილია და ძვ., გაფერმკრთალებული მოხატულობის ფრაგმენტები ჩანს.

მთავარი ეკლესიის მახლობლად, მცირე ზომის, გეგმით ოთხკუთხა სამლოცველოა (აღმოჩნდა 2015 წლის დასაწყისში, მონასტრის ბერების მიერ), რ-ის აღმ., დას. და ჩრდ. კედლები კლდისაა, სამხ-ისა კი – ნატეხი ქვითა და კირითაა ამოყვანილი. ამავე მხრიდანაა შესასვლელიც და ერთადერთი სარკმელიც, რ-იც შესასვლელის ასწვრივაა გაჭრილი. შესასვლელი ნახევარწრიულთაღოვანია, სარკმელი კი – ოთხკუთხა.


შიდა სივრცე, აღმ-ით, დასრულებულია სწორი კედლით, რ-ის შუაში მოწყობილია კონქისებრი, სალოცავი ნიშა. ნიშის ზემოთ კი საფეხურით შეღრმავებული, თაღოვანი არეა, რ-იც ფორმით ნახევარწრეს უახლოვდება. კედლები და კამარა მთლიანად შელესილი და მოხატულია (შემორჩენილია თითქმის სრული სახით). სამლოცველოს მოხატულობა (შეისწავლა მ. ბულიამ) განსაკუთრებით იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში წმ. დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების ციკლია წარმოდგენილი, რ-საც ქართულ ხელოვნებაში პარალელი არ მოეძებნება.

უდაბნოსა და ბერთუბნის მონასტრებში მთავარი ეკლესიები რამდენადმე სხვაგვარადაა განლაგებული. ორივე ეკლ. მთის კიდესთანაა გამოკვეთილი. მათ წინ ნათლისმცემლის და დოდორქის



209. დოდორქა. მთავარი ეკლ. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)


209. დოდორქა. ქვაბების ჯგუფი გუმბათოვანი ეკლესიით. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)



მონასტრებისგან განსხვავებით, გრძელი გასასვლელი, წინამძღვრის ოთახი, კიბეები და სხვ.




209. დოდორქა. ახლადაღმოჩენილი ეკლ. მონასტრის მახლობლად. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ




209. დოდორქა. ქვაბების ჯგუფი გუმბათოვანი ეკლესიით. ჭრილი 1-1 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

არ არის, რადგან ორივე სავანე განლაგებულია არა მთის ძირში, არამედ მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე და მის ზემოთ.

უდაბნოს მონასტერსაც ადრინდ. შუა საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. შორის, სერის დასაწყისში გამოიყოფა ორ-სამ სართულად განლაგებული № 1 კომპლექსი, ბერთა სადგომებითა და ორი ეკლესიით. მათგან ერთი – დარბაზულია, მეორე – გუმბათოვანი. დარბაზული ეკლესიის წინ არსებული კარიბჭე ჩამოშლილია – შემორჩენილია კარიბჭისა და ეკლესიის დამაკავშირებელი სამი თაღი და კარიბჭის კამარის ნაშთები. ეკლესიის ჩრდ. კედელში გვირაბია, რ-ითაც ეკლ. შეკავშირდება კლდის სიღრმეში მოწყობილ უგუმბათო, გეგმით ტოლმკლავა ჯვრის ფორმის სადგომს (სალოცავი?). სადგომის ცენტრ. კვადრატი დასრულებულია ბრტყელი ჭერით. მკლავები კი კამარითაა გადახურული. არც საკურთხეველი და არც ნიშა-ტრაპეზი სადგომს არ გააჩნია.




209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. ჭრილი 1-1 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)


ეკლესიის ზემოთ მცირე ზომის, ორი სწორკუთხა ქვაბია. ერთის ნიშაში ძლევის ჯვარია ამოკვეთილი – სახელწოდების წარწერით. კომპლექსის აღმ. ნაწილში ჯვრული გეგმის, გუმბათოვანი ეკლესიაა. ღრმა, ნალისებრი აფსიდით დასრულებული საკურთხეველით.

აღმავლობის ეპოქაში, როდესაც კომპლექსი კლდის მონასტრად ჩამოყალიბდა, მან რეკონსტრ. განიცადა – ცალკეული ქვაბები ქვიტკირის კედლებით მცირე სენაკებად დაიტიხრა, თუმცა, ძვ. მეუდაბნოეობის ხანის დამახასიათებელი ქვაბები მაინც შემორჩა. მონასტერი შედგება ცხრა ცალკეული კომპლექსისგან. უდაბნო, უმთავრესად, კლდის ძირთან განლაგებულ, ქვაბოვან ეკლესიებთან დაკავშირებული ჯგუფებია. მათ




209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. ჭრილი 2-2 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა, ორმოციოდე *სმ* სიღრმისა. გუმბათი კვერცხისებრია. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა კუთხეების თანდათანობითი დაბლაგვებით ხდება. გუმბათის საფუძვლის დონეზე გამოყვანილია რელიეფური, ერთმანეთზე გადაბმული, ნალისებრი თაღებით გაფორმებული სარტყელი. თავად გუმბათს კი მკლავებგაგანიერებული, რელიეფური ჯვარი ამკობდა. შესასვლელი სამხრ. მკლავშია. კარის „არქიტრავის“ თავზე ღია, თაღოვანი ლუნეტია.



209. უდაბნო. ხარების ეკლ. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)



209. უდაბნო. ხარების ეკლ. ჭრილი I-I. (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

№ 3 ჯგუფი დარბაზულ ეკლესიასთან ბერთა, ერთსართულად გაერთიანებული სენაკებია. ეკლ. გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული, ნალისებრი საკურთხევლით (დიდი ნაწილი სარკმელთან ერთად ჩამონგრეულია). საკურთხეველთან, ჩრდ. და სამხრ. კედლებში, ღრმა ნიშებია. ეკლესიას შესასვლელი ჩრდ-იდან აქვს, დას. კედელთან ახლოს. ეკლ. მოხატული იყო (შემორჩენილია ფრაგმენტები).

ქვაბ-სენაკები გეგმით თითქმის ოვალურია, შემთხვევითი ფორმის. ეკლესიასთან იგი ღიობების გარეშეა გაერთიანებული. კომპლექსს შესასვლელი აღმ-იდან ჰქონდა, დარბაზ-საკრებულოსთან (ამჟამად ჩამოშლილია). მსგავსი სტრუქტურისაა დანარჩენი კომპლექსებიც, თუმცა, მათ თავ-თავიანთი ეკლესიები არ უჩანთ და, შესაძლოა, ეკლესიან კომპლექსებთან იყვნენ დაკავშირებული.

ბერების სერში გამოირჩევა № 4 კომპლექსი – ფასადჩამოშლილი, სუფთად დამუშავებული, ქვაბოვანი, საეკლ. ჯგუფი. საკრებულო დარბაზის ირგვლივ მცირე სამლოცველოებია – ბერთა სენაკებით. დარბაზი შეისრულია ჭერითაა დასრულებული.



209. წმ. დავითის ლავრა. წმ. ნიკოლოზის ეკლ. ხედი სამხრ.-დას-იდან


დარბაზის აღმ. კედელში ღრმა, თაღოვანი ნიშაა. კედლებს, მთელ სიგრძეზე, ჩამოსაჯდომი ხარისხი გაუყვება. დარბაზის მარცხნივ, ნიშა-საკურთხევლიანი, დარბაზული ეკლესიაა, მასთან მცირე სენაკია დაკავშირებული. დარბაზის სიღრმეში ფართო, თაღოვანი ღიობით დაკავშირებული, დარბაზული

ეკლესიაცაა ერთსაფეხურიანი საკურთხევლით, რ-ის ჩრდ. კედლის ღრმა ნიშაში დამოუკიდებელი ნიშა-ტრაპეზია.


კომპლექსის ზემოთ, ოდნავ აღმ-ით, მცირე ქვაბია – სამარტვილე (2,7x2 მ), წმ. მარტვილთა საძვალე საწნახლით.

1991 წელს საქართვ. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ სამარტვილეს ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი თ. აბრამიშვილი).


სამარტვილესა და ამ ეკლესიან ჯგუფს შორის, ქვედა ტერასაზე, ეკლესიანი ჯგუფის



209. ბერების სერი. ქვაბების №1 ჯგუფი. გუმბათოვანი ეკლ. ჭრილი 3-3



209. ბერების სერი. ქვაბების №1 ჯგუფი. გეგმა. A - გუმბათოვანი ეკლ., B - დარბაზული ეკლ., C - კარიბჭე, D - სალოცავი (?)



209. ბერების სერი. ქვაბების №4 ჯგუფი ეკლესიით. გეგმა. 1 -დარბაზი, 2 - ნიშა-საკურთხევლიანი ეკლ., 3-6 - სენაკი, 4 - დარბაზული ეკლ., 5 - ნიშა


ნანგრევია. ეს ცალ-ცალკე გაბნეული ქვაბები VIII-IX საუკუნეების წინა ეპოქის მეუდაბნოეთა საკანებია.

წმ. დავითის ლავრასა და უდაბნოს მონასტრებს შორის, მთების თხემზე, მდებარეობს VIII-IX საუკუნეების აღდგომის ეკლესია. იგი ნატეხი ქვით ნაგები, მცირე ზომის, დარბაზული ეკლესიაა, შვერილი, ნახევარწრიული აფსიდით აღმ-ით (შიგნითა ზომები საკურთხევლის აფსიდის ჩათვლით: სიგრ. – 6,90 მ, სიგ. – 3,7 მ). მლოცველთათვის განკუთვნილი ნაწილი ნახევარცილინდრული კამარითაა გადახურული, აფსიდი კი – კონქით. ეკლ. განათებული იყო ოთხი სარკმლით, რ-თა შორის სამი აფსიდშია, ერთი – დას. კედელში. საკურთხევლის სარკმლები ოთხკუთხაა, სხვადასხვა სიმაღ-


ლის: შუა – მაღალია, გვერდითები – ორჯერ უფრო დაბალი. დას. სარკმელი ვიწროა და შიგნით მკვეთრად ფართოვდება. ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდანაა. იგი თაღოვანია. ეკლესიაში ხუთი ნიშაა, რ-თა შორის ორი საკურთხეველშია – ერთმანეთის მოპირდაპირედ, ორი ჩრდ-ით, ხოლო ერთი სამხრ-ით.

გარედან აფსიდის შვერილი სრულიად გლუვია, გრძივი კედლები კი ორ-ორი დეკორატ. თაღითაა დანაწევრებული. ეკლესიის კორპუსის სახურავი ორკალთაა და რამდენადმე ამაღლებულია საკურთხევლის სახურავზე. ლავგარდანი შედგენილია ერთმანეთის მიმართ გადმოშვერილი, ნატეხი ქვის ფილებით, რ-ებიც აღმ. და დას. ფასადებზე, ფრონტონის ძირებთან, ჰორიზონტალურ შემონაკეცებს ქმნის. შიგნით ეკლესიის შესასვლელი და ნიშები შელესილია. ეკლესიას სამხრ. მხრიდან, სავარაუდოდ, კარიბჭე ეკვროდა.


ეკლესიის ოდნავ ზემოთ, სამხრ.-აღმ-ით, შემორჩენილია ნატეხი ქვით ნაგები, დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (ა. მურავიოვის ცნობით, ეკლ. წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელზე იყო ნაკურთხი). შემორჩენილია აფსიდალური ნაწილი, რ-იც თითქმის მთლიანად მიწაშია ჩაფლული.



209. ბერების სერი. ქვაბების №4 ჯგუფი ეკლესიით. ჭრილი 1-1



209. ბერების სერი. ქვაბების №4 ჯგუფი ეკლესიით. ჭრილი 2-2



209. ბერების სერი. სამარტვილე. გეგმა

2007 წელს აღდგომის ეკლესიას საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები. იმავე წელს დაკონსერვდა წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლ. (პროექტის ავტორი თ. გაბუნია).

აღდგომის ეკლესიის დაბლა იწყება ერთ სართულად განლაგებული კომპლექსი, გვერდიგვერდ, 40 *მ* სიგრძეზე გამოკვეთილი, შემთხვევითი ოვალური ფორმის, უხეშად დამუშავებული, სხვადასხვა სიდიდის ქვაბებით, რ-თა შორის ზოგიერთს, წინიდან ჩაშენებული აქვს ქვიტკირის კედელი. კომპლექსში მღვიმის ინტერიერის მქონე რვა ქვაბია. მთავარი და დამხმარე ქვაბების ჯგუფები აქ გამოყოფილი არ არის. ჭერი ფენოვანი ქანისაა. ამით მშენებლებს უსარგებლიათ და ნაცვლად კვეთისა, იგი ფენა-ფენა ახლეჩვით შეუქმნიათ.



209. ბერების სერი. სამარტვილე. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

პირველ მეუდაბნოეთა ეს კომპლექსი ხელუხლებლადაა მოღწეული და, სავარაუდოდ, VI საუკუნით თარიღდება.

გვერდით მდებარე კომპლექსში ცალკეული ქვაბები ორ-ორ სართულად არის განლაგებული. ქვაბები აქ უკვე სწორკუთხოვანია, თაღოვანი ნიშებით იატაკის დონეზე, ჩამოსაჯდომი საფეხურებით, წყლის შელესილი ორმოებით და კლდეში გაყვანილი კერამ. მილებით წვიმის წყლის მოს-



209. აღდგომის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აგროვებლად. ამ ტიპის წყლისაცავები ძალზე დამახასიათებელია ამ ძეგლისთვის. ჭერის მორკალვა თუ შემთხვევითი ფორმები აღრინდ. ეპოქის ნიშნებია. აქ ჯერ კიდევ არ ჩანს ბერის საცხოვრისთან სამეურნეო, საკუჭნაო სათავსი.


კომპლექსის ცენტრ. უბანი მრავალსართულიანია – ეკლესიითა და სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი რეგულარული გეგმარებით. ეკლ. ქვაბთა ჯგუფშია ჩართული. მის წინ ქვიტკირის კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი



209. წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლ. ხედი დას-იდან

(კარიბჭე?). ეკლესიაში X და XII საუკუნეების მხატვრობაა (ქტიტორთა პორტრეტებითა და დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი სცენებით). აქვეა ამაღლების ეკლესია XI საუკუნის მხატვრობით. მთავარი ეკლესიის მახლობლად, სატრაპეზო ქვაბების ჯგუფია. მისი წინა მხარე, გვერდითი კედელი და ხარისხი აგურითაა ნაგები. სატრაპეზოსთან არსებული ქვაბთა კომპლექსი ექვსართულიანია. კომპლექსის წმ. გიორგისა და ხარების გამოქვაბული ეკლესიები XIII საუკუნის ფრესკული მხატვრობით არის შემკული. კანკელი შელესილ-მოჭუჭრთმებულია. გვხვდება აგრეთვე კლდეში ნაკვეთი, თაღოვანი კანკელიც. ეკლესიებში შემონახულია სხვადასხვა ენოვანი, პილიგრიმული მინაწერები.

ბერთუბნის მონასტრის ცენტრალურ ნაწილშიც კანონიკური ფორმების მქონე ეკლესიაა (სიგრ. საკურთხევლის ჩათვლით: – 19,8 მ, სიგ. – 6,5 მ) – სამკვეთლო-ეგვტერით. იგი ორ ნაწ-




209. ბერების სერი. №3 უდაბნო. გეგმა


ილადაა გაყოფილი: მისი აღმ. ნაწილი მაღალია, დას-ისა – დაბალი. დარბაზის აღმ. ნაწილს, აქაც, ეკვრის ეგვტერი-სამკვეთლო, რ-იც მთავარ ეკლესიასთან ორი გასასვლელით და სარკმლებით არის დაკავშირებული. მთავარი ეკლ. ვიწროა, მაგრამ მაღალი. მისი აღმ. ნაწილობრივ, ორ სართულად – სენაკების რიგი, რ-ებიც ერთმანეთს მეტწილად, ღია გადასასვლელებით უკავშირდება. მთავარი ეკლესიის გარდა, სხვა ეკლ. ან სამლოცველო ამ მონასტერში არ არის.



209. ბერეების სერი. №3 უდაბნო. ჭრილი 1-1 და 2-2




209. უდაბნო. ამაღლების ეკლ. გეგმა



209. უდაბნო. ამაღლების ეკლ. ჭრილი. ხედი აღმ-კენ


სენაკებიდან ერთი, რ-იც ეკლესიის გვერდით (დას-ით) მდებარეობს, დანარჩენებთან შედარებით, ვრცელია და, როგორც ჩანს, მონასტრის წინამძღვრისთვის იყო განკუთვნილი. ეკლ. და სატრაპეზო მთლიანად მოხატულია. მონასტრის დანარჩენი სადგომებიდან მხატვრობა მხოლოდ მონასტრის წინამძღვრის სენაკის აღმ. კედელზე არსებულ ნიშაშია (გამოსახულია ღვთისმშობელი).

ამ სამონასტრო განშტოებაში, რ-იც XII საუკუნის ბოლოს განეკუთვნება, შეიქმნა დამოუკიდებელი, მხატვრულად



209. უდაბნო. ამაღლების ეკლ. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ


ღირსშესანიშნავი, ფერწერული სკოლა – გარეჯის მონასტრების კედლის მხატვრობის ტრადიციების უმაღლესი მწვერვალი. მაგრამ მონასტერში ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა: წყაროებიდან ჩანს, რომ XIII საუკუნის ბოლოს, სავანე უკვე დაცარიელებული იყო. როგორც ჩანს, იგი




209. უდაბნო. ამაღლების ეკლ. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

ივე ბედი ეწია წამებულისა და დოდორქის მონასტრებსაც.

აღმ. კედელთან გამოკვეთილი ტრაპეზით. ეკლესიას შემორ-



209. ბერთუბანი. გამოქვაბული ეკლ. და წინამძღვრის სენაკი. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)




209. ბერთუბანი. გამოქვაბული ეკლ. და წინამძღვრის სენაკი. ჭრილი 2-2 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

ბერთუბნის მიდამოშივეა კიდევ ერთი დამოუკიდებელი, ძნელად მისადგომი საეკლ. ჯგუფი – გ ა ნ ს ა შ ო რ ი ს უ დ ა ბ ნ ო. მის ცენტრში ფართო, ღრმა ნიშებიანი, ოთხკუთხა ქვაბია კარიბჭით. ქვაბის ზურგის კედელში კი კამაროვანი ეკვდერ-სამარხი – ნახევარწრიულთაღოვანი,ღრმა აბსიდით და

ჩა შელესილობის ფრაგმენტები. ქვაბთა ჯგუფი, კედლებში ამოკვეთილი ღარებითა და საცავი რეზერვუარების სახით, შეიცავს წვიმის წყლის მომარაგების რთულ სისტემას.

ამრიგად, გარეჯის მრავალმთის მონასტრების აყვავების ხანაში (XI-XIII საუკუნეები), თითოეულ მათგანს, მონასტრის ცენტრში ჰქონდა თავისი დიდი ეკლ., რ-იც იმეორებდა ლავრის მონასტრის მთავარი ეკლესიის ფორმებს. ამასთან, მონასტრის მესვეურები ისწრაფოდნენ ეჯობნათ მისთვის,როგორც სიდიდით, ისე განათებითა და მდიდრული მორთულობით.

წ ა მ ე ბ უ ლ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ს ა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა უდაბნოს ტიპური, VI-VIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, ქვაბოვანი სახე. სამონასტრო მშენებლობას აქ ადგილი არ ჰქონია. არც ერთი ქვიტკირის ნაგებობა – ეკლ., სატრაპეზო, რაიმე შენობა თუ გალავანი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ




209. ბერთუბანი. ზედა ეკლ. ჭრილი 1-1

ქვაბთა არქიტექტურის, მხატვრობისა და ეპიგრაფიკის ანალიზით, აქ სამონაზვნო მოღვაწეობა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვიდრე XIV საუკუნემდე, აშკარად დასტურდება.

კომპლექსი კლდის სამხრ. ფერდობზე, ღრმა ხეობის თავზეა განლაგებული. იგი ძირითადად ორი ჯგუფისგან შედგება და გამოირჩევა ეკლესიების სივრცობრივი გადაწყვეტის მრავალსახეობით.


ეკლესიების დარბაზებსა და საკურთხევლებს ცალ-ცალკე




ბერთუბანი. გამოქვაბული ეკლ. და წინამძღვრის სენაკი. ჭრილი 1-1 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

შესასვლელი აქვს, რაც ზოგადად მეტად დამახასიათებელია დავითგარეჯის ქვაბ-ეკლესიებისათვის. ეკლესიები შელესილი და მოხატული იყო. შემორჩენილია ერთი უძველესი, დარბაზული ეკლ., ტიპური შესასვლელებითა და ინტერიერის დამუშავებით. ეკლესიის საკურთხეველში შემორჩენილია X საუკუნის „ვედრების“ კომპოზიცია ფრესკული წარწერებით. საკურთხევლის კარის თავი კი დამშვენებულია საფეხურიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი, ტოლმკლავა ჯვრის რელიეფით.

ამ ცალკეულ ქვაბთა ჯგუფებში მცირე სენაკებიცაა და მოზრდილი ქვაბ-სადგომებიც.




209. განსაშორი. ქვაბი კარიბჭით. გეგმა



209. წამებული. ხარიტონის ქვაბი. გეგმა


ეკლესიები, როგორც წესი, ამ სათავსოთა უკან, კლდის სიღრმეში ან მათგან აღმ-ით არის განლაგებული. არის ბერის მცირე სენაკიც – ნიშა-საკურთხევლით. კომპლექსის დამახასიათებელი ჯგუფია უკიდურეს დას. ნაწილში, ათიოდე მ-ის სიმაღლეზე განლაგებული ჯგუფი. მისი წინა მხარე ჩამონგრეულია. ძეგლზე შემორჩენილი, XI საუკუნის წარწერის თანახმად: ეს „ქვაბი ხარიტონის იყო“. კომპლექსის დას. ნაწილში ბერის ორსენაკიანი სადგომია – შესასვლელი გვირაბით. აღმ. ნაწილში კი, ორი დარბაზული ეკლესიაა, რ-თა შორის ტალანია – შეწყვილებული ნიშა-საკურთხევლით აღმ. კედელში. წინა ეკლესიის დიდი ნაწილი




209. წამებული. ხარიტონის ქვაბი. ბერის-სენაკი. ნიშა-საკურთხეველი

ჩამოშლილია (შემორჩენილია მხოლოდ აფსიდის ჩრდ. გვერდი). მეორე, კლდის სიღრმეში მდებარე ეკლ. კი, მთლიანადაა შემორჩენილი. გ. გაფრინდაშვილის თანახმად, ტალანში არსებულ ნიშა-საკურთხეველთა სახელწოდება დადასტურებულია XIII საუკუნის წარწერით. წარწერაში ამ ელემენტს „საკურთხეველი“ ეწოდება. მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ ტერმინით ნიშა-სალოცავისა და საკუთრივ ეკლესიის საკურთხევლის სოც. შინაარსი, მათი ურთიერთდამოკიდებულება მჟღავნდება. აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – აქ კლდეზე ამოკაწრულია ცნობა

1089 წლის 31 მაისს მომხდარი, ძლიერი მიწისძვრით გამოწვეული, მრავალი ციხე-ეკლესიის ნგრევისა და უამრავი ადამიანის დაღუპვის შესახებ, რაც ადასტურებს და ახ. მასალებით ავსებს „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ცნობას.



209. წამებული. ხარიტონის ქვაბი. ჭრილი 1-1




209. წამებული. დარბაზული ეკლ. გეგმა


დავითის ლავრის სამხრ.-აღმ-ით, უდაბნოს ქედის გაგრძელებაზე, ხეობაში, მდებარეობს ვერანგარეჯის კომპლექსი, რ-შიც შედის ეკლ. და ბერთა სენაკები.

ეკლ. გუმბათოვანია, ჯვრული გეგმის. ჯვრის სამი მკლავი მოკლეა, სწორკუთხა. მეოთხე, აღმ-ისა კი – ღრმაა და ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. ჯვრის მკლავები ისეა გამოკვეთილი, რომ ისინი ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება. შევიწროებულია თავად ცენტრ. სივრცეც. იგი დასრულებულია ბრტყელი ჭერით, რ-შიც წაკვეთილი კონუსის ფორმის გუმბათია გამოკვეთილი. აფსიდის ჩრდ. და სამხრ. გვერდებზე ჩამოსაჯდომი მერხია. საკურთხეველში, სამხრით, ერთი სარკმელია. ტრაპეზი კედელზე კი არ არის მიდგმული, არამედ წინ არის წამოწეული. დარბაზისა და საკურთხევლის იატაკი ერთ დონეზეა. ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა (ჩამონგრეულია). ეკლ. შელესილი და მოხატული იყო.

ეკლესიის გვერდით, ბერთა საკრებულოს ფართო ქვაბია, ბრტყელი სახატე ნიშებით აღმ. კედელში. მათგან ერთ-ერთში X საუკუნის ფრესკული ხატია – „ღვთისმშობელი ჩვილით“. ეკლესიასთან ახლოს საცხოვრებლისა და კარიბჭის ფრაგმენტია წყალსაცავის მოწყობილობით. ეკლესიის ქვემოთ კლდეში ნაკვეთი საჯინიბოა. კომპლექსში მიწით ამოქოლილი გვირაბია. კომპლექსის ცენტრიდან ორასიოდე მ-ის დაშორებით, სამქვაბიანი ჯგუფია – სალოცავი ნიშა-საკურთხევლით. აქვე, ხევის ბოლოში, კიდევ ერთი სენაკია, რ-ის აღმ. კედელზე ნიშა-საკურთხეველია, ხოლო ზურგის კედელთან განიერი საწოლია გამოკვეთილი. კომპლექსი მთლიანად მეუდაბნოეობის ხანისაა და მასში წამებულისა და საბერეების კომპლექსების მსგავსად, არც ერთი ქვიტკირის ნაგებობა არ არის.



209. ვერანგარეჯი. კომპლექსი. გუმბათოვანი ეკლ. ჭრილი 1-1




209. ვერანგარეჯი. კომპლექსი. გეგმა. A - გუმბათოვანი ეკლ., B - ბერთა საკრებულო




209. ვერანგარეჯი. კომპლექსი. ბერთა საკრებულო. აღმ. კედელი. „ღვთისმშობელი ჩვილით“



209. ვერანგარეჯი. სამქვაბიანი კომპლექსი. აღმ. კედელი. საკურთხეველი



209. ვერანგარეჯი. სამქვაბიანი კომპლექსი. გეგმა



209. ვერანგარეჯი. სამქვაბიანი კომპლექსი. ჭრილი I-1 და 2-2

საბერეების უდაბნო დაბალი კლდის ფერდობშია ერთ-ორ სართულად გამოკვეთილი და გაცილებით უფრო მასშტაბურია. იგი ძირითადად ერთ დონეზე განლაგებული, ერთმანეთზე გადაბმული ეკლესიების კომპლექსია. ამჟამად კომპლექსის საფასადო მხარე ჩამოშლილია. კომპლექსი სამი, ერთმანეთისგან ოცდაათიოდე მ-ით დაშორებული, ნაწილისაგან შედგება. ცენტრალურ ნაწილში, რ-იც ოდნავ წინაა წამოწეული, ქვაბების ხუთი ჯგუფია (№3 - №8). მარჯვ. ნაწილში დარბაზული ეკლესიაა (№9) ქვაბთა ფრაგმენტებით, ხოლო მარცხ. ნაწილში – ექვსქვაბიანი საეკლ. ჯგუფი (№1). მარცხ. და ცენტრ. ნაწილებს შორის გუმბათოვანი ეკლესიაა (№2), რ-ის ნაშთებიღაა დარჩენილი. ნაწილი კი მიწისქვეშაა მოქცეული.




209. საბერეები. კომპლექსი. საერთო ხედი სამხრ-იდან


კომპლექსის ქვაბების № 1 ჯგუფის ცენტრში, ფართო დარბაზის უკან, წინიდან გახსნილი, აფსიდიანი კარიბჭეა. სიღრმეში – მცირე ზომის, გვირგვინით გადახურული, ჯვრული გეგმის ეკლ., რ-საც ღრმა, ნალისებრაფსიდიანი აღმ. მკლავი და სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით ნალისებრი კამარით გადახურული, მოკლე, სწორკუთხა მკლავები აქვს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა კლდის ძეგლებისთვის დამახასიათებელი, კუთხის სიბრტყეებით ხდება [გ. გაფრინდაშვილი ფიქრობს, რომ, ეკლ. უძველესია საბერეების კომპლექსში და მას V საუკუნის დასაწყისით (?) ათარიღებს). №3 ჯგუფის წინა, საკურთხევლიანი კარიბჭე განადგურებულია. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის აფსიდი – აღმ. კედელზე მიდგმული ტრაპეზით. ჩრდ-ით, კლდის სიღრმეში, დარბაზული ეკლესიაა, საკურთხევლის ნალისებრი აფსიდით და ნალისებრთაღიანი ბრტყელი ნიშებით (გრძივ კედლებზე ორ-ორი ბრტყელი ნიშაა, დას. კედელზე – ერთი). ჩრდ. კედლის აღმ. ნიშაში, კლდის სიღრმეში მოწყობილ სათავსში ჩასასვლელია. კარიბჭიდან ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – დარბაზსა და საკურთხეველში. ეკლ. IX საუკუნის ფრესკული მხატვრობითაა შემკული – შემორჩენილია: „ქრისტეს დიდებისა“ და „ჯვარცმის“ კომპოზიციები, წმ. სტეფანესა და ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულებები.

გამოქვაბულების № 4 ჯგუფი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. წინა მხარეს მაღალი სადგომია – ორივე მხარეს მცირე ზომის სენაკებით. შემდეგ, სიღრმეში, საკურთხევლიანი კარიბჭეა და მასთან დაკავშირებული ეკლ. გვირგვინით. ჯგუფი მთლიანად მოხატულია. ეკლესიის გვირგვინი კუთხეებმომრგვალებული, თავწაკეთილი, ოთხკუთხა პირამიდის მსგავსია. გუმბათქვეშა კვადრატიდან მის საფუძველზე გადასვლა ხორციელდება ბრტყელი, თარაზული სიბრტყეებით, ქვის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების (ტრომპი, აფრა) გარეშე.

№1 და №4 ჯგუფის ეკლესიებში, გუმბათის წვერში, ცრუ ერდოა გამოყვანილი. №4 ჯგუფის გვერდით (აღმ-ით) გვირაბით დაკავშირებული №5




209. საბერეები. კომპლექსი. გეგმა (გ. გაფრინდაშვილის მიხედვით)



209. საბერეები. კომპლექსი. ქვაბების №1 ჯგუფი. გეგმა. ჭრილი I-I

სამქვაბიანი, საკრებულო სათავსია. მის თავზე კი №6 საეკლ. ბელი, კონსტრ. ელემენტია. თუ №8 ეკლესიის გუმბათის ფორმა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. №7 ეკლესიაში მას სრულყოფილი ფორმა აქვს მიცემული.



209. საბერეები. №3 ეკლ. გეგმა


პირუკუღმარის მთაში ქვაბთა ორი ჯგუფია. მათგან ერთი ბაიდის ხევშია, ნასომხარად წოდებული ადგილის მახლობლად, ხოლო მეორე – ქვემოთ, გაილად წოდებულ ადგილზე, სადაც უძველესი მეუდაბნოეობის დროის მცირე ქვაბების ფრაგმენტებია შემორჩენილი. მათ შორის ერთი მიუდგომელია. ქვაბთა ამ ჯგუფში ეკლ. არ დასტურდება. პირველი ჯგუფი კი მიუდგომელ სიმაღლეზე მდებარე, ეკლესიანი, მცირე უდაბნოა. აქ, ორსართულად, თხუთმეტიოდე ქვაბია განლაგებული. შემორჩენილია მეორე სართულზე არსებული ქვაბები, რ-თა ღიობები კლდოვან ქარაფზე გამოდის. მათ შორის ეკლესიანი ჯგუფიცაა. ეკლ. დარბაზულია, ნალისებრაფსიდიანი (სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 5,2 *მ*, სიგ. – 2,3 *მ*). ნალისებრია სატრიუმფო თაღიც, რ-ის ქუსლებთან მარტივი, თაროსებრი იმპოსტებია გამოყვანილი. საკურთხეველი ამაღლებული არ არის. დარბაზის ჩრდ. და სამხრ. კედელზე ორ-ორი ვიწრო, თაღოვანი ნიშაა. სამხრ.-აღმ. ნიშაში კარის ღიობია გამოკვეთილი. იგი ამჟამად ფასადზე გადის. ეკლ.

209. საბერეები. №3 ეკლ. ხედი აფსიდზე




ჯგუფია, გრძელი ტალნით, რ-ის ბოლოში მცირე ზომის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიაა. მის უძველო გუმბათის ძირში თაღოვანი ტრომპებია გამოყვანილი. №7 და №8 ჯგუფები ჯვრული გეგმის ეკლესიებია, რ-თა ცენტრ. სივრცე გუმბათითაა გადახურული. ორივე მოხატულია. №7 ეკლესიის გუმბათში რელიეფური ჯვარია გამოსახული. პრივე ეკლესიაში გუმბათქვეშა კვადრატს და გუმბათს შორის ნახევარწრიული ტრომპებია გამოკვეთილი. ეს უკვე ქვიტკირის საეკლ. ხუროთმოძღვრების აუცილე-

გასასვლელითაა დაკავშირებული სამხრ.-აღმ-ით მდებარე ეკვდერ-სამარხთან.



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. გეგმა

ეკვდერ-სამარხის აღმ. კედელში მცირე ზომის ორი ნიშა-საკურთხეველია. ჩრდ. კედლის წინ კი, იატაკში, სამარხია ამოკვეთილი. ამ ჯგუფში კიდევ ორი სადგომია. მათგან ერთი მოზრდილია (ფართ. – დაახლ. 22 კვ მ-ია), მეორე – მომცრო (ფართ. – დაახლ. 14 კვ მ). ორივეს კედლებში ღრმა ნიშები და მერხებია ამოკვეთილი. მცირე სათავსის ერთერთ ნიშაში საცეცხლურია. დიდი სათავსის ჩრდ. კედელში



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. ჭრილი 1-1

გამოკვეთილია მცირე ზომის, წრიული გეგმის მქონე სამეურნეო სათავსი – ქოცოების ჩასადგმელი ორმოებით. სათავსის ჩრდ.-დას. კუთხეში, იატაკში, 3 მ სიღრმის ღრმულია, რ-იც გვირაბით უკავშირდება ურთიერთდაკავშირებულ ორ სამალავს. ორივე ჯგუფი ტიპური მეუდაბნოეობის ეპოქის უდაბნოა და VI საუკუნით თარიღდება.

ქოლაგირის ქვაბთა კომპლექსი განლაგებულია მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, დაბალი კლდის თავში.



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. კარიბჭე. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

კომპლექსი ორი ნაწილისაგან შედგება. მარჯვნივ, მიუდგომელ სიმაღლეზე, ფრაგმენტებად შემორჩენილი,ძვ. ქვაბების თითქმის მთლიანად განადგურებული ჯგუფია. მარცხნივ – გვერდიგვერდ გამოკვეთილი, სწორი, გეომეტრიული ფორმების სამი ქვაბი. კლდის წინა ნაწილი მთლიანად ჩამოშლილია და ფერდობზე ქვაბების მხოლოდ უკანა კედლებიღა მოჩანს.



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. კარიბჭე. საკურთხეველი




209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. ეკლ. ხედი გუმბათზე


ქვაბების თავში ეკლესიაა, XII-XIII საუკუნეების მოხატულობით (გამოსახულია ქრისტეს ცხოვრების სცენები). ეკლესიის ჩრდ-ით არსებულ მცირე სამლოცველოში საერო და საეკლ. ხელისუფალთა პორტრეტებია. არც ერთი ეკლესიის საკურთხეველი არ შემორჩენილა. ერთ-ერთ ქვაბში სატრაპეზო ყოფილა გამართული, რაც დასტურდება შესაბამისი კლდის მხატვრობის სცენების ფრაგმენტებით („ქორწილი კანაში“, „საიდუმლო სერობა“). ქვაბთა კომპლექსი რეკონსტრუირებული ჩანს XI–XIII საუკუნეებში.

ქოლაგირიდან ჩრდ-დას-ით, 5 კმ-ზე, ბერების სერია, მდ. ივრის გაღმა კი, აღმ-ით, მოჩანს გამო-

ქვაბულთა კომპლექსებიანი ქვაბების მთა.



209. საბერეები. №6 ეკლესიის ჯგუფი. გეგმა




209. საბერეები. №6 ეკლესიის ჯგუფი. ჭრილი 1-1

კოწახურას უდაბნოთა კომპლექსებიც კოწახურას მთაში, მიუვალ კლდის უბეშია გამოკვეთილი. აქ ორი მცირე უდაბნოს ნაშთია. ორივეგან მხოლოდ თითო საკულტო ქვაბია შემორჩენილი. თავისი მნიშვნელობით ორივე განსაკუთრებული ხასიათისაა, რადგან კარგად გვიხასიათებს მეუდაბნოეობის ამ საწყისს ეპოქას – ახ. ქრისტ. კულტმსახურების ხანას. ერთ კომპლექსში 18 *კვ მ* ფართობის, ოთხკუთხა დარბაზია – მაღალი, შეისრული ჭერით. დარბაზის აღმ. კუთხის ერთ კედელთან, დიდი ოთხკუთხა ნიშაა. მას თავზე გასდევს წვრილი ლილვის ზოლი, რ-ზეც დადგმულია რელიეფური, ტოლმკლავა ჯვარი. ნიშის გვერდით სამი სასანთლე ნიშაა. მათ შორის შუა,რ-იც შედარებით მოზრდილია – ტრაპეზია,. ამავე კედლის დასაწყისში მოწყობილია ზედა კომპლექსში ასასვლელი, თაღოვანი გვირაბი. დარბაზი შელესილი იყო. მის ახლოს სამიოდე სენაკის ფრაგმენტებია შემორჩენილი.


მეორე კომპლექსიდან, 3,5 *მ* სიმაღლეზე, მხოლოდ ცენტრია შემორჩენილი. ეს არის მომცრო, ჯვარ-გვირგვინოვანი ეკლ. (ფართ. დაახლ. 4 *კვ მ,* სიმ. – 2,5 *მ*), ნიშა-საკურთხევლით. სივრცის ცენტრში, ჭერზე, მცირე სიღრმის (დაახლ. 0,5 *მ*) კონუსური გვირგვინია გამოყვანილი, კედლებში კი – 20 *სმ* სიღრმის, თაღოვანი „მკლავები“. ნიშა-საკურთხეველი აფსიდის ფორმისაა – ტრაპეზით. ეკლ. სუფთადაა ნაკვეთი და შელესილი არ ყოფილა.

ქვაბებისკომპლექსი 5-6 სართულიანია, განლაგებულია კლდის ზედა ნაწილში. კომპლექსის თავდაპირველი ფასადი ჩამოშლილია.



209. საბერეები. №7 ეკლესია. გეგმა

კომპლექსში, მიუდგომელ სიმაღლეზე, ორი ეკლესიაა (ორივე ძ. მთამსვლელების დახ-



209. საბერეები. №7 ეკლესია. ჭრილები (1-1, 2-2)

მარებით გამოიკვლია გ. გაფრინდაშვილმა. მკვლევარი მათ „შუალედურ“ ძეგლებად მიიჩნევს. მათგან ერთს იგი ცენტრალურ-ჯვარ-ერდოიანს, ხოლო მეორეს ცენტრალურ დარბაზულ-გვირგვინოვან ეკლესიას უწოდებს). ერთ-ერთი (№ 1) ეკლესიის წინ, მოზრდილი ეკლესიის (სავარაუდოდ, ჯვარ-გუმბათოვანის) ჩრდ. კედელი და აფსიდის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ეკლესიასთან გრძელი ტალნით დაკავშირებული იყო კლდის სიღრმეში მოწყობილი, ჯვრული გეგმის მქონე, მცირე სამლოცველო – ცენტრალურ კვდრატს (1,4x1,4 *მ*) ოთხივე მხრიდან ერთვის დაახლ. 30 *სმ* სიღრმის მკლავები, რ-ებშიც, იატაკიდან



209. საბერეები. №7 ეკლესია. ხედი ჩრდ-კენ


სამოციოდე *სმ*-ზე, მოწყობილია ბრტყელი, თაღოვანი ნიშები. ნიშების კუთხეები დაბლაგვებულია. ზოგიერთი ნიშის თაღი



209. საბერეები. №7 ეკლესია. ხედი გუმბათზე


არაწესიერი ნახევარწრის ფორმისაა, ზოგის – ნალისებრი. ცენტრ. კვადრატის ჭერის ცენტრში ნახევარსფერული გუმბათია გამოკვეთილი, რ-ის ძირს (დიამ. – დაახლ. 60 *სმ*) ლილვი ევლება.

მეორე ეკლ. გეგმით კვადრატულია (3,2x3,2 *მ*). შესასვლელი დას-იდანაა. ღიობი თარაზულადაა გადახურული და დასრულებულია ორქანობიანი ლავგარდნით. კარის ზემოთ, კედლის სიბრტყეში, საფეხუ-




209. საბერეები. №8 ეკლესიის ჯგუფი. გეგმა

რით შეღრმავებული, თაღოვანი ნიშაა. აღმ. კედელში ვიწრო, მაღალი – ნიშა-საკურთხეველი. ეკლ. გადახურულია პირ-



209. საბერეები. №8 ეკლესიის ჯგუფი. ჭრილი 2-2

ამიდისებრი გუმბათით, რ-ზეც გამოყვანილია ტოლმკლავა, ბოლოებისკენ თანდათან გაგანიერებული, რელიეფური ჯვარი.



209. საბერეები. №8 ეკლესიის ჯგუფი. ჭრილი 1-1

გუმბათისა და დარბაზის კუთხეები დაბლაგვებულია და ნაკლებად შესამჩნევია.

ჩიჩხიტურის მონასტერი წმ. დავითის ლავრასა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერს შორის მდებარეობს. მონასტერი მთის ჩრდ. ფერდშია გამოკვეთილი. და ზემოდან იმავე მთის თხემზე აღმართული, კოშკი დაჰყურებს. კომპლექსამდე, მთის ძირიდან, კლდეში ნაკვეთი კიბე (სიგრ. დაახლ. – 100 *მ*) ადის. კომპლექსში, კოშკის გარდა, შედის: სამქვაბიანი ჯგუფი – მხატვრობით დამშვენებული ეკლესიით და სენაკი (ძ. გამოკვლეულია ლ. მირიანაშვილის მიერ, რ-იც მხატვრობას XII საუკუნის I



209. საბერეები. №8 ეკლესიის ჯგუფი. კარიბჭე. ეკლესიის შესასვლელი


ნახევრით ათარიღებს). შეიმჩნევა ასევე, ცალკეულ ქვაბების ნაშთებიც.

თავად ეკლ. ჯგუფის შუაშია. აღმ-იდან და დას-იდან მას მცირე ზომის, თითო სენაკი (ფართ. დაახლ. 8 *კვ მ*) ეკვრის, რ-ებსაც ეკლ. თითო თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება. კლდის ჩამოშლის გამო, ეკლ. სამხრ. მხრიდან მთლიანად ღიაა (სიგრ. – 5,4 *მ*, სიგ. ზუსტად არ დგინდება). ჭერი ბრტყელია. შემორჩენილი კედლები და ჭერი შელესილია. აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილში, იატაკიდან დაახლ. 1,1 *მ* სიმაღლეზე, განიერი, ნახევარწრიული არეა, რ-ის ძირი კედელთან ერთ სიბრტყეშია, ზემოთკენ კი თანდათან ღრმავდება. არის შუაში გამოყვანი-



209. საბერეები. №8 ეკლესიის ჯგუფი. ეკლ. ხედი გუმბათზე

ლი, სამოციოდე *სმ*-ის სიღრმის, ნახევარწრიულთაღოვანი ნიშა. ნიშის შიგნითა კედლის მთელ სიმაღლეზე, წითელი ფერის საღებავით, სამსაფეხუროვან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვარია გამოსახული. ნიშის სამხრ-ით მაღალი, თაღოვანი ნიშაა – წყლის დასაგროვებელი რეზერვუარით (წყალი გარედან, თიხის მილით მოედინებოდა). ამ ნიშის მარჯვნივ, ეკლესიის აღმ-ით მდებარე სენაკში გასასვლელი, თაღოვანი ღიობია. მსგავსი ღიობითაა დაკავშირებული ეკლ. დას-ით მდებარე სენაკთანაც. ამ ელემენტების გარდა, ეკლესიის აღმ. კედელზე სამი მცირე ზომის ნიშიცაა. ერთი მცირე ზომის ნიშა ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოშიცაა.




209. პირუკულმარი. ქვაბების ჯგუფი ეკლესიით. გეგმა. 1 - ეკლ., 2 - ეკვდერ-სამარხი, 3 - სათავსი, 4 - სამეურნ. სათავსი. ჭრილები (1-1, 2-2)

ეკლესიის აღმ. კედელზე, მხედრ. დამწერლობით შესრულებული, ორსტრიქონიანი, ნაკაწრი წარწერაა, რ-იც ქვაბის მფლობელის ვინაობას გვამცნობს და XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. წარწერაში ქვაბის მფლობელი ორი სახელითაა მოხსენიებული – ზოსიმე-პიმენი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ერთ-ერთ სახელი, შესაძლოა, საერისკაცო იყოს, ხოლო მეორე – საბერმონაზვნო.



209. პირუკულმარის ქვაბები. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან



209. ქოლაგირი. კომპლექსი. გეგმა. 1 - ეკლ., 2 - სატრაპეზო, 3 - ბერების საკრებულო, 4 - სენაკი

მონასტრების მეორე, თავისი მნიშვნელობით ეკლესიის თანაბარი ელემენტია სატრაპეზო. ეკლესიების მსგავსად, მათ ძირითადად ერთი საერთო გეგმა აქვთ, რ-იც, როგორც ჩანს, წმ. ილარიონის დროსვე დადგინდა. სატრაპეზო იკვეთება იქვე, მთავარი ეკლესიის გვერდით. ძვ. სატრაპეზოები შემორჩენილია ბერთუბნის, უდაბნოს, ლავრის და დოდორქის მონასტრებში.



209. ქოლაგირი. ეკლ. ხედი სამხრ.-დას-იდან




209. ქოლაგირი. მოხატულობის ფრაგმენტი

ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზო XII საუკუნის ბოლოს, მონასტრის ცენტრშივე, ეკლესიასთან და სენაკებთან ერთად იყო გამოკვეთილი. ესაა ვრცელი, ერთიანი დარბაზი (სიგრ. – 12,8 *მ*, სიგ. – 10,4 *მ*) ბრტყელი ჭერით და ერთი განიერი შესასვლელით სამხრ.-დას-იდან. შესასვლელის პირდაპირ



209. ქვაბების კომპლექსი. საერთო ხედი

დიდი ნიშაა, საპატიო დასაჯდომით უკანა კედლის ცენტრში არსებულ შედრმავებაში და



209. ქვაბები. №1 ეკლ. გეგმა


თითო დასაჯდომით გვერდებზე. დასაჯდომები ფართოა და სადგომთან ერთდროულადაა გამოკვეთილი. ნიშის წინ, შესასვლელის მიმართულებით, იწლება ნატეხი ქვით ნაგები მაგიდა (ამჟამად ნაწილობრივაა შემორჩენილი), რ-საც გვერდებზე მოწყობილი აქვს ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული, სწორკუთხა შედრმავებები. მაგიდის გვერდებზე გამოყვანილია თითო,



209. ქვაბები. №1 ეკლ. ჭრილები (1-1, 2-2)

ერთიანი სკამი, რ-ებიც ნატეხი ქვითვეა ნაწყობი.


სამხრ.-აღმ. გრძივი კედლის შუაში საკურთხეველია, მცირე სიღრმის აფსიდით და კედელზე მიყრდნობილი ტრაპეზით. მოპირდაპირე კედელზე, ჩრდ.-დას. კუთხესთან, სატრაპეზოს იატაკის დონეზე, მოწყობი-



209. ქვაბები. №2 ეკლ. გეგმა

ლია ნიშა, რ-ის იატაკში ამოდის ნიშის ქვემოთ არსებული ცისტერნის პირი. პირის თავზე, შემორჩენილია ამოღრუებული ორი ჭდე, ცისტერნიდან წყლის ამოსაღები, ციცხვის ჩამოსაკი-

დი ჯოხის გასამაგრებლად. ნიშის უკანა კედელში პატარა ნიშა-თაროა, რ-ზეც ალბათ თავ-



209. ქვაბები. №2 ეკლ. ჭრილები (1-1, 2-2)



209. ქვაბები. №2 ეკლ. გუმბათი. დეტალი

ად ციცხვი ან წყლის სასმელი ჭურჭელი იდგმებოდა. ცისტერნაში წყალი გარედან, შესასვლელიდან იყო გამოყვანილი. წყალსადენი ღარი გამოკვეთილი იყო კედლის ძირში, მთელი კედლის გაყოლებით, რ-ის საშუალებითაც წვიმის წყალი შესასვლელიდან ცისტერნისკენ მოედინებოდა. შესასვლელთან კი, გარედან, კლდეში გამოკვეთილი წყალსადინარები იყრიდა თავს.

სატრაპეზოს ჩრდ.-აღმ. კედელში, მაგიდის ბოლოსთან არსებული ნიშის გვერდით, მოწყობილია კარი, რ-იც გადის მცირე ზომის, შემთხვევითი ფორმის სათავსში. იგი, როგორც ჩანს, სატრაპეზოს საწყობად გამოიყენებოდა (კედლებიდან, ალაგ-ალაგ, კლდის თხელი ფენებია გამოშვერილი. კედლებში, ჯოხის ჩასარჭობი ღრმულებია. თავად ჯოხებზე კი, სხადასხვა საგნებს კიდებდნენ). სათავსში, შესასვლელის სიმეტრიულად, საპატიო ნიშის მეორე მხარეს, მცირე სიღრმის თაღოვანი ნიშაა.



209. ჩიჩხიტური. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან


სატრაპეზოს სამხრ.-დას. კედელში, სატრაპეზოში შესასვლელი კარის გარდა, მცირე, სასინათლო ღიობიცაა, რ-იც შედარებით მაღლა მდებარეობს. მის ქვემოთ, ისევე როგორც მომიჯნავე, სამხრ.-აღმ. კედლის მთელ სიგრძეზე, გამოყვანილია ჩამოსაჯდომი საფეხური.

სატრაპეზო საკმაოდ დიდ საძმოს იტევდა და განსაკუთრებული ოსტატობითა და შემოქმედებითი თავისუფლებითაა მოხატული.


ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოსთან, თავისი ფორმებით, ახლოს დგას უ დ ა ბ ნ ო ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ს ა ტ რ ა პ ე ზ ო, რ-იც ბერთუბნის სატრაპეზოზე თითქმის ორჯერ უფრო მოზრდილია. იგი მონასტრის ცენტრ. ნაწილში, ეკლესიის გვერდითაა გამოკვეთილი და, ისევე როგორც ეკლ., ნაწილობრივაა შემორჩენილი – მისი წინა ნახევარი მთლიანად ჩამოშლილია. სატრაპეზო, კლდეშივე გამოკვეთილი ორი სწორკუთხა ბოძითა და მათთან დაკავშირებული სამი თაღოვანი მალით, ორ ნაწილადაა გაყო-



209. ჩიჩხიტური. ეკლ. აღმ. კედელი. ნიშა



209. ბერთუბანი. მონასტრის სატრაპეზო. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)




209. ბერთუბანი. მონასტრის სატრაპეზო. ჭრილი 1-1, 2-2 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

ფილი. ეს ის მთავარი ელემენტია, რაც უდაბნოს სატრაპეზოს ბერთუბნის სატრაპეზოსგან განასხვავებს. აქაც შესასვლელის მოპირდაპირედ, კედლის შუა ნაწილში, საპატიო ნიშაა, თითქმის იგივე ფორმებით. მის წინ, აქაც მაგიდაა (სკამები აღარ არსებობს). მეორე მაგიდა დარბაზის აღმ. ნაწილშია, კედლთან ახლოს. მის თავში, რ-იც ნიშაშია მოქცეული, საპატიო ადგილი აღარ არის. მხოლოდ გვერდებზეა დატოვებული ორი ადგილი. აქვე ნიშაში, მაგიდის თავთან, მოწყობილია შესასვლელის მაგვარი, განიერი ღიობი, რ-იც გადის კლდის სიღრმეში გამოკვეთილ, სატრაპეზოს უკან არსებულ, საწყობისათვის განკუთვნილ სათავსში. სატრაპეზოს აღმ. კედელში საკურთხევლის აფსიდია – ტრაპეზით. მის მოპირდაპირედ, დას. კედლის ნიშაში კი წყალსაცავია მოწყობილი. წყალსაცავის გვერდით მეორე, გაცილებით უფრო მოზრდილ, სასაწყობე სათავსში გასასვლელია. სატრაპეზოს აღმ-იდან ეკვრის ორ იარუსად განლაგებული გამოქვაბული-ბეღლები, საწყობები, წყალსაცავები და სხვ.


სატრაპეზო მთლიანად იყო შელესილი და მნიშვნელოვან ნაწილებში მოხატული.

ზოგადად იგივე ფორმებში იყო გადაწყვეტილი დოდორქის მონასტრის ძველი სატრაპეზოც, რ-იც მონასტრის მთავარ ეკლესიასთან ახლოს (აღმ-ით), ნაწილობრივ ორ სართულად განლაგებულ, გამოქვაბულ კომპლექსში მდებარეობს. სატრაპეზოს ქვეშ განცალკევებული ოთახია, გვერდებზე კი – რამდენიმე სათავსი. სატრაპეზოში შესასვლელი გვერდიდანაა. შესასვლელის პირდაპირ, აქაც

209. უდაბნო. მონასტრის სატრაპეზო. გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)



მონასტრის წინამძღვრისათვის განკუთვნილი ნიშაა, აღმით კი – საკურთხევლის აფსიდი, კედელზე მიყრდნობილი ტრაპეზით. დას. კედელთან, ლა. ისტ. საბუთებით ცნობილი ხდება,რომ XV საუკუნეში დავითის ლავრის ყველა განშტოება, თავად ლავრისა და დოდორქის გარდა, გაუკაცრიელებულია.




209. უდაბნო. მონასტრის სატრაპეზო. ჭრილი 1-1 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

ნახევარწრიულ ნიშაში, უდაბნოს მონასტრის მსგავსად, ამოკვეთილია წყლისთვის განკუთვნილი ცისტერნა. გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე უდაბნოს

XVI საუკუნის ბოლოს სავანეებში ახ. აღმავლობა და მშენებლობა იწყება.

XVI საუკუნის II ნახევარში ლავრის, ჩიჩხიტურის და



209. უდაბნო. მონასტრის სატრაპეზო. ჭრილი 2-2 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

დოდორქის მონასტრებში, კოშკები აიგო, ხოლო ლავრის მთის თხემზე – ეკლ.

დავითის ლავრის თავზე, კლდის ქიმზე მდგომი კ ო შ კ ი, როგორც ჩანს, სამსართულიანი ყოფილა. შესასვლელი პირველ სართულზეა, სამხრ. კედელში. კარს წინიდან ადგება ქვით ნაშენი, კამარით გადახურული გვირაბი (სიგრ. დაახლ. 60 მ-ია), რ-იც ქვემოდან, მონასტრის ზედა ეზოდან ამოდის. კოშკის ქვედა სართული (2,9x2,9 მ) გადახურულია დადაბლებული პროპორციების, გუმბათოვანი კამარით, რ-ის წრიული საფუძველი ოთხივე კუთხეში განლაგებული, ქვის ფილებით ნაწყობი აფრებით იქმნება. სართულის ოთხივე კედელზე შეისრულთაღოვანი, ბრტყელი ნიშია. ზედა სართულზე ასასვლელი კიბე კედლის სისქეშია. მეორე და მესამე სართულების კედლებში ბევრი სათვალთვალო ღიობია. ორივე ზედა სართული შელესილი იყო. ზედა სართუ-


209. უდაბნო. მონასტრის სატრაპეზო

მონასტერში. აღმ-ით და ჩრდ-ით სპეც., ჭურჭლისა და პურეულის შესანახი, გამოქვაბული სათავსებია. მათ შორის ერთ-ერთი სარკმლითაა განათებული.


სატრაპეზო შელესილია, ოღონდ მოხატული არ არის. ნალესობაზე შემორჩენილია პილიგრიმთა წარწერები. ასევე ქართ. ანბანი, რ-იც ს. კაკაბაძის აზრით, XIV საუკუნეს განეკუთვნება.

მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ეკლესიის გვერდით გამოიკვეთა ახ. სატრაპეზო. ეკლესიაში კი დაიდგა აჟურული ჩუქურთმით შემკული, ალებასტრის კანკელი.

როგორც უკვე ითქვა, XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თემურ ლენგის შემოსევების შედეგად, უდაბნოებში სამონასტრო ცხოვრება მოიშა-



ლიც, პირველის მსგავსად, კამარით იყო გადახურული,მეორე – ხის კოჭებით.



209. უდაბნო. მონასტრის სატრაპეზო.


მეორე კ ო შ კ ი ჩიჩხიტურის უდაბნოს განაპირასაა. იგი, ლავრის კოშკთან შედარებით, უკეთაა შემორჩენილი (ზედა სართულის მნიშვნელოვანი ნაწილი მონგრეულია). კოშკი ოთხკუთხაა, აგებულია ნატეხი ქვით. შესასვლელი მეორე სართულზეა, სამხრ-იდან. კოშკის პირველი სართული ყრუა. სართულები ერთმანეთს კამარაში მოწყობილი ხვრელით უკავშირდებოდა. აქამდე ამოსასვლელად კი ხის, მისადგმელი კიბით სარგებლობდნენ. კამარები შეისრულია. მესამე სართულის აღმ. კედელში ჩაწერილია აფსიდი, რ-ის ჩრდ. მხარეს სამსხვერპლო ნიშაა. სართულის ჩრდ. კედელში განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. გამოთქმულია მოსაზრება (ისტორიკოსი თ. ჯოჯუა),რომ კოშკი დასაყუდებელ სვეტს წარმოადგენდა.

მსგავსი ორი კოშკი დოდორქის მონასტერშიცაა. ერთი მათგანი იმ კლდის თავზეა, რ-შიც მონასტერია გამოკვეთილი. კ ო შ კ ი შესასვლელი ორია. ერთი – გარედან, მეორე კი – ქვემოდან, გამოქვაბულიდან. სართული შეისრული კამარითაა გადახურული, რ-შიც მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი ხვრელი. კოშკს ზედა სართულები აღარ შემორჩა. შიგნით აქაც ნიშებია, რ-ებშიც, აქა-იქ, ღრმულებია თაროებისთვის და ბუხარი. ასევე სარკმლები, რ-ებიც ლავრის და ჩიჩხიტურის მონასტრების კოშკებისკენაა მიმართული.


მეორე კ ო შ კ ი ც, რ-იც მონასტრის მთავარი ეკლესიის წინაა აგებული, ხეობისკენაა მიმართული და დანარჩენ კოშკებთან კონტაქტშია. კოშკები ისეა განლაგებული, რომ დაკვირვება ყველა მხარეს, საკმაოდ შორ მანძილზე იყო შესაძლებელი.

ლავრის მონასტრის ზედა ეზოს კიდეში, ერთმანეთისგან ოციოდე მ-ის მანძილზე, დგას ორი მ რ გ ვ ა ლ ი კ ო შ კ ი. ორივე კოშკი ორსართულიანია – ერთი მომცროა, სრულიად მარტივი. მეორე – დიდი. იგი შიდა ზღუდის ბოლოშია და XVIII საუკუნის პირველი

209. დოდორქა. მონასტრის სატრაპეზო. გეგმა



წლებით თარიღდება. კოშკი, დანიშნულების მიხედვით, საცხოვრებელია. მიჩნეულია (ა. მურავიოვი, პლ. იოსელიანი), რომ იგი კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მიერაა აგებული, რ-იც ამავე მონასტერში აღიკვეცა ბერად ათანასეს სახელით. კოშკი ორსართულიანია. ნაშენია ნატეხი ქვით. ქვედა სართულზე



209. დოდორქა. მონასტრის სატრაპეზო. ჭრილი I-1



209. ლავრა. სწორკუთხა კოშკი. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან

შესასვლელი ეზოდანაა, ზედა სართულზე კი, სავარაუდოდ, მისადგმელი კიბით ხვდებოდნენ (ამჟამად კოშკზე უხეშად ნაშენი, ქვის კიბეა მიდგმული). კოშკის ქვედა სართული ათწახნაგაა. ერთ-ერთ მათგანში კარია. მის მოპირდაპირე წახნაგში კი – ბუხარი. დანარჩენ წახნაგებში, ორ იარუსად, ნიშებია განლაგებული. ზედა ნიშები შეისრულთაღოვანია, ქვედები – სწორკუთხა. მათი სიგანე ოდნავ ჭარბობს სიმაღლეს. ქვედა და ზედა ნიშები ნიშებშია გაჭრილი. სართულის კედლები, ღიობების გარდა, მოხატულია – ზედა ნაწილში გეომეტრიული ჩუქურთმით, ხოლო ქვედაში – ტალღებით.

ზედა ოთახი რვაწახნაგაა. დაყოფის პრინციპით იგი ქვედას მსგავსია. კარი და ბუხარი, ისევე როგორც ქვედა ოთახში, ერთმანეთის პირდაპირაა. დანარჩენ ექვს წახნაგში სარკმლებია მოწყობილი, ქვედა რიგში კი – სწორკუთხა ნიშები. კამარა რთული ფორმისაა, გამოყვანილია აგურით. ბუხარი მდიდრულად, ნაკვეთი სახეებისა და მოხატულობის შეერთებითაა მორთული. ზედა შვიდ ნიშაში გამოსახული იყო საეკლ. შინაარსის სცენები, ხოლო აღმ. ნიშაში – „ვედრება“ (შემორჩენილია მცირე ნაწილი). დანარჩენ ექვს ნიშაში ფრონტალურად მდგომი ორ-ორი მოციქულია გამოსახული.

მოხატულობის საერთო ხასიათით, ასევე მისი მოტივებითა და ფორმების საერთო პროპორციებით, კოშკი ახლოს დგას ამ ეპოქის სპარსულ სასახლეებთან.

შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ, როცა გარეჯის მრავალთის მონასტრებმა გამოკეთება და გამოცოცხლება დაიწყო. მონასტრების აღმშენებლობის საქმეში, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კახეთის მეფე არჩილ II-მ, რ-მაც ლავრაში საჭირო ნაგებობების მშენებლობისათვის დიდი სახსრები გაიღო.

ა. მურავიოვის თანახმად, არჩილმა განიზრახა ორმოცი




209. ჩიჩხიტური. კოშკი. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

სებასტიანელი მოწამის ეკლესიის გაფართოება და მას შედარებით მოზრდილი ნაგებობა – „სამარტვრედ“ მიაშენა.

ეკლ. მდებარეობს სრულიად განმარტოებით, უდაბნოს ქედის დას. ბოლოში. ცნობის


თანახმად, შაჰ-აბასის 1615 წლის ლაშქრობების დროს, ნაწამები მოწამეთა ძვლები მოაგროვეს და ამ ეკლესიაში გადმოიტანეს. გეგმის მიხედვით იგი თავისებურადაა გადაწყვეტილი. ეკლესიის გამოქვაბულ ნაწილში საკურთხეველია, მიშენებული ნაწილი კი მლოცველთათვისაა განკუთვნილი. საკურთხეველი მლოცველთათვის განკუთვნილი დარბაზისგან განცალკევებულია ორი კარით, რ-თა შორის თხელი, ოთხკუთხა ბოძია. მინაშენის კამარა, ცენტრში და გვერდებზე, ეყრდნობა სამ საბჯენ თაღს. მათგან აღმ. თაღი კონსოლებზეა დაყრდნობილი. დანარჩენები – პილასტრებზე. კამარაც და თაღებიც შეისრულია. მინაშენის გრძივ კედლებზე, პილასტრების ორივე მხარეს და დას. კედელზე, შესასვლელის გვერდებზე, თითო ნიშაა. ეკლესიაში შესასვლელი კარი ვიწროა, დაბალი, შეისრულთაღიანი. შიგნიდან იგი ოდნავ განიერია. აქვს ხის, თარაზული თავი. კარის ზემოთ ორი ნახევარწრიულთაღიანი სარკმელია. ეკლ. ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი და სარკმლები აგურითაა ნაწყობი. კედლებში, ნატეხ ქვასთან ერთად, აგურის ნატეხებიცაა გამოყენებული. სახურავი ორკალთაა.

საკურთხევლის ნაწილი სწორკუთხაა. ტრაპეზი და



209. ლავრა. ალექსანდრეს კოშკი. I სართულის გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)

მასთან დაკავშირებული სამკვეთლო მარჯვ., გვერდით კედელთანაა. ჩრდ. კედელზე, მთელ სიგრძეზე, მოწყობილია



209. ლავრა. ალექსანდრეს კოშკი. II სართულის გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)


„საწნახელი. ინტერიერი მოხატულია. შემორჩენილია X საუკუნის მოხატულობა – „ღვთისმშობელი ჩვილით“, ჩრდ. კედლის სწორკუთხა ნიშაში კი „წმიდა მარტვილთა გუნდის“ სიმბოლური გამოსახულების, ორიგინალური კომპოზიციაა – ქრისტესკენ გაშვერილი 4-4 ხელი ჯვრებით.


ამავე ტერასაზე, სამოციოდე მის მანძილზე, ბერის ქვაბ-სენაკთან გაერთიანებული, დარბაზული ეკლესიაა, რ-ის კედლები დამუშავებულია შეწყვილებული, ნალისებრთაღოვანი, ბრტყელი ნიშებით.

1690 წელს კათალიკოსთან შეკრებილმა ეპისკოპოსთა კრებამ გარეჯის მრავალმთის მონასტრების წინამძღვრად დაადგინა ონოფრე მაჭუტაძე – პიროვნება, რ-საც თავისი უდრეკი ნებისყოფით შეეძლო დაეცვა და დაემკვიდრებინა მონასტერთა უფლებები, რ-ებიც მათ წინა ხანებში, შფოთისა და არეულობების დროს დაკარგეს.

ონოფრეს დამტკიცებიდან მოკლე ხანში, ლავრის მონასტერს თავს დაესხნენ ლეკები, გაძარცვეს იგი და წმ. მოწამე შიოსთან ერთად, მოკლეს ხუთი ბერი. ამ თავდასხმამ მონასტრის გალავნით დაცვის საკითხი დააყენა – ლავრის მონასტერში


209. ლავრა. ალექსანდრეს კოშკი. ჭრილი 1-1 (ვ. წილოსნის მიხედვით. 1929 წ.)





209. ლავრა. ალექსანდრეს კოშკი. II სართული. დეტალი

ორი ზღუდე აიგო. ერთი მათგანი, რ-იც სათოფურებითა და ორი შესასვლელითაა აღჭურვილი, მონასტრის ქვედა ეზოშია, მთის ნაპრალის დასაწყისში (გზა მონასტერს სწორედ ამ მხრიდან ადგება). მეორე კი – მონასტრის ქვედა და ზედა ეზოების საზღვარზე. შესაძლებელია ეს კედელი მოგვიანებითაც იყოს აგებული.



209. ბერთუბანი. სამარტვილე. „წმ. მარტვილთა კრებული“. დეტალი

მონასტრის მთავარი შესასვლელი ერთიანი, შეისრული კამარით გადახურული, მაღალი გასასვლელია (შიგნითა ზომები: 5,2x4,4 მ), რ-ის გარეთა ღიობი სწორკუთხაა, შიგნითა – შეისრულთაღოვანი. აგებულია აგურით. შიგნით, გრძივ კედლებზე, ორი-ორი ნიშაა, ასევე შეისრული თაღით.

შესასვლელი, გარედან, ქვიშაქვის ნათალი ქვებითაა მოპირკეთებული და რელიეფური გამოსახულებებითაა მორთული. კედლის ეს არე, დანარჩენი ნაწილის მიმართ, რამდენადმე შელრმავებულია და დასრულებულია აგურის საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით. მსგავსი ლავგარდანი ეზოს მხარეს მდებარე თაღის თავზეცაა. თავად კარის ღიობი ჩასმულია შეწყვილებული ლილვით გამოყვანილ, შეისრულთაღოვან ჩარჩოში. კარის გადამხურავ ქვაზე ასომთ. დამწერლობით შესრულებული წარწერაა. წარწერის ბოლოში ქორონიკონის თარიღია – 383, ე.ი. 1695 წელი.

სავარაუდოა, რომ ადრე, შესასვლელის თავზე, კოშკი იყო აღმართული, რ-იც დაინგრა და მის ადგილას, მოგვიანებით, ამჟამინდელი შენობა ააგეს.

მთავარი შესასვლელის გარდა, ამავე კედლის აღმ. მონაკვეთში არის კიდევ მეორე ჭიშკარიც, რ-ის თავზე ოთხკუთხა კოშკი მდგარა.

ონოფრე მაჭუტაძის მოღვაწეობის დროსვე (1690-1728/35 წწ.), გამაგრდა ნათლისმცემლის მონასტერიც. მონასტრის მთავარ ნაწილს წინიდან შემოავლეს ზღუდე, რ-შიც ორი შესასვლელი იყო მოწყობილი. მთავარი შესასვლელი ორსართულიანია. მისი ქვედა სართული ერთიანი გასასვლელია, გვერდით კედლებში თითო




209. ლავრა. მონასტრის მთავარი შესასვლელი. დეტალი

ღრმა უბით. მეორე სართული კი კვადრ. ოთახია, რ-ის აღმ. და დას. კედლებში, გასასვლელების ზემოთ, თითო ოთკუთხა სარკმელი და ნიშებია. ოთახის სამხრ. კედელში ბუხარია. კამარის ცენტრში გამოყვანილია ბრტყელი სწორკუთხედი. ოთახის შესასვლელი ჩრდ-იდანაა. მის წინ ქვით ნაშენი, მრავალსაფეხურიანი კიბეა. იმავე, ჩრდ. კედლის სისქეში მოწყობილია კიბე, რ-ითაც კოშკის თავზე ასებულ, ღია ბაქანზე ვხვდებით.

მეორე კოშკი სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან შედგება. თავდაპირველი ნაწილი მხოლოდ ერთი სართულის სიმაღლეზეა შემორჩენილი. იგი წარმოადგენს გარეგან სწორკუთხედში ჩაწერილ, ნახევარს-

ფერული გუმბათით გადახურულ, მრგვალ ოთახს, რ-საც შესასვლელი ეზოდან აქვს.

ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობისას უნდა იყოს აგებული დოდორქის ზღუდეც – ოთხკუთხა კოშკით გამაგრებული შესასვლელით. ამ პერიოდში მონასტერში გამოიკვეთა



209. ლავრის მონასტერი. დმ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს-ის 80-იანი წლები


შესასვლელის გარდა, ოთახის კედლებში ბუხარი და სამი მაღალი ნიშაა. ნიშები ბრტყელი თაღითაა დასრულებული, რაც ტიპურია სწორედ XVII საუკუნისთვის. მას შემდეგ რაც კოშკმა, როგორც სიმაგრემ, თავისი მნიშვნელობა დაკარგა, ოთახიდან დას-ით, მონასტრიდან გარეთ გასასვლელი კარი გაჭრეს. ზედა სართულზე ასასვლელი კიბე კედელში იყო მოწყობილი. იგი შესასვლელი კარის ღიობში იწყებოდა. ამჟამად ასასვლელი აღარ არსებობს, რადგან მეორე სართული მოგვიანებითაა დაშენებული (სავარაუდოდ, XVIII ს-ის ბოლოს ან შესაძლოა XIX ს-ის დასაწყისშიც), რ-ის მშენებლობის დროს კიბე გაუუქმებიათ.



209. ნათლისმცემელი. კოშკი-კარიბჭე. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

მცირე ზომის, ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესიაც, რ-ის გუმბათქვეშა კვადრატს, ოთხივე მხრიდან, მოკლე მკლავი ერთვის. გუმბათის ნახევარსფერო უშუალოდ კვადრატის თავზეა გამოკვეთილი, გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადამყვანი ელემენტების გარეშე. XVII საუკუნის ბოლოს ეკლ. მოუხატავთ. მოხატვის შემდეგ კი – XVII საუკუნეშივე, ან XVIII საუკუნის დასაწყისში – კანკელი დაუდგამთ, რ-იც ასევე მოხატულია. კანკელზე მხატვრისეული წარწერაა, რ-ის მიხედვითაც ირკვევა, რომ იგი მოხატა (და სავსებით შესაძლებელია, რომ მასზე ოდნავ უფრო ადრე ეკლესიაც) მღვდელმა გიორგიმ.


მოგვიანებით, ეკლესიის უკან, დას-ით, მოაწყვეს ორი ოთახი. მათგან წინა – მოზრდილია. მის უკან კი, სიღრმეში, მცირე ზომის სენაკია. შემორჩენილი სიგე-



209. ლავრა. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის უკან არსებულ დარბაზში შესასვლელი

ლების მიხედვით, ირკვევა, რომ ეკლ. XVIII საუკუნის დასაწყისში, ამავე მონასტრის ბერს ზაქარიას გამოუკვეთია. შემდეგ კი, როცა ის ამავე მონასტრის მოძღვარი გახდა, გამოიკვეთა დარბაზი და სენაკი.

დარბაზი სანახევროდაა შემორჩენილი. იგი დასრულებული იყო ნახევარცილინდრული ჭერით. ორივე ოთახის ფორმე-



209. დოდორქა. ახ. სატრაპეზო. გეგმა. 1 - სატრაპეზო, 2 - წინამძღვრის ოთახი


ბი, გეომეტრიულად სწორია და საგულდაგულოდაა შელესილი. სენაკში შესასვლელი კარი დარბაზის დას. კედელშია. იგი შეისრული თაღითაა დასრულებული და ჩასმულია ოთხკუთხა ჩარჩოში. დარბაზის აღმ. კედელში, ეკლესიაში შესასვლელი კარის გარდა, ერთი ბრტყელი ნიშაცაა. იგი განიერი და დაბალია. ნიშის თავი სტალაქტიტებითაა დამუშავებული. ძირის დონეზე, კედლის მთელ სიგრძეზე კი თარო-საფეხურია. ასეთივე საფეხურია ჩრდ. კედელზეც, სადაც იგი რამდენადმე მაღლა, თითქმის კამარის ქუსლის დონეზეა.

სენაკი შედარებით მომცროა და დაბალი. მასში სხვა ელემენტებიცაა. აღმ. კედელში ნიშაა, გაჯის ნაკვეთი ჩარჩოთი, რ-საც ზედა ზოლზე მოთავსებული ჰქონდა ერთსტრიქონიანი წარწერა. მასში მოხსენიებული იყო მონასტრის წინამძღვარი ზაქარია (წინამძღვარი იყო 1704-1714 წწ-ში). ცნობის თანახმად, 1929 წელს წარწერიდან ბოლო ხუთი ასოღა იყო შემორჩენილი.

ბათქაშზე გამოყვანილი მორთულობის ხასიათით ამ ოთახთან ახლოს დგას ნათლისმცემლის მონასტერში არსებული ერთი ოთახი (4,5x3,5 მ), რ-იც მთავარი ეკლესიის დასით, ჭიშკრის ზემოთ, სამრეკლოსა და კოშკს შორის მდებარეობს. იგი საგულდაგულოდ, თეთრადაა შელესილი. ჭერში ბრტყელი პლაფონია, შეზნექილზედაპირიანი ლავგარდნით, საიდანაც გრძივი კედლებისკენ მრუდე სიბრტყე გადადის. დას. კედელში, საწოლად, ღრმა, განიერი ნიშაა მოწყობილი – კედლებში სამი პატარა ნიშით. აღმ. კედელში კი ფართო, ნიშა-თაროა სტალაქტიტებით გაწყობილი სამი კომპარტიმენტით. დას. კედელშიც არის ნიშა, რ-იც, როგორც ჩანს, მსგავსად იყო მორთული.


ამავე დროისაა იოანე ღვთისმეტყველის გამოქვაბული ეკლესიის (დანგრეულია) დას-ით, კლდის სიღრმეში გამოკვეთილი დარბაზი, რ-იც ეკლესიის მთავარი დარბაზისგან სარკმლებისა და შესასვლელის მქონე კედლით იყო გამიჯნული. ეს დარბაზი, ეკლესიის დარბაზთან შედარებით, რამდენადმე უფრო დაბალია. იგი მხოლოდ ეკლესიიდან (გასასვლელიდან და სამი სარკმლით) ნათდებოდა.

ეკლესიის გვერდებზე თითო სატრაპეზოა, რ-ებიც ეკლესიასთან დაკავშირებულია თითო კარით. მათგან ჩრდ-ისა, ეკლესიის თანადროულია. სიგრძითა და სიგანით იგი თითქმის ეკლესიის ტოლია და ნახევარცილინდრული კამარითაა დასრულებული. სამხრ-ით მდებარე სატრაპეზო მცირე ზომისაა და,



209. დოდორქა. ახ. სატრაპეზო. ჭრილი 1-1

როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს გამოკვეთილი, მაშინ, როცა ეკლ.




209. ლავრა. გიორგი XIII-ის საცხოვრებელი. I და II სართულის გეგმები

დას-ით გააფართოეს და კლდის სიღრმეში დარბაზი გამოკვეთეს.


ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის პერიოდში ბერთა რაოდენობა არა მარტო დავითის ლავრაში გაიზარდა, რამაც იქ დიდი სატრაპეზოების შექმნის საკითხი დააყენა, არამედ დოდორქისა და ნათლისმცემლის მონასტრებშიც. აქ სულიერი ძმების რაოდენობამ იმდენად მოიმატა, რომ თითოეულმა მონასტერმა დამოუკიდებლობა მიიღო. ამიტომ, XVIII საუკუნის პირველსავე წლებში, ონოფრე მაჭუტაძე მათ დამოუკიდებელ მონასტრებად გამოყოფს, თავ-თავიანთი წინამძღვრებით, რ-ებიც თავად ონოფრეს შეურჩევია. 1702 წელს ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი ხარიტონია, ხოლო დოდორქაში, 1704 წელს – ზაქარია. ორივე სავანეში იქმნება დიდი, ვრცელი სატრაპეზოები – მოგრძო, საგულდაგულოდ შელესილი, ნახევარცილინდრული კამარით დასრულებული დარბაზები.

დოდორქის ახ. სატრაპეზო (12,7x5,7 მ), განლაგებულია მთავარი ეკლესიის გვერდით, მისგან დას-ით. იგი სწორ ფორმებშია გამოყვანილი და მთლიანად შელესილია. კამარა ნახევარცილინდრულია. დარბაზის შუა ნაწილში და ბოლოებში პილასტრებია, რ-ებზეც გადაყვანილია საბჯენი თაღები. კამარის ქუსლის დონეზე კი, კედლების მთელ სიგრძეზე, მოწყობილია თარო. სამხრ. კედელში სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული, შეისრულთაღოვანი შესასვლელია, მის ზემოთ კი სარკმელი.

ამავე ფორმებითაა გამოყვანილი ნათლისმცემლის მონასტრის სატრაპეზოც.



209. ლავრა. გიორგი XIII-ის საცხოვრებელი. ჭრილი



209. ლავრა. გიორგი XIII-ის საცხოვრებელი. II სართული. ინტერიერის დეტალი

ონოფრეს წინამძღვრობის შემდეგ, მონასტრების ცხოვრებაში აღმავლობა აღარ შეინიშ-



209. ნათლისმცემელი. საცხოვრ. ქვაბი

ნება. უდაბნოების უმაღლესმა წინამძღვრობამ ლავრიდან დოდორქისა და ნათლისმცემლის მონასტრებში გადაინაცვლა. 1760 წელს დოდორქის მონასტერი ლეკებმა დაარბიეს, რამაც მისი გაუდაბურება გამოიწვია. ნათლისმცემლის მონასტერმა კი ამ პერიოდიდან გაძლიერება და მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო, თანაც იმდენად, რომ 1774 წელს იგი სამ განყოფილებად გაიყო – „ჩვენი მონასტერი, შინათ მონასტერი და ეკლესია, და გარეთ მონასტერი“. ამ უკანასკნელში მოღვაწეობდა არქიდიაკონი იოანე მაყაშვილი (შემდგომში ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის მიტროპოლიტი). მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნათლისმცემლის მონასტრის დას. ნაწილის, სავანის ზღუდის გარეთ მოქცეული „გარეთ მონასტრის“ მოწესრიგება-მორთულობაში. ამავე პერიოდში შეკეთდა ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის დროს აგებული მონასტრის ერთ-ერთი კოშკიც. აქ, ოთხკუთხა კოშკის დანგრეული, ზედა სართულის ადგილზე გამოიყვანეს ახ., გარედან მრგვალი, ხოლო შიგნიდან ოთხკუთხა სართული. მასში შესასვლელი აღმ-იდანაა, რ-საც სპეციალურად აგებული გადასასვლელი ადგება. შიგნით, შესასვლელის გვერდით, აღმ. კედელშივე, ოთხკუთხა ნიშაა (სიმ. – 72,5 *სმ*, სიგ. – 88 *სმ*), რ-ის გარეთა, ზედა კუთხეები ნალესობით გამოყვანილი კედლითაა შევსებული და ისეა დამუშავებული, რომ ფარდას წააგავს.



209. ნათლისმცემელი. საცხოვრ. ქვაბი. მორთულობის დეტალი

1782 წელს დავითის ლავრის გამოქვაბულ ეკლესიაში დაკრძალეს უფლისწულ გიორგის [შემდგომში ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-1800 წწ.) გიორგი XII. ლიტ-რაში ზოგჯერ გიორგი XIII-ის სახელითაც იხსენიება] მეუღლე, ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის შვილი ქეთევანი. ამის შედეგად ლავრის მონასტერმა უხვი ძღვენი მიიღო. იმ დროსვე მან ააგო კანკელი, რ-იც დღემდეა შემორჩენილი.

როგორც აღინიშნა, დოდორქის მონასტერი XVIII საუკუნის შუა ხანებში გაუდაბურებული იყო, მაგრამ მის გაუკაცრიელებამდე, 1751-1760 წლებს შორის, აქ გამოიკვეთა წინამძღვრის სენაკი, რ-იც



209. ნათლისმცემელი. საცხოვრ. ქვაბი

მონასტრის ახალ სატრაპეზოსთან ვიწრო კორიდორით იყო დაკავშირებული. ოთახი გეგმით კვადრატულია (3,6x3,6 *მ*), მისი თითოეული კედელი სიმაღლეში დაყოფილია სამ ჰორიზონტალურ ზოლად. მათგან შუა ზოლი, რ-იც მოჩარჩოებულია ნალესობაში ნაკვეთი ჩუქურთმით, შვეული ზოლებით სამ მონაკვეთადაა დაყოფილი. ჩრდ. და აღმ. კედლებზე ნიშებია. აღმ. კედლის ნიშა ბრტყელია, ჩრდ-ისა კი – გაცილებით ღრმა. მისი უკანა კედელი სამწახნაგოვანია, რ-თა ზედა ნაწილები სტალაქტიტებით ერთიანდება. სამხრ. კედლის შუა მონაკვეთში სარკმელია გაჭრილი. დას. კედელი სხვაგვარადაა გაწყობილი. აქ კარი კედლის ჩრდ. ბოლოსთანაა. კედლის დანარჩენი ნაწილი კი სადაა. ოთახის ჭერი შუა ნაწ-



209. ნათლისმცემელი. იოანე ბოდბელის სენაკი


ილში, ისევე როგორც ლავგარდანი, ნაკვეთი ჩუქურთმითაა მორთული.

მოგვიანებით, უფლისწულ გიორგისთვის, დავითის ლავრაში, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის წინ, გამოიკვეთა (როგორც ჩანს, მეუღლის გარდაცვალებამდე) ოთახი, მცირე ზომის ტერასით მის წინ. დავითგარეჯის მრავალმთის მონასტრებში ეს ყველაზე მოხდენილი, მდიდრულად მორთული სათავსია ამ ტიპის მორთულობის მქონე სათავსებს შორის. იგი კლდეშია გამოკვეთილი, რ-შიც კლდეშივე ნაკვეთი კიბით ავდიოვართ.

ოთახი გეგმით სწორკუთხაა (4,6x3,6 მ). შესასვლელი მას ღია ბაქნიდან აქვს. კარის გვერდით, დიდი სარკმელია, რ-იც თითქმის იატაკის დონეზე იწყება. დოდორქის წინამძღვრის სენაკის მსგავსად, კედლებისა და ბრტყელი ჭერის საზღვარზე, აჟურული ლავგარდანია, ხოლო ჭერის შუა ნაწილში, ისევე როგორც კუთხეებში – ნალესობაზე ნაკვეთი ჩუქურთმები. ლავგარდნის ქვემოთ მარტივი პროფილის, მთლიანად მოჩუქურთმებული თაროა. უკანა კედელზე, თაროს ქვემოთ, ორი ნიშაა, მოჩუქურთმებული ჩარჩოთი. თავად ნიშებს ორიგინალური ფორმა აქვს, რაც უცხო არ არის ლავრის მონასტრის სხვა სათავსებშიც. ისევე როგორც დოდორქაში, აღმ. კედელზე, მდიდრული, სამ ნაწილად გაყოფილი ზოლია. ნაწილები აჟურული ჩუქურთმითაა მორთული. მათი ჩარჩოები რელიეფურია.

ამ ოთახის ქვემოთ კიდევ ერთი ოთახია, უხეში, აჟურული მოპირკეთებით გაწყობილი სამი ნიშით.

ნაკვეთი ჩუქურთმებით დამშვენებული რამდენიმე ოთახია ნათლისმცემლის მონასტერშიც. კერძოდ, მის აღმ. ნაწილში, სენაკების ზედა რიგში, ვინმე ავალიშვილის კომპლექსია, რ-იც სამი ოთახისგან შედგება. მათგან შუა ოთახის ოთხივე კედელში ტეხილთაღიანი თითო ნიშაა. ჩრდ. ნიშაში ტახტია. ნიშის სამივე კედელში თითო, პატარა ნიშა-თაროცაა გამოკვეთილი. ოთახის აღმ. კედელზე სამი დიდი არეა, რ-ებიც ერთმანეთს მოჩუქურთმებული ჩარჩოთი უკავშირდება. ჩუქურთმის მოტივად ვაზია



209. ნათლისმცემელი. იოანე ბოდბელის სენაკი. ინტერიერის დეტალი

აღებული. სამივე არის ზემოთ, მხედრულით შესრულებული რელიეფური წარწერაა, ხოლო ცენტრში – გაფერადებული ჯვარი. წარწერაში, მოხსენიებულია ავალიშვილის გვარიც.

ხსენებულ ოთახს დას-იდან უერთდება სრულიად უბრალო ოთახი, აღმ-იდან კი მცირედ


გაწყობილი, კვადრ. ოთახი, რ-შიც ბუხარი და რამდენიმე სწორკუთხა ნიშაა – ჩრდ. კედელზე სამი, აღმ. და დას. კედლებზე კი – თითო-თითო. აღმ. კედელზე თაროცაა. ჭერის შუაში პლაფონია, საიდანაც, ოთახის სამხრ. და ჩრდ. კედლებისაკენ, მრუდხაზოვანი საფეხურები გადადის. აღმ. და დას. კედლები კი ჭერის შესაბამის მონაკვეთს პირდაპირ კვეთს. შესასვლელი დას-იდანაა, სარკმელი – სამხრ-ით. სამივე ოთახის წინ ტერასაა, ცეცხლის დასანთები ადგილით ბოლოში.



209. ნათლისმცემელი. იოანე ბოდბელის კოშკი

ამ ოთახების გვერდით მდებარეობს მეორე კომპლექსი. კომპლექსის სათავსებს შორის, ერთი სათავსის ჩრდ. კედლის ნიშაში ტახტი და სამი მცირე ზომის ბრტყელი ნიშაა, რ-ებსაც გარშემოუყვება რელიეფური, ერთმანეთთან დაკავშირებული, მოჩუქურთმებული, წითლად შეღებილი ჩარჩო. ჩუქურთმის მოტივი ჩვეულებრივია – გვიან-ისლამური, მცენარეული სტილიზაცია.

მონასტრის დას. ბოლოში, იოანე ბოდბელის კოშკის (აგებულია 1817 წელს) ქვემოთ, მდებარეობს ხუთი ოთახისგან შემდგარი კომპლექსი, რ-იც ყველა ნიშნებით XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს გამოკვეთილი. ამ ოთახებიდან დას-ით მდებარე სამი ოთახი, ერთ მთლიანს ქმნის, აღმ-ით მდებარე ორი ოთახი კი – განცალკევებულია. აღმ. ორივე ოთახი გამოკვეთილია ადრე არსებული გამოქვაბულების ადგილზე და მორთულობის მხრივ ღარიბია. სამი დანარჩენი ოთახი ერთმანეთთან დაკავშირებულია ღია ტერასით, რ-ის დგარი ლავგარდნით. მთავარ ოთახს აქვს ტახტი, რ-იც ოთახის სივრციდან გამოყოფილია სამი მრგვალი სვეტით და მათზე დაყრდნობილი არქიტრავით. არქიტრავს შუა ნაწილში, მთელ სიგრძეზე, გაუყვება ფაქიზი ტონალობის ლურჯი,



209. ნათლისმცემლის მონასტერი (დმ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს-ის 80-იანი წლები)

კედლები სუფთადაა შელესილი და მორთულია მოხატული, მოჩუქურთმებული არშიითა და კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის რიგების მონაცვლეობით შემმწვანე და ოქროს ფერებით მოხატული მცენარეული სახეების ზოლი, რ-იც შავი ფერის ჩარჩოშია მოქცეული. ნიშის უკანა კედელზე, რ-ზეც ტახტია მიდგმული, მოწყობილია მცირე

ზომის, ოთხი სწორკუთხა ნიშა, გვერდით კედელში კი თითო ნიშა – შანდლისათვის. ოთახის აღმ. და დას. კედლებში – ასევე ნიშებია. ლავგარდნის გარდა, მოხატულია ჭერის შუა ნაწილი და მისი შესაბამისი ნაწილები ლავგარდანთან. საღებავები უხეშია – ლურჯი სხვა ტონალობისაა, ვიდრე ლავგარდანში.

ოთახის საერთო პროპორციები სავსებით ტიპურია XVIII საუკუნის მიწურულის სახლებისათვის, როგორც დას. ევროპაში, ისე აღმოსავლეთშიც. საყურადღებოა შეფერადებული, აღმოსავლური მოტივებისა და ევროპული არქიტექტურის სვეტების ურთიერთდაკავშირება.

1817 წელს ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი, მონასტრის კლდის თხემზე აგებს კოშკს. კოშკზე არსებული წარწერის თანახმად, იოანე ბოდბელს ნათლისმცემლის მონასტერში თავდაპირველად აუგია პალატი, შემდეგ სამრეკლო, ბოლოს კი კოშკი. იგი მრგვალია, აქვს მოხდენილი პროპორციები და ზემოთკენ ოდნავ შევიწროებულია. გარედან კოშკს გასდევს ცისფრად მოჭიქული კერამიკით გამოყვანილი ორი ზოლი. ერთი ზოლი კოშკის სიმაღლის 2/3-ზეა, ხოლო მეორე – თავში, რ-ის ზემოთ თავმომრგვალებული ქონგურებია აღმართული. ქონგურებიც ასეთივე მოჭიქული აგურებითაა მოპირკეთებული. კოშკის კედელზე, სამხრ-ით, მსგავსი ფერის აგურებით, გამოსახულია დიდი ჯვარი. კოშკის სიმაღლის 1/3-ზე, ლურჯ ჩარჩოში, მოქცეულია მარმარილოს დაფა, რვასტრიქონიანი წარწერით. კოშკში შესასვლელი, კლდეში გამოკვეთილი გრძელი კიბითურთ, ქვემოდანაა, გამოქვაბულის მეორე სართულიდან. ეს სასვლელი ხუთი ოთახისგან შემდგარ კომპლექსში იწყება, მიტროპოლიტისავე პალატის წინ. კლდეში გამოკვეთილ კიბეს თავად კოშკის კიბე ერთვის. ვიწრო კიბის რამდენიმე მარშის ავლის შემდეგ, სარკმლით განათებულ,ბოლო მარშის თავზე ვხვდებით – გუმბათით გადახურულ, სრულიად ბნელ, კვარდატ. ოთახის შესასვლელის წინ. შესასვლელი კარის მოპირდაპირედ მეორე კარია, რ-ითაც კედლის სისქეში არსებულ, კოშკის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე ვხვდებით. მეორე სართული სამი სარკმლითაა განათებული. ამ სართულზე ბუხარი და ექვსი თაღოვანი ნიშაა. კედლები ქვისაა, კამარა და ნიშების თაღები – აგურის. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა, ერთიმეორის მიმართ ოდნავ გადმოშვერილი წყობის შვიდი რიგის საშუალებით ხდება. კოშკის მესამე სართული ქონგურებიანი კედლით შემოვლებული ბანია.

მონასტერში, კოშკის გარდა, იოანე ბოდბელმა სამრეკლოც ააგო, რ-იც ამჟამადაც დგას. სამრეკლო სატრაპეზოს თავზეა გამოყვანილი. წარმოადგენს მცირე ზომის, რვასვეტიან, გახსნილ ფანჩატურს, ცისფრად მოჭიქული აგურით გამოყვანილი ლავგარდნითა და აგურისავე, რვაწახნაგოვანი სახურავით. მონასტრის სატრაპეზოს კედელზე ოსტატების გრაფიტოს მიხედვით – იგი აგებულია 1813 წელს ვინმე „დურგალი გიორგის“ მიერ.

ნათლისმცემლის მონასტრის გარდა, ამ პერიოდში, სამშენ. სამუშაოები ლავრის მონასტერშიც ჩატარებულა. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1808, 1809 და 1810 წლებში შეუკეთებიათ და აღუდგენიათ ზღუდე, შესასვლელი, სახლი და კოშკი. მიუხედავად ამისა, დოკუმენტებიდანვე ცხადი ხდება, რომ ამ პერიოდში მონასტერი დიდ სიდუხჭირეს განიცდის. ბერების რაოდენობა უდაბნოებში შემცირებულია. სახსრები კი მხოლოდ საცხოვრ. სათავსების მოწყობას და მათ რემონტს ხმარდება, ასეთი სურათია გარეჯის მრავალმთის მონასტერთა ცხოვრებაში XIX საუკუნის განმავლობაში.

თ. დვალი.





დავითგარეჯის მრავალმთა. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობა. „ჯვრის ამაღლება“. დეტალი

⇦ დავითგარეჯის მრავალმთა. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (მარჯვნივ) და წამებულის კომპლექსი (მარცხნივ).

მოხატულობა

გარეჯის მრავალმთის გამოქვაბულ-მონასტრებში შემორჩენილი ძვ. ქართ. არქიტ. და მონუმ. მხატვრობის ძეგლები მსოფლიო მნიშვნელობისაა.

სამონასტრო კომპლექსები, რ-შიც შედის ეკლესიები, სატრაპეზოები, ბერების სენაკები და სამეურნეო დანიშნულების სათავსები, გამოკვეთილია მდინარეების მტკვრისა და ივრის აუზების წყალგამყოფ მაღალ, მცენარეულ საფარს მოკლებულ მთების კალთებში. გარეჯის ეს ნაწილი თავისებური სილამაზით გამოირჩევა უსასრულო ტალღებად გადაჭიმული მთაგრეხილებით, მათი მეტად უცნაური ფორმის განშტოებებითა და განათების შესაბამისად, ნაზი ოქროსფერი ან ვარდისფრიდან ვაბლისფერ ფითელში გარდამავალი შეფერილობით.

VI საუკუნეში გარეჯში მონასტრების დაარსება ერთ-ერთი ასურელი მამის – დავითის სახელს უკავშირდება, რ-იც სამშობლოში, სხვა ასურელ მამებთან ერთად, სირიიდან მონოფიზიტთა დევნის გამო დაბრუნდა. გარეჯის მონასტრების ისტორია მოიცავს ვრცელ პერიოდს VI საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. X საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, გარეჯის მონასტრების აყვავების ხანაა. ამ პერიოდში გარეჯა წარმოადგენდა ძლიერ, რელიგიურ და კულტ.-საგანმან. ცენტრს, სადაც ეროვნული კულტურის განვითარებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. აქ შეიქმნა ადგილ. სალიტერატურო და ფერწერული სკოლები.

მხატვრობა, რ-იც ამკობს აქაური სამონასტრო კომპლექსების ეკლესიების, სატრაპეზოების, ბერების სენაკების ინტერიერს, შექმნილია ადგილ. ფერწერული სკოლის წარმომადგენელი მხატვარი ბერების მიერ.

გარეჯის მონუმ. მხატვრობის და არქიტექტურის ძეგლების პირველი მკვლევარი, გამოჩენილი მეცნიერი, ქართ. ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი გ. ჩუბინაშვილია. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრები“ მეცნიერმა წარმოაჩინა გარეჯის მონასტრების ისტორია მათი დაარსებიდან XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. არქიტექტურის ძეგლების მიხედვით, სისტემაში მოიყვანა და მეცნიერულად დაამუშავა უამრავი მასალა, გამოავლინა ძირითადი არქიტ. თემები, განსაზღვრა მონასტრების დაარსების თარიღი და განვითარების ეტაპები, წარმოაჩინა ქართ. გამოქვაბულის არქიტექტურის სპეციფიკა.

გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრები“ გარეჯის მონუმენტურ მხატვრობას ცალკე თავი ეძღვნება. მასში ნაჩვენებია გარეჯის ფერწერის ევოლუცია. გამოვლენილია და დახასიათებულია მისი თვითმყოფადი ნიშნები. მეცნიერმა ამ კვლევის საფუძველზე დაადგინა ფერწერის ადგილ. სკოლის არსებობა, განსაზღვრა გარეჯის მონუმ. მხატვრობის მნიშვნელობა, როგორც ქართ., ისე ზოგადად შუა საუკუნეების ფერწერის ისტორიისათვის.

გ. ჩუბინაშვილმა თავისი გამოკვლევით საფუძველი ჩაუყარა, როგორც დავით გარეჯის ძეგლების შესწავლას, ისე მის მიერვე გამოვლენილ, ზოგადი პრობლემების დამუშავებას.

გარეჯის ფერწერული სკოლის განვითარების ხანაა IX-XIII საუკუნეები. გარეჯის სკოლა ვითარდებოდა შუა საუკუნეების ქართ. მხატვრობის განვითარების საერთო გზით, მაგრამ მას ინდივიდუალური თავისებურებებიც გააჩნია, ძირითადად, იკონოგრაფიასა და კოლორიტში. გარეჯის ფერწერას სპეციფიკურ, ადგილობრივ ხასიათს ანიჭებს გარეჯის დამაარსებლის, წმ. დავითის გამოსახულებები და მისი ცხოვრების ამსახველი სცენები, რ-შიც აშკარად ჩანს ბუნებისა და ცხოველების სიყვარული. ნათელი კოლორიტი მხატვრობას ხალისიანს ხდის. მეტად მაღალია ფერწერის შესრულების საერთო მხატვრული და ტექნიკური დონე. ზოგიერთი მათგანის დამკვეთი, როგორც სასულ. ისე საერო ხელისუფლების მაღალი წოდების წარმომადგენელია (შემორჩენილია თამარ მეფის,



209. საბერეები. №3 ეკლ. საკურთხევლის აფსიდი. „ქრისტეს დიდება“

ლაშა-გიორგის, დემეტრე II თავდადებულის, ეპისკოპოს იოანეს, კახეთის ფეოდალების და სხვათა პორტრეტები).



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. ეკლ. აფსიდის კონქის მოხატულობა. „ქრისტეს დიდება“

გარეჯის მხატვრობის ქვედაზე ადრინდ. ნიმუშები IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ადგილ. ფერწერული სკოლა, რ-ის შექმნა განისაზღვრა გარეჯის მონასტრების ისტ. პირობებით. IX საუკუნის შუა ხანიდან, ილარიონ ქართველის საქტიტორო მოღვაწეობის პერიოდიდან, იწყება გარეჯის მონასტრების განვითარების ახალ გზაზე გადასვლა. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდშივე დაიწყო წმ. დავითის მიერ დადგენილი, ასკეტური ცხოვრების წესისაგან თანდათანობით განდგომა.

IX საუკუნის არქიტექტურაში დეკორატ. ელემენტების განვითარებაზე დაკვირვებამ გ. ჩუბინაშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ პერიოდში გარეჯის სავანეებში იწყება შეძლებული და კომფორტული ცხოვრება, რამაც, ღვთისმსახურების განვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ეკლესიების მოხატვას. ამას მოწმობს საბერეების, დოდოს, წამებულის IX–X საუკუნეების ფერწერის შემორჩენილი ნიმუშები. ისე, როგორც VIII-X საუკუნეების ქართ. მონუმ. მხატვრობის სხვა ძეგლები, ყველა ეს ნიმუში, ძირითადად, ლაკონური დეკორის უფრო ადრინდ. ტრადიციას (ჯვარი VI ს., წრომი VII ს.) მისდევს, როცა იხატებოდა მხოლოდ აფსიდი და გუმბათი, ხოლო ინტერიერის დანარჩენი ნაწილი მოუხატავი რჩებოდა (ერწოს სიონი – X ს., ნესგუნი – IX-X სს., ოთხთა ეკლ. – X ს.). გარეჯში ასეთი სისტემა გამოყენებულია წამებულის დარბაზული ეკლესიის X საუკუნის მოხატულობაში. მაშინ, როდესაც საბერეების IX საუკუნის ორ და X საუკუნის კიდევ ორ მოხატულობაში, აფსიდთან ერთად, ზოგჯერ მოხატულია გუმბათი და ასევე ჩრდ. კედელიც. სამხრ. და დას. კედლებს თუმცა ლესავდნენ, მაგრამ არა მოსახატავად.

ფერწერა ასევე წარმოდგენილია ეკლესიების ეგვტერებშიც. იგი ამკობს აფსიდსა და კედლების ზოგიერთ ნაწილს. ეს ჯერ კიდევ დეკორის ნაწილობრივი, არასრული სისტემის მხატვრობაა, რამაც ნიადაგი მოუმზადა ეკლესიების სრულ მოხატულობას, რაც ქართულ ტაძრებში დამკვიდრდა ცოტა მოგვიანებით, X-XI საუკუნეების მიჯნაზე.

დავითის ლავრის აღმ-ით, მდ. ივრის გაყოლებაზე მდებარე, შედარებით პატარა სავანე, საბერეები შედგება ოთხი



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. ეგვტერი. აფსიდის კონქის მოხატულობა. „ღვთისმშობლის დიდება“

მოხატული ეკლესიიდან, რ-გან ერთი დარბაზულია, დანარჩენი სამი – გუმბათიანი. ამ სამ გუმბათიან ეკლესიას ეგვმის

მიხედვით, პირობითად, Croix Libre შეიძლება ეწოდოს. ამ ეკლესიების მხატვრობამ ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია. სატრაპეზო მოუხატავია.

ოთხივე ეკლესიის უაღრესად ლაკონურ მოხატულობაში, შემდგომში ქართ., მათ შორის გარეჯის, ეკლესიების საკურთხევლის მოხატულობაში ერთ-ერთი მთავარი კომპოზიცია გახდა.

ამ კომპოზიციების იკონოგრაფია კავშირს ამჟღავნებს აღმ.-ქრისტ. წრის ძეგლებთან (სირია, პალესტინა, ეგვიპტე, კაპადოკია), ამავდროულად



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. ეკლ. აფსიდის მოხატულობა. დეტალი

მხატვრების მიერ დაცულია ერთიანი პრინციპი – მოხატულია ინტერიერის, ფუნქციონალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაწილები: გათვალისწინებულია კომპოზიციათა თვალმისაწვდომობა, ერთნაირადაა შერჩეული გამოსახულებებიც. საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახულია „ქრისტეს დიდება“ – ქართულ ეკლესიებში X საუკუნის ბოლომდე ამ ადგილისათვის განკუთვნილი ერთადერთი კომპოზიცია (ერწოს სიონი, ნესგუნი, ოთხთა ეკლ.). ჩრდ. კედელზე მოთავსებულია „ჯვარცმა“ ან ცხენოსანი წმ. მეომრების – წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ჰერალდიკური კომპოზიცია.

ნიშანდობლივია, რომ საბერეებში, ეგვტერების საკურთხეველში წარმოდგენილი „ღვთისმშობლის დიდების“ თემა ანალოგიებს პოულობს VI-IX საუკუნეების ქართ. ხელოვნების ძეგლებთან (ხანდისის VI ს., მარტვილის VII ს., წებელდის VII-VIII სს., გველდესის VIII-IX სს. რელიეფები; მინანქრის ნიმუშები – ხახულის კვადრიფოლიუმი, VIII ს., მარტვილის ტრიპტიქონი, IX ს-ის ბოლო და სხვა). ეს მოწმობს, რომ აღნიშნული გამოსახულებები საქართველოში ადრეული ხანიდან გავრცელდა. ზოგიერთი წმინდანის განსაკუთრებული თაყვანისცემა უკავშირდება უძველეს ადგილობრივ კულტებს (მაგ.: წმ. გიორგი მთავარის წარმართულ ღმერთთან ასოცირდება, ღვთისმშობლის კულტის ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია უძველეს ლეგენდასთან, რ-ის თანახმად, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა). ამგვარად, საბერეების კედლის მხატვრობაში ქართ. მხატვრები აგრძელებენ ქართ. ხელოვნებისათვის ტრადიციულ გამოსახულებების დამკვიდრებას.

საბერეების ლაკონური ფერწერის ნიმუშებში თემები ერთნაირადაა შერჩეული, მაგრამ კომპოზიციების სხვადასხვა ვარიანტია წარმოდგენილი. სხვადასხვაგვარია მათი მხატვრული გადაწყვეტაც.

საბერეების ორი ეკლესიის (№ 5 – დარბაზული ტიპისაა, № 6 – გუმბათიანი) აფსიდში IX საუკუნის ფერწერა, არქიტექტურის შესაბამისად, ორ რეგისტრადაა განლაგებული, მაგრამ ჩრდ. კედლის თაღში, ან ჩრდ. მკლავში, სიუჟეტური კომპოზიციები წარმოდგენილია დიდი ზომის „ხატების“ სახით. კედლის „ხატების” ადრინდ. ნიმუშები ცნობილია რომის სანტა მარია ანტიკვას (VII-VIII სს.) და თესალონიკის წმ. დემეტრეს ეკლესიების (VII ს.) მოხატულობიდან. მათ აქვთ ვოტივური და სულის მოსახსენიებელი მნიშვნელობა. „ხატების” ამგვარ ხასიათზე საბერეების მოხატულობაში მიუთითებს სავედრებელი წარწერა ცხენოსანი წმინდანების – გიორგისა და თევდორეს, კომპოზიციაში (ეკლ. № 5), ხოლო №6 ეკლესიაში „ჯვარცმის“ გვერდით



209. საბერეები. №4 ეკლესიის ჯგუფი. გვტერი. ცხენოსანი წმინდანი. დეტალი

მამაკაცის, როგორც ჩანს, ქტიტორის ფიგურა ორანტას მავედრებელ პოზაში. ხატისებრი ხასიათის კომპოზიციები გვხვდება აგრეთვე კაპადოკიის XI



209. საბერეები. №3 ეკლ. აფსიდის მოხატულობა „ქრისტეს დიდება“. დეტალი

საუკუნის ფერწერის ნიმუშებში (მაგ. გერემი, მე-18 კაპელა და სხვ.).

საბერეების ქველაზე ადრინდ. დარბაზული ეკლესიის (№5) მხატვრობის ავტორი აშკარად ნიჭიერი, მაგრამ არცთუ მაღალი, პროფესიული დონის ოსტატია. აფსიდის კონქში იგი ათავსებს „თეოფანიის“ (გამოცხადების) ტიპის „ქრისტეს დიდების“ საზეიმო კომპოზიციას, რ-მაც ფართო გავრცელება ჰპოვა აღმ.-ქრისტ. ძეგლებში (სირია, პალესტინა, ეგვიპტე, კაბადოკია). ამ სცენის იკონოგრაფიას, რ-იც გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით, უმთავრესად საფუძვლად უდევს წინასწარმეტყველების ესაიას და იეზეკიელის ხილვები. საბერეებში წარმოდგენილია აღმოსავლური წარმოშობის კომპოზიციის ერთ-ერთი რედაქცია: ტახტზე მჯდომი ქრისტე, თავზე ჯვრული, დიდი შარავანდით, რ-იც ერთი ხელით აკურთხებს, მეორეში კი გადაშლილი სახარება უჭირავს. ქვემოთ, ტახტის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, წარმოდგენილია ექვსფრთედები ცეცხლოვან ბორბლებზე. მათი ფრთები და ქრისტეს ტახტი დაფარულია „თვალებით“. ქრისტეს ფეხებთან გამოსახულია ცხოველთა პროტომები: მარცხნივ – ლომის, მარჯვნივ – ხარის. კომპოზიცია დასრულებულია მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის ფეხზე მდგომი, ფრონტალური



209. საბერეები. №3 ეკლ. აფსიდის მოხატულობა „ქრისტეს დიდება“. დეტალი

ფიგურებით. ერთი ხელი მათ ქრისტესკენ აქვთ გაშვერილი, ხოლო მეორეში გრაგნილი



209. საბერეები. №8 ეკლ. აფსიდის მოხატულობა „ქრისტეს დიდება“

უკავიათ (მთავარანგელოზების გამოსახულება იმპერატორთა იკონოგრაფიასთანაა დაკავშირებული). ზემოთ, მარჯვნივ, ცაზე შემორჩენილია ვარსკვლავის გამოსახულება. სახარების ტექსტი და ფიგურების წარწერები ასომთავრულითაა შესრულებული. აფსიდის კედლის რეგისტრში წარმოდგენილია ფეხზე მდგომი ღვთისმშობლისა და ასევე ფეხზე მდგომი მოციქულების ფიგურები. აფსიდის ფერწერის სქემაში ამ ფიგურების შეყვანა „ამაღლებასთან“ არის დაკავშირებული.

კონქის მხატვრობა, დიდი ზომის ფიგურებით და სიმეტრიული აგებით, ხაზგასმით მონუმენტურია. რიგი იკონოგრაფიული დეტალი (მასიური ტახტის ფორმა, მთავარანგელოზების მოკლე, სიგრძით მუხლქვემო, ულორონო ტანსაცმელი, გრაგნილები მათ ხელში) ადრინდ. ქრისტ. ხანის ხელოვნების ნიმუშის გამოყენებას მოწმობს.

მხატვრობის კოლორიტი ნათელი და ხალისიანია, მხატვარი ძირითადად იყენებს სხვადასხვა ელფერის ოქრას (ოქროსფერი, ვარდისფერი, ინტენსიური მოწითალო-ყავისფერი), აგრეთვე თეთრ და შავ საღებავებს. მძღერი კოლორიტი ფერწერას „ხალხური“ მხატვრობის ნიმუშებთან აახლოებს (მაგ. 864

წლის არმაზის საკურთხევლის კანკელის მოხატულობა).



209. საბერეები. №7 ეკლ. ჩრდ. მკლავი. „ჯვარცმა“

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აფსიდის გვერდით, ჩრდ. კედლის აღმ. თაღში, დამატებით სათავსში, შესასვლელი კარის თავზე, გამოსახულია ერთმანეთისაგან მიმართული ცხენოსანი წმ. მეომრები – წმ. გიორგი და წმ. თევდორე. ეს გამოსახულებები, დარბაზში სხვა კომპოზიციის არარსებობის გამო, აქცენტირებულად აღიქმება. სწორედ ამ გამოსახულებების შერჩევა, მათი განთავსება თაღის ზედა ნაწილში (თითქოსდა უმაღლეს ზონაში) და სცენის სავედრებელ ხატად გააზრება, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოში ამ წმ. მეომრების, განსაკუთრებით კი წმ. გიორგის, დიდ პოპულარობას.



209. საბერეები. №7 ეკლესიის მოხატულობა. „ჯვარცმა“. დეტალი

ეგვტერიდან ეკლესიის აფსიდში, შესასვლელის ტიმპანში მოთავსებული ჯვარცმის კომპოზიცია შინაარსობრივად, უშუალოდ უკავშირდება აფსიდის კონქის კომპოზიციას – თეოფანიას (ერთმანეთთან დაპირისპირებულია ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილი და მისი დიდება). ამგვარად, ეს ორი სცენა ასახავს ქრისტ. მოძღვრების ძირითად დოგმატს. ჯვარცმის კომპოზიცია მისდევს სირიულ-პალესტინური იკონოგრაფიის ადრინდ. რედაქციას: ქრისტე გამოსახულია წითელ კოლობიუმში, ხოლო ჯვარცმულ ავაზაკებს ხელები ჯვრის კადონის უკან აქვთ გადაწყობილი.

ეს მოხატულობა, საბერეების ფერწერის სხვა ნიმუშების მსგავსად, ნათლად წარმოაჩენს მხატვრული გამომსახველობის ახ. ხერხების ძიებით გამორჩეულ, VIII-X საუკუნეების ქართ. მონუმ. მხატვრობის დამახასიათებელ ნიშნებს. ელინისტ. ტრადიციების გამოძახილი, რ-იც ჯერ კიდევ ადრინდ. ქრისტ. ხანის ძეგლებში შეიმჩნევა, თანდათანობით იდევნება ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებთან დაკავშირებული, ხაზოვან-სიბრტყობრივი სტილით.

ოსტატისათვის უცხო, ელინისტურ სკულპტურულ ტრადიციებთან დაკავშირებული ნიმუშის ფორმების ცვლილება შეიმჩნევა მთავარანგელოზების ზედმეტად დაგრძელებულ ფიგურებში, მასიური ფეხების უტრირებულ „მოცულობაში“, ხელების დიდი ზომის მტევნებში. თვალში საცემია ტანსაცმლის სწორი ხაზებით აღნიშნული ნაოჭები, თეთრას ლაქები, რ-ებიც ფორმას აბრტყელებს. მთავარანგელოზთა ფრთები „ბუმბულის“ გრაფიკულად მკაფიოდ გამოკვეთილი აბრისით დეკორატიულადაა დამუშავებული და მხოლოდ ქქვსფრთედის ხელის ლამაზი ფორმა, გრაგნილისათვის ხელის მტევნის მოვლების სწორად გადმოცემა და ტახტის დეტალების პერსპექტივაში გამოსახვა იმეორებს უფრო ზუსტად ადრინდ. ნიმუშს.

ამ დროისათვის აგრეთვე დამახასიათებელია დეტალების



209. საბერეები. №7 ეკლესიის მოხატულობა. „ჯვარცმა“. დეტალი

ექსპრესიული გადიდებით აზრობრივი მახვილების განლაგე-



209. საბერეები. №7 ეკლ. ჩრდ. მკლავი. კამარის მოხატულობა. დეტალი

ბა (ქრისტეს მაკურთხეველი ხელის მტევანი). წერის ხაზოვან-გრაფიკული მანერა და ექსპრესიული გამომსახველობა ამ მოხატულობას თელოვნის VIII-IX და არმაზის IX საუკუნეების მოხატულობებთან აახლოებს. ხაზგასმულად დიდი „თვალები“ ექვსფრედთა ფრთებზე და ტახტზე, ასევე მხატვრობის კოლორიტი და სატრიუმფო თაღის სოფიტსა და კაპიტელებზე სხვადასხვა ფერის (წითელი, ნაცრისფერი, შავი) ზოლებით შედგენილი, სადა ორნამენტი



209. საბერეები. №7 ეკლ. აფსიდი. „ქრისტეს ამაღლება“



209. საბერეები. №7 ეკლ. აფსიდი. „ქრისტეს ამაღლება“. დეტალი

აშკარა კავშირს ამჟღავნებს ხალხურ ხელოვნებასთან.

№6 ეკლესიის აფსიდის კონქში „ქრისტეს დიდების“ კომპოზიცია რამდენადმე განსხვავებული ვარიანტითაა წარმოდგენილი: ტახტზე მჯდომი ქრისტე ერთი ხელით აკურთხებს, მეორეში გადაშლილი სახარება უპყრია. ქვემოთ, მოჩარჩოებული(?), წელზედა ფიგურებია; ცხოველთა პროტომები გამოსახული არ არის. ტახტის ორივე მხარეს დგანან მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი, ხელში გრძელი, გაშლილი გრაგნილით (ტექსტი შემორჩენილი არ არის). ზემოთ, ცაზე, ჩანს ოთხი ვარსკვლავი. აფსიდის კედლის რეგისტრში გამოსახულია ღვთისმშობელი და მოციქულები.

ჩრდ. მკლავში (რ-იც საბერეების ყველა გუმბათიან ეკლესიაში წარმოადგენს არცთუ ღრმა ნიშას) „ჯვარცმის“ ხატისებრი კომპოზიციაა მოცემული (შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი). ამ სცენის აზრობრივი შეპირისპირება კონქის „თეოფანიასთან“ აქ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული, ვიდრე პირველ მოხატულობაში, რადგან ორივე სცენა ერთდროულად აღიქმება (ეს, არსებითად, აფსიდის მხატვრობის ერთიანი პროგრამის შემადგენელი ნაწილებია, რ-ის ანალოგი ადრეულ ძეგლებში მოიპოვება, მაგ. სანტა მარია ანტიკვას VII საუკუნის ბაზილიკის მოხატულობა. აქ კონქის „თეოფანია“ შეპირისპირებულია აფსიდის თაღის შუბლზე მოთავსებულ „ჯვარცმასთან“).



209. საბერეები. №7 ეკლესიის მოხატულობა. „ჯვარცმა“. დეტალი



209. საბერეები. №7 ეკლ. გუმბათი

ვიათ. მარჯვნივ გამოსახულია აგრეთვე წინასწარმეტყველი ნათანაელი.

ქართულ ხელოვნებაში ღვთისმშობლის გამოსახულება ადრეული ხანიდან გხვდება (საკურთხეველთა კანკელების რელიეფები – წებელდა VII-VIII სს., გველდესი VIII-IX სს. და სხვ.), მაგრამ ამ დროის ქართულ ხელოვნებაში ოთხი მთავარანგელოზის (მიქაელის, გაბრიელის, სურიელის, ურიელ-ყავისფერი, რ-საც ზოგჯერ ლილისფერი და ნაცრისფერი დაჰკრავს.

თუკი წინა ფერწერის შესრულების თავისუფალ მანერაში იგრძნობა მხატვარ მონუმენტალისტის ხელი, აქ მსუბუქად დატანილი, მოქნილი ხაზები მინიატურის წერის დახვეწილ მანერასთან ასოცირდება. 3/4-ით მიბრუნებული ფიგურები, ტანსაცმლის ნაკეცების რთული სისტემა, რ-იც ზოგჯერ სხეულის ფორმების მოცულობას ითვალისწინებს, ხასხასა წითელი ბაგეები, სახის ოვალის გასწვრივ დატანილი მწვანე „ჩრდილებით“ შექმნილი ფორმების მსუბუქი „რელიეფურობა“ ცხადად მიუთითებს იმ ნიმუშთან კავშირს, რ-შიც აშკარად იყო შენარჩუნებული ელინისტურ ხელოვნებაში გავრცელებული წერის ილუზიონისტური მანერა,მისთვის დამახასიათებელი ხერხებით. მაგრამ ეგვტერის მხატვრობაში მთავარანგელოზთა ძლიერ დამოკლებული ფიგურები, ტანსაცმლის ნაკეცების, ფრთების, აგრეთვე ორნამენტული ზოლის პალმეტებში მოთავსებული ადამიანების თავების (რ-საც დაკარგული აქვთ მსგავსება ცოცხალ ნატურასთან) გრაფიკული დამუშავება მიუთითებს ნიმუშის გადამუშავებაზე, იმ დროისათვის ქართულ ფერწერაში ჩამოყალიბებული მხატვრული ტენდენციების შესაბამისად.



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

აღქმის თვალსაზრისით, მხატვარს ასევე კარგი ადგილი შეურჩევია ცხენოსანი წმ. მეომრების დიდი ზომის ფიგურებისათვის (ამჟამად გაირჩევა ერთი მათგანის სილუეტი) ეგვტერის კედელზე, ინტერიერში, შესასვლელის თავზე, რითაც ამავე დროს ხაზგასმულია მეომრების, როგორც დამცველების ფუნქცია.

ეგვტერის შედარებით პატარა საკურთხეველში (წინა ეკლესიაში იგი არ შემორჩა) გამოსახულია „ღვთისმშობლის დიდების“ მონუმ. კომპოზიცია – ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ფლანკირებულია მთავარანგელოზებით – სურიელით (მარცხნივ) და ურიელით (მარჯვნივ), რ-ებსაც დახვეული გრაგნილები უკა-

ლილისფერი და ნაცრისფერი დაჰკრავს.

209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. დეტალი



საბერეების გუმბათიანი ეკლესიების X საუკუნის სხვა ორ მოხატულობაში, IX საუკუნის მხატვრობის ზემოხსენებული ნიმუშებისაგან განსხვავებით, თავს იჩენს ჩრდ. მკლავის შემკობის რამდენადმე განსხვავებული პრინციპი – კომპოზიციები უკვე მთელ კედელზეა განლაგებული (ანუ ხატის სახით არ არიან ერთმანეთისაგან განცალკევებული) და მხატვრობა მთავრდება იატაკიდან საკმაოდ მაღლა.



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. ჩრდ. კედლის მოხატულობა. დეტალი

საკურთხევლების აფსიდებში მოხატულობა კვლავ ორ რეგისტრადაა დაყოფილი. ორნამენტული ზოლები, ინტერიერის ამ ნაწილების არქიტ. დანაწევრების შესაბამისადაა განლაგებული აფსიდის და ჩრდ. მკლავის თაღებზე, მათი მოსაზღვრე კედლების მონაკვეთებზე, ნახევარსვეტებზე და ა. შ., რაც გარკვეულწილად აწესრიგებს აფსიდისა და ჩრდ. მკლავის მოხატულობას და მათ მხატვრული თვალსაზრისით ერთმანეთთან აკავშირებს. დიდ როლს თამაშობს გუმბათის ფერწერა (ჯვარი), რ-იც ასრულებს მხატვრობას (№5 ეკლესიის კამარა და № 6 ეკლესიის გუმბათი მოუხატავია).

ორნამენტის გაზრდილი როლი, ადრინდ. ქრისტ. ფერწერიდან ნასესხები, ელინისტ. წარმოშობის სხვადასხვა მოტივის – სიუხვის რქის, პალმეტის, გრეხილი ლენტის, საფეხურებრივი ორნამენტის გამოყენება აძლიერებს ამ მოხატულობების საერთო დეკორატიულ ეფექტს (№5 და 6 ეკლესიების სადა, გეომეტრიულ ორნამენტთან შედარებით).

ამგვარად, საბერეების X საუკუნის მხატვრობის ნიმუშებში შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები ფერწერული დეკორის საერთო სტრუქტურაში.

№7 ეკლესიის აფსიდში „ქრისტეს ამაღლების“ საზეიმო კომპოზიცია აღმოსავლური ტახტზე მჯდომი ქრისტე. იგი ერთი ხელით აკურთხებს და მეორეში სახარება უპყრია. ანგელოზების უკან, ცალკე, „თვალებით“ დაფარული ფრთებია გამოსახული, რ-შიც, როგორც ჩანს, მხატვარმა ექვსფრთედები იგულისხმა. „თვალებითაა“ დაფარული აგრეთვე, ქვემოთ, მანდორლის ორივე მხარეს გამოსახული წყვილი ბორბალი. ქვედა რეგისტრში კედლებზე გამოსახული ყოფილან (თუ ვიმსჯელებთ ფერწერის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით) ფეხზე მდგომი ფიგურები: ცენტრში – ღვთისმშობელი ორანტა და მოციქულები, რ-იც ამავე კომპოზიციას ეკუთვნიან. ამგვარად, ეს კომპოზიცია, რ-იც წინასწარმეტყველთა ხილვების მოტივებიც შედიოდა (ექვსფრთედები, თვალებიანი ბორბლები) ასევე გამოხატავს თეოფანიის განზოგადებულ იდეას. ამ ტიპის კომპოზიცია, ა. გრაბარის ინტერპრეტაციით, განსაზღვრულია, როგორც “Vision Theophanique” მოწმეთა წინაშე. ღვთისმშობლის გამოსახულება განასახიერებს განკაცების



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „ირმების წყლა“

რედაქციითაა წარმოდგენილი (რაბულას სახარება).

ფერად მანდორლაში, რ-იც ორ ანგელოზს უკავია, მოცე-

იდეას. აფსიდის სივრცეში ოსტატურადაა ჩაწერილი ამაღლების მონუმ. კომპოზიცია.

ეკლესიის ჩრდ. მკლავში, ისევე როგორც წინა №6 ეკლესიაში, წარმოდგენილია „ჯვარცმა“, მაგრამ აქ მრავალფიგურიანი კომპოზიცია ფართოდ არის გაშლილი ინტერიერის მთელ ჩრდ. ნაწილში ისე, რომ მისი არქიტ. დანაწევრება მხედველობაში არ არის მიღებული. მკლავის კედელზე, ცენტრში, ხაზგასმულადაა წარმოდგენილი ჯვარი და ჯვარცმული ქრისტე ცისფერ კოლობიუმში. მხრებში გაშლილი ქრისტეს პოზა მიუთითებს, რომ ის ტრიუმფატორის სახითაა წარმოდგენილი (ასეთივე პოზაში და ცისფერ კოლობიუმში ქრისტე გამოსახულია კაბადოკიის IX-XI საუკუნეების ფერწერის ძეგლებში – ირქოლა, კოკარქილისე და პიურენლი ქილისე). ქრისტეს ორივე მხარეს ჯვარცმული ავაზაკებია გამოსახული. სირიულ-პალესტინური რედაქციის თანახმად, მათ თოკით შეკრული ხელები ჯვრის კადრის იქით აქვთ გადაწყობილი, თოკის ბოლოებს კი ქვემოთ მდგომი მცველები ეჭაჭებიან. ქრისტეს მარჯვნივ დგას ქალი. მას თავზე გვირგვინი ადგას და ხელში ჭურჭელი უჭირავს, რ-იც მაცხოვრის სისხლი ჩაედინება. ეს მიწიერი ეკლესიის განსახიერებაა (მისი ანალოგიები დასავლეთ-ევროპულ ხელოვნებაში მოიპოვება), რ-შიც ხაზგასმულია კომპოზიციის დოგმატური ხასიათი. ქრისტეს მარცხნივ, იოანე ღვთისმეტყველის ნაცვლად, დგას მეომარი. მას ერთ ხელში ღრუბელწამოცმული ჭოკი უჭირავს, მეორეში – ძმრიანი ჭურჭელი.




209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „ლაზარეს აღდგინება“



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „განკითხვის დღე“

ზემოთ, მკლავის გვერდით კედლებზე, მხატვარმა ლურჯ, ვარსკვლავებიან ცაზე, დიდ მედალიონებში ჩაწერილი მზისა და მთვარის პერსონიფიცირებული გამოსახულებები მოათავსა, რ-თა ქვეშ, მარჯვნივ, ტაძარია გამოსახული, მარცხნივ კი – აღმოსავლური წესის მიხედვით ფეხმოკეცილი ორი ქალი. უფრო ქვევით, მკლავის კედლების შედარებით პატარა მონაკვეთებზე, კიდევ ერთხელ არიან წარმოდგენილნი ქრისტე ჯვრული შარავანდით, აღმოსავლური ყაიდის შარვალში (იშვიათია), ღვთისმშობელი და იოანე ღვთისმეტყველი.

კომპოზიციის რთული, აღმოსავლური ელემენტებით გა-



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „ამაღლება“

ჯერებული რედაქცია, დეტალების გადმოცემის ერთგვარი, თხრობითი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ნიმუშად სირიულ-პალესტინურ იკონოგრაფიულ ტრადიციასთან დაკავშირებული, დასურათებული ხელნაწერის მინიატურებია გამოყენებული.

ეკლესიის გუმბათში გამოსახული იყო ჯვარი. ეს მნიშვნელოვანი აზრობრივი მახვილი ინტერიერის მოხატულობის ცალკეული ნაწილებისათვის შემაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებდა.

მხატვრული თვალსაზრისით, საბერეების ეს მოხატულობაც ასახავს ელინისტ. მხატვრული ტრადიციების ხაზოვანი, სიბრტყობრივ-გრაფიკული სტილით გადამუშავებას.

ოსტატური ნახატი, კედლების სიბრტყეებზე სცენების თავისუფალი განაწილებით ერთიანი ანსამბლის შექმნა მოწ-



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. სამკვეთლოს მოხატულობა. ანგელოზთა გუნდი

მობს, რომ ეს ფერწერა პროფესიონალი მხატვრის ხელითაა შესრულებული. მხატვრობის კოლორიტში, უპირატესად, გაჯერებული მოყავისფრო-წითელი, ცისფერი, თეთრი ფერებია გამოყენებული.

საბერეების მოხატულობის სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით, აქ, ჯვარცმის სცენაში, ბერძნ. და სომხ. განმარტებითი წარწერებია. მაგრამ სახარებაზე მოცემული ტექსტი (თეოფანია), ისევე როგორც ისტ. წარწერა, რ-შიც მითითებული იყო მხატვრის სახელი (არ შემორჩენილა), შესრულებულია ასომთავრულით და მოწმობს ოსტატის ქართულ წარმომავლობას.

გ. გაფრინდაშვილის აზრით, გარეჯის ამ სავანეში ძირითადად ქართვ. ბერები იყვნენ, მაგრამ იყვნენ სომხებიც. ამით უნდა აიხსნას სომხ. განმარტებითი წარწერების არსებობა.

საბერეების ბოლო, მეოთხე მოხატულობაში (№8) მხატვარმა ეკლესიის ინტერიერში გამოსახულებები ისე შეარჩია და გაანაწილა, როგორც ეს პირველ მხატვრობაშია (№5). აფსიდის კონქში, ანალოგიური რედაქციით, განთავსებულია „თეოფანია“, მაგრამ აქ, „თვალებით“ დაფარულ ტახტთან ქერუბინები დგანან, რ-თა ფრთები ასევე „თვალებითაა“ დაფარული. კომპოზიციაში იშვიათი, იკონოგრაფიული დეტალებია გამოყენებული: ტახტის ფეხებს შორის, წყვილ-წყვილად, თითქოსდა მცირე ზომის ბეჭდებში ჩაწერილი ლომისა და ხარის პროტომებია გამოსახული, ქერუბიმების ფრთების ზედა ნაწილში კი მახარებლის გავრცელებული სიმბოლოს – არწივის ნაცვლად, უკვდავების სიმბოლო – ფარშევანგები. ფარშევანგის გამოსახვა საქართველოში გავრცელდა ადრინდ. დროიდან (ბოლნისის (V ს.), აკაურთას (V ს.), გველეღვესის (VIII-IX სს.) რელიეფები, ზემო კრიხის პირველი ფენის (X ს.) მოხატულობა).

ისევე როგორც პირველ მოხატულობაში, აქაც, ჩრდ. მკლავში მხატვარმა წარმოადგინა კომპოზიცია ცხენოსანი მეომრების – წმ. გიორგის და წმ. თევდორეს გამოსახულებებით. მხატვრობის ამ ნაწილს უფრო საზეიმო და დასრულებულ ხასიათს ანიჭებს ეკლესიის მკლავის გვერდითა კედლებზე გამოსახული ორი ფიგურა (?), რ-თაც ორივე ხელი წინ აქვთ გაწვდილი და მედალიონი



209. უდაბნო. ღვთისმშობლის ეკლ. სამკვეთლოს მოხატულობა. „ჯვრის ამაღლება“

უჭირავთ. მედალიონში, რ-ის ორივე მხარეს მოფარდული ქსოვილი ეშვება, ჯვარია ჩაწერილი. ეკლესიის ფერწერულ დეკორს ასრულებდა გუმბათში,

209. უდაბნო. სატრაპეზო



ვარსკვლავებიანი ცის ფონზე გამოსახული ჯვარი. ამგვარად, ჯერ კიდევ ამ არასრულ მოხატულობაში შეიმჩნევა ერთიან, დეამრიგად, ამ არცთუ დიდ ეგვტერში ყველა სცენა ღვთისმშობელს ეძღვნება. ისინი ასახავს განკაცების თემას, რ-იც მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოს ძირითად დოგმას წარმოადგენს. სცენათა იკონოგრაფია აღმო-



209. უდაბნო. სატრაპეზო. აღმ. კედელი. „საიდუმლო სერობა“

კორატიულ მთლიანობად მისი ცალკეული ნაწილების ორგანული შერწყმის ტენდენცია. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მეტად იგრძნობა ეკლესიის არცთუ დიდ, თითქმის მთლიანად მოხატულ ეგვტერში.

აფსიდში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმა ქრისტეთი ხელში (წარმოდგენილია რთული, იკონოგრაფიული ტიპის მიხედვით, რ-შიც „ელეუსა“ შეთავსებულია „ოდიგიტრიასთან“) და ანგელოზები თაყვანისცემის პოზაში. ზემოთ, კამარის აღმ. მონაკვეთზე, მოთავსებულია „ხარება“, რ-იც შუა საუკუნეების სხვა საკურთხევლების მოხატულობებშიც გვხვდება (ზემო კრიხი, XI ს., კიევის წმ. სოფიო XI ს., და მონრეალი XII ს.). კამარის დას. მონაკვეთზე (სამხრ. და ჩრდ. კედლებში გაჭრილია დიდი თაღოვანი ღიობები) მოცემულია „მარიამის ელისაბედთან შეხვედრის“ სცენა.

სავლეთ ქრისტ. წრის (ეგვიპტე, პალესტინა, სირია) ძეგლებთან კავშირზე მიუთითებს.

ეგვტერის მოხატულობაში წარმოდგენილია ისტ. პირი, სა-



209. უდაბნო. სატრაპეზოს მოხატულობა. წმ. დავით გარეჯელი

ვარაუდოდ – მხატვრობის დამკვეთი (წარწერა დაზიანებუ-

ლია), ჩაცმულობის მიხედვით – მღვდელმსახური. მისი სწორკუთხა შარავანდი მიუთითებს, რომ იგი სიცოცხლეშივე დაუხატავთ. ქტიტორის პორტრეტს აქ ჯერ კიდევ მოკრძალებული ადგილი უკავია – „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრის“ სცენისაგან იგი ზოლითაა გამოყოფილი.

საბერეების ამ ბოლო მოხატულობაში, წინა სამ მხატვრობასთან შედარებით, კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს ფიგურის გრაფიკულ-ხაზოვანი დამუშავების ტენდენცია, რ-იც აქ ზოგჯერ თვითკმარ მნიშვნელობას იძენს. ფიგურების კონტურული ნახატი მკაფიოდ არ არის გამოყოფილი, ვინაიდან ფორმები შიდა ნახატით ინტენსიურადაა დამუშავებული



209. უდაბნო. სატრაპეზოს მოხატულობა. წმ. სვიმეონ ალებელი

და ამ შიდა ნახატს ხაზგასმით დეკორატიულ-ორნამენტული ფუნქცია აქვს. სწორედ ესაა საბერეების ამ მოხატულობის განსაკუთრებული თავისებურება, მით უფრო, რომ ფორმათა დამუშავების მხატვრული ეფექტი მინანქრის ძეგლების ასოციაციას იწვევს: ტანსაცმელზე ფირუზისფერი, უცნაური ფორმის ლაქები ნახატითაა „შემოღობილი“ და ქმნის „დეკორატიულ სახეს“.

ამგვარად, თავდაპირველი, მოცულობითი ფორმების ხაზოვან-სიბრტყობრივმა ინტერპრეტაციამ აქ მიიღო კიდევ ერთი, ორიგინალური გამოხატულება. მინანქართან მსგავსების ასოციაციას მივყავართ ხელოვნების სხვადასხვა



209. უდაბნო. სატრაპეზოს მოხატულობა. „სტუმრობა აბრაამთან“

დარგების ურთიერთდამოკიდებულების საკითხთან.

თბილი და ცივი ტონების (ფირუზისფერ-მწვანე, ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-ყავისფერი) კონტრასტი აძლიერებს მხატვრობის დეკორატიულობის შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფერთა შეხამება საკურთხევლის ფერწერაში – წითელ ფონზე მოცემული, ქრისტეს ინტენსიური მოწითალო-ყავისფერი ტანსაცმელი, დამუშავებული ცოცხალი, მკვეთრი, ფირუზისფერი ლაქებით და მთავარანგელოზების თეთრი სამოსელი. მხატვრობის დეკორატ. ხასიათი, ფერთა შეხამების ეფექტი ოსტატის დახვეწილ, მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს. მაგრამ გამარტივებულ ნახატში აშკარად შეინიშნება ხალხური ხელოვნების ნიშნები. თვალშისაცემია აგრეთვე ფიგურების გამოსახვის განსხვავებული ხასიათი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ მხატვრობას საფუძვლად უდევს მრავალნაირი ნიმუში, მათ შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა, მინანქრებიც.

საბერეების მოხატულობები, მათი მკაფიოდ გამოხატული, დოგმატური ხასიათის, ექსპრესიული და ამასთანავე, დეკორატ. გამოსახულებების შეგნებულ გამეორების გამო, წარმოადგენს ჭეშმარიტი რწმენით შთაგონებულ სამონასტრო ხელოვნებას.

IX საუკუნეში მოიხატა აგრეთვე გარეჯის სხვა მონასტრის – დოდორქის, არცთუ დიდი გუმბათოვანი ეკლ., რ-იც წმ. დავითის ლავრის პირდაპირ, მთის ფერდობზე, რამდენიმე იარუსადაა განლაგებული.

ფერწერა მაღალი ოსტატობით არის შესრულებული და გამოირჩევა დახვეწილი კოლორიტით – მუქი მოლურჯო-ცისფერი შეხამებულია მოყავისფრო-წითელ და თეთრ ფერებთან.

საბერეების მოხატულობებისგან განსხვავებით, იგი განეკუთვნება სხვა მიმართულებას, რ-იც უფრო მეტად დედაქალაქის ხელოვნებასთან არის დაკავშირებული.

აქაც, საკურთხევლის კონქში, წარმოდგენილია „თეოფანია“: მანდორლაში ტახტზე მჯდომი ქრისტე გარშემორტყმულია ცეცხლოვან ბორბლებზე მდგომი ტეტრამორფებით, რ-საც ოთხი თავი – ადამიანის, ხბოს და არწივის – და ექვსი, „თვალებით“ დაფარული ფრთა აქვს. კომპოზიცია დასრულებულია მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის გამოსახულებებით, რ-საც ხელში კვერთხი და სფერო უკავიათ.



209. უდაბნო. მოწამეთას მოხატულობა. „ბერთა მოწყვდნა“

ზემოთ, ქრისტეს თავზე, გამოსახულია მაკურთხეველი



209. უდაბნო. წინამძღვრის სამლოცველო

მარჯვ. და მტრედი, ხოლო ორივე მხარეს მზისა და მთვარის პერსონიფიცირებული გამოსახულებები. წარწერა „წმინდა არს ღმერთი საბაოთი“ შესრულებულია ასომთავრულით. „თეოფანიის“ კომპოზიციის სწორედ ასეთი რედაქცია შემდგომში გახდა ტრადიციული საქართველოსათვის.

ჩრდ. კედელზე შემორჩენილია აფსიდის ფერწერაში გამოყენებული მოლურჯო-ცისფერი საღებავის კვალი. შ. ამირანაშვილის გადმოცემით, ამ ადგილზე, ადრე, წმ. გიორგის თავი გაირჩეოდა. საბერეების ფერწერის ნიმუშებიდან გამომდინარე, საეჭვებით შესაძლებელია, რომ წმ. გიორგის ეს გამოსახულება საკურთხევლის მხატვრობის თანადროული ყოფილიყო, რაც შეესაბამება მათ საერთო იკონოგრაფიულ ტრადიციას და ინტერიერში გამოსახულებების განაწილების ერთსა და იმავე პრინციპს.

დოდორქის მოხატულობის მაგალითზე – ფიგურის სწორი აგება, ხელების ლამაზი ფორმა, პოზის სიმყარე – ჯერ კიდევ ცხადად ჩანს ადამიანის ფიგურის გამოსახვის ანტ. ხანიდან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნა. ამაზე მიუთითებს ტანსაცმლის ნაკეცების განლაგებაც. ისინი აშკარად ნიმუშიდანაა გადმოღებული, მაგრამ, ამასთან ერთად, ტონების გრადაციის არარსებობის გამო, გაღიაფერება-ჩაჩრდილვის ლაქებს აშკარად გამოხატული სიბრტყობრივ-გეომეტრიული ფორმა აქვს. აღმოსავლეთ ქრისტ. ხელოვნების ტრადიციების დამკვიდრებას მოწმობს ასევე ქრისტეს სახის აღმოსავლური ტიპი.

სტილის თვალსაზრისით, დოდორქის მოხატულობაში ჩანს თავისი დროისთვის (X ს.) დამახასიათებელი ნიშნები, რ-იც ასევე გვხვდება საბერეების მხატვრობის ნიმუშებსა და წილკნის ღვთისმშობლის ხატში (პირველი ფენის ნაწილები თარიღდება IX ს-ით). ამ მხრივ დამახასიათებელია სახის მოგრძო ოვალი, სწორი წარბები, თვალის დაახლოებული გუგები და ხელის თხელი თითები.

გარეჯის კიდევ ერთი, ადრინდ. მხატვრობა წარმოდგენილია მოწამე ხარიტონის კომპლექსის (მდებარეობს ნათლისმცემლის მონასტრის მახლობლად, მთაზე) დარბაზულ ეკლესიაში (X ს.). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს მხატვრობა ამკობს მხოლოდ საკურთხევლის კონქს.

საბერეების მოხატულობებისგან განსხვავებით, აქ, აფსიდის კონქში, „ვედრება“ წარმოდგენილია მისი ადრინდ., იკონოგრაფიული რედაქციის მიხედვით: ტახტზე მჯდომ ქრისტეს ერთ მხარეს დგას ღვთისმშობელი, მეორე მხარეს კი – იოანე ნათლისმცემელი. ორივეს გაშლილი გრაგნილი უკავია. გრაგნილებზე ტექსტებია მოცემული.



209. უდაბნო. წინამძღვრის სამლოცველო. საკურთხევლის მოხატულობა. „ვედრება“



209. უდაბნო. წმ. ნიკოლოზის ეკლ. ხედი აღმ-კენ

„ვედრების“ კომპოზიცია შემდგომში გახდა გარეჯის შედარებით პატარა ეკლესიების, ეგვტერების, სატრაპეზოების აფსიდების მოხატულობის ძირითადი თემა. ამ მოხატულობისთვისაც ფიგურების გრაფიკულ-ხაზოვანი დამუშავებაა დამახასიათებელი. წარბების ნახატი, რ-იც უშუალოდ გადადის ცხვირის ხაზში,ანალოგიას პოულობს, როგორც საბერეების (ეკლ. № 8), ასევე ამავე ხანის ქართ. ფერწერის, კერძოდ, ზემო სვანეთის ნიმუშებში (ნესგუნის წმ. გიორგის (IX-X სს.), უშგულის ღვთისმშობლის (X ს. - XI ს-ის დასაწყისი) ეკლესიები და უფრო ადრინდ. პერიოდის ქართულ რელიეფებში (ხანდისი (VI ს.), სამწევრისი (V-VI სს.) თეთრი წყარო (VI ს.) და სხვა). ქრისტეს თმები, ისევე როგორც განვითარების არაპლასტიკური პერიოდის ქართულ რელიეფებში (წებელდა – VII-VIII სს., უსანეთი – VIII ს.), გამოსახულია გამარტივებულად – პარალელურად განლაგებული ხაზებით. ტანსაცმლის ნაკეცების რთული სისტემა მხოლოდ აქაიქ ამჟღავნებს კავშირს ნიმუშის მოცულობით ფორმებთან, მაშინ, როდესაც აქაც ძირითადად ყველაფერი ემორჩილება შესრულების ხაზოვან-გრაფიკულ მანერას. ამ მოხატულობისთვისაც დამახასითებელია დეტალების გადიდებით გადმოცემული, აზრობრივი ექსპრესია.

ფერწერის კოლორიტი ძირითადად სხვადასხვა ტონალობის ოქრას, ასევე ნაცრისფერ და მწვანე (მიწა) საღებავების შეხამებაზეა აგებული.

გარეჯის ადრინდ. მოხატულობების დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობა – არასრული მოხატულობის თანდათანობითი შეცვლა სრული მოხატულობით, იკონოგრაფიული თემების ერთნაირი შერჩევა, გამოსახულებების განაწილების ერთიანი პრინციპი (საბერეები, დოდორქა) – მოწმობს, რომ აქ იმთავითვე დაიწყო განსაზღვრული, ადგილ. მხატვრული ტრადიციის ჩამოყალიბება.

ფერწერის ამ ნიმუშების იკონოგრაფია, რ-იც ძირითადად სირიის, ეგვიპტის, პალესტინის, კაპადოკიის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართვ. და, სავარაუდოდ, გარეჯის მონასტრების კავშირს ამ ქვეყნებთან.


X საუკუნის ბოლო და XI საუკუნის დასაწყისი არის გარეჯის მონასტრების ახ. აღმაფლობისა და აყვავების პერიოდი, როცა ისინი განვით. შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ყოფაზე გადავიდნენ. თითოეული მონასტრის ცენტრში დიდი ზომის, მთავარი ეკლესიაა გამოკვეთილი. იქვეა სატრაპეზო, შედარებით პატარა ეკლესიები, ბერთა სენაკები და სხვადასხვა



209. უდაბნო. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოხატულობა. „მსხვერპლის თაყვანისცემა“

სამეურნეო დანიშნულების სათავსები. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ამ პერიოდში მონასტრები წარმოადგენდა არა მარტო რელიგიურ ცენტრებს, არამედ მსხვილ სამეურნეო, სამეცნ. და კულტ.-საგანმან. კერებსაც. ამ პერიოდშივე იწყება მთა-

ვარი ეკლესიებისა და მათი ეგზეტერების მოხატვა. ერთ-ერთი პირველი ასეთი მონასტერი, საავარაუდოდ, უნდა იყოს უდაბნოს მონასტერი, რ-იც წმ. დავითის ლავრის მახლობლად, მთის მეორე მხარეს მდებარეობს.



209. უდაბნო. წმ. გიორგის ეკლ.

XI საუკუნის დასაწყისში საქართვ. კავშირი ქრისტ. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სუსტდება, მაგრამ უფრო მჭიდრო კავშირი მყარდება ბიზანტ. კულტურის მოწინავე კერებთან. ქართ. ეკლ. ორიენტაციას იღებს კონსტანტინეპოლის ეკლესიაზე. ყოველივე ეს ხელოვნებაშიც აისახა. X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში საქართველომ ბიზანტიიდან შეითვისა მხატვრობის სრული სისტემა, რ-იც მოიცავდა საუფლო დღესასწაულების ციკლს. უდაბნოს მთავარი ტაძრის X-XI საუკუნეების მიჯნის მოხატულობა მოწმობს, რომ ეს სისტემა ასევე დამკვიდრდა გარეჯშიც, მაგრამ საუფლო დღესასწაულების სცენებთან ერთად, მოხატულობაში დიდი ადგილი დაეთმო გარეჯის მონასტრების დამაარსებლის, წმ. დავითის ცხოვრების ამსახველი, ვრცელი ციკლის სცენებსაც, რამაც, მხატვრობას მთლიანობაში, ნათლად გამოხატული ეროვნული ხასიათი მიანიჭა.



209. უდაბნო. წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. წმ. მეომრები

ამაში გამოვლინდა ნაციონალურ-პოლიტ. თვითშეგნებით გამსჭვალული ეპოქის საერთო სულისკვეთება. სწორედ X საუკუნიდან დაიწყო, როგორც უცხოური ლიტერატურის ინტენსიურად თარგმნა, ისე ორიგინალური, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შექმნა – ქართველ სასულ. მოღვაწეთა, კერძოდ, „ცამეტი ასურელი მამის“ ცხოვრება. X საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა წმ. დავითის ცხოვრების არქეტიპი (ცხოვრების პირველი, მეტაფრასული რედაქცია შეიქმნა XII საუკუნეში), რ-იც, სავარაუდოდ, დაიწერა გარეჯში. ეს ნაწარმოები, როგორც ჩანს, წარმოადგენს იმ ლიტერატურულ წყაროს, რ-იც გამოიყენეს გარეჯელმა მხატვრებმა წმ. დავითის ცხოვრების ამსახველი, ვრცელი ციკლის შექმნის დროს. ციკლი მოიცავს წმ. დავითის მოღვაწეობის და სასწაულების ყველა ძირითად ეპიზოდს. ეს იყო საკუთარი, სამონასტრო წმინდანის კულ-

209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა (თ. კუნეს ფოტო, 1913 წ.)



ტის დამკვიდრება. ტრად. გახდა გარეჯელი მხატვრების მიერ წმ. დავითისა და მისი მოწაფის, წმ. ლუკიანესთვის შემუშავებული იკონოგრაფიული ტიპები.



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტი. თამარ მეფე და ღვთისმშობელი ყრმით (დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმში)

ამგვარად, გარეჯის ფერწერულმა სკოლამ აჩვენა თავისი მოწიფულობა და ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტის უნარი.

გარეჯის უფრო ადრინდელ მოხატულობებთან შედარებით, უდაბნოს მხატვრობაში არსებითი ცვლილება განიცადა აფსიდის კონქის კომპოზიციის თემატიკამ. ახლა კონქში წარმოდგენილია „ღვთისმშობლის დიდების“ კომპოზიცია – ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტი. მეფე გიორგი-ლაშა (დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმში)

თვის დამახასიათებელი თემა გახდა ძირითადი გარეჯის ნიმუშებშიც, რაც, ამასთან ერთად, ასახავს ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას კახეთში. ამავე დროს, გარეჯში წარმოდგენილია მისთვის ტრად. სცენები: „ვედრება“ და „ქრისტეს ამაღლება“. გარეჯის ეკლესიების ბრტყელი კამარებისთვის წესდება „ჯვრის ამაღლების“ თემა და ჯვარი მედალიონში.

მხატვრული თვალსაზრისით, უდაბნოს მთავარი ეკლესიის და სატრაპეზოს ფერწერა ჩაფიქრებულია, როგორც ერთ ფერადოვან გამაში გადაწყვეტილი ერთიანი ანსამბლი. ორივესთვის საერთოა წმ. დავითის კულტის ასახვა. ამავე დროს, თითოეულ მათგანში, გათვალისწინებულია სხვადასხვა დანიშნულების სათავსების სპეციფიკა.

უდაბნოს დარბაზული ტიპის ტაძარი ამჟამად ნახევრად დანგრეულია: დანგრეულია კამარა, აფსიდი და სამხრ. კედელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, აფსიდის კონქში წარმოდგენილი იყო „ღვთისმშობლის დიდების“ საზეიმო კომპოზიცია, ხოლო კედელზე განთავსებულ რეგისტრში – მოციქულები. დარბაზში მხატვრობა სამ რეგისტრად იყო აგებული. ზედა რეგისტრში, რ-აც კამარის ჩრდ. და სამხრ. გვერდების მონაკვეთები და კედლების ზედა ნაწილები უკავია, განლაგებული იყო საუფლო დღესასწაულების



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლ. საკურთხევლის კონქის მოხატულობა. „ღვთისმშობლის დიდება“

ციკლის სცენები. ამჟამად ნაწილობრივ შემონახულია „ლაზარეს აღდგინება“, ხოლო უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლ. საკურთხეველის კონქის მოხატულობა. „ღვთისმშობლის დიდება“. ფრაგმენტი

– „იერუსალიმში შესვლის“ და „ამაღლების“ სცენები. შუა რეგისტრის მთელ სიგრძეზე მოცემული იყო წმ. დავითის ცხოვრების ციკლის სცენები, რ-იც იწყებოდა ჩრდ. კედელზე და, როგორც ჩანს, გრძელდებოდა სამხრ. კედელზეც. დღემდე შემონახულია „წმ. ლუკიანეს მიერ ირმების წველა“, „ირმების ჩივილი“, „გველეშაპის დასჯა“. მათ ახლავს ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერები.

ქვედა რეგისტრში წარმოდგენილია კახეთის ფეოდალების ჯგუფური პორტრეტი, რ-თა შორისაა წმ. დავით გარეჯელისაკენ მიმართული ქტიტორი ეკლესიის მოდელით ხელში. თავისი ძირითადი კომპოზიც. სქემით, ეს უკვე ჩამოყალიბებული ჯგუფური პორტრეტია. აღქმის სიადვილის თვალსაზრისით, ტრადიციულია მისი განლაგება ჩრდ. კედელზე.

მთელი დას. კედელი „განკითხვის დღის“ კომპოზიციას უკავია. კედლის ზედა ნაწილში შემორჩენილია მსხდომი მოციქულების ფიგურები, ქვემოთ – ცოდვილნი ჯოჯოხეთში. ამგვარად, კამარის სადღესასწაულო ციკლს ასრულებდა „განკითხვის დღის“ საგანგებოდ გამოყოფილი კომპოზიცია. ამ თემაზე შექმნილ კომპოზიციათა შორის, ქართულ მონუმ. მხატვრობაში იგი ერთ-ერთი უძველესია.

ეკლესიის არცთუ მაღალ ეგვტერში მხატვრობა განლაგებული იყო ერთ რეგისტრად, აღმ. კედელზე, წამებულისაგან განსხვავებული რედაქციით, წარმოდგენილია „ვედრება“. ქრისტე აქ დგას, მარჯვ. ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს. მარცხნივ და მარჯვნივ, ჩვეულებისამებრ, გამოსახულნი არიან ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი ვედრების პოზაში (კომპოზიცია განახლებულია XII საუკუნეში). ეგვტერისა და ეკლესიის დამაკავშირებელი კარის ღიობის გვერდითა კედლებზე, სიმეტრიულად, განლაგებულია მესვეტეების, სვიმეონ ჰალაბელის და ქართველ მოღვაწეთა, ე.წ. „ცამეტ ასურელ



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „ძღვენის მირთმევა“

რ-იც გრძელდებოდა ეკლესიაში დაწყებული წმ. დავითის ცხოვრების ციკლის სცენები.

მამათა“ სულიერი მოძღვრის, სვიმეონ საკვირველთმოქმედის გამოსახულება. შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ამ მესვეტეთა გამოსახვამ ფართო გავრცელება ჰპოვა.

ეკლესიისა და ეგვტერის სიმაღლის გათვალისწინებით, მხატვრები ორივე ინტერიერში მოხატულობას სხვადასხვაგვარად აგებენ. ეკლესიაში კომპოზიციები მოჩარჩოებულია სადა, მოწითალო-ყავისფერი ზოლით, რ-იც რეგისტრებსაც აცალკევებს. სურათის მსგავსად გამოყოფილი კომპოზიციები ბუნებრივად და სადად არის განლაგებული კედლების დიდ, გლუვ სიბრტყეებზე, რაც გამოქვაბული ეკლესიის ინტერიერის სივრცისა და სიმაღლის შთაბეჭდილებას აძლიერებს. არცთუ მაღალ ეგვტერში, ინტერიერის გლუვ კედელზე, მხატვრობა ფრიზისებრად იშლებოდა. კომპოზიციები ერთმანეთს ისე მისდევდა, რომ იქმნებოდა უწყვეტი თხრობის შთაბეჭდილება (XIII საუკუნეში მოხატულობა გადაწერეს, მაგრამ იქ, სადაც ნაკლებობა ჩამოცვენილია, ჩანს პირველი ფენის ფერწერაც).

უდაბნოს ეკლესიასა და ეგვტერში წარმოდგენილ, მოხატულობის აგების ამ ორ პრინციპს შემდგომი დროის მხატვრებიც იყენებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უდაბნოს ეკლესიაში მხატვრობა ძლიერ არის დაზიანებული, ის ახლაც ქმნის არა მხოლოდ ცალკეული სცენების, არამედ მთელი ფერწერული ანსამბლის მკაცრი მონუმენტურობის შეგრძნებას.

გარეჯის მხატვრებმა გარკვეული შემოქმედებითი დამოუკიდებლობა გამოამჟღავნეს წმ. დავითის ცხოვრების თემაზე შექმნილ, ორიგინალურ კომპოზიციებში. რასაკვირველია, ისინი იყენებდნენ შუა საუკუნეების ხელოვნებაში სხვადასხვა წმინდანის ცხოვრების ამსახველი სცენებისათვის შექმნილ კომპოზიციურ სქემებს, მაგრამ გადაამუშავებდნენ მათ ლიტერატურული მასალის მიხედვით. სახვითი საშუალებების შერჩევა, დიდი ზომის ფიგურების აქცენტირება, ისევე როგორც სიუჟეტის ემოციური გააზრება, ხელს უწყობდა თავისებური, გამომსახველი კომპოზიციების შექმნას. მხატვრობა ნათელი, ხალისიანი, ფერადოვანი გამით (სხვადასხვა ელფერის ოქრა, ცისფერი, მდელოსფერი მწვანე) გამოირჩევა და ასოცირდება გარეჯის პეიზაჟის ფერადოვნებასთან. შემდგომში ფერთა მსგავსი გამა დამახასიათებელი გახდება გარეჯის ფერწერის მრავალი ნიმუშისათვის.

მთავარი ტაძრის მოხატულობა, სტილისტურად, შესრულების ისეთივე სიბრტყობრივ-გრაფიკული, ხაზოვანი მანერით გამოირჩევა, როგორც საბერეების მხატვრობის უფრო ადრინდ. ნიმუშები. მაგრამ ამავე დროს გარკვეით ვლინდება შესრულების უფრო მაღალი ოსტატობა და ბიზანტ. ხელოვნების კლასიკურ ნორმებთან დაახლოებული ნიმუშების გამოყენება. რამდენადმე დაგრძელებულ ფიგურებს პროპორციული აგებულება აქვთ.



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „ძღვენის უარყოფა“

პოზა და მოძრაობა თავისუფალი და ბუნებრივია („ლაზარეს აღდგინება“), მაგრამ ვხვდებით უფრო ადრინდ. პერიოდის წმ. დავითს თავი მკვეთრად აქვს უკან გადაწეული. რბილი ექსპრესიითაა აღსავსე ირმების მოძრაობა).

ტანსაცმლის ნაკეცების დამუშავება ფიგურების სიბრტყობრიობას განსაზღვრავს.



209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მოხატულობა. დას. კედელი. თამარ მეფე, მეფე გიორგი-ლაშა, დავით სოსლანი

ფერწერის ძეგლებისათვის დამახასიათებელ, ჯმუხ ფიგურებსაც („განკითხვის დღე“). განსაკუთრებული არქაულობით გამოირჩევა წმინდანების – დავითისა და ლუკიანეს ფიგურები, მათი ცხოვრების ამსახველ სცენებში. ამ ფიგურების სილუეტები გეომეტრიზირებულია. მათი აბრისის მკაფიო ნახატის გამო, ისინი თითქოს კედლის სიბრტყეზე არიან მიმსშჭვალულნი. ცხოვრების სცენათა კომპოზიციები გამოირჩევა ექსპრესიულობით (გადიდებულია ხელების მტევნები. „გველეშაპის დასჯის“ კომპოზიციაში გარეჯელი მხატვრის ინტერპრეტაციის წყალობით, „გამონათება-ჩრდილები“, რ-იც ნიმუშში ფორმათა მოდელირებისათვისაა გამოყენებული, აქ გეომეტრიულ, სიბრტყობრივ ხასიათს იძენს (თეთრას მთლიანი ლაქები დატანილია „გულის“, სამკუთხედის და სხვა სახით).

სახეებისათვის დამახასიათებელია დიდი, ნუშისებრი თვალები, მსხვილი ცხვირი, მარყუჟის ფორმის ყური. საერთო ტიპი აღმოსავლურია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წმ. დავითისა და წმ. ლუკიანეს სახეები.

ამავე პერიოდშია მოხატული სატრაპეზო, რ-იც შუა საუკუნეების მონასტრების გეგმარების თანახმად, მდებარეობს ეკლესიის მახლობლად, მის დას. გარეჯის სატრაპეზოებში ორი ძირითადი ღერძია: ერთი მათგანი ორიენტირებულია სამხრ. შესასვლელიდან აღმ. აფსიდზე, სადაც ლოცულობდნენ და სადაც ქვის ტრაპეზი იდგა. აღმ. აფსიდისა და ქვის ტრაპეზის არსებობა ქართულ სატრაპეზოების თავისებურებას წარმოადგენს. მეორე ღერძი იმავე სამხრ. შესასვლელიდან ჩრდ. კედლის ნიშაზე გადის, საიდანაც წინამძღვარი ბერების ტრაპეზს უძღვებოდა. ეს მიმართულება ხაზგასმულია ქვის გრძელი მაგიდით. სატრაპეზოების გეგმარების მესამე, მუდმივი შემადგენილი ელემენტია დას. კედელთან მოწყობილი წყალსაცავი.



209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მოხატულობა. ჩრდ. კედელი. მეფე გიორგი III

ამგვარად, სატრაპეზოების გეგმარებაში, სადაც ძირითადი დარბაზი სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე სამეურნეო სათავსოებთან იყო დაკავშირებული, მკვეთრადაა განსაზღვრული საკულტო და საერო დანიშნულების ელე-

მენტები. გამოქვაბულ სატრაპეზოთა არცთუ მაღალ ინტერიერებში კომპოზიციები განლაგებულია ერთ, ასე ვთქვათ, უფრო „მიწიერ“ ზონაში, რის გამოც მათი შინაარსი უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული თვით სატრაპეზოში რეალურად მიმდინარე მოქმედებასთან.



209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მოხატულობა. ჩრდ. კედელი. მეფე ბაგრატ III

ფერწერის ერთ რეგისტრად აგება განაპირობებს იკონოგრაფიული სქემის ლაკონურობას. ეს სქემა ძირითადად განისაზღვრება სატრაპეზოს დანიშნულების მიხედვით შერჩეული სცენებით ძვ. და ახ. აღთქმიდან, რ-იც დაკავშირებულია ტრაპეზის სიმბოლურ-ეჭვარისტულ მნიშვნელობასთან. უდაბნოს სატრაპეზოში შემდეგი კომპოზიციებია: ჩრდ. კედლის ნიშაში მოთავსებულია „სამება“ და მის გვერდით „საიდუმლო სერობა“. განსაკუთრებით ხაზგასმულია აღმ. კედლის დიდ, გლუვ მონაკვეთზე წარმოდგენილი „საიდუმლო სერობა“, რ-იც ყურადღებას იქცევს სიუჟეტის ემოციური გააზრებითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამომსახველია მოციქულთა ხელების ჟესტიკულაცია, რ-იც ამბავზე მათ რეაქციას გამოხატავს. ქვის მაგიდების ოდნავ მაღლა განლაგებული „საიდუმლო სერობის“ კომპოზიცია თითქოს ეხმაურება დარბაზში ბერების რეალურად მიმდინარე ტრაპეზს.

აღმ. აფსიდში, სადაც ტრაპეზის დროს ბერი ლოცვას კითხულობდა და ჩრდ. კედელზე, წინამძღვრის ნიშაში, გამოსახულია „ვედრება“. ამ უკანასკნელის ზემოთ წარმოდგენილი იყო ასევე „ხარება“ (ეს კომპოზიცია ნაწილობრივ გამოჩნდა იმ ადგილებში, სადაც ჩამოცვენილია მეორე ფენის ფერწერა). ამგვარად, საკურთხევლის მხატვრობის მსგავსად, წინამძღვრის ნიშის გაფორმება საზეიმო ხასიათისაა.

წმ. მესვეტეთა, სვიმეონ ჰალაბელისა და სვიმეონ უმცროსის-სასწაულთმოქმედის, ფიგურები სიმეტრიულად იყო განლაგებული წინამძღვრის ნიშის მიმართულებით, ინტერიერის სიღრმეში გამავალი, ცენტრ. თაღის ბოძებზე. სწორედ ამ გამოსახულებებით იწყება ფერწერის აღქმა. ამის შემდეგ, თაღში გავლისას, შეიძლება ერთიმეორის პირდაპირ, სიმეტრიულად განლაგებული, ქართვ. წმინდანების დავით გარეჯელისა და ათონის მთაზე, ივერიის ლავრაში მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელის (X-XI სს-ის მიჯნა) ფიგურების დანახვა. ექვთიმე მთაწმინდელის გამოსახვა მიუთითებს ათონის ქართ. კულტურის ცენტრებთან, როგორც

209. ნათლისმცემელი. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მოხატულობა. „ორმოცი მოწამე“





209. წამებული. მცირე ეკლ. აფსიდის მოხატულობა

მოხატულობასთან შედარებით, ამ მხატვრობას მეტ დინამიურ ხასიათსა და ცხოველხატულობას ანიჭებს. შთაბეჭდილებას აძლიერებს ორნამენტული მოტივების გააზრებაც, რაც გულისხმობს მათი უფრო დეკორატ., შემამკობელი და არა კომპოზიციების გამყოფი ელემენტის მნიშვნელობით წარმოჩენას (ჩრდ. ნიშა – დოქიდან ამოზრდილი, მცენარეული ყლორტი; პირველი თაღის სოფიტი – დიდი ზომის, მცენარეული მოტივი).

სატრაპეზოს ფერწერული დეკორის აგების პრინციპი უფრო მეტად ასოცირდება საერო ხასიათის სათავსოების დეკორთან.

სტილისტურად სატრაპეზოს ფერწერა ასახავს იმავე სიბრტყობრივ-გრაფიკულ მიდგომას, რ-იც ახასიათებს ტაძრის მოხატულობას. ფიგურებისა და საგნების გადმოცემა პირობითია, სრულიად დაკარგულია სივრცობრივი კავშირები, რაც განსაკუთრებით ცხადად ფიგურების რთული რაკურსების ან სხვადასხვა „პლანებში“ განთავსებული დეტალების გამოსახვისას („სამება“, „საიდუმლო სერობა“).

ტანსაცმლის ნაკეცების ნახატი გარდაიქმნა სუფთა, გრაფიკულ სქემად, მაგრამ მთლიანობაში, ხაზების მოძრაობა აქ არ არის მკვეთრი, პირიქით, საკმაოდ მშვიდია. გრაფიკული ხასიათისაა გაღიაფერებაც, მაგრამ თეთრას გამჭვირვალე ფენად დატანილი გაღიაფერება არ არღვევს ფერადოვანი ლაქის მთლიანობას, რაც ხელს უწყობს ფიგურათა მონუმენტურობის შთაბეჭდილებას.

საქართველოს, ისე, სავარაუდოდ, თვით გარეჯის მონასტრების კავშირზე.

სიუჟეტური სცენების და ფიგურების ერთ ზონაში განლაგებით რამდენადმე შესუსტებულია კომპოზიციების დოგმატური ხასიათი. სატრაპეზოს ბრტყელ ჭერზე ზეციური სიმბოლიკიდან არაფერია გამოსახული.

მხატვრობის თითქოსდა საერთო სიმკაცრისა და მის არქიტექტურულ ელემენტებთან (ნიშები, თაღები) კავშირის მიუხედავად, რაკი რეგისტრსაც გააჩნია ერთიანი, შემომსაზღვრელი, ორნამენტული ზოლი, მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კედლების ცალკეულ მონაკვეთებზე წმინდანთა ცალკეული ფიგურები და სცენები თავისუფლად არის განლაგებული. ფერწერის საერთო ანსამბლში ასეთი თავისუფალი განლაგება, ამავე მონასტრის მთავარი ტაძრის რეგისტრებად დანაწილებულ და უფრო მოწესრიგებულ



209. წამებული. მცირე ეკლ. აფსიდის მოხატულობა. დეტალი

დამახასიათებელია, რომ დეტალების ექსპრესიულ გამომსახველობას აქ უკვე მთლიანად ეცილება კომპოზიციის ნახატის დეკორატ. ეფექტი („საიდუმლო სერობა“).

მთავარი ეკლესიისა და სატრაპეზოს მხატვრობის არასივრცობრივი, ხაზოვან-სიბრტყობრივი სტილის ნიშნებში, ერთი მხრივ,ჩანს იმ მხატვრული მიდგომების შედეგები, რ-იც სათავეს იღებს აღმოსავლეთ-ქრისტ. ხელოვნებასთან დაკავშირებული, ადგილ. ტრადიციებიდან და მეორე მხრივ, ასახავს შუა საუკუნეების, მათ შორის, ბიზანტიურ ხელოვნებაში ჩამოყალიბებულ მისწრაფებას, რაც გულისხმობს უარის თქმას ხელშესახები, მატერიალური ფორმებიდან მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემაზე, იმ ზომითაც კი, როგორც ეს ჩანს X საუკუნის ძეგლებში.

უდაბნოს მონასტრის მთავარი სათავსების შემკობის შემდეგ, როგორც ჩანს, მალე მოხატეს მოწამეთა (ორმოცი წამებულის) შედარებით პატარა ეკლ.„რ-იც დგას ძირითადი კომპლექსის მახლობლად, მის დასით. ეს ეკლ. (როგორც ეს წმ. დავითის ცხოვრების საფუძველზე დაადგინა გ. აბრამიშვილმა) აღმართულია იმ ადგილზე, სადაც მთაზე ასვლისას, ჩვეულებრივ, ლოცულობდა წმ. დავითი და რ-ის მახლობლად შეხვდა იგი რუსთაველ ფეოდალს ბუბაქარს, რ-იც წმ. დავითმა გააქრისტიანა. ფერწერა ასახავს დავითის ცხოვრების სწორედ იმ ნაწილს, რ-იც მოგვითხრობს ბუბაქარზე. ისევე როგორც მთავარი ეკლესიის ეგვტერში, მოწამეთას არცთუ მაღალ ეკლესიაში, სცენები განლაგებულია ფრიზისებრად – ფერწერის კოლორიტი უახლოვდება მთავარი ეკლესიისა და სატრაპეზოს მოხატულობის კოლორიტს: ძირითადად იგი აგებულია სხვადასხვა ელფერის, დია მწვანე და მოყავისფრო-წითლის შეხამებაზე. ამ მხატვრობაში სტილისტურად მჟღავნდება იმ დროისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რა დროსაც მოიხატა მონასტრის მთავარი ეკლ. და სატრაპეზო. არცთუ დიდი ზომის ფიგურები გამოირჩევა მონუმენტურობით. ფიგურების სილუეტი, კონტურის წვრილი ხაზით, მკაფიოდაა შემოხაზული. ფორმათა დამუშავების მანერა განსაზღვრავს გამოსახულებების სიბრტყობრივ-გრაფიკულ ხასიათს და ლოკალური, ფერადოვანი ლაქების შთაბეჭდილებას.

უდაბნოს მთავარი ეკლესიის, სატრაპეზოს და მოწამეთას ეკლესიის მოხატულობები გარეჯის სავანეთა დამფუძნებლის – წმ. დავითის კულტის დამკვიდრების ნათელი დადასტურებაა.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ნათლისმცემლისა და დოდორქის მონასტრების მთავარი ეკლესიების ინტერიერებიც მოხატული უნდა იყოს უდაბნოს ეკლესიების მოხატულობების შექმნის პერიოდში, გარეჯის მონასტრების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, XI საუკუნის დასაწყისში, საერთო მიდგომის შესაბამისად, რაც გულისხმობდა ფერწერული დეკორით შემკული, დიდებული ტაძრების შექმნას.

ნათლისმცემლის (წმ. იოანე ნათლისმცემლის) მონასტრის ეკლესიაში შემონახულია XII-XIII საუკუნეების მიჯნის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. უფრო ადრინდ. მხატვრობის კვალი ამჟამად აღარ შეიმჩნევა. მაგრამ დოდორქის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიაში, საკურთხევლის კონქში, ძლიერ დაზიანებული, მეორე ფენის მოხატულობასთან ერთად ჩამოცვენილი ნალესობის ადგილებში, ჩანს პირველი ფენის ფერწერის ფერადოვანი ლაქები, ისეთივე ღია და სუფთა ფერები, როგორც უდაბნოს მთავარ ეკლესიასა და სატრაპეზოშია, რაც ამ ფრაგმენტების იმავე დროისათვის მიკუთვნების საშუალებას იძლევა.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ ეგვტერში, კონტურული ნახატის სახით შემონახული მხატვრობა, ეკლესიის მოხატულობის პირველი ფენის თანადროული იყოს. ამაზე მიუთითებს სათავსის ორივე ნაწილის ბრტყელი ჭერის დეკორი – ვარსკვლავებიან ცის ფონზე გამოსახული, კოლოსალური ზომის ჯვარი. ეს, როგორც ჩანს,



209. ნათლისმცემელი. მცირე სამლოცველოს მოხატულობა. „ვედრება“

წარმოადგენს გუმბათის კომპოზიციის, დარბაზული ტიპის სათავსისათვის მორგების ნიმუშს, რ-იც უფრო ადრე გარეჯში, საბერეების ეკლესიაში (№ 8), გუმბათის X საუკუნის



209. ნათლისმცემელი. კერძო ქვაბების მოხატულობა. „ღვთისმშობლის დიდება“. ფრაგმენტი

მოხატულობაშია გამოყენებული. ეგვტერის აფსიდში, ისევე როგორც უდაბნოს მთავარი ეკლესიის ეგვტერში, წარმოდგენილია განსხვავებული, უფრო გავრცელებული რედაქციის „დეისუსი“ – ტახტზე მჯდომი ქრისტე კურთხევის ნიშნად აპყრობილი ხელით, მის ორივე მხარეს – ვედრების პოზაში მდგომი ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი.

მონასტრის სატრაპეზო თუმცა შელესილია, მაგრამ ფერწერის კვალი არ ჩანს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ გ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1921 წელს, დარბაზის ერთერთ კედელზე შენიშნა დიდი ზომის, ძლიერ დაზიანებული ასომთ. ასოები. მათი განლაგების თანამიმდევრობის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ გამოსახული იყო ძვ. ქართ. ანბანი. ეს კი ადასტურებს, რომ მონასტრის სატრაპეზოში სემინარიაც იყო განთავსებული.

XI საუკუნეში უდაბნოს პირველი მოხატულობების შექმნის პერიოდში, როგორც ჩანს, მოხატეს აგრეთვე შედარებით მცირე ზომის მარტირიუმი, რ-იც ბერთუბნის მონასტრის მიდამოებში მდებარეობს. მოხატულობის კოლორიტი ახლოს დგას უდაბნოს ეკლესიისა და სატრაპეზოს მოხატულობებთან. ჩრდ. კედელზე, ქვის ყუთის თავზე (აქ ინახება ბერების ძვლები), ორივე მხარეს, სიმეტრიულად არის გამოსახული ცის სეგმენტები. თითოეული სეგმენტიდან ოთხ-ოთხი ხელია გამოშვერილი. ყველა მათგანს ჯვარი უკავია. ეს, როგორც ჩანს, მოწამეების სიმბოლური გამოსახულებაა. მსგავსი კომპოზიცია შუა საუკუნეების ძეგლებში ჩვენთვის ცნობილი არ არის, რის საფუძველზეც გ. აბრამიშვილმა ივარაუდა, რომ ეს კომპოზიცია გარეჯელი მხატვრების მიერ არის შექმნილი. ლოცვისათვის განკუთვნილი მცირე ნიშა, აღმ. კედელზე, შემკულია ღვთისმშობლისა და ყრმა ქრისტეს ხატისებრი გამოსახულებით. იქვე კედელზე ჯვრებიცაა წარმოდგენილი.

გარეჯის ადგილ. ფერწერული სკოლის ინტენსიური განვითარება აღინიშნება XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისში და უკავშირდება ქართ. მონუმ. ფერწერის განვითარების ახალ ეტაპს.

XII საუკუნეში, უდაბნოში, ნაწილობრივ განაახლეს მოწამეთას (შეითავსა მარტირიუმის ფუნქციაც) და აგრეთვე წმ. ნიკოლოზის, ე.წ. „იხვის ორნამენტიანი“ ეკლესიის (პატარა ეკლ.-სამლოცველოების) მოხატულობები. მოწამეთაში გადაწერეს წმ. დავითის ცხოვრების ამსახველი სცენების ნაწილები. საგულისხმოა ჩრდ. კედელზე ქვის ყუთის (აქაც ყუთში ბერების ძვლებია მოთავსებული) თავზე გამოსახული ახ. სცენა – „ბერების შემუსვრა“, რ-იც, სავარაუდოდ, საქართველოსა და ასევე გარეჯის მონასტრებზე მტრის რეალურ თავდასხმებს ასახავს.

კამარაში წარმოდგენილია ოთხი ანგელოზის მიერ „ჯვრის ამაღლება“ და ოთხ მედალიონში ჩასმული მახარებლების წელზედა ფიგურები. გუმბათიანი ტაძრის ეს სქემა მორგებულია დარბაზული ეკლესიის ბრტყელი ჭერისთვის. იგი გვხვდება უდაბნოს მთავარი ეკლესიის ეგვტერის კამარის XIII საუკუნის მოხატულობაშიც (მეორე ფენა). ფერწერის მსგავსი სქემა დამახასიათებელია საქართველოსა და კაბადოკიისათვის.



209. ნათლისმცემელი. კერძო ქვაბების მოხატულობის დეტალი

მხატვრობის ყველა ჩამოთვლილი ნიმუში აგრძელებს გარეჯის ფერწერული სკოლის ტრადიციებს. აფსიდში გამოსახულია „ღვთისმშობლის დიდება“ ან „დეისუსი“. ხაზგასმულადაა წარმოდგენილი ფეხზე მდგომი წმ. მეომრები, მ.შ. აუცილებლად არის წმ. გიორ-

გის გამოსახულება. ამგვარად, წმ. მეომრების ფიგურები, რ-იც ჯერ კიდევ საბერეების ლაკონური, ფერწერული დეკო-



209. ბერთუბანი. ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა. „შობა“. ფრაგმენტი

რის ერთ-ერთი მთავარი თემაა, ტრადიციულად შემდგომშიც გამოისახებიან.

ასევე ტრადიციად იქცა წმ. დავითის გამოსახვაც (ე. წ. „იხვის ორნამენტიანი“ ეკლ.), მაგრამ ახლა იგი წარმოდგენილია ორანტას პოზაში, რაც უფრო მეტად გამოკვეთს მის სიწმინდეს. განსხვავებულადაა გადაწყვეტილი იმავე წმინდანის უფრო ადრინდ. გამოსახულება უდაბნოს სატრაპეზოში, სადაც იგი „ისტორიული“ პორტრეტის სახითაა წარმოდგენილი. სწორედ ეს იკონოგრაფიული ტიპი გახდა დამახასიათებელი XIII საუკუნის მხატვრობის ნიმუშებისათვის (ბერთუბნის და უდაბნოს სატრაპეზოები).

XII საუკუნის ბოლოს შესრულებული, ე.წ. „იხვის ორნამენტიან“ მხატვრობაში განსაკუთრებით ცხადად ჩანს ამ დროის ქართ. ფერწერისათვის დამახასიათებელი ახ. დინამიურ-დეკორატ. სტილის ნიშნები. ეს აისახება მოხატულობის აგებაში, კერძოდ, ფიგურების თაღედის ერთიანი, ხაზოვანი რიტმით გაერთიანების მისწრაფებაში, რაც XIII საუკუნეში გარეჯის მხატვრობის ნიმუშების ერთ-ერთი უსაყვარლესი ხერხი გახდა.

გარეჯში, თამარ მეფის ეპოქაში (XII ს-ის ბოლო – XIII ს-ის დასაწყისი), განსაკუთრებით საზეიმოდ შეამკეს ნათლისმცემლის ეკლ. (როგორც ჩანს, იგი ხელახლა მოხატეს) და ამ დროს ახლად დაარსებული ბერთუბნის სამონასტრო კომპლექსის ეკლ. და სატრაპეზო.



209. ბერთუბანი. მონასტრის სატრაპეზოს მოხატულობა. „პურის გამრავლების სასწაული“

ამ დროს გარეჯის მონასტრებმა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს და, რაც მთავარია, სამეფო კარი მათ განსაკუთრებულად მფარველობდა. ამის უშუალო გამოხატულებაა თამარ მეფის გამოსახულებები ნათლისმცემლისა და ბერთუბნის, როგორც ჩანს, სამეფო დაკვეთით შესრულებულ მოხატულობებში.

ნათლისმცემლის მხატვრობა, დაზიანების მიუხედავად, მაინც იძლევა წარმოდგენას, თუ როგორ მდიდრულად და საზეიმოდ იყო შემკული მონასტრის მთავარი ეკლ. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებით ლამაზი კოლორიტით, რ-შიც უხვადაა გამოყენებული ძვირფასი ლილაქვა (ფონები, ტანსაცმელი) და ოქრო (შარავანდები, ტანსაცმელი). სიუჟეტური კომპოზიციები და ისტორიულ პირთა პორტრეტები მოჩარჩოებულია ორნამენტით შემკული, ლამაზი, სამფრთიანი თაღებით.

ფერწერის ვრცელი, იკონოგრაფიული პროგრამიდან შემორჩა მხოლოდ ცალკეული გამოსახულებები. საკურთხევლის აფსიდის კონქში წარმოდგენილი იყო „ქრისტეს ამაღლება“, კედელზე – მოციქულთა ფრონტალური ფიგურები, ცენტრში, ნიშის თავზე – მედალიონი (ჯვრით?), რ-იც ორ ანგელოზს უჭირავს. კამარაში, როგორც ჩანს, გამოსახული იყო „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია.

დარბაზის კედლებზე ორ რეგისტრად იყო განაწილებული საუფლო დღესასწაულების ციკლი და იოანე ნათლისმცემლის (რ-ის სახელზეცაა მონასტერი აგებული) ცხოვრების ამსახველი სცენები. ჩრდ. კედლის ქვედა რეგისტრი და ნაწილობრივ დას. კედელიც უკავია ისტორიულ პირთა გამოსახულებებს. წარმოდგენილ პირთა რაოდენობის მიხედვით, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ჯგუფური პორტრეტი, არა მარტო გარეჯის, არამედ, ზოგადად XI-XIII საუკუნეების დასაწყისის ქართ. მხატვრობის ძეგლებში. აქ გამოსახულია არა მხოლოდ ადგილ. სამონასტრო მოღვაწეები, არამედ საქართვ. მეფეები: გიორგი II თუ ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, მისი ვაჟი – დემეტრე I ბერის ტანსაცმელში (რაც მიუთითებს გარეჯის მონასტრებთან მის კავშირზე) და შვილიშვილი – გიორგი III, თამარის მამა. დას. კედელზე დინასტიური, სამეფო პორტრეტი დასრულებული იყო სამეფო, ოჯახური პორტრეტით, რ-ზეც თამარ მეფის, მისი მეუღლის – დავით სოსლანის, და შუაში, მათი პატარა ვაჟიშვილის – ლაშა-გიორგის გამოსახულებებია.

ნათლისმცემლის მხატვრობა ნათლად ასახავს XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის ქართ. მოხატულობების ხაზოვან-დეკორატ. სტილის დამახასიათებელ ნიშნებს. ესენია: დინამიურად აგებულ, ფერწერულ ანსამბლში თაღედის რიტმის საშუალებით, ქვეყლა კომპოზიციისა და გამოსახულების გაერთიანება; აფსიდის „ამაღლების“ სცენაში მოციქულთა მოძრაობის ექსპრესია; ტანსაცმლის აფრიალებული ნაკეცების მოუსვენარი, ნერვული რიტმი.

ნათლისმცემლის ფერწერის დეკორატ. გაფორმება თაღებით, ასევე ფიგურებისა და არქიტ. კულისების შედარებით მცირე ზომები, უკავშირდება შუა საუკუნეების ხელნაწერთა მინიატურებს. მაგრამ, მთლიანობაში, მოხატულობის მდიდრული გაფორმება სასახლეების მორთულობასთან იწვევს ასოციაციას, რაც წარმოაჩენს XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის ქართ. ხელოვნებისათვის დამახასიათებელი, „საერო“ მხატვრობის გარკვეულ გავლენას.

ბერთუბნის მოხატულობები, როგორც ეს გ. ჩუბინაშვილ-



209. ბერთუბანი. სატრაპეზოს მოხატულობა. „პურის გამრავლების სასწაული“. ფრაგმენტი

მა განსაზღვრა, წარმოადგენს გარეჯის ფერწერული სკოლის უმაღლეს მიღწევას.

ბერთუბნის სამონასტრო კომპლექსი და უდაბნოს მონასტერი გამოკვეთილია მთის ქედების ერთსა და იმავე რიგში. ბერთუბანი მდებარეობს უდაბნოს მონასტრის აღმ-ით 8-10 კმ-ზე. უდაბნოსგან განსხვავებით, ბერთუბანში უფრო მცირე რაოდენობის სათავსებია, მაგრამ ტაძრისა და სატრაპე-

ზოს ინტერიერები უფრო მაღალია და ხალვათი. სხვადასხვა დანიშნულების ამ სათავსებს მხატვრობა განსაკუთრებულად



209. ბერთუბანი. სატრაპეზოს მოხატულობა. „პურის გამრავლების სასწაული“. ფრაგმენტი

საზეიმო ხასიათს ანიჭებს, რაც შეესაბამება თამარის ბრწყინვალე ეპოქას. ორივე სათავსის მოხატულობა (ისევე როგორც უდაბნოს მთავარი ტაძრისა და სატრაპეზოს ფერწერა), მხატვრული თვალსაზრისით გადაწყვეტილია როგორც ერთიანი ანსამბლი.

ბერთუბნის ეკლესიაში გამოსახულია თამარ მეფე და მისი უკვე დავაჟკაცებული ვაჟი, ლაშა-გიორგი, რის საფუძველზეც მკვლევრებმა მოხატულობის თარიღი 1212-1213 წლებით განსაზღვრეს. ტაძარი და სატრაპეზო სხვადასხვა მხატვრის მოხატულია. აშკარაა, რომ ორივე მხატვარი კარგად იცნობდა საქართვ. ცენტრ. რაიონების რაფინირებულ კულტურას. და, რაც მთავარია, ეყრდნობოდნენ რა გარეჯის სკოლის ტრადიციებს (იკონოგრაფია, კოლორიტი), მათ შექმნეს მხატვრული დონის მხრივ მონუმ. ფერწერის ბრწყინვალე ნაწარმოებები.

ორივე მხატვრობის ფერწერული დეკორის საერთო ხასიათსა და იკონოგრაფიაში ნათლადაა ასახული ამ ორი სამონასტრო სათავსის განსხვავებული ფუნქცია. ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ტაძარში წარმოდგენილია ღვთისმშობლის ცხოვრების განვითარებული ციკლის სცენები. ბერთუბნის სატრაპეზოში, ისევე როგორც უდაბნოს სატრაპეზოს უფრო ადრინდ. მოხატულობაში, სცენების შერჩევა განისაზღვრება ტრაპეზის თემით, რ-იც წარმოჩენილია მისი, ხაზგასმულად ევქარისტული მნიშვნელობით. ამასთანავე, მხატვრობის სქემა აქ უფრო გართულებული და განვითარებულია. საგულისხმოა ისიც, რომ ტაძრისა და სატრაპეზოს ფერწერის ავტორებმა, გამომდინარე გარეჯში ჩამოყალიბებული, იკონოგრაფიული ტრადიციიდან, მოხატულობების სქემებში ჩართეს „ჯვრის ამაღლება“ და „დეისუსი“, აგრეთვე ჯვარი მედალიონში, წმ. დავითის გამოსახულება და მისი



209. ბერთუბანი. სატრაპეზოს მოხატულობა. „პურის გამრავლების სასწაული“. ფრაგმენტი

ცხოვრების ამსახველი სცენა (სატრაპეზო), წმინდანთა შორის არიან წმ. მეომრებიც.

ნიშანდობლივია, რომ ბერთუბნის ეკლესიის ფერწერის სქემაში წარმოდგენილია საქართვ. განმანათლებლის, წმ. ნინოს გამოსახულებაც, რ-იც მოთავსებულია აფსიდის პირდაპირ, დას. კედელზე, მეორე რეგისტრში.

გარეჯის უფრო ადრინდ. პერიოდის მოხატულობებთან შედარებით, ბერთუბნისა და ნათლისმცემლის მხატვრობაში კოლორიტი არსებითად შეცვლილია: ფერების შეხამება უფრო დახვეწილია და ფაქიზი. უპირატესობა აქვს მინიჭებული ულტრამარინს (განსაკუთრებით ნათლისმცემელში). კოლორიტის ცვლილება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია გარეჯის



209. ბერთუბანი. სატრაპეზოს მოხატულობა. „ქრისტე და სამარიტელი ქალი“. ფრაგმენტი

მხატვრების ორიენტაციასთან საქართვ. ცენტრ. რაიონების ფერწერის ნიმუშებზე (ბეთანია, ყინწვისი). შემდგომში ეს ფერადოვანი გამა დამახასიათებელი გახდა გარეჯის ზოგიერთი სხვა მოხატულობისათვისაც.

ბერთუბნის ეკლესიის ხალვათ ინტერიერში, სადაც კედლების გლუვი სიბრტყეების რაოდენობა დიდია, მხატვრობა ორ რეგისტრადაა აგებული. ფერწერის საერთო სისტემაში ძირითადი მახვილების განაწილება მხატვარს კარგად აქვს გააზრებული. აქ სამი მახვილია: ღვთისმშობლის ძალიან დიდი ზომის ფიგურა საკურთხეველის კონქში, კამარაში – მედალიონში ჩაწერილი, კოლოსალური ჯვარი, რ-საც ამაღლებენ ანგელოზები

და თამარ მეფისა და მისი ვაჟის – ლაშა-გიორგის დიდი ზომის ფიგურები. ეს ისტ. ფიგურები, ტრადიციისამებრ, განთავსებულია ჩრდ. კარგად განათებულ კედელზე და ისინი ტაძარში სამხრ-დან შესვლისთანავე გვხვდება თვალში (ამჟამად მთელი სამხრ. კედელი ჩამონგრეულია). ფიგურების წარმოჩენას აგრეთვე ხელს უწყობს კედლის დიდი სიბრტყე, რ-ზეც მხოლოდ ეს ფიგურებია გამოსახული.



209. უდაბნო. ხარების ეკლ. ხედი დას-კენ

ეკლესიის მთავარი ნაწილი – საკურთხეველი – განსაკუთრებით საზეიმოდ არის შემკული. კონქში წარმოდგენილია ღვთისმშობლის დიდების კომპოზიცია, სადაც გამოიყოფა მდიდრულად შემკულ ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის მონუმ. ფიგურა, რ-საც ხელში ყრმა უჭირავს. კონქის კიდეებისაკენ გაწეული, მთავარანგელოზების ფრონტალურად წარმოდგენილი ფიგურები ხელში ლაბარუმებით, აძლიერებენ ცენტრ. ფიგურის აქცენტირებას. ამას აგრეთვე ხელს უწყობს ფერადოვანი გადაწყვეტა – ღვთისმშობლის მუქი ლურჯი ფერის ტუნიკა და მეწამული მაფორიონი, შეხამებული ქრისტეს ოქროთი დაფარულ, თითქოს-და ოქროსფრად ალაპლაპებულ ტანსაცმელთან. ეს არის ყველაზე მუქერი და დიდი, ფერადოვანი ლაქები მთელ მოხატულობაში.

მეტად დიდი ზომის კონქში ფიგურების მოხერხებული განთავსება აშკარას ხდის გამოსახულებების არქიტექტურასთან კავშირში განაწილების ოსტატობას. კონქის კიდეებში გამოსახული, მდგომი ფიგურების დახრით ბერთუბნის მხატვარმა გააერთიანა სამივე ფიგურა კომპოზიციის ზედა ნაწილში და დაასრულა იგი ღვთისმშობლის თავზე მოთავსებული, მედალიონში ჩაწერილი ჯვრის გამოსახულებით, რ-იც აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი, აზრობრივი მახვილი. კომპოზიციის დეკორატ. ხასიათი გაძლიერებულია აგრეთვე ტახტის ორივე მხარეს გამოსახული წითელ და ლურჯ ყვავილებიანი, დიდი ბუჩქებით.

კედელზე, ქვედა რეგისტრში, წარმოდგენილია ლიტურგიკული ხასიათის კომპოზიცია „მსხვერპლის თაყვანისცემა“: სამი მეოთხედით მიბრუნებული მავედრებელი მღვდელთმთავრები (ნათლისმცემელში აფსიდის კედლის რეგისტრში გამოსახულია ასევე მოციქულთა ფრონტალური ფიგურები) დინჯად მიემართებიან ცენტრში მდგომი ტრაპეზისაკენ. ტრაპეზზე ბარძიმი და დისკოსი დგას, რითაც ხაზგასმულია კომპოზიციის ევქარისტული მნიშვნელობა. მღვდელმთავართა 3/4-ით მიბრუნება კომპოზიციას გარკვეულ დინამიურობას ანიჭებს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ფიგურების სილუეტების თეჯზისმაგვარი ფორმის, ნარნარი ნახატის რიტმული გამეორება. ფაქიზადაა გადაწყვეტილი ამ რიტმულად აგებული კომპოზიციის კოლორიტიც. მღვდელთმთავრების თეთრ სამოსელზე ლამაზად იკითხება ომოფორთა ლილისფერი, ყვითელი, ლურჯი და შავი ნახატი. ქათქათა თეთრი ტანსაცმელი, თეთრი შარავანდები, თეთრი მიწა, დია ფერის ფონი საკურთხევლის მოხატულობას უჩვეულო

ხასიათსა და საოცარ დეკორატიულობას ანიჭებს.

აფსიდის მხატვრობა შინაარსისა და ასევე ფერადოვნების მხრივ, დასრულებული იყო აფსიდის თაღზე დავითის ერთ-ერთი ფსალმუნიდან აღებული, დეკორატიულად შესრულებული, დიდი ზომის ასომთ. წარწერით: „მზისა აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე ქებულ არს სახელი უფლისა“ (112, 3).

ეკლესიის დანარჩენი ნაწილის ფერწერა, როგორც აზრობრივად, ისე მხატვრული თვალსაზრისით, საკურთხევლის მოხატულობასთანაა დაკავშირებული. ზედა რეგისტრში განლაგებულია ღვთისმშობლის ციკლი (უკავია კამარის გვერდი და კედლის სიბრტყეები) და თანამიმდევრულად უვლის გარს დარბაზის სამივე კედელს (ჩრდიდან დას-ის მიმართულებით და შემდეგ სამხ-ისკენ). შერჩეულია ათი ყველაზე დამახასიათებელი სცენა. იაკობის პროტოსახარებიდან აღებულია იოაკიმესა და ანნას ცხოვრების ისტორია, ასევე მარიამის ბავშვობის ეპიზოდები – „ძღვენის უარყოფა“, „იოაკიმესა და ანნას შინ დაბრუნება“, „იოაკიმეს ხარება“, „ანნას ხარება“, „იოაკიმესა და ანნას შეხვედრა“, „ღვთისმშობლის შობა“ (წარმოდგენილია განბანის სცენასთან ერთად, რ-იც გამოყოფილია ვერტ. ხაზით და ამიტომ იკითხება როგორც ცალკე ეპიზოდი), „ტაძრად მიყვანება“, „დაწინდვა“. ციკლი დასრულებულია ახ. აღთქმის სცენებით: „მარიამის ხარება“, „ქრისტეს შობა“. ცალკეული სცენების შერჩევა ტრადიციულია შუასაუკუნეების მოხატულობებისათვის (დაფნის – XI ს., ატენის – XI ს., წმ. მარკოზის ვენეციაში – XII ს., ნერედიცას – XII ს., სპასო-მიროჟის მონასტრის – XII ს., ოქრიდი – XII ს. და სხვ.), მაგრამ ფერწერის საერთო სქემას არ გააჩნია პირდაპირი პარალელი. პროტოსახარების ტექსტის შესაბამისად, მოვლენათა თანამიმდევრულმა გაშლამ ციკლს ნარატიული ხასიათი მიანიჭა. ასეთი რამ იმავე ციკლში შეიმჩნევა ქართ. ხელოვნების უფრო ადრინდელი ხანის ნიმუშებშიც (ღვთისმშობლის ე.წ. ლაკლაკიძის ჭედური ხატი ზარზმიდან – XI ს-ის პირველი მეოთხედი, ატენის ტაძრის ფერწერა – XI ს.), რაც მოწმობს იმას, რომ ბერთუბნის XIII საუკუნის დასაწყისის მოხატულობაში იგივე იკონოგრაფიული ტრადიცია გრძელდება.

ციკლის ცალკეული სცენების იკონოგრაფია ძირითადად აღმოსავლური წარმოშობისაა, რედაქცია ჩვეულებრივია. ბერთუბნის მხატვრობის ღვთისმშობლის ციკლის თავისებურება ძირითადად მის მხატვრულ შესრულებაში მჟღავნდება. აქაც, ისევე როგორც უდაბნოს უფრო ადრინდ. ფერწერაში, სცენები მოჩარჩოებულია მოწითალო-ყავისფერი, სადა ზოლით, რ-იც ხელს არ უშლის მოვლენათა თანამიმდევრულ წაკითხვას. მაგრამ ამ დროის მხატვრული მიდგომის შესაბამისად, ბერთუბნის მოხატულობაში უფრო მეტად მჟღავნდება სცენების ორგანული კავშირი, რ-იც ეპიზოდების შინაარსის ემოციური გადმოცემის წყალობით, ერთიან ციკლს ქმნის. თხრობის ერთიანი ხაზი გრძელდება ერთი კომპოზიციიდან მეორეში.

209. უდაბნო. ხარების ეკლ. საკურთხევლის აფსიდი



ამას ასევე ხელს უწყობს სცენების ისე აგება, რაც ეფუძნება ერთიან ხაზოვან ჰარმონიას, მასებისა და ფერადოვანი ლაქების წონასწორობას. კომპოზიციებს ერთმანეთთან აკავშირებს მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული ფიგურების პოზები და მათი ჟესტი-



209. უდაბნო. ხარების ეკლ. კამარის ჩრდ. გვერდი

კულაცია. ამასთანავე, ციკლის საერთო ნარატიულობასთან ერთად, სცენების შეკრული კომპოზიცია განსაზღვრავს თითოეული მათგანის დასრულებულ, „სურათოვან“ ხასიათს. კომპოზიციების აგების ლაკონურობით, სახვითი ხერხების მკაცრი შერჩევით ყურადღება გამახვილებულია ფიგურების, მათი პოზებისა და მოძრაობების მონუმენტურ გამომსახველობაზე. აქაც კომპოზიციებს თავისებურ ხასიათს ანიჭებს თეთრი ფერის შარავანდები, თეთრი მიწა, მთები, ღია, პერგამენტის ფერის ფონი.

ემოციურად არის გადმოცემული ანნასა და იოაკიმეს ისტორია, ფაქიზადაა დიფერენცირებული განწყობა. ქართ. ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ემოციურობა აქ ახლებურად წარმოგვიდგება. პერსონაჟების სხვადასხვა განწყობის, ფაქიზად გადმოცემული ნიუანსები (წყენა, ჩაფიქრება, სიხარული და სხვ.) ესადაგება მიწიერ გრძნობებს. ძარღვიანი, პლასტიკური ნახატი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ფიგურების პოზებისა და მოძრაობების გამომსახველობას. ემოციურობის ეს უფრო ფართო გაგება, ისევე როგორც ფიგურათა პლასტიკური გამომსახველობა, რ-იც აქ უკავშირდება წერის ხაზოვანი მანერის გაძლიერებას, საფუძვლად დაედო გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ქართულ ფერწერაში ჩაისახა იტალიური დუჩენტოს ხელოვნების მსგავსი წანამძღვრები, რ-თა შემდგომი განვითარება შექმნილი ისტ. პირობების გამო აღარ მოხერხდა.

ტაძრის მხატვარი გამორჩეული ნიჭის მქონე ოსტატია. იგი წერს თავისუფლად, დიდი შთაგონებით, წვდება თითოეულ სცენის შინაარსის არსს, ქმნის „ჯვრის ამაღლების“ ახალ, კომპოზიციურ სქემას სამი ანგელოზით, რ-ებიც ექსპრესიით აღსავსე, სხვადასხვა მოძრაობაში არიან გამოსახულნი.

ბერთუბნის ეკლესიის მხატვრობა, როგორც ჩანს, ისტ. პირობების გამო არ არის დასრულებული. ეგვტერის ფერწერაში გამოსახულებები შესრულებულია მხოლოდ კონტურული ნახატის სახით. დას. კედელზე (ისევე როგორც უდაბნოს მთავარი ეკლესიის მოხატულობაში), „განკითხვის დღის“ სცენაში, მჯდომარე მოციქულთა უკეთ შემონახული ფიგურები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი მონუმენტურობითა და ნახატის პლასტიკური გამომსახველობით. არაჩვეულებრივად ლამაზია სხვადასხვა ფერის ნახატით შესრულებული „დატირების“ სცენა ჩრდ. კედელზე. ფიგურების მწუხარე სახეები და პოზები, ასევე პეიზაჟი განსაზღვრავს მის ემოციურ ხასიათს.

ბერთუბნის სატრაპეზოს მხატვრობა, ტაძრის ფერწერასთან შედარებით, უფრო დახვეწილია, ნახატი უფრო ნატიფი და მოხდენილია, აქ მეტადაა გამოხატული დეკორატიულობის ტენდენცია.

მოხატულობის სქემაში ჩართულია ხუთი სცენა ძველი და ახალი აღქმიდან, სადაც ღვთაებრივი ტრაპეზის თემა სხვადასხვა ასპექტით არის წარმოდგენილი. ეს არის „საიდუმლო სერობა“ და მასთან შეპირისპირებული „სამება“, კომპოზიციები – „ქორწილი გალილეას კანაში“, „პურის გამრავლება“, „ქრისტე და სამარიტელი დედაკაცი“. საერთო თემასთან ახლოსაა ციკლში ჩართული, წმ. დავითის ცხოვრების სცენა – „წმ. ლუკიანეს მიერ ირმების წველა“ (უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოსახული ეს სცენა უფრო ადრინდელია) და აგრეთვე ორანტას პოზაში წარმოდგენილი წმ. დავითი.

აღმ. კედელზე აფსიდის მსგავსს სალოცავ ნიშაში, ისევე როგორც უდაბნოს სატრაპეზოში, გამოსახულია „დეისუსი“, მაგრამ აქ იგი ფლანკირებულია აფსიდის გარეთ, ორივე მხარეს, კედელზე გამოსახული მთავარანგელოზების, მიქაელისა და გაბრიელის, ფიგურებით (შემორჩენილია მხოლოდ ერთი

ფიგურა), რ-ებსაც, როგორც მცველებს, მაღლა აწეულ ხელში ხმლები უჭირავთ.



209. უდაბნო. ხარების ეკლესიის მოხატულობა. დემეტრე II თავდადებული

სატრაპეზოს ფერწერას ასრულებს ვარსკვლავებიანი ცის ფონზე გამოსახული, მეტად დიდი მედალიონი შიგ ჩაწერილი ჯვრით, რ-იც მხატვრობის საერთო დეკორში განსაკუთრებით ხაზგასმულადაა წარმოდგენილი.

აქაც, ისე როგორც ეკლესიის მხატვრობაში, სიუჟეტები ემოციურადაა გადმოცემული (გამომსახველი სახეები, ემოციურად გადმოცემული პეიზაჟი).

ადრინდ. მოხატულობების (მოწამეთა, უდაბნოს მთავარი ეკლესიის ეგვტერი) მსგავსად სცენები აქაც ფრიზისებრად უვლიან გარს ინტერიერის ყველა კედელს (რ-იც თითქმის არ არის დანაწევრებული ღიობებით). ინტერიერის ცენტრში დგას ქვის გრძელი მაგიდა. ამგვარად, ხელნაწერი გრაგნილებისათვის დამახასიათებელი ეს ხერხი გარეჯშიც მკვიდრდება.

სატრაპეზოში შესვლისთანავე თვალში გვხვდება წინამძღვრის ნიშის თავზე, ჩრდ. კედლის თითქმის მთელ სიბრტყეზე საზეიმოდ გაშლილი, ნარნარი მრუდეების რიტმზე ფართოდ და თავისუფლად აგებული, „პურის გამრავლების სასწაულის“ მონუმ. კომპოზიცია. იგი გამორჩეულია თავისი დეკორატიულობით და სწორედ ამ კომპოზიციაში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ოსტატის ნიჭიერება. აღსანიშნავია, რომ ფერწერის საერთო სისტემაში იგი მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს, თუმცა, ევქარისტული მნიშვნელობით, „საიდუმლო სერობასთან“ შედარებით, იგი ნაკლებად დოგმატურია. სცენებში, რ-ებშიც ტრაპეზის თემაა გაშუქებული, შინაარსის დოგმატურობის ერთგვარი შესუსტება ხდება აგრეთვე დეკორატ. მოტივების გაძლიერების ხარჯზე. ტაძრის მოხატულობასთან შედარებით, აქ უფრო ძლიერია პეიზაჟითა და არქიტექტურის ელემენტებით გატაცება. ხაზოვანი ჰარმონია ჩანს არა მხოლოდ ცალკეულ კომპოზიციებში, არამედ საერთო ხაზოვან და ფერადოვან რიტმში, რ-იც ერთ კომპოზიციიდან მეორეში გადადის და ყველა გამოსახულებას ერთიან, დეკორატიულად აგებულ, დინამიურ ანსამბლში აერთიანებს.

ცხოვრების ერთი სცენა – „ლუკიანეს მიერ ირმების წველა“, რ-იც ჟანრული კომპოზიციის სახითაა გააზრებული, ფერწერის ანსამბლის დეკორატიულ ხასიათთან ერთად, წმინდა საერო დანიშნულების სათავსოთა მდიდრულ და სადღესასწაულო გაფორმებასთან იწვევს ასოციაციას. განსაკუთრებით საზეიმოდაა შემკული წინამძღვრის ნიშა – კონქში წარმოდგენილია ქრისტე ევმანოელის მკერდზედა გამოსახულება, მის ორივე მხარეს კი დიდი ზომის, ყვავილებიანი ბუჩქები. ნიშის დანარჩენი ნაწილის მოხატულობა აღმოსავლური, ძვირფასი დეკორატ. ქსოვილების იმიტაციას წარმოადგენს. ასეთი ქსოვილები მეფის კარზე, დიდგვაროვანთა წრეში, ფართოდ იყო გავრცელებული.

ეკლესიის მოხატულობასთან შედარებით, ფერადოვანი გამა აქ უფრო დახვეწილია: სხვადასხვა ელფერის მოწითალო-ყავისფერი, აგრეთვე ლილისფერი, მწვანე, ლურჯი, მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი ფერები ფაქიზადაა შერჩეული.

ადგილ. ფერწერული სკოლის მხატვრული ტრადიციების საფუძველზე შექმნილი ბერთუბნის მოხატულობები, რ-ებშიც ნათლად და თავისებურადაა ასახული XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისის ქართ. მონუმ. მხატვრობის დამახასიათებელი ნიშნები, შედის ეპოქის ისეთი



209. უდაბნო. ხარების ეკლესიის მოხატულობა. წმ. თევდორე

მოწინავე ძეგლების რიცხვში, როგორიცაა ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის მოხატულობები.

ნათლისმცემლისა და ბერთუბნის ბრწყინვალე მოხატულობები ნიმუშად იქცა გარეჯის მხატვართა შემდგომი თაობისათვის. როგორც ჩანს, ნათლისმცემლის ფერწერით იყო შთაგონებული გარეჯელი მხატვარი, რ-მაც მოხატა უდ-

აბნოს ხარების ეკლ. მის ჩრდ. კედელზე გამოსახული დემეტრე II თავდადებულის პორტრეტის მიხედვით, ხარების ეკლესიის მხატვრობა თარიღდება XIII



209. უდაბნო. ხარების ეკლესიის მოხატულობა. ეპისკოპოსი იოანე ანჩელი წმ. დავით გარეჯელის წინაშე

საუკუნის ბოლო მეოთხედით. მაგრამ ამ მცირე ზომის ეკლესიაში, სამფრთიან თაღებში (ჩრდ. და სამხრ. კედლების ზედა რეგისტრები) ჩასმული, ძლიერ შემცირებული, პატარა ფიგურებიანი კომპოზიციები უფრო ემსგავსებიან მინიატურების მსგავსია. ფორმების შესაბამისი დამუშავების გამო აქ მინიატურებთან ასოციაცია განსაკუთრებით საგრძნობია.

ნათლისმცემლის მოხატულობის გავლენა შესამჩნევია კოლორიტშიც: ლურჯი ფონი, ოქროთი დაფარული დეტალები (შარავანდები, ტანსაცმელი), ისევ და ისევ, დასურათებულ ხელნაწერებთან კავშირში აღიქმება, მაგრამ ფერთა დამახასიათებელ შეხამებას მხატვარი რამდენადმე განსხვავებული ტონალობით იძლევა. მის მიერ გამოყენებული ფერები გაუმჭვირვალე, ინტენსიურია, ძირითადად, ეს არის ლურჯის ლიმონისფერ-ყვითელთან ეფექტური შეხამება, რაც არა მარტო აძლიერებს მხატვრობის დეკორატიულობის შთაბეჭდილებას, არამედ განსაზღვრავს კიდეც მის ინდივიდუალურ ხასიათს.

პატარა ეკლესიის ინტერიერის ასეთი საზეიმო მოხატულობა, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ ქტიტორი მაღალი, სასულ. წოდების წარმომადგენელი – ანჩის ეპისკოპოსი და გარეჯის თორმეტი სავანის არქიმანდრიტი იოანე, იყო. იგი გამოსახულია სამხრ. კედელზე, ეკლესიის მოდელით ხელში, რ-საც წმ. დავით გარეჯელს მიართმევს. წმ. დავითს ოქროს შარავანდი ადგას. აშკარაა, რომ გარეჯის სავანეთა დამაარსებლის კულტის შენარჩუნებას ამ დროსაც დიდი მზრუნველობით ეკიდებიან.

მოხატულობის სქემა ვრცელია. საკურთხევლის აფსიდის ცენტრში ხაზგასმულად არის წარმოდგენილი ტახტზე მჯდომი, დიდი ზომის ღვთისმშობელი ყრმით. მის ორივე მხარეს მხატვრობა ორ რეგისტრად იყოფა. ფერწერის ამგვარი აგება ააშკარავებს იმ ცვლილებებს, რასაც განიცდის XIII საუკუნის მეორე ნახევრის მონუმ. მხატვრობა, კარგავს რა აგების უწინდელ ტექტონურობას და მკაცრ მონუმენტურობას. ზედა რეგისტრში გამოსახულია ღვთისმშობლისა და ქრისტეს წინაშე თაყვანისცემის პოზაში მოცემული მთავარანგელოზები (თითო-თითო). აფსიდის კედლის რეგისტრში წარმოდგენილია 3/4-ით შებრუნებული ეკლესიის მამები (ორ-ორი ფიგურა) ხელში გაშლილი გრაგნილებით, მარცხნივ კი დიაკვნის ფრონტალური ფიგურაა გამოსახული.

ეკლესიის მამები მიმართულნი არიან ღვთისმშობ-

ლისკენ და ასევე, ცენტრში მდგარი ქვის ტრაპეზისკენ, რ-იც ილუზორულად თითქოს კომპოზიციაში არის შეყვანილი, რაც მის ლიტურგიკულ ხასიათს გამოკვეთს. აშკარაა, რომ ოსტატისთვის შთაგონების წყაროდ იქცა სწორედ ბერთუბნის საკურთხევლის ფერწერის სქემა, მაგრამ მან ეს სქემა გადაამუშავა მცირე ზომის აფსიდის სივრცისა და იმდროისათვის დამახასიათებელი, მხატვრული მიდგომების გათვალისწინებით, რის შედეგადაც შექმნა მეტად თავისებურად აგებული კომპოზიცია. ასევე ბერთუბნის მოხატულობის სქემის გამეორებაა მედალიონში ჩასმული ჯვრის გამოსახულება აფსიდში – ღვთისმშობლის თავზე და კამარის გამოყოფილ ზოლზე.

ინტერიერში მხატვრობა დაყოფილია ორ რეგისტრად: ზემოთ, სამფრთიან თაღებში (ჩრდ. და სამხრ. კედლებზე) გამოსახულია საუფლო დღესასწაულების ციკლის ათი სცენა, რ-თა ისტ. თანამიმდევრობა არ არის დაცული. ტრადიციულად წარმოდგენილნი არიან წმ. მეომრებიც, აგრეთვე წმ. ეკატერინეს და წმ. ირინეს წელზედა ფიგურები.

ფერწერის შესრულების მაღალი დონე მუღავნდება ინტერიერის კედლებზე განთავსებული მხატვრობის კომპოზიციურ აგებაშიც. ჩრდ. და სამხრ. კედლებზე ზედა რეგისტრების სცენები გაერთიანებულია დეკორატ. სამფრთიანი თაღედით; ქვედა რეგისტრში განლაგებულია დიდი ზომის ცალკეული ფიგურები. თაღოვანი მოჩარჩოება აქ მხოლოდ სამეფო პორტრეტს აქვს (ჩრდ. კედელზე). დას. კედლის მოხატულობის აგება გამოირჩევა დიდი „თავისუფლებითა“ და დინამიურობით. აქ არ არის დაცული რეგისტრების მკაფიო საზღვრები. ზოგჯერ ერთი კომპოზიცია ნაწილობრივ გადადის მეორე სცენის კადრში. ასევე არ არის შენარჩუნებული გამოსახულებების მასშტაბების შეფარდება. წმ. მეომრის – თეოდორეს, გამოყოფის მიზნით, მისი ფიგურის ზომები მნიშვნელოვნად გადიდებულია და ა.შ. მხატვრობის ზედა ნაწილში, გამოსახულებების თავზე, კედლის დარჩენილი მონაკვეთები შევსებულია ორნამენტული მოტივებით. მოხატულობაში წარმოქმნილი ცარიელი ადგილების მსგავსი შევსება ასევე მოწმობს იმას,რომ მხატვრის შთაგონების წყარო არის ბერთუბნის მხატვრობა (ორნამენტული მოტივი გუმბათის გამოყოფილ ნაწილზე, რ-შიც გამოსახულია „ჯვრის ამაღლება“).



209. ქოლაგირი. სამლოცველოს მოხატულობა. „ქრისტეს ამაღლება“

მოხატულობის საერთო სისტემაში მხატვარი გამოკვეთს აზრობრივად მნიშვნელოვან გამოსახულებებს. ესენია ღვთისმშობელი საკურთხეველში და მეფე დემეტრე II თავდადებული ჩრდ. კედელზე. ეს უკანასკნელი აქცენტირებულია ზომებით, მდიდრული ჩაცმულობით და მოჩარჩოების სამფრთიანი თაღით. სამხრ. კედელზე დიდი ზომით გამოირჩევიან მხატვრობის შემკვეთის – იოანეს და წმ. დავით გარეჯელის ფიგურები. ზედა რეგისტრების მომცრო ზომის, მრავალფიგურიან სცენებთან შედარებით, ერთგვარად უფრო გამოყოფილია სამი წმ. მეომრის ფიგურა (ჩრდ. და დას. კედლებზე).

ნიშანდობლივია, რომ ეს ფერწერა სტილისტ. თვალსაზრისით არქაიზირებულია, ვინაიდან უფრო ადრინდ. პერიოდის ტრადიციებს მისდევს. როგორც მის საერთო, დეკორატიულ-დინამიურ აგებაში, რ-იც ემყარება ნარნარი ხაზების რიტმს (თვით დას. კედლის უფრო ცხოველხატულად, ატექტონურად აგებული მოხატულობაც კი), ასევე კომპოზიციების აგებაშიც, სადაც აგრეთვე გაბატონებულია რბილი, მომრგვალებული ხაზების რიტმი, ცხადად ჩანს, რომ მხატვარი მისდევს ქართ. მონუმ. მხატვრობის განვითარების უფრო ადრინდ. ეტაპის, XIII საუკუნის დასაწყისის, განსაკუთრებით კი საკუთარი, გარეჯული ფერწერის ტრადიციებს.

ამასვე მოწმობს გარეჯის XIII საუკუნის მეორე ნახევრის სხვა ეკლესიების ფერწერაც. შედარებით მცირე ზომის ამაღლების ეკლესიის (XIII ს-ის ბოლო) მხატვრობა შენახულია ფრაგმენტულად.

მხატვარი აქაც იყენებს ფიგურების თაღით მოჩარჩოების ხერხს (თუ ვიმსჯელებთ ჩრდ. კედლის ქვედა რეგისტრის შემონახული მხატვრობის მიხედვით), ამასთანავე, პირველი წმინდანის ფიგურას, რ-საც სახარება უჭირავს, ის სპეციალურად გამოყოფს სამფრთიანი თაღით, ხოლო ფეხზე მდგომ წმ. მეომრის ფიგურებს ერთფრთიან თაღებში ათავსებს.

აფსიდში, კონქში, ჩვეულებრივი რედაქციით არის წარმოდგენილი „ქრისტეს ამაღლება“ ოთხი ანგელოზით; ქვემოთ ღვთისმშობლის ფიგურაა ორანტას პოზაში და მოციქულები. კონქის კომპოზიციას მოსდევდა არცთუ მაღალი რეგისტრი, რ-შიც მოთავსებული იყო მედალიონში ჩასმული წმინდანების მკერდზედა გამოსახულებები, ხოლო ცენტრალურ მედალიონში მოთავსებული იყო ჯვარი (ქართულ ძეგლებში საკურთხევლის მოხატულობის მსგავსი აგება გვხვდება XII საუკუნის დასასრულიდან, კერძოდ, ფავნისში, მაგრამ აქ წმინდანების წელზედა გამოსახულებები ჩასმულია თაღებში). აფსიდის თაღის წვერზე გამოსახულია მედალიონში ჩასმული ქრისტე ევმანოელის წელზედა გამოსახულება, უფრო ქვევით, თაღის სოფიტში – წინასწარმეტყველთა თითო ფიგურა გაშლილი გრაგნილით ხელში.

ჩრდ. კედელზე, ზედა რეგისტრში, შემორჩა „ხარების“ სცენის ფრაგმენტი, რ-იც ხარების ეკლესიის მოხატულობის მსგავსად, შესრულების მანერით ახლოს არის მინიატურასთან.



209. ქოლაგირი. მოხატულობის ფრაგმენტი

ეპოქისთვისაა დამახასიათებელი ფიგურების შემსუბუქებული სილუეტების განსაკუთრებული ნერვული ექსპრესია, ზოგჯერ მათი მოძრაობის და ჟესტიკულაციის უტრირებული ხასიათიც კი. მოციქულების ტანსაცმლის სხვადასხვა ფერის ხაზებით აღნიშნული ნაკეცები, ისევე როგორც ლურჯი ლაქები (ჩრდილები) ქრისტეს მოსასხამზე, კავშირს ამჟღავნებს ილუზიონისტური, ფერწერული მანერით შესრულებულ ნიმუშთან. მაგრამ წერის ამ რთულ ფერწერულ ტექნიკას აქ ფერადი, გრაფიკული ნახატის სახე აქვს, რაშიც ჩანს იგივე ტენდენცია ხაზობრიობისაკენ, რ-იც საერთოდ ახასიათებს უფრო ადრინდ., ქართულ ძეგლებს (XII-XIII სს.) და კერძოდ, გარეჯის მხატვრობას. ამ მოხატულობის კოლორიტი მიჰყვება უფრო ადრეული ხანის გარეჯის მოხატულობათა ტრადიციას – მუღერი მოწითალო-ყავისფერი ოქრა, ოქროსფერი, მწვანე, ცისფერი.

ქოლაგირში, კიდევ ერთ, პატარა, სამონასტრო კომპლექსში, შემორჩა XIII საუკუნის მეორე ნახევრის ფერწერა – „ქრისტეს ამაღლების“ ტრად. კომპოზიცია, ეგვტერში კი წარმოდგენილია ისტ. პირების მთელი გალერეა. აღსანიშნავია, რომ ამ მონასტერში იმავე პერიოდში მოიხატა სატრაპეზოც (მხატვრობა არ არის დასრულებული). სცენები აქ შერჩეულია მსგავსი სათავსების მოხატულობის გარეჯში შემუშავებული, ტრად. სქემის მიხედვით, მაგრამ აზრობრივი მახვილების განაწილება სხვაგვარია. დას. კედელზე, რ-იც შესვლისას უშუალოდ ხვდება თვალს (მონასტერი განლაგებულია მთის აღმ. კალთაზე), წინამძღვრის ნიშის (მოუხატავია) მარცხნივ გამოსახულია „სამება“, მარჯვნივ – „საიდუმლო სერობა“ (ანუ ერთმანეთთან ახლოს) ისე, როგორც ეს უდაბნოს და ბერთუბნის მოხატულობაშია. მაგრამ აქ საგანგებოდ არის გამოყოფილი მრავალფიგურიანი სცენა „სასწაული გალილეას კანაში“, რ-იც გაშლილია სამხრ. კედლის მთელ სიბრტყეზე. ამ მხატვრობის კოლორიტი გარეჯის ადრეული ხანის მოხატულობების კოლორიტის მსგავსია. აქაც, ისევე როგორც საბერეების ადრინდ. მხატვრობაში (ეკლ. № 8), გამოყენებულია ნათელი, სუფთა ფერები – მოწითალო-ყავისფერი, მოვერცხლისფრო-ნაცრისფერი, მწვანე, ფირუზისფერი. საბერეები და ქოლაგირი ერთსა და იმავე რაიონში მდებარეობს. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ საბერეების ფერწერამ, ფერთა თავისი ლამაზი შეხამებით, შთააგონა უფრო მოგვიანო ხანის მხატვარი. აქაც სწორედ ფირუზისფერი აძლიერებდა ამ ფერწერის დეკორატიულობას და მთლიანობაში მას ერთგვარ,

ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებდა.

XIII საუკუნის ბოლოს, როგორც ჩანს, ისტ. პირობების გამო, გარეჯის ფერწერულმა სკოლამ არსებობა შეწყვიტა. ხუთი საუკუნის განმავლობაში (IX-XIII სს.) ამ სკოლის მიერ შექმნილ ფერწერაში აისახა ის ძიებები და მიღწევები, რ-ებიც ქართულ მონუმენტურ მხატვრობას ჰქონდა მისი განვითარების სხვადასხვა და ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე. განსხვავებით საქართვ. სხვა რაიონების XIII საუკუნის ბოლოს მოხატულობებისაგან (გელათის მონასტრის ღვთისმშობლის სამხრ. ეგვტერი, ხობის ეგვტერი, აჭი), პალეოლოგოსთა ხელოვნების გავლენა ამ სკოლას არ შეხებია. გარეჯის მხატვრები ისევ და ისევ ეფუძნებოდნენ წინა პერიოდის თავისი წინამორბედი მხატვრების უმნიშვნელოვანეს მიღწევებს. გვიან. შუა საუკუნეებში შექმნილი მოხატულობებიც კი (იოანე ღვთისმეტყველის ეკლ. ლავრაში, ნათლისმცემელი) მომდინარეობს გარეჯის ფერწერული სკოლის მხატვრული ტრადიციებიდან.

გარეჯის მოხატულობებისათვის დამახასიათებელი სცენების ფრიზისებრი განლაგების კომპოზიც. ხერხის გამოყენება, რ-იც გრაგნილების დასურათების პრინციპს მოგვაგონებს, აგრეთვე ნათელი ფონი, დეკორატ. თაღედი, ზოგიერთი ორნამენტული მოტივი, რაც ასევე ასოცირდება დასურათებულ ხელნაწერთა დეკორთან, გვაფიქრებინებს, რომ გარეჯში, ისევე როგორც შუა საუკუნეების სხვა მსხვილი მონასტრების სამხატვრო სახელოსნოებში, შესაძლოა, გვერდიგვერდ მუშაობდნენ როგორც მინიატურის, ასევე მონუმ. მხატვრობის ოსტატები. მაგრამ ყოველთვის ხდებოდა ხელნაწერებიდან ნასესხები ხერხების შემოქმედებითი გადამუშავება კედლის მხატვრობის თავისებურებებისა და გამოქვაბული არქიტექტურის სპეციფიკის გათვალისწინებით, რასაც გარეჯის ოსტატები ასე ფაქიზად გრძნობდნენ. სცენების მართებული განაწილებით, მხატვრები თავს აღწევდნენ იმ სიძნელეებს, რაც ზოგჯერ იქმნებოდა გამოქვაბული სათავსების კედლების უსწორმასწორო ზედაპირის გამო. ფერწერული დეკორი აცოცხლებდა ეკლესიების და სატრაპეზოების მკაცრ ინტერიერს, თუმცა, არ ასუსტებდა მოხატულობის შინაარსის დიდაქტიკურ ზემოქმედებას. გარეჯის ფერწერული



209. ქოლაგირი. მოხატულობის ფრაგმენტი

სკოლის მიერ შემუშავებულმა, ლოკალურმა ნიშნებმა და მხატვრულმა ხერხებმა, რ-ებსაც იყენებდნენ სხვადასხვა დროის ოსტატები, გარეჯის ფერწერას მიანიჭა სპეციფიკური ხასიათი, რ-იც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ამ სკოლის საქართვ. სხვა ფერწერულ სკოლებთან შედარებისას.

გარეჯში, საკურთხევლისა და კამარის მოხატულობისათვის, განსაზღვრულია ქრისტ. რელიგიის ორი ძირითადი თემა – „ქრისტეს დიდება“ და „ღვთისმშობლის დიდება“, აგრეთვე ჯვრის გამოსახულება მედალიონში და „ჯვრის ამაღლება“. ეს კომპოზიციები ქართულ ხელოვნებაში გავრცელდა ადრინდ. ქრისტ. ხანიდან. მათ სხვადასხვა იკონოგრაფიულ რედაქციებს გარეჯელი მხატვრებიც ამუშავებდნენ, რის შედეგადაც ზოგიერთ მოხატულობაში მივიღეთ საინტერესო, ზოგჯერ კი ორიგინალური გადაწყვეტა. გარეჯის ფერწერაში ასევე აისახა საქართველოში მეტად გავრცელებული წმ. მეომართა კულტი. აქ ფართოდ განვითარდა ისტ. პორტრეტიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გარეჯის ფერწერულმა სკოლამ დამოუკიდებლად დაამუშავა გარეჯის სავანეთა დამაარსებლის – წმ. დავითის „ცხოვრების“ ციკლი და თავის მოხატულობებში დაამკვიდრა მისი კულტი. ამ სკოლამ ასევე შექმნა მონასტრების სატრაპეზოებისა და მარტირიუმების მხატვრობის ლაკონური, იკონოგრაფიული სქემა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გარეჯის ფერწერაში იკონოგრაფიული თემები, კოლორიტი, ცალკეული მხატვრული ხერხები საერთოა, მაინც გარეჯის თითოეული მოხატულობა წარმოადგენს გარკვეული ინდივიდუალობის მქონე ნაწარმოებს.

გარეჯელმა მხატვრებმა შექმნეს ფერწერის ისეთი გამორჩეული მნიშვნელობის ძეგლები, როგორიცაა უდაბნოს მთავარი ეკლესიის, ბერთუბნის ეკლესიისა და სატრაპეზოს, ასევე ნათლისმცემლის მოხატულობები, სადაც ცხადად ჩანს შემოქმედებითი ძიება და თვალსაჩინო მიღწევები. ისინი წარმოადგენენ არამარტო ქართ., არამედ მსოფლიო ხელოვნების შედევრებს. ყოველივე ეს განსაზღვრავს გარეჯის ფერწერული სკოლის დიდ მხატვრულ მნიშვნელობას და იმ წვლილს, რ-იც მან შეიტანა შუა საუკუნეების ქართ. მონუმ. მხატვრობის განვითარებაში.

ა. ვოლსკაია
(თარგმნა ფ. დევდარიანმა).

არქეოლოგია

ბრინჯაო-რკინის ხანა

დავითგარეჯის მრავალმთა მდ. მტკვარსა და იორს შორის, ივრის ზეგნის დას. ნაწილში მდებარეობს. რელიეფი ბორცვიან გორაკიანია, რ-ის საშ. სიმ., ზღვის დონიდან, დაახლ. 800 მ-ია. მრავალმთის უმაღლესი წერტილებია: „რკინის მთა“, „ნაომარი გორა“ და „ნატახტარი“, რ-თა სიმ. ზღვის დონიდან 900-1000 მ-ის ფარგლებშია.

პალინოლოგიური ანალიზების საშუალებით დადგინდა, რომ დღეს ნიადაგისეულ საფარს სრულიად მოკლებული ეს მხარე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე დაფარული იყო უღრანი, ფოთლოვანი ტყის მასივით.

ეს ტერიტ., როგორც ჩანს, მდიდარი იყო წყლის რესურსებითაც, რასაც მოწმობს არაერთი მდინარის ამუამად მშრალი კალაპოტი და დღეს არსებული მლაშეწყლიანი, მცირე ნაკადულების დიდი რაოდენობა.

დავითგარეჯის მრავალმთის ნიადაგები განსაკუთრებით ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარებისათვის. იგი მდიდარია რკინის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულითაც, რ-ის დამუშავებასაც ადგილ. მოსახლეობა ინტენსიურად ახორციელებდა ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე.

ის, რომ დავითგარეჯის მრავალმთა ადამიანის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდიდან კარგი საცხოვრ. პირობებით გამოირჩეოდა, ნათლად დაადასტურა ლავრის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1939 წელს წარმოებულმა პალეონტოლოგიურმა კვლევებმა [სამუშაოებს აწარმოებდა საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გეოლოგიის განყ-ბა (ნ. ბურჩაკოვ-აბრამოვიჩი, ე. გაბაშვილი, მ. ფოფხაძე, დ. წერეთელი)], რ-ის დროსაც ზედა სარმატულ ნალექებში აღმოჩნდა ადამიანის წინამორბედი პრიმატის – „უდაბნოპითეკის“ ქვედა ყბის ფრაგმენტი. ამაზე მეტყველებს აგრეთვე, მთლიანად ივრის ზეგნის მრავალ პუნქტში აღმოჩენილი, მილიონი წლების წინ მცხოვრები, განამარხებული ცხოველების ძვლოვანი მასალის დიდი რაოდენობაც.

როგორც ჩანს, აქ ქვის ხანაშიც იყო საცხოვრებლად კარგი, ბუნებრივი პირობები, რადგან არაერთ ადგილას მრავლად დაფიქსირდა ადრინდ. ქვის ხანის (ძვ. წ. 8000 წლამდე) ადამიანის ნაბინავრის ნაშთები.

საქათვ. ამ კუთხის არქეოლ. შესწავლა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო იაე ინ-ტის კახეთის არქეოლ. ექსპედიციის მოკლევადიანი, დაზვერვითი კვლევა-ძიებით, ხოლო 80-იანი წლებიდან არქეოლ. სამუშაოებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, დავითგარეჯის მრავალმთაში ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი მაინც არასრულად და არათანაბრად არის გამოვლენილი.

დავითგარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი სპილენძ-ქვის ხანის (ძვ. წ. VI-V ათასწლეული) ძეგლები. ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV-III ათასწლეულები) ძეგლები კი მხოლოდ მცირექვაყრილიანი, უორმოო გორასამარხების სახით არის წარმოდგენილი. ისინი, ჩვეულებრივ, კოლექტიურია და მტკვარ-არაქსული კულტურის ადრინდ. საფეხურს მიეკუთვნება. დავითგარეჯის მრავალმთაში ჯერჯერობით არც შემდგომი პერიოდის, შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) დასახლებებია გამოვლენილი. თუმცა, სრულიად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აქ ამ ხანის დასახლების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს მრავალწყლის ხეობაში, სოფ. უდაბნოს დას-ით (ქ. რუსთავისკენ მიმავალ გზაზე) ამ დროის გორასამარხების დიდი რაოდენობის კომპაქტური განლაგება და სოფ. მალხაზიანის (სათაფლის) სამხრ-ით, რამდენიმე კმ-ზე, „თეთრი ქვების“ ველზე ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის გორასამარხების დიდი ჯგუფების არსებობა.

მრავალწყლის ხეობაში შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი და II ათასწლეულის I ნახევარი) გორასამარხების დიდი ნაწილი დაზიანებულია აქ გზის გაყვანისა და დავითგარეჯის უდაბნოს სარწყავი სისტემის მთავარი მაგისტრალის მშენებლობის დროს. აქედან ჩვენამდის, შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის კუთვნილმა, მხოლოდ თითო-ოროლა ნივთმა მოაღწია.

აქ ყველა გორასამარხს აქვს 10-20 *მ* დიამეტრის ქვაყრილი. კახეთის არქეოლ. ექსპედიციის მიერ შესწავლილი სამარხის დასაკრძალავი, ოთხკუთხა ორმო სამი მ-ის სიღრმეზეა მიწაში ჩაჭრილი, რ-შიც ხის სარეცელზე, მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი მიცვალებული იყო დაკრძალული. მიცვალებულის ირგვლივ განლაგებული იყო თიხის მცირე ზომის ჭურჭლები და ლითონის ინვენტარი, დახვეწილი ტექნიკით დამზადებული ოქროს სხვადასხვა სამკაული. სამარხში აღმოჩენილი თიხის და ლითონის ნაწარმი ტიპურია თრიალეთის კულტურისათვის და ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება.

„თეთრი ქვების“ სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) გორასამარხები კონსტრუქციულად განსხვავებულია მრავალწყლის სამარხებისგან. ისინი მიწაყრილიანია, ქვებით მრგვლად შემოზღუდული. ყრილის ქვეშ მდებარე დასაკრძალავი ორმოს ხის გადახურვა ზემოდან, რამდენიმე ფენად, თიხის მკვრივი ხსნარით

არის მოლესილი, რ-იც ცენტრალურ ნაწილში საგანგებოდ შემაღლებულია. სამარხის ორმო ოთხკუთხაა, შვეული კედლებით (ზომები საშუალოდ: – 3x2 *მ*, სიღრმე – თითქმის 2 *მ*). ყველა გათხრილი სამარხი კატაკომბური იმიტაციას ქმნის, რადგან დასაკრძალავ ორ-



209. არქეოლ. უბანი უდაბნო I. ნამოსახლარი. გათხრების პროცესი

მოს გარედან, აღმ. მხრიდან, კედლის შუა ნაწილში, ცალკე გადახურული მცირე, დამრეცფსკერიანი, ჭისებრი ჩაღრმავება აქვს. სამარხში ინვენტარის განლაგება ხარებშებმული ურმის იმიტაცია უნდა იყოს. სამარხის აღმ. კედლის ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეები შელრმავებულია, რ-შიც ხარის თავფეხია მოთავსებული. სამარხის დანარჩენი ნაწილის ცენტრში კი, სარეცელზე ან ხის ურემზე, კიდურებმოხრილი მიცვალებული ასვენია. აქაც, თრიალეთური კულტრისათვის ტიპური, მცირე ზომის თიხის ჭურჭელი და ლითონის ინვენტარი, ურემზე ან სარეცელზე, მიცვალებულის ირგვლივ არის განლაგებული. დიდი ჭურჭელი და წვრილფეხა საქონლის ძვლები კი სამარხის ფსკერზეა განთავსებული.

მნიშვნელოვანია, რომ „მრავალწყლისა“ და „თეთრი ქვების“ სამაროვნებზე, გორა-სამარხების უმეტესობაში ბრინჯაოს რაპირები აღმოჩნდა, რაც მანამდე აღმ. საქართვ. ტერიტორიაზე დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ამრიგად, დავითგარეჯის მრავალმთა ამ ტიპის იარაღის გავრცელების ცენტრ. რეგიონს წარმოადგენს, რაც მას გამოარჩევს მთელი მიმდებარე მხარეების კულტურებისაგან.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დავითგარეჯის მრავალმთის ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის და ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების ძეგლები. მათი უმეტესობა სატელიტური და აეროფოტოგადაღებების დეშიფრაციის გზით არის აღმოჩენილი. უმთავრესი ძეგლების შესწავლა მიმდინარეობდა ქართულ-გერმანული, ტროა-უდაბნოს პროექტით (2000-2006 წწ.), ამჟამად არსებული ყველა უახლესი, ინტერდისციპლინარული მეთოდის გამოყენებით, რამაც უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა.

დავითგარეჯის მრავალმთის ამ დროის ნამოსახლარები ძირითადად მდინარეების მახლობლად იმართებოდა, ბუნებრივად დაცულ მთის თხემებზე. ისინი დაჯგუფებული ჩანს საზოგადოების ძირითად სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით – ერთ შემთხვევაში სას.-სამ. თვალსაზრისით ნაყოფიერი ველების, მეორე შემთხვევაში – რკინის მადნით გამოვლინებების ირგვლივ. ნამოსახლარების გარკვეული ნაწილი კი განლაგებულია დიდი, ქალაქური დასახლებების გარშემო და სოციალ-ეკონომიკურად მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მაგ. დავითგარეჯის მრავალმთაში ასეთია „ნაომარი გორის“ ქალაქური დასახლება და მის ირგვლივ მდებარე ნამოსახლარები, ივრის ზეგნის აღმ. ნაწილში კი დიდნაურის ნაქალაქარი და ჰერეთის (შირაქის), ხილიჩას და პატარა ჰერეთის პლატოს (შირაქის) ირგვლივ მთაგორებზე განფენილი ნამოსახლარები.

ყველა ეს დასახლება ერთი პრინციპით არის დაგეგმარებული. ისინი, როგორც წესი, ორი



209. არქეოლ. უბანი უდაბნო I. ნამოსახლარი

ნაწილისგან შედგება: მთის თხემზე მძლავრი, თავდაცვითი სისტემით, გალავნებით და თხრილებით გამაგრებული სამლოცველო და ელიტარული დასახლებაა. მთის ფერდის ტერასებზე კი – ასევე კარგად დაცული, „ქვედა ქალაქია“. როგორც ზედა, ისე ქვედა დასახ-




209. არქეოლ. უბანი უდაბნო III. ნამოსახლარი

ლების ირგვლივ, მძლავრი გალავანი კონტრუქციულად ერთი და იმავე პრინციპით არის ნაგები – იგი 2-2,5 *მ* სიგანისაა და ქვის საძირკველზეა ამოყვანილი. გალავნის ზედა ნაწილი ხის მორების ბადურ-ჰორიზ. წყობას წარმოადგენს, რ-თა შორის არსებული ღიობები ქვა-ღორღით ან კარგად ნაზელი თიხით არის შევსებული. სავარაუდოდ, ამგვარი გალავანი გარედან ხის ლასტით იფარებოდა და გარედანვე თიხის სქელი ფენით ილესებოდა. განსაკუთრებით მყარი (შესაძლოა, მხოლოდ ქვით ნაგები) იყო კარიბჭე, რ-იც ორივე მხრიდან, ქვის საძირკველზე ამოყვანილი, ხის მორებით ნაგები კოშკებით იყო დაცული.

ზედაპირზე ანაკრეფი მასალის მიხედვით, ყველა ეს სამოსახლო ერთი კულტურის ფარგლებში ექცევა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. უფრო გვიანდ. პერიოდის ძეგლები დავითგარეჯის მრავალმთაში არ არსებობს. როგორც ჩანს, აქ, დაახლ. ძვ. წ. VIII საუკუნეში, ცხოვრება მთლიანად შეწყდა. ეს არ უნდა უკავშირდებოდეს მტრის შემოსევას, რადგან გარეჯის მრავალმთის არცერთ ნამოსახლარზე ამ ფაქტის დამადასტურებელი კვალი არ ჩანს, განსხვავებით ივრის ზეგანის აღმ. ნაწილისა, სადაც ამ დროის ნამოსახლარებზე. ყველგან, დიდი რაოდენობით ჩნდება სკვითური იარაღით შეიარაღებული მომხვდურების კვალი.

ამგვარად, დავითგარეჯის მრავალმთაში ცხოვრების ერთდროული შეწყვეტის მიზეზები ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. არსებული მასალების მიხედვით, დასაშვებია დავითგარეჯის მრავალმთაში კულტურის „ფეთქებადი“ განვითარება რკინის მეტალურგიის განსაკუთრებულ განვითარებას უკავშირდებოდეს, რასაც, სავარაუდოდ, სრულიად შეეწირა მხარეში არსებული ტყის მასივები. ამის გამო კატასტროფულად შემცირდა წყლის რესურსებიც და ეს მხარე ადამიანის ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი გახდა [მაგრამ თუ მომავალმა კვლევამ ეს ვარაუდი დაადასტურა, ამ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება ჩვენი წარსულისათვის



209. არქეოლ. უბანი უდაბნო III. ნამოსახლარი

ერთობ მნიშვნელოვანი პრობლემა: სავარაუდო ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად, ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისს საუკუნეებში, სად გადაადგილდა დავითგარეჯის მრავალმთის ტერიტორიაზე მცხოვრები, განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მდგომი, მრავალრიცხოვანი მოსახლეობა (2018 წელს „ნაომარი გორის“ ნაქალაქარის სამხრ-ით, დაბლობში, აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების დიდი ქალაქური დასახლება, რაც დასაშვებია ამ პრობლემის ახ. გააზრების საფუძვლად იქცეს)].

ბუნებრივია, დასახლებებს თან ახლავს ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების გორასამარხები და ორმოსამარხები, შემდეგ კი ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების მხოლოდ ორმოსამარხებით წარმოდგენილი სამაროვნები – მკაცრად შემოსაზღვრულ ტერიტორიებზე, სამოსახლოსთან შედარებით ყოველთვის დაბალ ნიშნულზე, დასახლებიდან 150-200 *მ* მანძილზე. სამაროვნებზე დაკრძალული თითქმის ყველა მამაკაცი, მოზარდიც კი, საბრძოლო იარაღით არის აღჭურვილი. რაც მათ აუცილებელ სამხ. ვალდებულებაზე მიუთითებს



209. არქეოლ. უბანი უდაბნო III. ნამოსახლარი

და უტყუარად მიგვანიშნებს ამ საზოგადოების დიდ საბრძოლო პოტენციალზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ დავითგარეჯის მთიანეთის მახლობლად, ივრის ზეგანზე, ქ. დედოფლისწყაროსთან, სადაც ამ პერიოდში იგივე არქეოლ. კულტურა იყო გავრცელებული, გოხების მთაზე, ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების სამლოცველოზე აღმოჩნდა ბრინჯაოს, ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელი. ეს ივრის ზეგანზე ამ დროის საჯარისო შენაერთებში სახელმწ. დაქვემდებარების რეგულარული ნაწილების არსებობის უეჭველი დასტურია და შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური

მოწყობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს დავითგარეჯის მრავალმთაში და მთელ ივრის ზეგანზე ამ დროის, წინასწარი პროექტით ერთიანად, რეგულარული გეგმარებით ნაგები, განსაკუთრებით მასშტაბური ქალაქების არსებობა, უმძლავრესი საფორტიფიკაციო სისტემით, რ-ებიც აშკარად საზოგადოების ელიტარული ნაწილის საცხოვრისს წარმოადგენს.

ძვ. წ. XIV-VIII საუკუნეების ამგვარი არაერთი ქალაქი აღმოჩნდა ივრის ზეგანზე. მათგან ერთერთი დიდი დასახლებაა „ნაომარი გორა“, ქ. საგარეჯოს სამხრ-ით 19 კმ-ზე, მლაშე ტბების მხარეში, სოფ. პატარძეულის სანახების ტერიტორიაზე [შესწავლილია ტროა-უდაბნოს პროექტით ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ (2000-2006 წწ.)].

რადიოკარბონული ანალიზების დახმარებით, „ნაომარი გორის“ ნაქალაქარის კულტ. ფენა ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ფარგლებში ექცევა. ეს კავკასიაში რკინის მეტალურგი-



209. არქეოლ. უბანი უდაბნო III. ნამოსახლარი. ყანწისებრი თიხის ჭურჭელი

ის საწყისი ეტაპია, როდესაც ახ. ლითონის ხმარებაში შემოსვლამ სათავე დაუდო წარმოების ყველა დარგის განვითარებას და სოც. ცხოვრების სწრაფი წინსვლის სტიმულატორი გახდა.

ინტერდისციპლინარული კვლევებით ამ დროით თარიღდება რკინის სახელოსნოებიც, რ-ებიც დავითგარეჯის მთიანეთში, რკინის მთის ირგვლივ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის თავმოყრილი. სწორედ ეს სფერო უნდა დასდებოდა საფუძვლად დავითგარეჯის მთიანეთში ძვ. წ. II ათასწლეულის დამლევს და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში მცხოვრები საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ დაწინაურებას.

როგორც შევნიშნეთ, სწორედ წარმოების ამ დარგის უპირატეს განვითარებას უკავშირებენ დავითგარეჯის მთიანეთში არა მარტო უმაღლესი ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, არამედ, დაახლ. ძვ. წ. VIII საუკუნეში, მის ერთიან ჩაქრობასაც, რადგან მან, სავარაუდოდ, მთლიანად მოსპო ნიადაგისეული საფარი, შესაბამისად გაქრა წყლის რესურსებიც და ეს მხარე ადამიანის საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა. ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა გარემოებებთან ერთად, ამ კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

ქ. ფიცხელაური.

შუა საუკუნეები

წმ. დავით გარეჯელის მიერ VI საუკუნეში დაარსებული გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების კომპლექსური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, არქეოლოგია გახდა. მრავალმთის შუა საუკუნეების არქეოლ. ძეგლებზე ჩატარებული არქეოლ. სამუშაოები (სტაციონარული, დაზვერვითი, გაწმენდითი) დაკავშირებულია ქართ. მონასტრიციზმის პრობლემების მიზანმიმართულ კვლევასთან, არქიტ. სამონასტრო კომპლექსებში საკონსერვაციო-სარესტ. სამუშაოების ჩატარებასთან და გარეჯში სამონასტრო ცხოვრების აღდგენა-განმტკიცების შეუქცევადი პროცესებისადმი თანადგომასთან.

გარეჯის მრავალმთაში ჩატარებული არქეოლ. კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილია: შუა საუკუნეებისა და საქართვ. ისტორიის ახ. ხანის, კლდეში გამოკვეთილი ეკლ.-სამლოცველოები, სამარტვილეები, სენაკები, საყოფაცხოვრებო თუ სამ. დანიშნულების გამოქვაბულები, გამოქვაბულ ანსამბლებთან არსებული ნაგებობები – საცხოვრ., საყოფაცხოვრებო და სახელოსნო კომპლექსები, გალავნებისა და წყალმომარაგების სისტემები, სამაროვნები; დამუშავებულია ფართო, ქრონოლოგიური დიაპაზონის, მრავალფეროვანი არტეფაქტები; დადგენილია ძეგლების სტრატიგრაფიული სურათი – მონასტრების ფორმირების, განვითარების, დაკნინებისა და დაცემის ეტაპები. ახლად გამოვლენილმა ძეგლებმა მრავალმთის სამონასტრო ცხოვრების ისტ., კულტ. და ყოფითი საკითხების რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა.

წმ. დავითის ლავრა (VI ს.-XX ს-ის დასაწყისი). 1999 წელს წმ. დავითის ლავრის ძმობის თხოვნის საფუძველზე, საქართვ. საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, რესტავრაციის და ხელოვნების ცენტრის შუამდგომლობითა და გარეჯის კვლევის ცენტრის (ხელმძღვ. ზ. სხირტლაძე) თაოსნობით, წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში ჩატარდა არქეოლ. სამუშაო (არქეოლ. ზ. თვალჭრელიძე).

ადგილ. საეკლ. ტრადიცია ეკლესიის შექმნას XII საუკუნეში მოღვაწე, ღირსს მამა ონოფრე გარეჯელს მიაწერს. ტაძარი XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფო კარის წარმომადგენელთა, სასულ. იერარქთა და ადგილობრივ, წარჩინებულ მოწესეთა განსასვენებელს წარმოადგენდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ეკლესიის კამარამ ჩამოქცევა დაიწყო და ათწლეულების მანძილზე მისი სამხრ.-აღმ. ნაწილი მთლიანად დაინგრა – ინტერიერი სანახევროდ ამოივსო კლდის ქანითა და

მიწით, ხოლო კამარის ჩამოშლის გამო – ლოდებით.

გაწმენდითი არქეოლ. სამუშაოების დაწყებამდე, ეკლესიის ინტერიერი არქიტექტურულად



209. ლავრა. წმ. დავითის ლუსკუმა. არქეოლოგიური გაწმენდის პროცესი

აიზომა, ხოლო შემდეგ, დარბაზის სამხრ.-დას. კუთხეში, გაიჭრა სტრატიგრაფიული თხრილი. ეკლესიის დარბაზის აღმ. ნაწილის გაწმენდის შედეგად დადგინდა იატაკის დონე, ხოლო სამხრ. კედელში დაფიქსირდა სატაძრო სტრუქტურის ნაშთი. ინტერიერში ნივთიერი მასალა არ აღმოჩნდა.

2000 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართვ. საპატრიარქოს სიწმინდეთა დაცვისა და მოძიების განყოფილების ინიციატივით (ქ. აბაშიძე, თ. ბერიძე, კ. დადიანი), არქეოლოგ ზ. თვალჭრელიძის უშუალო მონაწილეობითა და მეთვალყურეობით მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში გაიხსნა წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი. სამუშაო პროცესში მონაწილეობდნენ გარეჯის კვლევის ცენტრის ხელმძღვ. ხელოვნებათმცოდნე ზ. სხირტლაძე და არქიტ. მ. კიკნაძე. გაწმენდით სამუშაოებში ჩართული იყო წმ. დავითის ლავრის ძმობა, იღუმენი ლუკა (ამჟამად, საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსი) და იმხანად მონასტერში მყოფი დეკანოზი პეტრე (ბარამიძე). მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაში წმ. მამის ლუსკუმა ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში არსებულ მაღალ, თაღოვან უბეშია განთავსებული. ჩატარებულმა არქეოლ. სამუშაოებმა ნათელყო წერილობითი წყაროების და ადგილ. საეკლ. გადმოცემების შესაბამისობა. დადგინდა, რომ ლუსკუმა წარმოადგენს მრავალფენიან ძეგლს, რ-შიც გამოიყოფა განსასვენებლის მოწყობისა და რეკონსტრუქციის ხუთი ქრონოლ. პერიოდი:

პირველი პერიოდი (VI ს.). წმინდანის დასაკრძალავი ლუსკუმის პირველი, ქვედა ფენა აღმ.-დას. ღერძზე დამხრობილ, კლდეში ამოკვეთილ, ერთადგილიან დასაკრძალავს წარმოადგენს, მცირედ შემაღლებული სასასთუმლეთი. ნეშტის ჩასასვენებელი გადახურულია დამუშავებული ქვის ფილებით, რ-თა ფიქსირებისთვის, ლუსკუმის კლდოვანი ნაწილის სამხრ. და ჩრდ. მხარეს, დარიბანდებია ამოკვეთილი. სამარხის აღმ. ნაწილში, ნეშთის წელსქვემოთა მონაკვეთზე, გაწმენდის დროს აღმოჩნდა ორი ფილა – გატეხილი და განსასვენებლის სიღრმეში ცერად ჩაცურებული. ლუსკუმის დას. ნაწილში სახურავის ფილები არ აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ისინი მძარცველების მიერ იქნა ხელყოფილი. განსასვენებელი ორმო შევსებული იყო სუფთა სტრუქტურის მიწით.

მიუხედავად ორმოს არაერთგზისი განახლებისა, წმ. დავით გარეჯელის ნეშტი განსვენების პირვანდელ მდგომარეობაში, თითქმის ხელუხლებლად წარმოჩინდა. წმინდანის ნეშტი ესვენა გულაღმა, თავით დას-ით, ხელები იდაყვებში ჰქონდა მოხრილი და მკერდს ქვემოთ დაკრეფილი – მარცხ. ხელის მტევანი მარჯვენაზე ჰქონდა დადებული. წმ. დავითს ემოსა ამჟამად მიწადქცეული, შავი ქსოვილის, ბერის კაბა, რ-ის ფრაგმენტები დაფიქსირდა თავთან, ტანისა და მუხლების არეებთან.

ლუსკუმაში სამარხეული ნივთები არ დადასტურდა, თუ არ ჩავთვლით სამშენ. ფენების დარღვევის შედეგად არტეფაქტების (XI-XII და XVII-XX სს.) მოხვედრის ფაქტს, რაც გასული საუკუნის დასაწყისიდან წმ. დავითის ლავრაში სამონასტრო ცხოვრების შეწყვეტის შემდგომ, მძარცველების მიერ წმინდანის განსასვენებლის ხელყოფის მცდელობას უკავშირდება.



209. დოდორჭა. მონასტრის მთავარი შესასვლელი

ლუსკუმის მოწყობის სტრუქტურის (კლდეში ჩაკვეთილი სამარხის სახით) ტიპი, დაკრძალვის განსაკუთრებული სისადავე,

ნარატიულ წყაროთა ცნობები და ადგილ. საეკლ. ტრადიცია ნათელს ხდის, რომ განსასვენებლის პირველი, ქვედა ფენის ლუსკუმა წარმოადგენს წმ. დავით



209. დოდორქა. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XII-XIII სს.

გარეჯელის განსასვენებელს და თარიღდება VI საუკუნით.

მეორე პერიოდი (IX ს.). წერილობითი წყაროები და არქიტ. მონაცემები ადასტურებს წმ. ილარიონ ქართველის მიერ ფერისცვალების ეკლესიის გაფართოება-გადაკეთებას და წმ. დავითის სამარხის კეთილმოსაწყობად სამუშაოების ჩატარებას. არქეოლ. კვლევამ აღნიშნული პერიოდის ფენაში გამოავლინა ლუსკუმის გადახურვის დაზიანებული ფილები, რ-საც ამოკვეთილი ჰქონდა ხელის ჩასაყოფი – წრიული ფორმის, საევლოგიე ხვრელი, მომლოცველთათვის წმ. მტვრის ამოსაღებად.

მესამე პერიოდი (XVI-XVII საუკუნეების დასაწყისი). ამ პერიოდში ჩატარდა ლუსკუმის ძირეული რეკონსტრ. – მის კლდოვან ნაწილზე დაშენდა ქვიშაქვის კვადრებისა და ქართ. აგურის კონსტრუქცია. ლუსკუმამ მიიღო „ტახტისებრი“, გეგმაში სწორკუთხა ფორმა, გაიზარდა მისი ზომები, სახურავი შეილესა და მოიხატა.

მეოთხე პერიოდი (XIX ს.). ლეკიანობის შედეგების აღმოსაფხვრელად, ამ დროს განხორციელდა წმინდანის განსასვენებლის სარეკონსტრ.-აღდგენითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს როგორც არქეოლ. მონაცემები, ასევე ფოტოდოკუმენტური მასალა.

მეხუთე პერიოდი (XX ს.). გასული საუკუნის 60-იან წლებში ფერისცვალების ეკლესიაში ჩატარებული სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოების დროს, განხორციელდა ლუსკუმის „რესტავრაცია“ – ლუსკუმის სწორკუთხა ფორმის საბურველი ცემენტის ხსნარით შეილესა.

წმ. დავით გარეჯელის განსასვენებლის არქეოლ. შესწავლის შემდეგ (2000 წ.), განხორციელდა მისი კეთილმოწყობა: დამშვენდა ღირსი მამის ლარნაკი, მასზე დაიდო ჩუქურთმებით, ირმისა და კვერთხის გამოსახულებით შემკული ფილა (პროექტის ავტორები: თ. ბერიძე, კ. ბერიძე), რ-ზეც ღირსი მამის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებული, მადლის ქვის ასლისთვის, ამოკვეთილია მომცრო ზომის ფოსო.

ამავე წელს, ფერისცვალების ეკლესიის ჩრდ.-აღმ. უბეში, განხორციელდა იქ არსებული ლუსკუმის გახსნა. აგურის ლარნაკის პრეპარაციის შემდეგ, ეკლესიის ჩრდ. უბის იატაკზე აღმოჩნდა მცირედ ჩაკვეთილი კონტურებით მონიშნული, სწორკუთხა ფორმის ფართი, რ-იც თავისი ზომებით წმ. დავითის ლარნაკს შეესატყვისებოდა. ამ ფართის სამხრ.-დას. არეში, იატაკში, დაფიქსირდა გვიანდ. ხანაში სახელდახელოდ ამოკვეთილი, მომცრო ზომის ლუსკუმა წმინდანის ნეშტის ნაწილებით. როგორც ჩანს, ლარნაკის შექმნის ჩანაფიქრი იმ ხანად ვერ განხორციელდა და წმ. ნაწილების ჩასასვენებლად ამოიკვეთა მცირე ზომის ლუსკუმა.

რაც შეეხება წმ. დავითის მოწაფის წმ. ლუკიანეს განსასვენებელს, იგი ფერისცვალების ეკლესიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში მოიაზრებოდა, მაგრამ ეკლესიის ამ ნაწილის გაწმენდითი, არქეოლ. სამუშაოების შედეგად, წმ. ლუკიანეს განსასვენებელი არ დადასტურდა.

წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესია – აგებულია წმ. დავითის ლავრის ზემოთ, უდაბნოს ქედის უმაღლეს მონაკვეთზე, რ-იც გარეჯის მრავალმთის ერთ-ერთი გამორჩეული, წმ. ადგილია. ადგილ. საეკლ. გადმოცემისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, სწორედ აქ აღავლენდა ლოცვებს წმ. დავით გარეჯელი. უდაბნოს მონასტრის დაცარიელების გამო, საუკუნეების განმავლობაში, ეკლ. მიტოვებული იყო, რის გამოც იგი თანდათანობით დაინგრა და თითქმის მთლიანად მიწით დაიფარა.

1999-2000 წლებში, გარეჯის კვლევის ცენტრის (ხელმძღვ. ზ. სხირტლაძე) თხოვნით და საქართვ. საპატრიარქოსთან შეთანხმებით, გარეჯის სამონასტრო



209.დოდორქა. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XII-XIII სს.

კომპლექსის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. თვალჭრელიძე) განახორციელა ეკლესიის არქეოლ. შესწავლა. გათხრის პროცესში გამოიკვეთა ეკლესიის გეგმა – კვადრატს მიახლოებული დარბაზი, მცირე ზომის ნახევარწრიული საკურთხეველით. ეკლესიის ინტერიერში, ასევე მის გარე პერიმეტრზე, აღმოჩნდა XVII-XVIII საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები.

მომდევნო წელს, შესაბამისი პროექტის საფუძველზე, განხორციელდა ეკლესიის საფუძვლიანი გამაგრება და ნაწილობრივი კონსერვაცია.

წმ. დოდოს მონასტერი (დოდორქა – VI-XVIII სს.) – გარეჯის უდაბნოს შემსწავლელმა ექსპედიციამ [გ. გაფრინდაშვილი (ხელმძღვ.), არქეოლ. ზ. თვალჭრელიძე, ს. ბურდილაძე] 1984 წელს დო-



209. დოდორქა. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XII-XIII სს.

დორქაში არქიტ. სამუშაოს პარალელურად, სამონასტრო კომპლექსში არქეოლ. დაზვერვები ჩაატარა. მოპოვებულ მასალაში გამოიყო: IX-XI საუკუნეების, XI-XIII საუკუნეების, XIV საუკუნის და XVI-XVIII საუკუნეების არტეფაქტები. მათზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ განვით. შუა საუკუნეებში დოდორქაში არსებობდა კერამ. წარმოების სახელოსნო.

2007 წელს მეცნიერების ფონდ „უდაბნოს“ მიერ საერთაშორისო პროექტის – „დოდორქის მონასტრისა და განსაშორის სავანის კომპლექსური შესწავლა ბიზანტიური და ქრისტიანული აღმოსავლეთის ტრადიციათა ფონზე“ – ფარგლებში (ხელმძღვ. ლ. მირიანაშვილი) საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქეოლ. ექსპედიციამ [ზ. თვალჭრელიძე (ხელმძღვ.), არქეოლ. ნ. ბახტაძე], მონასტრის დას. ნაწილში მდებარე ოთხქვაბიან ჯგუფში ჩაატარა არქეოლ. გათხრები. ასევე, სამონასტრო კომპლექსის სათავსებში გაიჭრა საცდელი შურფები და მოხდა კომპლექსის წინ არსებული ფერდობის დაზვერვა.

ქვაბოვანი ჯგუფის ცენტრ. სათავსის, სატრაპეზო-საკრებულოს იატაკში ამოკვეთილ, სამ. ორმოში „დაკონსერვებული“, ნივთიერი მასალის აღმოჩენით განისაზღვრა ამ სტრუქტურის გამოკვეთის ხანა (IX ს.). ამავე ქვაბის სხვადასხვა ზონაში მიკვლეულმა არტეფაქტებმა დააზუსტა, განვით. შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე, ქვაბოვან ჯგუფში სამონასტრო ცხოვრების მიმდინარეობის ფაზები. ამასთან, გაირკვა, რომ აქტიური, სამონაზვნო მოღვაწეობა აქ XIII-XIV საუკუნეებში შეწყვეტილა.

დოდორქის ქვაბთა ამავე ჯგუფის „სამზარეულო“ ბლოკის შემადგენელი საკუჭნაოს, ე.წ. „საცივოს“, არქეოლ. შესწავლამ სათავსის შექმნისა და ფუნქციონირების პირველი ეტაპების ნივთიერი მასალა ვერ გამოავლინა, თუმცა, სათავსში აღმოჩნდა მისი ფუნქციონირების მომდევნო პერიოდის, XI-XIII საუკუნეების არტეფაქტები.



209. ნათლისმცემელი. №3 არქეოლ. უბანი. სამაროვანი. არქეოლოგიური გათხრების პროცესი

2011-2012 წლებში საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ [გ. მახარაძე (ხელმძღვ.), არქეოლ. დ. ბერიკაშვილი] წმ. დოდოს მონასტერში ჩაატარა არქეოლ. კვლევა ინტერდისციპლინური (პალინოლოგი ე. ყვავაძე) ფორმატით. არქეოლ. სამუშაოები წარმოებდა კომპლექსის სამ უბანზე. მათგან პირველ უბანში – წმ. დოდო გარეჯელის სამარხო ეკლესიაში – შესწავლილ იქნა წმ. მამის სამარხი. მის მიმდებარედ გამოიკვეთა განვით. და გვიანდ. შუა საუკუნეების ეკლესიის კონტურები; შესწავლილ იქნა წყალმომარაგებისა და ფილტრაციის სისტემის ორი ლაკვაც (განვით. შუა საუკუნეები). ეკლესიის დასით გაიწმინდა სენაკი და ტერასების დამაკავშირებელი, კლდეში ჩაკვეთილი ჩასასვლელი.

მეორე უბანში (მონასტრის ცენტრ. ნაწილი), ღვთისმშობლის მთავარ ეკლესიასთან, გამოვლინდა გვიანდ. შუა საუკუნეების ორკონტფორსიანი შესასვლელი. მისგან დას-ით გაიწმინდა გვიანდ. ხანის გალავანი და სათ-




209. ნათლისმცემელი. №3 არქეოლ. უბანი. სამზარეულო კომპლექსი. ფურნე. არქეოლოგიური გათხრების პროცესი

ვალთვალო კოშკი. აქვე, გაიწმინდა მცირე ზომის სამლოცველო და ბრტყელი ფილებით გადახურული, კლდეში ნაკვეთი სამარხი – საეკლესიო ხვრელით. ასევე, შესწავლილ იქნა სამაროვანი – კლდეში ნაკვეთი ორი სამარხი და ქვაყუთები.



209. ნათლისმცემელი. მოჭიქული ჯამი. XI-XII სს.

მესამე უბანში, მონასტრის უკიდურესს დას. სექტორში, არქეოლ. გათხრების შედეგად, სრული გეგმარებით გამოვლინდა კლდეში გამოკვეთილი, „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის, გუმბათიანი ეკლ. და დარბაზული ეკლ.



209. ნათლისმცემელი. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XI-XII სს.

ძეგლის პალინოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მონასტრის მიდამოებში, ადრინდ. შუა საუკუნეებში, თბილი და ტენიანი კლიმატი უნდა ყოფილიყო, რაც ქმნიდა პირობებს ფართოფოთლოვანი და მურყნის ჯიშის ტყის არსებობისთვის. ამასთანავე, განვითარებული იყო მიწათმოქმედება – მონასტერს გააჩნდა ვენახები, ზეთისხილის ბაღები. ბერ-მონაზვნები მისდევდნენ მეფუტკრეობას, მესაქონლეობას და მეურნეობის სხვა დარგებს.

კლიმატური პირობების თანდათანობითი ცვლილებების გამო („შუა საუკუნეების ანომალური დათბობა“), გარეჯის უდაბნოში ჰავა უფრო ცხელი და მშრალი გახდა, რამაც თავისი გავლენა იქონია გარემო პირობებზე, მათ შორის ტყის არსებობაზე. ასევე მოიშალა ადგილ., მრავალდარგობრივი სამონასტრო-სამეურნეო საქმიანობა. პალინოლოგიური კვლევები, წერილობით წყაროებთან და არქეოლ. მონაცემებთან ერთად,



209. ნათლისმცემელი. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XII-XIII სს.

XIII-XV საუკუნეებში დოდორქის სავანეში სამონასტრო ცხოვრების მკვეთრ დაცემას ადასტურებს.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (VI ს. - XX ს-ის დასაწყისი). 1980-1982 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის გარეჯის უდაბნოს შემსწავლელმა ექსპედიციამ [გ. გაფრინდაშვილი (ხელმძღვ.), ზ. თვალჭრელიძე] ნათლისმცემლის მონასტერში დაზვერვითი ხასიათის არქეოლ. გათხრები ჩაატარა. მონასტრის არქეოლ. კვლევა შემდგომ გაგრძელდა გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტრის შემსწავლელი, სტაციონარული, არქეოლ. ექსპედიციის (1983-1989 წწ.) და გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელი არქეოლ. ექსპედიციის (1996–2005 წწ.) ფორმატით (ხელმძღვ. ზ თვალჭრელიძე).



209. ნათლისმცემელი. თიხის დერგი. XI-XIII სს.

მონასტრის ექვს არქეოლ. უბანზე შესწავლილ იქნა არქიტ. კომპლექსის ცენტრ. და დას. სექტორები – გამოვლინდა ახ. სამონასტრო სტრუქტურები: ეკლ.-სამლოცველოები, სენაკები, საყოფაცხოვრებო და საწ. დანიშნულების სათავსები, წყალმომარაგების ქსელისა და საფორტიფიკაციო სისტემის მანამდე



209. ნათლისმცემელი. კრამიტის ფრაგმენტი. XI-XIII სს.



209. ნათლისმცემელი. ფაიანსის ვაზის ფრაგმენტი – ლუსტრით მოხატული. XII ს.

უცნობი მონაკვეთები. კვლევა ჩატარდა გვიანდ. ხანის სამაროვანზე, ხოლო სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა მონაკვეთზე გაიჭრა IX-XIII და XVII-XIX საუკუნეების არტეფაქტების შემცველი, სტრატიგრაფიული თხრილები.



209. ნათლისმცემელი. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XII-XIII სს.

გამოქვაბულებში, სტრატიგრაფიული და ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, გამოიყო სამი ქრონოლ. ჯგუფი:

VI-VIII საუკუნეების სენაკები, რ-ებიც კულტურულ ფენებს არ შეიცავს. XI-XIII საუკუნეების ეკლ.-სამლოცველოები,



209. ნათლისმცემელი. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. XII-XIII სს.

ეგვტერი, სამ. და სახელოსნო (სამჭედლო) დანიშნულების ქვაბები. XVII-XIX საუკუნეების სენაკები, საყოფაცხოვრებო და სამ. დანიშნულების გამოქვაბულები.

არქეოლ. გათხრების შედეგად დაზუსტდა გალავნის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ეტაპები და თითოეულ ეტაპზე თავდაცვითი სისტემის გავრცელების საზღვრები:

I ეტაპი (XI-XIII სს.) – გალავანი ფუნქციონირებდა მონასტრის ცენტრალურ და აღმ. ნაწილში;

II ეტაპი (XVII-XVIII სს.) – გალავანი ფუნქციონირებდა მონასტრის მთელ ტერიტორიაზე;



209. ნათლისმცემელი. მეფე თეიმურაზ II-ის შანდლის სადგარი. ბრინჯაო. XVIII ს.

III ეტაპი (XIX-XX ს-ის დასაწყისი) – გალავანი ფუნქციონირებდა მონასტრის ცენტრალურ და დას. ნაწილში.


შესწავლილ იქნა ასევე მაღალ, საინჟინრო დონეზე გადაწყვეტილი, ჰიდროტექნიკური ნაგებობების სისტემის მნიშვნელოვანი მონაკვეთი (XVII-XIX სს.) – კლდეში ნაკვეთი რეზერვუარები, არხები, გამფილტრავი აუზი, წყლის დინებისა და დონის მარეგულირებელი, ქვითკირის ნაგებობა.

მონასტრის შიდა ეზოში არსებულ სამაროვანზე გაიხსნა გვიანდ. პერიოდის, ძირითადად უინვენტარო, თხუთმეტი სამარხი. სამარხებში გამოიყო სამი ტიპოლოგიური ჯგუფი: ქვაყუთები, კლდეში ჩაჭრილი სამარხები და ორმოსამარხები. სამაროვანზე სამარხების ქვედა ქრონოლ. ფენები არ დადასტურდა, რაც გვავარაუდებინებს, რომ შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე, მონასტერში მოწყობილი უნდა ყოფილიყო სამარტვილეები – ცნობილია წმ. დემეტრეს ეგვტერი მონასტრის მთავარ ტაძარში. სამარტვილეები საძიებელია კომპლექსის, სავარაუდოდ, აღმ. და დას. სექტორებში.

მონასტრის აღმ. ნაწილში ჩატარებული არქეოლ. კვლევის საფუძველზე, სავსებით რეალური ჩანს, კომპლექსის ამ მონაკვეთში, კულტ. ფენებით დაფარული, პირველი იარუსის გამოქვაბულების გამოვლენა. ეს საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ ნათლისმცემელში სამოწესეო ცხოვრების განსაზღვრული სახეცვლის ეტაპზე (IX-X სს.), სწორედ აღმ. ნაწილიდან იწყება არქიტ. კომპლექსის თანდათანობითი გაფართოება დას. მიმართულებით, რამაც ჩამოყალიბებული სახე XI-XII საუკუნეებში მიიღო.

არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა მონასტრის კულტ. და სოც.-ეკონ. ცხოვრების ამსახველი ფართო, ქრონოლ. დიაპაზონის

209. ნათლისმცემელი. წარწერა შანდლის სადგრის ბაკოზე: „ქ. მეფე თემურაზ“



(IX-XIX სს.), მრავალფეროვანი, ნივთიერი მასალა: კერამიკის, მათ შორის, მოჭიქული ჯამების თითქმის ყველა სახეობა; თხელკედლიანი, თიხის ნატიფი ჭურჭლის მაღალმხატვრული ნაწარმი; ფაიანსისა და მინის ჭურჭლის, როგორც ქართ., ისე იმპორტული ნიმუშები; თამარ მეფის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტები; ლითონის ნაკეთობები, მათ შორის თეიმურაზ II-ის მხედრულწარწერიანი შანდლის ნაწილი და სხვა.

არქეოლ. მასალების, წერილობითი წყაროებისა და სახელოვნებათმცოდნეო მონაცემების შეჯერების შედეგად, დაზუსტდა ნათლისმცემლის მონასტერში სამონაზვნო ცხოვრების დაწყების, განვითარების, დასუსტებისა და დაცემის ეტაპები:

I ეტაპი, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის დაფუძნების ხანა (VI-VIII სს.) – მონასტრის დაარსების დროინდელი (VI-VII სს.) არქეოლ. მასალა ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი, რადგან საუკუნეთა მანძილზე მონასტერში ინტენსიური სამოწესეო ცხოვრების უწყვეტობამ, ადრინდ. ხანის კულტ. ფენები წაშალა. თუმცა, მონასტრის დაარსების პერიოდის განსაზღვრისას, მხედველობიდან არ გვრჩება „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა, ძეგლზე აღმოჩენილი VI-VII საუკუნეებით დათარიღებული სტელა და VI-VIII საუკუნეების შემთხვევითი ფორმის გამოქვაბულები.

II ეტაპი – გარდამავალი ხანა (IX-X სს.) – მონასტრის სამოწესეო ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, ასკეტიზმის ტრადიციების თანდათანობითმა დასუსტებამ, სამონასტრო ორგანიზაციის ახ. პრინციპების გაჩენამ, ასახვა პოვა კომპლექსის არქიტექტურასა და სამონასტრო ცხოვრებაში. გამოქვაბულებთან ჩნდება ქვითკირის სამეურნეო ნაგებობები, ხოლო სამონასტრო ყოფაში, თიხის უბრალო კერამიკასთან ერთად, ხმარებაში შემოდის მოჭიქული ჭურჭელი.

III ეტაპი – აღმავლობის ხანა (XI-XIII სს.) – ნათლისმცემელი ამ პერიოდში წარმოადგენს სამეფო კარის ხელდებულ მონასტერს, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კულტ.-საგანმან. კერას. ამ დროს ფიქსირდება მონასტრის გალავნის მშენებლობის პირველი ეტაპი და ლითონის წარმოების სახელოსნოს არსებობა.

IV ეტაპი – დაქვეითების ხანა (XIII ს-ის II ნახევარი -XIV ს.) – მცირეოდენი, მოჭიქული ჭურჭლის იმიტაციების აღმოჩენით დასტურდება, რომ ამ პერიოდში ნათლისმცემელში სამოწესეო ცხოვრება შესუსტებული ინტენსივობით კვლავ გრძელდებოდა.



209. ქვაბები. მედალიონი. ვერცხლი. X ს-ის ბოლო XI ს-ის დასაწყისი

V ეტაპი – წყვეტა სამონასტრო ცხოვრებაში (XIV-XVI სს.) – არქეოლ. მონაცემების მიხედვით, რასაც წერილობითი წყაროც ადასტურებს, XIV საუკუნის ბოლოდან XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე ნათლისმცემელში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა.

VI ეტაპი – აღორძინების ხანა (XVII-XVIII სს.) – XVII საუკუნიდან მონასტერში იწყება სამოწესეო ცხოვრების აღმავლობის პროცესი. მონასტერი კვლავ მწერლობისა და მწიგნობრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა ხდება. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მონასტრის არქიტექტურულმა სახემ, სამონასტრო ყოფაში წამყვან ადგილს მინის, ფაიანსისა და ლითონის ნაწარმი იკავებს.

VII ეტაპი – სამონასტრო ცხოვრების შესუსტება და მისი დასასრული (XIX ს-ის ბოლო XX ს-ის დასაწყისი) – მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მპყრობელობის პერიოდში, მონასტერში რიგი სარეკონსტრუქციო-სამშენ. სამუშაოები



209. ქვაბები. ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტები. IX-XI სს.

მაინც ჩატარდა, ისეთაც შესუსტებული, სამონასტრო ცხოვრება აქ თანდათანობით ჩაქრა. საბჭ. ოკუპაციის დასაწყისიდან მრავალმთაში სამოწესეო ცხოვრება ათწლეულების შემდგომ შეწყდა. მისი განახლება მხოლოდ 1991 წლიდან, საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართვ. მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

წ ა მ ე ბ უ ლ ი (VI-XIII სს.) – 1998-1999 წლებში, გარეჯის

სამონასტრო კომპლექსის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. თვალჭრელიძე) და გარეჯის კვლევის ცენტრმა (ხელმძღვ. ზ. სხირტლაძე) შეისწავლა წამებულის მონასტრის დას. სექტორის პირველ იარუსში მდებარე გამოქვაბული – სამარტვილე.

არქეოლ. გათხრების შედეგად დადგინდა სამარტვილის გეგმარება – იგი წამოადგენს კლდეში გამოკვეთილ, არასწორი მოხაზულობის ქვაბს, დაბალტრაპეზიანი საკურთხეველითა და ჩრდ. კედლის მთელ სიგრძეზე არსებული, ვრცელი უბით. შედარებით მცირე უბე გამოკვეთილია ქვაბის დას. კედელშიც. სამარტვილის ინტერიერში გამოვლინდა ორი ლუსკუმა. მათგან ერთი კოლექტიური განსასვენებელია, ხოლო მეორე, მის მიჯრით მოწყობილი, ერთი მიცვალებულისათვის განკუთვნილი, მცირე ზომის დასაკრძალავი.

წამებულის მონასტრის სამარტვილის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით, წყაროებს ცნობები არ შემოუნახავს. სამარტვილე, თავისი არქიტ. გადაწყვეტითა და ლუსკუმის მოწყობის წესით, მრავალმთის ისტორიის ადრინდ. ეტაპზე ჩამოყალიბებული ტრადიციის ამსახველი უნდა იყოს – იგი ადრინდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება. თუმცა, როგორც არქეოლ. და წერილობითი წყაროს (გაბრიელ მცირეს ქრონიკები, ასევე სამარტვილის ჭერზე არსებული გვიან. პერიოდის წარწერა) მონაცემებიდან ჩანს, მას თავისი მნიშვნელობა არც შემდგომ პერიოდში დაუკარგავს.

მონასტრის სტრატიგრაფიული სურათის დასადგენად ფერდობზე გაჭრილმა, საძიებო თხრილებმა IX-XIII საუკუნეების (ბიზანტიური ტიპის) კერამიკისა და მინის ჭურჭლის არტეფაქტები გამოავლინა.

მრავალწყაროს (IX-XIII სს.) – მდებარეობს გარეჯის უდაბნოს ჩრდ.-დას. ნაწილში. მონასტერი მიკვლეულია 1995 წელს მეცნიერების ფონდ „უდაბნოს“ (ლ. მირიანაშვილი, თ. ჯოჯუა) მიერ. ეს მცირე მასშტაბის, კლდეში გამოკვეთილი არქიტ. კომპლექსი აერთიანებს ექვს გამოქვაბულსა და ხუთ ეკლესიას, რ-თა შორის ორი გუმბათოვანია.

1995 და 1997 წლებში მეცნიერების ფონდ „უდაბნოს“ მიერ ახალგაზრდების ჯგუფის მონაწილეობითა და კახეთის არქეოლ. ექსპედიციის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ჩართულობით (1997 წ.) სამონასტრო კომპლექსში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლ. გათხრები.

სამონასტრო კომპლექსის მთავარი ეკლესიის გაწმენდის შედეგად დადგინდა ეკლესიის გეგმარება – თავისებური ფორმის გუმბათით. ეკლესიის ეგვტერის საკურთხეველში აღ-



209. ქვაბები. თიხის ჭრაქები ნავთობის ნაშთით. IX-X სს.



209. ქვაბები. მოჭიქული სამარილეები. IX-XI სს.



209. ქვაბები. ბრინჯაოს ფირფიტა. ფარშევანგის გამოსახულებით. X-XI სს.

მოჩნდა ნაკაწრი სცენა – აქლემებზე ამხედრებული, შუბებით შეიარაღებული მეომრების გა-

მოსახულებით. მცირე, დარბაზულ ეკლესიაში გამოვლინდა საყურადღებო ფრესკული მხატვრობა და IX-XIII საუკუნეების 70-მდე ამოკაწრული წარწერა, რ-თა შორის უძველესი 851 წლით თარიღდება. კულტ. ფენაში აღმოჩენილი არტეფაქტები IX-XIII საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება.



209. ქვაბები. კანელურებიანი დოქი XI-XIII სს.

არქეოლოგიურად აგრეთვე შესწავლილი იქნა: წინა ქრისტიანული ხანის საფორტიფიკაციო სისტემის და მისი სტრუქტურების ნაშთები, სარწყავი არხი, ადრე ქრისტიანული ხანის ეკლესიის ნაშთები, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის კოლექტიური სამარხი, დაფიქსირდა ბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლარი (მონაცემების ნაწილი ეყრდნობა ლ. მირიანაშვილის ინტერნეტ პუბლიკაციებს).



209. ქვაბები. მძივები. X-XI სს.

ქვაბების სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსი. მრავალმთაში წარმოებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ არქეოლ. შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით პერსპექტიული ჩანს მრავალმთის აღმ. მასივის - ივრისპირა გარეჯის სამონაზვნო კერები: ქვაბები, საბერეები, ქოლაგირი, პირუკუღმარი, პატარა ქვაბები და სატორგე. მათ შორის მასშტაბურობით, სტუქტურული მოწყობით და სამეურნეო ორგანიზაციით გამოირჩევა ქვაბების სამონასტრო კომპლექსი. ქვაბები განსაკუთრებული მნიშვნელობის არქეოლ. ძეგლია – კლდის არქიტ. კომპლექსთან მდებარე, ვრცელი სამეურნეო და სამრეწვ. ტიპის დასახლებით, ზედაპირულად არსებული არტეფაქტების უჩვეულო სიმრავლით, მათ შორის, ადგილ. წარმოების დამადასტურებელი ნაშთებით.



209. ქვაბები. ინკუსტრირებული სამაჯურების ფრაგმენტები. X-XI სს.

1970-იან წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის სპელეოსტიკის ლაბორატორიის ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გაფრინდაშვილი) დაზვერა და აღნუსხა გარე კახეთის კლდის ძეგლები, მათ შორის ქვაბები. არქიტ. კომპლექსში გამოიყო გამოქვაბულთა ჯგუფები, ჩატარდა ძეგლის არქიტ. აზომვები და ფოტოფიქსაცია.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა კლდის ქარაფის მიუდგომელ მონაკვეთზე გამოკვეთილი გამოქვაბულების დაზვერვა, კომპლექსის დას. სექტორში გამოკვეთილი გუმბათოვანი ეკლესიის არქეოლოგიური გაწმენდა – დადგინდა მისი გეგმარება.

1974-1976 წლებში არქეოლოგ ბ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, ძეგლის ხასიათისა და სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით, განხორციელდა „ნასახლარი ქვაბების“ დაზვერვითი და მცირე მასშტაბის არქეოლ. გათხრები. არ-



209. ქვაბები. მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები. ზედა – IX ს.; ქვედა – XII-XIII სს.

ქეოლ. კვლევების შედეგად გამოვლინდა: თაღოვანნიშებიანი ნასახლარი, ე.წ. კლდის სახლი და საცხოვრ. კომპლექსები (IX-X; IX-XI სს.), ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული სათავსი-სახელოსნო (IX-XI სს.) – სამი პატარა ქურის ნაშთით, წრიული ფორმის სათავსები სავარაუდოდ, ქურები, ან სხვა-



209. საბერეები. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (IX-XI სს.). ზემოთ – დერგი, ქვემოთ – ღუმური

დასხვა დანიშნულების საწარმოთათვის განკუთვნილი ნახშირის გამოსაწვავი, დამხმარე სათავსები (IX-XI სს.).

სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის ტერიტორიაზე მიკვლეული იქნა ოთხი სამაროვანი. მათგან მხოლოდ №3 სამაროვანია შესწავლილი (IX-XI სს.). სამაროვანზე გამოიყოფა ინდივიდუალი, კოლექტიური და ბავშვთა სამარხები. აგრეთვე ფიქსირდება სამარხთა სახურავის ფილებზე მიცვალებულთა ნაუცბათევი დასვენების ფაქტები. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია – სამაროვანი მონასტერთან არსებული დასახლებისათვის იყო განკუთვნილი. სამარხები ძირითადად უინვენტაროა. გამონაკლისია ორი სამარხი, რ-ებშიც აღმოჩნდა ინვენტარი, მათ შორის, ქალის სამკაული.

1999 და 2002 წლებში ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელი არქეოლ. ექსპედიციის მიერ (სელმძღვ. ზ. თვალჭრელიძე) ქვაბებში არსებული ნამოსახლარის ტერიტორიაზე სტრატიგრაფიული თხრილები გაიჭრა. კვლევის ამ ეტაპზე ქვაბების ნივთიერი მასალების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხების დამუშავებამ, ქრისტ. აღმოსავლეთისა და კაპადოკიის ანალოგიურ ძეგლთა შესახებ არსებული კვლევების ძირითადი შედეგებისა და მოსაზრებების გაცნობამ ცხადყო, რომ ქვაბების კომპლექსი, ტიპოლოგიურად, მრავლმთის სამონასტრო გაერთიანების სხვა კერებისგან სრულიად განსხვავებული ძეგლია. გაჩნდა არსებითი პრობლემა, რ-იც უკავშირდებოდა გამოქვაბული კომპლექსისა და მასთან არსებული დასახლების ურთიერთმიმართების საკითხის დადგენას. სახელდობრ, იმის გარკვევას, ქვაბები წარმოადგენს მონასტერს სამოსახლოთი თუ იგი საერო ხასიათის ძეგლი – კლდის სოფელია, ირგვლივ არსებული ინტენსიური დასახლებით.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ეგიდით, 2005 წლის პროექტის – „მონასტრები და დასახლებები ივრისპირა გარეჯში“ – ფარგლებში, ქვაბებში განხორციელდა კომპლექსური ფორმატის არქეოლ. ექსპედ. (ხელმძღვ. ზ. თვალჭრელიძე), რ-ის დროსაც ზედაპირულად დაიზვერა ათი და გაითხარა ერთი ნასახლარი – მოპოვებულ იქნა დამატებითი მასალები ძეგლის ხასიათის, ტოპოგრაფიის, ტიპოლოგიისა და სტრატიგრაფიის საკითხების დასაზუსტებლად, საცხოვრისების შესასწავლად, მონასტრისა და ნამოსახლარის ურთიერთმიმართების დასადგენად.

ქვაბების სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსში, კონსტრ. აღნაგობის მიხედვით, გამოიყო საცხოვრ. ნაგებობის ორი ძირითადი სახეობა: მიწური, ბანიან-ერდოიანი სახლი და კომბინირებული, სამშენ. სტრუქტურის მქონე, არაკლასიკური ტიპის საცხოვრისი – ე.წ. კლდის სახლი.

ქვაბებში ჩატარებული მრავალწლიანი, მცირე მასშტაბის, არქეოლ. კვლევების შედეგად აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი არტეფაქტები: მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლის სხვადასხვა ტიპოლოგიური სახეობები, მინის ჭურჭელი, სამკაული (მინისა და ლითონის); ხუთი ტიპოლოგიური ჯგუფის მინის სამაჯურები, მათ შორის ინკრუსტრირებული ნიმუშები, მძივები (გიშრის, სარდიონის, მინის, აქა-



209. საბერეები. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი. IX ს.

ტის, მთის ბროლის, კვარცის). ასევე: ვერცხლის მედალიონი, ბრინჯაოს ფირფიტა, ფარშავანგის გამოსახულებით, ბრინჯაოსა და სპილენძის ბეჭდები, ბრინჯაოსავე სამაჯურები და საყურეები; საეკლ.-სარიტუალო დანიშნულების ნივთები, მონეტები და სხვ. აქვე აღსანიშნავია ლულიანი ტიპის თიხის ჭრაქებში (IX-Xსს.) ნავთობის, ხოლო ხელქოთანასა და ლამბაქისებრ ჭურჭელში (IX-Xსს.) ყურძნის წიპწების ზეთის არსებობის ექსპერიმენტალური დადასტურება, რაც საქართველოში აღნიშნული პროდუქტების გამოყენების ყველაზე ადრინდელ არქეოლ. აღმოჩენებს წარმოადგენს.

ძლიერი ეკონ. ბაზისი: კერამიკის, მინისა და ლითონის მაღალკვალიფიციური, ხელოსნური წარმოება, განვით. მეურნეობა, სავაჭრო-საქარავნო გზებთან კავშირი და სხვა რეა-



209. ნათლისმცემელი. თამარ მეფის მონეტა. სპილენძი (1187 წ.). ზემოთ – ავერსი, ქვემოთ – რევერსი

ლიები იძლევა იმის საფუძველს, რომ ქვაბების კომპლექსი შუა საუკუნეების (IX-XI სს.) საქართვ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ, კულტ. და ეკონ. ცენტრად, გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების მძლავრ, ეკონ. ბაზად მივიჩნიოთ.

ქვაბების სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრასთან დაკავშირებით, რ-შიც იგულისხმება, როგორც ქვაბოვანი, საერთო საცხოვრ. მონასტერი, ისე მასთან არსებული დასახლება, გამოთქმულია განსხვავებული სამეცნ. მოსაზრებები. მაგ.: არქოტ. გ. გაფრინდაშვილი ქართ. ეკლესიების გენეზისის კვლევის პრობლემის კონტექსტში, ქვაბების სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის ეკლესიებს V საუკუნის დასაწყისით ათარიღებს.

არქეოლოგი ბ. მჭედლიშვილი, ზედაპირულად მოპოვებული არტეფაქტების დათარიღებით, როგორც ჩანს, „ნასახლარი ქვაბების“ დაარსების საწყისს ხანად VI-VII საუკუნეებს მიიჩნევს, ხოლო თავად ძეგლის ქრონოლოგიას – VI-VII საუკუნეები – XI საუკუნის 80-იანი წლების – ჩარჩოში აქცევს.

ბოლო მონაცემებით ქვაბების ეკლესიები და მონასტრის სატრაპეზო IX-X საუკუნეებით თარიღდება. აქვე გასათვალისწინებელია ქვაბებში არქეოლოგიურად გათხრილი ძეგლების სტრატიგრაფიული მონაცემე-



209. ნათლისმცემელი. თამარ მეფის მცირე ნომინალი – რუსუდანის დამღით. სპილენძი (1187 წ.). ზემოთ – ავერსი, ქვემოთ – რევერსი

ბი, რ-ის მიხედვით სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის სტრატიგრაფიული სურათი, კვლევის დღევანდელ ეტაპზე, IX-XI საუკუნეების ჩარჩოში თავსდება.

XI საუკუნის 80-იანი წლების თურქ-სელჯუკების შემოსევებისა და 1088-1089 წლების მიწისძვრის შედეგად, სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსმა გამანადგურებელი ნგრევა განიცადა. თუმცა, ზედაპირულად მოპოვებული და XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული, მცირეოდენი არტეფაქტების მიხედვით, ქვაბების ტერიტორიაზე შესუსტებული ცხოვრების კვალი მომდევნო პერიოდშიც შეიმჩნევა. მაგრამ თუ როგორ



209. ნათლისმცემელი. ლაშა-გიორგის მონეტა. სპილენძი (1210 წ.). ზემოთ – ავერსი, ქვემოთ – რევერსი

მიმდინარეობდა ძეგლზე ცხოვრება – სამონასტრო თუ საერო დასახლების ფუნქციონირების სახით, ან ორივე ფორმით ერთად, კვლევის დღევანდელ ეტაპზე ღიად რჩება.

საბერეები (IX-XI სს.) – 1975 წელს გამოქვაბული ეკლესიის სამხრ. კარიბჭეში, გარეჯის უდაბნოს შემსწავლელი სპელეისტიკური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. გ. გაფრინდაშვილი), გაიხსნა კლდეში ჩაჭრილი, დაზიანებული სამარხი, რ-შიც, მიცვალებულის ნეშტთან ერთად, დაფიქსირდა ბრინჯაოს რგოლი და შალის კაბის ფრაგმენტი.

1977 წელს მონასტრის წინ არსებულ ფერდობებზე ჩატარებული, ვიზუალური დაზვერვების დროს (არქეოლ. ზ. თვალჭრელიძე), მოპოვებული იქნა

IX-XI საუკუნეების არტეფაქტები – თიხის, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ საბერეების, ივრისპირა გარეჯის მონასტერთა ამ უნიკალური კომპლექსის არქეოლ. კვლევა უკავშირდება უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას – დასადგენია ეს ქვაბოვანი კომპლექსი ზოგადსაცხოვრებელი მონასტრის ტიპს მიეკუთვნება თუ ადრინდ. შუა საუკუნეების ქრისტ. აღმოსავლეთის ზოგიერთი ძეგლის მსგავსად, ისიც მარტირიუმს წარმოადგენს.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრა მოითხოვს საბერეების ეკლ.-სამლოცველოებსა და მათ დამხმარე სათავსებში წარჩინებულ მოწესეთა სამარხების



209. ნათლისმცემელი. ლითონის ხელსაწყო-იარაღები. 1 - წალდი (XI-XIII სს.), 2 - ჩაქუჩი (XVIII-XIX სს.), 3 - მაკრატელი (XVIII-XIX სს.), 4 - ფიწალი (XVIII-XIX სს.), 5 - ანჯამი (XIX ს.), 6 - რკინის წიდა



209. ნათლისმცემელი. წიგნის ყდის სპილენძის დეკორატ. ფირფიტები (XVIII-XIX სს.)

გამოვლენა-შესწავლას. ასევე, არქიტ. კომპლექსის ფერდობზე და მონასტრის ქვედა, ამჟამად „დამარხულ“ იარუსში, არქეოლ. გათხრების ჩატარებას, სავარაუდოდ, იქ არსებული საკულტო, საცხოვრ. თუ სამეურნეო დანიშნულების სტრუქტურების გამოსავლენად.

პრობლემის გადაწყვეტის დიდი ინტერესის მიუხედავად, გარეჯის მრავალმთაში მომუშავე არქეოლოგები, ათეული წლების მანძილზე თავს იკავებენ საბერეებში არქეოლ. გათხრების ჩატარებაზე, რადგანაც, საბერეების არქიტ. კომპლექსი ადვილად შლადი სტრუქტურის კლდის მასივშია გამოკვეთილი და მისი „დაკონსერვებული“, პირველი იარუსის გახსნა შესაბამისი ტექნოლოგიური პირობების მომზადების გარეშე, ძეგლის გარდაუვალ დაზიანებას გამოიწვევს.

ქ ო ლ ა გ ი რ ი (XII-XIII სს.) – მონასტერი მიეკუთვნება ივრისპირა გარეჯის ძეგლთა რიგს. 1982 წელს არქიტ. აზომვებისა (გ. გაფრინდაშვილი) და მოხატულობათა ფიქსაციის (ი. გილგენდორფი) პარალელურად, მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარდა ვიზუალური არქეოლ. დაზვერვა – კომპლექსის ზემოთ, ქედის თხემის დას-ით დაფიქსირდა ქვითკირის კედლის წყობა.


ზ. თვალჭრელიძე

ბიბლ.: 1; 2; 3; 4; 5; 6; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 16; 19; 26; 27; 30; 31; 32; 37; 39; 43; 44; 45; 50; 56; 57; 58; 59; 60; 61; 62; 63; 64; 65; 67; 68; 69 ა, ბ; 70; 71; 72; 73; 80; 86; 88; 89; 90; 91; 99; 100; 101; 113; 115; 116; 117; 118; 119; 120; 121; 131; 132; 133; 134; 135; 136; 137; 138; 139; 140; 141; 142; 149; 152; 157; 162; 168; 169; 170; 172; 178; 179; 180; 189; 191; 216; 217; 220; 222; 223 ა; 227; 230; 231; 232; 238; 246; 253; 260; 261; 266 დ; 270; 274; 275; 276; 277; 278; 279; 280; 281; 282; 283; 284; 285; 286; 287; 288; 289; 301; 305; 313; 315; 318; 319; 332; 336; 346; 348 ა, ბ; 357; 359; 368; 373; 375; 376; 379; 380; 385; 387; 388; 395; 396; 397; 398; 399; 400; 401; 402; 403; 404; 436; 457; 458; 464; 465; 466; 468; 471; 475; 494; 495; 496.

* 2017 წელს გალავნის წინასარეაბილიტაციო არქეოლ. სამუშაოების (ხელმძღვ. ნ. ბახტაძე) დროს, მიაკვლიეს მიწით სავსე სამალავს, რ-ელშიც აღმოჩნდა სპილენძის სამზარეულო ჭურჭელი (21 ნიმუში). ნ. ბახტაძის ვარაუდით განძი XVII ს-ის დასაწყისში უნდა იყოს დაფლული.



დავითგარეჯის მრავალმთა. საბერეები. გაბრიელ მთავარანგელოზი



გარეჯის მრავალმთის არქეოლოგიური ძეგლების სიტუაციური რუკა.

210. დისჭიეს ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 4-5 *კმ*-ზე, დისჭიეს მთაზე. ანაკრეფი თიხის ჭურჭლის მიხედვით თარიღდება დაახლ. ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევრით.

ძ. დააზიანა აქ განლაგებულმა სამხ. ნაწილმა, რ-მაც თავდაცვითი თხრილები გაჭრა და მთის ძირიდან თხემამდე სამანქანო გზა გაიყვანა.

ძ. 1980 წელს დაზვერა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარს (სიგრ. – 90 *მ*, სიგ. – 20 *მ*) ხელოვნური ტერასა ჰქონია, რ-იც მხოლოდ ჩრდ. ფერდზე ჩანს. არქეოლ. მასალა უმეტესად ამონაყარ მიწაში შეგროვდა.

აქ აკრეფილი კერამიკისათვის დამახასიათებელია: ქვიშანარევი, მტკიცე კეცი, ლეგა გამოწვა, მოგლუვებული, მაგრამ მაინც უხეში, ხაოიანი ზედაპირი. ორი ფრაგმენტი, დანარჩენებისაგან, გამოირჩევა კარგად გაპრიალებული, შავი ზედაპირით, თეთრი, წმინდა, ჩანართებიანი კეცით, წაბლისფერი შიდაპირით. არის ისეთი ლეგა ჭურჭელიც, რ-ის ზედაპირიც კონცენტრული, ამოღარული ხაზებითაა დაღარული, ხოლო მხარზე მოკლე, ირიბი ნაჭდევები შემოსდევს. შეგროვებულ მასალაში არის პირგადაშლილი ლანგრის ფრაგმენტიც, რ-ის კეცი, მეორადი გამოწვის გამო, ვარდისფერია.

ვ. ვარაზაშვილი, მ. კინწურაშვილი. ბიბლ.: 109; 305.

211. დიფსიზის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 7-8 *კმ*-ზე, დიფსიზისხევის მარჯვ. მხარეს, სერზე. განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას.

ძეგლს 1981 წელს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სერი, რ-ზეც ნამოსახლარი მდებარეობს დოდორქის გაგრძელებაა. მისი ჩრდ. მხარე ვაკეა, სამხრ-ისა – მთლიანად ფლატიანი, ხოლო აღმ-ისა – საკმაოდ დამრეც ფერდობს წარმოადგენს. ნამოსახლარი (სიგრ. – 70 *მ*, სიგ. – 50 *მ*) ფლატის პირასაა. იგი ნახევარწრიულია, შემოზღუდულია ხელოვნური თხრილით. გამაგრებული ყოფილა ქვის ზღუდითაც, რაზეც მიანიშნებს ველის დონეზე შემორჩენილი ქვების წყობა. ნამოსახლარის ცენტრში, ფლატის პირას, შემაღლებული ქვის გროვაა. თავდაცვითი ზღუდის შიგნით, შემაღლებულ, ცენტრალურ ნაწილს ნახევარწრიულად, ორ სიმეტრიულ რიგად შემოუყვება პატარა ჩაღრმავებები(სათავსები). მათ განლაგებასა და ზომებში აღსანიშნავია სიზუსტე.

ნამოსახლარს ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრება საკმაოდ დიდი დასახლება. იგი სწორკუთხაა და ირგვლივ ხელოვნური მიწაყრილი (სიმ. – 1,70 *მ*) აკრავს.

ნამოსახლარებზე აღმოჩნდა კარგად განლექილი და ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, ლეგა ფერის კონცენტრული, ან წიწვისებრი, ამოღარული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი; ხელსაფქვავის ფრაგმენტები, თოხები; ობსიდიანის, ზოგჯერ რეტუშირებული, ანატკეცები.

ვ. ვარაზაშვილი, მ. კინწურაშვილი. ბიბლ..: 109.

212. დოდორქის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს დოდორქის ქედის დას. ნაწილში, ყველაზე მაღალ და დავაკებულ თხემზე. ძ. დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებით თარიღდება.

ძ. 1980 წელს გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი (სიგრ. – 160*მ*, სიგ. – 40 *მ*) სამი მხრიდან დაცულია ბუნებრივი ფლატით. ჩრდ. ფერდობი ძლიერ დამრეცია. აქ შეიმჩნევა ხელოვნური მიწაყრილი.

ნამოსახლარზე მოპოვებული ჭურჭლის უმეტესობა განლექილი თიხისგანაა დამზადებული, გამოყვანილია ჩარხზე, გამომწვარია მონაცრისფროდ, შემკულია ტალღისებრ-ზიგზაგურად ამოღარული ხაზებით. მცირე რაოდენობითაა წვრილი, თეთრმინარევიანი, წმინდა თიხისაგან დამზადებული, ძირითადად შავად გამომწვარი ჭურჭელი.

ნამოსახლარს ჩრდ-იდან და ჩრდ.-აღმ-იდან ეკვრის ზღუდისგარე, საკმაოდ დიდი დასახლება. კიდევ ერთი ნამოსახლარია დას. მხარეს, ველის გასწვრივ. იგი სწორკუთხაა (სიგ. – 70 *მ*), ხელოვნური მიწაყრილით (სიმ. – 1,7 *მ*), მოზრდილი სათავსებით (შემორჩენილია განიერი და მოგრძო ჩაღრმავებები). განეკუთვნება

ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას.

ნამოსახლარებზე აღმოჩნდა როგორც კარგად განლექილი, ისე ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, მონაცრისფრო ან ლეგა ფერის ჭურჭელი. ორნამენტად გამოყენებულია ამოღარული, კონცენტრული ხაზები ან წიწვისებრი ორნამენტი. აღმოჩნდა აგრეთვე ქვის თოხები, ხელსაფქვავის ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატკეცები, რ-ებიც ზოგჯერ რეტუშირებულია.


ნამოსახლარის შუაგულში შუა საუკუნეების, საყარაულო კოშკია, ხოლო ჩრდ-ით, 100 მ-ზე, დაბლობში, შეიმჩნევა ქვის ერთრიგად შემოყოლებული წრეები (კრომლეხები?) და მცირე ზომის ქვის გროვები. სავარაუდოა, რომ ეს იყოს ნამოსახლარის სამაროვანი.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 109; 305.

213. მრავალწყლის გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მრავალწყლის ხეობაში, სოფლიდან 8 კმ-ზე, ქ. რუსთავისკენ მიმავალ გზაზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარს.

ძეგლს 1984 წელს მიაკვლია და შეისწავლა კპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გამოვლინდა თორმეტი გორასამარხი. გაითხარა ერთი (№ 12) ქვამოწაყრილიანი გორასამარხი (დიამ. – 12 *მ*, ყრილის სიმ. – 70 *სმ*). სამარხი ორმო (3x2 *მ*, სიღრმე – 3,3 *მ*) დაფიქსირდა სამარხის ყრილის ქვეშ, ცენტრ. ნაწილში. სამარხი ორმოს ფსკერის ჩრდ. ნაწილში აღმოჩნდა მიცვალებულის ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი, რ-იც დასვენებული იყო მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდ-ისაკენ. მის თავთან გამოვლინდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი, ზედა და ქვედა კიდურებთან კი – მსხვილფეხა საქონლის ძვლები. მიცვალებულის მენჯთან იდო ბრინჯაოს გრძელყუნწიანი, მაღალქედიანი რაპირა. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს დანა, ყუნწზე ნახვრეტით. თავის ქალის სამხრ-ით, დანახშირებულ ფენაზე, გამოვლინდა სადა და ამობურცული, წერტილოვანი ორნამენტით შემკული, ოქროს ფირფიტები; ვერცხლის ოთხი საკინძი, რ-თაგან ერთს ვერცხლის, ხოლო სამს – ოქროს, ნახევარსფერული თავები აქვს. ოქროსთავიანი საკინძები რელიეფური სატრყლით, ოქროს ცვრით და ბუდეებში ჩასმული სარდიონის და მთის ბროლის თვლებით არის შემკული. სამარხი ორმოს იატაკზე მიმოფანტული იყო



213. №12 გორასამარხი: 1 - ბრინჯაოს რაპირა, 2 - ბრინჯაოს დანა, 3 - ვერცხლის საკინძი ვერცხლის თავით, 4,5 - ვერცხლის საკინძი (თავი არ შემორჩენია), 6,7 - ვერცხლის საკინძი ოქროს თავით, 8 - ვერცხლის რგოლი, 9,10 - ბრინჯაოს საკიდები, 11,12 - წერტილოვანი ორნამენტით შემკული ოქროს სფერული მძივები, 13-16 - ობსიდიანის ფუძამოღარული ისრისპირები, 17 - ოქროს ფირფიტის ფრაგმენტი, 18 - ოქროს ფირფიტის მილაკები; მთის ბროლის, გიშრის, სარდიონის და პასტის მძივები, 19-21 - შიგნიდან ამოქვაბული წერტილოვანი ორნამენტით შემკული ოქროს ფირფიტები, 22,23 - ოქროს თხელი ფურცლისგან დამზადებული, ორი დაკეცილი ფირფიტა, 24 - ქვის ჯამი, 25 - თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, 26,27 - თიხის ჭურჭელი

ოქროს ფირფიტების პატარა მილაკები; წერტილოვანი ორნამენტით შემკული, ოქროსავე სფერული მძივები; ობსიდიანის ფუძეამოღარული ოთხი ისრისპირი და ბრინჯაოს საკიდები. სამარხი ორმოს სამხრ. კედელთან გამოვლინდა სამი შავპრიალა დერგი. ერთ-ერთი მათგანი დამზადებულია ფხვიერი, წვრილი, თეთრი და ყავისფერი მინარევის შემცველი თიხით. მას აქვს გადაშლილი პირი, მაღალი ყელი და მსხლისებრი ტანი. ჭურჭლის პირისა და ყელის შიდაპირი წითელი ანგობით არის შეღებილი. დერგი შემკულია წერტილოვანი ორნამენტით შევსებული, ამოკაწრული სარტყლებით, სარტყლებს შორის ჩახაზული სამკუთხედებით და ისრისებრი ორნამენტით. ასევე ორნამენტითაა შემკული მეორე დერგიც (შემორჩენილია მხოლოდ მხრის ფრაგმენტი). მესამე დერგი წვრილი, თეთრი მინარევის შემცველი თიხითაა ნაძერწი. მას აქვს ბრტყელბაკოიანი, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და კვერცხისებრი ტანი, რ-ზედაც ერთმანეთის საპირისპიროდ, მოკლე, ტალღურ ხაზებსა და რგოლებში მოქცეული ორი გველის რელიეფური გამოსახულებაა. მხარს შუმოუყვება ზემოდან დაძერწილი ცამეტი კოპი.

სამარხი ორმოს დას. კედელთან იატაკიდან, 50 *სმ* სიმაღლეზე, აღმოჩნდა მოწითალო ქვის ჯამი.

მასალა ინახება საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართ. მუზეუმსა და ქ. სიღნაღის მხარეთმც. მუზეუმში.

რ. რუხაძე.

ბიბლ.: 109.

214. მრავალწყლის ნამოსახლარი, ჯანგირის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მრავალწყლისხევის მარცხ. მხარეს, აღმ-იდან დას-ით მიმართული ქედის თხემზე, ხევიდან 150-200 *მ* სიმაღლეზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და ძვ. წ. I ათასწლეულს.

ძეგლს 60-იანი წლების დასაწყისში მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). დაზიანებულია: ძეგლის დას-ით და სამხრ-ით ნაწილი ძლიერ ეროზიულია. ირეცხება კულტ. ფენა.

ნამოსახლარი გამართულია სამხრ.-დას-ით ოდნავ წაგრძელებულ ფერდობზე (სიგრ. – 200 *მ*, სიგ. შუა წელში – 60 *მ*). ძეგლს დას-ით და სამხრ-ით შემოსდევს ფლატე. ჩრდ. და აღმ. მხარე ძლიერ დამრეცი ფერდობია. თხემის გაგრძელებაზე, აღმ. და დას. ნაწილში, ყველაზე ვიწრო ადგილას, ყელი ხელოვნურადაა გადაჭრილი, რაც ნამოსახლარს მიუვალს ხდის.

ნამოსახლარის დას. და სამხრ. მხარეს, ზედაპირიდან 1 *მ*-მდე სიღრმეში, გამოვლინდა ქვების წყობა, ზოგან კი – შიგნით ჩაქცეული ლოდები; ნაცრის ბუდეები (სიგ. – 2-3 *მ*), რ-ებშიც დადასტურდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, ძვლის ნატეხები და სხვ.

ნამოსახლარზე ზედაპირულად აკრეფილი თიხის ჭურჭლის უმეტესობა მონაცრისფროდაა გამომწვარი. გვხვდება ლეგა ან ოდნავ მოყავისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტებიც. თხელკეციანი ჭურჭლის დასამზადებლად თიხაში შეურევიათ ქვიშა. ყველა ჩარხზეა გამოყვანილი და კარგად გამომწვარი. უმეტესობას გაღმოკეცილი ან ლილვისებრი პირი აქვს. გვხვდება ბრტყელი ან გადაშლილპირიანიც. ჭურჭლისთვის დამახასიათებელია როგორც ბრტყელი, ისე მრგვალგანივკვეთიანი ყურები. ორნამენტიდან გვხვდება ამოღარული ხაზები, რ-ებიც ჭურჭელს მხარზე ან მუცელზე თითო-თითოდ ან, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე ერთად გარშემოუყვება. აღნიშნულ ხაზებს შორის ხშირად დატანილია ტალღური ან ზიგზაგისებრი ორნამენტი. ჭურჭლის შესამკობად გავრცელებული ჩანს აგრეთვე რელიეფური ხაზები, რ-ებშიც, თავის მხრივ, დატანილია ირიბი ჭდეები. ასეთივე ჭდეებით არის შემკული ჭურჭლის ძირის კიდეები. კოლექციაში ყურადღებას იქცევს ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, ლეგად გამომწვარი სამი ქვევრის პირი.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 109.

215. ნათლისმცემლისხევის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ნათლისმცემლისხევის მარჯვ. მხარეს, ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსიდან ჩრდ.-დას-ით, 1 *კმ*-ზე, განიერი ტაფობის თავზე არსებული სერის შუა წელზე, განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას.

ძეგლს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარს (სიგრ. – 90 *მ*, სიგ. – 50 *მ*) ჩრდ.-აღმ. და სამხრ-ის მხრიდან შემოსდევს განიერი (სიგ. – 8-10 *მ*), უსწორმასწორო ზედაპირის მქონე (განსაკუთრებით სამხრ. ნაწილში) მიწაყრილი. ნამოსახლარზე აიკრიფა მცირე არქეოლ. მასალა, რ-იც დაცულია სიღნაღის მხარეთმც. მუზეუმში.

ვ. ვარაზაშვილი.

216. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 8-10 *კმ*-ზე, შუა გორის სერის ჩრდ-ით, დისჟიეს ნამოსახლარის ჩრდ.-დას-ით, 4-5 *კმ*-ზე, ერთ-ერთი მშრალი ხევის მარცხ. ნაპირზე. თარიღდება დაახლ. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით. 1980 წელს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი ძლიერ იყო დაზიანებული სამხ. ნაწილების მიერ (ტერიტორიაზე გაჭრილი იყო მრავალი სხვადასხვა ზომის არხი და ამოთხრილი იყო ორმოები).

ნამოსახლარი (სიგრ.– 160 *მ*, სიგ.– 120 *მ*) გამართულია დასიდან აღმ-ისაკენ მიმართული სერის თხემზე. აღმ-ით და დას-ით ყელი გადაჭრილია. ჩრდ. ფერდობზე სუსტად გამოხატული ორი მიწაყრილია. სამხრ. ფერდობზე ქვის კედლის მცირე მონაკვეთია შემორჩენილი. ძეგლზე კარგად შეიმჩნევა ნაცრიანი ბუდეები, რ-ებიც სათავსებს უნდა წარმოადგენდეს.

ზედაპირულად აკრეფილი თიხის ჭურჭლის უმეტესობა მონაცრისფროა, იშვიათად – მოყავისფროდ გამომწვარი. გამოყენებულია წმინდა, განლექილი თიხა. სქელკეციანი ჭურჭლის დასამზადებლად თიხაში ქვიშაც შეურევიათ. ზოგიერთი ფრაგმენტის კეცს კარგად ეტყობა თეთრი მინარევები. ყველა დამზადებულია ჩარხზე და კარგადაა გამომწვარი. მათი უმეტესობისათვის დამახასიათებელია გადმოკეცილი ან ლილვისებრი პირი. გავრცელებულია აგრეთვე ბრტყელი და გადაშლილი პირებიც. ორნამენტიდან გვხვდება ამოღარული, კონცენტრული და ტალღისებრი ხაზები.

ძეგლზე დადასტურდა: თითო-ოროლა კაჟის და ობსიდიანის უსახო ანატკეცები, ანატკეცი და რიყის ქვის თოხები.

ნამოსახლარს ჩრდ.-დას-იდან ესაზღვრება ტაფობი, რ-ზედაც რამდენიმე ათეული გორასამარხია. სამარხები ქვამოწაყრილიანია (დიამ. – 5-იდან 20 *მ*-მდე, სიმ. – 0, 50 *სმ*-დან 1 *მ*-მდე) სავარაუდოდ ისინი ნამოსახლარს ეკუთვნის.

ვ. ვარაზაშვილი, შ. კინწურაშვილი. ბიბლ.: 109.

217. ნარცხილის ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. უდაბნოს აღმ-ით, 2 *კმ*-ზე, ნარცხილისხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის საწყისს საუკუნეებს.

ძ. შეისწავლა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაფიქსირდა ხუთი ნამოსახლარი.

ერთ-ერთი ნამოსახლარი (ნარცხილი I) გამართულია თავმრგვალი ბორცვის თხემზე (დიამ. – 80 *მ*), რ-საც გარშემოუყვება ორი თავდაცვითი თხრილი. თხემზე შეიმჩნევა ქაოსურად დაყრილი, დიდი ლოდები. ბორცვის დას. ნაწილში კედელია, რ-იც სწორხაზოვნად მიუყვება მას მთელ სიგრძეზე.

მეორე ნამოსახლარი (ნარცხილი II) ფორმით ოთხკუთხედს უახლოვდება (სიგრ. – 80 *მ*, სიგ. – 70 *მ*). მას ერთრიგად შემოსდევს დიდი ლოდები (თავდაცვითი კედელი?) და თავდაცვითი თხრილი. ძეგლზე აიკრიფა მცირე რაოდენობის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები.

მესამე ნამოსახლარი (ნარცხილი III) სამი მხრიდან ბუნებრივადაა დაცული: აღმ-იდან შემოზღუდულია დამრეცი ფერდობით, სამხრ-იდან – მშრალი ხევით, ხოლო ჩრდ-იდან – ნარცხილისხევით. მხოლოდ დას-ის მხრიდან ებმის იგი რელიეფს. აქ ხელოვნური, თავდაცვითი თხრილია გაჭრილი. ნამოსახლარის თხემი ოთხკუთხაა (სიგრ. – 80 *მ*, სიგ. – 45 *მ*). იგი სწორია და აღმ-ით ოდნავაა დაფერდებული. ნამოსახლარის კიდეზე შეინიშნება ქვის წყობა (თავდაცვითი კედელი?). ანაკრეფი, ზედაპირული მასალა ძალზე მწირია.

მეოთხე ნამოსახლარი (ნარცხილი IV) მოგრძო ოთხკუთხა ნამოსახლარია, რ-იც სიგრძივ დამხრობილია სამხრ.-დას-იდან ჩრდ-აღმ-ისკენ (სიგრ. – 80 *მ*, სიგ. – 60 *მ*). ბორცვის ჩრდ.-დას-ით შეიმჩნევა სუსტად გამოხატული, თავდაცვითი თხრილი. ნამოსახლარზე, აქა-იქ, დიდი ლოდები ყრია (თავდაცვითი კედლის ნაშთები?). ძეგლზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის შავად გამომწვარი, ვარდისფერ სარჩულიანი კერამიკა, ობსიდიანის ანატკეცები და ქვის ფრაგმენტები.

მასალა ინახება სიღნაღის მხარეთმც. მუზეუმში.

ვ. ვარაზაშვილი.

218. ნატახტრის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე, შუაგორის სერის ჩრდ.-დას. ნაწილში. მონაპოვარი მასალის მიხედვით, ნამოსახლარზე (სავარაუდოდ) ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა საფეხურის კულტ. ფენაა.

ძ. 1980 წელს გათხარა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძლიერ დაზიანებულ, ოვალურ ნამოსახლარს (სიგრ. – 140 *მ*, სიგ. შუა წელში – 65 *მ*) გარს არტყია თავდაცვითი თხრილი, დამატებით გამაგრებული ყოფილა გალავნითაც (შემორჩენილია ქვის საფუძველი). ძეგლს გააჩნია ზღუდის გარე დასახლებაც (სიგრ. – 150 *მ*, სიგ. – 100 *მ*), სადაც კარგად შეიმჩნევა ქვის გროვები. აკრეფილი კერამიკა უმეტესად ქვიშანარევია, არის წმინდაკეციანიც. გამომწვარია ლეგად ან რუხად, იშვიათად – მოშავოდ. ჭურჭლის პირის ქობა ტანისაგან მკვეთრად არ არის გამოყოფილი. მხრის ირგვლივ ირიბნაჭდევებიანი ჭურჭელი შემკულია რელიეფური სარტყლით. აღმოჩნდა ქვის იარაღებიც: ობსიდიანისა და ბაზალტის ანატკეცები, რიყის ქვის, წელში გამოყვანილი თოხი და კაჟის ვიწრო, ნავისებრი ნამგლის ჩასართი.

ვ. ვარაზაშვილი, შ. კინწურაშვილი. ბიბლ.: 109.

219. რკინის გამოსადნობი სახელოსნოები, არქეოლ. ძ. გამოვლინდა უდაბნოს მთელ ტერიტორიაზე. მათი უმეტესობა განლაგებულია ხეობებისა და ხრამების ნაპირებზე. სახელოსნოები თარიღდება დაახლ.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებით.

სახელოსნოების უმეტესობა აღმოჩნდა XX ს-ის 80-იან წლებში კაე-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) მიერ ჩატარებული არქეოლ. დაზვერვების დროს. მათი დიდი კონცენტრაციაა სოფ. სათაფლის სამხრ.-აღმ-ით, 5 *კმ*-ზე, რკინის მთის(დემურ დაღის) გარშემო და ამავე სახელწოდების მთის მიდამოებში, რ-იც დავითგარეჯის აღმ-ით, 4-5 *კმ*-ზე მდებარეობს. სახელოსნოები წარმოდგენილია წითელი ლაქებით (დიამ. – 50-70 *მ*), რ-საც ქმნის დამწვარი ლოდები და თიხნარი ნიადაგი. ბევრ მათგანზე კარგად ჩანს ერთ სწორ ხაზზე განლაგებული, რამდენიმე მოგრძო, ოთხკუთხა სათავსი (8x5 *მ*) ან მათი კვალი. წესისამებრ, არცერთ მათგანზე არქეოლ. მასალა არ აღმოჩნდა.

1988 წელს კაე-მ შეისწავლა სოფ. უდაბნოში, მწარე წყლად წოდებულ ადგილზე მდებარე ერთ-ერთი სახელოსნო. მიწის ზედაპირიდან 60 *სმ* სიღრმეზე ამოღებულ ნახევრადმიწურს (8x5 *მ*) შიდა მხარეს, ქვის მშრალი წყობით, კედელი ჰქონდა ამოშენებული. სათავსის წინ გაიწმინდა რკინის გამოსადნობი ორი ღუმელი, რ-ებიც 1,30 *მ*. დიამეტრის, წრიულად განლაგებული, ვერტიკალურად ჩადგმული, ბრტყელი ქვებით იყო ნაგები.

გ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 5; 216; 305.


220. სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს რუსთავ-გარდაბნის შარაგზის მარჯვ. მხარეს. განეკუთვნება მუსტიეს ხანის პირველ ნახევარს.

ძ. 1980 წელს გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). აღმოჩნდა ანდეზიტის, კაჟისა და მერგელის დისკოსებრი, ერთფუძიანი და ორფუძიანი ნუკლეუსები (ლევალუაური და არალევალუაური ანატკეცები. ისინი ატარებენ მუსტიეს ხანისათვის ტიპურ ქვის გაპობა-ატკეცისა და მეორადი დამუშავების ყველა ნიშანს.

შ. კინწურაშვილი.

ბიბლ.: 50.

221. სადგომ-სახელოსნო, უდაბნო I, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-დას-ით, 10-15 *კმ*-ის მანძილზე, მრავალწყლისხევის მარჯვ. სანაპიროზე, ხევიდან 50-60 *მ*-ზე. განეკუთვნება მუსტიეს ხანის პირველ ნახევარს.




221. ანატკეცები. 1 - ლამელისებრი, 2 - არალევალუაური, 3 - ლევალუაური

ღია სადგომი 1971, 1980 წწ. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაახლოებით 1 ჰა ფართობზე აიკრიფა: ექვსი ნუკლეუსი, ორმოცი ანატკეცი-ნამზადი და ხუთი დასრულებული იარაღი.

ნუკლეუსები არალევალუაურია. ორი – დისკოსებრია, სამი – ერთფუძიანი და ერთი – ორფუძიანი.

ანატკეც-ნამზადების უმეტესობა არალევალუაური ტიპისაა, ლევალუაური მხოლოდ ორია. არალევალუაური ანატკეცებისათვის დამახასიათებელია მოგრძო ან დაბალი, არასწორი მოყვანილობა. არის სწორი მოყვანილობისა და თხელი, სამკუთხედისებრი და ლამელისებრი ანატკეცებიც. ანატკეც-ნამზადებს აქვს გლუვი, ფართო, ქვედა სიბრტყისაკენ ბლაგვი კუთხით დაქანებული, სწორი, ორფერდა ან სამფერდა, რეტუშით შესწორებულ-ფაცეტირებული, სწორი და ამოზნექილი დარტყმის მოედნები და რელიეფური ბურცული, რ-იც, მეტწილად, ქვედა სიბრტყის 1/3 მოიცავს.

იარაღების ჯგუფშია: ცალპირა ამოზნექილი, სწორი და ჩაზნექილ-სამუშაოპირიანი, კონვერგენტული და ორპირა სახოკები, წვეტანები, წვეტანისებრი იარაღი, გვერდამოღარული იარაღი – ანკოშები, „ზურგიანი“ დანა-სახოკები, დანა და კომბინირებული იარაღი – ანკოშებთან შეხამებული, ამოზნექილსამუშაოპირიანი სახოკი.



221. გრძივი ტიპის ორპირა სახოკები. 1 - სწორსამუშაოპირიანი 2 - ამოზნექილ და ჩაზნექილ სამუშაოპირიანი

ძირითადი საწარმოო ქვა ანდეზიტია. ცალკეული ნივთების დასამზადებლად გამოყენებულია კაჟი, კირქვა, მერგელი და სხვ. მასალაც. იარაღის დასამზადებლად უპირატესად – მოგრძო და სამკუთხედისებრი ანატკეცები. ლამელებზე დამზადებულია მხოლოდ ორი კონვერგენტული სახოკი.

თ. ბუგიანიშვილი.


ბიბლ.: 49; 50; 55.

222. სადგომ-სახელოსნო უდაბნო II, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 8-10 *კმ*-ზე, მრავალწყლისხევის ერთ-ერთი მარჯვ. შენაკადის – ვიწრო, არაღრმა და მშრალი ხევის მარჯვ. მხარეს, შესართავიდან 100 *მ*-ზე. სადგომ-სახელოსნო გამართულია ფერდობზე, რ-იც მძლავრ ეროზიას განიცდის. დაშლილი ფენები და, მათთან ერთად, არქეოლ. მასალა წვიმების დროს ხევში ირეცხება. ძ. განეკუთვნება მუსტიეს ხანის I ნახევარს.

სადგომი (20x20 *მ*) ღია ტიპისაა. 1971 და 1980 წლებში ძეგლზე საძიებო არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). აიკრიფა ოთხი ნუკლეუსი,ოცდაშვიდი ანატკეცი და 8 დასრულებული იარაღი. ყველა ნივთი ანდეზიტისაა. მათი ზედაპირი ოდნავაა მონაცრისფროდ პატინირებული, წიბოები გადაულესავია.

ნუკლეუსები არალევალუაური, ამორფული, დისკოსებრი, ცალმხრივი და განივი ორფუძიანი, ორმხრივი ტიპისაა. ისინი, უპირატესად, საშ. ზომისაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გვერდები სპეციალურად აქვთ შესწორებული,მაინც ტლანქისა და დაუხვეწავის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ სამუშაო ზედაპირზე შემორჩენილი არაწესიერი და ღრმა ნეგატივები შეესატყვისება ანატკეცებს და არა ლამელებს. დარტყმის მოედანი გაფორმებულია ერთი ფირფიტის ატკეცით, დაქანებულია ზურგისაკენ და სამუშაო ზედაპირთან 80º-იან მახვილ კუთხეს ქმნის.

ანატკეცებისათვის დამახასიათებელია შემთხვევითი მოყვანილობა, რელიეფური ბურცული და 110º-იანი კუთხით განლაგებული ფართო და გლუვი დარტყმის მოედანი. დარტყმის მოედნებისა და ზურგის ხასიათი მოწმობს, რომ ეს ანატკეცები მიღებულია სათანადოდ დამუშავებელი ნუკლეუსებიდან. ჯგუფში შედის:



222. ნუკლეუსები. 1,2 - ერთფუძიანი, გრძივი ნუკლეუსი, 3 - ცალმხრივი, დისკოსებრი ნუკლეუსი

სახოკები, წვეტანები, სახვრეტი, გვერდამოღარული და ნისკარტისებრი იარაღი. იარაღები დანიშნულების მიხედვით არამრავალფეროვანია. მათ დასამზადებლად უპირატესობა ენიჭება მოგრძო ანატკეცებს. წამყვანი იარაღი სახოკი – ცალპირა სწორ, ამოზნექილ და ამოზნექილ-ჩაზნექილი სამუშაოპირიანი, კონვერგენტული და ორპირაა.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 50.

223. შავი კლდის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 1 *კმ*-ზე აღმ.-დას-ის ხაზზე გადაჭიმული, ვიწროთხემიანი სერის უკიდურეს აღმ. ნაწილში, თავმრგვალ ბორცვზე. განეკუთვნება ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნას.


ნამოსახლარი ციტადელითურთ (სიგრ. – 90 *მ*, სიგ. – 30 *მ*) აღმოაჩინა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) XX ს-ის 80-იანი წლების არქეოლ. დაზვერვების დროს. ციტადელის სამხრ. ფერდობი ციცაბოა და გაუმაგრებელი. დანარჩენი მხარეები გამაგრებულია ხელოვნური თხრილით. სამხრ. ფერდობზე დაფიქსირდა ნაცრიანი ბუდეები და ქვის მშრალი წყობით, ერთრიგად ამოშენებული კედლები. ნამოსახლარის ჩრდ-ით სამი ბუნებრივი ტერასაა. ქვედა, პრველ ტერასაზე გამართულია სახელოსნო, სადაც ხდებოდა რკინის პირველადი გამოდნობა (ამჟამად განადგურებულია). მეორე ტერასა სტერილურია. მესამე ტერასა მთლიანად დასახლებული ყოფილა.

მასალა დაცულია სიღნაღის მხარეთმც. მუზეუმში.

ვ. გარაზაშვილი.


ბიბლ.: 109.

224. შავი მიწის გორასამარხების ველი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხ.



224. გორასამარხი №11. 1 - ქოთნის ფრაგმენტი, 2-4 - ქოთანი

ნაპირზე, უდაბნოს მთების ძირში, უდაბნოს ყოფილი მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, ე. წ. შავი მიწის



224. გორასამარხი №17. 1 - ქოთანი (ფრაგმენტირებული),2-5 - თიხის ჭურჭელი (ფრაგმენტირებული), 6,7 - ქილა, 8 - ჯამი, 9 - სატევარი, 10 - ქოთანი (ფრაგმენტი), 11 - ქოთანი

ველზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს.

სამაროვანზე 1982-84 წწ. კაპ-ის უდაბნოს რაზმმა (ხელმძღვ. დ. ყვავაძე) აღმოაჩინა 18 გორასამარხი, რ-თა ყრილები ძლიერ იყო დაზიანებული მიწის სამუშაოების დროს. გაითხარა ხუთი ქვაყრილიანი და ქვამიწაყრილიანი გორასამარხი (დიამ. – 8*მ*-იდან 16 *მ*-მდე; სიმ. – 30-იდან 80 *სმ*-მდე). ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ, ძვ. ველის დონიდან 1 – 1,30 *მ* სიღრმეზე,გამართული იყო ქვიშაქვის ერთი ან რამდენიმე ფილით გადახურული, ჩრდ-იდან სამხრის მიმართულებით დამხრობილი სამარხი ორმო. რამდენიმე სამარხში მიცვალებულის დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა თავის ქალა და ადამიანის მიმოფანტული ძვლები, რ-თა ნაწილი ჭურჭელზე ეწყო, ნაწილი კი – ჭურჭლის ქვეშ. დანარჩენ სამარხებში მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დას-ით ან დას-ით.

სამარხებში აღმოჩნდა, როგორც ხელით ნაძერწი, ისე ჩარხზე დამზადებული თიხის ჭურჭელი: ქოთნები, ქვაბქოთნები, დერგები, ქილები და ჯამები. ჭურჭლის დიდი ნაწილი ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი, ან კარგად განლექილი თიხით. ზოგჯერ კეცს ურევია თეთრი ან ობსიდიანის მინარევი. გამომწვარია შავად, მუქყავისფრად, ლეგა ნაცრისფრად, მოწაბლისფროდ ან მოვარდისფროდ – შავი ლაქებით. ჭურჭელი შემკულია სხვადასხვანაირი ორნამენტით: სავარცხლის კბილის შტამპით შესრულებული, თავშექცევით დატანილი სამკუთხედების ორი რიგით, კიდეებით ერთმანეთზე მიერთებული, წვეროთი ქვემოთ მიმართული, ამოღარული ხაზით შესრულებული სამკუთხედებით, ორი პარალელური, ამოღარული ხაზით, რ-თა შორის ირიბი ნაჭდევებია დატანილი, ორი პარალელური, წერტილოვანი ხაზით, რ-იც იწყება ჭურჭლის ყელთან და სპირალისებრად ეშვება ჭურჭლის ფსკერისაკენ, ამოღარულ და ტეხილ ხაზებს შორის შტამპით დატანილი ორფა, ტეხილი ხაზითა და ჰორიზ. განლაგებული, კაუჭისმაგვარი ორნამენტის ერთი რიგით.

ერთ-ერთ სამარხში გამოვლინდა ცხვრის ძვლები. სამაროვანზე მოპოვებულია ბრინჯაოს მხოლოდ ერთი ნივთი – სატევარი, რ-საც ყუნწზე ნახვრეტი აქვს.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 305; 329.

225. შუაგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 3 *კმ*-ზე, შუაგორის სერზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისს.

ძეგლს 1980 წელს, არქეოლ. დაზვერვის დროს მიაკვლია კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაუ-

რი). ნამოსახლარს (სიგრ. – 90 *მ*, სიგ. – 20 *მ*) ირგვლივ ხელოვნური მიწაყრილი შემოუყვება. ზედაპირულად აიკრიფა ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, წაბლისფრად გამომწვარი, მოგლუვებულზედაპირიანი, ვიწროყელიანი, ქვევრის რამდენიმე ნატეხი – შიდაპირზე ამოღარული ხაზებით.

ვ. გარაზაშვილი, შ. კინწურაშვილი.
ბიბლ.: 109.

226. ჩამძვრალიხევის კომპლექსი, არქეოლ. ძ. მდებარეობს რკინის მთის სამხრ. ფერდზე მთათა შორის ვიწროებში, რკინის მადნის უშუალო სიახლოვეს. მას ერთადერთი მისადგომი მრავალწყლისხევის ხეობიდან აქვს. კომპლექსში შედის: ნამოსახლარი, რკინის სახელოსნო და სამაროვანი.

დავითგარეჯის უდაბნოში, რკინის მადნის შემცველობით ყველაზე მდიდარი რკინის მთა ჩანს და, სავარაუდოდ, მის ირგვლივ მდებარე ხეობები ამ წარმოებით დასაქმებულ ადამიანთა ჯგუფებისათვის ყველაზე ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო დასასახლებლად. მითუმეტეს, რომ პალინოლოგიური ანალიზების მიხედვით, ეს მხარე, ძვ. წ. II ათასწლეულში და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში, მდიდარი იყო ტყის მასივებით და შესაბამისად, მაღალი დებეტის მქონე მცირე მდინარეებით.

ნამოსახლარი ორ ღრმა ხევს შორის,მცირე შემაღლებებზეა განფენილი. რელიეფის მიხედვით, ხეობა სრულიად გამოუსადეგარია მასშტაბური სას.-სამ. სამუშაოების წარმოებისათვის და, სავარაუდოდ, ადგილ. მოსახლეობა ძირითადად რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებული საქმიანობით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ნამოსახლარზე შენობები წინასწარ შედგენილი პროექტით უნდა იყოს დაგეგმარებული. ისინი ნაგებია მკაცრად სიმეტრიულად, ნაწილობრივ დამუშავებული ქვის დიდი კვადრებით. ზედაპირულად მოპოვებული, ძირითადად ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის მიხედვით, დასახლება დაახლ. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება, თუმცა, თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი უფრო ადრეული უნდა იყოს.

დასახლების ბორცვის ძირის დონეზე, მის ჩრდ-ით, ხევს გაღმა, კრომლეხებიანი სამაროვანია. მის დას-ით კი კარგად იკვეთება საწარმოო უბანი, რ-ის მთელი ტერიტ. დიდი ცეცხლის შედეგადაა დამწვარი და მოფენილია წიდის ფრაგმენტებით.

ქ. ფიცხელაური.
ბიბლ.: 50; 109; 305.

227. ჩამძვრალიხევის სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 8-10 *კმ*-ზე,ჩამძვრალიხევის მარჯვ. ნაპირზე, მისგან დაახლ. 80-100 *მ*-ის დაშორებით, გორაკ-ბორცვიან ზოლში. „ღია“ სადგომი განეკუთვნება აშელის მეორე ნახევარს.

სადგომი 1980 წელს გამოავლინა და შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. ქ. ფიცხელაური). მასალა შეგროვდა ბორცვებს შორის მდებარე, ბალახითა და ნაშალი ქვით დაფარულ, ხევისკენ დახრილ ღარტაფში. აღმოჩნდა: ერთი ერთფუძიანი, გრძივი ნუკლეუსი (სიმ.– 6 *სმ*, სიგ.– 5,2 *სმ*, – სისქე 2,2 *სმ*); ცხრა მოგრძო ან დაბალი, ფართო, შემთხვევითი მოყვანილობის, საშ. ზომის ანატკეცი და ერთი ნუშისებრი, მთლიანი კაჭრისაგან გამოთლილი ხელნაჯახი. ყველა მათგანი მერგელისაა და დაფარულია გაჯისფერი ან მონაცრისფრო, სქელი პატინით.

თ. ბუგიანიშვილი.
ბიბლ.: 50; 109.

228. ფიფმატიანის სერის ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარჯვ. ნაპირის გასწვრივ, დას-იდან აღმ-ით საკმაოდ დიდ მანძილზე გადაჭიმულ სერზე. ძ. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. ქ. ფიცხელაური). აღმოჩნდა ოთხი ნამოსახლარი, რ-ებიც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის I ნახევრით თარიღდება.

ერთ-ერთი ნამოსახლარი (სიგრ.– 100 *მ*, სიგ. შუა წელში – 30-40 *მ*) სერის თხემზეა გამართული. მას ერთი საკმაოდ ღრმა, განიერი და შედარებით ვიწრო ორი თხრილი შემოსდევს. ნამოსახლარის უსწორმასწორო ზედაპირის ცენტრში შეინიშნება ერთი მაღალი ბორცვი, ხოლო ჩრდ.-აღმ. ფერდობზე – ზღუდის გარე დასახლება.

მეორე ნამოსახლარი (სიგ.– 120 *მ*, სიგ. შუა წელში 80 *მ*-მდე) პირველისაგან აღმ-ით, 300-350 *მ*-ზე მდებარეობს. მას ორი განიერი და შედარებით ვიწრო ერთი თხრილი შემოსდევს. სამივე თხრილი აღმ. თხემზე მთავრდება წრიული (პერიმეტრი – 15-20 *მ*) ჩავარდნებით. ღელეებს შორის ფერდობებზე, რ-ებიც მდ. ივრისკენაა დაქანებული, კარგად ჩანს ზღუდის გარე, ტერასული დასახლების კვალი. ასეთივე დასახლება ჩანს ნამოსახლარის აღმ. მონაკვეთში, სერის გაგრძელებაზე.

მესამე წრიული ფორმის ნამოსახლარი (სიგრ.– 100 *მ*, სიგ.– 60 *მ*) მდებარეობს მეორის აღმ-ით, 2-2,5 *კმ*-ზე. შემოსდევს ერთი ხელოვნური თხრილი. სარწყავი არხის მშენებლობისა და სხვადასხვა დროს ამოღებული ორმოების გამო, ძეგლის სამხრ. მხარე (ძეგლის 1/4 ნაწილი) მთლიანად განადგურებულია.

მეოთხე ოვალური ნამოსახლარი(სიგრ. – 200 *მ*, სიგ. – 80 *მ*) მესამის აღმ-ით, 2-2,5 *კმ*-ზე, სერის ჩრდ. ფერდზე,ორ მშრალ ღელეს შორის მდებარეობს. მას შემოსდევს საკმაოდ განიერი ერთი და შედარებით ვიწრო ორი თხრილი.

ოთხივე ნამოსახლარზე ზედაპირული მასალა ძალიან მწირია. მოპოვებულია თიხის რამდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტი.

ვ. გარაზაშვილი.
ბიბლ.: 109.

უჯარმა
(საკრებულოს ცენტრი)

229. უჯარმა, სოფელი, საკრებულოს ცენტრი, ისტ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე, ზ. დ. 770 მ-ზე, ქ. საგარეჯოდან 22 კმ-ზე, თბილისიდან ჩრდ.-აღმ-ით, 45 კმ-ზე. სოფელში ადგილ. მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია.



229. უჯარმა. საერთო ხედი

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, უჯარმა ძვ. წ. III საუკუნეში, ფარნავაზ მეფის მემკვიდრის, საურმაგის მიერაა დაარსებული. მის გაქალაქებას „ქართლის ცხოვრება“ ქართლის მეფე ასფარუგ მირდატის ძეს (III ს.) მიაწერს.

უჯარმის გაქალაქება და მისი შემდგომი განვითარება განაპირობა, როგორც ივრის ხეობის ბუნებრივმა და ეკონ. პირობებმა, ისე თვით უჯარმის ხელსაყრელმა გეოგრ. მდებარეობამ. კახეთ-კუხეთ-ჰერეთის შესაყართან მდებარე უჯარმა კონტროლს უწევდა ივრის ხეობის ბართან დამაკავშირებელ გზას, რ-ითაც მთიელებს (თიანეთი, ფშავი, ხევსურეთი) საქონელი საზაფხულო საძოვრებიდან ზამთრის საძოვრებზე და პირუკუ გადაჰყავდათ. ამ მაგისტრალზე ქალაქის არსებობა მეფეს საშუალებას აძლევდა გაეკონტროლებინა როგორც ბარი, ისე მთა და ორივეგან, თავისი პოლიტ. ბატონობისათვის, მტკიცე საფუძველი შეექმნა. მთის პოლიტ. დამორჩილება და ეკონ. ათვისება კი, ქართლის მეფეების ტრად. პოლიტიკა იყო.

უჯარმის გაქალაქებას და მის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებისათვის აქ არსებულმა, ხელსაყრელმა პირობებმა. უჯარმის საქალაქო მეურნეობისათვის სოფ. მეურნ. წარმოადგენდა იმ საფუძველს, რ-ზედაც იყო დამყარებული ქალაქის ეკონომიკა – ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. გარე კახეთი წარმოადგენდა მთიან მხარეს, უხვი საძოვრებით, სადაც მესაქონლეობის, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის განვითარებისათვის შესანიშნავი პირობები იყო. ქართლის სამეფოსათვის, რ-საც არ ჰქონდა ზამთრის საძოვრები, აუცილებელი იყო აღმ-ით გაფართოება. უკვე ძვ. წ. II-I საუკუნეებიდან ქართლის სამეფო მმართველობის პოლიტიკა, აღმ-ით მდებარე მხარეების პოლიტ.-კულტ. და ეკონ. შერწყმისაკენ იყო მიმართული. უჯარმა კონტროლს უწევდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზას, რ-იც ახლო აღმოსავლეთს, შიდა კახეთის გზით (გომბორის უღელტეხილით), მტკვრის აუზთან, კერძოდ, თბილისსა და მცხეთასთან აკავშირებდა.

უჯარმის ნაქალაქარი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ქ. უჯარმის ლოკალიზაციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ზოგიერთი მეცნიერი (შ. ამირანაშვილი, შ. მესხია) ფიქრობს, რომ ქ. უჯარმას წარმოადგენს სამეფო ციხე-დარბაზი და უძველესი ქალაქი განლაგებული უნდა ყოფილიყო ზედა ციხეში. სხვა მოსაზრების მიხედვით (დ. მუსხელიშვილი), ქ. უჯარმა განლაგებული უნდა ყოფილიყო ციხე-დარბაზის მახლობლად ან გარშემო, ანდა დღევანდელი სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე. კ. მელითაური ვარაუდობს, რომ ქალაქის ძირითადი ნაწილი უჯარმის ციხის ქვედა ციხე უნდა იყოს. სხვა მოსაზრებით (ბ. მჭედლიშვილი) ნაქალაქარი უნდა მდებარეობდეს კაწარეთის სამების ტაძრის მიდამოებში, რ-საც მოსახლეობა ნაქალაქარს უწოდებს.

ქართ. წერილობითი წყაროების მიხედვით, უჯარმა, როგორც ქალაქი, უკვე ახ. წ. III საუკუნის I ნახევრიდან არსებობდა. IV საუკუნიდან უჯარმა კახეთის საერისთავოს ცენტრი და ქართლის სამეფოში, მცხეთის შემდეგ, მეორე ქალაქია. ლეონტი მროველის მიხედვით, მირიან მეფემ თავის ძეს რევსა და მის ცოლს სალომეს, საუფლისწულოდ მისცა კახეთი და კუხეთი და დასვა ისინი უჯარმაში.

ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრების დროს, წმ. ნინოს მითითებით აღმართული სამი ჯვრიდან, ერთ-ერთი უჯარმაში აღმართეს.

IV-V საუკუნეებში, გარდა ეკონომიკურისა, აღმ. პროვინ-

ციების შემოერთებას პოლიტ. მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ამ დროს ირანის ექსპანსიის მოგერიება ქართლის მეფეთა „აღმოსავლური პოლიტიკის“ ძირითადი მიზანი გახდა. ამ პოლიტიკის განხორციელების ცენტრად უჯარმა იქცა. ამიტომ ვახტანგ გორგასალმა უჯარმა „ნაშენებითა უხომოთა“ გაამაგრა, ააშენა ციხე და დროებით აქ გადმოიტანა სამეფო რეზიდენცია. 502 წელს ბრძოლაში დაჭრილი მეფე აქვე გარდაიცვალა. უჯარმა ერთხანს დარჩა სამეფო რეზიდენციად, მაგრამ მალე, დაჩი ვახტანგის ძემ, მამის ანდერძის თანახმად, რეზიდენცია თბილისში გადაიტანა.

ერისმთავრობის ხანაში უჯარმას განაგებდნენ დაჩი ვახტანგის ძის ნათესავები, რ-ებიც ქართლის ერისმთავრებს ემორჩილებოდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში მკვიდრდება ფეოდ. სახელმწიფოებრიობა. ამ დროს კახეთის საერისთავოში კახეთი, კუხეთი და ჰერეთი შედის. რეზიდენცია კი უჯარმაშია.

VII საუკუნის შუა ხანებში ქართლს არაბები შემოესივნენ. პირველ ხანებში ამას არ გამოუწვევია ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დაქვეითება. VIII საუკუნის II ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. 735 წელს ქვეყანა ააოხრა არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ. არჩილ მეფე იძულებული გახდა სახელმწ. საგანძური უჯარმის მახლობლად გადაემალა.

ფეოდ. ურთიერთობის განვითარების პარალელურად და მასთან კავშირში დაიწყო ქ. უჯარმის მნიშვნელობის დაქვეითება და IX საუკუნის ბოლოსათვის უჯარმამ უკვე დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა.

უჯარმის მნიშვნელობის დაქვეითება განაპირობა მრავალმა მიზეზმა: ჰერეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, საზამთრო საძოვრების დიდი ნაწილი მის ფარგლებში მოექცა. ქართ. სამთავროების განუწყვეტელი ურთიერთდაპირისპირებისა და არაბთა შემოსევების პირობებში, გაძნელდა მათი გამოყენება. IX საუკუნეში ძველმა, სავაჭრო გზებმა ჩრდ-ისკენ გადაინაცვლა. მოიშალა უჯარმის ეკონ. ფუნქცია. ამასთან, უჯარმა თბილისის საამიროს პირისპირ აღმოჩნდა და ხშირი ბრძოლების გამო საჭირო გახდა ცენტრის გადატანა ჯერ ბოჭორმაში, მოგვიანებით კი თიანეთსა და თელავში. X საუკუნეში უჯარმა მცირე ციხედღა მოიხსენიება. X საუკუნეში არაბებმა უკანასკნელად სცადეს საქართველოს დამორჩილება. 914 წელს უჯარმის ციხე, რ-შიც 300 მეციხოვნე იყო გამაგრებული, ბრძოლით აიღო და დაანგრია არაბმა სარდალმა აბულ-კასიმმა.

საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლების დროს უჯარმა ხან გაერთიანებული საქართველოს მეფეების, ხან კახეთის ქორეპისკოპოსთა გამგებლობაში იყო. კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ს ძმამ – შურტამ უჯარმა გადასცა აფხაზთა (დას. საქართველოს) მეფე გიორგი II-ეს (922-957 წწ.). ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) განძის ამირა ფადლონის გადაცემის სანაცვლოდ, კახეთის მეფე აღსართან I-ს (1058-1084 წწ.) უჯარმა უბოძა.

XVIII საუკუნის ანონიმური ქართ. წყაროს „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, შაჰ-აბასს, 1614 წელს კახეთში ლაშქრობისას, უჯარმაც აუოხრებია.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XVII-XVIII საუკუნეებში უჯარმა დაბაა და აქ მამულების მნიშვნელოვან ნაწილს კახეთის ფეოდალები ჩოლოყაშვილები ფლობენ.

ერეკლე ბატონიშვილი (მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი), რ-იც კახეთში გამეფებას ცდილობდა, ებრძოდა ვახტანგ V-ეს და მის ვაჟს არჩილს. 1664 წელს მათ შორის, უჯარმასთან, მოხდა შეტაკება, რ-იც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.


მეფე ერეკლე II-ეს უჯარმის აღორძინება ქვეყნისათვის სასარგებლოდ მიუჩნევია და მისი აღდგენა დაუწყია.

გერმანელი მოგზაურის და მეცნიერის ედუარდ აიხვალდის ცნობით (საქართველოში იმოგზაურა 1825-26 წლებში), სოფ. უჯარმასთან არსებული წყაროებიდან ადგილ. მაცხოვრებლები მარილს მოიპოვებდნენ.

კ. კახაძე, ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 14; 157; 188; 224; 243; 245; 372.

230. აბელაანთ საძდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, სამიოდე *კმ*-ზე, ხშირი ტყით დაფარულ მთის ფერდობზე. განეკუთვნება, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.



230. გეგმა

ეკლ. მცირე ზომის, დარბაზული ტიპის სამლოცველოა (6,8x4,7 *მ*). ნაგებია ხსვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კუთხეების ამოსაყვანად მოზრდილი, მეტ-ნაკლებად შერჩეული ქვებია გამოყენებული. წყობა არაწესიერია. ძლიერ დაზიანებულია: ეკლესიის ოთხივე

230. ინტერიერი. ხედი აფსიდზე



კედელი დაახლ. 1,8-2,2 *მ* სიმაღლეზეა დგას.

ერთადერთი შესასვლელი (შემორჩენილია დას. წირთხლი) სამხრ-იდანაა. კარის ღიობი კვადრ. აგურით ყოფილა გამოყვანილი. როგორც შემორჩენილი



230. ხედი აღმ-იდან

ნაშთებით ირკვევა, იგი გარედან თაღით იყო დასრულებული, შიგნიდან კი თარაზული თავი ჰქონია.


აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდის გვერდებში თითო ოთხკუთხა ნიშაა, ღერძზე კი (დაახლ. 1,6 *მ* სიმაღლეზე) სარკმლის ძირის ნაწილია შემორჩენილი. სარკმელი, ისევე როგორც შესასვლელი, კვადრ. აგურით (22x21/22x4 *სმ*) ყოფილა გამოყვანილი. სარკმლის ქვემოთ ოთხწახნაგა ტრაპეზის ნაშთია, რ-იც კედელზეა მიყრდნობილი.

შენობის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა. შესასვლელი ჩასმული ყოფილა ორი მცირე საფეხურით შელრმავებულ არეში, რ-იც, ამ პერიოდის მრავალი ძეგლის მსგავსად, საკარაუდოდ, ხერხულა ფრიზით იქნებოდა დასრულებული.

თ. დგებაძე.

231. დათუნაანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, დაახლ. 500 *მ*-ზე, კურორტ „უჯარმისკენ“ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს., გზიდან ოცდაათიოდე *მ*-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (8,22x7,32 *მ*). საშენი მასალა ორგვარია: რიყის წვრილი ქვა და კვადრ. (22x22x4,5 *სმ*) აგური. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. არქიტ. ელემენტები და კონსტრ. ნაწილები გამოყვანილია აგურით. გარდა ამისა, აგური გა-



231. გეგმა

რეთა კუთხეების და, აქა-იქ, კედლების წყობაშიცაა გამოყენებული. კედლების ზედაპირი, შიგნიდან და გარედან, გასწორებულია კირის სქელი დუღაბით, რ-იც საპირე ქვების მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, გარეთა კედლებს ზედა ნაწილები და ლავგარდანი მონგრეული აქვს, დას. კედელი შუაში, მთელ სიმაღლეზე გახეთქილია, დაბზარულია გრძივი კედლები, ინტერიერში ყრია კამარის ნანგრევები.



231. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

შესასვლელი ორია: დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი შეისრულთაღოვანია. შიგნიდან ორივე ხის ძელებით, თარაზულად იყო გადახურული (შემორჩენილია ძელების კვალი).

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელია გრძივი კედლების აღმ. ნაწილში და დას. კედელში – შესასვლელის ზემოთ. აფსიდის გვერდებში თითო, ღრმა, გეგმით ნახევარწრიული, საშ. სიმაღლის ნიშაა. ორივე ნიშა რიყის ქვითაა ნაწყობი. მათგან ჩრდ-ისა ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, სამხრ-ისა კი შეისრულთაღოვანია. აფსიდი გადახურულია მთლიანად აგურით გამოყვანილი, წესიერი ფორმის კონქით (ცენტრ. ნაწილი ჩამონგრეულია).

გრძივი კედლების შუაში აგურით ნაწყობი, თითო შეკიდული პილასტრია, რ-ებზეც კა-



231. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

მარის საბჯენი თაღი იყო გადაყვანილი (შემორჩენილია თაღის ორივე ქუსლი). პილასტრები კაპიტელის გარეშეა. მათი წინა სიბრტყე, ჩვეულებისამებრ, ერთიანი კი არ არის, არამედ სამ ნაწილადაა დანაწევრებული, რ-ებიც ერთიმეორის მიმართ დაახლ. ათ-ათი *სმ*-ითაა წინ წამოწეული, რის გამოც პილასტრები ზემოთკენ თანდათან სქელდება. პილასტრები დას. კუთხეებშიცაა. ეს უკანასკნელები, შეკიდული პილასტრებისგან განსხვავებით, ძირითადად რიყის ქვითაა ნაწყობი. ორივე მთელ სიმაღლეზე ერთიანია და იატაკის დონიდან იწყება.

დარბაზის კამარისგან მხოლოდ გვერდებიღაა დარჩენილი. კამარა რიყის ქვითა და აგურითაა გამოყვანილი – ქვა თანაბარი ზომისაა და მოქცეულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებულ, ორრიგად ნაწყობი აგურით გამოყვანილ, თარაზულ ხოლებს შორის.

ინტერიერი შელესილი ყოფილა. ნალესობის ფრაგმენტები მხოლოდ აფსიდშია შემორჩენილი.



231. ექსტერიერი. აგურის წყობის იმიტაცია დას. შესასვლელის თაღის თავზე

ეკლესიის ფასადები სადაა. დას. ფასადის შუაში მაღალი, შეისრული თაღით დასრულებული, შელრმავებული არეა, რ-ის გვერდები და თაღი აგურითაა ნაწყობი. სიმაღლეში იგი ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ქვედა ნახევარი შესასვლელს უჭირავს, ზედა ნახევარი ყრუა და, ქვედასთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო ღრმაა. კარის ღიობი აგურითაა გამოყვანილი. თაღის ირგვლივ დარჩენილი არე კი აგურის ფიგურული წყობითაა შევსებული (თაღის და არის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილია). მხატვრული გამომსახველობის გაზრდის მიზნით, საკუთრივ თაღზე და მის ირგვლივ არსებულ არეზე, წითელი საღებავით, აგურის წყობის იმიტაციაა გამოსახული, რაც შეკიდული პილასტრების ფორმასთან ერთად, ეკლესიას ერთგვარ თავისებურებას ანიჭებს.


სამხრ. შესასვლელიც კედლის საფეხურით შელრმავებულ, შეისრულთაღოვან არეშია ჩასმული, რ-იც შესასვლელის ფორმას იმეორებს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 344.

232. დურგლიაანთ საძღარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასით, დაახლ. 1,2 *კმ*-ზე, კურორტ უჯარმასთან ახლოს (დას-ით, ორასიოდე *მ*-ზე). განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,6x5,4 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის (ძირითადად თხელი), ნატეხი ქვით და კირის ხსნარით. წყობაში (მეტწილად ინტერიერში), აქა-იქ, ლოდებიცაა ჩატანებული. კედლებში, ალაგ-ალაგ, როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც, თხელი, ირიბად დაწყობილი




232. გეგმა

ქვებით შედგენილი, მოკლე ზოლებია გამოყვანილი, რ-ებიც რაიმე მხატვრულ ამოცანას არ ემსახურება. წყობა ქაოსურია, ტლანქი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი და კედლების ზედა ნაწილები.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნით თარაზულად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია კვალი).

ეკლესიის დარბაზი იმდენად მოკლეა, რომ გეგმით თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 2,9 *მ*, სიგ. – 3,4 *მ*).



232. ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის შუაში მაღალი, განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის თაღი, თითქმის მთლიანად, კონქის ფარგლებშია მოქცეული. სარკმელი გარეთკენ ოდნავ ვიწროვდება და მკვეთრად დახრილი ძირი აქვს. ერთი თაღოვანი სარკმელი დას. კედელშიცაა. ეს უკანასკნელი კედლის ღერძიდან ოდნავ სამხრ-ითაა გადაადგილებული. აფსიდში,



232. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

სარკმლის ორივე მხარეს, თითო დაბალი, ოთკუთხა ნიშაა. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ დაახლ. 15 *სმ*-ითაა შემაღლებული. შუაში მას მოწყობილი ჰქონდა ამბიონი (შემორჩენილია ნაშთი), რ-იც აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 1 *მ*-ითაა წინ წამოწეული.

შიგნით ეკლ. გადახურულია თხელი, მოგრძო, ნატეხი ქვებით

გამოყვანილი კამარით, რ-იც ოდნავ დეფორმირებული ნახ-



232. ხედი სამხრ.-დას-იდან


ევარწრის ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კონქის თაღიც.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა.

თ. დვალი.

ბიბლ.: 344.

233. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ციხე-დარბაზის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 0,5 *კმ*-ზე, მდ. ივრის




233. გეგმა

მარჯვ. ნაპირას, ტყიანი მთის კონცხზე. ეკლესიის აღმ-ით და ჩრდ-ით, ივრის ჭალებისკენ მკვეთრი, ტყიანი ფერდობები ეშვება, დას-ით კი (ნაწილობრივ სამხრ-ითაც), რელიეფი სწორია.


ეკლ. ორნავიანია (9,1x6,9 *მ*). შენობის აღმ. ნაწილში, როგორც სტრუქტურულად, ისე საშენი მასალის სახეობით და წყობის ხარისხით, აშკარადაა გამიჯნული ორი ძირითადი სამშენ. ფენა. თავდაპირველი ფენა, რ-იც, სავარაუდოდ, ადრინდ. შუა საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს, არსებითად მხოლოდ აღმ. კედელს შემორჩა – დაახლ. 2,5-3 *მ* სიმაღლის მონაკვეთი (დანარჩენი კედლებიდან, მიწის ზემოთ, ამ ფენის მცირე ნაწილი სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ბოლოებშიც შეიმჩნევა). იგი გამოყვანილია წესიერი მოყვანილობის, ერთმანეთს კარგად მორგებული, ქვიშაქვის ქვების სწორხაზოვანი რიგებით, რ-საც სამეცნ. ლიტერატურაში პირობითად „უჯარმულ წყობას“ უწოდებენ. კედლის დანარჩენი ნაწილი სრულიად დაუმუშავებელი, შემთხვევითი ფორმის, ნატეხი ქვიშაქვის ირეგულარული წყობითაა ნაგები, რ-იც სიმაღლეში სხვადასხვა პერიოდის, ორ მონაკვეთად იყოფა. ქვედა ნაწილი (სიმ. – დაახლ. 2 *მ*) მომრგვალებულია და თითქმის საკურთხევლის შიდა მოხაზულობას იმეორებს, ზედა, გვიანდ. ნაწილი კი ბრტყელია. ნაწილებს შორის ფორმათა სხვადასხვაობის გამო, კედლის ზედა ნაწილის ჩრდ. კუთხე, ქვედას მიმართ, დაახლ. 1 *მ*-ითაა გადმოშვერილი (კედლის სამხრ. ნაწილი მონგრეულია და მისი გადაწყვეტა არ ჩანს).

ეკლესიის ამჟამინდელი გეგმა ორიგინალური არ არის. შემორჩენილი ნაწილების მიხე-



233. განივი ჭრილი. ხედი დას.-კენ

დვით ჩანს, რომ თავდაპირველად აქ მდგარა, გეგმით სწორკუთხა, მოზრდილი ზომის (სიგ. – 6,9 *მ*, სიგრ. – გათხრა-გასუფთავების გარეშე არ დგინდება), ნალისებრაფსიდიანი, დარბაზული ეკლ., რ-იც დანგრეულა და მოგვიანებით (სავარაუდოდ, განვით. შუა საუკუნეებში) აღუდგენიათ, მაგრამ არა პირვანდელი სახით. სიგრძეში ეკლ. რამდენადმე დაუმოკლებიათ, ინტერიერის სამხრ. ნახევარში, მთელ სიგრძეზე (აფსიდის ჩათვლით), ჩაუშენებიათ სამი თაღოვანი მალ-



233. ჭრილი ჩრდ. ნავზე. ხედი სამხრ.-კენ

ით გახსნილი კედელი და შიდა სივრცე ორ ნავად გაუყვიათ. მათ შორის ჩრდ-ისა, თითქმის ორნახევარჯერ უფრო განიერია, ვიდრე სამხრ-ისა. გარდა ამისა,

ჩრდ. ნავი სამხრ. ნავთან შედარებით, გაცილებით მაღალიცაა და ორკალთა სახურავითაა



233. ინტერიერი. ჩრდ. ნავი. ხედი სამხრ.-დას.-კენ

დასრულებული. სამხრ. ნავის სახურავი კი – ცალკალთაა.

ეკლ. მოგვიანებით (როგორც ჩანს გვიანდ. შუა საუკუნეებში) შეუკეთებიათ. ამ დროსაა აღდგენილი ჩრდ.-დას. კუთხე და დას. ფასადის ჩრდ. ნაწილი. ამჟამად დას. ფასადს, არსებული და აღდგენილი ნაწილების საზღვარზე, მთელ სიმაღლეზე, ფართო ბზარი აუყვება.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: თავდაპირველი ნაგებობის კედლების უმეტესი ნაწილი მიწითაა დაფარული. ჩამოშლილია ორივე ნავის სახურავის საფარი და ალაგ-ალაგ – კამარებიც. მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები. თითქმის მთლიანად არის ჩამოშლილი სამხრ. ნავის სამხრ. კედლის საპირე წყობა. დას. და ჩრდ. ფასადები, დაახლ. 1,2 *მ* სიმაღლეზე, მიწითაა დაფარული. ინტერიერში იატაკის დონე მნიშვნელოვნადაა აწეული.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. სამხრ. კარს გარეთა გადახურვა ჩამოშლილი აქვს. შიგნიდან კი, როგორც ეს კედლის შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, თარაზულად იყო გადახურული. დას. კარი ორივე მხრიდან ოთხკუთხაა. გარედან იგი თხელი, არაწესიერი ფორმის, ქვიშაქვის მთლიანი ქვითაა გადახურული. შიგნიდან კი – ხის ძელებით.

აღმ. ფასადის გარდა, შენობის ნაწილების ქრონოლოგია აფსიდშიცაა გამოხატული. აფსიდის კედელი, მხრებთან ერთად, დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე, თავდაპირველ ფენას ეკუთვნის, ზედა ნაწილი კი გვიანდელია. ამ ნაწილშია გაჭრილი დაბალი, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი, რ-იც ბრტყლადაა გადახურული და ოდნავ დაქანებული ძირი აქვს. სარკმლის ჩრდ-ით მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა, რ-იც ასევე გვიანდ. ნაწილშია მოქცეული. აფსიდი გადახურულია ძლიერ



233. ინტერიერი. სამხრ. ნავი. ხედი აღმ-კენ

დადაბლებული პროპორციების კონქით, რ-ის თაღი თითქმის სამკუთხა ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ჩრდ. ნავს კიდევ სამი, ბრტყლად გადახურული სარკმელი აშუქებს. მათგან ერთი – დას. კედლის შუაშია გაჭრილი, ორი – სამხრ. კედელში, რ-ებიც სამხრ. ნავის სახურავის თავზე გადის. ნავის ჩრდ. და დას. კედლებს სამოციოდე *სმ*-ის სიმაღლის ხარისხი გაუყვება. ნავის დას. ნახევარში მოზრდილი ქვევრია ჩაფლული (გამოჩნდა ნავის ჩრდ. ნაწილის ნაწილობრივი გასუფთავების შედეგად).

ნავების დამაკავშირებელი თაღები სამ ოთხკუთხა ბურჯზეა გადაყვანილი, რ-თა შორის დას-ისა შესაბამის კედელზეა მიყრდნობილი, აღმ-ისა კი კედლიდან დაახლ. 1,5 *მ* მანძილზეა. თაღები ნახევარწრიული ფორმისაა. მათ ქუსლებთან გამოყოფილია ქვიშაქვის დაბალი, მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) მქონე იმპოსტები. აღმ. თაღი, დანარჩენ თაღებთან შედარებით, ოდნავ უფრო განიერია და მაღალი. ამ თაღის მეშვეობით სამხრ. ნავიდან ჩრდ. ნავის აფსიდში ვხვდებით. თვით თაღის დას. ქუსლი ნავების გამყოფ ბურჯზეა დაყრდნობილი, აღმ. ქუსლი კი აფსიდის კედელს ერწყმის.

სამხრ. ნავი ორ ნაწილადაა გაყოფილი, რ-თა შორის აღმ-ისა რამდენადმე ვიწროა და ოდნავ



233. დას. ფასადი. შესასვლელი

უფრო დაბალი. მათ შორის საზღვარი თავდაპირველი ეკლესიის აფსიდის მხრების ხაზზე გადის. ორივე ნაწილი გადახურულია ცალ-ცალკე კამარით. აღმ. ნაწილის კამარა, დას. ნაწილის კამარისგან გამოყოფილია ნახევარწრიული თაღით, რ-ის ერთი ბოლო თავდაპირველი ეკლესიის სამხრ. მხარზეა დაყრდნობილი, ხოლო მეორე – ნავების გამყოფ კედელზე. ამავე კედელზეა დაყრდნობილი ნავის დას. მონაკვეთის კამარაც,

ოღონდ მისი ქუსლი, დაახლ. 20 *სმ*-ით, კედლის სიღრმეშია შეჭრილი. ამის გამო, კამარის ქუსლის დონეზე, მთელ სიგრძეზე, საფეხურია შექმნილი.



233. დას. ფასადის ჩრდ. ნაწილი

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა, მოკლებულია დეკორ. სამკაულს. ჩრდ. ფასადის ქვედა ნაწილში, კარგად მოჩანს თავდაპირველი ეკლესიის შესაბამისი



233. დას. ფასადი. სარკმელი


კედლის მცირე ნაწილი, რ-იც მასზე დაშენებულ კედელთან სხვა სიბრტყეშია. ამავე ფასადის აღმ. ნაწილში, შემორჩენილია წყობიდან გადმოშვერილი ქვიშაქვის ერთი თხელი ქვა (ლავგარდნის ნაწილი?).

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ზედაპირულად ფიქსირდება ნასახლარების კვალი. ძ. საინტერესოა როგორც არქიტ., ისე არქეოლ. თვალსაზრისითაც. ხუროთმოძღვრული ნიშნებით ეკლესიის თავდაპირველი ფენა, სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასლის ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს (V საუკუნის II ნახევარი). შესაძლოა იგი ეკუთვნოდეს იმ ეკლესიას, რ-იც მატიანეს მიხედვით მეფე ვახტანგის ერთ-ერთ მოწოდებაშია ნახსენები. მატიანეს მიხედვით, საქართველოში სპარსეთის ლაშქრის შემოჭრის დროს, მეფე კათალიკოს პეტრეს ასე მიმართავს – „დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელ არს პალატსა შინა უჯარმოსასა რომელი აღმიშენებია“. ე. ი. სასახლის, ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე. კ. მელითაური, ქართლის ცხოვრების მარიამისეულ ნუსხაზე დაყრდნობით, რ-შიც პალატის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა – „რაბატასა“ (რაც ქალაქის გარეუბანს ნიშნავს), ფიქრობს, რომ „უჯარმის ვაკესა და ფერდობებზე გაშლილ ჩრდილოეთის ნაწილს“ რაბატი ეწოდებოდა.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილი კვალის მიხედვით ჩანს, რომ მდინარის ეს ნაპირი ადრე დასახლებული ყოფილა. გამორიცხული არ არის, რომ იგი ქალაქის ერთ-ერთ გარეუბნადაც ითვლებოდა.

თ. დვალი.


234. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ციხე-დარბაზის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 1,8 *კმ*-ზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას, ტყიანი



234. გეგმა


მთის ციცაბო კალთაზე. სავარაუდოდ, თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. კლდის გამოშვერილ ნაწილზე დგას ისე, რომ მისი სამხრ. მხარე ფერდობშია შეჭრილი, ჩრდ. მხარე კი, ფერდობისკენაა მიმართული. ერთადერთი შესასვლელი სწორედ ამ მხრიდანაა, მიწიდან დაახლ. 1,2 *მ* სიმაღლეზე.



234. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ


ეკლ. დარბაზულია (გარეთა ზომები: სიგრ. – 7,8 *მ*, სიგ. – 5,2 *მ*). ჩრდ. მხრიდან მას ეკვრის თანადროული, მომცრო (გარეთა ზომები: სიგრ. – 4,2 *მ*, სიგ. 2,3 *მ*), ორსართულიანი ნაგებობა, რ-ის ერთ-ერთ კედელს ეკლესიის ჩრდ. კედელი წარ-



234. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

მოადგენს. ეკლესიის საშენ მასალად მოზრდილი ზომის, სრულიად დაუმუშავებელი, ნატეხი ქვაა გამოყენებული. ქვები შემთხვევითი ფორმისაა. ისინი ზომისა და ფორმის მიხედვით არ არის შერჩეული, რის გამოც წყობა ქაოსურია. წყობაში, ალაგ-ალაგ, საკმაოდ დიდი, თხელი ქვებიცაა ჩართუ-

ლი, რ-ებიც ზედაპირით ფასადის მხარეს არის მიქცეული. შიგნითა კედლების საპირე



234. მინაშენი. მეორე სართულის გეგმა

წყობა თითქმის იმდაგვარივეა, აფსიდის კუთხეები კი, რიყის ქვითაა გამოყვანილი. კონსტრ. ნაწილებში გამოყენებულია თხელი, მოგრძო ქვები. იგი-

ეკლესიის შესასვლელიგაჭრილია ჩრდ. კედლის დას. კიდეში ისე, რომ მისი დას. წირთხლი დას. კედელთან ერთ სიბრტყეშია. კარი გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნიდან გადახურვა და მის თავზე არსებული წყობის ორი რიგი ჩამოშლილია. როგორც შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, იგი თარაზულად ყოფილა გადახურული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, დაბალი, ოთხკუთხა სარკმლით შუაში და მცირე, ოთხკუთხა ნიშით ჩრდ. გვერდში. სარკმლის თავი კონქის ქუსლის დონეზეა. საკუთრივ კონქი დადაბლებული პროპორციებისაა. იგი კამარისგან კვერცხისებრი თაღითაა გამოყოფილი. მსგავსი ფორმისაა



234. ეკლესიის ინტერიერი. ხედი დას-კენ

ვე საშენი მასალითაა ნაგები მინაშენიც.


ძ. ძლიერ დაზიანებულია: აყრილია ეკლესიის სახურავის საფარი, სახურავის სამხრ. კალთაზე დაყრილია ფერდობიდან ჩამოზვავებული მიწა და ზედ ხეებია ამოსული, კამარა რამდენიმე ადგილას გახვრეტილია, დარღვეულია იატაკის დონე, თითქმის მთლიანადაა ჩამოშლილი ორივე ფრონტონი, ჩრდ. მინაშენი სართულნახევრის სიმაღლეზეღაა შემორჩენილი.

კამარაც. აფსიდს და დანარჩენ კედლებს, მთელ სიგრძეზე, ხარისხი გაუყვება.



234. მინაშენის I სართულის ინტერიერი. დას. კედელი. ნიშა

ეკლესიის დარბაზი თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 3,9 *მ*, სიგ. – 3,6 *მ*). დას. კედლის ზედა ნაწილში მაღალი, ბრტყლად გადახურული სარკმელია, ჩრდ. კედელში კი, იატაკიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, ოთხკუთხა ხვრელი, რ-იც ჩრდ-იდან



234. ეკლესიის სამხრ. ფასადი. შესასვლელი

მიშენებული ნაგებობის მეორე სართულში გადის.

გარედან, აღმ. კედლის სამხრ. ნახევარს კლდე წარმოადგენს. ჩრდ. კედელზე, შემორჩენილია თაროსებრი ლავგარდნის ნაწილი – კედლის სიბრტყის მიმართ ოდნავ გადმოშვერილი, რამდენიმე თხელი ქვა.

ჩრდ-იდან მიშენებული ნაგებობა, როგორც ჩანს, ბერის საცხოვრებელს წარმოადგენდა. შესასვლელი მას ჩრდ-იდან აქვს – პირველი სართულის დონეზე. კარი, ეკლესიის მსგავსად, ჩრდ. კედლის დას. კიდეშია გაჭრილი. იგი იმდენად მცირე ზომისაა (სიგ. – 50 *სმ*, სიმაღლე – 70 *სმ*), რომ მასში შესვლა მხოლოდ ხოხვითაა შესაძლებელი. პირველი სართული (ფართ. – 4 *კვ მ*-მდეა) გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის ღერძი ეკლესიის ჩრდ. კედლის პერპენდიკულარულია. სართუ-

ლის აღმ. და დას. კედლებში თითო ოთხკუთხა ნიშაა. დას. ნიშა სიმაღლეში ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი. ქვედა



234. სამხრ. მინაშენი. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ნახევარი, ვიწროა. ზედა – განიერი. ჩრდ. კედელში მცირე ზომის, ოთხკუთხა სარკმელია (წირთხლების დიდი ნაწილი აკლია), რ-ის ქვემოთ, ოცდაათიოდე *სმ*-ზე, კედლიდან გამოშვერილი, თხელი ქვის თაროა. სამხრ.-აღმ. კუთხეში კი – ქვით ნაგები, კვადრ. მაგიდა. კამარის დას. გვერდში ხვრელია (სიგ. დაახლ. – 70 *სმ*), რ-იც ნაგებობის მეორე სართულზე ადის. შენობის მეორე სართულის კედლები (შემორჩენილია 1,3-1,5 *მ* სიმაღლეზე), პირველი სართულის კედლებთან შედარებით, რამდენადმე თხელია, რის ხარჯზეც მეორე სართულის ფართობი, პირველთან შედარებით, ოდნავ უფრო მეტია. სართულის აღმ. და ჩრდ. კედლების შუაში ღიობის კვალია შემორჩენილი. შესაძლოა ღიობი მოწყობილი იყო დას. კედლის შუაშიც (კედელი ამ ადგილას დანგრეულია). თუ როგორ იყო გადახურული სართული არ ჩანს.

თ. დვალი.

235. ეკლესია, „კახელებისეკლესია“, არქიტ. ძ. მდებარეობს ციხე-დარბაზის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 0,5 *კმ*-ზე, თბილისი-თელავის საავტ. გზის მარცხ. მხარეს, ტყიანი მთის აღმ. კალთაზე. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.


ეკლ. დარბაზული ტიპისაა (6,25x4,65 *მ*), ნახევარწრიული აფსიდით აღმ-ით და ერთადერთი შესასვლელით სამხრ-იდან. ეკლესიას ჩრდ-იდან ეკვრის თანადროული, სწორკუთხა გეგმის (გარეთა ზომები: სიგრ. – 3,8 *მ*, სიგ. – 3,1*მ*), ნაგებობა, რ-საც ეკლ. აფსიდის ჩრდ. გვერდში გაჭრილი გასასვლელით უკავშირდება. ეკლესიისა და ნაგებობის კედლები ერთმანეთს წყობით არ უკავშირდება.

ეკლესიაც და მინაშენიც ერთგვარი საშენი მასალით – სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით და კირის დუღაბითაა ნაგები. წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩატანებულია საკმაოდ მოზრდილი ქვები, რ-ებიც ფეხზეა დაყენებული და ზედაპირით ფასადის მხარეს არის მიქცეული. წყობა ირეგულარულია.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანადაა ჩამონგრეული ეკლესიის გადახურვა, დანგრეულია აფსიდის და გრძივი კედლების ზედა ნაწილები, მონგრეულია სამხრ. კედლის დას. ბოლო, დას. კედელი შვეული მდგომარეობიდან დაძრულია და დას-ითაა გადახრილი, ინტერიერი, დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზე, ამოვსებულია ჩამონაშალი ქვებითა და მიწით; მინაშენიდან მხოლოდ სამხრ. კედელიღა დგას (სიმ. – 1,2 *მ*). დანარჩენი კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი კი, თითქმის მიწის პირამდეა დანგრეული.

ეკლესიის შესასვლელიდან მხოლოდ აღმ. წირთხლის ნაწილიღაა შემორჩენილი. დარბაზი გეგმით თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 2, 9 *მ*, სიგ. – 3, 1 *მ*). აფსიდის ღერძზე სარკმელია გაჭრილი, რ-საც ზედა ნაწილი ჩამოშლილი აქვს. აფსიდის სამხრ. გვერდში მცირე ზომის კვადრ. ნიშაა, მის ზემოთ კი – ოთხკუთხა, სათოფურის მსგავსი ღიობი. მინაშენში გასასვლელი ვიწროა (სიგრ. – 1,50 *მ*, სიგ. – 0,55 *მ*). გადახურვა მას ჩამოშლილი აქვს. ჩრდ. კედლის დას. ნახევარში მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა. დას, კედლის შუაში კი – მცირე ზომის, ოთხკუთხა სარკმელი.

მინაშენი, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. იგი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოზეა მიდგმული ისე, რომ მისი დიდი ნაწილი ეკლესიის აღმ. კედლის ხაზს გარეთაა გასული (დაახლ. 2 *მ*-ით). მინაშენის შესასვლელი სამხრ. კედლის დას. კიდეშია მოწყობილი. კარის აღმ. წირთხლი მოგვიანებითაა განახლებული. მის წყობაში აგურის რამდენიმე ნატეხია ჩართული. აღმ. კედლის შუაში სარკმლის ძირის ნაშთია, სამხრ. კედელზე კი მოხატულობის ფრაგმენტი.




235. გეგმა

ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით, ასიოდე *მ*-ზე, ნაგებობის კვალია, რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ზედაპირულად აიკრიფა აგურის ნატეხები და წყალსადენის კერამ. მილების ფრაგმენტები.

თ. დვალი.

236. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ. განაპირას, თავმოსწორებულ ბორცვზე. ძ. სხვადასხვა პერიოდის, თითქმის თანაბარი

ზომის, ორი დარბაზული ეკლესიისგან შედგება, რ-ებიც ერთმანეთზე გრძივი კედლებითაა მიერდნობილი. მათგან სამხრით მდებარე, შედარებით უფრო ადრინდელია და სავარაუდოდ, განვით. შუა საუკუნეებით თარიღდება. ჩრდ-ით მდგარი კი – გვიანდ. შუა საუკუნე-




236. გეგმა

ბით. სამხრ-ით მდგარი ეკლესიის ქვეშ კამაროვანი სათავსია (სამალავი?) მოწყობილი, რ-ის კედლების ნაწილი მიწის ზემოთაა. ამის გამო, ეკლესიის იატაკი მიწის დონიდან დაახლ. 1 მ-ის სიმაღლეზეა. ეკლესიაში ასასვლელად კი, შესასვლელის წინ, როგორც ჩანს, ხის კიბე იყო მოწყობილი (ამჟამად ეკლესიაში ასასვლელად 1990-იანი წლების II ნახევარში მოწყობილი ლითონის კიბით სარგებლობენ).

ორივე ნაგებობა ქვიშაქვის სრულიად დაუმუშავებელი ნატეხი ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები. გარეთა კუთხეები ამოყვანილია ოდნავ მოზრდილი, შედარებით წესიერი ფორმის ქვებით. ჩრდ-ით მდგარ ეკლესიაში, არქიტ. ელემენტების წყობაში, ქვიშაქვასთან ერთად, კვადრ. აგურიცაა გამოყენებული. ორივე ეკლესიის ფასადები გასწორებულია წმინდა დუღაბით, რ-იც ქვებს შორის არსებულ არეებს ავსებს და წვრილი ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

სამხრ-ით მდგარ ეკლესიაში (5,8x3,3 მ) შესასვლელი სამხრიდანაა (გადახურვა აღდგენილია. იგი ფიცრისაა). აღმ-ით ოდნავ ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, გარეთკენ შევიწროებული სარკმელია გაჭრილი. სარკმელი შიგნიდან ბრტყელი თაღითაა გადახურული, გარედან კი ოთხკუთხაა. სარკმლის რაფა, ჩვეულებისამებრ, ბრტყელი კი არ არის, არამედ ღარისებრია. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდი კონქითაა გადახურული (ნაწილი აღდგენილია ბეტონით), ხოლო დარბაზი – არაწესიერი ფორმის, ტლანქად სხმული კამარით, რ-იც თითქმის მთლიანად ბეტონისაა. მასში კრამიტის ნატეხები და რიყის ქვაცაა შერეული. დარბაზის გრძივ კედლებს მცირე სიმაღლის, უსწორმასწორო ხარისხი გაუყვება. დას. კედელთან, დაახლ. 70 სმ დიამეტრის მქონე ხვრელია, რ-ის



236. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

მეშვეობით ეკლესიის ქვემოთ მოწყობილ წყალსაცავში (სიღრმე – 3 მ) ვხვდებით. მასში წყალი ჩაედინებოდა ეკლესიის დას. კედელში, მიწის დონიდან სამოციოდე სმ-ის სიმაღლეზე არსებული, პატარა, მომრგვალო (დიამ. დაახლ. 10 სმ) ხვრელიდან.

ჩრდ-ით მდგარ ეკლესიას (6,0x3,6 მ) შესასვლელი დასიდან აქვს, რ-იც ღერძიდან ოდნავ სამხრ-ითაა გადაადგილებული. კარი გარედან აგურით ნაწყობი, ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. შიგნიდან კი – ფიცრით. აფსიდი ოდნავ გაბრტყელებული ნახევარწრის ფორმისაა. აფსიდში გაჭრილია ოთხკუთხა, ბრტყლად გადახურული სარკმელი, რ-იც გარეთკენ მკვეთრად ვიწროვდება და თითქმის თარაზული ძირი აქვს. აფსიდის გვერდებში სხვადასხვა ზომის, თითო ოთხკუთხა ნიშაა, რ-თა შორის ჩრდ-ისა თითქმის ოთხჯერ უფრო დიდია. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ, დგას მოზრდილი ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიერდნობილი. დარბაზის სამივე კედელი ყრუა. სამივეს დაახლ.



236. აღმ. ფასადი

30 სმ სიმაღლის ხარისხი გაუყვება. აფსიდი ტლანქად სხმული, უსწორმასწორო კონქითაა გადახურული. უსწორმასწორო ზედაპირი აქვს კედლებსაც. კონქის თაღი კვერცხისებრი ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. იგი ნატეხი, თხელი, ქვებითაა გამოყვანილი და შელესილია. იატაკი (განახლებულია) თითქმის მთლიანად თანამედროვე აგურითაა მოგებული – საკმაოდ დაუდევრად. გამოყენებულია ბაზალტის ფილებიც.

გარედან ორივე ეკლესიის კედლები სადაა, მოკლებულია დეკორატ. სამკაულს.

ჩრდ-ით მდგარი ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის ღიობის გვერდები სხვადასხვა სიგრძის მქონე აგურითაა (სისქე – 4-4,5 სმ) ნაწყობი.



236. ხედი სამხრ.-დას-იდან

1990-იანი წლების მეორე ნახევარში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად, თავდაპირველი ფორმების გაუთვალისწინებლად, დაუდევრად აღუდგენია, რის გამოც ნაგებობამ ბევრი საყურადღებო დეტალი დაკარგა.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საფლავის ქვებია. ეკლესიის აღმ-ით, ოციოდე *მ*-ზე, ნახევარწრიული კონტრფორსით გამაგრებული გალავნის ნაშთია (სიგრ. – დაახლ. 45 *მ*, სიმ. – 1,5 *მ*). გალავნის გარეთ, აღმ-ით, ათიოდე *მ*-ზე, შეიმჩნევა კედლის კვალი.

თ. დვალი.

ბიბლ.: 196; 197; 344.

237. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს ციხე-დარბაზის დას-ით, ასიოდე *მ*-ზე, თბილისი-თელავის საავტ. გზის მარცხ. მხარეს. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

შენობა თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, შენობის გეგმარებისა და დანიშნულების გარკვევა – გათხრა-გასუფთავების გარეშე – არ ხერხდება.


ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა და სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (ზომები გარედან: სიგრ. – 7,8 *მ*, სიგ. – 4,3 *მ*). შემორჩენილია: დას. და ჩრდ. კედლები (მთელ სიგრძეზე), აღმ. კედლის ჩრდ. ბოლო და სამხრ. კედლის დას. ნახევარი (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. – 1,5 *მ*). საშენ მასალად წვრილი, ნატეხი ქვა და კირის დუღაბია გამოყენებული. წყობა არაწესიერია. სამხრ. კედლის (სისქე – 1,6 *მ*, დანარჩენი კედლების სისქე – 0,65 *მ*) შემორჩენილი ნაწილის წინა მხარე კვადრ. აგურითაა (22x22x5/6 *სმ*) გამოყვანილი და რკალისებრადაა შეზნექილი.

თ. დვალი.

238. ნაგებობა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას-ით, დაახლ. 2 *კმ*-ზე, ფიდნის ეკლესიისკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ბლებად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა (სიგ. – 6,4 *მ*, სიგრ. არ დგინდება), რ-ის გრძივი ღერძი სამხრ.-ჩრდ-ითაა მიმართული. თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია: ჩრდ. კედელი (მთელ სიგრძეზე), აღმ. კედლის ჩრდ. ბოლო და დას. კედლის ფრაგმენტები (შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 1,2 *მ*-ია). სამხრ. კედელი და აღმ. კედლის დანარჩენი ნაწილი მიწის პირამდეა დანგრეული. ისე, რომ მათი კვალიც კი აღარ იკითხება.

შემორჩენილი კედლები საშ. ზომის, რიყის ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები. შიგნით, ჩრდ. კედლის გაყოლებით, კედლიდან 1,6 *მ*-ზე, მოჩანს საყრდენი კედლის (საწნახლის კედელი?) კვალი. ჩრდ. კედლის დას. კიდესთან მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.



238. გეგმა


თ. დვალი.

239. ნაგებობა, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, ხუთიოდე *კმ*-ზე, დიდცხვირის ჭალაში, ნინიკელაანთ საყდრის დას-ით, სამოციოდე *მ*-ზე. სავარაუდოდ თარიღდება XVIII საუკუნით.

შენობა გეგმით ოთხკუთხაა (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 14 *მ*, სიგ. – 9 *მ*), დგას სწორ ადგილზე და რამდენადმე სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული. ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია: სამხრ. კედელი – თითქმის მთელ სიმაღლეზე, აღმ. კედლის ფრაგმენტები (მთელ სიგრძეზე) და დას. კედლის სამხრ. ბოლო. დანარჩენი კედლები მიწითა და მცენარეულობით ისეა დაფარული, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე, ნაგებობის გეგმის და დანიშნულების დადგენა არ ხერხდება.

შენობის შემორჩენილი კედლები წვრილი რიყის ქვითაა

ნაგები (კედლების საშ. სისქე 80 *სმ*-ია). არქიტ. ელემენ-



239. გეგმა

ტების წყობაში გამოყენებულია კვადრ. აგური. სამხრ. კედელში, ერთ დონეზე, ოთხი მოზრდილი,



239. ინტერიერი. სამხრ. კედელი

შეისრულთაღოვანი ნიშაა განლაგებული. ამავე კედლის ღერძზე, ზედა ნაწილში, განიერი, თაღოვანი სარკმელია.


ნაგებობის ჩრდ-ით, 30-35 *მ*-ზე, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის ნანგრევია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 344.

240. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ (ჩრდ.-დას. განაპირას), სასაფლაოზე. განეკუთვნება სავარაუდოდ გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (5,3x4,1 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. გარეთა კე-



240. გეგმა

დლების წყობაში (ძირითადად კუთხეებში) შედარებით მოზრდილი ქვაა გამოყენებული. ალაგ-ალაგ ჩართულია ლოდებიც. კონსტრ. ნაწილები (კამარა, კონქი) და კარ-სარკმლების თაღები აგურისაა. წყობა ირეგულარულია, ტლანქი.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი შეისრული თაღითაა დასრულებული, რ-იც შეკიდულ პილასტრებს ეყრდნობა. თაღიც და პილასტრებიც აგურისაა. ისინი კედლის სიბრტყის მიმართ ოციოდე *სმ*-ითაა შეწეული. შიგნიდან შესასვლელი ოდნავ დამუშავებული ლოდით, თარაზულადაა გადახურული.

ეკლესიის დარბაზი თითქმის კვადრატულია. აღმ-ით მას ერთვის ნახევარწრიული

240. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



აფსიდი, რ-ის ღერძზე შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც. აფსიდის ორივე გვერდში, კვერცხის მოყვანილობის, მცირე ზომის, თითო თიხის ჭურჭელია ჩატანებული. სარკმლის ქვემოთ კი, მთლიანი ქვის, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. აფსიდის მხრების ხაზზე შემორჩენილია კანკელის ნაშთი.

შიგნით ეკლ. შეისრული კამარითაა გადახურული. მსგავსი ფორმისაა აფსიდის თაღიც.

გარედან, ეკლესიის შესასვლელის თაღის ზემოთ, შემორჩენილია აგურის ფიგურული წყობის ნაწილი. თუ როგორ იყო დასრულებული შესასვლელის თავზე არსებული არე, დაზიანების გამო არ ჩანს.

1998 წელს აღგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად, დაუდევრად გაურემონტებია. ამ დროს აღუდგენიათ კედლების ზედა ნაწილები, ოღონდ ლავგარდნის გარეშე, გარეთა კედლების ზედაპირის გასწორების მიზნით, ფასადების დიდი ნაწილი კირის დუღაბით შეუთითხნიათ და ეკლ. ღარისებრი კრამიტით დაუბურავთ.


თ. დვალი.

241. ნინოკელაანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასით, ხუთიოდე *კმ*-ზე, დიდცხვირის ჭალაში, სასახლეებად წოდებულ ადგილზე. თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (9,1x5,9 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით და კვადრ. აგურით. კედლები, ძირითადად, რიყის ქვითაა ამოყვანილი (აქაიქ ლოდებიცაა ჩაყოლებული). კონსტრ. ნაწილები (კამარა, კონქი, საბჯენი თაღები) და არქიტ. ელემენტები აგურისაა. გარდა ამისა, აგური კედლების წყობაშიცაა ნახმარი, რ-ითაც როგორც შიგნიდან ისე გარედან, ალაგ-ალაგ, თარაზულად გამავალი რიგებია გამოყვანი-

ლი. ისინი კედლებს, მეტწილად, მთელ სიგრძეზე არ გაუყვება.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: დაზიანებების ხასიათიდან გა-



241. გეგმა

მომდინარე, გარეთა კედლების საპირე წყობის დიდი ნაწილი, საგარაუდოდ, ხელოვნურადაა შემოძარცული და საშენ. მასალად არის გაზიდული; ჩამოშლილია სახურავის საფარი, განგრეულია სამხრ. კედელი, ალაგ-ალაგ კედლები დაბზარულია, სახურავზე ხეებია ამოსული.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და ჩრდ-იდან. ჩრდ. შესასვლელიდან მხოლოდ შიგნითა გვერდების ქვედა ნაწილია დარჩენილი. დას. შესასვლელს კი მხოლოდ გარეთა გადახურვა აკლია. შიგნიდან იგი ხის ძელებით, თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია განიერი, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული სარკმელი. იგი შიგნიდან კილისებრი, ხოლო გარედან შეისრული თაღითაა გადახურული, რ-თა წვერები თითქმის ერთ დონეზეა. მსგავსი სარკმელია დას. კედელშიც. ეს უკანასკნელი იმდენად მაღლაა „ატანილი“, რომ თითქმის კამარაზეა მიბჯენილი. აფსიდის გვერდებში, ერთმანეთის პირდაპირ, თითო ოთხკუთხა ნიშაა. ნიშები შედარებით დაბლაა განლაგებული. მათგან ჩრდ-ისა იატაკის დონეზეა, სამხრ-ისა კი იატაკიდან ორმოციოდე *სმ*-ის სიმაღლეზეა. კონქი წესიერი ფორმისაა. მისი თაღი კილისებრი ფორმისაა და აფსიდის მხრებს პირდაპირ, იმპოსტების გარეშე ეყრდნობა. მსგავსი ფორმისაა კამარაც. კონქის თაღის გარდა, იგი ეყრდნობა კიდევ ორ საბჯენ თაღს, მათგან ერთი დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. ორივე თაღი გადაყვანილია შეკიდულ პილასტრებზე. მათი ძირი ქვიშაქვის ქვებითაა გამოყვანილი. ჩრდ. პილასტრის ქვემოთ, იატაკიდან სამოციოდე *სმ* სიმაღლეზე, სწორკუთხა გეგმის მქონე, ბრტყლად გადახურული ნიშაა. ინტერიერი გაჯით ყოფილა შელესილი.

გარედან, საკურთხევლის სარკმლის ასწვრივ, ფრონტონის არეში, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც ორსა-



241. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

ფეხურიან კვარცხლბეკს ეყრდნობა. საკუთრივ ჯვრის მკლავები ერთი აგურის სიგანისაა. ზედა და ქვედა მკლავებში აგური თარაზულადაა დაწყობილი, განივ მკლავებში კი – შვეულად. დას. ფასადზე, ფრონტონის წვერთან, შემორჩენილია რამდენიმე აგური, რაც ლავგარდნის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

თ. დგალი.

ბიბლ.: 344.

242. ოღონდაანთ საყდარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 1,3 *კმ*-ზე (პირდაპირი ხაზით), ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. მცირე ზომისაა (4,1x2,8 *მ*). დგას ძლიერ დაქანებული ფერდობის პირას, ისე, რომ აღმ. და ჩრდ. კედლები ფერდობს გა-



242. ხედი სამხრ.-აღმ-დან

დაჰყურებს. სამხრ-ით და დას-ით ეკლესიის მიმდებარე ტერიტ. სწორია.

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის, ქვიშაქვის ნატეხი ქვით. ქვა ფორმისა და ზომის მიხედვით არ არის შერჩეული, რის გამოც წყობა ქაოსურია. წყობაში, ალაგ-ალაგ, მოზრდილი, თხელი ქვებიცაა ჩართული, რ-ებიც ფეხზეა დაყენებული და ბრტყელი პირით ფასადის მხარეს არის მიქცეული. შიგნითა კედლები შედარებით უფრო წვრილი ქვითაა ამოყვანილი.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: აყრილია სახურავის საფარი, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, ფასადებზე, აქა-იქ, ჩამოცვენილია საპირე ქვები.

ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. კედელი ამ ადგილას განგრეულია ისე, რომ შესასვლელიდან მხოლოდ დას. წირთხლის მცირე ნაწილია დარჩენილი.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდში გაჭრილია მცირე ზომის, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი, რ-იც ბრტყლადაა გადახურული და თარაზული ძირი აქვს. სარკმლის აქეთ-იქით, კედელში, კვერცხის მოყვანილობის, მცირე ზომის, თითო თიხის ჭურჭელია ჩადგმული. სარკმლის ქვემოთ კი, მთლიანი ქვის (სიმ. – 80 *სმ*),

ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი შეისრულია. შეისრულია კამარაც.



242. ინტერიერი. საკურთხეველი

ეკლესიის ფასადებიდან მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე, მხოლოდ დას. ფასადია შემორჩენილი. ჩრდ. ფასადის აღმ. ბოლოში, შემორჩენილია კედლის სიბრტყის მიმართ ოდნავ გადმოშვერილი ორი თხელი ქვა, რ-ებიც შესაძლოა ლავგარდანს ეკუთვნოდეს.

შენობა, როგორც ჩანს, ქვის ფილებით იყო გადახურული.

თ. დვალი.

243. ᲤᲘᲓᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 4 *კმ*-ზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია (7,82x6,12 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის

243. ხედი სამხრ.-დას-იდან



ქვიშაქვის ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კედლების წყობაში გამოყენებულია ლოდებიც, რ-ებიც, მეტწილად, კუთხეებშია ჩართული. წყობა ქაოსურია.

ძ. დაზიანებულია: აყრილია სახურავის საფარი, ჩამოშლილია ლავგარდნის მნიშვნელოვანი ნაწილი, აღმ. და სამხრ. კედლები დაბზარულია.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა. გარედან იგი ბრტყელი თაღითაა გადახურული (რამდენიმე ქვა ჩამოცვენილია), შიგნით კი, როგორც ეს შემორჩენილი ნაწილებით დგინდება, თარაზული თავი ჰქონია. სარკმელი ორია – აღმ-ით და დას-ით. შიგნიდან ორივე სარკმელი ოთხკუთხაა. მათგან აღმ. სარკმელს გარეთა გადახურვა ჩამოშლილი აქვს, დას-ისა



243. ინტერიერი. ხედი აფსიდზე

კი გადახურულია ბრტყელი თაღით, რ-იც ქვიშაქვის ერთ მთლიან ქვაშია გამოკვეთილი.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც სარკმლის გარდა, კიდევ ორი მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების კონქით. კონქის თაღი ბრტყელია. იგი, ძირითადად, ქვიშაქვის არცთუ ისე სუფთად ნათალი, მოგრძო



243. ინტერიერი. ტრაპეზი

ქვითაა გამოყვანილი. მსგავსი მოყვანილობა აქვს კამარასაც. კამარა დარბაზის გრძივ კედლებს კუთხით ერთვის, რის გამოც, მათ საზღვარზე, თარაზული ხაზი იქმნება.

საკურთხეველში დგას ქვიშაქვის ერთ ქვაში გამოკვეთილი, ოთხწახნაგა, ზემოთკენ ოდნავ გაფართოებული ტრაპეზი, რ-ის წინა მხარეზე, ფონის ამოკვეთით, მაღალი, ბოლოებგაფართოებული ჯვარია გამოსახული. ჯვრის ძირი ორ ჰორიზ. ტოტადაა გაყოფილი. საკუთრივ ტოტებს კი დაკბილული ბოლოები აქვს.

გარედან ეკლესიის კედლები დასრულებულია მაღალი, ქვიშაქვის ნათალი ქვებით ნაწყობი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, შეზნექილი მრუდი ზედაპირი და ლილვი შეადგენს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 344.


244. ᲪᲘᲮᲔ-ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, არქიტ., არქეოლ., ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 4,2 *კმ*-ზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე, მაღალი, კლდოვანი მთის თხემზე.

ციხე-დარბაზი შედგება ზედა და ქვედა ციხისაგან. ზედა

ციხე მთის თავბრტყელ თხემზეა განლაგებული და მის კონტურს შემოჰყვება. ქვედა ციხე შკური ნაგებობაა ჩართული. ციტადელში მთავარი შესასვლელი (ჭიშკარი?) დას-იდან უნდა ყოფილიყო, ხოლო დამხმარე ე. წ. კუტი კარი სამხრ-იდანაა.

კოშკური ნაგებობა (სასახლე?), შიდა ციხის ჩრდ.-აღმ. ნაწილში დგას. იგი ორსართულიანია, გეგმით ოთხკუთხა (10,5x11,8 *მ*). მისი ზეძირკველი (სიმ. – 1 *მ*) 20-25 *სმ*-ითაა გამოწეული, ხოლო ნატეხი ქვის უხეში წყობით ნაგები საძირკველი (სიმ. – 70 *სმ*) უშუალოდ კლდეზეა ამოყვანილი. დაზიანებულია: დას. მხარეს მეორე სართული მთლიანად მორღვეულია; აღმ. მხარეს კედლების ზედა ნაწილები ჩამონგრეულია.

ნაგებობაში პირველ და მეორე სართულზე, ჩრდ. მხარეს, ორ-ორი პატარა (4,75x3,40 *მ*, 2,50x3,40 *მ*), ხოლო სამხრ-ით ერთი დიდი ოთახია (8,10x4,52 *მ*). პატარა ოთახები, პირველ სართულზე, ერთმანეთთან კარითაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ჩრდ.-აღმ. პატარა ოთახი დიდ ოთახთანაც იყო დაკავშირებუ-




244. გეგმა. ა) ზედა ციხე: 1 - სასახლე, 2 - ჯვარპატიოსნის ეკლესია; ბ) ქვედა ციხე

ზედა ციხეს ჩრდ-იდან უშუალოდ ადგება და მდინარისაკენ დაქანებულ ფერდობზე აგებულ, ოთხკუთხა გალავანს წარმოადგენს, რ-შიც კოშკებია ჩართული. ზედა და ქვედა ციხეებში ხღუდე-კოშკები ერთნაირი სქემითაა აგებული. როგორც ქვედა, ისე ზედა ციხე კარგი ფორტიფიკატორის და მაღალი, მხატვრული გემოვნების მქონე ხუროთმოძღვრის აგებული ჩანს.

ზედა ციხე (ციტადელი) გაშენებულია მაღალი სერის (სიმ. 75 *მ*) შედარებით სწორ პლატოზე (სიგრ. – 140 *მ*, სიგ. – 17-31 *მ*). იგი გეგმით გრძელი მრავალკუთხაა. მის გალავანში რვა კოშკი და სასახლედ მიჩნეული, ერთი კო-

244. საერთო ხედი ჩრდ.-აღმ-იდან (რეკონსტრუქცია ი. ციციშვილის მიხედვით)





244. ზედა ციხე. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან


ლი. პატარა და დიდ ოთახებს, ყვანილი კამარით, რ-ის ზე-
დას-ით, ეზოში გასასვლელიც მოთ მოწყობილია დუღაბის
ჰქონია. შენობის ორივე სარ- იატაკი. ოთახების დამაკავში-
თულზე ოთახები ფართო და რებელი კარი (მოგვიანებით
მაღალი, თაღოვანი სარკმლებით ამოუქოლავთ) შირიმის დიდი
ნათდებოდა. მეორე სართულზე კვადრებით, თარაზულად ყოფი-
ნალისებრთაღოვანი კარ-სარკმ- ლა გადახურული. სარდაფის
ლები, სავარაუდოდ, დაკიდულ გარე კედელში დაყოლებულია
აივნებზე გადიოდა. სადრენაჟო მილები (დიამ. – 12



244. ზედა ციხე. საერთო ხედი სამხრ-იდან

შენობის პატარა ოთახე- *სმ*). სარდაფი ჯერ დილეგად
ბის ქვეშ, ორგანყოფილებია- იქნა მიჩნეული, შემდეგ – გან-
ნი სარდაფია, რ-შიც ეზოდან, ძის საცავად.
რვასაფეხურიანი ქვის კიბით შენობის წინ საკმაოდ დიდი
ჩადიოდნენ. სარდაფის ერთი ეზოა, რ-იც გამაგრებულია გა-
ოთახი გადახურულია ჰორი- ლავანში ჩართული კოშკებით.
ზონტალურად ხის კოჭებზე, შენობა დგას ზედა ციხის განა-
მეორე კი – კარგად გათლი- პირას, მყუდრო ადგილას. მისი
ლი შირიმის ბლოკებით ამო- არქიტექტურა – დიდი დარბა-

ზი და დამხმარე ოთახები, ფარ-
თო, საზეიმო კარ-სარკმლები
და დაკიდული აივნები, სამეურ-
ნეო დანიშნულების სარდაფი,
წარმტაცი ხედი მდ. ივრის ხეო-
ბასა და გარემო ლანდშაფტზე,
მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ
ეს შენობა სასახლეს წარმოად-
გენდა.



244. ზედა ციხე. გეგმა. 1 - სასახლე,
2 - სამხრ.-აღმ. კოშკი

სასახლის სამხრ-ით, 4
მ-ზე, ზედა ციხის სამხრ.-აღმ.
კუთხეში, დგას დიდი კოშ-
კი, საიდანაც ვიწრო ბილიკ-
ით გადიოდნენ ქედის თხემზე
წამოწეულ, საგუშაგო კოშკამდე
(შემორჩენილია ერთი კედელი).

გალავნის სამხრ. კედელთან
დგას ჯვარპატიოსნის
ეკლესია. ვახტანგ გორგას-
ლის მეფობაში, მის მიერ აგე-
ბულ ციხე-გალავნის ერთ-ერთ
სწორკუთხა კოშკზე (ფრაგმენ-
ტი შემორჩენილია ზედა ციხის
მხრიდან), რ-იც გვიან ნახევარ-
წრიული ბურჯით გაუმაგრე-
ბიათ, მიუშენებიათ პატარა, სა-
ვარაუდოდ, კარის ეკლ. (5,5x3,8
მ). ახლა ეს ეკლ. გვიანდ. და-
ნამატებით, დამჯდარი პროპორ-
ციების, ორფერდასახურავიანი,
ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა
(ჩრდ. ფასადის სიგრ. – 6,3 *მ*,
დას. ფასადის – 9,4 *მ*, სიმ. –
9,55 *მ*).

თავდაპირველი ეკლ. დარბა-
ზულია, ნაგებია ქვიშაქვის კვა-
დრებითა და კირის ხსნარით.
შიგნით კედლები შემოსილია

მსხვილი, კარგად გათლილი კვადრებით, გარედან – მჭისებრ დამუშავებული, წვრილი ქვით. აფსიდი შელესილია (გვიანდელია).



244. ზედა ციხე. სასახლე (მარცხნივ) და სამხრ.-აღმ. კოშკი. ხედი დას-იდან


ეკლესიაში შესასვლელი ჩრდ-იდან ყოფილა. აღმ-ით ნახევარწრიული ფართო აფსიდია,



244. ზედა ციხე. სასახლე. ხედი დას-იდან


რ-შიც თითქმის პარალელურწირთხლებიანი, ნალისებრთაღიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით ერთი ოთხკუთხა ნიშია. საკურთხეველში დიდი ზომის, სწორკუთხა ტრაპეზი დგას. კამარა, კონქის თაღი, ეკლესიისა და კოშკის გამყოფი თაღი ნალისებრია. აფსიდის კონქს, ქუსლთან, რელიეფური სარტყელი შემოუყვება. სატრიუმფო თაღი მარტივპროფილიან იმპოსტებს ემყარება. დარბაზი გადახურულია ქვიშაქვის დიდი კვადრებით კარგად ნაწყობი, ცილინდრული კამარით.

გვიანდ. შუა საუკუნეებში ეკლესიას ჩრდ-იდან მიაშენეს თითქმის კვადრ. სათავსი




244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. I სართულის გეგმა

(1,47x1,42 მ), რ-იც ნაგებია მცირედ დამუშავებული, ნატეხი ქვით და სქლად არის შელესილი. შესასვლელი დას-იდანაა. კარი თაღოვანია. კარის წირთხლების ქვედა ნაწილი ქვის და



244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. II სართულის გეგმა

აგურის მონაცვლეობითაა ამოყვანილი, ხოლო თაღი – აგურით. შესასვლელი სწორკუთხა




244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

ნიშაშია (სიმ. – 0,5 მ) ჩასმული და ზემოდან ორი მასიური კოჭი ხურავს. ჩრდ. სადგომი ცენტრ. სივრცეს სამხრ. კედლის დას. ნაწილში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა. ოდნავ შეისრული კამარა რიგიანადაა ამოყვანილი. ჩრდ. კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ჩრდ. კვადრ. სათავსი, როგორც ჩანს, წირვის დროს მრევ-


ლის დასადგომს წარმოადგენდა და ამავე დროს, კარიბჭის როლსაც ასრულებდა. სადგომს ლი, ეკლესიის ზედა სართულის დაშენების გამო, აღარ არსებობს.



244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

აღმ-იდან მიდგმული აქვს დახშული კამერა, რ-იც ზედა სართულის სუბსტრუქციის ფუნქციას ასრულებს.

ეკლესიის მეორე სართული სამნაწილიანია. ისინი სხვადასხვა დროისაა. ყველაზე ადრინდელია შუა სადგომი. შე-



244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. აღმ. ფასადი

ეკლესიის მასივი მთლიანად ფარავს კოშკის კედლებს. კ ო შ კ ი ნაგებია თანაბარზომიერი, მომრგვალებულწიბოებიანი ქვით. წყობაში ზუსტადაა დაცული რიგების სწორხაზოვნება. კოშკის მეორე სართუნობის კედლები ნაგებია ნატეხი ქვის უხეში წყობით. შუა, მთავარი სივრცე, აღმ-ით აფსიდით დასრულებული და ცილინრული კამარით გადახურული, სწორკუთხა სათავსია (5,3x2,0მ), რ-იც უშუალოდ ქვედა, დარბაზული



244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. II სართულის ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

სივრცის თავზე მდებარეობს. შესასვლელი ჩრდ-იდანაა. კარი თაღოვანია. საკურთხევლის ღრმა აფსიდი ნალისებრია და ერთი საფეხურითაა ამაღლებული. შემორჩენილი კვალის მიხედვით, კანკელი დაბალი ყოფილა და პროფილირებული ცოკოლი ჰქონია. აფსიდში ერთი



244. ზედა ციხე. ჯვარპატიოსნის ეკლესია. აღმ. ფასადი. დეტალი

თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმელი დას. კედელშიცაა. სატრიუმფო თაღი ნალისებრია და უხეშად გამოთლილ იმპოსტებს ემყარება.

სამხრ. კედელი გახსნილია ნახევარწრიული თაღით, რ-იც პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა. ადრე აქ მრგვალ სვეტზე დამყარებული, ორმაგი

თაღი ყოფილა (ამოშენებულია). იატაკი ქვისაა.

ცენტრალურ ეკლესიაზე ჩრდ-იდან მიშენებული სადგომი ნაგებია ნატეხი ქვით. შეს-



244. ზედა ციხე. დას. კოშკი

ასვლელი ჩრდ. კედლის დას. ნაწილშია გაჭრილი. ამ ადგილზე, ზედა ციხეში, მიწის დონე ეკლესიის მეორე სართულის დონეს უსწორდება, ამიტომ, მეორე სართულზე შესასვლელად, თაღი და მასზე დაყრდნობილი ბოგირია გაკეთებული. მეორე სართულზე, შესასვლელის გასწვრივ, შუა ეკლესიის კარია. ორივე კარის თაღი ნახევარწრიულია და აგურითაა ნაგები. ჩრდ. სათავსის მიშენებისას, შუა ეკლესიაში გამავალი კარი დაუვიწროებიათ, თაღი დაუდაბლებიათ და ტიმპანის დიდი ქვა ჩაუსვამთ. კამარა ცილინდრულია. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. ერთი საკმაოდ ღრმა ნიშა ჩრდ. კედელშიცაა.

სამხრ.-ის დაბალი სადგომი უკვე არსებული კოშკის კედლებზეა ამოყვანილი. გადახურულია დაბრეცილი კამარით. დას. და აღმ. კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სადგომი მოგვიანებით გადაუკეთებიათ. მისი აღმ. ნაწილი გატიხრულია კედლით, რ-შიც სწორკუთხა კარია გაჭრილი. სადგომის იატაკი ჩანგრეულია, აღმ-ით არასწორი ფორმის აფსიდია, რ-შიც სარკმელია გაჭრილი, სარკმლის ჩრდ-ით პატარა ნიშაა.

აღმ. და დას. ფასადები დასრულებულია მარტივპროფილიანი ლავგარდნით. აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმელი კი – ერთ ქვაში გამოკვეთილი თაღით. თაღის ქვეშ, ფილაზე, ჯვრის რელიეფური გამოსახულება და წარწერა ყოფილა. ამჟამად ფილა გადალესილია.

აღმ. ფასადის წინ დიდი, შეისრული თაღია ამოყვანილი (გვიანდელია), რ-იც მსხვილ ბურჯებზეა დაბჯენილი. თაღი ფარავს ძვ. ეკლესიის ფასადს. თაღის ქვემოთ ერთი ნიშაა (სიღრმე – 1 მ). თაღს ზემოთ, ფასადის ცენტრში, მეორე სართულის შუა ეკლესიის დიდი სარკმელია გაჭრილი, რ-საც პროფილირებული მოჩარჩოება აქვს (ძლიერაა დაზიანებული). მის ორივე მხარეს სამკუთხად შეჭრილი, თითო პატარა ნიშაა. ფასადზე, ჩრდ-ითა და სამხრ-ით, კიდევ თითო სარკმელია მოთავსებული.

გვერდითი ფასადები ნაგებია უსისტემოდ, წყობაში დიდი ზომის ფილებიცაა ჩართული. დას. ფასადი ტლანქადაა ამოყვანილი და ასიმეტრიულია. მისი სამხრ. ნაწილი უფრო მოკლეა, ვიდრე ჩრდ-ისა. ამ ფასადზე გამოდის ზედა ეკლესიის თაღოვანი სარკმელი, სამხრ. სათავსის პატარა, სწორკუთხა სარკმელი და ჩრდ. ნაწილში გაჭრილი, თაღოვანი კარი, რ-ის წირთხლები აგურისაა. კარის თაღი ჩასწულია აგურის სწორკუთხა, ჩაღრმავებულ ჩარჩოში. კართან ახლოს, კედელზე, უზარმაზარი ნახევარწრიული კონტრფორსია მიდგმული.

ჩრდ. ფასადის დას. კიდეში, ზედა სართულის დონეზე, აგურით ამოყვანილი თაღოვანი კარია გაჭრილი. მის ქვემოთ, ბოგირის გადასადები თაღის აღმ-ით, ჩრდ. სათავსის სწორკუთხა ვიწრო სარკმელია.

2017 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ეკლესიას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღდგა ლავ-




244. ზედა ციხე. წყალსაცავი

გარდნის ჩამოშლილი ნაწილი, ეკლ. დაიბურა თუნუქით.

ზედა ციხის გალავანი (სიმ. ზოგან 10 მ-მდეა) ნაგებია ნატეხი ქვით. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ციხის დას. უბანი, აღმ. მხარეს, გაუმ-

აგრებიათ ზედა ციხის ჩრდ. და სამხრ. კედლებს შორის, ჩაშენებული სქელი კედლით,რ-შიც ამ გალავანში შესასვლელი ყოფილა მოწუობილი (შემორჩენილია ქვის საფეხურები). გალავნის მახლობლად, ჩრდ. კედელზე, მიდგმულია დიდი, ოთხკუთხა შ ე ნ ო ბ ა (10,5x5,0 მ).

წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი (16,1x16,6 მ) მდებარეობს ზედა ციხის ჩრდ-ით. განეკუთვნე-




244. ქვედა ციხე. გალავნის დას. კედელში ჩართული კოშკი. I სართულის გეგმა

ბა ადრინდ. შუა საუკუნეებს. მისი ჩრდ. კედელი ამავე დროს წარმოადგენდა ზედა ციხის გალავანს, ხოლო დას. კედელი – კოშკის კედელს. ეს კედლები ქმნიდნენ ქალაქში გასასვლელ, ვიწრო დერეფანს, რ-იც მოგვიანებით ამოუქოლავთ. წყალსაცავი გადახურული იყო კამარით, რ-ის სამი ნალისებრი, საბჯენი თაღი სადად პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობოდა. მოგვიანებით წყალსაცავის პირვანდელი, გრძელი შენობა გადაუკეთებიათ, გაუყვიათ ორნაწილად და მოუწყვიათ ორი აუზი – ერთი დიდი (6,9x3,72 მ), მეორე შედარებით მომცრო (4,27x3,72 მ). მათ შორის დატოვებულია კედელ-ბღუდარი (სისქე – 2 მ). აუზები ამოყვანილია აგურით და შიგნიდან შელესილია ვარდისფერი, ჰიდრავლიკური ხსნარით, კირში კერამ. დანამატებით. მცირე აუზის კედელში შეყვანილია წყლის კერამ. მილი.

კიდევ ერთი წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი მოწყობილია დიდი წყალსაცავის მომიჯნავე კოშკის ქვედა სართულში. ეს კოშკი ამთავრებდა ციხე-ქალაქის დას. გალავნის ხაზს და მას ზედა ციხესთან აკავშირებდა. კოშკის შიდა კედლები შემოსილია აგურით. აგურისაა ნახევარწრიული კამარაც. კამარის თავზე დატანებულია წყლის კერამ. მილი. კედლებში შემორჩენილია გადახურვის კოჭების ბუდეები.

წყალსაცავის თავზე, გვიანდ. შუა საუკუნეებში, კვლავ აუგიათ ოთხკუთხა კოშკი (5,18x4,12 მ), რ-ის კედლები ნატეხი ქვითაა ამოყვანილი, ხოლო კარ-სარკმლების წირთხლები – აგურით.


ზედა ციხის შუა ნაწილში შემორჩენილია ბეღლისა და გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის ნაშთი. ბ ე ღ ე ლ ი მიდგმულია ზედა ციხის ჩრდ. კედელზე. იგი წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა, თაღოვან-სახურავიან შენობას. გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა ზედა ციხის გალავნის ჩრდ. მხარეს, წყალსაცავთან მდგარა.



244. ქვედა ციხე. გალავნის დას. კედელში ჩართული კოშკი. II სართულის გეგმა

შემორჩენილია მისი აღმ. და ჩრდ. კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები.


ქ ვ ე დ ა ც ი ხ ე (ქალაქი, ფართ. დაახლ. – 1 ჰა). განლაგებულია მდინარისაკენ დაშვებულ კალთაზე და უშუალოდ ებჯინება ზედა ციხეს. ქვედა ციხე ქ. უჯარმის მცირე ნაწილი უნდა იყოს, რადგან მისი ფართ. ძლიერ პატარაა ისეთი მასშტა-



244. ქვედა ციხე. გალავნის დას. კედელში ჩართული კოშკი. ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ბის ქალაქისათვის, როგორიც უჯარმა იყო. ციხე ძირითადად ერთიანი გეგმით, აგებულია V საუკუნის ბოლოს. მისი გრძივი კედლები (სიგრ. – 105 და 96 მ) პარალელურად ეშვება მდინარისაკენ, ქვედა კედელი (სიგრ. – 99 მ) კი მდინარის ნაპირს მისდევს. ამ სამი კედლიდან, თითოეულში, გეგმით კვადრატ. სამ-სამი კოშკია ჩართული. ყველა კოშკი და გალავანი ნაგებია ადგილ. ქვის კვადრებით. ქვების გარეპირი მოსწორებულია და ნაპირებწათლილი, რაც მათ მკვეთრ, სწორკუთხა ფორმას ანიჭებს. ქვები კირის დუღაბის თხელ ფენაზე დაწყობილია ზუსტ, ჰორიზ. რიგებად. ვიწრო და გრძელი კვადრების მონაცვლეობის წყალობით ქვები, წყობაში, გულდასმითაა გადაბმული. ყველა ვიწრო ქვა გრძელ ქვაზე დევს და ზემოდანაც გრძელი ქვითაა დაფარული. ვიწრო ქვე-

ბი კედელში დრმად არის შეჟვანილი, რაც უზრუნველყოფს კედლის სიმტკიცეს. ზოგჯერ გვხვდება გრძელი და ვიწრო კვადრებით შედგენილი რიგების მონაცვლეობა. ამ შემთხვევაშიც უზრუნველყოფილია



244. ქვედა ციხე. გალავნის დას. კედელში ჩართული კოშკი. სამხრ. ფასადი

ქვების გადაბმა და კედლის სიმტკიცე. ამგვარი წყობითაა ნაგები უჯარმის ციხე-დარბაზის უძველესი, ძირითადი ნაგებობები და მათ პირობითად „უჯარმულ წყობას“ უწოდებენ.

კოშკები ერთმანეთისაგან არათანაბარი მანძილითაა დაშორებული. ქალაქში შესასვლელები პირველი (დას.) და ცენტრ. (ჩრდ.) კოშკებიდან ყოფილა. დას. კოშკის ქვედა სართულში, დას. და აღმ. მხრიდან, გაჭრილია თაღოვანი შესასვლელი, დანარჩენი სივრცე კი შკავია კლდეს, რ-ზეც კოშკის კედელია დაშენებული.

ყველა კოშკი სამსართულიანი ყოფილა. მათი გარე კედლები ყრუა, ხოლო ქალაქისაკენ მიმართულ კედლებში ფართო კარ-სარკმლებია გაჭრილი. კარი გამოდიოდა შვერილ აივანზე. სართულშუა გადახურვისათვის გამოყენებულია ხის ოთხკუთხა, მძლავრი კოშკები (შემორჩენილია ბუდეები). კოშკების მეორე და მესამე სართულებზე მეციხოვნე ჯარის საცხოვრ. ყოფილა. კოშკებს ჰქონია კრამიტით გადახურული, ბანური სახურავი. ბანს ქონგურებიანი კედელი (სისქე – 40 *სმ*) გარშემოუყვებოდა. კოშკების უკან დატოვებულია დერეფანი-გასასვლელი (სიგ. 1 *მ*).

ქალაქის ქვედა მხარეს, მდინარის გასწვრივ, გალავნის ცენტრში ჩართულია სხვა კოშკებისაგან განსხვავებული კ ო შ კ ი. აქ ისევე, როგორც სხვაგან, ქვები გულდასმითაა გადაბმული, მაგრამ ქვების სიგრძე გაცილებით დიდია (60-70 *სმ*). კოშკი წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს (9,85x6,40 *მ*), სამსართულიანია. აქვს სარდაფის სართულიც. მიწის დონეზე მდებარე სართულში გაჭრილია განიერი (1,80 *მ*) კარი, რ-იც მდინარეზე გადიოდა. კარის ორივე მხარეს ოთხკუთხა ბუდეებია ურდულისათვის. საკეტი კოჭი



244. ქვედა ციხე. გალავნის აღმ. კედელში ჩართული კოშკი. ხედი დას-იდან

ერთ მხარეს 2,60 *მ*-ის სიგრძისაა. როგორც ჩანს, შესასვლელი მტკიცედ იკეტებოდა.

სარდაფი სამნაწილიანია. გვერდის ვიწრო სათავსებს, განაპირა კოშკებთან დამაკავშირებელი, დამოუკიდებელი შესასვლელები ჰქონია. შუა ოთახში ყოფილა მდინარეზე გასასვლელი, რ-იც მოგვიანებით ამოუქოლავთ, ამოქოლილ კედელში კი სათვალთვალო სარკმელი-სათოფური გაუჭრიათ. აღმ-ით და დას-ით აქ თითო კარია. კოშკზე შემორჩენილია პირვანდელი ქონგურები.

გარედან, კოშკის მთავარი კარის ორივე მხარეს, თანაბარ მანძილზე, ორი კონტრფორსია. მათ შორის შექმნილია ბაქანი, რ-საც, სავარაუდოდ, გზა აღგებოდა.

გვიანდ. შუა საუკუნეებში გალავნის კედელში, ზოგან, სათოფურები გაუჭრიათ.

ქალაქის დაცვის მთელი სისტემა სამშენ. ხელოვნების უმაღლეს დონეზე მეტყველებს. საერთო კომპოზიცია, კედლების წყობა, ფართო და მაღალი, საზეიმო ხასიათის ნალისებრი კარ-სარკმლები, ნაგებობების მკვეთრი და ამავე დროს, იმპოზანტური ფორმები მოწმობს, რომ ციხე-ქალაქი დინჯად და აუჩქარებლად არის ნაშენი.

1950-52 და 1978-79 წლებში უჯარმაში თბილისის სახელმწ. უნ-ტის და ისტორიის ინ-ტის გაერთიანებულმა იორ-უჯარმის ისტ.-არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი; გათხრების უშუალო ხელმძღვ. გ. ლომთათიძე) ჩაატარა არქეოლ. გათხრები. გათხრებით გამოვლინდა ციხე-ქალაქის ნაგებობათა სისტემა, ძეგლის მშენებლობის სამი ძირითადი პერიოდი, ფაქტობრივად დადასტურდა წერილობითი წყაროების ცნობები.

უძველესი პერიოდის ნაგებობები (შიდა და ქვედა ციხეების გალავნები ოთხკუთხა კოშკებით, სასახლე, ეკლ. და წყალსაცავი) გამოირჩევა მომდევნო პერიოდის ნაგებობებისაგან. ისინი ნაშენია თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა, მოყვანილობის, წყობაში გულდასმით გადაბმული კვადრებით, დუღაბის ძუნწი გამოყენებით. ყველა ნაგებობის კედლის სისქე თანაბარია (140-145 *სმ*), ფართო კარ-სარკმლები ნალისებრთაღოვანია. შენობები დახურულია დიდი ზომის, ბრტყელი და ღარისებრი კრამი-

ტით. ამ პერიოდის კულტ. ფენა წარმოდგენილია V-VI ს-ის კრამიტით, მინით, სამკაულებით და პეროზ მეფის (V ს.) სასანური მონეტით. ეს უძველესი ნაგებობები აშენებულია ვახტანგ გორგასლის ეპოქაში – V ს-ის II ნახევარში და ნაწილობრივ მომდევნო წლებში.

მშენებლობის მეორე პერიოდში, რ-იც მოიცავს VIII-XII საუკუნეებს, ზედა ციხეში აღუდგენიათ და ბურჯებით გაუ-



244. ქვედა ციხე. გალავნის ჩრდ. კედლის ცენტრ. კოშკი. I სართულის შესასვლელი

მაგრებიათ მორღეული ზღუდე-კოშკები. უბნების გამაგრების მიზნით, ზედა ციხის კედლებს შორის შეუქმნიათ ახ. ზღუდეები, აუგიათ საცხოვრ. და სამეურნეო დანიშნულების შენობები, განუახლებიათ წყალსაცავი, აუგიათ ახ. აუზები, მათ შორის ერთ-ერთ კოშკში, ძველ ეკლესიაზე დაუშენებიათ მეორე სართული. სამშენ. მასალად გამოყენებულია ზოგან მოზრდილი და ზოგან პატარა, ბუნებრივი ფორმის ქვა (ალაგ-ალაგ ჩართულია აგურიც), ჭარბადაა ნახმარი კირის დუღაბი. წყობაში არ არის დაცული რიგების ჰორიზონტალურობა. ყველა კოშკი და ბურჯი აქ უკვე კონუსისებრია – ზემოთკენ დავიწროებული.

მესამე პერიოდი ემთხვევა გვიანდ. შუა საუკუნეებს. ამ დროს გრძელდება მორღვეული ზღუდე-კოშკების შეკეთება.წყალსაცავის თავზე აშენდა ახ. ოთხკუთხა კოშკი. სასახლის მოპირდაპირე კედელში, გალავანში, გაიჭრა კარი. გალავანშივე მოეწყო სათოფურები. უსაფრთხოების მიზნით, გააუქმეს ძვ. შესასვლელები, აშენდა ეკლესიის ქვედა სართულის ჩრდ. სათავსი და მეორე სართულის ეკლესიას, გვერდებზე, დაემატა თითო ნავი. აიგო ეკლესიის გალავანი. სამშენ. მასალად გამოყენებულია ნატეხი და რიყის ქვა. გალავანში ჩანს ქვისა და აგურის შერეული წყობა. უფრო მეტად გამოყენებულია აგური. ამავე ხანას მიეკუთვნება ეკლესიის გვერდით გათხრილი ქვევრები.

2006 წელს, საქართვ. პრეზიდენტის ბრძანების (№665) საფუძველზე, კომპლექსს მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

2017 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ ეკლესიას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები: მცენარეულობისგან გაიწმინდა ეკლესიის სახურავი, აღდგა კედლებისა და ლავგარდნის ჩამოშლილი ნაწილები, ეკლ. გადაიხურა თუნუქით.


2018 წელს მოწესრიგდა ზედა ციხის ტერიტ. (არქიტ. გ. სოსანიძე). გალავნის კედლებს ჩაუტარდა კონსერვაცია.

ნ. ანდღულაძე.

ბიბლ.: 14; 28; 38; 82; 115; 122; 124; 125; 126; 151; 157; 188; 196; 197; 198; 199; 212; 214; 234; 314; 315; 321ი,კ; 322ა,დ,ე,ზ; 342; 343; 344; 345; 347; 392; 418; 425; 432ბ; 462; 475.

245. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში. თარიღდება XIX ს-ის II ნახევრით.

ეკლ. დარბაზულია (12,8x7,55 მ), ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ქვიშაქვის ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეების წყობაში მოზრდილი ქვებია გამოყენებული, რ-თა მცირე ნაწილი ოდნავ დამუშავებულია, დიდი ნაწილი კი შემთხვევითი ფორმისაა. კარ-სარკმლე-



245. გეგმა

ბი სუფთად ნათალი ქვიშაქვის ქვითაა გამოყვანილი. კედლები გარედან კირის დუღაბითაა გასწორებული, შიგნიდან – შელესილია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დასიდან. ორივე კარი თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით, დარბაზის იატაკის მიმართ, ორი მცირე საფეხურით შემაღლებული, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე გაჭრილია ფართო, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს, თითო განიერი, თაღოვანი ნიშაა. ჩრდ. ნიშის მარცხნივ, აფ-



245. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

სიდის მხართან ახლოს, მცირე ზომის ღრმა ნიშაა. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარის საბჯენი თაღები და თვით კამარაც. ყველა თაღის ქუსლებთან გამოყოფილია მთლიანი ქვის იმ-

პოსტები, რ-თა პროფილს თარო და ლილვი შეადგენს. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორსაფეხურიანი ორ-ორი პილასტრია, რ-ებიც შესაბამის კედლებს სამ-სამ თანაბარ ნაწილად ყოფს. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. პილასტრების გვერდით საფეხურებს კედლის ბრტყელი ნიშების თაღე-



245. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

ბი ეყრდნობა, წინას –კამარის საბჯენი თაღები. იმპოსტები კედლის ბრტყელი ნიშების თაღების ქუსლებთანაცაა. მათი პროფილი მარტივია – თარო და დახრილი სიბრტყე.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ორი სარკმელი აშუქებს. მათგან ერთი სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთშია, მეორე – დას. კედელში. სამხრ. სარკმელი საკურთხევლის სარკმლის მსგავსია. დას-ისა კი – შიგნიდან ოთხკუთხაა, ხოლო გარედან წრიული. იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული.


გარედან ორივე შესასვლელი ჩასმულია მცირედ შეღრმავებულ, ნახევარწრიული თაღით დასრულებულ არეში. აღმ. და სამხრ. სარკმლის ღიობებში ლითონის გისოსებია ჩადგმული. აღმ. ფასადზე, ფრონტონის წვერთან, ოთხკუთხა ნიშაა. მასში ჩასმულია იგივე ფორმის ქვიშაქვის ქვა, რ-ზეც საფეხუროვან კვარცხლბეკზე აღმართული, რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. დას. ფასადზე სარკმელი გამოკვეთილია ქვიშაქვის ერთ ქვაში და ირგვლივ სადა ლილვი ევლება. კედლები დასრულებულია ქვიშაქვის, თაროსებრი ლავგარდნით.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დაშენებულ, ნატეხი ქვით ნაგებ, კვადრ. საფუძველზე, დადგმულია ოთხწახნაგა, პირამიდული ფორმის სახურავით დასრულებული სამრეკლო – ოთხ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი ფანჩატური. სამრეკლოს სახურავის წვერზე ლითონის ჯვარია აღმართული.

1990-იანი წლების ბოლოს ლ. კობახიძის თაოსნობით და გ. ჯამრიშვილის დაფინანსებით ეკლ. გაურემონტებიათ. ამ დროს იატაკზე დააგეს ქვის ფილები, დადგეს ხის კანკელი, შიგნიდან ეკლ. გაჯით შელესეს და ღარისებრი კრამიტით გადახურეს. ამავე წელს ეკლესიის ეზოს შემოავლეს ლითონის ღობე. 2015 წელს ეკლესიის ეზოში დაიწყეს საკვირაო სკოლის მშენებლობა.


თ. დვალი.

246. ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, ა ვ ა ჯ ი ა ნ თ ს ა ყ დ ა რ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, ექვსიოდე კმ-ზე, გომბორის უღელტეხილისაკენ მიმავალი გზის პირას. სამშენ. წარწერის თანახმად, აგებულია 1755 წელს ზაალ ავალიშვილის მიერ.



246. გეგმა


ეკლ. დარბაზულია (11,7x6,5 მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. კონსტრ. ნაწილები (კონქი, კამარა, საბჯენი თაღები) აგურისაა. შენობის გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლების საპირეები, ცოკოლი და ლავგარდანი კარგად გათლილი ქვიშაქვითაა ნაწყობი. აგურის წყობაც, ისევე როგორც ქვისა,



246. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

მაღალ, პროფესიულ დონეზეა შესრულებული.

შესასვლელი ორია: დას-იდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის გვერდებში, ერთმანეთის მოპირ-



246. დას. ფასადი

დაპირედ, გეგმით ნახევარწრიული, საშ. სიმაღლის, თითო თაღოვანი ნიშაა. აფსიდში, გრძივი კედლების აღმ. ნაწილში და დას. კედელში, შესასვლელის ასწვრივ, თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. საკურთხევლის და გრძივ კედლებში გაჭრილი სარკმლების ქვედა ნახევარი ქვიშაქვის ნათალი ქვითაა გამოყვანილი. ზედა ნახევარი კი – აგურით. დას. სარკმლის ღიობი მთლიანად აგურისაა. დარბაზის გრძივ კედლებზე ქვიშაქვის ნათალი ქვით ნაწყობი, ორსაფეხურიანი



246. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

წყვილი პილასტრია,რ-ებიც მათ ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. პილასტრების გვერდებზე შეისრული თაღით დასრულებული თითო ბრტყელი ნიშაა, რ-თა თაღები პილასტრების გვერმელს გარს ევლება ორმაგი, სადა ლილვით გამოყვანილი ჩარჩო, რ-ზეც დაყრდნობილია ორმაგი ლილვითვე გამოსახული ჯვარი. ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილზე, განივი მკლავებისა და ზედა მკლავის ბოლოებში, ლილვშემოვლებული ბურთულებია. ჯვრის ქვედა მკლავის ლილვები უშუალოდ ერწყმის სარკმლის მოჩარჩოების გარეთა თაღს. თაღოვანი, ორმაგი ლილვით შედგენილი ჩარჩო ევლება ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. სარკმლებსაც. დას. სარკმლის მოჩარჩოების პროფილი ოდნავ განსხვავებუ-



246. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დით საფეხურს ეყრდნობა. წინა საფეხურზე კი კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. საბჯენი თაღის ქუსლებთან გამოყოფილია ქვიშაქვის იმპოსტები. მათ პროფილს თარო და ირიბი სიბრტყე შეადგენს. მსგავსი პროფილისაა სატრიუმფო თაღისა და დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღის იმპოსტებიც.

ეკლესიის კედლები, გარედან, გასწორებულია წმინდა დუღაბით. თვით დუღაბის ფენა ძალიან სქელია და ქვები მასში თითქმის მთლიანად არის ჩაძირული. აღმ. ფასადზე სარკ-

პატრონის ერეკლესა მე-11-ტესა, მრავალმცა არიან [წელნი] ცხოვრებისა მათისანი, ხოლო ჩვენ ეშიკაღასბაშმან ავალიშვილმან ზაალ აღვაშენე საყდარი ესე წმიდის, ყოვლად პატიოსნის ნიკოლოზ მღრდელთ მოძღვრის(ა); შეიწირე ყოვლად მბადო ღმერთო მცირე შრომა გულსმოდგინება ესე ჩვენი, რათა ორთავე შინა ცხოვრებათა მცველ, მფარველ და მლხენელ გვექმნეს მეუღლით ჩვენითურთ ჯორჯაძის ქართლის სახლის უხუცესის პაპუას ასულის თამარსა, ჩვენ ორთავ მოგვვლინე [...]ძილ სასურველნი წყალობასა შინა [დღესა] მას დიდსა განკი[თხვისასა]“. მოჩარჩოებაზე: „ვინც წაიკითხოთ, შენდობას ბძანებდეთ, თქვენცა .....“.

ეკლ. დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. კედლები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით (შემორჩენილი იყო რამდენიმე ქვა), რ-ის პროფილს შეადგენს: თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი.

2006 წელს „საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის



246. დას. ფასადი. სამშენ. წარწერა

ავტორი, არქიტ.-რესტავრატორი მ. გელაშვილი, შემსრულებელი ი/მ „მიხეილ გელაშვილი“). აღდგა გარეთა კუთხეების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი, გამაგრდა სამხრ. კედლის საძირკველი, კამარის ქუსლის

342 ქვემო ყანდაურა

დონეზე მოეწყო რკინა-ბეტონის სარტყელი, აღდგა იატაკი და კამარის ჩამოშლილი მონაკვეთები, ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 344; 475.

247. ხიდი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 3,6 *კმ* ზე, თბილისი-თელავის (გომბორის უღელტეხილით) საავტ. გზის მარცხ. მხარეს, გზიდან 100-120 *მ*-ზე. ხიდი გადებულია მდ. ნავთიანიხევზე (მდ. იორის მარჯვ. შენაკადი). აგებულია XIX ს-ში.



247. ხიდი დას-იდან

ხიდი ზომითა და ხასიათით სოლიდურია (სიგრ. – 38 *მ*, სავალი ნაწილის სიგ. – 2,6 *მ*), ერთმალიანი, ნახევარწრიული თაღის ფორმისა (დიამ. – 7,2

247. სამხრ. ბურჯი




მ, თაღის სიმ. მდინარის ზედაპირიდან – 7 *მ*). ხიდის უმეტესი ნაწილი ნაგებია ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კვადრ. აგურით (21x21x4,5 *სმ*). ქვები თანაბარი ზომისაა, ფორმის მიხედვით შერჩეულია და ორ ფენად ნაწყობი აგურის სწორხაზოვან რიგებს შორისაა მოქცეული. თაღი და მოჯირი მთლიანად აგურისაა.

დაზიანებულია: ხიდს მოაჯირის ნაწილი აღარ აქვს, მარცხ. ბურჯს საპირე წყობის ნაწილი აკლია. ხიდი ამჟამადაც მოქმედია.

თ. დვალი.

ქვემო ყანდაურა
(საკრებულოს ცენტრი)


248. ყველაწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. 2000-იანი წლების I ათწლეულის II ნახევარში, აღგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად გაურემონტებია, რის გამოც მას ისტ.



248. გეგმა

ღირებულება მთლიანად აქვს დაკარგული – აღდგენილია გადახურვა, კედლები შიგნიდან გაჯით, ხოლო გარედან ცემენტისა და ქვიშის ხრსნარითაა შელესილი, ინტერიერში შეცვლილია სარკმლების თავდაპირველი გადახურვა.

ეკლ. დარბაზულია (8,8x6,4 *მ*). კედლები, ძირითადად, რიყის ქვითა და კირის ხსნარითაა ნაგები. საბჯენი თაღები, კონქი, კამარა და კარ-სარკმლების თაღები – აგურით. ერთადერთი შესასვლელი დას-იდანაა. კარი ადრე შეისრული თაღით იყო გადახურული და გარედან ჩასმული იყო კედლის სიბრტყის მიმართ, საფეხურით შელრმავებულ არეში (ამჟამად იგი ნახევარწრიული თაღითაა



248. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

დასრულებული, შელრმავებული არე კი ამოშენებულია). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის გვერდებში თითო, საშ. სიმაღლის, შეისრულთაღოვანი ნიშაა, ღერძზე კი – სარკმელი (აღდგენილია). თითო სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. თავდაპირველად, ყველა სარკმელი, როგორც შიგნით, ისე გარედანაც, თაღით იყო გადახურული. რემონტის დროს სარკმლები შიგნიდან თარაზულად გადაუხურავთ.

გრძივი კედლების შუაში და დას. კუთხეებში ერთსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ებზეც საბჯენი თაღები იყო გადაყვანილი.


დას. ფრონტონის წვერთან შემორჩენილი იყო აგურით გამოყვანილი ჯვრის ნაწილი.

ამჟამად ეკლ. გადახურულია თუნუქით დაბურული, ორკალთა სახურავით.

თ. დვალი.


249. ყველაწმინდის ეკლესია არქიტ. ძ. დგას ტურისუბანში. განეკუთვნება სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (სიგ. – 6,2 *მ*, სიგრძე არ დგინდება). ნაგებია სხვადასხვა ზომის, რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: დან-




249. გეგმა

გრეულია გრძივი კედლების დას. ნაწილი და დას. კედელი. დანარჩენი კედლები 2,5-3 *მ* სიმაღლეზეღა დგას.



249. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ეკლესიაში შესასვლელი სამხრ-იდან ყოფილა (შემორჩენილია აღმ. წირთხლი). აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის გვერდებში თითო თაღოვანი ნიშაა. აფსიდის კედელზე ორი ტრაპეზია მიდგმული. ერთი – აფსიდის ღერძზეა



249. აღმ. ფასადი


(კედელი მთელ სიმაღლეზე განგრეულია), სარკმლის ქვემოთ. მეორე – ჩრდ. ნიშსა და სარკმელს შორის. ჩრდ. კედელზე, აფსიდის მხართან ახლოს, დაბალი ნიშაა, რ-შიც ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ბ. კუპრეიშვილი.

250. ღვთისმშობელი, ეკლ., არქიტ. ძ. დგას სოფლის ზემოთ. თარიღდება XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისით.

ეკლ. დარბაზულია (10,3x6,4 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედლები, ძირითადად, რიყის ქვისაა. ქვა თანაბარი ზომისაა, წვრილია და თარაზულ რიგებადაა დაწყობილი. კონსტრ. და არქიტ. ელემენტები გამოყვანილია აგურით. კედლები შიგნით და გარედან შელესილი და შეთეთრებული ყოფილა.


შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან. აღმ-ით კი ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და



250. გეგმა

ოთხი ნიშაა. ნიშებიდან ერთი სარკმლის ქვემოთაა, ერთი – სარკმლის სამხრ-ით – აფსიდის შესაბამისს ბოლოსთან, ხოლო ორი – ჩრდ-ით. სარკმლის ქვემოთ მდებარე ნიშა გეგმით ნახევარწრიულია, დანარჩენები – სწორკუთხა. ჩრდ-ით მდებარე ნიშებიდან ერთი, რ-იც მეორე ნიშასთან შედარებით ბევრად უფრო მცირე ზომისაა – ოთხკუთხაა. მეორე – თაღოვანი. თაღოვანია დანარჩენი ნიშებიც. აღმ. ნიშის ქვემოთ, კედელზე მიყრდნობილი, დაბალი, ოთხწახნაგა ტრაპეზი დგას.

აფსიდი დარბაზისაგან წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი, ნახევარწრიული თაღითაა გამოყოფილი. გრძივ კედლებზე თითო მარტივი პილასტრია, რ-ებიც შესაბამისს კედლებს ორ, თითქმის თანაბარი სიგანის ნაწილად ყოფს (დას. ნაწილი ოდნავ აღემატება აღმ-ისას). პილასტრების გვერდებზე, არცთუ ისე მაღალი, თითო ბრტყელი



250. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ნიშაა. აღმ. ნიშებში სარკმელია გაჭრილი. დას. ნიშებიდან კი, ჩრდ-ით მდებარე – ყრუა, სამხრ-ით მდებარეში კი შესასვლელია მოთავსებული. პილასტრები დას. კუთხეებშიცაა. მათ შესაბამისი კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. დარბაზი გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რ-იც აფსიდის თაღის გარდა, კიდევ ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათგან ერთი კამარის შუაშია – პილასტრების ასწვრივ. მეორე – დას. კედელთან.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, გვერდიგვერდ განლაგებული, შელრმავებული ჯვრის

250. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



სამი გამოსახულებაა. განაპირა ჯვრები რამდენადმე მაღალია. ისინი დაყრდნობილია იგივე პროფილის მქონე, ჰორიზ. ზოლზე, რ-იც მათ ერთმანეთთან აკავშირებს. მათ შორის მოთავსებული ჯვარი კი დაბალ, საფეხუროვან პოსტამენტზე დგას. დას. ფასადზე შესასვლელი ოდნავ შეისრული თაღითაა გადახურული, რ-იც ჩასმულია კედლის სიბრტყეში ათიოდე *სმ*-ით შეღრმავებულ, ხერხულა ფრიზით დასრულებულ, სწორკუთხა არეში. შესასვლელის ასწვრივ, კედლის სისქეში, ირიბად შეღრმავებული, ოთხკუთხა სარკმელია. მსგავსადაა გადაწყვეტილი დანარჩენი სარკმლებიც. ოღონდ, ისინი თაღოვანია. სამხრ. შესასვლელიც, როგორც ჩანს, თაღით იყო დასრულებული და დას. შესასვლელის მსგავსად, ჩასმული იყო შეღრმავებულ, ხერხულა ფრიზით დასრულებულ არეში(შემორჩენილია მცირე ნაწილი). კარის გვერდებზე, ერთ ვერტიკალზე განლაგებული, სამ-სამი რომბია. კედლები დასრულებულია მაღალი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, თითორიგიანი შრეების მონაცვლეობისგან შედგება.

თ. დვალი.


251. ციხე, არქიტ. ძ. მდგარა სოფლის ჩრდ-ით, 3 *კმ*-ზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ციხე ნაგები ყოფილა რიყისა და ნატეხი ქვით. მთლიანად დანგრეულია. მისი გეგმაც კი არ იკითხება.

ბ. კუპრეიშვილი.


252. წმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდით 2 *კმ*-ზე. თარიღდებაXVIII ს-ის II ნახევრით.

ეკლ. დარბაზულია (10x6,2 *მ*).კედლები ძირითადად ნაგებია თანაბარი ზომის, რიყის ქვით, კირის სქელ დულაბზე. კონსტრ. ნაწილები (კამარა, კონქი, საბჯენი თაღები) და არქიტ. ელემენტები კვადრ. აგურითაა ნაწყობი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი შეისრულთაღოვანია. თვით თაღი მოქცეულია აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილ, ოთხკუთხა არეში, რ-საც აგვირგვინებს აგურისავე, სამსაფეხურიანი ფრიზი. მისი



252. გეგმა

ქვედა და ზედა საფეხურები კუთხით გამოშვერილი აგურების თითო რიგისგან შედგება, შუა საფეხური კი ჩვეულებრივად დაწყობილი აგურების ერთი რიგით. დას. შესასვლელი შიგნიდანაც თაღოვანია, სამხრისა – სწორკუთხა.



252. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

აღმ-ით აფსიდია, რ-იც დარბაზისგან მარტივი პილასტრების წყვილით და მათზე გადაყვანილი თაღითაა გამიჯნული. აფსიდი გეგმით ოდნავ დეფორმირებული ნახევარწრეა. მის გვერდებში სამი მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა (ორი ჩრდ-ითაა – სხვადასხვა დონეზე, ერთი – სამხრ-ით), ღერძზე კი – თაღოვანი სარკმელი. აფსიდის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი.

დარბაზის გრძივი კედლები და კამარა, პილასტრების ორი წყვილითა და მათზე დაყრდნობილი ოდნავ შეისრული საბჯენი თაღებით, სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრები დას. კუთხეებშიცაა. მათ შესაბამისი კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. თაღების ქუსლებთან აგურით გამოყვანილი, ორსაფეხურიანი იმპოსტებია. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ერთი დას. კედელშია – კარის ასწვრივ, ორი – ჩრდ. კედელში. ყველა სარკმელს (აღმ. სარკმლის გარდა) თითქმის თარაზული რაფა აქვს.

მოგვიანებით ეკლ. შეუკეთებიათ: ჩრდ. მხრიდან, კედ-



252. ხედი სამხრ.-დას-იდან

ლის ბოლოში, მიუშენებიათ ნახევარწრიული კონტრფორსი, დაახლ. 70 *სმ*-ით აუმაღლებიათ გრძივი კედლები, რამაც სახურავის ფერდების დახრილობა, თავდაპირველთან შედარებით, რამდენადმე შეამცირა.

2008-09 წლებში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. თვითნებურად გაურემონტებია. რემონტის დროს ეკლესიის შიგნითა კედლები (კამარის ქუსლის დონემდე) ცემენტისა და ქვიშის სქელი ნარევით შეულესავთ და შეუთეთრებიათ. შელესილი და შეთეთრებულია გარეთა კედლებიც. კედლების ზედაპირი, როგორც შიგნით, ისე გარეთ, უსწორმასწოროა, ხორკლიანი. გარედან შელესილობის გარეშე

მხოლოდ შესასვლელების თავზე არსებული, შეღრმავებული არეებია დატოვებული. ეკლესიის სახურავი დაბურულია თუნუქით.

თ. დგალო.

ᲧᲭᲐᲠᲝᲡᲗᲐᲕᲘ

(ნინოწმინდის თემის საკრებულო)


253. ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მრავალწყლისხევის (ჯანგირის) მარცხ. სანაპიროზე, პატარა ტერასაზე. განეკუთვნება ახ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს.

1997 წელს ძეგლზე მცირე, საველე სამუშაოები ჩაატარა კამ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაიწმინდა მშრალი წყობით ნაგები შენობის ორი კედელი (სიმ. 1 *მ*). შენობას დას-იდან მიდგმული ჰქონდა ორი პატარა სათავსი. მოპოვებულ, კერამიკულ მასალაში ჭარბობს მოყვითალო ფერის კერამიკა.

ვ. ვარაზაშვილი.

254. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, წმ. ი ო ა კ ი მ ე ს ა და ა ნ ა ს ეკლესია (2015 წლიდან), არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით ასიოდე *მ*-ზე, შემაღლებულ ადგილზე, ძვ. სასაფლაოს ტერიტორიაზე.


ეკლესიის კედლებში ჩასმულია წარწერებიანი საფლავის ქვები. ჩრდ.-დას.



254. გეგმა

კუთხეში ჩასმულ ქვაზე (ზედაპირით ჩრდ. მხარესაა მიქცეული) ამოკვეთილი წარწერიდან ირკვევა, რომ ქვა საფლავზე 1758 წელსაა დადებული. ცხადია, რომ ეკლ. ამ თარიღის შემდგომაა აგებული. არქიტ. ნიშნებით იგი XIX ს-ით.

ეკლ. დარბაზულია (11,5x7,0 *მ*). აქვს ორი შესასვლელი – დას-იდან და სამხრ-იდან. ორივე კარი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და აგური. კედლები, ძირითადად, რიყის ქვითაა ამ-




254. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ოყვანილი, კირის სქელ დუღაბზე. ქვა თითქმის თანაბარი ზომისაა და დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვნად გამავალ რიგებად. გარეთა კუთხეების წყობაში, მეტწილად, აგურია გამოყენებული, თუმცა, ქვედა ნაწილებში, მას სრულიად დაუმუშავებელი ქვიშაქვის მოზრდილი ქვები და თითო-ოროლა საფლავის ქვა ენაცვლება. კარ-სარკმლები და კონსტრ. ელემენტები აგურისაა. შიგნით კედლები გაჯის სქელი ფენითაა დაფარული, რის გამოც საშენი მასალის განაწილების პრინციპი და წყობის ხასიათი არ ჩანს.

აღმ-ით ნალისებრი აფსიდია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი, საშ. სიმაღლის, ოთხკუთხა სარკმელი, რ-საც ძირი საფეხურებად აქვს დამუშავებული. სარკმლის ორივე მხარეს, იატაკიდან ოციოდე *სმ*-ის სიმაღლეზე, თითო ნახევარწრიულთაღოვანი კარია, რ-ითაც კედლის სისქეში მოწყობილ, მცირე ზომის სათავსში ვხვდებით. მათგან ჩრდ-ით მდებარე – სამკვეთლოა, სამხრ-ით მდებარე კი – სადიაკვნე. სამკვეთლოში შესასვლელი კარის დას-ით, აფსიდის ბოლოში, ოთხკუთხა ნიშაა. სამკვეთლო და სადიაკვნე გეგმით არაწესიერი ფორმისაა. ორივე უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. სამკვეთლო აღმ. კედელში გაჭრილი, ოთხკუთხა სარკმლითაა განათებული, სადიაკვნე კი – უსარკმლოა. ეს უკანასკნელი სამკვეთლოზე ოდნავ უფრო მცირე ფართობისაა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი – სამხრ-ითაა, მესამე – ჩრდ-ით, აფსიდის მხართან ახლოს. სარკმლები დადაბლებული პროპორციებისაა, გარეთკენ შევიწროებული.



254. დას. ფასადი

სამივე სარკმელი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. ნახევარწრიული მოყვანილობისაა კამარაც. აფსიდის თაღის გარდა, იგი ეყრდნობა კიდევ ორ საბჯენ თაღს. მათგან ერთი – დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან. თაღები თხელია. მათ ძირი საფეხურებად აქვს დამუშავებული. დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, აფსიდის მხართან ახლოს, ვიწრო, მაღალი ოთხკუთხა ნიშაა, რ-იც იატაკიდან დაახლ. 30 *სმ* სიმაღლეზე იწყება. მსგავსი ნიშა მის მოპირდაპირედ, ჩრდ. კედელშიცაა. ამ უკანასკნელის დას-ით კი, დაახლ. 1 *მ*-ის მო-

შორებით, კიდევ ერთი ნიშაა მოწყობილი. ოღონდ თაღოვანი.

ფასადებზე ორივე შესასვლელი მარტივადაა გაფორმებული. მორთულობის ელემენტები



254. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. სამხრ. შესასვლელი ორსაფეხურიანი, ორმაგი ლავგარდნითაა დაგვირგვინებული, რ-იც კედლის სიბრტყიდან ოდნავ შეჭრილ პილასტრებს ეყრდნობა. დას. შესასვლელის გვერდებზეც, ისევე როგორც სამხრ. შესასვლელისა, თითო პილასტრია, ოღონდ სამხრ. შესასვლელისგან განსხვავებით, მათზე ლავგარდნის ნაცვლად, ფრონტონია დაყრდნობილი. ორივე კარის ზღურბლი მიწიდან დაახლ. 70 *სმ* სიმაღლეზეა, ამიტომ მათ წინ კიბე იქნებოდა მოწყობილი (ამჟამად არსებული კიბეები გვიანდელია). დას. ფასადზე, შესასვლელის მარცხნივ, ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი, ხოლო ზედა ნაწილში, აგურის წყობის შედრმავებით გამოყვანილი, მაღალი, საფეხურებიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულებაა. მსგავსი ჯვრის გამოსახულებაა აღმ. ფასადზეც. ჯვრის ზემოთ ლილვშემოვლებული, სამი მრგვალი სარკმელია. მათგან ორი – ჯვრის ზედა მკლავის ბოლოს დონეზე, მკლავის აქეთ-იქითაა განლაგებული, ხოლო მესამე – ზედა მკლავის ასწვრივ, ფრონტონის წვერთან. სამივე სარკმელი კონქის თავზე არსებულ სივრცეს აშუქებდა. ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურით ნაწყობი, მარტივი პროფილის, ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

2015 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის

254. სამხრ. შესასვლელი



ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (სამუშაოებს აწარმოებდა შპს „ჯეოგრანტი“): სამხრ. შესასვლელის წინ მოაწყვეს სამსაფეხურიანი კიბე, აღდგა ლავგარდნის დაზიანებული ნაწილები, ეკლესიის დას. კედელზე, სამრეკლოს შემორჩენილ კვადრ. საფუძველზე, აიგო აგურის ოთხწახნაგა ფანჩატური, გარედან, სამხრ. შესასვლელის მარჯვნივ, ამოკვეთეს ოთხკუთხა ნიშა, რ-შიც მოთავსდა ქვის ფილა წმ. გიორგისა და წმ. ნინოს რელიეფური გამოსახულებებით, აიგო კანკელი და ეკლ. შიგნიდან გაჯით შეილესა. გარედან ეკლ. გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 28.

ხაშმი

(საკრებულოს ცენტრი)

255. ხაშმი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, საგარეჯოდან 14 *კმ*-ზე.

მოსახლეობა ძველ (ზემო) ხაშმში XI საუკუნეში კაფარეთიდან ჩამოსახლებულა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში კი აქაურები თანამედროვე ხაშმის ტერიტორიაზე დამკვიდრებულან.

ხაშმი ჭაობის ანაორთქლს ჰქვია. ამ სახელწოდებით სოფელი ისტორიულ საბუთებში XV-XVI საუკუნეებიდან გვხვდება. ერთ-ერთი ვერსიით სოფელმა იგი მიიღო ივრის დაჭაობებულ-დახაშმული ადგილებიდან (შემდგომში ჭაობების ამოშრობით და ბაღ-ვენახების გაშენებით ხაშმი დაძლეულ იქნა). სხვა ვერსიით სახელწოდება ხაშმი შესაძლოა უკავშირდებოდეს ხეობის (სპარსულ წყაროებში კახეთ-ჰერეთი იხსენიება ხამშას ხეობის სახელწოდებით) ან თემურ ლენგის შემოსევების დროს კახეთის მმართველის – ხამშას სახელს.

ხაშმის დაწინაურებასა და განვითარებაში მთავარი როლი მისმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ შეასრულა. იგი მინდვრებით, საძოვრებით, ტყეებით და სარწყავი წყლებით მდიდარ მხარეში მდებარეობდა.

502 წელს ხაშმის სანახებში, ლაჯებაურის ველზე, მეფე ვახტანგ გორგასლის სარდლობით, ქართველთა ლაშქარი სპარსელებს შეებრძოლა. ბრძოლა ქართველებს დაუწყიათ და სპარსელებისთვის დამარცხება უწვნევიათ. ჯუანშერის ცნობით, სწორედ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში „სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა და სასიკვდილოდ დაჭრა“. მტერმაც უდიდესი ზარალი ნახა.

1399 წლის ზამთარში თემურ ლენგმა დალაშქრა კახეთ-ჰერეთი. მტერი დაბანაკდა ძვ. ხაშმის მიდამოებში. ჩაღათაელებმა უმოწყალოდ გაძარცვეს და დაარბიეს ივრისპირეთის სოფლები, გაკაფეს და ძირფესვიანად მოთხარეს ბაღ-ვენახები, მაგრამ ამ მხარის მმართველი ხამშა ხელში ვერ ჩაიგდეს.

1614 წელს კახეთში შაჰ-აბას I-მა ილაშქრა. მისი ჯარის ნაწილი სამების ხევის სოფლებთან, ახლანდ. ხაშმისა და პატარძეულის ტერიტორიაზე დაბანაკდა. ყიზილბაშებმა ქართველების ჯარი ალყაში მოაქციეს. ქართველებმა ალყა კი გაარღვიეს, მაგრამ შაჰ-აბასმა კახეთი დაიკავა.

ივრისპირეთის სოფლებისათვის დიდი უბედურება იყო ლეკიანობა. 1720 წლის აპრილში შემოსულ მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა თეიმურაზ ბატონიშვილი, რ-მაც დიდ წარმატებას მიაღწია. აქ ხაშმელებმა დიდად ისახელეს თავი. ლეკიანობის ახალმა ტალღამ იმძლავრა 1752-1760 წლებში, როცა მოთარეშეებს სათავეში ჩაუდგა ხუნძახის ბატონი ნურსალბეგი. ლეკებთან ბრძოლაში ამჯერადაც გამოიჩინეს თავი ხაშმელებმა. ლეკთა თარეში არც მერე შეწყვეტილა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, 1821 წლის იანვარში „მოვიდნენ ლეკნი ხაშმს, ვიდრე უჯარმამდე“. ქსნის ერისთავის შანშეს მეთაურობით ლეკების 1839 წლის თავდასხმის შესახებ მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“.

XVIII საუკუნეში ხაშმი მოინახულა გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა იოჰან გიულდენშტედტმა. მისი ცნობით ხაშმში სახლების უმეტესობა ქვიტკირისა ყოფილა. მეურნეობის მთავარი დარგი, ისე როგორც მთელ კახეთში, – მევენახეობა იყო. მოგზაური აღნიშნავს, რომ აქ ძირითადად შავი ყურძენი მოჰყავთ.

ხაშმის ყმა-მამული, თავდაპირველად, გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა, შემდეგ წილი კაწარეთის სამების მონასტერმა დაიდო. XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე სამების და ნათლისმცემლის მონასტრებს შორის გამუდმებული დავა მიმდინარეობდა ხაშმის ყმა-მამულზე.

1718 წელს ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვარსა და სამებელ ეპისკოპოსს იმამყული-ხანისათვის თხოვნით მიუმართავთ, რომ მათი დავა გადაეწყვიტა. იმამყული-ხანის დავალებით სახლთუხუცესმა ოთარ საზვერელმა საქმე ისე გაარიგა, რომ ორივე მხარეს ხაშმში დარჩა გარკვეული რაოდენობის ყმა-მამული. ამასთან, სარწყავ წყალზეც თანაბარი უფლებები მიენიჭათ.

XVII საუკუნიდან ხაშმში ჩოლოყაშვილები დამკვიდრდნენ, მას შემდეგ, რაც 1665 წელს არჩილ მეფემ (შაჰნაზარ-ხანი) მათ ყმისა და მამულის წყალობის წიგნი უბოძა. ხაშმში ყმა-მამულს დავითაშვილები და ზაალიშვილებიც ფლობდნენ. XIX საუკუნის დასაწყისის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ აქვე მამულები ჰქონია და ხაშმელებისაგან ღალასაც იღებდა ვინმე ფარსადან ესიტაშვილი.

სამხ.-ადმინ. დაყოფის მიხედვით, ხაშმიდან გამოყვანილი ლაშქარი რუსთველი ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში მყოფი მემარცხენე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა.

ხაშმში ხშირად ჩადიოდნენ ქართლ-კახეთის მეფეები და იქ ყოფნისას განიხილავდნენ სასამართლო დავებს, ადგენდნენ სამართალს. 1777 წლის აპრილის ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ ერეკლე მეფემ ხაშმის შენება იწყო და სოფლიდან გადახვეწილი ყმები უკან დააბრუნა.

ლეკიანობისას ხაშმიდან გაქცეული გლეხები მშვიდობიანობის დროს კვლავ ბრუნდებოდნენ სოფელში.

გაქცეული ყმების დასაბრუნებლად, 1788 წელს ხაშმში მივიდა მებატონე ციციშვილი, მაგრამ მას ხაშმელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ციციშვილი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

კახეთის 1812 წლის აჯანყების დროს, აჯანყებულთაგან საგარეჯოში დამარცხებული რუსის ჯარი, რ-საც გენერალმაიორ პორტნეგინი სარდლობდა ხაშმში მივიდა. კახელებმა გადაწვეს „რუსთა სადგომი და თივანი და მიუხდნენ ხაშმზედ“.პორტნეგინს დამატებით 500 მხედარი მიაშველეს, მაგრამ კახელებმა სასტიკად დაამარცხეს რუსები. ამ ამბების საპასუხოდ, ბაქოდან დაბრუნებული მარკიზ პაულუჩი კახეთს შეესია. ის, უპირველეს ყოვლისა, ხაშმში მივიდა და „მოასვრევინნა უბრალო ქრისტიანენი ვიდრე ასამდე ჩვილითურთ, მსგავსად იროდისა და მუნ მოკლეს ხიშტითა მონაზონი აბაშიძის ასული მარიამ, ოთხმოცი წლის დედაკაცი“.

1905 წლის რევოლუციის დროს ხაშმში, რ-იც ამ დროს ტფილისის მაზრაში შედიოდა, კახეთის სოფლების გლეხობა შეიკრიბა. შეკრებილებმა მთავ-

რობას მოსთხოვეს ოზურგეთის მაზრიდან გენერალ ალიხანოვის დამსჯელი რაზმის დაუყოვნებლივ გამოწვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებით დაიმუქრნენ. მიტინგის ეს მოთხოვნა კავკასიის ხელისუფლებას გლეხთა დელეგაციამ წარუდგინა.

ხაშმში და მის მიდამოებში ჩვენი ეროვნ. კულტ. მემკვიდრეობის არაერთი ძეგლია შემორჩენილი (სამების, წმ. იოანე ნათლისმცემლის და ღვთისმშობლის ეკლესიების კომპლექსები, წმ. გიორგისა და წმ. მარინეს ეკლესიები, ჩოლოყაშვილების სასახლის კომპლექსი და სხვ.). აქ ბევრი თვალსაჩინო პიროვნება მოღვაწეობდა. ხაშმში დაიბადნენ: მწერალი და საზ. მოღვაწე იოსებ იმედაშვილი, ლიტერატურათმცოდნე გაიოზ იმედაშვილი, მწერალი რევაზ ინანიშვილი და სხვ.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 41ბ; 74; 78ა,ბ; 98; 115; 129; 249; 266ვ; 290; 322; 324; 325; 377.

256. ბორანამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, მოგრძო, დას-იდან აღმ-ით მიმართულ ბორცვზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს.

ბორანამოსახლარი ძლიერ არის დაზიანებული, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი თავბრტყელ შემაღლებას წარმოადგენდა, რ-იც ტერასებით იყო გარშემორტყმული. ძეგლზე აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ქ. ფიცხელაური.

257. იოსებ იმედაშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. გაიხსნა 1983 წელს.


სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. შესასვლელი აივნიდანაა. სახლზე მიმაგრებულია მწერლისა და საზ. მოღვაწის იოსებ იმედაშვილის ჭედური პორტრეტი (ავტ. კ. გურული). ექსპოზიციაში ი. იმედაშვილის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდების ამსახველი სურათები და მემორ. ნივთებია გამოფენილი.

ც. ბერძენიშვილი.

ბიბლ.: 321ე.

258. მარანი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 8 კმ-ზე, ნასოფლარ კაწარეთის ტერიტორიაზე, სამების ეკლესიის აღმ-ით, დაახლ. 700 მ-ზე, ტყეში. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ნაგებობა გეგმით ოთხკუთხაა და რამდენადმე აღმ.-დას-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (7,1x5,3 მ). ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით.



258. გეგმა

ძ. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია დას. კედელი. სამხრ. და ჩრდ. კედლები 1,2-1,5 მ სიმაღლეზე დგას, აღმ. კედელი კი – დაახლ. 3 მ სიმაღლეზე. ამ უკანასკნელის გაყოლებაზე მოწყობილია ქვის საწნახელი, რ-იც კედელს მთელ სიგრძეზე არ გაუყვებოდა. ამავე კედლის ჩრდ. ბოლოსთან, სადაც საწნახელი მთავრდება, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი. სამხრ. კედელში კი, ერთ დონეზე, სამი ოთხკუთხა ნიშაა განლაგებული.

ბ. კუპრეიშვილი.

259. მინის საწარმო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სამების ეკლესიის მახლობლად.

ძ. აღმოაჩინა ადგილობრივმა მოსახლეობამ. მასალა წარმოდგენილი იყო ლურჯი და მომწვანო მინის სამაჯურების ფრაგმენტებით და მინის ნაღვენთებით.

ქ. ფიცხელაური.

260. ნაგებობების კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ხუთიოდე კმ-ზე, ლაფიანიხევის (მდ. ივრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, ღვთისმშობლის ეკლესიის დას-ით, დაახლ. 100 მ-ის მანძილზე.


კომპლექსი ვაკეზეა გაშენებული. მასში შედის: სასახლე, კოშკური ტიპის ნაგებობა და სხვადასხვა დანიშნულების, რამდენიმე ნაგებობის ნანგრევი. ნაგებობები ჯგუფად არის განლაგებული. ისინი ერთი დროისაა და სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება.

სასახლე ორსართულიანია. შედგება ერთმანეთზე მიდგმული ორი ნაწილისგან, რ-ებიც ერთმანეთს წყობით არ უკავშირდება. ორივე ნაწილი გეგმით ოთხკუთხაა. ორივე რიყის ქვითა და ნატეხი ქვებითაა ნაგები – კირის დუღაბზე. წყობა არაწესიერია.

ნაგებობები ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვები, პირველი სართულების დიდი ნაწილი ნანგრევებითა და მიწითაა ამოვსებული, ინტერიერში ამოსულია ხეები.

სასახლის სამხრ-ით მდებარე ნაწილი სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (11x6,5 მ). ჩრდ-ით მდებარე ნაწილი კი თითქმის კვადრ. გეგმისაა (8,8x7,5 მ). ორივე ნაწილის ქვედა და ზედა სართულები ერთმანეთთან თითო კარითაა დაკავშირებული.

სასახლის სამხრ. ნაწილის ქვედა სართულს შესასვლელი აღმ-იდან აქვს. შიგნიდან კარის ხის ძელებით, თაღაზულად ყოფილა გადახურული (გარეთა გადახურვა ჩამოშლილია). კარის ჩრდ-ით ოთხკუთხა სარკმელია. მსგავსი სარკმლებია დას. და სამხრ. კედლებშიც.



260. სასახლე. II სართულის გეგმა

ჩრდ. კედელში კარია, რ-იც ჩრდ-იდანვე მიდგმული შენობის ქვედა სართულში გადის. კარის მარჯვნივ (აღმ-ით) მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.

მეორე სართულის შესასვლელიც აღმ. კედელშია მოწყობილი, ოღონდ არა კედლის შუაში, როგორც ეს ქვედა სართულზეა, არამედ ჩრდ. ბოლოსთან. კარი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნით კი ხის, თარაზული გადახურვა ჰქონია. კარის წირთხლებში საურდულე ხვრელებია დატანებული. კარის გარდა, ამ კედელში კიდევ ორი ოთხკუთხა სარკმელი და სამი კვადრ. ნიშაა. ჩრდ. კედელში ოდნავ შეისრული თაღით დასრულებული კარია, რ-იც სართულს ჩრდ-იდან მიდგმული ნაწილის მეორე სართულთან აკავშირებს. კარის ზემოთ ორი კვადრ. ნიშაა. დას. კედლის შუაში, მოგრძო, კედლის სიბრტყის მიმართ ოციოდე *სმ*-ით გამოშვერილი თაროა. ამავე კედელში ბრტყლად გადახურული ორი სარკმელია. თავად სართული გადახურული იყო კამარით (შემორჩენილია ორივე ქუსლის წყობის ნაწილი). სართულშუა გადახურვა გამართული ყოფილა ხის კოჭებზე (გრძივ კედლებზე შემორჩენილია ბუდეები, რ-შიც კოჭები იყო ჩადგმული).



260. სასახლე. ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

სასახლის ჩრდ. ნაწილის ქვედა სართულის შესასვლელიც აღმ-იდანაა. კარი თარაზულადაა გადახურული. კარის თავი თითქმის ჭერის დონეზეა. როგორც ჩანს, ეს სართული დადაბლებულ პროპორციებში იყო გადაწყვეტილი.

მეორე სართულის აღმ. კედელში მოზრდილი, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია, რ-ის ზურგი მთლიანად კედლის ხაზს გარეთაა გასული და ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება. ჩრდ. კედელში პატარა, ოთხკუთხა სარკმელია. სარკმლის აქეთ-იქით კი, იმავე დონეზე, პატარა, ოთხკუთხა ნიშები: აღმ-ით – ერთი, დას-ით – ორი. დას. კედლის ზედა ნაწილში პატარა, ოთხკუთხა სარკმელია. შიგნით კედლების ზედაპირი გასწორებულია თხელი ბათქაშით. სართული გადახურული იყო რიყის ქვით ნაწყობი კამარით (შემორჩენილია ორივე ქუსლის წყობის ნაწილი).

სასახლეს სამხრ-იდან ეკვროდა ნაგებობა, რ-ის ფრაგმენტებიღაა დარჩენილი.


სასახლის სამხრ.-აღმ-ით, ოციოდე *მ*-ზე, ნაგებობის ნანგრევია (სიგ. – 8,2 *მ*-ია, სიგრ. არ დგინდება), რ-ის გეგმის და დანიშნულების დადგენა, გათხრა-გასუფთავების გარეშე, არ ხერხდება. შემორჩენილია ერთმანეთისგან კაპიტალ. კედლით გამოყოფილი, ორი ოთახის კედლების (მაქს. სიმ. 3,5 *მ*-ია) ნაწილები. ოთახები ერთმანეთთან კარით იყო დაკავშირებული, რ-იც მათი გამმიჯნავი კედლის შუაშია გაჭრილი. კარი ერთ-ერთი (სამხრ-ით მდებარე) ოთახის მხრიდან შეისრულთაღოვანია, მეორე ოთახის მხრი-

დან კი თარაზულად იყო გადახურული. საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და აგური. კედლები მთლიანად რიყის ოთახების გამმიჯნავ კედელში გადახურვის კოჭების საყრდენი ბუდეებია. ჰქონდა თუ არა შენობას მეორე სართული, ამის თქმა ძნელია.

კოშკური ტიპის ნაგებობა დგას კომპლექსის სამხრ.-აღმ. ფასადის მხრიდან საფეხურით შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეშია ჩასმული. გარედან, მსგავს არეშია ჩასმული გასასვლელის მეორე თაღიც. გასასვლელის კედლებში, სიმეტრიულად, განლაგებულია სხვადასხვა სიმაღლისა და სიღრმის, შეისრული თაღით დასრულებული, თითო ნიშა. დაბალი ნიშები, მაღალ ნიშებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო ღრმაა. მაღალი ნიშების თაღები საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია მოქცეული. გასასვლელის კამარა, ყველა თაღი და შეღრმავებული არეები გამოყვანილია აგურით.



260. სასახლე. ხედი დას-იდან




260. ნაგებობა სასახლის სამხრ.-აღმ-ით. აღმ. ფასადი. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ქვისაა. აგური გამოყენებულია არქიტ. ელემენტების წყობაში. სამხრ-ით მდებარე ოთახის აღმ. და დას. კედლებში, ერთმანეთის პირდაპირ, ორ-ორი, ოთხკუთხა ნიშა და თითო, ოთხკუთხა სარკმელია. სარკმელი კედლის ზედა ნაწილშია, ნიშები კი ქვედა ნაწილში, სარკმლის ორივე მხარესაა განლაგებული. ოთახის აღმ. და დას. კედლები სიგრძით ერთმანეთის ტოლია. ორივე კედლის სამხრ. ბოლო, დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, სწორია და მოზრდილი ზომის ქვებითაა ამოყვანილი. კედლის ეს ნაწილები, როგორც ჩანს, ადრე ამ ადგილას არსებული ღიობის წირთხლს წარმოადგენდა.

ჩრდ-ით მდებარე ოთახის კედლების უმეტესი ნაწილი დანგრეულია. ოთახის აღმ. კედლის შემორჩენილ ნაწილში ოთხკუთხა, მცირედ შეღრმავებული ნიშაა. თითო მსგავსი ნიშაა ოთახის სამხრ. კედელშიც – კარის ორივე მხარეს.

ორივე ოთახი ბრტყელი ჭერით იყო დასრულებული. განაპირას. ესაა რიყის ქვითა და კვადრ. აგურით ნაშენი, მოზრდილი, ორსართულიანი შენობა, რ-ის ქვედა სართული განიერი, შეისრულკამაროვანი-გასასვლელია, ზედა კი – განცალკევებული სადგომი. ქვედა სართული გარეთკენ მთლიანადაა გახსნილი. ეზოს მხარეს კი – ოდნავ ვიწრო და დაბალი, შეისრული თაღია, რ-იც



260. ნაგებობა სასახლის სამხრ.-აღმ-ით. გეგმა



260. ნაგებობა სასახლის სამხრ.-აღმ-ით. ხედი სამხრ-იდან


ნაგებობის მეორე სართულიდან კედლების მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი. კედლებზე ამოსულია მცენარეულობა, რის გამოც ამ სართულის სტრუქტურის ზუსტად დადგენა, გაწმენდის გარეშე, არ ხერხდება.

შენობას ჩრდ-იდან მიშენებული აქვს რიყის ქვით ნაგები, მასიური კედელი, რ-იც შესაძლოა გალავნის ნაწილსაც კი წარმოადგენდეს, რ-ისგან კვალიც კი აღარაა დარჩენილი. როგორც ჩანს, კედლის ამ ნაწილში შენობის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე იყო მოწყობილი.

კომპლექსის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ნაგებობის ნაშთი შეიმჩნევა.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მდ. ივრის ხეობის აღწერისას, ერთგან აღნიშნავს: „იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას, აწინდელთა კახთა მეპატრონეთა, საზამთროდ ნადირობისათჳს“. დიდი ალბათობით, ავტორს სწორედ ეს სასახლე უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი.

თ. დვალი.



261. გეგმა: 1 - სამების ეკლესია, 2 - სასახლე, 3 - კოშკი-სამრეკლო, 4 - მარანი, 5 - კოშკი-კარიბჭე

ბიბლ.: 115; 475.

261. სამების ეკლესიის კომპლექსი, კ ა წ ა რ ე თ ი ს ა მ ე ბ ა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 8 კმ-ზე, სამების ხევის მარცხ. ნაპირზე, ნასოფლარ კაწარეთის ტერიტორიაზე.

არქეოლ. მასალით მტკიცდება, რომ კაწარეთსა და მის მიდამოებში ადამიანი უხსოვარი დროიდან დასახლებულა. გეოგრაფიული სახელწოდება კაწარეთი ქართულ, წერილობით წყაროებში წმ. ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებითაა მოხსენიებული. ვარაუდობენ, რომ გაქრისტიანებამდე წარმართი სუჯებისა და კუხების რელიგ. ცენტრი კაწარეთში იყო. ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ კუხები და სუჯები სწორედ კაწარეთში მოაქცია ქრისტიანობაზე და აქვე აღმართა ჯვარი. წყაროს მიხედვით, წმ. ნინო „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანეთელთა. და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით“.

261. საერთო ხედი სამხრ-იდან




V-VI საუკუნეების მიჯნაზე, იმ ადგილზე, სადაც წმ. ნინომ ჯვარი აღმართა, წმ. სამების სახელზე ტაძარი ააგეს. სხვა გადმოცემის მიხედვით, ეკლ. მთიელებზე გამარჯვების აღსანიშნავად, ვახტანგ გორგასალს აუგია.

მეცნიერთა ვარაუდით (გ. ჩუბინაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. კაკაბაძე და სხვ.), სამების ტაძარი აგებულია V საუკუნის მიწურულსა და VI საუკუნის დასაწყისში.

კაწარეთში საეპისკოპოსო კათედრა ადრინდ. შუა საუკუნეებიდანვე არსებობდა. ცნობილია, რომ იმ ქართველ ეპისკოპოსთა შორის, რ-ებიც მონაწილეობას იღებდნენ 506

წელს ქალაქ დვინში ჩატარებული საეკლესიო კრების მუშაობაში, კაწარელი ეპისკოპოსი ზაქარიაც იმყოფებოდა.



261. სამების ეკლესია. გეგმა


XIII საუკუნის ერთ-ერთი წყაროს („განგება დარბაზობისა“) თანახმად, ეპისკოპოსთა რიგში კაწარელ ეპისკოპოსს მეოცე ადგილი უკავია. კაწარეთის საეპისკოპოსო ხშირადაა ნახსენები XVI-XVII საუკუნეების ისტ. დოკუმენტებშიც. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კაწარეთში ეპისკოპოსი XVIII საუკუნის I მეოთხედშიც ზის. თავის საისტორიო ნაშრომში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რ-იც XVIII საუკუნის I მეოთხედშია შედგენილი, ბატონიშვილი გეოგრაფიული სახელის კაწარეთის ნაცვლად, მხოლოდ ეკლესიის სახელწოდებას – სამებას იყენებს. მისი ცნობით: „ნინოწმიდას ზეით ერთვის იორს სამებისჭევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე, ვითარცა წინათნი ჭევნი. და ამის შესართავზედ, ხაშმს, ყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონაზონთა. ამას ზეით, ამ ჭევზედ, არს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, სამებისა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქუეყნისა ერწომდე (და იტყჳს გარეჯის უდაბნოს თჳსად)“. საყურადღებოა ის, რომ სამების ეკლესიას იგი გუმბათიანად მოიხსენიებს. შესაძლოა ამის საფუძველი მას ტაძრის ინტერიერში ჩაშენებულმა გუმბათმა შეუქმნა.

1739 წელს ქსნის ერისთავმა შანშემ ლეკთა ჯარით, სხვა სოფლებთან ერთად, კაწარეთიც ააოხრა. მოსახლეობამ სოფ. ხაშმში იწყო ჩამოსახლება. კაწარეთი თანდათან დაცარიელდა და ნასოფლარად იქცა.

ნინოწმინდელი ეპისკოპოსის საბა ტუსისშვილის საბუთის „ანდერძისებრნი ღუაწანის“ მიხედვით ირკვევა, რომ 1778 წლისთვის „კაწარის ეპარქია“ უკვე მოშლილი ყოფილა და სამების ეკლესიის „სამწყსო, ყმა თუ მამული, სადაც რა იყო, ნინოწმიდლისა და რუსთვლის ეკლესიას გაჰყოფოდა დრომდის“.


გამოთქმულია მოსაზრება, რომ კაწარი (კაწარეთი) ქ. უჯარმის ძვ. სახელწოდებაა, სამების ეკლ. კი, XI საუკუნის მწერლის ჯუანშერის მიერ მოხსენიებული, წმ. რაჟდენის სახელობის ეკლ. უნდა იყოს.

XIX საუკუნეში სამების ტაძარი არაერთ მკვლევარს



261. სამების ეკლესია. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

აქვს მიმოხილული (პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, მოხატულობასთან დაკავშირე-




261. სამების ეკლესია. გრძივი ჭრილი ცენტრალურ ნავზე. ხედი სამხრ-კენ

დიმიტრი ფურცელაძე, ა. მურავიოვი). ვახუშტი ბატონიშვილის მსგავსად, ეკლესიას გუმბათიანად მოიხსენიებს ასევე პლატონ იოსელიანიც, რ-მაც იგი 1846 წელს მოინახულა.

1848 წელს სამების ტაძარი აღწერა ა. მურავიოვმა. მისი მონაცემები იმხრივაა საინტერესო, რომ ტაძრის აღწერისას მკვლევარი პალადი ეგზარქოსის მიერ 1885 წელს განხორციელებულ, აღდგენით სამუშაოებამდე (შეაკეთეს დაზიანებული ადგილები, გააგანიერეს აღმ. სარკმლები, სახურავებზე მოხსნეს ლორფინი და იგი კრამიტით შეცვალეს, დაიდგა კანკელი) იძლევა.

1875 წელს კომპლექსი აღწერა დ. ბაქრაძემ. მეცნიერი



261. სამების ეკლესია. სამხრ. ფასადი

ეკლესიისა და სხვა ნაგებობების თარიღს არ ეხება, მაგრამ ცამეტი პატარა, რომელთაგან პირველი – რკინის მოაჯირით, უკანასკნელი კი – უიმისოდ, გაკეთებულია ორი კარი, სახურავი დაფარულია კრამიტით, ხოლო მისგან ჩამოღებულია ქვის ლოდები“.

1924 წელს წერილს აქვეყნებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. სადაც კაწარეთის შესახებ თავმოყრილია თითქმის ყველა ისტ. საბუთი. მკვლევარი ფიქრობს, რომ კაწარეთის საეპისკოპოსო დაარსებული უნდა ყოფილიყო VI საუკუნის დამდეგს. საკუთრივ ტაძარს კი, იგი VII-IX საუკუნეებით ათარიღებს. მისი აზრით, X-XI საუკუნეებში, ტაძარი გარედან თლილი ქვით მოუპირკეთებიათ, XVI-XVII საუკუნეებში კი მოუხატავთ.

XX საუკუნის 20-იან წლებში, ძეგლი გამოიკვლია აკად. გ. ჩუბინაშვილმა. მეცნიერი განიხილავს მის სტრუქტურას, თავისებურებებს და იმ ცვლილებებს, რაც ეკლესიამ დროთა განმავლობაში განიცადა. ისტ. ცნობებზე დაყრდნობით და არქიტ. ანალიზის საფუძველზე, მკვლევარი ძეგლს V საუკუნის დასასრულითა და VI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს.

ეკლესიის ხუროთმოძღვრების ზოგიერთ თავისებურებას ეხება თავის ნაშრომში რ. გვერდწითელი.

1952 წელს, ეკლესიის შიგნით, ტაძრის დას. შესასვლელის ტიმპანის შელესილობაზე, საღებავით შესრულებული წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტები შეისწავლა თ. ბარნაველმა. მკვლევარმა გაარკვია, რომ მოხატულობა შესრულებული ყოფილა ქორონიკონსა „სჳ“, ე. ი. 1518 წელს.

1925 წელს, გ. ჩუბინაშვილის მითითებით, ეკლ. აზომა იმჟამად საქართვ. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტმა ტ. ბეიერმა, 1949 წელს ეკლესიის აზომვითი ნახაზები შესრულ-



261. საერთო ხედი სამხრ-დან

და არქიტექტორ ვ. წილოსანის მიერ. 1955 წელს ეკლ. და დანარჩენი ნაგებობები აზომეს არქიტექტორებმა: მ. დვალმა, რ. ციციშვილმა და გ. ჯაფარიძემ.

1981-82 წლებში ძეგლზე სარესტ. სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ. რ. გვერდწითელი): აღდგა საპირე წყობის და ლავგარდნის მონგრეული ნაწილები, სამივე ნავზე და და კარიბჭეზე მოიხსნა ძვ., ძლიერ დაზიანებული კრამიტის სახურავი და იგი ახლით შეიცვალა, განახლდა აღმ. სარკმლების გარეთა ღიობების მონგრეული ნაწილები.

2006 წელს ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოები გახორციელა საქართ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ (შემსრულებელი: შპს „ფავნისი“): ჩატარდა მონასტრის ტერიტორიის არქეოლ., გეოდეზიური, საინჟინრო და ჰიდროლოგიური გამოკვლევა; ასევე, ეკლესიის მზიდი კონსტრუქციების სტატიკური და დინამიკური გაანგარიშება. კომპლექსის გალავნის გარშემო მოეწყო სადრენაჟო სისტემა, გამაგრდა ეკლესიის კონსტრ. ნაწილები, ლავგარდნის ნაკლული ადგილები, იგივე მასალისა და პროფილის ახალი ქვებით შეივსო ხის ძვ. ნივნივები და კრამიტი შეიცვალა ახლით.



261. საერთო ხედი დას-იდან

კომპლექსში შედის: სამების ეკლ., საცხოვრ. კოშკი, საპისკოპოსო სასახლე,კოშკი-სამრეკლო, მარანი, ცალკე მდგომი კოშკი, გალავანი და სხვ. ნაგებობანი.

სამების ეკლესია მიეკუთვნება V-VI საუკუნეების მიჯნის სამნავიანი ბაზილიკების ჯგუფს. იგი საკმაოდ გრძელი ნაგებობაა (26,5x14,3 მ), რ-იც სწორკუთხა ბოძების ოთხი წყვილით და მათზე გრძივი მიმართულებით გადაჭვანილი თაღებით სამ ნავადაა გაყოფილი. შუა ნავი, განაპირა ნავებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო განიერია და მაღალი. აღმ-ით იგი ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული, გვერდითი ნავები კი – სწორი კედლით. ეკლ. აგებულია პატარა, ზედაპირმოსწორებული,

ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. თაღები ნაწყობია დიდი, სუფთად ნათალი და ერთიმეორეზე კარგად მორგებული ქვიშაქვის კვადრებით. განახლებულ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, აგურიცაა ნახმარი.



261. სამების ეკლესია. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ტაძარი რამდენჯერმეა განახლებულ-გადაკეთებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, თავდაპირველი აღნაგობა თითქმის არა აქვს დარღვეული.

შესასვლელი სამია: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან (ამოშენებულია მოგვიანებით). სამხრ. შესასვლელი (მის წინ მოგვიანებით აგებული კარიბჭეა) მთავარი ნავის შუა თაღის პირდაპირაა გაჭრილი, ჩრდისა – ერთი თაღით – აღმ-ით. სამხრ. და დას. შესასვლელები გარედან ტიმპანითაა დასრულებული, შიგნიდან კი – თაღით, რ-იც სუფთად ნათალი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაწყობი. სამხრ. კარის თაღი ნახევარწრიულია, დას-ისა – ნალისებრი. როგორც ჩანს, მსგავსი აღნაგობა ჰქონდა ჩრდ. კარსაც. იგი გაცილებით ვიწროა. მას ტიმპანის ქვა აღარ აქვს, თაღის არეში კი, პატარა სარკმელია მოწყობილი.

საკურთხეველი, ეკლესიის იატაკის მიმართ ორი საფეხურითაა შემაღლებული. საკურთხევლის სარკმელი განიერია და საკმაოდ მაღალი. აქვს თითქმის პარალელური წირთხლები და მკვეთრად გამოხატული, ნალისებრი თაღი. ნალისებრია კონქის თაღიც, რ-ის ზემოთ, კამარამდე, დაახლ. 3,5 მ სიმაღლის კედელია აღმართული (გ. ჩუბინაშვილის აზრით, ტაძრის შუა ნავის ეს შემაღლება, რამაც მისი თავდაპირველი ფორმების და, შესაბამისად, ბაზილიკის საერთო მასების ცვლილებები გამოიწვია, მშენებლობის პროცესშივე განხორციელებულ ცვლილებებს უნდა უკავშირდებოდეს, რაც ეკლესიის რესტავრაციისას).

აფსიდის გაყოლებით ჩამოსაჯდომი საფეხურია. საეპისკოპოსო ადგილი, ჩვეულებისამებრ, სარკმლის ქვემოთაა. ოღონდ იგი სამსაფეხურიანია. აფსიდის თაღის იმპოსტები ჩვეულებრივი ტიპისაა. მათი პროფილი თაროსა და დახრილი სიბრტყისგან შედგება. ორივე იმპოსტის თაროს ზედაპირი სადაა, დახრილი სიბრტყე კი მცენარეული სახის ჩუქურთმით არის დაფარული. სამხრ. კაპიტელზე, გვერდიგვერდ, ზედაპირის მთელ სიმაღლეზე, ფოთლებია განთავსებული. აფსიდის ჩრდ. კაპიტელის (მარჯვ. ბოლო მომტვრეულია) რელიეფი კი ორი ერთნაირი, მცენარეული(?) რიგის გამოსახულებისგან შედგება. მათ შორის, ერთმანეთზე გადაბმული, ორი რკალით, გორაკებია გამოსახული, რ-ებზეც ვაცი დგას. ორივე კაპიტელზე გამოყვანილი სახეების რელიეფი დაბალია. იგი თითქოს ფონის ზედაპირზეა დადებული.

შუა ნავის კამარა ეყრდნობა ექვს საბჯენ თაღს. საკუთრივ თაღები – კონსოლებს. აღმ. და დას. თაღები შესაბამის კედლებთანაა, ხოლო დანარჩენები – ნავების გამყოფი ბურჯების ასწვრივ.

მთავარი ნავის მთელ სიგრძეზე, ორივე მხარეს, მასი-

261. სამების ეკლესია. ხედი სამხრ.-დას-იდან





261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. ხედი აღმ-კენ

ურ ბოძებზე დაყრდნობილი, ხუთ-ხუთი თაღით შედგენილი რიგია. ყველა თაღი ნალისებრი ფორმისაა, ნაწყობია სუფთად გათლილი, ერთმანეთთან კარგად მორგებული, მომწვანო ან მორუხო-მოყვითალო ქვებით. თაღების სამხრ. რიგის უკიდურესი აღმ. თაღის აღმ. იმპოსტის შვეული ზედაპირი მორთულია ლანცეტისებრი ფოთლებით შედგენილი ზოლით, ხოლო შეზნექილ ზედაპირზე, გვერდიგვერდ განლაგებული, ორ-ორი ნალისებრი ელემენტია, რ-თა მომიჯნავე ბოლოები, ზემოთ, ჰორიზ. ზოლითაა დაკავშირებული. იგივე მოტივითაა გაფორმებული თაღების ჩრდ. რიგის კაპიტელებიც. იმპოსტები მხოლოდ თაღების ქუსლებს კი არ გაუყვება, არამედ ბოძებს გარს უვლის.

მოგვიანებით (სავარაუდოდ, VII-VIII სს-ში), თაღების საყრდენი ბოძების ნაწილი, გვერდითი ნავების მხრიდან, დამატებითი წყობით გაუმაგრებიათ. გარდა ამისა, ჩრდ. თაღედის ხუთივე თაღის და სამხრ. თაღედის დას-ით მდებარე სამი თაღის ზედა ნაწილში, ჩაუშენებიათ თაღები, რ-თა მოხაზულობა თითქმის ნახევარწრიულია. ამ თაღების ზემოთ დარჩენილი არე კი თხელი კედლითაა შევსებული, რ-იც მთავარი ნავის მხრიდან, კედლის სიბრტყის მიმართ, შიგნით არის შეწეული, გვერდითი ნავების მხრიდან კი – კედელთან ერთ სიბრტყეშია. ისინი როგორც ჩანს, გვერდითი ნავების კამარის დამატებით საყრდენს წარმოადგენდნენ. ამავე პერიოდში, ორივე ნავის აღმ. ნაწილში, განივი კედელი ჩაუშენებიათ და განცალკევებული ოთახები გამოუყვიათ, რ-ებიც სამკვეთლოსა და სადიაკვნის ფუნქციას ასრულებდნენ.

მთავარი ნავის გვერდით კედლებში ხუთ-ხუთი თაღოვანი სარკმელია (დას. კიდურა სარკმლები ამოშენებულია). ერთი ოთხკუთხა სარკმელი დას. კედელშია.


მთავარი ნავის კედლები და კამარა შელესილი და მოხატულია. მოხატულობა, გამქრალებულია და დამტვერილი. თუმცა, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშეა შემორჩენილი.

გვერდითი ნავები ვიწრო, გრძელი კორიდორებია. ორივე ნავი, აღმ-ით, სწორი კედლითაა დასრულებული, რ-შიც საკურთხევლის სარკმლის მსგავსი სარკმელია გაჭრილი. დანარჩენი სარკმლები კი გაცილებით მცირე ზომისაა: სამხრ.

261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. ჩრდ.-აღმ. ნიშა



ნავის სამხრ. კედელში სამი სარკმელია გაჭრილი, დას. კედელში – ერთი. ჩრდ. ნავში მხოლოდ ერთი სარკმელია – ჩრდ-ით. ყველა ეს სარკმელი მოგვიანებითაა გაჭრილი, გარდა სამხრ. ნავის ორი სარკმლისა, რ-ებიც შესასვლელის აქეთ-იქითაა განლაგებული.



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. ჩრდ.-აღმ. ნიშა. დეტალი

გვერდითი ნავების კამარები რიყის ქვისაა, არაწესიერი ფორმისა. ისინი დაყრდნობილია კონსოლებზე გადაყვანილ, გაბრტყელებულ, საბჯენ თაღებზე. გარდა ამისა, სამხრ. ნავში, კონსოლებს ქვემოთ, მთავარ ნავსა და გვერდითი ნავის დამაკავშირებელი თაღების სიმაღლეზე, შემორჩენილია სხვა კონსოლებიც.

ჩრდ. ნავში, აღმ-იდან მეორე და მესამე ბურჯს შორის, სამი დამატებითი, დაბალი თაღით (ერთი ჩრდ. კედელზეა მიდებული, ხოლო ორი ნავის გარდიგარდმოა), გამოყოფილია კვადრატი – რვასხივიანი, გუმბათოვანი კამარით; სხივები დამყარებულია კუთხის პატარა ტრომპებზე. გუმბათის წინა ნაწილი ეკლესიის მოხატვისას ჩამოუჭრიათ და ტრომპები მხოლოდ ჩრდ. კედელთანღაა შემორჩენილი. კამარა აგურისაა. თაღები კი – რიყის ქვის. გუმბათოვან კვადრატს აღმ-ით მიშენებული აქვს კონქით გადახურული, ნახევარწრიული აფსიდი (შემორჩენილია მხოლოდ მარჯვ. ნაწილი). კვადრატი ბაზილიკაში დამატებითი საკურთხევლის ფუნქციას ასრულებდა და ხუროთმოძღვრული ნიშნების საფუძველზე, IX საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. ჩრდ. ნავის დას. ნაწილში კამარა, გადაკეთებების გამო, არასწორი მოხაზულობისაა. ჩრდ. ნავი სამხრისაზე რამდენადმე დაბალია, რაც გარეგან ფორმებშიცაა გამოხატული.



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. აფსიდის სამხრ. კაპიტელი

სამხრ. ნავის აღმ. ბოლოში არსებული ოთახი – სადიაკვნე, ნავის მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი. თვით კამარა აქ შეკეთებულია – მისი შუა ნაწილი 1745 წელს ჩამოქცეულა და იგი აგურით აღუდგენიათ. ამ ოთახის ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში, კამარის საფუძვლის დონეზე, კვადრ. ლუკია, საიდანაც საძრომი საკურთხევლის აფსიდის კონქის თავზე არსებულ, ორიარუსიანი სამალავისკენ მიემართება, იქიდან კი, სამკვეთლოს თავზე არსებულ სათავსში გადადის. ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში არსებული სათავსი– სამკვეთლო სიმაღლეში ორ ნაწილადაა გაყოფილი. ქვემოთ სამკვეთლო ოთახია, მის ზემოთ კი – დაბალი, ოთხკუთხა სათავსი, მცირე სარკმლით აღმ-იდან.

XVIII საუკუნეში, როდესაც საკურთხეველი გააფართოვეს და იგი ბოძების პირველ წყვილამდე წამოსწიეს, მათ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი გადაკეთებები განიცადეს. სახელდობრ, ხატების დასაბრძანებლად, ბოძების პირველი წყვილის დას. კედელში, რვაწახნაგოვან ბოძებზე დაყრდნობი-



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. აფსიდის ჩრდ. კაპიტელი

ლი, შეისრულთაღოვანი ნიშები გაკეთდა. ანალოგიური ნიშები გაკეთდა მათ მოპირდაპირედაც – ბოძების მეორე წყვილში. ნიშები საპატიო პირთა დასაჯდომ ადგილებს წარმოადგენდა. მათგან ჩრდ-ისა – ბოძების გარეშეა, სამხრ-ისა კი – ბოძებითაა. ჩრდ.-აღმ. ნიშა, წინიდან და გვერდებიდან, ნალესობაზე გამოყვანილი, მდიდრული კვეთილობით იყო გაწყობილი (ამჟამად აღარ არსებობს. გ. ჩუბი-

ნაშვილის ცნობით, იგი განძის მაძიებლებს გაუნადგურებიათ).

ბაზილიკის ინტერიერი მოხატულია. მხატვრობა დას. შესასვლელის ტიმპანის შე-



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. რელიეფური კომპოზიციის ნაშთი სამხრ.-აღმ. ნიშის ზემოთ

ლესილობაზე შემორჩენილი, საღებავით შესრულებული წარწერის თანახმად (შემორჩენილი იყო მხოლოდ ფრაგმენტები და ქრონიკონის აღმნიშვნელი ასოები „სჳ“), შესრულებულია 1518 წელს. ამჟამად, დაზიანებების გამო, ყველა სცენის და ცალკეული გამოსახულებების გარჩევა და იდენტიფიკაცია გაძნელებულია. მხატვრობა მოიცავს საკურთხევლის ცენტრალურ ნავს და ბურჯების დას. და აღმ. მხარეებს.

საკურთხეველში მხატვრობა ორ რეგისტრადაა დაყოფილი. კონქში წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი, ქვემოთ – წმინდანთა ფიგურები მთელი ტანით (ეს რიგი ნალესობითაა დაფარული). მოხატულობა დასრულებულია ორნამენტის ზოლით (მარმარილოს ფილების იმიტაცია). საკურთხევლის შუბლზე, სატრიუმფო თაღის ორივე მხა-



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ჩრდ. ნავი. ხედი აღმ-კენ

რეს, მოცემულია *ხარება*, ხოლო ცენტრში – *ხატი მანდილისაი*.

ცენტრ. ნავის კამარაში, საბჯენ თაღებს შორის არსებულ მონაკვეთებზე, წარმოდგენილია წმინდანთა ბიუსტები მედალიონებში. აღმ-იდან მესამე მედალიონში ქრისტეა, მეოთხეში – ღვისმშობელი ყრმით. წმინდანთა ბიუსტები მედალიონებში საბჯენი თაღების სოფიტებზეცაა.

ნავის კედლების მოხატულობა ხუთ რეგისტრად იყოფა. სამხრ. კედელზე, პირველ რეგისტრში (აღმ-იდან დას-ის მიმართულებით) მოცემულია: *შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება*. მეორე რეგისტრში სცენების დადგენა არ ხერხდება. თაღებშუა ჩაშენებულ კედლებზე წარმოდგენილია რამდენიმე კომპოზიცია. აღმ-იდან, რიგით მეორე თაღში, გამოსახულია *მენელსაცხებლე დედანი ქრისტეს საფლავთან*, მესამეში – *ბრმათა განკურნება*, მეოთხეში – *სამარიტელი დედაკაცი*.

ჩრდ. კედელზე, პირველ რეგისტრში (დას-იდან აღმ-ის მიმართულებით) გამოსახულია – *ჯვარცმა, ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა, თომას ურწმუნოება, ამაღლება, სული წმინდის მოფენა*. მეორე რეგისტრის სცენების დადგენა არ ხერხდება.



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ჩრდ. ნავი. გუმბათოვანი კამარის ნაწილი

დანარჩენ სამ რეგისტრში, ნავის ჩრდ. და სამხრ. მხარეს, ცალკეულ წმინდანთა ფიგურებია (ბიუსტები მედალიონებში,

261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. საკურთხეველი. კონქის მოხატულობის ფრაგმენტი. ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი



მუხლზევით და მთელი ტანით მოცემული წმინდანები).

წმინდანთა ფიგურები, სიუჟეტები და კომპოზიციები, რ-ებიც შემკულია თაღებში ჩაშენებული კედლები, ნავის ჩრდ. მხარეს, არ გაირჩევა.



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. ბოძების ჩრდ. რიგი. მეორე ბოძი აღმ-იდან. დას. წახნაგი. წმ. იოანე ღვთისმეტყველი

დას. კედელზე გამოსახულია *ღვთისმშობლის მიძინება*, ქვემოთ – წმინდანთა რიგი (გამოსახულებები მოჩარჩოებულია საღებავებით გამოსახული თაღნარით), ხოლო შესასვლელის წირთხლებზე – მთავარანგელოზები. თაღის სოფიტის ცენტრში მოცემულია მცენარეული ორნამენტი. აქვე, ტიმპანის ჩრდ. კუთხეში, დარჩენილია წარწერის ფრაგმენტი, რ-იც შეიცავს ქორონიკონის ორ ასოს (სვ).

ბოძების აღმ. და დას. მხარეებზე წარმოდგენილია ცალკეული წმინდანების ფიგურები. ჩრდ-ით, აღმ-იდან მეორე ბოძის სამხრ. მხარეს, მოცემულია ისტ. პირის (სავარაუდოდ ლევან კახთა მეფე) გამოსახულება სამეფო ტანსაცმელში. მას ხელში უჭირავს ბაზილიკის მოდელი.

შემორჩენილი წარწერების უმეტესი ნაწილი ასომთავრულია, ნაწილი კი – ბერძნ.

მოხატულობის კოლორიტი აგებულია მკვეთრი ლურჯი (ულტრამარინი), ყვითელი, ყავისფერი, მოწითალო-ყავისფერი და მუქი ლურჯი ფერების შეხამებაზე. შარავანდებისათვის გამოყენებულია ოქრო.

გარედან ტაძარი, შუა ნავის გრძივი კედლების გარდა, XIV-XV სს-ში ახ. პერანგით შეუმოსავთ. მოსაპირკეთებლად გამოყენებულია მომწვანო-მოვარდისფრო ტონის, დიდი ზომის, ქვიშაქვის ფილები, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწორხაზოვნად გამავალ რიგებად. დას. და ჩრდ. ფასადების ქვედა ნაწილში და ალაგ-ალაგ, აღმ. და სამხრ. ფასადებზეც (ადამიანის სიმაღლეზე), უფრო გვიანდ. მოპირკეთების ნაწილებიცაა, რ-ებიც მომწვანო ქვებითაა შესრულებული.

აღმ. ფასადის ღერძზე, საკურთხევლის სარკმლის ზემოთ, მსუბუქად პროფილირებული, დიდი ზომის ჯვარია განთავსებული, რ-ის თითოეული მკლავის ბოლოსთან თითო, დამოუკიდებელი გირჩია. ფასადის ჩრდ. ნაწილში, სამკვეთლოს სარკმლის ზემოთ, სამკვეთლოს თავზე არსებული სათავსის თაღოვანი სარკმელია, რ-საც ოთხი წვრილი ლილვისგან შედგენილი მოჩარჩოება აქვს. ასეთივე მოჩარჩოების მქონე ქვაა ჩასმული მთავარი ნავის ფასადზეც, ჯვრის ჩრდ. მკლავის ზემოთ, ოღონდ ამ ადგილას სარკმლის ხვრელობის არ არის.

სამხრ. მხრიდან მხოლოდ შესასვლელია მორთული, რ-ის წინ, ეკლესიის ახ. პერანგით შემოსვის დროს (XIV-XV სს.), იმავე ქვებით აგებული იყო კარიბჭე. საკუთრივ შესასვლელი პროფილირებულ (ორ



261. სამების ეკლესია. ინტერიერი. ცენტრალური ნავი. ბოძების სამხრ. რიგი. მესამე ბოძი აღმ-იდან. წმინდანები (მარჯვნივ წმ. ორესტე)

ლილვს შორის მოქცეული ამოზნექილი ზედაპირი), ნახევარწრიულთაღოვან ჩარჩოშია ჩასმული, რ-ის გვერდებზე (ტიმპანის დონეზე) მოთავსებულია თითო გირჩი. ტიმპანზე კი, რე-

ლიეფური ჯვრის გამოსახულებაა. სამხრ. ნავის და კარიბჭის კედლების ცალკეული ნაწილები XVIII საუკუნეში აგურით შეუკეთებიათ. კარიბჭის კამარა უფრო გვიანდელია, შუა ნაწილში იგი სხმულია.

პროფილირებული მოჩარჩოება აქვს დას. შესასვლელსაც, აქაც ტიმპანში ჯვარია გამოსახული, კარის გვერდებზე კი წნულ ჩარჩოში ჩასმული, ჯვრიანი კვადრატებია. მოჩარჩოებულია



261. სამების ეკლესია. კარიბჭე. ინტერიერი. ეკლესიის სამხრ. შესასვლელი

სარკმელიც. მის თავზე ჯვრის რელიეფული გამოსახულებაა.

ჩრდ. ფასადი სრულიად გლუვია. კარი, როგორც ჩანს, მოპირკეთების დროსვეა ამოშენებული.

ეკლესიის კედლები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს.

ეკლესიას გარს ევლება ოთხკუთხა მოხაზულობის, მაღალი გალავანი (სიმ. დაახლ. 5 მ-ია). გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში დგას კუთხური გეგმის მქონე, საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა, რ-იც ერთმანეთთან სწორი კუთხით დაკავშირებული, ორი გრძელი ფრთისგან შედგება (აღმ. ფრთის სიგრ. დაახლ. 42 მ-ია, სამხრ-ისა კი – 28 მ). აღმ. ფრთაში ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ნაგებობაა განთავსებული – საეპისკოპოსო სასახლე, კოშკი-სამრეკლო



261. სამების ეკლესია. დას. ფასადი. ცენტრალური ნავის სარკმელი

და მარანი. სამხრ. ფრთაში კი განივი კედლებით გამიჯნული, დამოუკიდებელი სამი ოთახია. შენობის ორივე ფრთის გარეთა კედლები გალავნის შესაბამის კედლების ხაზზეა და მის ნაწილს წარმოადგენს.

ნაგებობები ძლიერი დაზიანებებითა და გადაკეთებებითაა მოღწეული. მათი დიდი ნაწილი ჩახერგილია, რის გამოც მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის და ზოგიერთი ნაგებობების დანიშნულების ზუსტად გარკვევა, გათხრა-გასუფთავებისა და სათანადო სამუშაოების ჩატარების გარეშე, არ ხერხდება.

საშენ მასალად, ძირითადად, რიყის ქვა და ქვიშაქვის ნატეხი ქვაა გამოყენებული.კოშკის არქიტ. ელემენტები და კონსტრ. ნაწილები უმთავრესად აგურისაა. გარდა ამისა, აგური ზოგიერთი ნაგებობის როგორც კედლებში, ისე კონსტრ. ელემენტებში და აქა-იქ, მოგვიანებით აღდგენილ ნაწილებშიცაა ნახმარი.

ნაგებობებიდან თავისი ზომებითა და დამუშავებით გამოირჩევა სასახლე, რ-იც აღმ. ფრთის სამხრ. ბოლოშია მოქცეული. თავად შენობა სტილით VIII-IX საუკუნეების ფეოდ. სასახლეების მსგავსია და ამავე ხანებში უნდა იყოს აგებული. იგი ორსართულიანია (შიგნითა ზომები: სიგრ. – 17,3 მ, სიგ. – 6,9 მ). შესასვლელი (მოგვიანებით ნაწილობრივ ამოუშენებიათ) ეზოდან, დას-იდან აქვს. კარი თაღოვანია (თაღს გადაკეთების კვალი ეტყობა). კარის გარდა, ამ კედელში კიდევ სამი, ოთხკუთხა სარკმელია. ორი მსგავსი სარკმელია გაჭრილი სამხრ. კედელშიც. აღმ. კედლის შუაში დიდი ზომის, გეგმით ნახევარწრიული ბუხარია, რ-იც თითქმის მთლიანად კედლის ხაზს გარეთაა გასული და ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება ისე, რომ იგი გარედან კონტრფორსს წააგავს. ჩრდ. კედლის შუაში კარია (გვერდები მონგრეული აქვს), რ-იც ამ მხრიდან მიდგმული კოშკის ქვე-




261. სამების ეკლესია. დას. ფასადი. შესასვლელი

და სართულში გადის. მოგვიანებით, სართულის სამხრ. ნაწილში კედელი ჩაუშენებიათ და სამხრ. ბოლოში კვადრ. ოთახი (5,5x5,5 მ) მოუწყვიათ.



261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. ხედი ჩრდ.-დას-იდან


სასახლის მეორე სართული წარმოადგენს ერთიან, დიდ დარბაზს. იგი ეზოს მხარეს (დას-ით) გახსნილი იყო გვერდით (ჩრდ. განაპირა) თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. მომდევნო ორში, ოთხკუთხა, გაცილებით მცირე ზომის სარკმელია ჩაშენებული, ხოლო მეოთხე (შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. ნახევარი) ამოშენებულია, სავარაუდოდ, შენობის სამხრ. ფრთის მშენებლობის დროს, რადგან, ამ უკანასკნელით, სასახლის დას. კედლის დიდი ნაწილი (ამჟამად დანგრეულია) იყო დაფარული, მ.შ. სარკმლის სამხრ. ნახევარიც. სართულის სამხრ. კედელში საშ. ზომის, ორი ოთხკუთხა სარკმელია. დასით მდებარე სარკმლის გვერდით (დას-ით), 30-40 *სმ* მანძილზე, ქვიშაქვის მოგრძო ქვებით გადახურული ღიობის (მოგვიანებით ამოუშენებიათ) აღმ. წირთხლია შემორჩენილი. სართულის აღმ. კედლის შუა ნაწილში ერთი განიერი, ბრტყლად გადახურული სარკმელია. ამავე კედლის ჩრდ. ნაწილში კი – სამკუთხა ნიშა. სასახლის პირველი სართულის მსგავსად, ეს სართულიც კოშკთან იყო დაკავშირებული. კარი (ამოშენებულია ყორით) ჩრდ. კედლის შუაშია. გადახურვა მას ჩამონგრეული აქვს. მეორე სართუ-




261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. II სართულის გეგმა (ვ. წილოსნის მიხედვით)

დიგვერდ განლაგებული, სამკუთხა თაღით გადახურული, რამდენიმე (სავარაუდოდ, ოთხი) ღიობით, რ-თა ძირი იატაკიდან სამოციოდე *სმ*-ის სიმაღლეზეა.

261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. გრძივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ (ვ. წილოსნის მიხედვით)



ლის იატაკი დაფენილი იყო განივად გადებულ, ხის დიდი ზომის კოჭებზე – აღმ. და დას. კედლებზე შემორჩენილია კოჭების საყრდენი ბუდეები. სასახლე გადახურული იყო ორკალთა სახურავით, რ-იც, შემორჩენილი კვალის საფუძველზე, ხის კოჭებზე უნდა ყოფილიყო გამართული.




261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. ჭრილი სასახლეზე. ხედი ჩრდ.-კენ (ვ. წილოსნის მიხედვით)

კ ო შ კ ი სასახლეზე ჩრდიდანაა მიდგმული. შენობა გეგმით აღმ-დას-ის მიმართულებით წაგრძელებული ოთხკუთხედია (გარეთა ზომები: სიგრ. – 9,1 მ, სიგ. – 4,7 მ), ოთხსართულიანი. მისი პირველი და მეორე სართული ერთიანი სივრცეებია. მესამე – თანაბარი ფართობის ორი ოთახისგან შედგება, ხოლო მეოთხე – სამრეკლოა, რ-იც მესამე სართულის ერთ-ერთი (დას-ით მდებარე) ოთახის თავზეა მოგვიანებით დადგმული. გვიანდ. სამშენ. სამუშაოების კვალი კოშკის ქვედა ორ სართულსაც აშკარად ეტყობა. ამ დროს, კოშკის გრძივ კედლებზე, მდგრადობის გაძლიერების მიზნით, მიუშენებიათ თხელი კედლები, რ-ებზეც კამარაა გადაყვანილი. კოშკის პირველ სართულს შესასვლელი დასიდან აქვს. კედელი ამ ადგილას განგრეულია და კარის გადახურვის ფორმა არ დგინდება. კარის ზღურბლი კი მიწის ზედაპირიდან დაახლ. 0,8 მ-ის სიღრმეზეა. სამხრ. და ჩრდ. კედლების შუაში თითო თაღოვანი კარია. მათგან სამხრ-ისა სასახლის პირველ სართულში გადის, ჩრდ-ისა კი – მარანში, რ-იც კოშკს ჩრდ-იდან ეკვრის. სართულის ჩრდ. კედლის დას. ნაწილში მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. სართული გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რ-იც ძვ. კამარის ფორმას იმეორებს. კამარა, კედლების გარდა, ეყრდნობა ერთ შეკიდულ, საბჯენ თაღს. კამარაც და თაღიც აგურისაა.

კოშკის მეორე სათულის შესასვლელი ჩრდ. კედლის დას. კიდეშია მოწყობილი. შესასვლელს, გარედან, რიყის ქვით ნაგები, მრავალსაფეხურიანი კიბე ადგება, რ-იც მარნის დას. კედელზეა მიშენებული. კარი თაღით ყოფილა დასრულებული (შემორჩენილია აღმ. ქუსლის წყობის ნაწილი). ჩრდ. კედელში მეორე კარიცაა. ამ კარით სართული მარნის თავზე არსებულ სადგომს უკავშირდებოდა. კარი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, სადგომის მხრიდან იგი ხის ძელებით, თარაზულად იყო გადახურული. ნახევარწრიული თაღით იყო დასრულებული (შემორჩენილია თაღის აღმ. გვერდი) სართულის სამხრ. კედელში გაჭრილი კარიც, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ. აღმ. და დას. კედლებში თითო დაბალი, თითქმის კვადრ. ფორმის სარკმელია გაჭრილი. ეს სართულიც პირველი სართულის მსგავსი კამარითაა გადახურული.

კოშკის მესამე სართული სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან შედგება, რ-თა შორის შედარებით უფრო ადრინდ., როგორც ჩანს, აღმ-ისაა, თუმცა, მათ შორის დიდი ქრონოლ. შუალედი არ ჩანს. სხვაგვარია ამ ნაწილთა საშენი მასალაც: აღმ. ნაწილის კედლების წყობაში, მეტწილად, ქვიშაქვის დამუშავებული ქვებია გამოყენებული (წყობაში ალაგ-ალაგ ჩატანებულია აგურიც). დას.



261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. ჭრილი კოშკზე. ხედი ჩრდ-კენ (ვ. წილოსნის მიხედვით)


ნაწილის კედლები კი თითქმის მთლიანად რიყის ქვისაა. სართულის აღმ. ნაწილის სამივე კედელში თითო განიერი, აგურით გამოყვანილი, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობია (მოგვიანებით აღმ-ისა სანახევროდ ამოუშენებიათ). დას. ნაწილის დას კედელში კი – ოთხკუთხა სარკმელი, რ-ის ასწვრივ ოთხკუთხავე, ოღონდ გაცილებით ვიწრო სარკმელია. მსგავსი სარკმელია მოწყობილი სამხრ. კედელშიც. სართულის ორივე ნაწილი ერთმანეთს განიერი თაღით უკავშირდება. ორივე ნაწილი გადახურულია აგურით ნაწყობი, ოდნავ შეისრული ფორმის კამარით.

თუ როგორ ხვდებოდნენ კოშკის ამ სართულზე, ამჟამად გაურკვეველია. როგორც ჩანს, კოშკის მესამე და მეორე სართულები ამ უკანასკნელის კამარაში მოწყობილი ხვრელით უკავშირდებოდა, რაც ამ ტიპის ნაგებობებისთვის სრულიად ბუნებრივია.

კოშკის აღმ. ნაწილი გარედან ორკალთა სახურავითაა გადახურული. ჩრდ. ფასადზე, სახურავის კალთის ძირში, შემორჩენილია ლავგარდნის მოგრძო ქვიშაქვის ქვა, რ-ის პროფილს თარო, შეზნექილი ზედაპირი და ლილვი შეადგენს.

ს ა მ რ ე კ ლ ო კოშკის დას. ნაწილზეა დაშენებული. იგი გეგმით ოთხკუთხაა და თითქმის მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. მისგან, მთელ სიმაღლეზე, მხოლოდ სამხრ. კედელიღა დგას. დან-


261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. დას. ფასადი (ვ. წილოსნის მიხედვით)



არჩენი კედლებიდან კი მცირე ნაწილებია შემორჩენილი. სამრეკლო აღმ-ით და დას-ით გარეთკენ შვერილი, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული, ზურგით. ბუხრის ორივე მხარეს, მოგვიანებით მიშენებულ კედელში, თითო, ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. დას. კედელში გამიჯნული. ამ სართულის გრძივი კედლებიდან მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი. მთელ



261. ნაგებობა გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში. ხედი სამხრ.-დას-იდან




261. კოშკი-კარიბჭე. I სართულის გეგმა

თითქმის მთელ სიგანეზე იყო გახსნილი, სამხრ-ით და ჩრდ-ით კი – თითო ვიწრო, თაღოვანი ღიობით. როგორც ჩანს, სამრეკლო გადახურული იყო ორკალთა სახურავით.


მოგვიანებით, კოშკისთვის ჩრდ-იდან მიუდგამთ მოგრძო (სიგრ. დაახლ. – 18 *მ*, სიგ. – 7 *მ*), ორსართულიანი ნაგებობა, რ-ის ორივე სართულს შესასვლელი კოშკის შესაბამისი სართულიდან აქვს. ნაგებობის პირველი სართულზე ანფილადურად განლაგებული, სხვადასხვა ფართობის სამი ოთახია, რ-ებიც თითო გასასვლელით უკავშირდება ერთმანეთს. სამხრ-ით მდებარე ოთახში, რ-იც ფართობით ყველაზე დიდია, მარანია, დანარჩენი ორი კი – სამეურნეო დანიშნულებისაა. მარნის გრძივი კედლები, კოშკის პირველი და მეორე სართულების გრძივი კედლების მსგავსად, მათზე მიშენებული აგურის თხელი კედლებითაა გამაგრებული, რ-ებზეც კამარაა დაყრდნობილი. მარნის აღმ. კედელში გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარია, კი, ორი სარკმელი და ორი ოთხკუთხა ნიშაა. მ. შ. სარკმლები და ერთი ნიშა, თავდაპირველ კედელშია, ერთი ნიშა კი გვიან მიშენებულ კედელში. მარნის ჩრდ. კედელში კარია, რ-იც მას გვერდით მდებარე, სამეურნეო დანიშნულების, კამაროვან ოთახთან აკავშირებს. ამ ოთახის დას. კედელში ოთხკუთხა სარკმელია, ჩრდ. კედელში კი – კარი, რ-იც სართულის ჩრდ. კიდეში მდებარე, პატარა, ოთახში გადის. იგი გეგმით თითქმის კვადრატულია. განათებულია ერთი ოთხკუთხა სარკმლით, რ-იც დას. კედლის შუაშია გაჭრილი. ოთახის აღმ. კედელში ვიწრო, სამკუთხა თაღით გადახურული კარი და ორი კვადრ. ნიშაა. კარით ოთახი მცირე ზომის, ყრუკედლებიან, ოთხკუთხა გეგმის მქონე სათავსს (სარდაფი?) უკავშირდება. ეს სათავსი გალავნის ხაზს გარეთაა „გასული“ და მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი.

შენობის მეორე სართულზე, თითქმის თანაბარი ფართობის ორი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთისგან კედლით არის სიმაღლეზეა შემორჩენილი მხოლოდ ჩრდ-ით მდებარე ოთახის ჩრდ. კედელი და სამხრ-ით მდებარე ოთახის სამხრ. კედელი, რ-იც კოშკზეა მიყრდნობილი. ამ უკანასკნელში კოშკის მეორე სართულთან დამაკავშირებელი კარია. იგი ოთახის



261. კოშკი-კარიბჭე. II სართულის გეგმა

მხრიდან თარაზულადაა გადახურული (შემორჩენილია ფიცრული გადახურვის კვალი). ოთახის აღმ. კედელში გეგმით ნახევარწრიული ბუხარი, ორი ვიწრო, გარეთკენ შევიწროებული სარკმელი და ერთი პატარა, ოთხკუთხა ნიშაა. დას. კედელ-



261. კოშკი-კარიბჭე. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ში კი – ორი ოთხკუთხა სარკმელი, რ-ებსაც პარალელური წირთხლები აქვს. ოთახის ჩრდ. კედლის შუაში, ჩრდ-ით მდებარე ოთახში გამავალი კარია (აღნიშნულია ვ. წილოსანის მიერ 1949 წელს შესრულებულ, აზომვით ნახაზზე). ჩრდ-ით მდებარე ოთახის ჩრდ. კედელში საშ. სიმაღლის ოთხკუთხა სარკმელია. ორი სარკმელია დას. კედელშიც. ორივე ოთახი გადახურული იყო ოდნავ დადაბლებული პროპორციების მქონე კამარით (კარის მოხაზულობა ჩანს სამხრ-ით მდებარე ოთახის სამხრ. კედელზე), რ-იც გრძივი კედლების გარდა, აგურით ნაწყობ ერთ შეკიდულ, საბჯენ თაღსაც ეყრდნობოდა.

ნაგებობის სამხრ. ფრთა (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 28 მ, სიგ. – 7 მ) ორსართულიანი ყოფილა. სამივე ოთახი თითქმის თანაბარი ფართობისაა და ერთმანეთისგან ყრუ კედლებით არის გამიჯნული, რ-ებიც გრძივ კედლებს წყობით არ უკავშირდება (გვიანდელია?). თითოეულ ოთახს შესასვლელი ეზოდან, ჩრდ-იდან აქვს. სამივე კარი ბრტყლად ყოფილა გადახურული. დას-ით მდებარე ოთახის დას. კედელში, ორი მცირე ზომის, ოთხკუთხა სარკმელია. სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (გრძივ კედლებზე შემორჩენილია ხის კოჭების საყრდენი ბუდეები).


სამხრ. ფრთის მეორე სართულის კედლები თითქმის მთლიანადაა დანგრეული. კედლებიდან, ყველაზე მეტ სიმაღლეზე, დას-ით მდებარე ოთახის დას. კედელია შემორჩენილი. მასში, სხვადასხვა სიმაღლეზე, გაჭრილია მცირე ზომის სამი სარკმელი (ორი მათგანი კედლის ზედა ნაწილშია, ერთ დონეზე, მესამე – მათ შორისაა, ოდნავ ქვემოთ).

სამხრ. ფრთის დას-ით მდებარე ოთახზე, გარედან (სამხრიდან), მიყრდნობილია რიყის ქვითა და ნატეხი ქვით ნაშენი, გეგმით ოთხკუთხა (6,7x5,0 მ) ნაგებობა, რ-ის აღმ. და დას. კედლებში ორ-ორი, მცირე ზომის, ოთხკუთხა სარკმელია, სამხრ. კედელში – ერთი.

კომპლექსის შემომფარგვლელი გალავნის დას. კედელში ჩართულია გვიანდ. შუა საუკუნეების სამსართულიანი კოშკი. გეგმით იგი თითქმის კვადრატულია (5,8x5,2მ) და ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება. კოშკი რიყის ქვითა და კირის სქელი დუღაბითაა ნაგები. ქვები საშ. ზომისაა. კუთხეებში, მოზრდილი, მეტ-ნაკლებად შერჩეული, რიყის ქვებიცაა ჩატანებული. აქა-იქ გამოყენებულია აგურიც. შენობა ამჟამად ძლიერ გადაკეთებული და სახეშეცვლილია. კედლების აღდგენილი ნაწილები, თავდაპირველი ნაწილებისგან, როგორც ფერით, ისე წყობის ხარისხითაც ძლიერ განსხვავდება.

პირველი სართული ცილინდრული კამარით გადახურულ გასასვლელს წარმოადგენდა (ამჟამად ოთახადაა გადაკეთებული). გასასვლელის თაღები მოგვიანებითამოაშენეს და მიღებულ ოთახს, ეზოს მხრიდან, კარი შეაბეს.

მეორე (საცხოვრ.) სართულის შესასვლელი სამხრ. კედლის დას. კიდეშია მოწყობი-



261. კოშკი-კარიბჭე. აღმ. ფასადი

ლი. შესასვლელს წინიდან ქვის კიბე ადგება, რ-იც გალავანზეა მიშენებული. სართულის აღმ. კედელში ორი ფართო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია, მათ შორის კი – გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი ბუხარი. მსგავსი თითო სარკმელი სართულის დანარჩენ კედლებშიცაა (ყველა ამოშენებულია). გარედან სარკმლების ღიობები გამოყვანილია აგურით.



261. კომპლექსის საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან. წინა პლანზე: კოშკი-კარიბჭე.

მეორე სართული, პირველის მსგავსად, ცილინდრული კამარითაა გადახურული. კამარის ჩრდ. გვერდის დას. კიდეში, ქუსლის დონეზე, მესამე სართულზე ასაძრომი, სწორკუთხა ხვრელია.

კოშკის მესამე სართული საბრძოლოა. იგი წრისებრი მოხაზულობისაა. აღმ. და დას. კედლებში თითო ფართო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სამხრ. კედელში ორი სათოფურია მოწყობილი. ერთი სათოფური ამოსაძრომი ხვრელობის ზემოთაცაა. ამ ნაწილში კედელი შეღრმავებულია, როგორც ჩანს, სართულშუა კავშირის გასაადვილებლად. სართული გუმბათოვანი კამარითაა გადახურული.

გარედან კოშკი დაბურულია თუნუქით.

2006 წელს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანების (№665) საფუძველზე, კომპლექსს მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ფ. დეკანოზიშვილი, თ. დვალი.


ბიბლ.: 14; 115; 193; 221; 255; 266ვ; 325; 343; 462; 475.

262. ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ხუთიოდე კმ-ზე, ლაფიანიხევის (მდ. იფრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, მთის ძირში, ვაკე ადგილზე.

კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლ., კოშკი, მარანი, საცხოვრ. შენობა და გალავანი. ეკლ. XV ს-ით თარიღდება, მოხატულია მოგვიანებით (სავარაუდოდ, XVI ს-ში). ამავე ხანებს განეკუთვნება დანარჩენი ნაგებობებიც.

ღვთისმშობლის ეკლესია დგას კომპლექსის ეზოს შუაში. ნაგებია კარგად გათლილი, მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კვადრებით. წყობა მეტწილად წესიერია. თუმცა, ქვის დამუშავებისა და წყობის ხარისხი, წინა საუკუნეების ძეგლებთან შედარებით, უფრო დაბალია. შენობის შიგნითა კედლებიც ნათალი ქვითაა შემოსილი.

ეკლ. დარბაზულია (11,5x7,4 *მ*). აქვს ორი შესასვლელი: დასიდან და სამხრ-იდან. ორივე კარი გარედან მოზრდილი არქიტრავით თარაზულადაა გადახურული. შიგნით კი – ნახევარწრიული თაღით. აღმ-ით, ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც გაჭრილია ვიწრო, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული, კვერცხისებრი ფორმის თაღით დასრულებული სარკმელი. სარკმლის ჩრდ-ით, იმავე დონეზე, განიერი (სიგ., დაახლ. 1 *მ*-ია), გეგმით ელიფსის მოყვანილობის, მაღალი, თაღოვანი ნიშაა, სამხრ-ით კი – იატაკის დო-



262. საერთო ხედი სამხრ-იდან


ნეზე, მცირე ზომის, სწორკუთხა, ნიშა-სამალავი. საკურთხევლის სარკმლის წინ დგას მოზრდილი, ოთხკუთხა ტრაპეზი. აფსიდი დასრულებულია კონქით, რ-ის თაღი დადაბლებული პროპორციისაა. თაღის ზემოთ, კამარამდე, დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლის

კედელია აყვანილი. სატრიუმფო თაღი ემყარება აფსიდის მხრების დამაგვირგვინებელ კაპიტელებს, რ-თა პროფილს თარო და შეზნექილი ზედაპირი შეადგენს. საკურთხევლის იატაკი, დარბაზის იატაკის მიმართ, ერთი საფეხურითაა ამაღლებული, აფსიდის მხრების ხაზიდან, დაახლ. 1 მ-ით, წინაა წამოწეული და შუაში სწორკუთხა ამბიონი აქვს მოწყობილი. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ვიწრო პილასტრია, რ-ებიც შესაბამის კედლებს ორ არათანაბარ ნაწილად ჰყოფს (დას. ნაწილი თითქმის ორჯერ უფრო განიერია აღმ-ისაზე). თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. პილასტრები კაპიტელითაა დასრულებული, რ-ებსაც აფსიდის მხრების კაპიტელების მსგავსი პროფილი აქვს. პილასტრებს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა. იგი კვერცხისებრი მოყვანილობისაა (იგივე ფორმისაა კამარაც). დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღი ნახევარწრიულია. მის ზემოთ, კამარამდე, მაღალი კედელია აყვანილი.


საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ერთი, დას. კედელში გაჭრილი, ოთხკუთხა სარკმელიც აშუქებს.

ეკლესიის ინტერიერი შელესილი და მოხატული ყოფილა. ამჟამად ნალესობის დიდი ნაწილი ჩამოცვენილია. ალაგ-ალაგ შემორჩენილი მხატვრობის დაზიანებული ფრაგმენტები ძნელად გასარჩევია. საკურთხევლის ჩრდ. ნაწილში ანგელოზის ფრთაა შემორჩენილი, ნიშის კედელზე – ორი ექვსფრთედის სილუეტი, სარკმელში – სამი მედალიონი, დას. კედლის ჩრდ. მონაკვეთში – ტანსაცმლის ფრაგმენტი. ქვედა რეგისტრი იატაკიდან გამოყოფილია ორნამენტის ზოლით. კოლორიტში გაბატონებულია სუფთა და ღია ფერები – ოქროსფერი ოქრა, მოწითალო-აგურისფერი, თეთრი, ცისფერი.


ეკლესიის გარეგნობა მარტივია, მორთულობა – ძუნწი. ფასადებზე კარი დაბალი რელიეფით გამოყვანილ ჩარჩოშია ჩასმული. ყველა ჩარჩო ერთნაირი პროფილისაა – ლილვებს შორის მოქცეული, ოდნავ ამოზნექილი ზედაპირი. საკუთრივ ღიობს ცალმაგი ლილვი ეკვრება, ჩარჩოს გარეთა ნაწილი კი ორმაგი ლილვითაა შედგენილი. ორივე შესასვლელის



262. გეგმა. 1. ღვთისმშობლის ეკლ., 2. კოშკი, 3. მარანი, 4. საცხოვრ. შენობა, 5. ნაგებობის ნანგრევი, 6. გალავანი, 7. შესასვლელი



262. ღვთისმშობლის ეკლ. გეგმა



262. ღვთისმშობლის ეკლ. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



262. ღვთისმშობლის ეკლ. დას. ფასადი

და აღმ. სარკმლის მოჩარჩოება თაღოვანია, დას. სარკმლისა კი – ოთხკუთხა. შესასვლელების არქიტრავზე თითო ტოლმკლავა,




262. ღვთისმშობლის ეკლ. ინტერიერი. დას. კედელი

რელიეფური ჯვარია გამოსახული. ფასადები დასრულებულია ქვიშაქვის ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს. შენობა დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე და გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით.

კ ო შ კ ი გალავნის დას. ნაწილშია ჩართული. ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და აგურით, რ-იც მეტწილად, გარეთა კუთხეებში, კონსტრ. ნაწილებში და არქიტ. ელემენტების წყობაშია გამოყენებული. კედლები შიგნიდან შელესილია, გარედან კი მოქვითალო ფერის კირის წმ. ხსნარითაა გასწორებული.


კოშკი გეგმით კვადრატულია (4,3x4,3 *მ*), სამსართულიანი. იგი ზემოთკენ სწორხაზოვნად ვიწროვდება და ორკალთა, ღარისებრი კრამიტით დაბურული სახურავი ხურავს.კოშკის პირველი სართული შეისრულკამაროვან გასასვლელს წარმოადგენს და კარიბჭის ფუნქციას ასრულებს. ეზოს მხარეს (აღმ-ით) სართული მთლიანადაა გახსნილი, გარეთა მხარეს კი მოწყობილი აქვს თაღოვანი კარი, რ-იც გარედან კედლის შეღრმავებულ, კბილანა ფრიზით დასრულებულ, სწორკუთხა არეში ხის. შიგნით, კარის გვერდებზე, თითო ღრმა, თაღოვანი უბეა (სიმ. – 1,7 *მ*, სიგ. – 0,7 *მ*, სიღრმე – 0,7 *მ*), რ-ებშიც ორ-ორი სათოფურია მოწყობილი.

კოშკის მეორე სართულის ჩრდ. კედელში, მიწიდან დაახლ. 2,5 *მ* სიმაღლეზე, მოწყობილია გარედან თაღოვანი, ხოლო შიგნიდან ოთხკუთხა კარი. როგორც ჩანს, ამ სართულზე მოსახვედრად ხის კიბით სარგებლობდნენ. სართულის სამხრ. კედლის შუაში, გეგმით ნახევარწრიული, თაღოვანი



262. კოშკი. I სართულის გეგმა

ბუხარია. ამავე კედლის აღმ. ნაწილში კი, იატაკიდან 0,7 *მ* სიმაღლეზე, ოთხკუთხა, პარალელურწირთხლებიანი სარკმე-




262. კოშკი. II სართულის გეგმა

ლი. თითო მსგავსი სარკმელი აღმ. და დას. კედლებშიცაა. აღმ., დას. და სამხრ. კედლებში ორ-ორი კვადრ. ნიშაა. ჩრდ. კედელში – ერთი. სართულის კედლებში რამდენიმე ცალმაგი სათოფურია, რ-თა ნაწილი



262. ღვთისმშობლის ეკლ. (რესტავრაციამდე). დას. ფასადი

ეზოს გარეთაა მიმართული, ნაწილი კი – ეზოსკენ. სართული გადახურულია შეისრული კამარით, რ-შიც (ჩრდ.-დას. კუთხ-



262. კოშკი. II სართულის გეგმა

ის თავზე) მესამე სართულთან დამაკავშირებელი, ოთხკუთხა ხვრელია მოწყობილი.

კოშკის მესამე სართული შემაღლებული პროპორციების, შეისრული კამარით გადახურული ოთახია, რ-ის აღმ. კედელში ორი ფართო, შეისრულთაღოვანი სარკმელია. შიგნიდან, ორივე სარკმელი ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, ოთხკუთხა არეში. თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აღმ. კედელში, სარკმლებს შორის, გეგმით ნახევარწრიული ბუხარია, რ-ის საკვამური აღმ. ფრონტონის არეში გადის. სამხრ. და დას. სარკმლის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშაა. ჩრდ. სარკმლის გვერდით კი – სალოდე.


კოშკის ფასადები დასრულებულია მადალი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით გამოყვანილი, თითორიგიანი შრეების მონაცვლეობით.

მ ა რ ა ნ ი კომპლექსის სამხრ.-აღმ. კუთხეში მდებარეობს. გეგმით იგი ტრაპეციის ფორმისაა (10x7 მ). ნაგებია რიყის ქვით (კედლები დაახლ. 2,2-2,5 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი). შესასვლელი დას-იდან და ჩრდ-იდან ჰქონია (შემორჩენილია წირთხლების ქვედა ნაწილები და საურდულე ხვრელები).აღმ. კედლის გამაგრების მიზნით, ნაგებობის აღმ. ორივე კუთხეში, აგებულია თითო მძლავრი, კედლის ბურჯი. შიგნით შემორჩენილია მიწაში ჩაფლული რამდენიმე ქვევრი.

ეკლესიის აღმ-ით, საყრდენი კედლით (სიმ. დაახლ. – 3,5 მ) შექმნილი ტერასაა, რ-ზეც სამხრ.-ჩრდ. მიმართულებით წაგრძელებული, გეგმით ოთხკუთხა შენობის (31x9,4 მ) კედლების ნაშთებია შემორჩენილი (სიმ. საშუალოდ 1,5 მ-ია). ტერასაზე ასასვლელი კიბე საყრდენი კედლის ჩრდ. ბოლოშია. კიბე გალავნის ჩრდ. კედელზეა მიშენებული. გალავნის აგებამდე, შენობას შესასვლელი გარედან, სავარაუდოდ, ჩრდ.-დას. კუთხესთან ჰქონია.

შენობა ნაგები იყო რიყის ქვით. გამოყენებული ყოფილა (ძირითადად არქიტ. ელემენტების წყობაში) აგურიც. კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია და მიწით ისეა დაფარული, რომ ნაგებობის გეგმის სრული სახით აღდგენა, გათხრა-გასუფთავების გარეშე, შეუძლებელია. ნანგრევებში იკვეთება ერთ ხაზზე განლაგებული, ერთმანეთისგან თხელი კედლებით გამიჯნული, რამდენიმე (სავარაუდოდ ცხრა) ოთახი, რ-თაგან რვას (სამხრ. ნაწილში მდებარე ოთახის გარდა) შესასვლელი ტერასიდან, შიდა ეზოდან აქვს. მხოლოდ სამხრ. ნაწილში მდებარე ოთახშია შესასვლელი მისი მომიჯნავე ოთახიდან.


სახლის ჩრდ. და სამხრ. ნაწილში მდებარე ოთახები ფართობით დანარჩენებს ოდნავ აღემატება. მათგან ჩრდ-ით მდებარეს (ფართობი დაახლ. 35 კმ მ-ია), დანარჩენი ოთახებისგან განსხვავებით, ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან და დას-იდან. ოთახის დას. და ჩრდ. კედლებში ნიშებია მოწყობილი. აღმ. კედელი კი მთლიანად დანგრეულია. შენობის სამხრ. ნაწილში მდებარე ოთახი გეგმით კვადრატულია. ოთახის სამხრ. კედლის შუაში ბუხრის ნაშთია, მის გვერდით – ოთხკუთხა ნიშა. ამ ნიშის თავზე კიდევ ერთი ნიშის კვალია. ოთახის დას. კედლის შუაში კარია, რ-იც მარნის ბანზე გადიოდა. კარის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. კონსტრ. მდგრადობის გაზრდის მიზნით, დას. და აღმ. კედლებში,



262. კოშკი. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

მთელ სიგრძეზე, ჩატანებული ყოფილა ხის ძელი (შემორჩენილია კვალი). ოთახის ჩრდ. კედელი თითქმის მთლიანად დანგრეულია და მიწითაა დაფარული. ჰქონდა თუ არა ამ

ოთახს შესასვლელი ეზოდანაც, არ ჩანს. ოთახის დას. კედელში გაჭრილი კარით ვხვდებით მცირე ზომის, როგორც ჩანს, სამეურნ. დანიშნულების სათავსში, რ-ის აღმ. კედლის წყობის ხასიათი გვაფიქრებინებს მასში ადრე ნიშების არსებობას.



262. კოშკი. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

შენობის შუა ნაწილში განლაგებული ოთახები შედარებით მცირე ფართობისაა. თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი შესასვლელი ეზოდან აქვს. მათგან მხოლოდ ოთხი შესასვლელის წირთხლების ნაშთებია შემორჩენილი. ყოველ ოთახში, აღმ. კედელში, გეგმით ნახევარწრიული ბუხარია. ბუხრის ორივე მხარეს კი თითო ოთხკუთხა ნიშა. ნიშები ფიცრით ყოფილა გადახურული, ბუხრები კი თაღით (ოთხ ბუხარზე შემორჩენილია თაღის ქუსლების ნაშთი).

სახლის ფასადებიდან, ყველაზე მეტ სიმაღლეზე სამხრ. ფასადია შემორჩენილი. იგი მთლიანად ყრუა. კარგად ჩანს კედელში ჩატანებული ხის ძელის კვალი, რ-ის ორივე ბოლო, აღმ. და დას. კედლებში ჩატანებულ ძელებთან, ჭდობით იყო დაკავშირებული. დას. და ჩრდ. ფასადებიდან (ეს უკანასკნელი მთლიანად ყრუა) მხოლოდ ნაშთებიღაა შემორჩენილი (მაქს. სიმ. 2,5 მ-ია). დას. ფასადის ქვედა ნაწილი ტერასის საყრდენი კედელია, რ-იც გამაგრებულია რამდენიმე ნახევარწრიული კონტრფორსით. აღმ. ფასადი მთლიანად მიწითაა დაფარული.

კოშკის ჩრდ-ით, სამიოდე მ-ზე, შემორჩენილია გალავნის კედელზე მიშენებული, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის (სატრაპეზო?) ნანგრევები.

გალავანი თითქმის წრიული მოხაზულობისაა და მთელ პერიმეტრზეა შემორჩენილი.ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. გალავანს ორი შესასვლელი აქვს: ერთი კოშკის პირველი სართულიდან, მეორე – უფრო პატარა, ე. წ. კუტი კარი – სამხრ-იდან. კარი შეისრულთაღოვანია. ამ მხარეს გალავანი სამი კონტრფორსითაა გამაგრებული.

ძეგლზე სარესტ. სამუშაოები 1970-იან წლებში დაიწყო ᲝᲙᲫᲓ დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნ.-საწარმოო სამმართველომ, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა, რის გამოც ეკლ. მნიშვნელოვად დაზიანდა. 2006 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ძეგლზე ჩაატარა სარესტ. სამუშაოები (შემსრულებელი: კავშირი „ორიენტირი“): აღდგა კონქისა და კედლების ჩამონგრეული ნაწილები, მოეწყო რკინა-ბეტონის სარტყელი, ეკლ. და კოშკი გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

ფ. დეკდარიანი, თ. დვალი.


263. ჩოლოყაშვილების სასახლის კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 1,5 კმ-ზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, ნასოფლარ ყარაბულახის ტერიტორიაზე.

სოფ. ყარაბულახი, სავარაუდოდ, დაარსებული უნდა იყოს XV-XVI საუკუნეებში. იგი ძველთაგანვე გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა, ტერიტორიულად კი კაჭარეთის სამების ეპარქიაში შედიოდა. XVIII საუკუნეში, კახეთის მეფემ დავით II-მ (იმამყული-ხანი) სოფელი ჩოლოყაშვილებს უბოძა, რ-ებიც ხაშმში XVII საუკუნიდან დამკვიდრდნენ. აქ სახლობდნენ, როგორც ჩოლოყაშვილების, ისე კაჭარეთის სამებისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ყმებიც.

1801-1802 წლების აღწერის მონაცემებით სოფელში სულ 23 კომლი ცხოვრობდა. თვით სოფელი კი თელავის მაზრაში შედიოდა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოსახლეობა საცხოვრებლად სოფ. ხაშმში იწყებს გადასვლას. 1914 წელს ყარაბულახში მხოლოდ 26 სული ცხოვრობდა. ამჟამად ეს ადგილი სოფ. ხაშმის შემადგენლობაშია.

კომპლექსში შედის: სასახლე, ცილინდრული კოშკი, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლ., მარანი და გალავანი. ძეგლის აშენების შესახებ წერილობითი საბუთი არ ჩანს. ნაგებობებიდან ყველაზე ადრინდ.




263. გეგმა: 1. ცილინდრული კოშკი, 2. სასახლე, 3. მარანი, 4. წმ. ნიკოლოზის ეკლ., 5. სამეურნ. ნაგებობა, 6. კოშკი, 7. ჭიშკარი, 8. გალავანი

ეკლ. და ცილინდრული კოშკია, რ-ებიც ხუროთმოძღვრულ-სტილისტ. ნიშნების მიხედვით XVIII საუკუნის II ნახევრით თარიღდება. სასახლე, კოშკისა და ეკლესიის შემდეგაა აგებული, სავარაუდოდ, XIX საუკუნის I მეოთხედში, თადია ჩოლოყაშვილის მიერ. ამავე პერიოდს მიეკუთვნება მარანიც.


სასახლე და მარანი კოშკზეა მიშენებული და ისე არიან განლაგებული, რომ მათ წინ არსებულ, ოთხკუთხა მოხაზულობის ეზოს (ფართ. დაახლ. 650 კვმ-ია) ერთი დას-იდან, მეორე კი სამხრ-იდან ფარგლავს. აღმ-იდან და ჩრდ-იდან ეზო მაღალი გალავნითაა შემოზღუდული. გალავნის აღმ. და ჩრდ. კედლების შეყრის ადგილზე ცილინდრული კოშკია აგებული, რ-იც თითქმის მთლიანად, გალავნის ფარგლებს გარეთ არის გასული. მეორე მსგავსი კოშკი გალავნის აღმ. და სამხრ. კედლების შეყრის ადგილზე დგას. ზღუდის დანარჩენ ნაწილს თავად ნაგებობების გარეთა კედლები წარმოადგენს. გალავნის აღმ. კედლის შუაში მცირე ზომის ეკლესიაა ჩართული, რ-ის დას. კედელი, ეზოს მხრიდან, გალავნის კედელთან ერთ სიბრტყეშია.

საბჭ. პერიოდში, კომპლექსში შემავალი ნაგებობები სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა (ბოლოს იგი



263. ცილინდრული კოშკი. II სართულის გეგმა

„სამტრესტის“ ხაშმის ღვინის ქარხნის მფლობელობაში იმყოფებოდა), რ-ის გამოც მათმა ნაწილმა გადაკეთებები განიცადა და ავთენტურობა ნაწილობრივ დაკარგა.



263. ცილინდრული კოშკი. III სართულის გეგმა

1980 წელს ᲝᲙᲑᲫ დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნ.-საწარმოო სამმართველომ ჩაატარა კომპლექსის სრული, აზომვითი სამუშაოები (არქიტექტორები: ი. შარაშენიძე, ი. საბანაძე), რის საფუძველზეც მომზადდა რესტავრაციის პროექტი (პროექტის ავტორი ი. შარაშენიძე). სარესტ. სამუშაოები დაიწყო 1983 წელს და 1985 წელს დასრულდა.


1992 წელს საქართვ. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით (№ 130) ჩოლოყაშვილების საგვარეულო სასახლე და მის გვერდით მდებარე ღვინის ქ-ნა საქართვ. საპატრიარქოს გადაეცა.

2001 წლიდან აქ წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტერი ფუნქციონირებს. მონასტრის დაფუძნების შემდეგ, ნაგებობების დიდი ნაწილი გარემონტდა, რის შედეგადაც მათ ნაწილობრივი ცვლილებები განიცადეს: 2012 წელს განაახლეს სასახლის აივანი, შეცვალეს სარკმლების დიდი ნაწილი, გადაკეთდა ოთახები და სხვ. თუმცა, თავდაპირველი სტრუქტურა სასახლეს ძირითადად შენარჩუნებული აქვს.

კოშკი ხუთსართულიანია (შიდა დიამ. ფუძის დონეზე: – 5,1 მ, კედლის სისქე – 1,95 მ), ზემოთკენ შევიწროებული. ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. ძ. ძლიერ იყო დაზიანებული: ჩამონგრეული იყო სართულშუა გადახურვები, შენობის დას. ნახევრის დიდი ნაწილი თითქმის მთელ სიმაღლეზე იყო დანგრეული, პირველი სართული მთლიანად ნანგრევებით იყო ამოვსებული.

კოშკის პირველი სართული განცალკევებულია, დანარჩენი სართულები კი, კედლის სისქეში მოწყობილი კიბით უკავშირდება ერთმანეთს. პირველ სართულს შესასვლელი აღმ-იდან აქვს. კარი ბრტყელადაა გადახ-

263. სასახლე. II სართულის გეგმა



ურული. სართულის იატაკი მიწის დონიდან დაახლ. 1,5 *მ*-ით დაბლაა, რის გამოც, სართულზე ჩასასვლელად ხის კიბეა მოწყობილი, რ-იც კარის ღიობის ფარგლებში იწყება. სართულის კედელი ყრუა. კედელს ძირში ხარისხი შემოუყვება (სიმ. – 40 *სმ*, სიგ. – 25 *სმ*).




263. სასახლე. განივი ჭრილი. ხედი ჩრდ.-კენ

მეორე სართულის შესასვლელიც აღმ-იდანაა. კარი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნიდან – ოთხკუთხა. წირთხლებს ეტყობა როგორც ძვ., ისე თანამედროვე შეკეთებების კვალი. სართულზე ხუთი ნიშაა. ნიშები ბრტყლადაა გადახურული. კარის მარჯვნივ, სამხრ-ით მდებარე ნიშა, რ-შიც თავდაპირველად ოთხი სათოფური იყო მოწყობილი, ახლა განგრეულია და ღიობში ოთხკუთხა, შემინული სარკმელია ჩასმული. ამ ნიშის გვერდით მდებარე ნიშა ორი სათოფურით იყო აღჭურვილი (ამჟამად ორივე ამოშენებულია. სახეშეცვლილია ასევე ის არქიტ. და საბრძოლო ელემენტებიც, რ-ებიც რესტავრაციის დროს სართულის კედლის აღდგენილ ნაწილში იყო მოწყობილი). იატაკი ხისაა. სართულზე შესასვლელი კარის ჩრდ. წირთხლში მესამე სართულზე ასასვლელი კიბე იწყება. კიბე (სიგ. – 60 *სმ*) შეისრული კამარითაა გადახურული. კიბიდან მესამე სართულზე შესასვლელი. მესამე სართულზე ოთხი ნიშაა. მათ შორის – ორი კედლის თავდაპირველ ნაწილშია, ორი კი – აღდგენილ ნაწილში. ამ ორი ნიშის გარდა, კედლის აღდგენილ ნაწილში, კიდევ ორი ცალმაგი სათოფური და მცირე ზომის, გეგმით ნახევარწრიული ბუხარია. ნიშები თითო შეწყვილებული სათოფურითაა აღჭურვილი. სართულის თავდაპირველი კედლის სამხრ. ნაწილში ერთი ცალმაგი სათოფურია.

მესამე სართულიდან მეოთხეზე ადის ნახევრადღია კიბე. მეოთხე სართულის სამხრ. ნაწილში შეისრულთაღოვანი ბუხარია. ბუხრის დონეზე კი ქვემოთკენ მიმართული სამი სათოფურია განლაგებული. მ.შ. ერთი – ბუხრის მარჯვნივაა, დას-ით, ორი – აღმ-ით. ამ ორი სათოფურის ზემოთ, ორი კვადრ. ნიშაა (ამოშენებულია). გარდა ამისა, სართულზე კიდევ ერთი ცალმაგი სათოფურია, რ-იც ოთხკუთხა ნიშაშია მოწყობილი. ეს სართულიც, მესამე სართულის მსგავსად, ზედა სართულს ნახევრადღია კიბით უკავშირდება. კიბის ფარგლებში ერთი მცირე ზომის სარკმელი და ერთი სათოფურია.

კოშკის მეხუთე სართული ქონგურებიანი კედლით (სიმ. 2 *მ*-ია) შემოზღუდული ბანია. კედელში გაჭრილია ხუთი სათოფური, რ-ებიც მდ. ივრის მხარესაა (დას-ით) მიმართული.

გარედან კოშკი სადაა. კედლის ზედაპირი გასწორებულია კირის დუღაბით, რ-იც თითქმის მთლიანად ფარავს საპირე ქვების დიდ ნაწილს.



263. სასახლე. დას. ფასადი (რესტავრაციის პროექტი)

სასახლე ორსართულიანია და რამდენადმე სამხრ.-

საშენ მასალად წვრილი, რიყის ქვა და აგურია გამოყენებული. კედლები რიყის ქვისა და აგურის ჰორიზ. რიგების მონაცვლეობითაა ნაგები, არ-



263. მარანი. ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

ქიტ. ელემენტები კი – აგურით. შენობას მთავარი, ეზოს მხარეს მიქცეული ფასადის მხარეს, მთელ სიგრძეზე, ხის სვეტებიანი, გადახურული აივანი გასდევდა. მეორე აივანი სასახლეს დას-იდან ჰქონდა – ფასადის შუა ნაწილში (ამჟამად აღარ არსებობს). იგი ხის რამდენიმე, კედლიდან გამოშვერილ კოჭზე იყო დაყრდნობილი. როგორც ეს შემორჩენილი კვალის მიხედვით ირკვევა, აივანი გადახურული ყოფილა.

სასახლის სართულები ამჟამად ერთმანეთთან დაკავშირებულია ხის ახ. კიბით, რ-იც აივნისავე ფარგლებშია.ადრე სასახლის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე მოწყობილი ყოფილა განცალკევებულ, ორსართულიან ნაგებობაში (მთლიანად დანგრეულია. ამჟამად მის ადგილზე ახ. ნაგებობა დგას). იგი სასახლის სამხრ.-აღმ. კუთხესთან იყო აგებული და კოშკს აღმ-იდან ეკვროდა. ნაგებობის ორივე სართული ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მათგან ერთში სასახლის სართულების დამაკავშირებელი კიბე მდებარეობდა, მეორეში კი – ოთახი. შენობა გადახურული იყო ცალფერდა სახურავით. სახურავის კოჭების დასაყრდნობად, კოშკის კედელზე, რამდენიმე ღრმულია მოწყობილი.სასახლის ორივე სართულზე ოთახები ორ რიგადაა განლაგებული. მათში შესასვლელი, ორივე სართულზე, აივნიდანაა. აივანზე გამოდის ყველა სარკმელიც. ზედა სართულზე შესასვლელებიცა და სარკმლებიც ნახევარწრიულთაღოვანია. ქვედაზე კი – ბრტყელი თაღითაა დასრულებული.


ქვედა სართულის აღმ. ნაწილი ერთიანია (სიგრ. – 18,2 მ-ია, სიგ. – 4,5 მ). სართულის სამხრ. ბოლოში ხის მოაჯირით გამოყოფილი, კვადრ. მონაკვეთია (4,5x4,5 მ). მისი იატაკი, დანარჩენი ნაწილის იატაკის მიმართ, ორმოციოდე სმ-ითაა შემაღლებული. ამ ნაწილში ოთხი ქვევრია ჩაფლული. ოთახის დას. კედლის შუაში პატარა ბუხარია, ბოლოებთან კი – ორ-ორი ოთხკუთხა თახჩა, რ-თა შორის თითო ბრტყელი ნიშაა. ბუხრის ორივე მხარეს თითო კარია. ორივე კარი სართულის დას. ნაწილში არსებულ მარანში გადის. ბუხრის სამხრ-ით მდებარე კარსა და ბუხარს შორის ღრმა, განიერი ნიშაა – ზურგის კედელში მოწყობილი მცირე ზომის ღიობით, რ-იც სართულის ამ ნაწილს მარანთან აკავშირებს.

სართულის დას. ნაწილი თანაბარი ფართობის ორი ოთახისგან შედგება. ოთახები ერთმანეთს მათ გამმიჯნავ კედელში (სისქე დაახლ. 1 მ-ია) მოწყობილი კარით უკავშირდება. ორივე ოთახში მარანია – შემორჩენილია მიწაში ჩაფლული თვრამეტი ქვევრი. ორივე ოთახის დას. კედელში ოთხი სარკმელია გაჭრილი (ამჟამად ძვ. ხის ალათები ახ.მეტალო-პლასტმასის ალათებითაა შეცვლილი).

263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან



სასახლის მეორე სართულიც, გრძივი კედლით ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი. სართულის აღმ. ნაწილში ანფი-



263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. გეგმა


ლადურად განლაგებული ხუთი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთისგან ტიხრებითაა გამიჯნული და ერთმანეთს ტიხარში მოწყობილი თითო კარით უკავშირდება. ოთახებიდან შუა, შედარებით ვიწროა და როგორც ჩანს, აივნიდან სართულის დას. ნაწილში გასასვლელად გამოიყენებოდა. გასასვლელის გარდა, სართულის დას. ნაწილთან განაპირა ოთახებიც არის დაკავშირებული. დას-იდან მეორე ოთახში კედლის ღუმელია. განაპირა ოთახებიდან სამხრ-ით მდებარე ოთახის სამხრ. კედელში განიერი, ღრმა თახჩაა, ჩრდ-ით მდებარე ოთახის ჩრდ. კედელში კი – კარი (ამოშენებულია).

სართულის დას. ნაწილი ერთიანი, გრძელი ოთახია (ამჟამად ტიხრებით სამ ოთახადაა დაყოფილი). იგი განათებული იყო დას. კედელში გაჭრილი, რვა თაღოვანი სარკმლით. აივანზე გასასვლელად კი ერთი თაღოვანი კარი იყო მოწყობილი, რ-იც 2012 წელს ჩატარებული რემონტის დროს ბრტყლად გადახურეს და სარკმლად გადააკეთეს. საკუთრივ აივანი აღარ აღუდგენიათ. გარდა ამისა, გადახურვის თავდაპირველი ფორმა შეცვლილი აქვს ექვს სარკმელსაც.

აივნის სახურავი დაყრდნობილი იყო ათ ოთხკუთხა სვეტზე. სვეტებს შორის კი აჟურული თაღები იყო ჩასმული. აივნის მოაჯირი ხის რიკულებით იყო შედგენილი.

სასახლის ორივე სართულის დას. ნაწილის ჩრდ. ბოლოში, მცირე ფართობის (ფართ. დაახლ. 8 *კვ მ*-ია), განცალკევებული ოთახია (როგორც ჩანს საპირფარეშო), რ-საც შესასვლელი ოთახის წინ არსებული, ვიწრო კორიდორის გავლით, მხოლოდ აივნიდან აქვს. ორივე ოთახი, დას-იდან და ჩრდ-იდან, ორ-ორი დაბალი სარკმლითაა განათებული. ოთახების წინ მდებარე ორივე კორიდორი გეგმით ტრაპეციის ფორმისაა. მ. შ. ზედა კორიდორი, აივნის გარდა, სართულის აღმ. ნაწილის ჩრდ. კიდეში მდებარე ოთახთანაც იყო დაკავშირებული.


ნაგებობა, რ-შიც სასახლის სართულების დამაკავშირებელი კიბე იყო მოწყობილი, სასახლის ძირითად კორპუსს წყობით ებმოდა (შემორჩენილია მხოლოდ ქვედა სართული). აღმ-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-



263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

იდან იგი სწორი კედლებით იყო შემოფარგლული, დას-იდან კი – კოშკის კედლით. ორივე სართულზე, აივნის მხარეს მდებარე ოთახი აივანთან კარით იყო დაკავშირებული. ამ ოთახებში იყო მოქცეული კოშკის პირველი და მეორე სართულების შესასვლელიც. პირველ სართულზე, კიბის უჯრედი, მის გვერდით მდებარე ოთახისგან, ყრუ კედლით იყო გამიჯნული. ერთადერთი შესასვლელი კიბეს აღმ-იდან, ეზოდან ჰქონდა.

მარანი ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები. გეგმით იგი ტრაპეციის ფორმისაა და რამდენადმე აღმ.-დას. მიმართულებითაა წაგრძელებული (შიგნითა ზომები: სიგრ. – 16,5 *მ*, სიგ. –



263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. დას. ფასადი

11,9 *მ*). ჩრდ.-დას. კუთხით მარანი კოშკზეა მიდგმული ისე, რომ კოშკის კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი მის ინტერიერშია მოქცეული. მარანში შესასვლელი ეზოდანაა, ჩრდ. კედლის შუაში. ამავე კედელში, კარის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა სარკმელი და თითო მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. აღმ. კედელში ორი კარია (ორივე ამოშენებულია), რ-ებიც მარანს აღმ. მხრიდან მიდგმულ სადგომთან აკავშირებდა. მარნის დას. ნაწილის იატაკი, დანარჩენი ნაწილის იატაკთან შედარებით, სამოციოდე *სმ*-ით მაღალია. როგორც ჩანს, ეს ნაწილი საწნახლებისთვის იყო განკუთვნილი. შიგნით მარანი ბრტყლადაა გადახურული (ჭერის მნიშვნელოვანი ნაწილი რკინა-ბეტონითაა განახლებული). გადახურვა გამართულია ხის მძლავრ კოჭებზე, რ-ებიც, გრძივი კედლების გარდა, აგურით ნაგებ, რვა მრგვალ, მძლავრ სვეტს (დიამ. 0,8 *მ*-ია) ეყრდნობა.

მარანს აღმ-იდან, მთელ სიგანეზე, მოზრდილი, თითქმის

კვადრ. გეგმის მქონე, ერთსართულიანი ნაგებობა (მიახლოებული ზომები გარედან: 12x12 მ) ეკვრის, რ-იც ვიწრო დერეფნით ორ, თანაბარი სიგანის ნაწილადაა გაყოფილი. აღმ. ნაწილში, სხვადასხვა ფართობის მქონე, ორი ოთახია, რ-ებიც მათ გამმიჯნავ კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება ერთმანეთს. მ. შ. სამხრ-ით მდებარე ოთახი გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში ჩართულ კოშკთანაცაა დაკავშირებული. ოთახის სამხრ. კედელი გალავნის ნაწილს წარმოადგენს. მასში, მოგვიანებით გაჭრილი, ერთი ოთხკუთხა სარკმელია. ერთი მსგავსი სარკმელია (გვიანდელია) მოწყობილი დერეფნის სამხრ. კედელშიც. შენობის დას. ნაწილში ერთი, სამხრ.-ჩრდ. მიმართულებით წაგრძელებული ოთახია (ამჟამად დანიშნულების ზუსტად დადგენა არ ხერხდება), რ-საც შესასვლელი ეზოდან აქვს.



263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

წმ. ნიკოლოზის ეკლესია დარბაზული ტიპისაა (10,1x6,2 მ). ნაგებია წვრილირიყის ქვითა და აგურით – კირის სქელ დულაბზე.კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. არქიტ. და დეკორატ. ელემენტების გამოსაყვანად გამოყენებულია აგური. შიგნით მთლიანად შელესილია. გარედან კედლების ზედაპირი კირის სქელი ხსნარითაა გასწორებული, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

შესასვლელი ორია: დასიდან და სამხრ-იდან. დას. შესასვლელი (თავდაპირველი ფორმა შეცვლილი აქვს) გარედან ბრტყელი თაღითაა გადახურული, შიგნიდან – თარაზულად. სამხრ. შესასვლელი კი ორივე მხრიდან სწორკუთხაა. საბჭ. პერიოდში, ეკლესიის სხვა მიზნით გამოყენების დროს, შესასვლელი ჩრდ-იდან – სამხრ. კარის მოპირდაპირედაც მოუწყვიათ, რ-იც 1983-85 წლებში ჩატარებული რესტავრაციის დროს ამოაშენეს და მის ადგილზე ნიშა მოაწყვეს. მონასტრის დაარსების შემდეგ ამოუშენებიათ სამხრ. შესასვლელიც და ისიც ნიშად გადაუკეთებიათ.

აღმ-ით ნახევარწრიული ფორმის ღრმა აფსიდია,რ-ის ღერძზე ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი.სარკმლის ორივე მხარეს ერთი თაღოვანი და ერთი ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი ნახევარწრიულია. ნახევარწრიულია კამარაც. იგი კონქის თაღის გარდა, ეყრდნობა კიდევ ორ საბჯენ თაღს, საკუთრივ თაღები კი – შეკიდულ პილასტრებს. მათგან ერთი – დარბაზის შუაშია,მეორე – დას.



263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. ინტერიერი. აფსიდის სამხრ. კუთხე. მორთულობის შემორჩენილი ნაწილი

კედელთან. შუა პილასტრებს პროფილირებული ძირი აქვს. შუა და დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღის ქუსლებთან გამოყოფილია, კედლის სიბრტყის მიმართ მცირედ გამოშვერილი, თაროსებრი იმპოსტები. კონქის თაღი უიმპოსტოა.

263. წმ. ნიკოლოზის ეკლ. ინტერიერი. წმ. ნიკოლოზის გამოსახულების ჩარჩოს ნაწილი



საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სარკმელია გაჭრილი დანარჩენ კედლებშიც. მათგან სამხრ-ით და ჩრდ-ით მდებარე სარკმლები, საკურთხევლის სარკმლის მსგავსად, ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. დას. სარკმელი (სახე შეცვლილია – გაგანიერებულია) – ოთხკუთხაა. ჩრდ-ით მდებარე სარკმელი თავისებურადაა გადაწყვეტილი. იგი, ჩვეულებისამებრ, ქვეყნის შესაბამისი მხრისკენ კი არ არის მიმართული, არამედ ირიბადაა გაჭრილი – აღმ-კენ. სარკმლის ქვემოთ საშ. ზომის, ოთხკუთხა ნიშაა.

ინტერიერი ამჟამად გაჯითაა შელესილი. საყურადღებოა აფსიდის კუთხეების გაფორმება, რ-იც ეკლესიას განსაკუთრებულ თავისებურებას სძენს. აფსიდის ორივე კუთხე (დიდი ალბათობით აფსიდის თაღიც) გაწყობილი იყო ნალესობაზე გამოყვანილი ჩუქურთმით (ორივე კუთხეზე, სატრიუმფო თაღის ქუსლების ოდნავ ქვემოთ, შემორჩენილია ჩუქურთმის დაახლ. 60 *სმ* სიგრძის მონაკვეთი).

მსგავსი ჩუქურთმით შემკულ სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. კიდეში მდებარე წმ. ნიკოლოზის ფრესკული პორტრეტი. ტექნიკურად ჩუქურთმა მაღალპროფესიულ დონეზეა შესრულებული. შესრულების ხასიათით და რეპერტუარით იგი ახლოს დგას გარეჯის მრავამთის წმ. დავითის ლავრის, ნათლისმცემლის და დოდორქის მონასტრის მთავარი ეკლესიების საკურთხევლის ზღუდის მორთულობასთან. მსგავსი მოტივითაა მორთული წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის იოანე ბოდბელის სენაკიც. ასევე – ლავრის მონასტერში, უფლისწული გიორგის მოსასვენებელი ოთახიც, რ-იც, გ. ჩუბინაშვილის აზრით, 1761 წლიდან 1782 წლამდეა გამოკვეთილი.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. და დას. ფასადებია მორთული. მორთულობის ელემენტია ფრონტონის არეში, აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხურებიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულება. კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, მაღალი ლავგარდნით.

2012 წელს ეკლესიაში ხის იატაკი დააგეს, ააგეს ხის კანკელი და შენობა კრამიტით გადახურეს.

ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კოშკები ცილინდრულია, სამსართულიანი. ორივე კოშკის პირველ და მეორე სართულებს შესასვლელი ეზოდან აქვს. ჩრდ.-აღმ. კოშკში ორივე კარი ფიცრითაა გადახურული (აღდგენილია). სამხრ.-აღმ. კოშკზე, შიგნიდან, მარნის დამხმარე ნაგებობაა მიშენებული, რის გამოც ორივე სართულის შესასვლელი სახეშეცვლილია. ჩრდ.-აღმ. კოშკის პირველ სართულზე, ჩრდ.-აღმ. ნაწილში, შეისრულთაღოვანი ბუხარია, რ-ის მარცხნივ მცირე ზომის, ორი ოთხკუთხა ნიშაა. სართული ბრტყლად იყო გადახურული (შემორჩენილია გადახურვის კოჭების საყრდენი ბუდეები). მეორე სართულზე, ჩრდ-ით, სათოფურით აღჭურვილი, ოთხკუთხა ნიშაა. მსგავსი ნიშაა დას-ითაც. სართული რკინა-ბეტონის ბრტყელი ჭერითაა გადახურული.

ორივე კოშკის მესამე სართული ქონგურებიანი კედლით (დიდი ნაწილი აღდგენილია) შემოზღუდული ბანია.

გალავანი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები. გალავნის შემორჩენილი ნაწილები ორიარუსიანია (სიმ. – 5-6 *მ*) და მომრგვალებული თავი აქვს. სხვადასხვა დროს განხორციელებული გადაკეთებების შედეგად, გალავნის აღმ. კედელს თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი.

თ. დვალი.


ბიბლ.: 46; 315ა.

264. ციხე, კომპლექსი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას. განაპირას. მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. სავარაუდოდ, თარიღდება XVII საუკუნის II ნახევრით.


ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად: „ხაშმს, ყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონაზონთა“. ჩანს, რომ XVIII საუკუნის I მეოთხედში ციხე და ეკლ. უკვე აშენებული ყოფილა. გერმანელი მეცნიერის და მოგზაურის იოჰან გიულდენშტედტის ცნობით (კახეთში იმოგზაურა 1772 წელს), იმხანად, ლეკების ხშირი შემოსევების გამო, ხაშმის ციხე უკვე მიტოვებული ყოფილა.

კომპლექსში შედის: წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლ., სამი კოშკი და გალავანი. ნაგებობები ერთდროულად არ არის აგებული. თავდაპირველად აქ მდგარა მხოლოდ ეკლ., რ-ისთვისაც აგებიდან მოკლე ხანში, დას-იდან კოშ-

264. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლ. გეგმა



კი მიუშენებიათ, ხოლო ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით, ოცდაათიოდე მ-ზე, ჭიშკრიანი კოშკი აუგ-



264. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლ. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

იათ. ამ კოშკთან ერთად, ეკლესიას გალავანიც უნდა ჰქონოდა. მოგვიანებით, გაურკვეველი მიზეზების გამო, ამ გალავნის ნაცვლად ახ. გალავანი აუგიათ, რ-იც ბევრად უფრო მეტ ფართობს ფარგლავდა. ჭიშკრიანი კოშკის გარდა, ახალ გალავანში სამი ცილინდრული კოშკიც იყო ჩართული. მას შემდეგ რაც ციხემ ფუნქცია დაკარგა, იგი ძლიერ დაზიანდა. XIX საუკუნის ბოლოს ციხის ტერიტორიაზე სახლები ჩაუდგამთ და ერთ-ერთი კოშკი მთლიანად მოუშლიათ.

წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. დგას ეზოს დას. ნაწილში. თარიღდება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნით.

ეკლ. დარბაზულია (9,7x6,0 მ), ნაგებია ტლანქად დამუშავებული ქვიშაქვით, გამოყენებულია ასევე რიყის ქვა (ძირითადად შიგნითა კედლების წყობაში) და აგური. აგურითაა ნაწყობი კამარა, კონქი და საბჯენი თაღები.


ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. კარი თარაზულადაა გადახურული.

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის იატაკი, დარბაზის იატაკის მიმართ, ოდნავ შემაღლებულია, აფსიდის მხრების ხაზიდან რამდენადმე წინ წამოწეული (დაახლ. 1 მ-ით) და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

აფსიდის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ ოდნავ შევიწროებული, შეისრულთაღოვანი სარკმელი, რ-იც XIX ს-ში ძლიერ გაუგანიერებიათ. აფსიდში სამი ნიშაა მოწყობილი. ორი მათგანი (ერთი თაღოვანი, გეგმით ნახევარწრიული და ერთი სწორკუთხა) სარკმლის ჩრდ-ითაა, ხოლო ერთი (ოთხკუთხა) – სამხრ-ით. ამ უკანასკნელსა და საკურთხევლის სარკმელს შორის, იატაკის დონეზე, მცირე სამალავია. საკურთხევლის შუაში დგას აგურით ნაგები, ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხეველი დანარჩენი სივრცისგან ქვის კანკელითაა (აგებულია 2007 წელს) გამიჯნული.

დარბაზის გრძივი კედლები და კამარა, თითო შეკიდული პილასტრითა და მათზე გადაყვანილი, შეისრული საბჯენი თაღით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა, შეისრულია კამარაც და კონქის თაღიც. პილასტრები სუფთად დამუშავებული, მოზრდილი ქვებითაა ნაწყობი და დასრულებულია ქვიშაქვისავე კაპიტელებით, რ-თა პროფილს თარო და შეზნექილი ზედაპირი შეადგენს. ორივე პილასტრს ძირი მომრგვალებული აქვს. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა, მათზე კედლის მიმდებარე თაღია გადაყვანილი. კამარის ორივე მონაკვეთის ზედა ნაწილი შეკრული კამარის მსგავსადაა გამოყვანილი – თითოეული მათგანი ოთხი სამკუთხა ნაწილისგან შედგება, რ-თა წვეროები თავს კამარის ცენტრში იყრის. ინტერიერი შელესილია. ადრე კედლები შეთეთრებული ყოფილა.

დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში, პილასტრსა და აფსიდის მხარს შორის, მაღა-



264. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლ. სამხრ. ფასადი

ლი, შეისრული თაღით გადახურული სარკმელი იყო გაჭრილი, რ-იც, ისევე როგორც საკურთხევლის სარკმელი, XIX ს-ში ძლიერ გაუგანიერები-

ათ. ჰქონდა თუ არა ეკლესიას სარკმელი დას-ითაც, ამჟამად არ ირკვევა, რადგან XIX ს-ში, ეკლესიის ფართობის გაზრდის



264. წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან


მიზნით, დას. კედელი მთელ სიმაღლეზე გაუხსნიათ.

ეკლესიის ფასადები სადაა, კედლები მოპირკეთებულია არცთუ ისე სუფთად დამუშავებული ქვიშაქვით. წყობა მეტ-ნაკლებად წესიერია. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, კედლის სიღრმეში ჩაძირული, მოხუჭურთმებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ჯვრის ზედა და განივ მკლავებს წაწვეტებული ბოლოები აქვს და ირგვლივ, ცერად ჩაკვეთილ არეზე გამოყვანილი, ჩუქურთმიანი არშია ევლება. ჯვრის ქვედა მკლავის ბოლოსთან შემორჩენილი იყო თავდაპირველი სარკმლის თაღი. იგი ნახევარწრიული მოყვანილობისაა, გამოკვეთილია ერთ ქვაში და გარშემო სადა ღილვი ევლება (რესტავრაციის დროს, სარკმლის ღიობი ამ ნაშთის საფუძველზე აღადგინეს). თავდაპირველი სარკმლის ზედა ქვა სამხრ. ფასადზეც იყო შემორჩენილი. მასში ღილვშემოვლებული, შეისრული თაღია გამოკვეთილი. ეკლესიის კედლები დასრულებულია ნათალი ქვის ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, ღილვი და წრეთარგი შეადგენს. ეკლ. გადახურული იყო ლორფინით (შემორჩენილი იყო ნაწილი).

კ ო შ კ ი გეგმით კვადრატუ-

„თეფშისებრი“ გუმბათის წრიულ საფუძველს ქმნის. სართულის ჩრდ. კედელში, იატაკიდან 0,7-0,8 *მ* სიმაღლეზე, ორი მცირე, შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათგან აღმ-ით მდებარე, ადრე არსებული კარის ამოშენებულ ნაწილშია მოწყობილი. სამხრ. კედელში კი მხოლოდ ერთი განიერი ნიშაა, რ-იც, ისევე როგორც ჩრდ.-აღმ. ნიშა, კარის ღიობში ჩაშენებულ კედელშია.


კოშკის მეორე სართულიც გუმბათოვანი კამარითაა გადახურული. აქაც გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. სართული, აღმ. კედელში გაჭრილი ფართო, სამკუთხა თაღით გადახურული ღიობით, უშუალოდ უკავშირდება ეკლესიის დარბაზს. სართულის სამხრ. და ჩრდ. კედლებში გაჭრილია თითო მოზრდილი, შეისრულთაღოვანი სარკმელი (ჩრდ. სარკმელი ამოშენებულია). დას. კედელში შეისრულთაღოვანი



264. გალავნის ჩრდ.-აღმ. კუთხე. 1 - კოშკი-კარიბჭე, 2 - ცილინდრული კოშკი. გეგმა I სართულის დონეზე

ნიშაა. ოთხივე კედელზე, მთელ სიგანეზე, შეისრული თაღებია გადაყვანილი. ამ სართულზეც ზედა სართულზე (სამრეკლოს ფანჩატურზე) ასასვლელი კიბე დას. კედელშია მოწყობი-

ლი, კიბის შესასვლელი კი – დას. კედლის სამხრ. კიდესთან. კოშკის ორივე სართული შელესილია.




264. კოშკი-კარიბჭე. II სართულის გეგმა

კოშკი გარედან მარტივი, კუბური მასაა. კედლები რიყის წვრილი ქვითა და აგურითაა ნაგები. ქვა თანაბარი ზომისაა და მოქცეულია აგურის ორი რიგით გამოყვანილ, თარაზულ ზოლებს შორის. ზოლები ერთმანეთისგან თანაბარი მანძილითაა დაშორებული და შესაბამის კედლებს მთელ სიგრძეზე გაუყვება. კუთხეები და არქიტ. ელემენტები ძირითადად აგურისაა. კედლების ზედაპირი გასწორებულია წმინდა დუღაბით, რ-შიც ქვები თითქმის მთლიანად არის ჩაძირული. სამხრ. ფასადზე, შესასვლელი ოდნავ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია მოქცეული, რ-ის ზედა, თაღის მიღმა დარჩენილი ნაწილი, თევზიფხურად ნაწყობი აგურის წყობითაა შევსებული.

2004-05 წლებში, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ძეგლზე ჩატარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორები: მ. ბოჭორიძე, ბ. კუნჭულია): სახურავზე და კედლებზე მოიხსნა მცენარეული საფარი, სახურავი და ფასადები შეიწამლა ბიოლოგიური ხსნარით, ეკლესიისა და კოშკის კონსტრ. მდგრადობის გაზრდის მიზნით, გამაგრდა საძირკვლები, ბზარები ამოივსო კირის ხსნარით, გამაგრდა კამარის შემორჩენილი ნაწილები და აღდგა მათი ნაწილი, აღდგა აგრეთვე ლავგარდანისა და სარეზერვო წყობის ჩამოშლილი მონაკვეთები, სახურავზე მოიხსნა ლორფინი და კონსტრ. მოსაზრებით (სიმძიმის შესამცირებლად), ეკლ. გადაიხურა ხის ნიჟნივებზე დაფენილი თუნუქით, რ-ზეც, დეკორატ. მიზნით, ღარისებრი კრამიტი განლაგდა; შემორჩენილ ნაწილებზე დაყრდნობით მოხდა ეკლესიისა და კოშკის დაკარგული ნაწილების აღდგენა. შეივსო იატაკის ნაკლული მონაკვეთები.

ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით მდგარი კოშკი ეკლესიაზე მიშენებული კოშკის თანადროულია. იგი გეგმით თითქმის კვადრატულია (5,9x6,1 მ) – სამსართულიანი. კოშკის პირველი სართული შეისრულკამაროვანი გასასვლელია, მეორე საცხოვრ., ხოლო მესამე – საბრძოლო ბანი. საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და აგური. კოშკის გარეთა კედლები ძირითადად რიყის ქვითაა ამოყვანილი, აგური კუთხეების და არქიტ. ელემენტების წყობაშია გამოყენებული. შიგნით, კონსტრ. ნაწილები და კედლები თითქმის მთლიანად აგურისაა. პირველი სართული აღმ-ით და დას-ით გახსნილია შეისრული თაღებით. ორივე თაღი ორსაფეხურიანია. აღმ. თაღი შედარებით უფრო ვიწროა და დაბალი, ვიდრე დასისა. გასასვლელის სამხრ. და ჩრდ. კედლებში. ღრმა, მაღალი, შეისრულთაღოვანი თითო უბეა, რ-თა გრძივ კედლებში თითო შეისრულთაღოვანი ნიშაა – შუაში თითო სათოფურით. ამ ნიშების ზემოთ, კამარის გვერდებზე, სამალავებია მოწყობილი.

კოშკის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე სამხრ. კედელშია. კიბეში შესასვლელი კარიც ამ მხრიდანაა, კედლის აღმ. ბოლოსთან. მეორე სართული კვადრატულია. იგი გადახურული ყოფილა გუმბათოვანი კამარით (თითქმის მთლიანად ჩამონგრეულია), რ-ის წრიული საფუძველი ოთხივე კუთხეში განლაგებული, მოზრდილი



264. ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკები. ჭრილი I-I



264. ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკი გასასვლელით. ხედი სამხრ.-აღმ-იდან (მარჯვნივ – ცილინდრული კოშკი)

აფრებითაა შექმნილი. XIX ს-ში, სართულის საცხოვრებლად გამოყენების მიზნით, აღმ. და ჩრდ. კედლებში მოწყობილი ნიშები სარკმლებად გადაუკეთებიათ. ამჟამად სართულის აღმ. კედლის ჩრდ. ნახევარი და დას. კედლის უმეტესი ნაწილი დანგრეულია. სართულის სამხრ. კედლის შუაში პატარა, სწორკუთხა ნიშაა, მის თავზე – თაღოვანი სარკმელი, რ-ის აღმ. წირთხლში კედელში მოწყობილ სამალავში შესაძრომია. სართულის სამხრ. კედლის დას. კიდესთან, კიბის უჯრედში შესასვლელი კარია. ჩრდ. კედელში კი – განიერი სარკმელი. სართულის ჩრდ.-დას. კუთხეში ბუხარია. მის უკან – სამალავი. დას. კედელში მოწყობილი ყოფილა ბანზე ასასვლელი კიბე, რ-იც სამხრ. კედელში არსებული კიბის გაგრძელებაზეა.

ბანი ქონგურებით დასრულებული კედლითაა შემოზღუდული, (შემორჩენილ ნაწილებში ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია მოწყობილი).

გალავანი გეგმით თითქმის კვადრ. მოხაზულობისაა (56x52*მ*). გალავანში ჩართული იყო სამი ცილინდრული კოშკი. მათგან ერთი იდგა სამხრ.-აღმ. კუთხეში. ეს კოშკი და მისი მიმდებარე კედლები XIX ს-ში დაუნგრევიათ და მის ადგილას საცხოვრ. სახლი აუგიათ. დანარჩენი ორი კოშკიდან ერთი ჩრდ.-აღმ კუთხეშია, მეორე კი, გარედან, სამხრ. კედლის დას. ნაწილზეა მიდგმული.

ჩრდ.-აღმ. კუთხეში მდგარი კოშკიც, დანარჩენ კოშკებთან ერთად XIX ს-ში საცხოვრებლად გამოიყენებოდა და ისეა გადაკეთებული, რომ ზოგი ნაწილის თავდაპირველი არქიტ. გადაწყვეტის გარკვევა არ ხერხდება. კოშკი სამ-



264. ჩრდ.-აღმ. კუთხის კოშკი გასასვლელით. I სართული. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

სართულიანია. ნაგებია რიყის ქვით. კოშკის პირველი და მეორე სართულებს შესასვლელები ცალკ-ცალკე, ეზოდან აქვს. პირველ სართულზე გაჭრილია ხუთი სათოფური და ერთი ფართო სარკმელი (გვიანდელია). სათოფურებიდან ორი შეწყვილებულია, სამი – ცალმაგი. იატაკში მოწყობილი ყოფილა ჭა, რ-იც ქვისა და აგურის დეკორატ. წყობითაა გამოყვანილი. მეორე სართული, პირველის მსგავსად, დაბალია. სართულის კედელში სხვადასხვა მხარეს მიმართული სათოფურებია განლაგებული. ჩრდ.-აღმ-ით კი ბუხარია. კარი და ბუხარია მესამე სართულის სამხრ. ნაწილშიც, ჩრდ. ნაწილში გაჭრილია ფართო სარკმელი, რ-ის ზედა ნაწილი მორღვეულია. სართულის კედელი ნალესობითაა დაფარული, რის გამოც საბრძოლო ელემენტების კვალი აღარ ჩანს. ირკვევა, რომ გარედან ამ სართულს, სათოფურების გარდა, ნისკარტა სალოდეებიც ჰქონია. სართული ბრტყლად ყოფილა გადახურული (შემორჩენილია მცირე ნაწილი). კოშკის სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული (შემორჩენილი იყო გასული საუკუნის 70-იან წლებამდე). კოჭებზე ფიცრები იყო დალაგებული და ზემოდან მიწა ჰქონდა დაყრილი.


სამხრ. კოშკი გალავანზე გარედანაა მიდგმული. იგი ორსართულიანია. კოშკს საბრძოლო ბანი ჰქონია, რ-იც მთლიანად დანგრეულია. ერთადერთი შესასვლელი მეორე სართულიდანაა. კარი თაღოვანია და გარედან საფეხურით შელრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც ზემოდან კბილანა ფრიზი ასრულებს. შესასვლელის გვერდებზე, ერთ ვერტიკალზე განლაგებული ოთხ-ოთხი რომბია. შესასვლელი და მისი მორთულობა მთლიანად აგურითაა გამოჟვანილი. კოშკის პირველი სართული შიგნითაც წრიულია. სართულს მხოლოდ ერთი სარკმელი აქვს, რ-იც აღმ. ნაწილშია გაჭრილი. მეორე სართული გეგმით არაწესიერი რვაგვერდაა. შესასვლელის პირდაპირ, ერთერთ გვერდში სწორკუთხედში ჩამჯდარი, შეისრულთაღოვანი ბუხარია. ბუხრის ორივე მხარეს, თითო მაღალი და ღრმა, თაღოვანი ნიშაა – თითო შეწყვილებული სათოფურით. აღმ. და დას. ნიშებში, სათოფურის გარდა, თითო სარკმელიცაა. დანარჩენი ორი გვერდიდან ერთში, კედელში მოწყობილი კიბის შესასვლელია, მეორეში – პატარა ნიშა. კიბე ამ სართულს პირველ და მესამე სართულებთან აკავშირებდა.

ციხის გალავანი (სიმ. – 5-6 *მ*) ნაგებია მთლიანად რიყის ქვით. გალავნის შემორჩენილი ნაწილები ორიარუსიანია და მომრგვალებული თავი აქვს. ორივე იარუსზე ცალმაგი და ორმაგი სათოფურებია განლაგებული. გალავნის ჩრდ. კედლის შუაში გარეთკენ შვერილი, ნახევარწრიული ნიშაა, (სიგ. – დაახლ. 1 *მ*), რ-შიც, გალავნის მსგავსად, სათოფურები ორ რიგადაა განლაგებული. გალავნის დას. კედლიდან მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. ამ მხარეს ციხეს, მდინარეზე ჩასასვლელად, კარი ჰქონია. კარის წინ მცირე ბაქანი იყო მოწყობილი.

თ. დვალი.


ბიბლ.: 78ა; 122; 249; 475.

265. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას შუა სოფელში, მთავარი გზის პირას. თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. 1930-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე, ეკლ. სოფლის კოლმეურნეობის საჭიროებისათვის გამოიყენებოდა და მნიშვნელოვანი გადაკეთებებიც განიცადა – შიგნით ეკლ. ორ სართულად გაყვეს, რის გამოც აღმ. კედელში, საკურთხევლის სარკმლის თაღის დონეზე, ორი მოზრდილი, სწორკუთხა სარკმელი გაჭრეს. 1970-იანი წლებიდან 1990-იანი წლების მეორე ნახევრამდე ეკლ. მიტოვებული იყო და ძლიერ დაზიანდა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, ინსტიტუტმა „საქრესტავრაციამ“, ეკლესიას ჩაუტარა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. თ. ბეჟანიშვილი): მოეწყო რკინა-ბეტონის კამარა და კონქი, ლავგარდნითურთ აღდგა კედლების ზედა, მონგრეული ნაწილები, ამოშენდა მოგვიანებით გაჭრილი სარკმლები და ღიობები, ეკლესიის ირგვლივ დაიგო ქვის ფილები, კეთილმოეწყო ეკლესიის ეზო.




265. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (19,0x9,85 *მ*), ნაგებია სხვადასხვა ზომის, ტლანქად დამუშავებული, ქვიშაქვის ქვით. გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლები და მორთულობის ელემენტები იგივე ჯიშის, ოღონდ წესიერი ფორმის, სუფთად გათლილი ქვითაა გამოყვანილი. შესასვლელების გადასახურად გამოყენებულია საფლავის ქვები. გარდა ამისა,



265. დას. ფასადი (რესტავრაციამდე)



265. ჭრილი. ხედი აღმ-კენ (რესტავრაციამდე)

საფლავის ქვები კედლების სიპირე წყობაშიცაა ჩატანებული. ყველა ქვა პირით ფასადის მხარესაა მოქცეული. მათზე გაკეთებული წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე ადრინდ. ქვა საფლავზე 1830 წელსაა დადებული. ე. ი. ეკლ. 1830 წლის შემდგომაა აგებული. შიგნითა კედლების წყობაც იგივე მასალისაა. ქვებს შორის დარჩენილი არეები, როგორც შიგნიდან, ისე ფასადებზე, ამოვსებულია კირის წმ. ხსნარით.

შესასვლელი ორია: სამხრიდან და დას-იდან. გარედან ორივე კარი სწორკუთხაა, შიგნით კი – ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. ორივე

თაღის დიდი ნაწილი ნაწყობია კვადრ. აგურით. დას. კარის თაღის ზემოთ, კედლის სისქეში, მოწყობილია განმტვირთავი თაღი. აღმ-ით ღრმა, კუთხეებმომრგვალებული საკურთხეველია, რ-იც დარბაზის იატაკის მიმართ ორი საფეხურითაა შემაღლებული და მცირე ზომისაა და მკვეთრად დახრილი ძირი აქვს. დას. კედელზე შემორჩენილია ნალესობის ფრაგმენტები.

შიგნით ეკლ., როგორც ჩანს, გადახურული იყო ხის კამარით.

ეკლესიის ფასადები, მცირე დეტალების გამოკლებით, უცვლელად ინახავს პირვანდელ სახეს. შენობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი მიწაშია „ჩაძირული“ (დაახლ. 1 მ-ით), თავისი ზომებითა და ხასიათით მაინც შთამბეჭდავია. ფასადების დამუშავება მარტივია, მორთულობა – ძუნწი. კარ-სარკმლებიდან მხოლოდ შესასვლელებია გაფორმებული. ორივე კარი ჩასმულია განიერ, სადა, თაღოვან ჩარჩოში, რ-ის ზედაპირი კედლის ზედაპირთან ერთ სიბრტყეშია, შიდა მხარეს კი სამი საფეხურით ღრმავდება. მოჩარჩოების თაღოვანი ნაწილი, დანარჩენი ნაწილისგან, ჰორიზ. ხოლითაა გამიჯნული, რ-ის ზედა ნახევარი ბრტყელია, ქვედა კი – პროფილირებული. თვით პროფილი მარტივია – შედგება ლილვისა და ოდნავ შეზნექილი ზედაპირისგან. ორივე შესასვლელის მოჩარჩოების თაღოვან არეში ამოკვეთილია კვადრ. ნიშა. ამჟამად ორივე მათგანში ჩადგმულია მარმარილოს ფილა. მათგან დას-ისაზე „ბოლნური“ ჯვარია გამოსახული, სამხრ-ისაზე კი – ჯვრის ამაღლების კომპოზიცია. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, მოჩუქურთმებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, რ-იც კედლის სიღრმეშია ჩაძირული და ირგვლივ ცერად ჩაკვეთილ არეზე გამოყვანილი, ჩუქურთმიანი არშია ევლება. ჯვრის ზედა და განივ მკლავებს წაწვეტებული ბოლოები აქვს (მსგავსი ჯვარია გამოსახული ამავე სოფელში მდებარე, წმ. იოანე ნათლისმცემლის აღმ. ფასადზეც).

ეკლ. დგას ერთსაფეხურიან, ნათალი ქვით ნაგებ ცოკოლზე. კედლები დასრულებულია აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით (განახლებულია). შენობა მოთუთიავებული თუნუქითაა დაბურული.

ეკლესიის ეზოში, ჩრდ. სამხრ. კედლის გაყოლებით, საფლავის ქვებია დაწყობილი.

თ. ჯ̌ვალი.



265. ხედი ჩრდ.-დას-იდან

266. წმ. მარინეს ეკლესია, არქიტ. ძ.დგას სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 2 კმ-ზე, სამების ეკლესიისკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, გორაკზე, გზიდან სამასიოდე მ-ზე, ლაჯ̌ივრულად წოდებულ ადგილზე.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია მოზრდილი ზომის, სრულიად დაუმუშავებელი, ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. წყობაში, ალაგ-ალაგ (მეტწილად ფასადებზე), რიყის ქვაცაა ჩატანებული. კედლების საპირე ქვები შერჩევის გარეშეა დაწყობილი – წყობაში სწორხაზოვნად გამავალი რიგების გამოყვანის გარეშე. ქვებს შორის დარჩენილი არეები კი დუღაბითაა ამოლესილი.

ძ. ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია: ჩრდ. კედელი (მთელ სიგრძეზე), დას. კედლის ჩრდ. ნახევარი და აფსიდის ორივე გვერდი. კედლების მაქს. სიმ. დაახლ. 3 მ-ია. აფ-

სიდი შუაში განგრეულია, დას. კედლის შემორჩენილი ნაწილი დას-ითაა გადახრილი და გადაქცევამდეა მისული, ჩრდ. აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. აფსიდის ორივე გვერდში, იატაკიდან დაახლ. 0,5 *მ* სიმაღლეზე, თითო მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი ნიშაა. ორივე ნიშის თაღის ქუსლის დონეზე, თხელი ქვის თაროა მოწყობილი, რაც ძეგლს ერთგვარ თავისებურებას ანიჭებს.



266. ხედი სამხრ.-დას-იდან

კედელს, ორ ადგილას, მთელ სიმაღლეზე, განიერი ნაპრალი აუყვება, სამხრ. კედლიდან კი,



266. ინტერიერი. აფსიდის ჩრდ. ნიშა

მიწის ზემოთ, მხოლოდ აღმ. კიდის ნაშთიღაა შემორჩენილი (სიმ. – 0,50 *მ*). ეკლესიის ზომები შიგნიდან: სიგრ., საკურთხევლის ჩათვლით – 8,15 *მ*, სიგ. – 4,2 *მ*., კედლის სისქე – 80 *სმ*.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან ჰქონია. აფსიდის შემორჩენილ კედლებს სარკმლის კვალი აღარ ეტყობა.

თ. დვალი, ბ. კუპრეიშვილი.

ხინჭები

(კოჭბაანის თემის საკრებულო)

267. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ.დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 1½-ზე, სოფ. ხინჭებსა და კოჭბაანს შორის, ბზიან გორად წოდებულ ადგილზე (ეკლესიის სიახლოვეს ბევრი ბზის ხეა, ოდნავ მოშორებით კი ძვ. ნასოფლარი, რ-ის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მიწისქვეშა, შირიმის ნათალი ქვით ნაშენი, კამაროვანი აკლდამა).


ეკლ. გეგმის აღნაგობით იშვიათია. ხუროთმოძღვრული დამუშავების მხრივ იგი გარდამავალ ხანას უკავშირდება.

ეკლ. გუმბათოვანია, გარედან ჯვრისსახა ტრიკონქის ტიპისა. შიგნით სამი აფსიდია, აღმ-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. თითოეული აფსიდის წინ მოკლე ბემაა. გუმბათის ყელი დაყრდნობილი იყო მკლავების გადაკვეთის ადგილზე შექმნილ კვადრატზე.

გარედან სამივე მკლავი სწორკუთხაა.

ეკლ. ნაშენია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კედლების წყობაში გამოყენებულია საკმაოდ დიდი, არაწესიერი ფორმის ლოდები.

ძ. ამჟამად ნანგრევადაა ქცეული. ეკლესიის ნაწილებიდან ყველაზე დიდ სიმაღლეზე აღმ. მკლავი დგას (სიმ.



267. გეგმა

დაახლ. 2,5 *მ*-ია). სამხრ. და ჩრდ. მკლავებიდან, მიწის ზემოთ, ნაშთებიღაა დარჩენილი. კედლების შემორჩენილი ნაწილები, შიგნით და გარეთ (განსაკუთრებით ჩრდ. მხრიდან) მიწითაა დაფარული. დას. მკლავი მიწის პირამდეა დანგრეული, იმდენად, რომ მისი გეგმის კონტურიც კი არ იკვეთება. ჰქონდა თუ არა ეკლესიას აფსიდი დას-ითაც, გათხრა-გასუფთავების გარეშე, არ დგინდება. დიდი ალბათობით, დას. მკლავი უაფსიდო იქნებოდა, დას-ით სწორი კედლით დასრულებული. გაურკვეველი მიზეზების გამო, ეკლესიის დას. მკლავი დანგრეულა. შენობის განახლების დროს, მისი აღდგენის ნაცვლად, გუმბათქვეშა დას. სვეტებს შორის კედელი ჩაუშენებიათ (შემორჩენილია თითქმის მთელ სიმაღლეზე), რ-იც იგივე საშენი მასალითაა ნაგები, რითაც ეკლ.



267. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

ძეგლს სპეციფიკური თავისებურება გააჩნია: გუმბათი აქ ეყრდნობოდა არა კედლებს (ერელაანთ საყდარი, სამწევრისი, იდლეთის ნათლისმცემელი და სხვ.), არამედ (როგორც ეს, მაგ., XI ს-ის კონტურის საყდარშია) ოთხ, მრგვალ სვეტს, რ-ებიც მკლავების გადაკვეთის კუთხეებშია გამოყვანილი. სვეტები განცალკევებით კი არ დგას, არამედ კედლებთან არის შეზრდილი.

შესასვლელი ამჟამად მხოლოდ სამხრ. აფსიდის ღერძზე ჩანს. სარკმელიც ერთია – საკურთხეველში. იგი ვიწროა, მაღალი და თითქმის პარალელური წირთხლები აქვს. მოგვიანებით (როგორც ჩანს დას. კედლის აგების დროს) სარკმლის ქვედა ნახევარი ამოუშენებიათ და ღიობი მნიშვნელოვნად დაუდაბლებიათ. სარკმელი შიგნიდან თაღოვანი ყოფილა. თავად თაღი კი დუღაბით იყო გამოყვანილი. გარედან სარკმელი ოთხკუთხაა.სამხრ. და ჩრდ. მკლავები იმდენადაა დანგრეული, რომ ისინი აღმ. სარკმლის ძირის დონესაც ვერ აღწევს. დას. კედელი უსარკმლოა.



267. ინტერიერი. საკურთხევლის სარკმელი

საკუთრივ გუმბათის ყელი, სავარაუდოდ, დაყრდნობილი იყო ტრომპებზე.

ეკლ. ქართ. საეკლ. არქიტექტურის ძეგლთაგან ყველაზე ახლოს ისტ. პროვინცია ოლთისში (ახლა თურქეთის ფარგლებშია) მდებარე ბახჩალო-ყიშლას ეკლესიასთან დგას.

თ. დვალი.



დავითგარეჯის მრავალმთა. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი.
ქვასვეტი. „წმ. ევსტათეს ნადირობის“ კომპოზიციით

ბიბლიოგრაფია

1. აბრამიშვილი გ.,დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში,თბ., 1972.
2. აბრამიშვილი გ., დავით გარეჯის მონასტრები, ლავრა, უდაბნო, თბ., 1972.
3. აბრამიშვილი გ., დავით გარეჯის უდაბნოს მთავარი ეკლესიის საქტიტორო წარწერა. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის,არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1962, № 3.
4. აბრამიშვილი გ., დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობის თარიღისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1970, № 5.
5. აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – *ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1961, ტ. XXII.
6. აბულაძე ი.,ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955.
7. ავთანდილაშვილი გ. ლაიჯთა ეთნიკური ჯგუფი საქართველოში. – *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული,* ტ. XIII, თბ., 2011.
8. ალექსიძე ზ.,გარეჯიდან სინას მთამდე: უცნობი მასალა სამონასტრო კომპლექსის შესახებ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან. – კრ.: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი* (გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები, II), თბ., 2001.
9. ალიბეგაშვილი გ., თამარ მეფის ოთხი პორტრეტი. – *ძეგლის მეგობარი*, 1966, № 8.
10. ალიბეგაშვილი გ., ვოლსკაია ა.,დავით გარეჯის მოხატულობა. – *ძეგლის მეგობარი*, 1964, № 3.
11. ალხაზაშვილი ნ., მონასტრები გარეჯის უდაბნოში. – *ფრესკა*, 1975, № 7.
12. ამირანაშვილი შ., ბერთუბნის სატრაპეზოს ფრესკები. – *ილიონი*, 1922, № 2./
13. ამირანაშვილი შ., დავით გარეჯის უდაბნოს ფრესკები. – *ძეგლის მეგობარი*, 1964, № 1.
14. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
15. ამირანაშვილი ჯ., ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968.
16. არქეოლოგიური მასალების კატალოგი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1904-1920 წლებში შემოსული გარეჯის მონასტრებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა), ტ. 2, თბ., 1955.
17. არჯევანიძე ი., თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, თბ., 1958.
18. ასათიანი ნ., საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII სს. კახეთის სამეფოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 77, თბ. 1959.
19. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები (ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ), თბ., 1955.
20. აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ.,გობეჯიშვილი გ.,კალანდაძე ა.,ლომთათიძე გ.,ჯაფარიძე ო.,ხოშტარია ნ., საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
21. აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.), თბ., 1984.
22. ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები. – *არქეოლოგიური ძიებანი*, თბ., 1958.
23. ახალი ამბები, *დროება*, 1880, № 134 (26 ივნისი).
24. ახალი ამბები, *დროება*, 1881, № 56 (15 მარტი).
25. ბაგრატ ბაგრატიონი, ახალი მოთხრობა (თ. ლომოურის გამოც.), თბ., 1941.
26. ბარამიძე რ., თამარ მეფის სურათი ბერთუბანში. – *ივერია*, 1900, № 57 (15 მარტი).
27. ბარამიძე რ., იოანე ნათლის მცემლის უდაბნოს დღეობის გამო. – *ცნობის ფურცელი,* 1899, № 849.
28. ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962.
29. ბარნაველი ს., საბა ტუსისშვილის „ანდერძისებრნი ღუაწნი“. – *ქართული ხელოვნება,* ტ. 3, თბ., 1950.
30. ბახტაძე ნ. დავითის უდაბნო. – *ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1989, ტ. X.
31. ბახტაძე ნ., ქართული სამონასტრო მოძრაობის სათავეები. – *ძეგლის მეგობარი,* 2001, № 1.
32. ბახტაძე ნ.,თვალჭრელიძე ზ. გარეჯის უდაბნოთა ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის საკითხი. – *ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 2003-2004, ტ. 45.

33. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994.
34. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.
35. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიიდან: მშენებლობა, მშენებლობის პირობები და ორგანიზაცია. – *ორიონი*, საიუბილეო კრებული მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967.
36. ბერიძე ვ., XVIII საუკუნის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1941, ტ. XIV.
37. ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I-II, თბ., 2014.
38. ბერიძე ვ., ძველი ქართული ქალაქები, თბ., 1977.
39. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
40. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
41. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.:
    ა) წგ. 1, 1964;
    ბ) წგ. 2, 1965;
    გ) წგ. 3, 1966;
    დ) წგ. 4, 1967;
    ე) წგ. 5, 1971;
    ვ) წგ. 6, 1973;
    ზ) წგ. 7, 1974;
    თ) წგ. 8, 1975;
    ი) წგ. 9, 1979.
42. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობებიდან XV ს-ში. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1937.
43. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ., 1958.
44. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948.
45. ბერძენოვი ივ., წმინდა დოდოს მონასტერი. – *დროება*, 1881, № 118 (10 ივნისი).
46. ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983.
47. ბერძნიშვილი მ., საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII ს-ის დამდეგს. – კრ.: *საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1968.
48. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე, 1883-1921 წწ.), თბ., 1974.
49. ბუგიანიშვილი თ., გარე კახეთის ზეგნის ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. VIII, თბ., 1979.
50. ბუგიანიშვილი თ., დავით გარეჯის უდაბნოს ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. – კრ.: *გარეჯი* (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები), ტ. VIII, თბ., 1988.
51. ბუგიანიშვილი თ., ქვედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1991.
52. ბუგიანიშვილი თ., ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. VI, თბ., 1974.
53. ბუგიანიშვილი თ., ქვის ხანის ძეგლები კახეთში. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.
54. ბუგიანიშვილი თ., დედაბრიშვილი შ., ფიცხელაური კ., რამიშვილი რ., უზუნაშვილი მ., გაგოშიძე ი., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი ანგარიში. – კრ.: *არქეოლოგიური კვლევა ძიება საქართველოში*, 1971 წელს, თბ., 1972.
55. ბუგიანიშვილი თ., დედაბრიშვილი შ., ფიცხელაური კ., რამიშვილი რ., უზუნაშვილი მ., ჩიკოიძე ც. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1968 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი XVIII სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე ანგარიშები), თბ., 1969.
56. ბულია მ., გარეჯის სამარტომყოფელოთა მოხატულობების შინაარსის შესახებ. – *Akademia*, 2010, № 1.
57. ბულია მ., დავით გარეჯის მოხატულობათა ზოგიერთი იკონოგრაფიული თავისებურების შესახებ. – *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1991, № 3.

58. ბ უ ლ ი ა მ., დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მცირე ეკლესიათა მოხატულობები. – კრ.: *აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის კლდეში ნაკვეთი ძეგლები*, თბ., 2002.
59. ბ უ ლ ი ა მ., დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა (XIII ს. II ნახევრის ქართული კედლის მხატვრობის ისტორიიდან), ავტორეფერატი, თბ., 1993.
60. ბ უ ლ ი ა მ., დოდორქის მონასტრის ახლადაღმოჩენილი სამლოცველოს მოხატულობა. – *ძველი ხელოვნება დღეს*, 2015, 06.
61. ბ უ ლ ი ა მ., ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში. – *საქართველოს სიძველენი*, 2005, 7-8.
62. ბ უ ლ ი ა მ., მეფე დემეტრე თავდადებულის პორტრეტი უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში. – *საბჭოთა ხელოვნება*, 1990, № 1.
63. ბ უ ლ ი ა მ., სამწირველო სამლოცველოები უდაბნოს მონასტერში. – კრ.: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი*, თბ., 2001.
64. ბ უ ლ ი ა მ., ქოლაგირის მოხატულობანი (თარიღის დაზუსტებისთვის). – *საქართველოს სიძველენი*, 2013, № 16.
65. ბ უ რ ჩ ა კ - ა ბ რ ა მ ო ვ ი ჩ ი ნ., გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე. უმაღლესი ადამიანისნაირი მაიმუნი აღმოსავლეთ საქართველოს ზედა მესამეული ნალექებიდან. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1945, № 6.
66. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.
67. გ ა გ ო შ ი ძ ე გ., დოდორქის მონასტრის ახლადგამოვლენილი კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია. – *ძველი ხელოვნება დღეს*, 2013.
68. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. 1, თბ., 1999.
69. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები (XIII-XVIII სს.), (გამოსაცემად მოამზადეს დ. ლომიძემ, მ. ჭუმბურიძემ, და ზ. სხირტლაძემ), თბ.:
    ა) წგ. I, 2008;
    ბ) წგ. II 2011.
70. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., 1089 წ. წარწერა მიწისძვრის შესახებ გარეჯის წამებულის უდაბნოს „ხარიტონის ქუაბიდან“. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1976, № 1.
71. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., გარეჯი, თბ., 1987.
72. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., კლდეში ნაკვეთი ძეგლები საქართველოში. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა შინაარსი (სპელეისტიკური კვლევა-ძიებანი), თბ., 1969.
73. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., ძველი ქართული კულტურის კვლევის სპელეისტიკური პრობლემები და გარეჯის უდაბნო. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის სპელეოლოგთა XII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა შინაარსი (სპელეისტიკური კვლევა-ძიებანი), თბ., 1977.
74. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., კახეთის 1812 წლის აჯანყება, თბ., 2003.
75. გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
76. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი გ., გარე კახეთის ზოგადი ეკონომიკური გეოგრაფიული დახასიათება. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები*, 1955, ტ. 7.
77. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1962.
78. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ი., მოგზაურობა საქართველოში (გ. გელაშვილის გამოც.), თბ.:
    ა) ტ. 1, 1962;
    ბ) ტ. 2, 1964.
79. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი გ., პატარძეულის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები. – კრ.: *არქეოლოგიური ძიებანი*, თბ., 1985.
80. გ ო ი ლ ა ძ ე ვ. ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 1991.
81. გ ო ნ ა შ ვ ი ლ ი დ., ივრის ხეობაში. – *საბჭოთა ხელოვნება*, 1964, № 2.
82. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ ა რ ს ა დ ა ნ, საქართველოს ისტორია (ს. კაკაბაძის გამოც.). – *საისტორიო მოამბე*, 1926, ტ. 2.
83. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ალ., ნინოწმინდა. – *დროება*, 1884, № 225 98 ოქტომბერი).
84. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ალ., წმინდა ნინოს ხატის შესახებ. – *დროება*, 1902, № 225 (8 ოქტომბერი).
85. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ალ., წმინდა ნინოს ხატის შესახებ. – *ივერია*, 1902, № 151 (26 თებერვალი).

86. გ უ ნ ი ა ირ., საქართველოს მონასტრები, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 2005.
87. დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია (თ. ლომოურის გამოცემა), თბ., 1941.
88. დავით გარეჯის მონასტერი და ცხოვრება დავით გარეჯელისა. – *მწყემსი*, 1893, № 2.
89. დავით გარეჯის უდაბნო. – *ივერია*, 1890, № 55 (14 მარტი).
90. დავითგარეჯის მონასტრები, ლავრა, უდაბნო (წიგნი გამოსაცემად მოამზადეს: მ. ბულიამ და დ. თუმანიშვილმა), თბ., 2008.
91. დავითგარეჯის მონასტრები, ნათლისმცემელი, ბერთუბანი (წიგნი გამოსაცემად მოამზადეს: მ. ბულიამ და დ. თუმანიშვილმა), თბ., 2010.
92. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე ც., ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983.
93. დასტურლამალი. – წგ.: ქართული სამართლის ძეგლები (ი. დოლიძის რედ), ტ. 2, თბ, 1965.
94. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 1, თბ., 1969.
95. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., 1964 წლის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიშები), თბ., 1965.
96. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითის საკითხისათვის. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია, (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.
97. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ბრინჯაოს ხანის ადრეული ძეგლები კახეთიდან. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ისტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.
98. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ტ. II (ნ. ბერძენიშვილის რედ.), თბ., 1940.
99. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ., ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974.
100. დ ო ლ ი ძ ე ვ., დავით გარეჯის გამოქვაბულთა კომპლექსი. – *ძეგლის მეგობარი*, 1964, № 3.
101. დ ო ლ ი ძ ე ვ., დავით გარეჯის ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1950, XI, № 9.
102. დ უ მ ბ ა ძ ე მ., აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, თბ., 1953.
103. ბერი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 2, თბ., 1959.
104. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., 2005.
105. ე ლ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ალ., თარაქის წმ. გიორგის ეკლესია „ვედრებისა“. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, III, თბ., 1997-98.
106. ე ლ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ალ., თვალ-საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესია. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, III, თბ., 1997-98.
107. ე ლ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ალ., საგარეჯო (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), თბ., 2010.
108. ე ლ ი ზ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი ი., ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი მ., ჩ ა ჩ ხ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ც., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ხ., არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012.
109. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., არქეოლოგიური დაზვერვები დავით გარეჯის უდაბნოში. – კრ.: *გარეჯი* (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები), VIII, თბ., 1988.
110. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., მდ. ივრის ზეგნის კატაკომბური სამარხების დათარიღებისათვის. – *ამირანი*, XIX, მონრეალი-თბილისი, 2008.
111. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან. – *კახეთის არ-*

ქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 4, თბ., 1980.

112. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., წითელგორების № 3 ნამოსახლარი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კახეთის სიძველეთა შესწავლისა და დაცვისათვის (მოხსენებათა მოკლე შინაარსი), ყვარელი, 1977.

113. ვ ა ჩ ნ ა ძ ე მ., ლევან კახთა მეფე და მისი შვიდი პორტრეტი კახეთსა და საბერძნეთში. – *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1992, №5-6.

114. ვ ა ჩ ნ ა ძ ე მ., ლევან კახთა მეფე და პოსტბიზანტიური ქართული მონუმენტური ფერწერა XVI ს, ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები. – I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი-თელავი-ალავერდი, 2006.

115. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973.

116. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე თ., დავით გარეჯში უდაბნოს მონასტრის ჩრდ. ეგვტერის თავდაპირველი მოხატულობის თარიღისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1968, № 6.

117. ვ ო ლ ს კ ა ი ა ა., ბერთუბნის მონასტრის მოხატულობანი. – *საქართველოს სიძველენი*, 2009, № 13.

118. ვ ო ლ ს კ ა ი ა ა., გარეჯის ქვაბოვანი მონასტრის ეკლესიანი სენაკები. – კრ.: *Analecta Iberika,* 2001, I.

